# გაზეთი

# საქართველოს რესპუბლიკა

კრებული

1919-1921

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის ქუჩა 7 № ბალის ქ. №10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართი". რედაქციას.

ხელის მოწერა ფასი: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 300 მან.
2 თვით ........................ 200 მან.
1 თვით ........................ 100 მან.

ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

## მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“
ბათუმი — 2008

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ ჩვენი წარსული ისტორიის ერთ უმნიშვნელოვანეს ფურცელს აშუქებს. მისი გამოცემა მჭიდროდაა დაკავშირებული მემედ აბაშიძის სახელთან; სწორედ მემედ-ბეგის რედაქტორობითა და უშუალო ხელმძღვანელობით გამოდიოდა გაზეთი 1919-1921 წლებში. ჟამთა ვითარებისა და ისტორიული ქარტეხილების გამო გაზეთის 500 ნომრიდან ჩვენამდე მხოლოდ ზოგიერთმა მოაღწია სრული სახით.

„სამუსლიმანო საქართველოს“ უნიკალური მასალები – დაცული მუზეუმებში, არქივებსა თუ ბიბლიოთეკებში, დიდხანს ხელმიუწვდომი იყო საზოგადოებისათვის, ამიტომ სასურველი გახდა მათი მოკვლევა, შეგროვება და ერთ წიგნად გამოცემა, რათა გადარჩენილი ნაწილი მაინც შენარჩუნებოდა შთამომავლობას. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია პროფესორ გულიკო შერვაშიძის ღვაწლი, რომელმაც ბევრი გაბნეული საგაზეთო ნომერი მოიძია და მოგვაწოდა.

კრებულში ეპოქის ზოგადი მიმოხილვის ფონზე წარმოდგენილია გაზეთის 40-მდე ნომერი. მათში გაშუქებულია სამხრეთ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული საკითხები.

„სამუსლიმანო საქართველოს“ დანარჩენი საგაზეთო ნომრების მოძიება გრძელდება. მათი მოპოვების შემთხვევაში, ვფიქრობთ, შესაძლებელი გახდება კრებულის შედარებით სრული სახით გამოცემა.

*შემდგენლები*

ნარგიზ აბაშიძე

თეიმურაზ კომახიძე

*რედაქტორი*

დავით თედორაძე

© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“ – 2008

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

...ეროვნული შემეცნების ანდამატმა მიგვიზიდა, ერთმანეთს ვიყვარებთ და დროთა განმავლობაში გამეფებულ უკულმართობას ნიადაგი ესპობა. დიდხანს შეგუბებულმა მშობლიურმა მისწრაფებამ გადალახა დამაბრკოლებელი წრე, ზღუდე და თავის კალაპოტში ჩავარდა. ეხლა, ნაცვლად მტრობისა და სიძულვილისა, სიყვარულსა და ნუგეშს ვუცხადებთ და ვუძღვნით ერთიმეორეს. გვინდა დიდი ხნის მტრად ნაგულისხმევი ჩვენი ღვიძლი ძმანი და თანამემამულენი სულითა და გულით ჩავიკრათ მშობლიურ მკერდში, ნაღველი ამოვიცალოთ და ამქვეყნად ნათესაური ბედნიერებით დავსტკბეთ, გავაცნოთ და დავუმკვიდროთ ერთმანეთს ჩვენი გული. ასეთია დღეს ჩვენი სულიერი ვითარება.

...აი, ასეთმა მშობლიურმა დამოკიდებულებამ და წმინდა კავშირმა განურჩევლად სარწმუნოებისა, დაამყარა ჩვენ შორის წრფელის გულით სიყვარული, მხურვალე თანადგომა, პატივისცემა და ნდობა, რაც სასწაულმოქმედ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში და ოქროს ასოებით უნდა აღნიშნულ იქნას ჩვენი ისტორიის ფურცლებზე.

...დეე, გამოვიყენოთ ეს ერთობა ჩვენდა სანუგეშოდ, მამულის საბედნიეროდ.

მემედ აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის გაზეთი და მისი როლი ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში

1918 წლის 15 მაისს თბილისში შეიქმნა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი. ეს იყო ძლიერი პატრიოტული ორგანიზაცია, რომელსაც თავისი გაზეთი უნდა ჰქონოდა. დიდი მამულიშვილის – მემედ-ბეგ აბაშიძის თაოსნობით იდეა მალე განხორციელდა – 1919 წლის 11 იანვარს გამოვიდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს" პირველი ნომერი. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, არა მარტო სამუსლიმანო საქართველოს, არამედ საერთოდ ქართველი ერის ცხოვრებაში. გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს" გამოცემა შიშველ ნიადაგზე არ მომხდარა. მას წინ უძღოდა პოლიტიკური წინაპირობები, რომელთა გათვალისწინება განსაზღვრავდა მის ხასიათსა და მიმართულებებს. ამიტომაც ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით 1918 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რამაც განაპირობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელის – „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" შექმნა, ხოლო გარკვეული ეტაპის შემდეგ დღის წესრიგში დადგა გაზეთის გამოშვების აუცილებლობაც.

* * *

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და შემდგომ ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ დიდი როლი ითამაშა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ხალხთა ცხოვრებაში. ძალთა სოციალური დაპირისპირების მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენდა მძლავრი სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის აზვირთება.

1917 წლის 7 ნოემბერს პეტერბურგში მომხდარმა გადატრიალებამ საფუძველი დაუდო კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი ექსპერიმენტის განხორციელებას, კერძოდ, სახელმწიფოს ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა მანამდე ცნობილ სახელმწიფოთა ტიპებისგან.

რუსეთში მიმდინარე ეს მოვლენები პირველი მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპს დაემთხვა. არმია უმართავ და რევოლუციურად განწყობილ დეზერტირთა მასას დაემსგავსა. დროებითმა მთავრობამ თავი ვერ გაართვა დაგროვილ პრობლემებს, რასაც ახალი მღელვარების ტალღა და ხელისუფლების დამხობა მოჰყვა.

რაც შეეხება საქართველოს, აქ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ გააქტიურდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტია, მათ შორის იყვნენ, როგორც ეროვნულ ნიადაგზე მდგომი, ასევე, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები. ჯერჯერობით სოციალურისა და ეროვნულის ერთიანობაში გააზრება ვერც ერთმა პარტიამ ვერ შეძლო. ამიერკავკასიის სეიმი წარმოადგენდა იმ ლეგიტიმურ ხელისუფლებას, რომელიც ძირითადად ამიერკავკასიის ხალხთა (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები) წამყვანი პოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტიკური პარტიებით იყო წარმოდგენილი: სოციალ-დემოკრატები, დაშნაკები, მუსავატელები. გარკვეულწილად, არსებული ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფდა ში-ნაო თუ საგარეო პოლიტიკური საკითხების მიზანსწრაფულად გადაჭრას. ამიტომაც იყო, რომ მათ ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამიერკავკასიის ხალხებისთვის კარს მომდგარი საგარეო პილიტიკური საფრთხე, რაც ტერიტორიულ დანაკარგებში უნდა გამოხატულიყო.

როგორც ცნობილია, ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკურ რუსეთსა და გერმანიის ბლოკ სახელმწიფოთა შორის გამართულ საზავო კონფერენციაზე, 1918 წლის 3 მარტს რუსეთის მხარე იძულებული გახდა ხელი მოეწერა აშკარად ყაჩაღურ საზავო შეთანხმებაზე, რომლის მეოთხე პუნქტის მიხედვით უნდა უზრუნველეყო თურქეთის (ანატოლიის) აღმოსავლეთ პროვინციების დაბრუნება ყოფილი მფლობელისთვის, ასევე არდაჰანის, ბათუმისა და ყარსის ოლქები დაუყოვნებლივ თავისუფლდებოდნენ რუსთა ჯარისგან და, რაც მთავარია, ამ ხელშეკრულებით რუსეთი ველარ ჩაერეოდა აღნიშნული ოლქების სახელმწიფოთა სამართლებრივ ურთიერთობებში, ხოლო იქ დამყარებული ახალი წყობილება შეერწყმებოდა მეზობელი ოსმალეთის სახელმწიფო ინტერესებს (Документы внешней политики СССР. Т.I. 1957, с. 121).

ეს შეთანხმება ითვალისწინებდა რუსეთ-თურქეთს შორის საზღვრების გადასინჯვასაც (იქვე, გვ. 201). როგორც ვხედავთ, ამ შეთანხმების გარკვეული სუსხი საქართველომაც იწვნია, რამეთუ, იგი კარგავდა არდაჰანისა და ბათუმის უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ ოლქებს.

ქართველ მენშევიკთა ლიდერი, ნოე ჟორდანია, საქართველოს თავს დატეხილ უბედურებაში ცალსახად ადანაშაულებდა ბოლშევიკურ ხელისუფლებას. „კრების გარეკვის შემდეგ ნათელი გახდა ჩვენი თავის ჩვენს ამრაზე დარჩენა. ეს კი ნიშნავდა რუსეთიდან გამოყოფას ფაქტობრივად და ჩვენი ცხოვრების ჩვენს ჭკუაზე მოწყობას. ასეთი დასკვნა გამოდიოდა საქვეყნოდ ცნობილი შემდეგი ფაქტორებიდან: ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში, რომლის ავტორიტეტს ჩვენ არ ვცნობდით, ოსმალეთის ფრონტის დატოვება რუსის ჯარების მიერ და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომლითაც ჩვენ გვეკარგებოდა ჩვენი პროვინციები. მაშინ რუსეთმა უარი თქვა ჩვენს დაცვაზე, პირიქით, იქით გააჩუქა ჩვენი ტერიტორია, ცხადი იყო, მან უარი თქვა ჩვენს ქვეყანაზე, თვითონ გავიდა და ჩვენ დაგვტოვა მარტოდ-მარტო“ (ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 85).

ცხადია, შექმნილი მდგომარეობის ცალსახად რუსეთზე დაბრალება არამართებულია და მხოლოდ ამიერკავკასიის ხელისუფლების წარმომადგენლების არმონაწილეობა აღნიშნულ საზავო კონფერენციაში ვერ უხსნის მათ პასუხისმგებლობას, რამეთუ, ვერც შემდგომში გამართულ მოლაპარაკებებზე შეძლო ამიერკავკასიის სეიმმა თავისი პოზიციების შენარჩუნება. ამ მხრივ, უდავოდ, საინტერესოა ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციები, რომელთა შედეგად საქართველომ უფრო მეტი ტერიტორიული დანაკარგები განიცადა, ვიდრე ამას ბრესტის ზავი ითვალისწინებდა. ყარსისა და არდაჰანის გადაცემით ამიერკავკასია სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ბევრს აგებდა, ხოლო ბათუმის დაკარგვით სტრატეგიული, ეკონომიკური, პოლიტიკური ზარალი უაღრესად დიდი ხდებოდა (ნ. ზოსიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში. ბათ., 1995, გვ. 25).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

1918 წლის აპრილში ოსმალებმა დაიპყრეს ბათუმის ოლქი და მთელი სამუსლიმანო საქართველო, ანუ იმაზე მეტი, რაც ბრესტის ზავით ერგებოდათ. ეს იყო ქართველი ერის დიდი ტრაგედია. წარუმატებელი დარჩა ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის შეხვედრა ქ. ტრაპიზონში ოსმალურ მხარესთან. მიუხედავად დიდი მცდელობისა და ძალისხმევისა, ვერ მოხერხდა ბრესტ-ლიტოვსკში მიღებული გადაწყვეტილების ამიერკავკასიისთვის აცილება. სეიმის სხდომებზე ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ წარმომადგენელთა შორის ღრმავდებოდა წინააღმდეგობები საგარეო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მართალია, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით ტერიტორიულად საქართველო და სომხეთი ზარალდებოდა, მაგრამ ეს ოლქები, მეტადრე ბათუმის ოლქი, წარმოადგენდა მთელი ამიერკავკასიური პოლიტიკის იმ ქვაკუთხედს, რომელზედაც გვერდის ავლა უმტკივნეულოდ შეუძლებელი იყო.

ცხადია, ბათუმის ოლქის დედასამშობლოსგან კვლავ ჩამოცილება მძიმე ჭრილობას წარმოადგენდა ერთიანი ქართული ორგანიზმისთვის. უფრო მეტიც, იმ მომენტში შეუძლებელი იყო განსაზღვრა, რა დროით შორდებოდა აჭარა დედასამშობლოს. ამიტომაც უდიდესი როლი ენიჭებოდა ადგილზე იმ პატრიოტული ძალების კონსოლიდაციას, რომელსაც თავის თავზე უნდა აეღო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინიციატივა. ერის მამის – დიდი ილიას პროგრამა – ქვეყნის სულიერი გამთლიანების, მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა სამარადჟამო განუყოფლობის იდეა არ უნდა ჩამკვდარიყო. ისტორიამ ამ იდეის მოვლა-პატრონობის, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის თავგანწირული ბრძოლის ხელმძღვანელობის პატივი ჩვენს დიდ წინაპარს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მებაირახტრეს – მემედ-ბეგ აბაშიძეს არგუნა.

1918 წლის აპრილში ბათუმს ესტუმრა ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა: „...ბათუმი და ბათუმის ოლქი უბრუნდება დედა-სამშობლოს" (აჭარის სახ. ცენტ. არქივი, ფ.7., ანაწ. ქ. საქ. 692, ფ.1). ბათუმის საზოგადოების სახელით თავის საპასუხო სიტყვაში მემედ-ბეგ აბაშიძემ აღნიშნა: „კეთილი იყვეს თქვენი ჩვენთან სტუმრად მობრძანება, ჩვენ ქართველები სტუმართმოყვარენი ვართ, ვიცით სტუმრის მიღება და პატივისცემა, მაგრამ მინდა ისიც იცოდეთ, რომ სტუმარს უფლებას არ მივცემთ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერიოს... თქვენ ბატონ-პატრონად ნუ იგულებთ თავს ჩვენს მიწა-წყალზე" (მამულიშვილი, თ. კომახიძე, ბათ., 1994 წ. გვ. 51).

ანტიოსმალური განწყობისთვის მემედ ბეგ აბაშიძე დააპატიმრეს; მას სიკვდილით დასჯას უპირებდნენ. მემედ აბაშიძემ მეგობრების დახმარებით შეძლო ციხიდან გაპარვა. მრავალი სიძნელის დაძლევის შემდეგ, იგი ნავით ჩავიდა ქ. ფოთში. ქალაქის ხელმძღვანელობა და ინტელიგენცია გულწრფელი სიხარულითა და ზეიმით შეხვდა გამოჩენილ მამულიშვილს, საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებულ მებრძოლს, მუსლიმან ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერების მედროშეს.

მემედ-ბეგ აბაშიძის დაპატიმრების შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აუტანელი პირობები შეიქმნა. აიკრძალა ქართულ ენაზე გამომავალი პრესა. ბათუმის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაეცალა ოსმალურ რეჟიმს და ქ. თბილისში გაიხიზნა. საქართველოს დედაქალაქში 1918 წლის 15 მაისს მემედ-ბეგ აბაშიძის თანამ-

ებრძოლების – სულეიმან დიასამიძის, ყადირ შერვაშიძის, ჰაიდარ აბაშიძის, ზია აბაშიძის თაოსნობით შეიქმნა ,,სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომლის თავმჯდომარედ დაუსწრებლად აირჩიეს თურქეთში პატიმრობაში მყოფი მემედ-ბეგი. კომიტეტს დიდი მამულიშვილის განთავისუფლებამდე ზია აბაშიძე ხელმძღვანელობდა.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი წარმოადგენდა პატრიოტულ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებდა წარმომადგენლებს იმერხევიდან, მურღულიდან, არტანუჯიდან, ბორჩხიდან, შავშეთიდან, ხულოს, ქედის, ბათუმის, ქობულეთის მაზრებიდან. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ გათვითცნობიერებას. მუშაობის ეფექტურად წარმართვისთვის შეიქმნა კომიტეტის ოზურგეთისა და ახალციხის ფილიალები.

ახალციხის ფილიალს სათავეში ჩაუდგა ყადირ შერვაშიძე, ხოლო ოზურგეთის განყოფილებას უნარიანად ხელმძღვანელობდა რეჯებ ნიჟარაძე. მოკლე დროში კომიტეტის გარშემო მრავალი პატრიოტი გაერთიანდა და მისმა საქმიანობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. კომიტეტის მუშაობის გააქტიურება მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორით იყო განპირობებული. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოწინავე საზოგადოება თანაუგრძნობდა განმათავისუფლებელი კომიტეტის ბრძოლას. ამას სტიმულს აძლევდა მისი ხელმძღვანელის, უდავოდ, დიდი ავტორიტეტიც. კომიტეტის ბაზაზე და მის დაქვემდებარებაში ჩამოყალიბდა მებრძოლთა რაზმი ზია აბაშიძის ხელმძღვანელობით. საზოგადოების წევრებმა თავიანთი საქმიანობით ხელი შეუშალეს ბათუმის ოლქში ოკუპანტთა მიერ მოწყობილ პლებისციტს. ამ მხრივ აღსანიშნავია ხასან თხილაიშვილის გმირული საქციელი, რომელმაც ქობულეთში განუმარტა ხალხს პლებისციტის რეაქციული ხასიათი. იგი უეჭველი სიკვდილისგან იხსნა გერმანელმა ოფიცერმა, რომელიც შეესწრო ამ ინციდენტს.

ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ამ კუთხის შვილთა წერილებში ისახებოდა მომავლის რწმენა. მემედ აბაშიძემ იცოდა, რომ აჭარის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში, ამიტომაც ის აღფრთოვანებით შეხვდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტს. სწორედ მისი დავალებით საქართველოს ეროვნული კრების პირველ სხდომაზე ჰაიდარ აბაშიძემ აჭარის სახელით წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი ისტორიული მნიშვნელობა. იგი არა მხოლოდ ავტორის აღტაცებას გამოხატავს, არამედ მომავლის დიდ იმედსაც:

,,ძვირფასო ძმანო! მე, თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანი, სულითა და გულით გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღეს, მრავალტანჯულ საქართველოს თავისუფლებას.

ვუცქერი ამ ფაქტს და ჩემი სული განიცდის სიხარულს და სიტკბოებას, მაგრამ, ამასთან ერთად ჩემი გული ნაღველით ივსება, როდესაც ამ ბედნიერების დღეს სამაჰმადიანო საქართველო, ეს თქვენი ღვიძლი ძმები თქვენთან ვერ არის (ავტორი გულისხმობდა ოსმალეთის მიერ სამუსლიმანო საქართველოს ოკუპაციის ფაქტს), მაგრამ მამხნევებს იმედი მომავლისა, რომ სამაჰმადიანო საქართველო, დღეს თუ არა, ხვალ მაინც თქვენთან იქნება.

მე მამხნევებს ის, რომ მე მარტო არა ვარ და ჩემთან ერთად არის სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, მისი სიამაყე ციხე-კოშკების ნანგრევები და მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთან ერთად მრავალი ქართველი მაჰმადიანი, რომლებიც სულით და გულით თქვენთან არის და იქნება კიდეც.

ჩვენ გვწამს სამაჰმადიანო საქართველოს მომავალი, რომელიც ჭირშიც და ლხინშიც თქვენთან იქნება.

მაშ, ძმებო, გაუმარჯოს დღეს დღევანდელ საქართველოს და მასთან ერთად გაუმარჯოს მომავალ დიდ საქართველოს, ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებულს და შედუღებულს, სამაჰმადიანო საქართველოსთან ერთად" (აჭარ. სახ. მუზეუმი, ჰ. აბაშიძის ფონდი №221, გვ. 153).

მასთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ხელი მოაწერა ყადირ შერვაშიძემაც. დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერა არ იყო მარტო პატივი და აღიარება – მას დიდი ისტორიული მნიშვნელობაც ჰქონდა.

ამ პერიოდში აჭარა ჭრელი პოლიტიკური სპექტრით ხასიათდებოდა. ერთი ნაწილი აშკარად გამოდიოდა ქართული ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ. მათ ერთი საერთო მიზანი ამოძრავებდათ – როგორმე მოეშორებინათ სამუსლიმანო საქართველო დედასამშობლოსთვის. ოსმალეთის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა, რათა მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი შემოერთებულ ტერიტორიაზე. მიზანსწრაფულად ვრცელდებოდა ინფორმაცია ოსმალეთის ფარგლებში აჭარისთვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. გაძლიერდა პროპაგანდა-აგიტაცია მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელთა გადასაბირებლად. აღნიშნული მდგომარეობა გარკვეულწილად გასული საუკუნის მუჰაჯირობის პერიოდს მოჰგავდა. ცხადია, აღა-ბეგების პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური ანტურაჟისთვის. სამწუხაროდ, ქართველ მუსლიმანთა ერთი ნაწილი ცთუნებას ვერ უძლებდა და, ნებსით თუ უნებლიეთ, მოძალადეთა პოლიტიკის ხელისშემწყობად გვევლინებოდნენ. ასე მაგალითად: ბათუმის ვალიმ შეძლო შეეკრიბა დეპუტაცია ადგილობრივ წარჩინებულთა შორის, თითქოსდა, სულთნისთვის ტახტზე ასვლის მოსალოცად. დეპუტაციას ხელმძღვანელობდა თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი. სტამბულში ჩასულებს „ყურადღება" და „პატივისცემა" არ მოჰკლებიათ და თანაც ორ-ორი ათასი ლირითაც დაუჯილდოებიათ. როგორც ჩანს ხელისუფლება ცდილობდა მატერიალური წახალისებით მოეპოვებინა კეთილგანწყობა და შეემზადებინა საფუძველი ოსმალეთის ფარგლებში ავტონომიის იდეის განსამტკიცებლად. რა თქმა უნდა, იქმნებოდა დედასამშობლოსგან ამ მხარის ჩამოშორების რეალური საფრთხე.

1918 წლის 5 ნოემბერს გაზეთ „ერთობაში" სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებული კომიტეტის წევრი ჰაიდარ აბაშიძე მიმოიხილავდა რა შექმნილ მდგომარეობას, აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ დაუჭერდა მხარს ოსმალეთისა და მის დამქაშთა გეგმებს. იგი აღნიშნავდა, რომ „ჩვენს ხალხს ოსმალეთის ავტონომია არც სჯერა და არც ესაჭიროება... ჩვენი მომავალი გამოიხატება საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედუღებაში". თურქული ავტონომიის მეტად საშიში იდეის გასანეიტრალებლად უნდა მოძებნილიყო ოპტიმალური გზა და ეს იყო იდეა ავტონომიისა, არა ოსმალეთის, არამედ საქართველოს შემადგენლობაში. ამას ადასტურებს განმათავისუფლებელი კომიტეტის ხელმძღვანელის – მემედ აბაშიძისა და კომიტეტის წევრების: ზია აბაშიძის, ახმედ ბეჟანიძის, ყადირ შერვაშიძის, ჰაიდარ აბაშიძის, სულეიმან დიასამიძის, იუსუფ ქათამაძის, ჯემალ ნოღაიდელის, ხასია თხილაიშვილის, მუსლიმან ქართველთა ბატალიონის უფროსის – ასლან აბაშიძის, ხელმოწერით გამოქვეყნებული მიმართვა, რომელშიც განმარტებული იყო საქართველოს მთავრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკა: აჭარელთა რელიგიური მრწამსის პატივისცემა, რელიგიური წეს-ჩვეულებების თავისუფალი, შეუზღუდავი შესრულება. პოლიტიკური ცხოვრების ადგილობრივი პირობების მიხედვით მოწყობა. მიმართვაში აღნიშნულია: „დადგა დრო, ძველი ცოდვები გავასწოროთ, მოვიხსნათ მძიმე უღელი თურქეთის ბატონობისა, მოვიშოროთ ის შერცხვენა, რომელიც თავს დაგვატყდა; მოვიშოროთ ჩვენი მძარცველები, გამჭირვებლები, ამქლებები და შემარცხვენელნი, დადგა დრო, როცა შეგვიძლია ჩვენი საქმე, ჩვენი ბედი თვითონ მოვაწყოთ.

თქვენ გეცოდინებათ, ომი გათავდა... თურქეთის ჯარი უნდა გავიდეს ჩვენი ქვეყნიდანაც, უნდა დასცალოს ახალციხე-ახალქალაქის მაზრები, ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, მურღული, ბათუმი, გონიო. კარგა ხანია, ისინი უნდა გასულიყვნენ ჩვენი ქვეყნიდან; მართალია, ნელ-ნელა გადიან, მაგრამ რაღაცა ფეხს ითრევენ, კიდევ ახალ ხიფათში ჩაგვაგდებენ.

ჩვენში ბევრი, ხალხის მტერი ცუდ ხმას ავრცელებს, გვეუბნებიან, ქრისტიანი ქართველები შურს იძიებენ, გვემტერებიან და დაგვეცემიანო. სულ ყველაფერი ეს ტყუილია. ჩვენ თავდები ვართ, რომ ქრისტიან ქართველებს მხოლოდ ჩვენი კარგი უნდათ. არავითარი შურისძიება, არავითარი დანაკარგის ძებნა არ იქნება. ძველი ყველაფერი სულ დავიწყებულია და ქრისტიანი ქართველობა ძმურ ხელს გვიწვდის. ჩვენ თურქის ოფიცრები გვატყუებენ. სტამბოლში ძველი მთავრობა დაეცა, ენვერი, თალათი და მათი ამხანაგები გაიქცნენ. ჩვენში დარჩენილი ითთიჰადის კაცები ცდილობენ დროებით თავი შემოგვაფარონ. არ დაუჯეროთ მათ; არ აიღოთ იარაღი; არ დასტოვოთ ჩვენში ჩვენი ნამუსის შემარცხვენელი თურქი ოფიცრები და ჯარისკაცები; არ მისცეთ მათ უფლება ჯარის ტანისამოსი დაჰყარონ და ჩვენსავით ჩაიცვან. ოსმალებს ნუ აჰყვებით, თორემ ახალ უბედურებაში ჩავარდებით. ოსმალეთი ინგრევა, არაბისტანი მოშორდა, თვითონ ოსმალეთი აირდაირია, გაღარიბდა და შეწუხდა.

გურჯებს, მაჰმადიან ქართველებს, თურქებისაგან ხეირი არ აქვთ. ნუ გადაგვკიდებთ ჩვენ ძმებს, ქრისტიან ქართველებს, შევუერთდეთ საქართველოს. მთელი ქართველობა ჩვენ გვაძლევს ფართო ავტონომიას, ფართო თვითმმართველობას, ყოველივე ჩვენს შინაურ საქმეებს ჩვენ თვითონ მოვაწყობთ; ჩვენი რჯულის საქმეები, ჩვენი მმართველობა ჩვენს ხელთ იქნება, ხოლო ქრისტიან ქართველებთან გვექნება საერთო საქმეები. არავინ მოგატყუოთ, ჩვენი რჯულის საქმეებში ქრისტიანი ქართველები არ ჩაერევიან. მაშ, ძმებო, ნუ აჰყვებით თურქებს და მათ დამქაშებს. ჩვენ საქმეებს ჩვენ თვითონ ჩავუდგებით სათავეში და ჩვენს ძმებთან, ქრისტიან ქართველებთან ერთად მოვაწყობთ ჩვენს მშვიდობიან და მყუდრო ცხოვრებას.

გაუმარჯოს თავისუფალ სამაჰმადიანო საქართველოს თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოში!

გაუმარჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლთ!

გაუმარჯოს მუსლიმან ქართველებს!“ (გაზ. „ერთობა“, №262, 1918 წ.).

ასეთი იყო პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში „სამუსლიმანო საქართველოს“ გამოსვლამდე. გაზეთის დაარსების იდეის და მისი განხორციელების, აგრეთვე, მის წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით. მანამდე კი, ცოტა ხნით, თვალყური მივადევნოთ 1918-1919 წლების პოლიტიკურ მოვლენებს.

*   *   *

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ნავსადგურში ანტანტის გამარჯვებულ სახელმწიფოთა და გერმანიის ბლოკს შორის გაფორმდა საზავო ხელშეკრულება. მე-12 მუხლით ოსმალეთი ტოვებდა ამიერკავკასიაში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მიღებულ ტერიტორიებს. შეთანხმების მე-15 მუხლით მოკავშირეებმა ბათუმის ოკუპაციის უფლება მოიპოვეს. ზავით ძალადაკარგულად ჩაითვალა ბრესტის-ლიტოვსკის შეთანხმება.

ეს, ერთი მხრივ, სასარგებლო იყო საქართველოსთვის და იმავდროულად, ბევრ საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, რამეთუ, უქმდებოდა გერმანია-რუსეთის 1918 წლის 27 აგვისტოს ხელშეკრულების დამატებითი მე-13 მუხლით მიღწეული შეთანხმებაც, რომელიც შეიცავდა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის არაპირდაპირ აღიარებასაც. ცხადია, გერმანიის მხარდაჭერა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის შენების პირველ თვეებში, უდავოდ, დროული და საჭირო იყო, მაგრამ ახლა, როცა ევროპაში ახალმა პოლიტიკურმა სიომ დაჰქროლა (იგულისხმება გამარჯვებულ ანტანტის სახელმწიფოთა სამზადისი გერმანული მემკვიდრეობის გადანაწილების თაობაზე), საქართველოსთვის ეგზომ მისაღებ „გერმანულ ორიენტაციას" ნიადაგი გამოეცალა. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორის სწორი კურსის განსაზღვრა უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენდა. მრავალ საკითხთა შორის გამოკვეთილი ადგილი ეჭირა კავკასიის ახლებური მოწყობის პრინციპთა შემუშავებას. ცხადია, გამარჯვებული სახელმწიფოები თავიანთი სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა პრიზმაში განიხილავდნენ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხებს. არსებობდა რუსეთის სტრატეგიული ინტერესებიც, მაგრამ, რამდენადაც, რუსეთი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო ჩათრეული, ინგლისელები ამ ეტაპზე მაქსიმალურად ცდილობდნენ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ არსებული მომენტი. ამ საკითხში საკუთარი პოზიციები გააჩნდა ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, რომელიც კავკასიური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაში აქცენტს სომხეთზე აკეთებდა. რა თქმა უნდა, თავთავიანთი ინტერესები გააჩნდათ საქართველოს დანარჩენ მეზობელ სახელმწიფოებსაც. ინტერესთა შეჯახების დიდი ნაწილი ბათუმის ოლქზე მოდიოდა.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა აიძულებდა დაინტერესებულ მხარეებს, გარკვეულწილად, მხედველობაში მიეღოთ ამ ქვეყნის ინტერესებიც. ამ ფონზე ნიშანდობლივია ბათუმში ამერიკელთა მისიის წარმომადგენლის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორის, საერთაშორისო სამართლის დოქტორის, ჯუდსონის საუბარი ბათუმში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელ დიომიდე თოფურიძესთან. მათი განსჯის თემას წარმოადგენდა საქართველოს საშინაო მდგომარეობა, მისი ეკონომიკური, პოლიტიკური სტრუქტურები და საგარეო ურთიერთობა. საქართველოს წარმომადგენელმა ამერიკელ სტუმარს განუმარტა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელიც დამყარებული იყო მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებასა და მუდმივი ნეიტრალიტეტის მტკიცედ დაცვაზე. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ საქართველოში არ არის ბოლშევიზმი და მის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს. საუბრის ერთ მონაკვეთში ამერიკელმა სტუმარმა აშკარად გამოამჟღავნა მოკავშირეთა ჩანაფიქრი. მან თქვა: „თქვენ იცით, რომ ინგლისი და ამერიკა მეგობრები არიან ცნობილი პრინციპებისა და

წესრიგის დამყარების საქმეში მთელს დედამიწაზე. მათ შორის არსებობს სრული ერთიანობა და სოლიდარობა, ამიტომ ჩვენ გვსურს, ვიცოდეთ, შეგიძლიათ თუ არა თქვენ იყოთ ინგლისისათვის სასარგებლო, მაშასადამე ჩვენთვისაც, ბოლშევიკებთან ბრძოლაში და წესრიგის დამყარებაში?“ დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ჯედსონმა განმარტა, რომ „... მოკავშირეებს არც შეუძლიათ და არც მიმართავენ საქართველოს დახმარებისთვის, მაგრამ თუკი საქართველოს შეუძლია თვითონ მისცეს ასეთი წინადადება, ეს მეტად სასარგებლო იქნებოდა საქართველოსათვის... ამას მე ვლაპარაკობ ისე, არა ოფიციალურად, არამედ გირჩევთ, როგორც ამერიკელი მოქალაქე“ (სსცია, ფონდი 1864, აღწ.1, საქ. 30, ფ. 75-76). ამ დიალოგში ნათლად ჩანს ძლიერ სახელმწიფოთა პოლიტიკა სუსტ საქართველოსთან მიმართებაში; კერძოდ, მათ სურდათ ამ რეგიონში შემდგომი დამკვიდრება და პოზიციების განმტკიცება მომხდარიყო მხოლოდ საქართველოს თხოვნის საფუძველზე. ამგვარად, მთელი მსოფლიოს თვალში შეინიღბებოდა ამ სახელმწიფოთა მტაცებლური ჩანაფიქრი და ისინი მხსნელთა როლში წარმოჩნდებოდნენ. მოკავშირეთა ინტერესებს საქართველოში, ძირითადად, ინგლისელები გამოხატავდნენ. ისინი ბათუმის ოლქს ამ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობაში კი არ განიხილავდნენ, არამედ მას დამარცხებულ ოსმალეთზე ჩამორთმეულ საოკუპაციო ზონად მიიჩნევდნენ.

თავდაპირველად აჭარის პატრიოტი შვილები კმაყოფილებით შეხვდნენ ინგლისელების გადაწყვეტილებას ბათუმის ოლქის ოკუპაციის თაობაზე. ისინი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდნენ სიმშვიდისკენ, ოსმალეთისა და დენიკინის აგენტების მხილებისკენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია 1918 წლის 10 დეკემბრის მოწოდება:

„ძმებო, მაჰმადიანო ქართველებო!

დადგა დრო, ძველი შეცდომები გამოვასწოროთ, მოვიხსნათ მძიმე უღელი თურქების ბატონობისა, მოვიშოროთ ჩვენი მძარცველები, მკვლელები და შემარცხვენელნი. დადგა დრო, როცა შეგვიძლია ჩვენი საქმე, ჩვენი ბედი თვითონ მოვაწყოთ“ (გაზ. „საქართველო“, №236, 1918 წ.).

მუშაობის ეფექტურად წარმართვისთვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ბათუმში გადმოსვლა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ თბილისში მოღვაწეობისას დაიბადა იდეა გაზეთის გამოშვებისა. მართალია, ამ კუთხის შვილთა წერილები ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა, მაგრამ უფრო ეფექტური იქნებოდა კომიტეტს, როგორც ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას, თავისი გაზეთი ჰქონოდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბათუმში მაშინ არსებობდნენ სხვა პოლიტიკური დაჯგუფებებიც – პრორუსული, პროთურქული და ა.შ. მათ თავიანთი გაზეთები გააჩნდათ („ნაშ კრაი“, „სედაი მილეთი“ და სხვ.).

საქართველოს მთავრობა გაგებით მოეკიდა განმათავისუფლებელი კომიტეტის ჩანაფიქრს გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით. გამოცემის ხარჯებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო კისრულობდა.

თავდაპირველად გაზეთის სახელწოდებად შერჩეული იყო „აჭარა“, მაგრამ გადაწყდა – დარქმეოდა „სამუსლიმანო საქართველო“. ცხადია, ამ შემთხვევაში უფრო მასშტაბურად და დიდი პოლიტიკური დატვირთვით წარმოჩნდებოდა, როგორც გაზეთის გავრცელების არეალი (საქართველოს ტერიტორიის 1./3), ისე, მისი დანიშნულება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა მიზანს ისახავდა გაზეთი და როგორი იქნებოდა მისი შინაარსობრივი მხარე? ეს აისახა განმათავისუფლებელი კომიტეტის ხელმძღვანელის მემედ აბაშიძის სარედაქციო წერილში სათაურით — „ჩვენი მიმართულების განმარტება“.

„მამულიშვილებო!

ჩვენი გაზეთი, რომელსაც ეწოდება „სამუსლიმანო საქართველო“, დღეიდან გამოიცემის, როგორც სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ორგანო.

ჩვენი მიზანია სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფა და ამავე დროს სამუსლიმანო საქართველოს თავისუფლების განმტკიცება. სიტყვა „საქართველოს“ განმარტება არ ესაჭიროება, როცა სიტყვა „საქართველო“ ითქმის, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ამ სახელწოდების ენით მეტყველი ერის მიწა-წყალი, სამშობლო თვალ-წინ წარმოგვიდგება, რასაც საქართველო და საქართველოს ენით მოლაპარკე ერი – ქართველი ეწოდება.

და ამიტომაც არის, რომ სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისათვის ვმუშაობთ, მაგრამ რაკი ჩვენი სარწმუნოება და სოციალური ცხოვრება მეორედგან განირჩევა, ჩვენი ქვეყნის მთავრობის სახეც სხვა იქნება, რასაც კი საქართველოს საზღვრებში სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომია უზრუნველყოფს. მართალია, ჩვენი ქვეყანა მთელ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის, მაგრამ, ამავე დროს, იგი თავის შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელი არის. სწავლა-განათლება, სასამართლო, ადმინისტრაცია, ერობა, შარიათი, კანონმდებლობა და სხვა ჩვენი იქნება. ყოველივე ეს ჩვენი ორგანოს მიერ იქნება განმარტებული ავტონომიის ფორმისა და სისტემის შესახებ გარკვეული ცნობის მიწოდებისათვის. ჩვენი გაზეთი თავის ეროვნულ დანიშნულებას ერთ წუთსაც არ უღალატებს. ამასთან ერთად, ჩვენი გაზეთი მხოლოდ ავტონომიის ფორმაზე და სისტემაზე საუბრების აღძვრით არა კმაყოფილდება: ამავე დროს, იგი ჩვენს სარწმუნოებრივ, ეროვნულ და სოციალურ ცხოვრებაზედაც დაიწყებს ლაპარაკს: ჩვენი სარწმუნოების ამაღლებას, ეროვნული შეგნების გაფართოებას და ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებასაც ემსახურება.

რამდენადაც პოლიტიკური არის ჩვენი გაზეთის მოღვაწეობა, იმდენად სოციალურიცაა; ერთი სიტყვით, ჩვენი გაზეთი ილაპარაკებს შემეცნებაზე, სწავლა-განათლებაზე, ლიტერატურაზე, მეტყველებაზე, ისტორიაზე და სხვა ერთა შორის კეთილ განწყობილების დამყარებას გაუწევს სამსახურს და ჩვენი მიმართულების დროშას აამაღლებს.

ყოველ შემთხვევაში, გამჩენს ვთხოვ, რომ ამისთანა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩვენ მიერ დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეგვესრულებინოს“ (გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, №1, 1919 წლის 11 იანვარი).

ამ ვრცელი ამონარიდიდან კარგად ჩანს გაზეთის ძირითადი დანიშნულება. განსაზღვრულია ამ ორგანოსა და საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნები და ამოცანები. როგორც ვხედავთ, მემედ აბაშიძე წინა პლანზე წამოსწევს ეროვნულ საკითხს. საქართველოს მთლიანობის იდეა არის ძირითადი მიზანი განმათავისუფლებელი კომიტეტის მოღვაწეობისა. გაზეთი მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის არ იქნებოდა, მასში უნდა ასახულიყო ამ კუთხის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობაც. სულ გამოვიდა 500 ნომერი (1919 წელს №1-262, 1920 წელს №263- 493, 1921 წელს № 494-500). იგი იბეჭდებოდა მოზრდილი ფორმატის ქაღალდზე, ოთხ (იშვიათად ორ) გვერდზე, რომელთაგან ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდი ქართულენოვანი გახლდათ, ორიც – თურქული (არაბული შრიფტით). რედაქცია თხოვდა მკითხველს, მიეწოდებინათ სხვადასხვა სახის წერილები, ამასთან განუმარტავდა, რომ იგი არ არის მხოლოდ პარტიული ინტერესების გამომხატველი – გაზეთში საუბარი იქნებოდა სარწმუნოებრივ, ეროვნულ და სულიერ ცხოვრებაზე. მე-5 ნომერში კვლავ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ განმათავისუფლებელი კომიტეტის მოღვაწეობისა და მისი გაზეთის საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო და იქნება „განამტკიცოს იდეა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისა“ (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1919 წ. №5).

კანონზომიერია, რომ წარსულში ისტორიული ბედუკუღმართობით დაშორებული ძმების სულიერი ერთიანობის საწყისად მემედ აბაშიძე ენას მიიჩნევდა. „მამული, ენა, სარწმუნოება“, – ბრძანა დიდმა ილიამ და მის მოწაფესაც სწამდა, რომ ძირითადი ფუნქცია ქართულ ენას ეკისრებოდა. ნიშანდობლივია, რომ მემედ აბაშიძის პუბლიცისტურ შემოქმედებას ძირითად ლაიტმოტივად გასდევს ქართული ენისადმი ზრუნვა და დაფასება. „სამუსლიმანო საქართველოს ენა, რასაკვირველია, ქართული ენა არის, ამიტომ ყველა სასულიერო და სამოქალაქო დაწესებულებებში საქმეები ქართულად უნდა წარმოებდეს (მართალია, არტანუჯის და ართვინის ზოგიერთ სოფელში ჟამთა ვითარების გამო ქართული გადავიწყებული აქვთ, მაგრამ საქმეს სულ 5-10 წელიწადში ეშველება), მწამს, ქართული ენა ჩქარა დაიჭერს თავის ბუნებრივ ადგილს ჩვენს მხარეში, მაშინ ყოველგვარ გაუგებრობას ბოლო მოეღება, ვინაიდან ქართული ენა ბევრ რამეს გადასცემს ხალხს თავის წარსულისას, გააცნობს ძველი თაობის ჭკუა-გონებას, ვინაობას, თავისებურს სამშობლოს სიყვარულს და აგრძნობინებს წინაპართა პატივისცემას. მაშინ მუსლიმანი ქართველები შეიქმნებიან ჭეშმარიტნი შვილნი დედა სახელმწიფოსი“' (გაზ. „სახალხო საქმე“, №898, 1920 წ.).

გაზეთის ღვაწლის სწორად შეფასებისათვის ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით იმ ისტორიული მოვლენების ანალიზს, რომლებიც განვითარდა 1919-1920 წლებში საქართველოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკურ ინტერესთა შეჯახება ყველაზე მწვავედ ბათუმის ოლქში იჩენდა თავს. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა რუსული ეროვნული საბჭო, რომელსაც იმდროისთვის ხელმძღვანელობდა კადეტი პ. მასლოვი. ინგლისელთა შემოსვლის შემდეგ საბჭოს მუშაობა გააქტიურდა. მასლოვი ინგლისელებთან საუბარში გამოთქვამდა მზადყოფნას მართვა-გამგეობის სადავეების ხელში ასაღებად. საოკუპაციო ხელისუფლება ღებულობდა სხვადასხვა დელეგაციას. აჭარელთა დელეგაციამ ინგლისელებს გადასცა მემორანდუმი, რომლითაც მოითხოვდნენ ბათუმის ოლქის დედასამშობლოსთან შეერთებას. ინგლისელებმა ოლქისა და ქალაქის გენერალ-გუბერნატორად კუკ-კოლისი დანიშნეს. ახალმა ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანებულებები, რომლებითაც პოლიტიკური ცხოვრება, გარკვეულწილად, კონტროლს უნდა დამორჩილებოდა. ხელისუფლებამ ბათუმის ოლქის მართვა რუსულ ეროვნულ საბჭოს მიანდო. ინგლისელთა პრორუსულმა პოლიტიკამ საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ქართულ პრესაში იბეჭდებოდა პროტესტის გამომხატველი მასალები. ნეგატიური დამოკიდებულება საბჭოს საქმიანობის მიმართ გააჩნდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტსაც. ინგლისელთა პოლიტიკის არსში ჩაწვდომისათვის ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით რუსეთში მიმდინარე მოვლენებსაც. როგორც ცნობილია, ამდროისთვის რუსეთში გაშლილი იყო სამოქალაქო ომი. ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მოიაზრებოდა თეთრგვარდიული შენაერთები გენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალ დენიკინის ხელმძღვანელობით. იმ პერიოდისთვის დენიკინი ითვლებოდა მომავალი რუსეთის კანონიერ მემკვიდრედ და რამდენადაც ბათუმის ოლქი თავისი სტრატეგიული მდებარეობით რუსეთის ინტერესთა სფეროში შედიოდა, ინგლისელებმა გამოკვეთილი ორიენტაცია აიღეს რუსულ ეროვნულ საბჭოზე. ამ მხრივ ნიშანდობლივია გენერალ უოკერისა და მასლოვის საუბარი, სადაც აღინიშნა, რომ ინგლისელები მხარს უჭერენ რუსეთში ბოლშევიზმის დამხობას და კანონიერი ხელისუფლების აღდგენას. „დობრო არმიის შედარებითი სისუსტის გამო ვიკავებთ კავკასიას წესრიგის უზრუნველყოფისა და ამ მხარის რუსეთისათვის შესანარჩუნებლად, კერძოდ, მე გადავწყვიტე ბათუმში არსებითად აღვადგინო რუსული ხელისუფლება და მივცე უპირატესი გამოყენება რუსულ ელემენტს, მაგრამ დარწმუნებული ხართ თქვენ, რომ ფორმით წმინდა რუსული ხელისუფლება ისარგებლებს საჭირო ავტორიტეტით? ხომ არ დარჩება იგი ჰაერში გამოკიდული, ან მოწყვეტილი მოსახლეობის უმრავლესობისაგან, რომელიც ასე ჭრელია თავის ეროვნული შემადგენლობით? ...ჩვენ ყველანი მივესალმებით გენერალ დენიკინს, რომელსაც ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ და რომლის საბოლოო წარმატებისა გვჯერა“ (აჭარის ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი №67, აღწ. 1, საქ. 15, ფ.230), – აღნიშნა უოკერმა. საზოგადოებრივი აზრის კეთილგანწყობისთვის ინგლისელთა რჩევით მასლოვმა მმართველობით საბჭოში ორი ქართველი მუსლიმანი შეიყვანა: სულეიმან თავდგირიძე და ალი ჯაფარიძე.

მალე ბათუმში ჩამოვიდა გენერალ დენიკინის წარმომადგენელი ნიკოლოზ პორონსკი. ინგლისელთა მხარდაჭერით გათავხედებული მასლოვი არ ერიდებოდა ყველა იმ პიროვნების დასჯას, ვინც პროქართულ აგიტაციაში იყო ეჭვმიტანილი. სამოქალაქო ხელისუფლება ამდროისთვის ბათუმში რუსების ხელში აღმოჩნდა. თუმცა ფაქტობრივად მთელი ძალაუფლება, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო, გენერალ-გუბერნატორ კუკ-კოლისის ხელში იყო. მასლოვის ერთგული მხარდამჭერი გენერალი ტერმენი აქტიურად ილწოდა დენიკინელებთან ურთიერთობის გააქტიურებისთვის. ეკატერინოდარში ვრცელი მოხსენებით გამოსვლისას, სადაც თეთრგვარდიელთა შტაბი იყო განლაგებული, ტერმენმა ანალიზი გაუკეთა ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებს, დაახასიათა ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი არსი, ჩამოაყალიბა ბათუმში მათი საქმიანობის მიზნები და მიმართულებები. მიუხედავად იმისა, რომ მასლოვის საბჭო ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობდა, მაინც ვერ შეძლო ბათუმის ოლქის პოლიტიკური მართვის თავის ხელში მოქცევა. ამას კარგად ხედავდნენ ინგლისელები, რამაც მოამწიფა კონფლიქტი მასლოვსა და კუკ-კოლისს შორის. ცხადია, მასლოვის აშკარად აგრესიული ანტიქართული დამოკიდებულება ინგლისელთა ხელისუფლებას უხერხულობას უქმნიდა. კუკ-კოლისს მიაჩნდა, რომ ცალკეულ საკითხებში უნდა შეცვლილიყო ხელისუფლების პოლიტიკა. როგორც მასლოვი გადმოგვცემს, კუკ-კოლისმა მოსთხოვა მას – არ გამოეყენებინა მკაცრი მეთოდები იმ აგიტატორთა წინააღმდეგ, ვინც საქართველოსთან აჭარის შეერთებისთვის იბრძოდა. „...კუკ-კოლისმა დაჟინებით მთხოვა არ გამომეყენებინა ხშირად ახალი განკარგულება ბათუმის საქართველოსათვის შეერთების სასარგებლოდ აგიტატორების სასამართლო წესით დასჯის შესახებ და გამოხატა უკმაყოფილება სასამართლოს საბოლოო განაჩენის თაობაზე. ...არ ღირს საკუთარი ამოცანების გართულება და ქართველების გაღიზიანება, ამბობდა ის (იგულისხმება კუკ-კოლისი), მაგრამ მე არ შემეძლო დავთანხმებოდი ასეთ თვალსაზრისს“ (იქვე, ფურც. 266). შემდეგ მასლოვი აღნიშნავს, რომ ვერ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არკვია, ინგლისელები რუსებს უჭერდნენ მხარს თუ ქართველებს. ცხადია, მასლოვის საბჭო საოკუპაციო ხელისუფლებას სიცეთეს არ მოუტანდა. „დათხოვნილ იქნეს ბათუმის ოლქის მმართველობის საბჭო და ის ფუნქციები, რომლებსაც ასრულებდნენ აქამდე საბჭოს წევრები, გადაეცეს დიდი ბრიტანეთის სამხედრო ხელისუფლებას“, – აღნიშნული იყო 1919 წლის 14 აპრილის კუკ-კოლისის ბრძანებაში. 15 აპრილიდან მასლოვმა ხელისუფლება ინგლისის შეიარაღებული ძალების ოფიცერს, მაიორ ჰაარის ჩააბარა. მიუხედავად ამისა, მასლოვი და მისი თანამოაზრენი მაინც აგრძელებდნენ ჩვეულ საქმიანობას. დენიკინელები აჭარას ამიერკავკასიაში თავიანთი პოლიტიკური კურსის საყრდენად თვლიდნენ. მასლოვის საბჭოს გადაყენება დიდ ტრაგედიად არ ჩაუთვლიათ. ამდროისთვის ბათუმში მრავალმა თეთრგვარდიელმა ოფიცერმა მოიყარა თავი. დენიკინელთა ცინიზმის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა მდინარე ჩოლოქთან მეფისდროინდელი რუსეთის იმპერიის დროშის აფრიალება, უფრო მეტიც, მათ ბათუმში დაიწყეს არმიისათვის მოხალისეთა სამხედრო ნაწილების ფორმირება. ამ საქმეში დიდად აქტიურობდა მეფის არმიის გენერალი ივანე ნათიშვილი, იგი თავისი სამშობლოს მომავალს მხოლოდ და მხოლოდ ერთიან რუსულ სივრცეში მოიაზრებდა, განსაკუთრებული დემაგოგიური ხასიათის იყო ნათიშვილის მოწოდება ქართველი ერისადმი. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ 1919 წლის 28 ივნისს მოღალატე გენერალი ბათუმის ბულვარში ქართველმა პატრიოტებმა მოკლეს. თეთრგვარდიელთა ჩანაფიქრი რუსეთის იმპერიის ხელახალი რესტავრაციის შესახებ კარგად გამოჩნდა დენიკინის დეპეშაში, რომელიც მან გაუგზავნა საზანოვს პარიზში. „მთავარსარდლობის მიზანია აღდგენა მთლიანი რუსეთისა. მთავარსარდლობა არ დაუშვებს, რომ შემთხვევითმა და დროებითმა სახელმწიფო ერთეულებმა გაფლანგონ დიდი რუსეთის ქონება... ასეთია, როგორც ჩანს, განზრახვა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოსი. მთავარსარდლობა აცნობებს მოკავშირეთა მთავრობებს, რომ ყოველი ხელშეკრულება, რომელიც მთავარსარდლობის დაუკითხავად იქნება დადებული და რუსეთის ინტერესებს შეეხება, სავალდებულოდ არ იქნება ცნობილი მთლიანი რუსეთის მთავრობისათვის“ (გაზ. „სახალხო საქმეები“, №707, 1919 წელი).

ერთ პერიოდში დენიკინელებმა შეძლეს თანამოაზრენიც ენახათ ბათუმის ოლქში. გარკვეულწილად, მოხდა ინტერესთა დამთხვევა რუსთა ნაციონალურ საბჭოსა და ეგრეთ წოდებულ „მუსლიმანთა გაერთიანებულ საბჭოს“ შორის, თუმცა ეს კავშირი დროებით ხასიათს ატარებდა. კუკ-კოლისი მეტ-ნაკლებად ხელს უწყობდა ისეთი პოლიტიკური აქციების მოწყობას, რომლებიც ანტიქართული ხასიათით გამოირჩეოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი კონფიდენციალური მოლაპარაკება გენერალ ტერმენთან. საუბრის თემას წარმოადგენდა ინგლისელთა სავარაუდო წასვლის შემთხვევაში ხელისუფლების რუსებისთვის გადაცემის მექანიზმის შემუშავება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ასეთი მცდელობებისა, თეთრგვარდიელმა გენერლებმა ვერ შეძლეს თავიანთ სასარგებლოდ ბათუმის საკითხის გადაწყვეტა.

მცირე ფაქტოლოგიური მასალის წარმოჩენით ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა რუსული ეროვნული საბჭოს საქმიანობის უაღრესად ნეგატიური, ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი. მემედ აბაშიძის და მის თანამოაზრეთათვის ცნობილი იყო მასლოვის და მის მსგავსთა საქმიანობის ძირითადი მიზანი, ამიტომაც იმთავითვე დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ასეთ ელემენტებს. განმათავისუფლებელი კომიტეტის გაზეთი აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა დენიკინელების წინააღმდეგ. „რუსი ჩინოვნიკობა ემსახურება მხოლოდ დენიკინის პოლიტიკას. ისინი არ კმაყოფილდები-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ან, რომ ოლქის დაწესებულებები სავსეა რუსი ჩინოვნიკებით. მათ სრული ბატონ-პატრონობა უნდათ“ (დენიკინელთა საქმიანობა ჩვენში, გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №255, 20 დეკემბერი, 1919 წელი). დენიკინელთა მოღვაწეობის მძაფრი კრიტიკაა მოცემული მემედ აბაშიძის წერილში „გვეყო შეცდომები... გვეყო მონობა“, ავტორი ამბობს, რომ ბათუმი გაივსო სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებით, რომლებიც ერთიანდებიან ერთი მიზნის მისაღწევად, რათა დაიპყრონ ჩვენი ქვეყანა, „ყველა ჩვენგანმა უნდა შეიგნოს, რომ ის პირნი, რომლებიც საქართველოსთან შეერთების წინააღმდეგ მოგვიწოდებენ, რომლებიც ცდილობენ, რომ ბათუმი და მისი ოლქი დედა-სამშობლო საქართველოს არ გადაეცეს, აშკარა მტერია ჩვენი ხალხისა, ფულით მოსყიდული აგენტია ჩვენი მტრებისა...“ მემედ აბაშიძის აზრით, ასეთ მდგომარეობაში ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს ქართველ ძმებთან ერთად ერთიან სამშობლოში ცხოვრება. „...შევიგნოთ, რომ მხოლოდ საქართველოსთან გაერთიანება მოგვანიჭებს ბედნიერებას... თუ ამას არ ვიზამთ, მტრებს გავახარებთ. სამუდამოდ შერცხვენილი ვიქნებით, მონობის უღელს დავიდგამთ კისერზე და საშვილისშვილოთ თავი მოგვეჭრება“ (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №367, 1920 წელი). „სამუსლიმანო საქართველოს“ გვერდებზე ქართველი პატრიოტები თავიანთ წერილებში ცდილობდნენ მთლიანად გამოეაშკარავებინათ დენიკინელთა ზრახვები. მათი საქმიანობის არანაკლებ მძაფრი კრიტიკაა მოცემული მემედ აბაშიძის სხვა წერილებშიც.

„რუსებსაც განუძრახავთ ჩვენი მოტყუილება. ის რუსი ჩინოვნიკები, ის დენიკინელები, ის გუბსკები, რომლებიც მათრახებით დაგვდევდენ, რომლებმაც გვაწამეს და გვტანჯეს, ახლა მობრძანებულან ჩვენთან და მეგობრობას გვეფიცებიან! ამ დრომდი დაპყრობით, დენიკინით გვემუქრებოდნენ – მოვა დენიკინი და გაყურებიებთ სეირსო, ახლა კი გვეუბნებიან: იარაღი აიღეთ, დაგეხმარებით, ქართველები არ ჩამოუშვათო.

ძმებო! ნუთუ ვინმე მართლა ფიქრობთ, რომ რუსებს ჩვენი კარგი სურს? მათ სურთ ჩვენი დაპყრობა, მათ სურთ ჩვენზე ბატონობა ისე, როგორც წინეთ ბატონობდნენ. მათ სურთ, რომ ჩვენ არ შევუერთდეთ საქართველოს. და ეს სურთ მიტომ, რომ არ უნდათ ჩვენთვის თავისუფლება, არ უნდათ ჩვენი გაძლიერება. მათ უნდათ ჩვენ მარტონი ვიყოთ, ვიყოთ სუსტნი, რომ შემდეგ, როცა დროს იხელთებენ, მოგვდგენ და თოფის კონდახებითა და ხიშტებით დაგვიმონონ. მათ უნდათ გადაგვკიდონ საქართველოს. მათ უნდათ, რომ ისეთი საქმე ჩაგვადენინონ, რაც შემდეგ ჩვენ ძმებთან – ქართველ ქრისტიანებთან ვერ შეგვარიგებს. მათ სურთ, რომ ორ ძმას შუა მუდამ დუშმანობა იყოს დათესილი.

აი, რა უნდათ მათ. და მიტომაა, რომ გველაქუცებიან, ვითომდა დიდი მეგობრები არიან ჩვენი. ნუ თუ ამ დრომდის ვერ ვიცანით ესენი?! განა ესენი არ არიან, რომ ჩვენს ოლქში არსად არ გაგვაკარეს მართვა-გამგეობის საქმეში? განა ესენი არ არიან, რომ ყოველთვის და ყველგან გვდევნიდენ?

განა ამათ უნდა ვენდოთ? არასოდეს!

ჩვენი ერთად-ერთი გზა, ერთად-ერთი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია“ (მუსლიმან ქართველებს, გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №295, 1920 წ.).

გაზეთმა „სამუსლიმანო საქართველომ“ შეურიგებელი პოზიცია დაიჭირა დენიკინელთა ანტიქართული საქმიანობის მხილებისას. ცხადია, მისმა პრინციპულმა პოზიციამ გარკვეული როლი ითამაშა მრავალი საკითხის სწორ გააზრებაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთმა წარმოაჩინა ბოლშევიკური რუსეთის არანაკლებ საშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იში საქმიანობის ნეგატიური მხარეებიც. რუსეთის ორივე ფრთა თავინთი ინტერესებით ბათუმის ოლქში ერთიანდებოდა ერთი მიზნით – არ მომხდარიყო ბათუმის ოლქის სტრატეგიული ინტერესებიდან გასვლა. აღსანიშნავია, რომ გაზეთი ამ შემთხვევაში რუსი ბოლშევიკებისა და ლენიცინელების საქმიანობას იდენტურად განიხილავს.

გაზეთის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ერთიანობის, ტერიტორიული განუყოფლობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ტაქტიკისა და პოლიტიკური ხაზის მხარდაჭერა-პროპაგანდა. ცხადია, უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეში სამუსლიმანო საქართველოს ადგილის პოვნა. როგორ და რა ფორმით უნდა დაბრუნებოდა აჭარა დედასამშობლოს? ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ბათუმის ოლქის სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვადასხვა ვარიანტიდან სერიოზული არგუმენტაცია გააჩნდა ავტონომიის პრიორიტეტს.

1917-1920 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წინაშე ცხოვრებამ ურთულესი საკითხები დააყენა. მაშინ ბათუმის ოლქი წარმოადგენდა სტრატეგიული ინტერესების გზაჯვარედინს. აქ თავი მოიყარა მრავალმა პოლიტიკურმა ძალამ. თავის როლს თამაშობდა რელიგიური ფაქტორიც, რომლის გამოყენებით ანტიქართული ძალები ცდილობდნენ მოსახლეობის ურთიერთდაპირისპირებას. ბათუმის ოლქის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი იყო ერთიანი საქართველოს ხვალინდელი დღისთვის. როგორც ცნობილია, 1917 წლის 22 ნოემბერს გაიმართა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც მემედ აბაშიძეც ესწრებოდა. ყრილობაზე შეიქმნა სამუსლიმანო საქართველოს სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკაკი ჩხენკელი, რომლის მოადგილედ არჩეულ იქნა მემედ აბაშიძე. სექციის პირველ სხდომაზე განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საკითხი – რომელი ტერიტორიები მოიაზრებოდა სამუსლიმანო საქართველოს სახელწოდებით. ეს იქნებოდა მხოლოდ აჭარა თუ ყველა დანარჩენი ტერიტორია, რომელზეც მუსლიმანური რწმენის ხალხი ცხოვრობდა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის პოლიტიკური ხედვა სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ სხვადასხვა კუთხეში არაერთგვაროვანი იყო. თვით აჭარაშიც კი მოსახლეობა კუთხის მომავალ პოლიტიკურ მოწყობას არაერთმნიშვნელოვნად განიხილავდა. ქართველ მუსლიმანთა ერთი ნაწილი საქართველოს მომხრე იყო, ხოლო – მეორე თურქულ ორიენტაციას უჭერდა მხარს. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ სამუსლიმანო საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების იდეას. ცხადია, სამივე ამ მიმართულებას 1917-1921 წლებში დიდ სახელმწიფოთა (რუსეთი, თურქეთი, ინგლისი) მორალური თუ პრაქტიკული მხარდაჭერაც ჰქონდა, გარდა ამისა, საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებს – სომხეთსა და აზერბაიჯანსაც თავიანთი მიზნები ამოძრავებდათ და ყველა ამ ინტერესთა შეჯახება განსაკუთრებით მძაფრად ბათუმის ოლქში ხდებოდა. თურქეთის პოზიციები სხვა ფაქტორებთან ერთად ძლიერდებოდა ამ კუთხის მოსახლეობაში მუსლიმანური რელიგიისადმი უმრავლესობის ერთგული სამსახურით. 1917 წლისთვის რუსეთის პოზიციების სიმყარის გარანტიას წარმოადგენდა ბათუმის, ყარსისა და არდაჰანის ოლქებში რეგულარული სამხედრო ნაწილების ყოფნა, ხოლო რაც შეეხება საქართველოს, მას იმ პერიოდში არ ჰქონდა სახელმწიფოებრიობა. ერთადერთ იმედს პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენციისა და მთელი ქართველი ხალხისთვის წარმოადგენდა აჭარის ქართველ მუსლიმანთა ის ნაწილი, რომელიც ბათუმის ოლქის მოსახლეობის ძირითად ბირთვს შეადგენდა და ქართული ორიენტაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იის მიმდევრები იყვნენ. გარდა ამისა, რეალური იყო იმის რწმენა, რომ მემედ-ბეგ აბაშიძე თავისი დიდი ავტორიტეტით და მოსახლეობის ამ ნაწილზე დაყრდნობით შეძლებდა თურქოფილურად განწყობილი ხალხის ორიენტაციის შეცვლას. სირთულეს ქმნიდა ისიც, რომ ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი „სამუსლიმანო საქართველოს" სახელწოდებით მოიაზრებდა არდაჰანის, ყარსისა და ბათუმის ოლქებს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს, ქ. ტრაპიზონს და მის მიმდებარე ტერიტორიებს; ცხადია, თურქეთი არ დაუშვებდა ტრაპიზონამდე ტერიტორიების დაკარგვას და ყველანაირად შეეცდებოდა პროთურქულად განწყობილი მოსახლეობის მხარდაჭერით პოლიტიკური დაძაბულობა შეექმნა ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიებზე. ამის პრაქტიკული და თეორიული შანსი ძალიან დიდი იყო. უწევდა რა ყოველივე ამას ანგარიშს, მემედ აბაშიძეს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო გონივრული პოლიტიკის გატარება, რათა საქართველოს შეენარჩუნებინა აჭარა. 1917 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე, მემედ აბაშიძის პოზიციის გაცნობის შემდეგ, ქართველ პოლიტიკოსთა ერთმა ნაწილმა მართებულად მიიჩნია სამუსლიმანო საქართველოსთვის თვითმმართველობის უფლების მინიჭება. მემედ აბაშიძის მოსაზრებას მხარი დაუჭირა გრიგოლ ვეშაპელმა, სამსონ ფირცხალავამ, მიხეილ მაჩაბელმა და სხვ. ისიც აღინიშნა, რომ შესაძლებელია საქართველოს სხვა კუთხეებში გატარებულმა სოციალურმა რეფორმებმა სრული მხარდაჭერა ვერ ჰპოვოს სამუსლიმანო საქართველოში. ამ შემთხვევაში ძირითადად იგულისხმებოდა აგრარული რეფორმა, რომელიც საქართველოში 1917 წელს ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის მმართველობისას ეტაპობრივად განხორციელდა. იგი არ იყო წარმატებული და შემდგომში სოციალური უთანხმოებისა და აგრარული მოძრაობის საფუძველი გახდა. იცოდა რა მემედ აბაშიძემ მიწათმფლობელობის სირთულეები, ბათუმის ოლქში მოუწოდებდა ამიერკავკასიის ხელისუფლებას – არ დაეშვა შეცდომა, არ მომხდარიყო აგრარულ ნიადაგზე სოციალური კონფლიქტის გაღრმავება, რაც საქართველოსთვის გამოუსწორებელი ზიანის მომტანი იქნებოდა. ამიტომაც მემედ აბაშიძე თვლიდა, რომ აჭარის საქართველოს შემადგენლობაში შესანარჩუნებლად საჭირო იყო მოფიქრებული ღონისძიების გატარება იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლებოდა მოსალოდნელი პროვოცირებული სოციალური მღელვარებების თავიდან აცილება. აღსანიშნავია, რომ ამ ისტორიულ სხდომაზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მიღებული იქნა სწორი გადაწყვეტილებები:

1. ქართული ორიენტაციის გაძლიერებისთვის ახლო ხანში ჩატარდებოდა ქართველ მუსლიმანთა ყრილობა, რომლის მომზადებაც მემედ აბაშიძეს დაევალა. ყრილობის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა ქართველ მუსლიმანთა დარწმუნება იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლება არ შეზღუდავდა მუსლიმანური რელიგიის მიმდევართ.

2. სამუსლიმანო საქართველოს ეძლეოდა ადგილობრივი თვითმმართველობა და თვითმმართველობის ფარგლებში მიწათმფლობელობის საკითხიც აჭარელთა გადასაწყვეტი იქნებოდა.

3. რაც მთავარია, აკაკი ჩხენკელი მთლიანად იზიარებდა სამუსლიმანო საქართველოს მცნებაში მემედ აბაშიძის შეხედულებას. იგი აღნიშნავდა, რომ ბათუმი მუსლიმან ქართველთა გულია, ხოლო ლაზისტანის საკითხი საერთაშორისო პრობლემათა კატეგორიას განეკუთვნებაო. შემდგომში, როგორც ცნობილია, ეს მხარე მოექცა ოსმალეთის საოკუპაციო ხელისუფლების ქვეშ. კვლავ დაისვა საკითხი თუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რქეთის ფარგლებში სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის შესახებ. [illegible] იყო მტკიცე სახელმწიფოებრივი ნების გამოჩენა. 1918-1920 წლებში ბათუმში მრავალმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ მოიყარა თავი. რელიგიური ნიშნით იშვა იდეა აჭარის ავტონომიისა ოსმალეთის ფარგლებში, ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა პროთურქული პოლიტიკური დაჯგუფების „სედაი-მილეთის“ საქმიანობა. დღეისთვის ამ პარტიისა და მასში გაერთიანებულ მუსლიმან ქართველთა საქმიანობის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ შესასწავლია. მაგრამ არსებული საარქივო წყაროები იძლევა იმის საშუალებას, რომ ვთქვათ: ბათუმის ოლქში სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი და „სედაი-მილეთი“ წარმოადგენდა იმ პოლიტიკურ დაჯგუფებებს, რომლებიც აჭარის მოსახლეობის აბსოლუტურად დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდა. მათ შორის განსხვავება იყო ის, რომ სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი თავისი ერთპიროვნული ლიდერის – მემედ-ბეგ აბაშიძის ხელმძღვანელობით იყო ერთადერთი მტკიცე ბალავარი ყველა ქართული საქმისა და ინტერესისა, ეროვნული ცნობიერების შემანარჩუნებელი, ეროვნული ქართული პოლიტიკის მიზანმიმართულად გამტარებელი, ყველა პროქართული ორიენტაციის პოლიტიკური ორგანიზაციის მაკოორდინირებელი ცენტრი და, რაც მთავარია, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პოლიტიკის საყრდენი ძალა.

რაც შეეხება „სედაი-მილეთს“, იგი გამოხატავდა ოსმალეთის იმპერიის ინტერესებს, რომელიც ოსტატურად იყენებდა რა შექმნილ საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციას, საქართველოს სახელმწიფოებრიობის სუსტ მხარეებს, მოსახლეობის რელიგიურ მისწრაფებებს და, რაც მთავარია, თურქეთის სახელმწიფოს მნიშვნელოვან მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას, ქადაგებდა სამუსლიმანო საქართველოს „ფართო ავტონომიური უფლებებით“ ოსმალეთის ფარგლებში შეყვანას. „სედაი-მილეთის“ სიძლიერეს ისიც განაპირობებდა, რომ მასში გაწევრიანებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები, ყოველივე ეს კი ამ მხარის სამშობლოსაგან ჩამოშორების რეალურ საფრთხეს ქმნიდა. შექმნილი იყო ამ ორგანიზაციის ყარსის, არდაჰანისა და ართვინის განყოფილებები. „სედაი-მილეთის“ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი აქტიურად დაპირისპირება. პროთურქული ორგანიზაციების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა დამაჯერებელი, წარმატებული პროპაგანდა ავტონომიის იდეისა ოსმალეთის ფარგლებში, ან კიდევ – ყარსის, არდაჰანისა და ბათუმის ოლქების გაერთიანებით კავკასიის ისლამური რესპუბლიკის შექმნა. 1919 წლის ახალციხის მოვლენებმა ამ ორგანიზაციებს დიდი დარტყმა მიაყენა (მხედველობაში გვაქვს ქართული ჯარის მიერ სერვერ-ბეგისა და მისი ბანდების დამარცხება). მათი ნარჩენები ინგლისელთა საოკუპაციო ხელისუფლების აშკარა წაყრუებით ბათუმის ოლქში გადმობარგდა, ცხადია, მათ შეავსეს „სედაი-მილეთის“ რიგები. სამწუხაროდ, „სედაი-მილეთი“ არ წარმოადგენდა ერთადერთ პროთურქულ ორგანიზაციას. თითქმის შეუსწავლელია ეგრეთ წოდებული ისლამური საზოგადოების საქმიანობა, რომელიც არანაკლები მიზანსწრაფულობით გამოირჩეოდა (ამ საზოგადოებას პოლიტიკურ საკითხებთან ერთად ახასიათებდა დაზვერვითი მუშაობებიც, მას კოორდინაციას უწევდა თურქეთის არმიის გენერლის ქიაზიმ ყარაბექირის სამხედრო კონტრდაზვერვა). ფარულად ეწეოდა საზოგადოებრივი აზრის შესწავლას აჭარის მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციის გარკვევისთვის. ოსმალეთის საგარეო საქმეთა კანცელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიის დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული „ხსენებული ოლქების მიერ ავტონომიის მოპოვება ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის ფარგლებში შეესაბამება სახელმწიფოს ინტერესებს და ეს საკითხი არსებითად იმსახურებს ღრმა, ფართო და ყოველმხრივ განხილვას“ (ბათუმის ისლამური საზოგადოების შესახებ იხ. ნ. ზოსიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში“, ბათუმი, 1995 წ.).

არანაკლები პრეტენზიები გააჩნდათ რუსეთის ორივე ფრთის წარმომადგენლებს. ბოლშევიკურ პარტიას მთლიანად საქართველოში და ბათუმის ოლქში სტრატეგიული მიზნები ჰქონდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ დენიკინელთა საქმიანობის უაღრესად საინტერესო და დრამატიზმით აღსავსე მომენტები. ისინი, „რუსული ეროვნული საბჭოს“ მეშვეობით იბრძოდნენ ერთიანი და განუყოფელი რუსეთის ინტერესების დასაცავად. მათ არცთუ ისე უსაფუძვლოდ მიაჩნდათ, რომ ბათუმისთვის თავის დროზე რუსი ჯარისკაცების სისხლი დაიღვარა. ბათუმი იმპერიის კავკასიური მიმართულების სტრატეგიულ ინტერესებში შედიოდა. თავიანთ გაზეთ „ნაშ კრაიში“ აქტიურად ებრძოდნენ პროქართულ პოზიციებს, სადაც მემედ აბაშიძე №1 მტრად ჰყავდათ გამოყვანილი. ცხადია, აზერბაიჯანსა და სომხეთსაც გააჩნდათ თავიანთი ინტერესები. ყოველივე ეს ერთიანობაში სულისშემხუთავ ატმოსფეროს ქმნიდა. ასეთ ვითარებაში მემედ აბაშიძეს და სხვა ქართველ პატრიოტებს არჩევანი არ ჰქონდათ. მათ უნდა დაეცვათ ქართული ავტონომიის იდეა და ამ გზით გაენეიტრალებინათ თურქული ავტონომიის საკითხი. რა თქმა უნდა, ეს იყო ერთადერთი ოპტიმალური გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან. იმავდროულად, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს შესაძლებლობა ეძლეოდა შეენარჩუნებინა აჭარის მოსახლეობის ლიდერის პოზიციები და სწორი მიმართულებით წაეყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ოლქის ავტონომიური მართვა დააჩქარებდა კუთხის ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენის ლიკვიდაციას; ამავე დროს გათვალისწინებული იქნებოდა მოსახლეობის რელიგიური მოთხოვნილებები, რითაც საფუძველი ეცლებოდა ანტიქართული ძალების დესტრუქციულ საქმიანობას. „ჩვენ შევადგენთ ნაწილს საქართველოსას და ამიტომ ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულად და ტერიტორიულად შეკავშირებაში და შედუღებაში“, – აღნიშნავდა ჰაიდარ აბაშიძე (ჰ. აბაშიძე, წერილები, თბ., 1963, გვ. 104). ცხადია, ანალოგიური პოზიციები გააჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასაც. ჯერ კიდევ 1918 წლის 25 დეკემბერს ნოე ჟორდანია აჭარლებისადმი წინასაახალწლო მიმართვაში აღნიშნავდა: „მთავრობა აცხადებს, რომ ის სამუსლიმანო საქართველოს აძლევს ავტონომიას. თვითონ აჭარის წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს, რომლებითაც თავიანთი გემოვნებითა და სინდისით მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავიანთი რწმენის უფლებებს, მოაგვარებენ ადგილობრივ საქმეებს და ამით თავიანთ მშობლიურ მხარეში დაამყარებენ ბედნიერებას“ (გაზ. „ერთობა“, №9, 1919 წ.). გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ აქტიურად გამოეხმაურა ამ პრობლემას. გაზეთი ავტონომიას მიიჩნევდა სამუსლიმანო საქართველოს პოლიტიკური მოწყობის რეალურ ფორმად, რაც უზრუნველყოფდა აჭარის დედასამშობლოსთან მტკიცე შემოერთებას, ამიტომაც იყო, რომ მემედ აბაშიძემ პირველსავე ნომერში გამოაქვეყნა სტატია „ჩვენი მიმართულების განმარტება“, სადაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გაზეთი იმსჯელებდა აჭარის პოლიტიკური მოწყობის საკითხებზე, კერძოდ, მართვის ავტონომიურ ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზე. უნდა ითქვას, რომ „სამუსლიმანო საქართველო“ გამოხატავდა რეალურ პოზიციას. თვით მემედ აბაშიძემ მრავალი პუბლიცისტური წერილი მიუძღვნა ამ საკითხს (მათ შორის: ჩვენი მიმართულების განმარტება, №1, 11 იანვარი, 1919 წ.; მუსლიმან ქართველებს, №255, 17 თებერვალი, 1920 წ.; ოსმალეთის დანაწილება და ჩვენი ხსნა, №330, 2 აპრილი, 1920 წ.; პროვოკაცია, №293, 14 თებერვალი, 1920 წ; სიფრთხილე, სიფრთხილე, №297, 20 თებერვალი, 1920 წ.; დენიკინელების სიხარული, №320, 20 მარტი, 1920 წ.).

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ დიდ ყურადღებას უთმობდა ღირსშესანიშნავი დღეების, ეროვნული ზეიმების აღნიშვნას. ამ მხრივ საყურადღებოა 1920 წლის 26 მაისის მოწინავე წერილი „26 მაისი“. მასში აღნიშნულია ამ დღის უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა. 26 მაისი – ეს არის თარიღი, რომელმაც სათავე დაუდო მონობის ბორკილების მსხვრევასა და საქართველოს ცის თაღზე თავისუფლების მზის ამობრწყინებას. სტატიაში ნათქვამია, რომ ამ დღემდე ქვეყანამ დიდ განსაცდელს გაუძლო, მაგრამ ყველაფერი უკან დარჩა – 26 მაისიდან დღემდე მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები ქვეყნის სულიერად გაერთიანების საქმეში. „ერმა შესძლო დაემტკიცებინა მთელი ქვეყნისათვის, თუ რას ნიშნავს ერთსულოვნება, თუ რა დიდი ძალის გამოჩენა შეუძლია პატარა ერს, თუ მას გათვალისწინებული აქვს თავისი საველელი გზა...“ (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №368, 26 მაისი, 1920 წ.). მართებულია გაზეთის პოზიცია, რომ მხოლოდ, შიშველი პატრიოტიზმი არ კმარა საბოლოო მიზნის მისაღწევად: „ერთ ხელში ხმალი თავისუფლების დასაცავად, მეორეში – სწავლა-განათლების ჩირაღდანი, გუთანი და სახნისი, წალდი და ბარი მეურნეობის ასაყვავებლად, გულში უსაზღვრო სიყვარული თავისუფლებისადმი, მტკიცე ნებისყოფა არჩეულ უტყუარ გზაზე სვლისა...“ (იქვე). ცხადია, თავისუფლებისკენ სავალი გზა მარტივი არ იქნებოდა. იგი მოითხოვდა დიდ ძალისხმევას სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

1919 წლის 31 აგვისტოს გაიმართა აჭარის მოსახლეობის ყრილობა, რომელზედაც დაესწრო 100 დელეგატი, მათ შორის თურქოფილებიც. ღრმა ეროვნული მუხტით და შექმნილი მდგომარეობის რეალური განსჯით გამოირჩეოდა მემედ აბაშიძის სიტყვა: „ჩვენი სამშობლო ომის შემდეგ კუნძულს წარმოადგენს, რომელსაც ყველა ეპოტინება და მის ჩაყლაპვას ლამობს. ასეთ გაჭირვებულ დროში არავის ვხედავთ ჩვენს მშველელს, გარდა საქართველოსი, რომელიც, როგორც ყოველთვის, უანგაროდ და თავგანწირულად სცდილობს ჩვენი დაღუპვისაგან გადარჩენას. ჩვენ უნდა დავაფასოთ ეს, დავემყაროთ მის ძალასა და გამოცდილებას, რადგან ქართველმა ხალხმა უკვე დაანახვა ქვეყანას, რომ ის ღირსია მისგან მოპოვებული დამოუკიდებლობისა.

ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა. ჩვენ მტკიცე მუსლიმანები ვართ, მაგრამ მასთან ერთად ჩვენ ქართველები ვართ, საქართველოს ღვიძლი შვილები.“

ეს იყო პოზიცია, რომელიც ითვალისწინებდა არსებულ ვითარებას. ეს საკითხი აჭარის ადმინისტრაციული მოწყობის ფორმის შესახებ შემდგომი მსჯელობის საგნადაც იქცა. 1920 წლის აგვისტოში სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა დელეგაცია მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით თბილისს ესტუმრა. როგორც მემედ-ბეგ აბაშიძემ განაცხადა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებთან, დელეგაციის ჩამოსვლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკება აჭარის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ. მემედ აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღნიშნავდა, რომ მათ მიზანს წარმოადგენდა მეჯლისის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში პრაქტიკული რეალიზაცია, როგორც რეალური ფორმა სამუსლიმანო საქართველოს პოლიტიკური საკითხის მართებულად დარეგულირებისათვის (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი).

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო" მრავალ პოლიტიკურ საკითხს შეეხო. მიუხედავად მისი გამოშვების ხანმოკლე დროისა (1919-1921 წ.წ.) უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა მასში დასმულ თემატიკას. თუ იმასაც ვიტყვით, რომ გაზეთის პოზიცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის პოზიციას წარმოადგენდა, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა ჩავწვდეთ იმ პერიოდის ეროვნული მოძრაობის პრობლემის არსში, გავაანალიზოთ ის სოციალური თუ პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც სრულიად საქართველოში იყო წარმოდგენილი. საკითხთა ჩამონათვალიც კი გვიჩვენებს გაზეთის შინაარსობრივ მხარეს, მათ შორის აღსანიშნავია ქალაქ ბათუმის საქალაქო არჩევნები, სადაც სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წარმატებული მოღვაწეობით ხმოსანთა უმრავლესობა ქართველები იყვნენ. გაზეთს პრინციპული პოზიციები ეჭირა საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების – სომხეთისა და აზერბაიჯანის ხშირ შემთხვევაში არასწორი პოლიტიკის მიმართ, ამიტომაც იყო, რომ როდესაც საქართველოს მთავრობის ხელისუფლების სისუსტე და უცხო სახელმწიფოთა ინტერესების შეჯახებები საფრთხის ქვეშ აყენებდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, ზოგჯერ მოგებიანი ეკონომიკური პროექტები, რომელშიც საქართველოს ინტერესები არ იყო გათვალისწინებული, ეროვნული ძალების მიერ ნეგატიურად აღიქმებოდა. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა და მისი გაზეთის პოზიცია ბათუმში პორტო-ფრანკოს შექმნის შესახებ. ცხადია, ისეთი თავისუფალი ეკონომიკური ზონის პროექტი, რომელშიც საქართველოს ინტერესები იგნორირებული იქნებოდა, მიუღებელი იყო მემედ აბაშიძისთვის. სომხეთის რესპუბლიკის ფარული თუ აშკარა ინტერესები, გაცხადებული ეკონომიკური ზონის პროექტში, საფრთხეს უქმნიდა ქართულ სტრატეგიულ ინტერესებს, ამიტომაც გაზეთი ნეგატიურად გამოეხმაურა ევროპის სახელმწიფოთა გადაწყვეტილებებს (მხედველობაში გვაქვს სან-რემოსა და ლონდონის კონფერენციები).

არსებული პოლიტიკური ვითარების გამო 1920 წლის გაზაფხულისთვის დაიწყო სამზადისი ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციისთვის. სხვადასხვა ანტიქართულმა ძალამ, გაერთიანებულმა ერთი მიზნით (არ დაეშვათ საქართველოსთან აჭარის შეერთება), მოაწყო აშკარა პროვოკაციები ქობულეთსა და მაღალმთიან აჭარაში. გაზეთის სასარგებლოდ უნდა ითქვას ის, რომ სწორედ მის მიერ გამოჩენილმა პრინციპულმა პოზიციამ, ფართო ახსნა-განმარტებითმა პუბლიცისტურმა წერილებმა უაღრესად პოზიტიური როლი ითამაშა სამარცხვინო ძმათა მკვლელი კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მის ლოკალიზაციის საქმეში.

* * *

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს" საქმიანობის ცალკეული დეტალები. ცხადია, შესავალ წერილს არა აქვს პრეტენზია მეცნიერული გამოკვლევისა, რომელშიც დეტალურად იქნებოდა გაანალიზებული გაზეთის როლი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მო-

ძრაობაში. როგორც აღინიშნა, გაზეთში, გარდა პოლიტიკური ხასიათის პუბლიკაციებისა, დიდი ყურადღება ეთმობოდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების წარმოჩენას. სამწუხაროდ, დღეისთვის „სამუსლიმანო საქართველოს" საგაზეთო ნომრების მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. მიუხედავად ამისა, წინამდებარე მასალები იძლევა იმის საშუალებას, რომ კიდევ ერთხელ ჩავფიქრდეთ და მართებულად აღვიქვათ ჩვენი წინაპრების მიერ განვლილი გზა. იგი არ იყო იოლი და მოითხოვდა გარკვეულ მსხვერპლსაც. ჩვენ არაფერს ვამბობთ იმ მოვლენებზე, რომლებშიც ჩნდებოდა ცალკეულ პიროვნებათა „პოლიტიკური მიზანსწრაფულობა", მკვეთრად გამოხატული ანტიქართული ხასიათით. დღეს ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია და ბევრ რამესაც არქივის მტვერი აზის.

წინამდებარე გამოცემას არა აქვს სრულყოფილების პრეტენზია. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თანდათანობით მოვიძიებთ გაზეთის დაკარგულ ნომრებს, რაც, უდავოდ, ხელს შეუწყობს სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მე-20 საუკუნის 20-იანი წლების პოლიტიკური ისტორიის კვლევა-ძიებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავტობიოგრაფია

დავიბადე ქ. ბათუმში 1873 წელს. მამაჩემი, იბრაიმი, იყო ბათუმის სანჯაყ ბეგის, იუსუფის, შვილი, რომელიც ითვლებოდა ბათუმის სადროშოს მმართველად. დაწყებითი სწავლა მივიღე ქართულ ენაზე წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების პირველდაწყებით სკოლაში. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღე შინაური განვითარება მამაჩემის ხელმძღვანელობით: ვსწავლობდი არაბულ, თურქულ და სპარსულ ლიტერატურას.

აღნიშნული ენების ცოტათი შესწავლამ დიდი სურვილი აღმიძრა, როგორც მშობლიური, ისე არაბულ-სპარსულ-თურქული ლიტერატურის შესწავლისა და ცხოვრებაში სამუშაოდაც ეს დარგი ავირჩიე.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი ათეული და მეოცე საუკუნის დასაწყისი არის ღრმა სოციალური გარდატეხის ხანა, კერძოდ, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, აგრეთვე, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის რიცხობრივ სიმცირეს, საკვირველი არ იქნება ის ფაქტი, რომ მაშინდელ საზოგადო მოღვაწეს სხვადასხვა დარგით და მიმართულებით უხდებოდა მუშაობა; მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი ის დიფერენციაცია და შრომის განაწილება, რომელიც ამჟამადაა ჩვენს ცხოვრებაში. ამ საერთო აუცილებლობის გავლენის ქვეშ მოვექეცი მეც. ჩემი საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობა რამდენიმე ნაწილად იყოფა. როგორც აღვნიშნე, ჩემი მუშაობის უმთავრესი დარგი იყო სალიტერატურო საქმიანობა.

თურქული ლიტერატურიდან რამოდენიმე ნიმუში გადმოვთარგმნე ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომი გავხადე მკითხველისათვის. მაგალითად, ოსმალეთის გამოჩენილი მწერალ-პოეტის – ნამიკ ქემალის პიესები: „სილისტრია“, „ზევალი ჩოჭუკი“ და „გულ-ნეჰალი“, ოსმალეთის პუბლიცისტის სეფვეთ ნეზთიხის „არც შეკითხვა და არც განმარტება“ (ორმოქმედებიანი პიესა), აგრეთვე, ოსმალეთის მწერალი ქალის გუუზიდე საბრის მოთხრობა „მუნევერ“ და აზერბაიჯანულიდან – ჯელილ მემედ ყული-ზადეს „მიცვალებულნი“, ხოლო ქართულიდან აზერბაიჯანულ ენაზე – ს.შანშიაშვილის „ანზორი“, მაქვს, აგრეთვე, ქართულ ენაზე ოსმალეთის კოდიფიკატორის ჰილმის „ეჰქაამულ-ევკააფი“, ე.ი. „ვაკფთა დებულებანი“, ანუ მცნებანი (იბეჭდებოდა გაზ. „ტრიბუნაში“). გარდა ამისა, მაქვს საკუთარი სოციალური ხასიათის მოთხრობა „სულა მაღლაძე“. გადათარგმნილი და დაუბეჭდავი მაქვს ოსმალეთის მწერალი ქალის – მუფიდე ფერიდეს მოთხრობა „ფერვანელერ“, ე.ი. ფარვანები, და სპარსული – ომარ ხაიამის რუბაიები; ვთარგმნი უკვდავი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ თურქულ ენაზე.

თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელი განათლების კულტურის დონეს, საუკუნეებით განმტკიცებულ ტრადიციებს, გასაკვირია, რომ მამაჩემი და მთელი ჩვენი ოჯახი ლიბერალობდა, მფარველობდა მწერლობას, მეცნიერ-სწავლულებს და ჩვენც აქედან გამოგვყვა ლიბერალური სული და ბუნებრივი რევოლუციონერობა, მუდამ ჟამს ვიმყოფებოდით მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობილებაში...

ელექტრონული ბიბლიოთეკა



მადლიერმა ქართველმა ერმა და შთამომავლობამ
1997 წლის 30 ოქტომბერს ბათუმში ძეგლი აუგო ჭეშმარიტ მამულიშვილსა
და ერის დიდ გულშემატკივარს – ᲛᲔᲛᲔᲓ-ᲑᲔᲒ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული და თურქული ენების ცოდნა საშუალებას მაძლევდა გავცნობოდი პროგრესულ იდეებს, ლიბერალურ აზროვნებას. გასული საუკუნის ბოლოდან ურყევად ვიდექი საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე და ბრძოლის ამ ხაზზე არა ერთი და ორი სასტიკი იერიში მომიგერიებია, როგორც პრესაში, ისე ყრილობებზე გამოსვლით. ვიცავდი და ვატარებდი ზემოაღნიშნულ იდეებს, რამაც დადებითი შედეგები გამოიღო და სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდი კვლავ გაამთელა, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც.

უბედურება ის იყო, რომ სამუსლიმანო საქართველო ორი მებრძოლი იმპერიალისტური სახელმწიფოს – რუსეთისა და ოსმალეთის მიჯნაზე იყო და ორთავე სახელმწიფოს განსაკუთრებულ „საზრუნავ“ საგანს შეადგენდა. რუსული იმპერიალიზმი დაპყრობილ ეროვნებათა მიმართ ყოველთვის აწარმოებდა ცნობილ „დაანაწილე და იმეფეს“ პოლიტიკას. მართალია, რუსეთი ოსმალეთის იმპერიალიზმის საწინააღმდეგო მებრძოლი ძალა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ენერგიულად ცდილობდა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში შთაენერგა ის აზრი, რომ ისინი ქართველები კი არა, თურქები არიან (მაგ., ბათუმის ოლქის მოსახლეობის აღრიცხვის წიგნში მთელი მოსახლეობა თურქებად არის აღრიცხული). თავის მხრივ, ოსმალეთის მთავრობაც პრეტენზიებს აცხადებდა „დაკარგული სამოთხის“ დაბრუნებაზე. ისინიც ამ აზრს ქადაგებდნენ და ავრცელებდნენ, რომ სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობა თურქებია და სხვ. ყოველ მათგანს საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა...

რუსეთის იმპერიალისტები თავიანთ აზრს ავრცელებდნენ და ატარებდნენ თავიანთვე ბობოლა მოხელეების და ზოგიერთი მოსყიდული ბეგის საშუალებით, ხოლო ოსმალეთის იმპერიალისტები – ზოგიერთი ბეგისა და ხოჯა-მოლების საშუალებით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად რელიგიური ფანატიზმისა, ბევრი გამოჩენილი ხოჯა და მოლა, როგორიც იყო ხაფიზ-ეფენდი სურმანიძე, სცენდერ-ეფენდი ციკაძე, მამუდ-ეფენდი გერდაძე, ხუსეინ-ეფენდი მდევაძე და სხვები – იყვნენ ჩემი უახლოესი თანამშრომელნი სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის ეროვნული და კულტურული გათვითცნობიერების გზაზე. ერთი სიტყვით, სამუსლიმანო საქართველო ორი ძალის ბრძოლის ასპარეზს შეადგენდა და საჭირო იყო უმთავრეს საბედისწერო მომენტში ორ ფრონტზე ბრძოლის წარმოება: პირველი – ოსმალეთის ბნელი ზრახვებისა და მეორე – რუსეთის იმპერიალისტური დაპყრობა-მონობის წინააღმდეგ, საქართველოს გაერთიანებისათვის.

ამ ორ იმპერიალისტურ ქვეყანას ძილს უფრთხობდა მათ მიერ დაპყრობილი და დაქუცმაცებული საქართველოს მთლიანობა, ვინაიდან, თუ საქართველოს მთლიანობის იდეა ხორცს შეისხამდა, მაშინ არცთუ ისე ადვილი იქნებოდა მისი დათრგუნვა, თუნდაც მეფის დიდი რუსეთისათვისაც კი. სწორედ ამიტომ იყო, რომ სოციალური, ეროვნული და რევოლუციური იდეების პირებს ეს ორი იმპერიალისტური სახელმწიფო სასტიკად დევნიდა. სამუსლიმანო საქართველოს სინამდვილეში კი რევოლუციური ბრძოლის განვითარების აღნიშნული სამი მომენტი ისტორიული აუცილებლობით გადაენაცვა ერთმანეთს, ვინაიდან ეს მომენტები თვით ადგილობრივ ობიექტურ-სუბიექტური პირობების სიღრმიდან იყო ამოტივტივებული ცხოვრების ზედაპირზე. სოც.-ფედერალისტების პარტიის პროგრამიდან გულწრფელად მიმიდავდა ბრჭყვიალა იდეა ფედერაციისა ხალხთა ურთიერთთანასწორობის ნიადაგზე, იდეურადაც ამ პარტიას დავუახლოვდი... 1906 წლამდე ამ პარტიის ერთ აქტიურ წევრთაგანად ვითვლებოდი... შემდეგ კი, გარემოებათა მიხედვით, ჩემი განსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთრებული მდგომარეობით სამუსლიმანო საქართველოში, აღარ მქონდა საშუალ-ება ვიწროდ მოვთავსებულიყავი ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიის პროგრამის ჩარჩოებში და დავრჩი ყოველგვარი პარტიის გარეშე, მიუხედავად ამისა, თანავუგრძნობდი და ხელს ვუწყობდი ყველა იმ პარტიას, რომელიც თავგამოდებული რევოლუციური ბრძოლით ძირს უთხრიდა დახავსებულ და დრომოჭმულ მეფის რუსეთის რეჟიმს. საჭიროებისამებრ მათთან ერთად ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას რევოლუციურ ბრძოლებში. მოწინავე ამხანაგებთან ერთად ვაწყობდი თვით ბათუმში და მის ოლქში მშრომელი მოსახლეობის საერთო მოძრაობას მთავრობის წინააღმდეგ, რაც ხანდახან შეიარაღებულ შეტაკებამდისაც კი მიდიოდა. კარგად ვიცოდით, რომ თუ მტარვალები – ბნელეთის მოციქულები – გაიმარჯვებდნენ, კარგ დღეს არ დაგვაყრიდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას ვაკეთებდით. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამუსლიმანო საქართველოს ხელმძღვანელობა ბედმა მე მარგუნა წილად და ხალხიც ყოველთვის დიდი ნდობით და პატივისცემით მეპყრობოდა. ეს გარემოება აიძულებდა მთავრობას ჩემთვის ანგარიში გაეწია. ერთხანად არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ, რათა ჩემი გული მოეგოთ: მეფერებოდნენ... მეფის ბობოლა მოხელეები მელაქუცებოდნენ, მაგრამ, როდესაც ამ ხერხმა არ გაჭრა, მაშინ რეპრესიული ზომებით დამიწყეს ბრძოლა.

ჯერ კიდევ 1899 წელს პირველი შეტაკება მომიხდა ბათუმის ოლქის უფროს სლავოჩინსკისთან, რის გამოც დამიწყეს სასტიკი დევნა.

1904-1905 წლებში განვიცდიდი სასტიკ შევიწროებას. ბათუმის გუბერნატორ ფონ-პარკაუს და მის თანაშემწეს რომანოვსკის თავიანთ საიდუმლო მოხსენებაში ბათუმის მიხაილოვის ციხე-სიმაგრის უფროსისადმი, რომელიც შემდეგ მეფის მოადგილეს გადაეცა, დაწვრილებით აღწერილია ის გარემოება, თუ როგორ უარყოფითად და საშიშ ელემენტად გვთვლიდა მაშინდელი ხელისუფლება.

1908 წელს ქ.ბათუმში მოვიდა ბრძანება, რათა არა მარტო მე, არამედ მთელი ჩვენი გვარი დაეტუსაღებინათ და გადაესახლებინათ შორეულ გუბერნიაში. აღნიშნული განკარგულების შესახებ საიდუმლოდ მაცნობეს და იძულებული შევიქენი ზია, რიზა და ფეზლი აბაშიძეებთან ერთად გავქცეულიყავი ოსმალეთში. დანარჩენებმა ვერ მოასწრეს გაქცევა და დატუსაღებულნი იქნენ. იწყება ჩვენი საერთო წამება, უსასტიკესი დევნა და განადგურება... საზღვარზე გადასვლისას ოსმალეთის მთავრობამ დაგვატუსაღა და მოგვათავსა ხოფას ციხეში. თანახმად ჰამიდის უმაღლესი ბრძანებისა, ბრალდებად წამოგვიყენეს რევოლუციონერობა და სოციალისტურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. ხოფას ციხიდან გადაგვიყვანეს ათინას ციხეში, რიზეს ციხეში, ხოლო იქიდან კი ტრაპიზონის ციხე მიგვიჩინეს საცხოვრებელ ადგილად, რომელშიც დავყავი ე.წ. „ახალგაზრდა თურქების" გადატრიალებამდე, – დაახლოებით ერთი წელი, რის შემდეგ, სხვა პოლიტიკურ დამნაშავეებთან ერთად, მეც გამათავისუფლეს. ოსმალეთში დავყავი, როგორც ემიგრანტმა, 1913 წლამდე. განვიცდიდი საშინელ შევიწროებას ყოველი მხრით. უსახსრობის გამო დავკარგე ორი ვაჟიშვილი – ქემალი და ბექირი, ხოლო როდესაც მესამე ვაჟი – ხამიდი მძიმე ავად გამიხდა და რადგან არც მატერიალური და არც საექიმო საშუალება აღარ გამაჩნდა, იძულებული გავხდი, ყოველგვარი ვიზის გარეშე, დავბრუნებულიყავი ბათუმში. ბათუმში დაბრუნებისას 1913 წელს ჟანდარმთა სამმართველომ დამატუსაღა. რამდენიმე ხნით ბათუმის ციხეში მამყოფეს, შემდეგ კი გადამასახლეს ნოვოჩერკასკში, სადაც დავყავი 6-7 თვე, რის შემდეგაც დიდი ვაი-ვაგლახით მოვახერხე ადგილობრივი მთავრობისაგან ერთი თვის შვებულების მიღება და

მოვინახულე ბათუმში ცოლ-შვილი, რომელიც გადმოსახლებისას დიდ გაჭირვებაში დავტოვე. ვადის გათავების შემდეგ გამოვემგზავრე თბილისში, რათა ისე მომეწყო საქმე, რომ უკან აღარ დავბრუნებულიყავი, მაგრამ თბილისში დამატუსაღეს და მომათავსეს პოლიციის სამმართველოში, საიდანაც რამდენიმე ხნის შემდეგ მოვახერხე თავდებით გასვლა, იმ პირობით, რომ ყოველდღე გამოვცხადდებოდი პოლიციის სამმართველოში. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 2-3 თვე, რის შემდეგაც გამათავისუფლეს თავდებით და წავედი ბათუმში.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით აღვნიშნო ის გარემოება, თუ როგორ გვეპყრობოდა ოსმალეთში, ერთი მხრით, ადგილობრივი ხელისუფლება და მეორე მხრით, რუსეთის საკონსულო. ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენ ორნაირად გვდევნიდა: ერთი, როგორც რევოლუციონერებს და სოციალისტებს, და მეორე, როგორც „თურქებს", მაგრამ ქართველოფილებს. რაც შეეხება რუსეთის იმპერიის საკონსულოს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიყავით ემიგრანტები, მაგრამ მაინც რუსეთის მოქალაქეებად ვითვლებოდით, საშინელ მტრულ განწყობილებაში იყო ჩვენთან. დაწყებული 1909 წლიდან, იმპერიის გენერალური საკონსულოს საშუალებით არა ერთხელ გამომიგზავნია განცხადება მეფის მოადგილის სახელზე, მაგრამ ჩემი განცხადება არ კმაყოფილდებოდა და არ მეძლეოდა ნებართვა სამშობლოში დაბრუნებისა.

1914 წელს, იმპერიალისტური ომის დაწყებისას, დამატუსაღეს და გადამგზავნეს მეტეხის ციხეში, ჩემი ოჯახის მთელ შემადგენლობას კი ასახლებდნენ კიევში, მაგრამ ზოგიერთების დახმარებით ეს უბედურება ასცდათ და გადმოასახლეს თბილისში. მეტეხში დავყავი ერთ წელზე მეტი, საიდანაც გადამასახლეს ენისეის გუბერნიაში. დიდი თხოვნით, ვაი-ვაგლახით და მეგობრების დახმარებით შევძელი 7 დღით გამოსვლისა და ცოლ-შვილის ნახვის უფლების მიღება, იმ პირობით, რომ ისევ დავბრუნდებოდი მეტეხში, მაგრამ აქაც, დიდი დახმარებით, მოვახერხე მეტეხიდან თავის დაღწევა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დარჩენა. აი, ამ მდგომარეობაში მომისწრო თებერვლის რევოლუციამ. ჩემს წამებასაც ამიერიდან თითქოს საზღვარი უნდა დადებოდა, მაგრამ ასეთი დასკვნა ნაადრევი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუცია უკვე მომხდარი ფაქტი იყო, ადგილობრივი ხელისუფლება მაინც არ მაძლევდა ბათუმში დაბრუნების უფლებას და რამდენიმე თვე ბრძოლა დამჭირდა იმისათვის, რომ დამემტკიცებინა აღნიშნული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის, რომ ჩემი შემდგომი დაკავება და მეფის რეჟიმის მიერ ჩემზე დაწესებული სასჯელი უკვე აღარ შეიძლებოდა შემდეგშიც დარჩენილიყო ძალაში.

1917 წელს ა/კ სეიმიდან, როგორც იქნა, მივიღე ნებართვა თავისუფლად ჩავსულიყავი და მეცხოვრა ქ. ბათუმში.

იმავე წელს ჩემს ირგვლივ შემოვკრიბე ქართველ მუსლიმანთა მოწინავე ახალგაზრდობა: სულეიმან დიასამიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ზექერია შერვაშიძე, ხასან ვარშანიძე, ჯემალ ქიქავა და სხვები და დავაარსე ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი. კომიტეტის მიზანი მრავალი იყო, უმთავრესი კი იმაში მდგომარეობდა, რომ გაგვეგრძელებინა თვითშეგნების შეტანა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში, ფართოდ გაგვეშუქებინა მასების წინაშე სამუსლიმანო საქართველოს ისტორიული წარსული, გაგვემტკიცებინა მასში მთლიანი საქართველოს იდეა, და საზოგადოდ მზად ვყოფილიყავით ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაშორებლად, მით უმეტეს, კერენსკის

ხელისუფლების პერიოდში, მაშინ, როდესაც არა ერთი და ორი ეროვნული [illegible] კარი დაილუქა მთავრობისათვის სამარცხვინოდ. იმავე წელს ქ. ბათუმში, მეჩეთ აზიზიეში, მოვიწვიეთ ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლობის კრება, სადაც, ჩემი თავმჯდომარეობით, დამტკიცდა აღნიშნული კომიტეტი.

ამავე დროს ქ. ბათუმში არსებობდა ბაქოს თურქების ე.წ. საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული თურქოფილური იდეების გავრცელება ფართო მასებში, რისთვისაც აღნიშნული განყოფილება იარაღად იყენებდა რელიგიურ მოტივებს. ამის საწინააღმდეგოდ, მე დავაარსე საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა თურქოფილთა წინააღმდეგ ბრძოლის იდეების გავრცელებას. და ასე, თანდათანობით, ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილების გავლენა შევკვეცეთ.

1917 წელს, კერენსკის მთავრობის დროს, ბათუმში, ზექერია შერვაშიძესა და ჯემალ ქიქავასთან ერთად, სრულიად მოულოდნელად შემიპყრო სევასტოპოლის საზღვაო კონტრდაზვერვამ და მომათავსეს ბათუმის ციხეში. მეორე დღეს ამხანაგები გაათავისუფლეს, მე კი ერთი თვე დამტოვეს იქ, რის შედეგადაც ადგილობრივმა მთავრობამ ძლივს შეძლო ჩემი განთავისუფლება. ამის შემდეგ, კვლავ განვაგრძე მუშაობა საქველმოქმედო საზოგადოებასა და კომიტეტში. ორივე ეს ორგანიზაცია მუშაობდა მტკიცე კონტაქტში, ხოლო 1918 წელს ქართული და სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება გავაერთიანე ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოებად.

თურქოფილები მაინც განაგრძობდნენ თავის საქმეს. 1919 წელს ქ. ბათუმში გავრცელდა ხმები: ოსმალეთის ჯარები აპირებენ ბათუმის ოლქის ოკუპაციას და ამ მიზნით ოსმალეთის მთავრობის დავალებით ზემო აჭარაში ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი აჭარლებისაგან რაზმებს ადგენს ოსმალეთის დასახმარებლადო. ეს ამბავი მოედო თბილისსაც. ამ საქმის გასაგებად თბილისიდან საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის, მიხეილ მაჩაბლის მეთაურობით ჩამოვიდა კომისია. ამის ირგვლივ ბათუმის სასტუმრო „ორიანტში" გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრო როგორც საქრისტიანო, ისე სამუსლიმანო საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია. აქ გადაწყდა, რომ მე უნდა წავსულიყავი მოსალაპარაკებლად ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილთან ზემო აჭარაში და ჩამეშალა მისი გეგმები. ამოცანა შევასრულე, ხოლო ჯემალ-ბეგის რაზმების დაშლა ვერ მოვასწარი, რადგანაც ოსმალეთის ჯარები შემოგვესია. ამ წელს მე მოვემწყვდიე ქ. ბათუმში. ბათუმის ქალაქის საბჭომ დამავალა მისასალმებელი სიტყვა მეთქვა ოსმალეთის მხედრობისათვის, საზავო დელეგატებისა და პარლამენტის წევრებისათვის, აგრეთვე, თურქი მინისტრებისათვის. მე ამის თანახმა არ ვიყავი, მაგრამ წინასწარ გაზეთში გამოაცხადეს ეს გადაწყვეტილება და იძულებული გავხდი მივესალმებოდი.

ოსმალო იმპერიალისტების ჯარები უკვე უტევდნენ ნატანებს და ოზურგეთს, და ზარბაზნების ღრიალი ყურთასმენას ახშობდა, გამარჯვებით დამთვრალ და ზვიად მთავარსარდალ ვეხიბ-ფაშას შემეცნებაში იხაზებოდა ახალი გეგმები აზერბაიჯანის შეერთებისა ბრწყინვალე პორტასთან. მე მივესალმე მათ, როგორც სტუმრებს, და ხალხის სახელით ვთხოვე სისხლის ღვრის შეწყვეტა. ამით დავიმსახურე მათი გულისწყრომა, რის შემდეგაც მე, ჯემალ ქიქავა, ხოჯა დაუდ-ეფენდი სირბილაძე, სულეიმან-ბეგ ბეჟანიძე და ხასან ლორთქიფანიძე დაგვეატუსაღეს და გადაგვგზავნეს ტრაპიზონში; როცა გავიგე, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა ჩვენი ამოხოცვა გაცილების დროს და, ვინაიდან მთელი გულისწყრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გენერალი ასლან აბაშიძე – დამოუკიდებელი საქართველოს
ერთადერთი გენერალი აჭარიდან,
ქაქუცა ჩოლოყაშვილის დიდი მეგობარი და თანამებრძოლი,
მემედ აბაშიძის უმცროსი ძმა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ყადირ შერვაშიძე



ჰაიდარ აბაშიძე



ხასან ლორთქიფანიძე



ზია აბაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ილია ჭავჭავაძე



დავით კლდიაშვილი



ზაქარია ჭიჭინაძე



თედო სახოკია

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ვალერიან გუნია



კონსტანტინე გამსახურდია



მიხეილ ჯავახიშვილი



დავით კასრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



მემედ-ბეგ აბაშიძეს

[illegible] მადლობით იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც [illegible] გაგვიწიეთ ჩვენს საქმეში, გვაქვს პატივი მოგა-წოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა.

[illegible]

მემედ აბაშიძისათვის თამარ მეფის ორდენის ბოძების დიპლომი, ბერლინი, 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომა მომართულიყო ჩემს წინააღმდეგ, როგორც მეთაურისა, ამიტომ ამხანაგებთან შევთანხმდი, რომ მე გავქცეულიყავი, რაც იმათაც მოხსნიდა ყოველგვარ საფრთხეს. ციხეში იარაღი გადმომცა ჩემთან სანახავად მოსულმა ალი ჯაფარიძემ იმ დროს, როდესაც საქმის გამო გამოიძახეს ჩვენთან მიყენებული ოფიცერ-მეთვალყურე, და მოვახერხე გაქცევა. ვიმალებოდი ტრაპიზონის მიდამოებში 15 დღე და შემდეგ, როგორც იქნა, დიდი საფრთხით ზღვით მოვედი ქ. ფოთში.

ქ. თბილისში ამ დროს დაარსებული იყო სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი ზია აბაშიძის, სულეიმან დიასამიძის, ჰაიდარ აბაშიძის და ყადირ შარვაშიძის თაოსნობით, რომელთაც ჯერ კიდევ აღნიშნული კომიტეტის დაბრუნებისას ოქმით დადგენილი ჰქონდათ ჩემი თავმჯდომარეობა ხსენებულ კომიტეტში, როგორც კი დავბრუნდებოდი ტყვეობიდან. როდესაც საქართველოში დავბრუნდი, დამხვდა სულთან მემედ ვაჰინდედინის მანიფესტი, რომელიც აჯამებდა იმ მზაკვრული პლებისციტის შედეგებს, რომელიც მათ მოახდინეს სამუსლიმანო საქართველოში. ამის საპასუხოდ გამოვეცი მოწოდება სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის მიმართ, რომლითაც მოსახლეობას ვაუწყებდი თურქეთის მთავრობის ბნელ ზრახვებს და მიმდინარე მომენტის გადაუდებელ საჭიროებებს.

კომიტეტი ენერგიულად განაგრძობდა მუშაობას. მას ეწოდა ,,სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი''. კომიტეტი იმყოფებოდა თბილისში, ხოლო მისი განყოფილება გახსნილი იყო ქ.ოზურგეთში.

როდესაც ოსმალეთის ჯარები ბათუმიდან გავიდნენ და ბათუმი ინგლისელებმა დაიჭირეს, ჩვენი კომიტეტი ბათუმში გადავიდა. გავხსენით განყოფილებები მნიშვნელოვან წერტებში და გავშალეთ მუშაობა. ამავე დროს მოხდა იმ საქველმოქმედო საზოგადოების შეერთება ჩემი თავმჯდომარეობით, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ჩემი ინიციატივით, აგრეთვე, გამოვიდა კომიტეტის გაზეთი ,,სამუსლიმანო საქართველო''.

1918-1919 წლებში სამუსლიმანო საქართველოს ისტორია მეტად საინტერესოა სხვადასხვა ძალთა დაჯგუფებით საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ: ერთი მხრით, ინგლისელები თავისი ნაცადი აღმოსავლური პოლიტიკით, მეორე მხრით, მთლიანი და განუყოფელი მეფის რუსეთის მოტრფიალე დენიკინის ნაწილები, მესამე მხრით, თურქოფილები მუსავატისტური აზერბაიჯანიდან და სხვ. ქმნიდნენ ბათუმის ოლქში შეხუთულ ატმოსფეროს. საჭირო იყო თავგამოდებული ბრძოლა და ამ საშინელი მდგომარეობიდან ხალხის გამოყვანა სამშვიდობოზე. ეს დაჭიმული მდგომარეობა და ბრძოლა საწინააღმდეგო ტენდენციებთან გრძელდებოდა 1919 წლის აგვისტომდე. ამ დროისათვის ჩვენმა მუშაობამ სათანადო ნაყოფი გამოიღო; სამუსლიმანო საქართველოს კომიტეტმა, ჩემი თავმჯდომარეობით, მოიწვია ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც დაადგინა, რომ სამუსლიმანო საქართველო საქრისტიანოს განუყოფელი ნაწილია, ავტონომიურად უერთდება საქართველოს, და ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად ირჩევს მეჯლისს, რომლის თავმჯდომარედ ამირჩიეს მე. მეჯლისის წინაშე დადგა მეტად რთული ამოცანები. მეჯლისმა განაგრძო მუშაობა აწინდელი გზით და ამ მუშაობისათვის უფრო ფართო სარბიელი შეიქმნა. ბრძოლისა და მუშაობის ამ ხაზითაც არა ერთი და ორი უსიამოვნება შემხვედრია. დენიკინის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ცდილობდნენ ჩემს დატუსაღებას, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკურმა მთავრობამ უხეშად დაარღვია თავისი დაპირება და ავტონომია აღარ მოგვცა: მეჯლისი შეგვივიწროვა, გაზეთი დაგვიხურა, რითაც ისტორიულად დიდი შეცდომა დაუშვა სამუსლიმანო საქართველოს მიმართ. მენშევიკების ასეთი პოლიტიკის მიმართ ვაწარმოებდი სასტიკ ბრძოლას და სწორედ ამ ბრძოლაში მომისწრო საქართველოს გასაბჭოებამ.

1917 წელს ამირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად, ხოლო ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ – საქართველოს პარლამენტის წევრად.

არის ერთი მომენტი ჩემს საზოგადო ასპარეზზე მუშაობაში, რომელიც ღირსია ყურადღებისა.

რუსული იმპერიალიზმი ამიერკავკასიაში დიდი ენერგიით ავითარებდა ერთა შორის შუღლს და კაციჭამია-ზოოლოგიურ შოვინიზმს. კერძოდ, ეს შეეხება სომეხ და თურქ-მუსლიმან მოსახლეობას შორის გამწვავებულ სიძულვილს, რომელსაც ლოცვა-კურთხევას აძლევდა თურქეთის იმპერიალიზმიც. მიუხედავად ინტერესთა წინააღმდეგობისა, ოსმალეთის და რუსეთის პირწავარდნილი იმპერიალიზმი ბრძოლისა და დაპყრობის პოლიტიკაში ერთნაირ მეთოდებს მიმართავდა. კავკასიის ერების განვითარების ისტორიაში, საუბედუროდ, არის რამდენიმე სამარცხვინო ფურცელი სომეხ-თათართა ურთიერთ ხოცვა-ჟლეტისა. ჩემდა საბედნიეროდ და რუსეთის ხელისუფლების ადგილობრივ ბობოლა და ხულიგან მოხელეთა საუბედუროდ უნდა ითქვას, რომ ბათუმის ოლქი აცდა ამ სამარცხვინო საქმეს. ეს მოხდა იმ ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, რომელსაც ადგილობრივი ინტელიგენცია აწარმოებდა. აი რამდენიმე ფაქტი: 1907 წელს ერთმა უცნობმა პირმა, რომელიც შემდეგში აღმოჩნდა სომეხი, მაგრამ გონებაშეშლილი, შემთხვევით დამჭრა ბულვარში; მომათავსეს საავადმყოფოში, სადაც ბათუმის ოლქის გუბერნატორმა მომიგზავნა თავისი კაცი და წინადადება მომცა: მიმეღო კაზაკების ასეული, რათა მიმესია იგი სომხებისათვის „სამაგიეროს“ მისაზღვევად. ვინმე ჭკუაშეშლილის მოქმედება, რომელმაც არც კი იცოდა, რას სჩადიოდა, როდესაც დამჭრა, უნდოდათ გამოეყენებინათ პროვოკაციისა და ხოცვა-ჟლეტის მოსაწყობად სომხების წინააღმდეგ. რასაკვირველია, გუბერნატორის წინადადება უარვყავი.

1905 წელს, ბაქოში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ბნელეთის მოციქულები ამუშავდნენ ბათუმის ოლქშიც და ცდილობდნენ აქაც დაენთოთ სომეხთა ხოცვა-ჟლეტის ჯოჯოხეთური ცეცხლი. ამ მიზნით, ერთ ღამეს პროვოკატორებმა ჩამოიარეს და წითელი საღებავით დაუსვეს ნიშნები სომხების სახლებს. ჩემთან მოვიდა მოხუცი სომეხი, სახელად მისაკი (გვარი არ მახსოვს) და მაუწყა ყველაფერი. ითხოვდა სასწრაფო შველას. ეს ამბავი ვაცნობე ადგილობრივად მომუშავე პროგრესულ ელემენტებს და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც ჩემთან ერთად სპეციალურად გამოყვეს თვალყურის სადევნელად მოწინავე მუშები; ამ ღონისძიების წყალობით შესაძლებელი გახდა ჯოჯოხეთური კოცონის თავიდან აცილება. ასეთი შემთხვევა განა ერთი და ორი იყო?! მაგრამ ვნახულობდით გამოსავალს და ხიფათს თავიდან ვიცილებდით.

1921 წლიდან – საქართველოს გასაბჭოების დღიდან – რევკომმა სცნო სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი და ავტონომიის სტატუსის მუხლების შემუშავებისათვის გამიწვიეს თბილისში.

ჩემი თბილისში ყოფნის დროს აირჩიეს სამუსლიმანო საქართველოს ახალი მეჯლისი ხასან ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაბჭოების შემდეგ დიდი გაუგებრობით – კერძოდ, თახსიმ ხიმშიაშვილის თურქოფილური ბეცი პოლიტიკით – ბევრი უსიამოვნება დამატყდა თავს. ხიმშიაშვილმა საკუთარი ინიციატივით აალელვა საბჭოთა ბათუმის ზოგიერთი წარმომადგენელი და დაუმსახურებელი მსხვერპლი გავხდი თახსიმის თურქოფილური ზრახვებისა, იმ ზრახვებისა, რომლითაც მან შემდეგშიაც „ისახელა თავი“, გულში დანერგილი თურქოფილობა საქმედ აქცია და განახლებული აჭარა კინაღამ დალუპა.

ჩემი გულწრფელობა სათანადოდ შეაფასა საბჭოთა ხელისუფლებამ და ჩემდამი დღემდისაც იჩენენ მზრუნველობას და პატივისცემას. მშრომელი ხალხის საქმის მოყვარული იმთავითვე ვიყავი და მას მით უმეტეს ახლა დიდ სიმპათიით და პატივისცემით ვეპყრობი.

მემედ აბაშიძე
1931 წელი

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს
განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

# „სამუსლიმანო საქართველო“

სამუსლიმანო საქართველოს განმათა-
ვისუფლებელ კომიტეტის ორგანო

შაბათი 14 თებერვალი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეჰელევის ქუჩა 7 № ბაღის ქ. №10. ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ფასი: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 300 მან. |
| 2 თვით | 200 მან. |
| 1 თვით | 100 მან. |

№293 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №293

## განცხადება

ბათომის ქალაქის გამგეობა მოუწოდებს მოქალაქეთ ყურადღებით მოექცნენ ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნებს, რომელიც დანიშნულია 1920 წლის 29 თებერვალს. იჩქარეთ მოქალაქენო, დარწმუნდეთ შეტანილი ხართ თუ არა საარჩევნო სიებში, რომელიც გამოფენილია ბათომის ქალაქის საბჭოს დარბაზში დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდის ყოველ დღე უქმეების გამოუკლებლათ.

(6–5).

## განცხადება

### ბათომის ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნებისათვის

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ შესწორება საარჩევნო სიებისა, მათში შეტანა გამოშვებულ პირებისა, საჩივრების მიღება და მათი განხილვის ვადა გაგრძელებულია 1920 წლის 18 თებერვლამდის.

(6–5) ბათომის ქალაქის გამგეობა.

## საქალაქო არჩევნებისათვის.

29 თებერვალს საქალაქო არჩევნები მოხდება. 18 ამ თვემდე ამრჩევლებს უფლება აქვთ მიაკითხონ ქალაქის თვითმართველობას, გადაათვალიერონ სიები და თუ გამოტოვებულნი არიან, მოითხოვონ მათი სიაში ჩაწერა. როგორც გადმოგვცემენ, ამწერლებს ბევრი ისეთი პირნი გამორჩენიათ, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ.

ქალაქის თვითმართველობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის, ქალაქის მცხოვრებთათვის. 29 ამ თვეს არჩეულ იქნებიან ქალაქის საბჭოს ხმოსნები. 29 ამ თვეს ბათუმის მოქალაქეებმა უნდა თქვან, თუ ვის ანდობენ ისინი ქალაქის ბედიღბალს. თუ ჩვენ ამ საკითხს გაორკეცებული ყურადღება არ მივაქციეთ, ქალაქი ხელში ჩაუვარდება ისეთ პირებს, რომლებიც უცხონი არიან ჩვენი ქალაქისათვის და რომლებიც ქალაქის თვითმართველობას გამოიყენებენ მხოლოთ და მხოლოთ მათი ინტერესებისათვის.

ჩვენი მოვალეობაა არ დავზოგოთ ენერგია, რათა ქალაქის ხმოსნებათ ღირსეული პირები იქნან არჩეულნი: ამისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ვისაც უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, არ დარჩნენ ამრჩეველთა სიის გარეშე.

მიაკითხეთ ქალაქის თვითმართველობას, გადაათვალიერეთ სიები და თუ გამოტოვებული ხართ, მოითხოვეთ, რომ სიაში ჩაგწერონ, არ დაივიწყოთ, რომ ხმის უფლება გაქვთ მხოლოდ 18 თებერვლამდე. შეასრულეთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა. ამას მოითხოვს თქვენგან ჩვენი სამშობლოს ინტერესები. არ დაივიწყოთ, რომ საქალაქო არჩევნები მოხდება 29 თებერვალს. ვინც საარჩევნო სიაში არ იქნება ჩაწერილი, მას უფლება ეკარგება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. 18 ამ თვემდე უფლება გაქვთ ქალაქის თვითმართველობაში გადაათვალიეროთ სიები და თუ გამოტოვებული ხართ, მოითხოვოთ, რომ სიაში ჩაგწერონ.

## პროვოკაცია.

ჩვენ რამდენჯერმე ხაზგასმით აგვინიშნავს ის გარემოება, რომ ბათუმსა და მის ოლქში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობის გამო ჩვენ მხარეში ბლომათ დაგროვდენ ისეთი პირები, რომელთა ხელობაა წყლის ამღვრევა და ამ საშვალებით თავის კერძო ინტერესების გაჩარხვა. სამწუხაროთ ამგვარ ვაჟბატონების მოქმედებას ფართე სარბიელი გაეხსნა აქ. სარგებლობენ რა ამით, ეს პირები და ჯგუფები არავითარ საშვალებას არ ერიდებიან, რომ მდგომარეობა რაც შეიძლება გაამწვავონ, შექმნან მცხოვრებლებში ნერვიულობა და მით თავის ბნელ განძრახვებს ხელი შეუწყონ.

ასეთ პირების უპირველესი იარაღი ყოველთვის იყო და არის პროვოკაცია. საპროვოკაციოთ კი ის-

ინი ყოველთვის ადვილათ პოულობენ აქ მასალებს. მაგალითად, ამ ბოლო დროს მოუხშირეს ხმების გავრცელებას, რომ თითქო ინგლისელები ძლიერ მალე დატოვებენ ბათუმს და წავლენ აქედან ისე, რომ არც კი გააგებინებენ თითქოს მათ წასვლას მცხოვრებლებს. ერთ მშვენიერ დღეს თითქოს გაიღვიძებენ რა დილით მცხოვრებლები, ერთ ინლისელსაც ვერ დაინახავენ აქ.

ვისთვის არ უნდა იყოს ცხადი, რომ ეს ხმები სრულიად არ შეეფერება სიმართლეს. ინგლისელებმა ბათუმისა და მისი ოლქის ევაკუაცია გამოაცხადეს მოკავშირეთა გადაწყვეტილების თანახმად. დიდ ბრიტანეთს მოკავშირეთა კონფერენციის მიერ დაევალა დროებით მოვლა-პატრონობა ბათუმისა და მისი ოლქისა. თუ გარემოება იცვლება და ინგლისელებმა უნდა დასტოვონ ბათუმი და ოლქი, ეს მოხდება არა ფარულად, არამედ აშკარათ და ეს ეცნობება, რა თქმა უნდა, მცხოვრებლებს, ეცნობებათ აგრეთვე ისიც, თუ ვის გადაეცემა ბათუმი და მისი ოლქი. რისთვის, რა მოსაზრებით უნდა დაუმალონ მცხოვრებლებს ინგლისელებმა წასვლა, თუ ეს უკანასკნელი გარემოება გადაწყვეტილია მოკავშირეების მიერ. არა თუ დიდი ბრიტანეთი, პაწაწინა სახელმწიფოც არ იკადრებს ფარულად აბარგებას და გაპარვას. ეს იმდენად ცხადია, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელებაც კი ზედმეტია. ეს იციან პროვოკატორებმაც, მარა ბნელი პირები აბა სიმართლეს ხომ არ მისდევენ. მათი საქმეა წყლის ამღვრევა, მცხოვრებლებში მღელვარების გამოწვევა და მით თავისი ბნელი საქმეების მოჭახრაკება. ეს ვაჟბატონები თავის პროვოკაციულ ხმებს სარჩულათ უდებენ იმ გარემოებას, რომ ინგლისის სარდლობამ აქედან მართლაც გაგზავნა თავის ჯარის ნაწილი. მართალია გაგზავნა, მარა იქნებ სამაგიერო ჯარი უკვე მოდის აქ. და ესეც რომ არ იყოს, განა პროვოკატორებმა არ იციან, რომ აქ საკმაო ჯარი დარჩა ინგლისელებისა? იციან, როგორ არ იციან, მარა პროვოკატორები რის პროვოკატორები იქნებიან, რომ სინამდვილეს ანგარიში გაუწიონ.

ზემოთ აღნიშნულ პროვოკაციულ ხმებს პროვოკატორებმა ზედ მიაყოლეს მეორე პროვოკაციაც: თითქო ბათუმის ოლქის დასავლეთის საზღვართან ათასობით ადგეს ოსმალეთის პოლკები, რომლებით თითქო მზათ არიან შემოიჭრან ოლქში, როგორც კი ინგლისელები გავლენ აქედან. ვინც ცოტათი მაინც იცნობს ოსმალეთის მდგომარეობას, მისთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს ის გარემოება, რომ ოსმალეთი სრულიადაც არ მოითხოვს ბათუმ-ყარს არდაგანს. ოსმალეთის როგორც ძველი კაბინეთი, ისე ახალი, ყველა მისი პარტიები მოითხოვენ ოსმალეთის ძველ საზღვრებს, ომამდე არსებულ საზღვრებს. ოსმალეთის მთელი ყურადღება იქეთკენაა მიპყრობილი, რომ მან რამეფრად შეინარჩუნოს 1914 წლის საზღვრები. და თუ ეს მოახერხა მან და შეძლო ამ მოთხოვნილების შესრულება, ეს იქნება დიდი გამარჯვება ოსმალეთისა. განა ყარს-არდაგან ბათუმისათვის სცალია ამჟამად ოსმალეთს? არა თუ 1914 წლის ტერიტორიის [illegible]ოვება, სტამბულის და სრუტეების საკითხიც [illegible]ჭრით არაა გამორკვეული. ოსმალეთის მდგომარეობა ისეთია, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ბრძოლა უდიდეს სახელმწიფოებთან. პროვოკატორების მიერ უხვად მობნეული ხმები, რომ თითქო მუსტაფა-ქემალ ფაშას რამდენიმე კორპუსები ჰყავდეს, ისეთი დიდი სიცრუეა, რომლითაც მხოლოდ სრულიად უცოდინარ ბნელ პიროვნებას თუ მოატყუილებენ. მუსტაფა-ქემალს რომ საკმაო ჯარი ჰყავდეს, უპირველეს ყოვლისა ის ხივასს და სმირნას გაანთავისუფლებდა. ისიც სიცრუა თითქო მუსტაფა-ქემალის ჯარები სოფელში იდგეს და თითქო თორმეტი ათასი კაცი მას მზათ ჰყავდეს ბათუმისაკენ დასაძრავათ. ასეთი ცრუ ხმებით ცდილობენ პროვოკატორები ჩვენ ხალხში მღელვარების გაღვივებას, ჩვენი ხალხის დამღუპველ გზაზე დაყენებას.

ამ პროვოკაციულ ხმებთან პროვოკატორებმა შეადუღეს კიდევ ერთი უდიდესი პროვოკაცია: ისინი დადიან და ავრცელებენ ცრუ ხმებს, თითქო საქართველოს მთავრობას არ სურდეს ქართველ მაჰმადიანებისათვის ავტონომიური მართვა-გამგეობა. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ეს საშინელი პროვოკაციაა. საქართველოს მთავრობას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი, რომ სამაჰმადიანო საქართველოს მიანიჭოს ავტონომია. საქართველოს მთავრობა ნიკოლოზ მეორის მთავრობა ხომ არ არის, რომ მან თავისი დაპირება არ შეასრულოს. საქართველოს მთავრობა მიტომ არის დემოკრატიული მთავრობა, რომ ის ხალხის მოთხოვნილების აღმასრულებელია, ხალხის სურვილების ცხოვრებაში გამტარებელია. ჩვენი ხალხის სურვილია, რომ ის ავტონომიურათ შეუერთდეს თავის დედა-სამშობლო საქართველოს. და ამ სურვილს ჩვენი ხალხისას პირნათლად შეასრულებს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა.

აი როგორი მოწოდებით მიმართა საქართველოს საუკეთესო შვილმა, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ სამუსლიმანო საქართველოს შვილთ:

„თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ: სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას. თვით მუსლიმანი ქართველების წარმომადგენელნი გამოსცემენ კანონებს, რომლითაც ისინი სამუსლიმანო საქართველოში თავის გემოზე და თავისი სინდისისამებრ მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებსა, მოაწესრიგებენ ადგილობრივ საქმეებს და მით დაამყარებენ თავის სამშობლო მხარეში ბედნიერებას."

ეს მოწოდება ასეთი სიტყვებით თავდება: „საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია, რომ თქვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენ, ქართველი მუსლიმანები, გაჰყვებით თქვენ რჩეულ მეთაურთ, რომელნიც საბოლოოთ დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირება იხსნის სამუსლიმანო საქართველოს და მის სრულ თავისუფლებას უზრუნველყოფს.

გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში. ასეთია განცხადება საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასი. ასეთია გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტისა, მთელი ქართველი ხალხისა. განა ვინმე ჭკუათმყოფელი, გარდა პროვოკატორისა, იტყვის, რომ ჩვენი დედა-სამშობლო საქართველო ამ სიტყვებს გადაუხვევს?! არასოდეს.

მე და ჩემთან ერთად სხვებსაც ღრმათ ჩაგვწვდა გულში ნოე ჟორდანიას სიტყვა, რომლითაც მან მიმართა თფილისში ჩვენი მეჯლისის წარმომადგენლებს. მან თავისი სიტყვა ასე დაასრულა:

„ჩვენი სიტყვა ბეჭედია. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სიტყვაც ასევე მტკიცეა".

დიახ, სიტყვა ქართველი ხალხისა, მისი ღირსეულ ბელადისა მტკიცეა, ბეჭედია, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ პროვოკატორებს სულ სხვა სწადიათ, მათ სურთ ჩვენი ხალხი მოატყუონ ისე, როგორც ყოველთვის ატყუებდენ. მათ სურთ ჩვენი ხალხი საშინელ ავანტიურის გზაზე იყოლიონ და აგემონ ის შავბნელი დღეები, რაც მათ არა ერთხელ და ორხელ აგემეს ჩვენ ხალხს.

კმარა. გვაკმარონ ამ ვაჟბატონებმა ის უბედურება, რაც მათი მეოხებით გამოგვიცდია. გვაკმარონ ტანჯვა-ვაება, რაც მათ ჩვენთვის მოუყენებიათ.

ჩვენ ვაფრთხილებთ სამუსლიმანო საქართველოს შვილთ: არ აჰყვენ პროვოკაციას, არ გაებათ პროვოკატორების ქსელში და მით არ დალუპონ თავის თავი და ჩვენი კუთხის ბედ-იღბალი.

---

# ახალი ამბები.

✦ ბათუმის ქალაქის გამგეობა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ 1920 წლის 9 იანვარს გამოცხადებულ განკარგულების დამატებით, ამით აუწყებს ქ. ბათუმის მცხოვრებთ მონაწერს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საარჩევნო დებულებიდან: მუხლი 4; წინასწარი მუშაობისათვის ხმოსნების ასარჩევათ დანიშნულია შემდეგი ვადები:

ა) ამრჩეველთა მიერ საარჩევნო სიების გადათვალიერება, განცხადების მიცემა მათ მიერ, ვინც სიაში გამოტოვებულია და განხილვა გამგეობის მიერ საჩივრებისა მოხდება 3-დან 18 თებერვლამდე 1920 წ.

ბ) განსაჩივრება გამგეობის გადაწყვეტილების განსაკუთრებით კომისიაში იმ პირთა მიერ, ვისაც გამგეობამ უარი უთხრა სიაში შეტანაზე და განხილვა ასეთ საჩივრებისა მოხდება 6-დან 19 თებერვლამდე.

გ) საარჩევნო სიები საბოლოოთ გამოცხადდება 20 თებერვალს.

დ) სხვა და სხვა ჯგუფების მიერ ასარჩევ სახმოსნო კანდიდატების სიების წარდგენა მოხდება 19-დან 21 თებერვლამდე.

ე) საკანდიდატო სიების გამოქვეყნება ქალაქის გამგეობის მიერ 22 — 23 თებერვალს.

ვ) მიცემა საარჩევნო ბარათებისა, რომლებიც ამრჩევლებმა უნდა წარუდგინონ კომისიას 29 თებერვალს საარჩევნო დარბაზში შესვლის დროს — 20 თებერვლამდე. ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები — 29 თებ. 1920 წ. ხმების დათვლა 1 მარტს.

არჩევნების შედეგის გამოცხადება 2 მარტს.

✦ 12 თებერვლის გაზ. „საქართველო" შემდეგს წერს:

გუშინ საღამოთ ბათუმს გაემგზავრა მთავრობის წარმომადგენელი ბათუმში ბ. ხოჭოლავა. მის ჩასვლის შემდეგ იქაური კონსული ჩინიჯიშვილი გამოემგზავრება თბილისს. მდივნად ბ-ნ ხოჭოლავასთან დაინიშნება ალნიაშვილი.

✦ 12 თებერვალს, ღამით ლ. ფირცხალავას მაღაზიიდან (მიხაილოვ. ქუჩა №36) ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 56 დიუჟინი ბოქსის და შევროს ტყავი ღირებული 3 მილიონ მანეთად. ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

✦ აღძრულ იქნა შუამდგომლობა, რათა მთავრობის დაწესებულებათა შენობების შესაკეთებლად 300,000 მანეთი გადასდონ.

✦ ახლო ხანში ბათუმში შესდგება ესტონელთა საზოგადო კრება ეროვნულ საბჭოს დასაარსებლად.

---

# შავი ზღვის გუბერნიაში.

განმათავისუფლებელმა კომიტეტმა, რომელიც სათავეში უდგას შავი ზღვის გუბერნიის განთავისუფლებას, როგორც დენიკინის ჯარებისაგან, ისე ბოლშევიკებისაგან და რომელიც სავსებით დემოკრატიულ პლატფორმაზე დგას, შემდეგი მოწოდებით მიმართა მის მიერ განთავისუფლებულ სოჩის ოლქის მცხოვრებთ:

„ის საქმე, რომელიც დაკისრებული აქვს კომიტეტს, ნაწილობრივად უკვე შესრულებულია: მოხალისენი განდევნილ იქნენ სოჩის ოლქიდან. ოლქის მართვა-გამგეობა გადავიდა გლეხთა ყრილობის მიერ არჩეულ განმათავისუფლებელ კომიტეტის ხელში, რომელიც პასუხისმგებელია ხსენებულ ყრილობის წინაშე, რომელმაც მოაწყო რა მუშათა და გლეხთა ჯარი, თავს იდო დაიცვას თავის ტერიტორიაზე სრული წესრიგი და მშვიდობიანობა მანამ, სანამ შავი ზღვის დემოკრატია საგანგებო ყრილობაზე არ გამოსთქვამს თავის ნება-სურვილს, მოვუწოდე-

ბთ, ყველა მოქალაქეთ, რომელიც სოჩის ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მხარი დაუჭირონ განმათავისუფლებელ კომიტეტის მუშაობას, რომელიც მიმართულია ოლქში მშვიდობიანობისა და წესრიგის დამყარებისადმი, მოვუწოდებთ აგრეთვე მოქალაქეთა აუცილებლათ დაემორჩილონ კომიტეტს და მისი ორგანოების ყოველგვარ განკარგულებას".

იტყობინებიან, რომ მწვანე ჯარი (ჯარი კომიტეტისა) შავი ზღვის სანაპიროებში ყოველდღე მატულობს, უმთავრესად მათ რაზმებს ემატებათ დარღვეულ მოხალისეთა რაზმებიდან და აგრეთვე ბალშევიკებისაგანაც. ამ ბოლო დროს შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილოეთით, სადაც მოქმედებს ივანე მაკარენკო, მის მხარეზე გადავიდა ყუბანის რამდენიმე პოლკი, რომლებმაც უარი განაცხადეს წასულიყვნენ დონის ფრონტზე.

---

## სალამი საქართველოს.

(მოკავშირეების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო *).

საქართველო, სალამს გიძღვნით,
არა ვართ გამონაკლისი,
მტრები შემოგვესია,
უანგარიშო, ათასი...
მშვენიერი დღე დაგვიდგა,
გადვიხადოთ პარაკლისი,
მადლობა ღმერთს – მოვესწარით,
გავხდით ბედნიერ დღის ღირსი...
დღევანდელ დღეს მოგილოცავთ,
გასძელით ასი ათასი.

მემედ-ალა ჭყონია.

---

**არ უნდა დაგვეკარგოს არც ერთი ხმა საქალაქო არჩევნებში. ამწერლებს ბევრი გამორჩენიათ. 18 ამ თვემდე მოაკითხეთ ქალაქის თვითმართველობაში და თუ სიაში არ სწერიხართ, მოითხოვეთ რომ ჩაგწერონ.**

---

## ასოთ-ამწყობთა პროფ. კავშირის გარშემო.

როგორც ამას წინათ ვსწერდით, 7 თებერვლის კრებამ დაადგინა კორექტორები და გაზეთის თანამშრომლები მიღებულ იქნან ასოთ-ამწყ. პროფ. კავშირში წევრებათ. ზოგიერთ ვაჟბატონებს განუძრახავთ ეს დადგენილება ბოროტათ გამოიყენონ და ჩვენი კავშირი დენიკინელებით გაავსონ.

დენიკინელთა გაზეთის „ნაშ კრაის" რედაქციიდან მოვლენილი ერთი ყმაწვილი 12 თებერვალს გამგეობის კრებაზე უკვე გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობდა. ამგვარად, როგორც სჩანს, კავშირის დღევანდელ გამგეობას დენიკინელი ყმაწვილი გამგეობის წევრათაც აურჩევია. აშკარაა დენიკინელთა მონათესავენი არც ისე მცირე ყოფილა კავშირის დღევანდელ გამგეობაში. ცხადია, გამგეობას არ ჰქონდა უფლება გამგეობის ახალ წევრათ აერჩია ვინმე საზოგადო კრების დაუკითხავათ, და საზოგადო კრების დადგენილებათა ბოროტათ გამოყენება არავის ეპატიება, მით უმეტეს არ ეპატიება ეს გამგეობის წევრებს. მაგრამ ბაგრატოვ-ვიგნანსკი და კომპანია ამას ნაკლებათ დაგიდევს. ეს ჯგუფი თუ „ნაშ კრაიდან" შეძენილ ყმაწვილებს არ მივათვლით 12 – 15 კაცისაგან შედგება. კავშირში კი 40 – 50 კაცამდე ითვლება წევრი და ეს 12 კაციანი ჯგუფი შეიკრიბა რა 18 იანვარს, თავის თავი კავშირის ბატონ-პატრონათ გამოაცხადეს. (7 კაცი – გამგეობის წევრი, ორი კანდიდატი და სამი სარევიზიო კომისიის წევრი). ამგვარად არჩეულმა გამგეობამ 7 თებერვალს საზოგადო კრებაზე განაცხადა, რომ გამგეობის ხაზინადარმა აშკინიზიმ შემოსავალ-გასავალის წიგნი და ფულის ანგარიშები დაჰკარგაო. ყოფილი ხაზინადარის მაგიერ გამგეობას თითონ აურჩევნია ახალი ხაზინადარი. ამგვარად, როგორც მკითხველი ხედავს, კავშირის გამგეობა სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს. კიდევ მეტი, ის თავის გემოზე ხმარობს საზოგადო კრების უფლებებსაც კი.

გამგეობის წევრ ვიგნანსკის სიტყვით კავშირში წევრათ „ნაშ კრაი"-დან უნდა მიიღონ: ორი „ხრონიკიორი", ერთი ექსპედიტორი, ერთი კორექტორი და ერთიც კანტორაში მომსახურე ქალი. ადვილი შესაძლებელია, დენიკინელებს ჩვენს კავშირში უმრავლესობა თუ არა, საგრძნობი ჯგუფი მაინც შექმნან. არც ის იქნება გასაკვირი, რომ ხვალ თუ ზეგ კიდევ მოგვევლინოს „ნაშ კრაის" რედაქციიდან კორექტორ-ექსპედიტორ-ხრონიკიორ-კანტორშჩიცების მეორე წყება კავშირში ჩასაწერად, და იჭვი არ არის, ბაგრატოვ-ვიგნანსკი დიდის მოწიწებით მიიღებენ მათ.

ჩვენ არ ვიცით, რამდენს უპირებს „ნაშ კრაის" რედაქციიდან მოვლენილ ყმაწვილებს კავშირის გამგეობაში გაბატონებულ ბაგრატოვ-ვიგნანსკის ჯგუფი. მხოლოდ ის კი აშკარაა, რომ ერთი დენიკინელი უკვე წამოუსკუპებიათ ჩვენი კავშირის სათავეში...

რა უფლება ჰქონდა მას გამგეობას, მიეღო აგრეთვე და ხაზინადარათაც არეჩია ის პიროვნება, რომელსაც თვით გამგეობის თავჯდომარემ რვა ათასი მანეთის მითვისება დასწამა?

ბაგრატოვ-ვიგნანსკების განძრახვა ჩვენთვის აშკარაა – კავშირის საქმეები კერძო მიზნებისათვის აინტერესებთ. ამ შემთხვევაში კი „ნაშ კრაის" ყმა-

---

*) რედაქციას ამ ლექსის დაბეჭდვა დაუგვიანდა, რის გამო ის ბოდიშს იხდის პატივცემულ ავტორის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვილებს მშვენივრად გამოადგებათ. ალბათ ამიტომაც ჩაფრენიან მათ კალთაში და კავშირისაკენ ეწინებიან. სულ ადვილი მოსალოდნელია ამგვარად ბ-ნი ფრანჩენსკო მოგვევლინოს კავშირის წევრათ. კავშირის წევრებმა ამ გარემოებას შესაფერისი ყურადღება უნდა მიაქციონ და ბაგრატოვების თავაშვებულ მოქმედებას ბოლო მოუღონ.

კავშირის წევრებათ მიღებულ უნდა იქნან გაზეთის კორექტორ თანამშრომლები მხოლოდ საზოგადო კრების მიერ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი კავშირი დენიკინელთა დღლიყანდებით გაიჭედება.

სტამბის მუშა.

---

ვინც ქალაქის არჩევნებს უყურადღებოთ მოეპყრობა, ვისაც უფლება აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და ამ თვემდე არ ჩაეწერება ამრჩევლათ, ის სიაში გამოტოვებულია, ასეთი მოქალაქე სამშობლოს მტერია.

---

# დაიკარგა

ვარლამ გიორგისძე ჯაშის პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქართ. რეს. ბათუმის კონსულიდგან 29 სექტემბერს 1919 წ. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

185. (1–1)

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

სამშაბათი 17 თებერვალი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მეჰმედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი. შეპელევის ქუჩა 7 № ბალის ქ. №10. ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 300 მან. |
| 2 თვით | 200 მან. |
| 1 თვით | 100 მან. |

№295 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №295

## განცხადება

ბათომის ქალაქის გამგეობა მოუწოდებს მოქალაქეთ ყურადღებით მოეკცნენ ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნებს, რომელიც დანიშნულია 1920 წლის 29 თებერვალს. იჩქარეთ მოქალაქენო, დარწმუნდეთ შეტანილი ხართ თუ არა საარჩევნო სიებში, რომელიც გამოფენილია ბათომის ქალაქის საბჭოს დარბაზში დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდის ყოველ დღე უქმების გამოუკლებლათ.

180. (6—6).

## განცხადება
### ბათომის ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნებისათვის

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ შესწორება საარჩევნო სიებისა, მათში შეტანა გამოშვებულ პირებისა, საჩივრების მიღება და მათი განხილვის ვადა გაგრძელებულია 1920 წლის 18 თებერვლამდის.

(6—6). **ბათომის ქალაქის გამგეობა.**

## საქალაქო არჩევნებისათვის.

29 თებერვალს საქალაქო არჩევნები მოხდება. 18 ამ თვემდე ამრჩევლებს უფლება აქვთ მიაკითხონ ქალაქის თვითმართველობას, გადაათვალიერონ სიები და თუ გამოტოვებულნი არიან, მოითხოვონ მათი სიაში ჩაწერა. როგორც გადმოგვცემენ, ამწერლებს ბევრი ისეთი პირნი გამორჩენიათ, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ.

ქალაქის თვითმართველობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის, ქალაქის მცხოვრებთათვის. 29 ამ თვეს არჩეულ იქნებიან ქალაქის საბჭოს ხმოსნები. 29 ამ თვეს ბათუმის მოქალაქეებმა უნდა თქვან, თუ ვის ანდობენ ისინი ქალაქის ბედიღბალს. თუ ჩვენ ამ საკითხს გაორკეცებული ყურადღება არ მივაქციეთ, ქალაქი ხელში ჩაუვარდება ისეთ პირებს, რომლებიც უცხონი არიან ჩვენი ქალაქისათვის და რომლებიც ქალაქის თვითმართველობას გამოიყენებენ მხოლოთ და მხოლოთ მათი ინტერესებისათვის.

ჩვენი მოვალეობაა არ დავზოგოთ ენერგია, რათა ქალაქის ხმოსნებათ ღირსეული პირები იქნან არჩეულნი: ამისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ვისაც უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, არ დარჩნენ ამრჩეველთა სიის გარეშე.

მიაკითხეთ ქალაქის თვითმართველობას, გადაათვალიერეთ სიები და თუ გამოტოვებული ხართ, მოითხოვეთ, რომ სიაში ჩაგწერონ, არ დაივიწყოთ, რომ ხმის უფლება გაქვთ მხოლოდ 18 თებერვლამდე. შეასრულეთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა. ამას მოითხოვს თქვენგან ჩვენი სამშობლოს ინტერესები. არ დაივიწყოთ, რომ საქალაქო არჩევნები მოხდება 29 თებერვალს. ვინც საარჩევნო სიაში არ იქნება ჩაწერილი, მას უფლება ეკარგება არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. 18 ამ თვემდე უფლება გაქვთ ქალაქის თვითმართველობაში გადაათვალიეროთ სიები და თუ გამოტოვებული ხართ, მოითხოვოთ, რომ სიაში ჩაგწერონ.

## მუსლიმან ქართველებს.

*ღვიძლო ძმებო!*

დიდი ტანჯვა-ვაებით უცდია ჩვენ ხალხს. დიდხანს უბატონებიათ ჩვენზე უცხოელებს. დიდი შეურაცხყოფა, დიდი წვალება მოუყენებიათ მათ ჩვენთვის. გავიხსენოთ თუნდ რუსეთის თვითმპყრობელობის მსახურთაგან ამ ბოლო დროს მოყენებული უბედურება, როცა 1915 წ. ლიახოვები და გუბსკები ცეცხლითა და მახვილით შემოგვესიენ, ჩვენი ქვეყნიდან გადაგვრეკეს, ჩვენი სახლ-კარი გადაწვეს, ჩვენი ძმები ზოგი ჩამოახრჩვეს და ზოგსაც უცხოეთში ამოხდა სული.

რუსეთის თვითმპყრობელობას გადაწყვეტილი ქონდა, რომ ჩვენ სავსებით გავენადგურებიეთ, სავსებით ავეყარეთ ჩვენ საყვარელ მიწა-წყალიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩვენ სამოსახლოზე რუსეთის ყაზახები ჩამოესახლებინათ.

მთელი ქართველობა აღაშფოთა თვითმპყრობელობის ასეთმა ვერაგულმა საქციელმა. მთელი ქართველი ერი აღსდგა და დაემუქრა თვითმპყრობელობას, რომ თუ ის ქართველ მუსლიმანების ტანჯვასა და წამებას თავს არ გაანებებდა, ქართველი ერი აჯანყდებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მოამაგემ, ჩვენმა მოძმე აკაკი ჩხენკელმა, რომელიც მაშინ სახელმწიფო დუმის დეპუტატი იყო, მთელ ქვეყანას ამცნო თვითმპყრობელობის მიერ ჩვენამდი მოყენებული ვაება, მან მოითხოვა ქართველი ერის სახელით, რომ ჩვენთვის ხელი არ ეხლოთ.

ქართველი ვექილები თავს გვევლებოდენ, იცავდენ თვითმპყრობელობის მსახურების მიერ საპყრობილეში უსამართლოდ ჩამწყვდეულ ჩვენ ძმებს. ბევრი ჩვენი მოძმე იხსნეს მათ სახრჩობელისაგან. ბევრ მამასა და დედას, ძმათა და დას შეაშვრეს თვალზე მათ ცრემლები.

მშობლიურმა გრძნობამ იფეთქა, ძმამ ვერ მოითმინა ძმის ტანჯვა-ვაება, ერთმა ძმამ — ქართველ ქრისტიანებმა — მეორე ძმას — ქართველ მუსლიმანებს — ძმური ხელი გამოგვიწოდა. ნათქვამია: ძმა გასაჭირში იცნობისო. მოგვადგა გასაჭირი და დაგვეხმარენ ჩვენი ძმები, გვიხსნეს უბედურებისაგან. — ძმა ძმისთვინა, შავ დღისთვინაო, — ამბობს ხალხური სიბრძნე. და ეს სიბრძნე გაამართლეს ჩვენმა ძმებმა.

გადავრჩით უბედურებას, და ცოტა უფრო იმედიანათ ამოვისუნთქეთ. მალე თვითმპყრობელობის ტახტიც დაინგრა. ჩვენი იმედი გაორკეცდა, ომიანობა შეწყდა. და წამოდგა საკითხი პატარა ერების განთავისუფლებისა, განთავისუფლდენ ადერბეიჯანი, საქართველო. დადგა ჩვენი განთავისუფლების ჟამიც. დადგა დრო, როცა ჩვენც უნდა გავთბეთ თავისუფლების სხივით, როცა განთავისუფლებულ დედა-სამშობლო საქართველოს ფარგლებში უნდა შევიდეთ ფართო ავტონომიურ საფუძველზე, როცა თვით ჩვენ უნდა გავხდეთ ჩვენი ბატონ-პატრონი, როცა თვით ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი საშინაო საქმეებში სრული თავისუფალნი.

აი, ასეთი დიდებული დრო დაგვიდგა.

აი, ასეთი ბედნიერება უნდა მოგვენიჭოს. მარა დროს მოხმარება უნდა. თუ ეს ჩვენთვის ხელსაყრელი დრო გავუშვით, თუ ასეთი დრო ვერ ვისარგებლეთ, თუ კარგად არ ჩავუკვირდით გარემოებას და თუ ახლა შევცდით, მერე შეიძლება არც კი დაგვიდგეს ასეთი დრო, და ჩვენი შეცდომა დაგვღუპავს, კვლავ მონობაში დავრჩებით და ჩვენი შთამომავალი არ გვიპატიებს ამას.

ზოგიერთები გვეუბნებიან, რომ ჩვენ ოსმალეთს უნდა შევუერთდეთო. კარგად ჩაუკვირდეთ: შესრულდება ეს თუ არა.

ოსმალეთმა ომი წააგო. შეთანხმების სახელმწიფოები: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია მას ანაწილებენ. მას ჩამოაცალეს სირია, მესოპოტამია, პალესტინა — მთელი არაბეთი. თვით სტამბულის ბედზეა ახლა დავა. ოსმალეთი მოითხოვს, რომ ის აღდგენილ იქნას 1914 წლის საზღვრებში. თქვენ კარგად იცით, რომ ბათუმის ოლქი ამ საზღვრებში არ შედიოდა. ბათუმის ოლქს ოსმალეთი არ მოითხოვს. და არ მოითხოვს მიტომ, რომ მან ძლიერ კარგად იცის, რომ მას არათუ 1914 წ. ტერიტორიას გაუფართოვებენ, არამედ ამ ტერიტორიიდან ზოგი ნაწილი უკვე ჩამოსჭრეს, ზოგსაც ახლა უპირებენ ჩამოჭრას. თუ ოსმალეთმა მოახერხა და 1914 წლის საზღვრები შეინარჩუნა, ეს დიდი გამარჯვება იქნება ოსმალეთისა.

ჩემო ღვიძლო ძმებო! მე არ მივცემ ჩემს თავს ნებას, რომ სიმართლე არ მოგახსენოთ. და რაც გითხარით, ეს ჭეშმარიტებაა. ასეთია ოსმალეთის მდგომარეობა, სამწუხაროა ეს, მარა ეს ასეა, ეს მწარე სინამდვილეა.

თქვენთან კი მოდიან ზოგიერთები და გეუბნებიან ტყუილს, თითქო ხოფეში ოსმალეთს რამდენიმე ათასეული ყავდეს ბათუმის დასაკავებლათ: თითქოს ეს ჯარი მაშინვე წამოვა ბათუმისაკენ, თუ რომ თქვენ თოფს აიღებთ ხელში.

ეს არაა სიმართლე, ოსმალეთი ბათუმისაკენ ჯარს არ დაძრავს. მას დასახსნელი და დასაცავი სხვა ბევრი ქალაქი აქვს, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი, მისთვის უფრო საარსებო. მას სჭირია სივასის დაცვა, მას სჭირია სმირნის დაცვა, რომელსაც ბერძნებს აძლევენ. სად სცალია მას ბათუმისათვის...

და თქვენ გატყუებენ ძმებო! უნდათ საშინელ დღეებში ჩაგვაგდონ; უნდათ, რომ ჩვენი ქვეყანა სისხლით მოირწყას, კერძო ინტერესებით შეპყრობილი პირები შემოგვესიენ და მათი კერძო ინტერესებისათვის მათ თქვენი სისხლი დასჭირდათ. რათ არ მიჰხედავენ ღმერთს ეს პირები, რათ შეჰყავხართ მათ შეცდომაში.

ჩაუკვირდით მდგომარეობას. კარგად მიიკითხმოიკითხეთ, თქვენც ჭკუა გაქვთ, გონება გაქვთ. ნუ მოატყუებიებთ თავს კერძო ინტერესებით შეპყრობილ პირებს.

რუსებსაც განუძრახავთ ჩვენი მოტყუილება. ის რუსის ჩინოვნიკები, ის დენიკინელები, ის გუბსკები, რომლებიც მათრახებით დაგვდევდენ, რომლებმაც გვაწამეს და გვტანჯეს, ახლა მობრძანებულან ჩვენთან და მეგობრობას გვეფიცებიან! ამ დრომდი დაპყრობით, დენიკინით გვემუქრებოდენ — მოვა დენიკინი და გაყურებიებთ სეირსო — ახლა კი გვეუბნებიან: იარაღი აიღეთ, დაგეხმარებით, ქართველები არ ჩამოუშვათო.

ძმებო! ნუ თუ ვინმე მართლა ფიქრობს, რომ რუსებს ჩვენი კარგი სურს? მათ სურთ ჩვენი დაპყრობა, მათ სურთ ჩვენზე ბატონობა ისე, როგორც წინეთ ბატონობდნენ, მათ სურთ, რომ ჩვენ არ შევუერთდეთ საქართველოს. და ეს სურთ მიტომ, რომ არ უნდათ ჩვენთვის თავისუფლება, არ უნდათ ჩვენი გაძლიერება, მათ უნდათ ჩვენ მარტონი ვიყოთ, ვიყოთ სუსტნი, რომ შემდეგ როცა დროს იხელთებენ, მოგვდგენ და თოფის კონდახებითა და

ხიშტებით დაგვიმონონ. მათ უნდათ წაგვკიდონ საქართველოს, მათ უნდათ, რომ ისეთი საქმე ჩაგვადენინონ, რაც შემდეგ ჩვენ ძმებთან — ქართველ ქრისტიანებთან — ვერ შეგვარიგებს. მათ სურთ, რომ ორ ძმას შუა მუდამ დუშმანობა იყოს დათესილი.

აი რა უნდა მათ. და მიტომაა, რომ გველაქუცებიან, ვითომდა დიდი მეგობრები არიან ჩვენი. ნუ თუ ამ დრომდის ვერ ვიცანით ესენი?!. განა ესენი არ არიან, რომ ჩვენს ოლქში არსად არ გაგვიკარეს მართვა გამგეობის საქმეში? განა ესენი არ არიან, რომ ყოველთვის და ყველგან გვდევნიდენ?

და განა ამათ უნდა ვენდოთ? არასოდეს.

ჩვენი ერთად-ერთი გზა, ერთად-ერთი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია. ფართე ავტონომია საქართველოს ფარგლებში, აი რა გვიხსნის ჩვენ. სხვა გზა არ არის.

ზოგიერთები ავრცელებენ ცრუ ხმებს, რომ თითქო ჩვენ საქართველო ფართე ავტონომიას არ მოგვცემს. და ასეთ ხმებს ავრცელებენ მიტომ, რომ თქვენ გული აგიცრუონ საქართველოზე. ტყუილს ამბობენ ეს პირები. საქართველოს მთავრობას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი ჩვენთვის ავტონომიის მონიჭება. საქართველოს მთავრობამ უკვე გამოაცხადა, რომ ის სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას ანიჭებს: აი, რა მოწოდებით მოგვმართა ჩვენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ყველასაგან პატივცემულმა, მთელ ქვეყანაში სახელგანთქმულმა ნოე ჟორდანიამ:

„თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას.

თვით მუსლიმანი ქართველების წარმომადგენელნი გამოსცემენ კანონებს, რომლითაც ისინი სამუსლიმანო საქართველოში თავის გემოზე და თავისი სინდისისამებრ მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებსა, მოაწესრიგებენ ადგილობრივ საქმეებს და მით დაამყარებენ თავის სამშობლო მხარეში ბედნიერებას.“

და საქართველოს მთავრობა ამ თავის გადაწყვეტილებას არასოდეს არ უარყოფს.

ეს იცის ყველამ. ეს იციან ოსმალეთის საუკეთესო მოღვაწეებმაც. იციან, რომ საქართველოს მთავრობა შეასრულებს თავის გადაწყვეტილებას. მიტომაც გვირჩიეს ჩვენ ოსმალეთის ყველა საუკეთესო მოღვაწეებმა, რომ ჩვენ შევუერთდეთ საქართველოს ავტონომიურათ.

ძმებო! დიდი სიფრთხილე გვმართებს. არ აჰყვეთ მატყუარებს. არ აჰყვეთ კერძო ინტერესებით შეპყრობილ პირებს. არ აჰყვეთ მათ, თორემ დავიღუპებით. ჩვენი ქვეყანა განადგურდება, ჩვენი სინდისი შეიბღალება, მუდამ თითით საჩვენებელნი გავხდებით, მუდამ მოღალატის სახელი გვერქმევა და ჩვენი თავისუფლების საქმეც დაიმარხება. არ ჩავიდინოთ სამარცხვინო საქმე, არ გავიტეხოთ სამუდამოთ სახელი.

გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია. ფართე ავტონომია საქართველოს ფარგლებში — აი რა გვიხსნის ჩვენ. სხვა გზა არაა.

იყოს კურთხევა ალლაჰის თქვენზედა.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე **მემედ-ბეგ აბაშიძე.**

---

**არ უნდა დაგვეკარგოს არც ერთი ხმა საქალაქო არჩევნებში. ამწერლებს ბევრი გამორჩენიათ. 18 ამ თვემდე მოაკითხეთ ქალაქის თვითმართველობაში და თუ სიაში არ სწერიხართ, მოითხოვეთ რომ ჩაგწერონ.**

---

# ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ ბათუმის გენერალ გუბერნატორი კუკ-კოლისი 14 თებერვალს უკვე დაბრუნდა სტამბულიდან.

◆ ამ დღეებში საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნდა ორი ათასამდე რუსი ჯარისკაცი აფიცრებით. გემი მიუახლოვდა რა ადესას, ბალშევიკებმა მათ სროლა აუტეხეს და გემი უკან დაბრუნებული, ჯარისკაცებით ბათუმის ნავთსადგურს მოადგა, აქაც ნება არ დართეს მათ ნაპირზე გადმოვიდენ. გემი ჯარისკაცებით ამ დღეებში ნოვოროსიისკისაკენ წავა.

◆ ამ დღეებში სასურსათო თვითმართველობა შეუდგა ქალაქის მცხოვრებლებზე შაქრის დარიგებას სულზე ნახევარი გირვანქის.

◆ სასურსათო თვითმართველობას ამჟამად მოეპოვება 465 ფუთი შაქარი. მიღებულია ზომები კიდევ შესაძენად.

◆ სამხედრო გუბერნატორმა პოლკ. გარისმა განკარგულება გასცა 16 თებერვალს: დღის 12 საათამდე სახლის პატრონებმა გასწმინდონ თავიანთი ბინის წინ თხრილები თოვლისაგან, რათა ქუჩაში დამდგარ წყალს გზა მიეცეს.

---

**არ დაკარგოთ ხმა საქალაქო არჩევნებში, რომელიც 29 თებერვალს არის დანიშნული. მიაკითხეთ ქალაქის თვითმართველობაში და გაიგეთ: შეტანილი ხართ სიაში თუ არა, თუ გამოტოვებული ხართ, 18 ამ თვემდე უფლება გაქვთ მოითხოვოთ, რომ სიაში ჩაგწერონ.**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი ჩემს ძმებს ქართველ მუსლიმანებს.

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოვათავსო შემდეგი.

იმ პროვოკაციის შესახებ, რასაც ავრცელებენ ჩვენში ჩვენი ქვეყნის დამღუპველები, თუმცა თქვენი გაზეთის 14 თებერვლის ნომერში უკვე იყო ვრცელი წერილი მოთავსებული, მაგრამ მე მაინც საჭიროთ ვთვლი, როგორც სამუსლიმანო საქართველოს შვილი, მივმართო ჩვენ თანამემამულეებს და გადაჭრით განვუცხადო:

სიტყვა და გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა — ბეჭედია. დიახ, სიტყვა საქართველოს ღირსეული ბელადის ბატონ ნოე ჟორდანიასი — მტკიცეა. მან მოგვმართა ჩვენ მუსლიმან ქართველებს, მოწოდებით და ალგვითქვა, რომ სამუსლიმანო საქართველოს აუცილებლათ მოენიჭება ავტონომია და ეს სიტყვა უსათუოდ შესრულდება.

თუ არ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა დაიღუპოს, თუ არ გვინდა, რომ მტერები გავახაროთ, ნუ აჰყვებით პროვოკატორებს. ჩავუფიქრდეთ მდგომარეობას და ისე მოვიქცეთ. იქონიეთ შორს მჭვრეტელობა და წინ დახედულება, რათა არ გაებათ პროვოკატორების ქსელში.

ერთად-ერთი სწორი გზა ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის ის არის, რასაც ადგია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი. ჩვენი ხსნა საქართველოსთან ერთობაშია ჩვენი ქვეყნისადმი ფართე ავტონომიის მინიჭებით.

ფრთხილათ, არ აჰყვეთ ჩვენი ქვეყნის დამღუპველ პირებს.

გენ. ასლან აბაშიძე.

## ნინო ვადაჭკორიას ხსოვნას

დავკარგეთ, სამუდამოთ დავკარგეთ ჯერ კიდევ გაუფურჩქნელი ვარდი. დავკარგეთ საუკეთესო ამხანაგი, შავს მიწას მივაბარეთ ჩვენი ნინო, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენთან იყო, იზიარებდა ჩვენს ახალგაზდურ სიხარულს და ახალგაზდურ წყენას. გამოგვთიშა, ულმობელმა სიკვდილმა წაგვართვა ის. მოკვდა. აწ ველარ ვნახავთ. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი გიმნაზია არსებობს. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ჩვენ ქართველმა მოწაფეებმა, ერთად მოვიყარეთ თავი ცოდნის ეროვნულ ტაძარში. დიდი ხანი არაა, რაც ჩვენ მშობლიურ ტკბილ ენაზე ვსწავლობთ და დიდი ხნის არ არის ჩვენი ამხანაგობა და და-ძმობა. მარა ჩვენ განსაკუთრებით ქალი მოწაფეები, ამხანაგურმა ტკბილმა გრძნობამ ისე შეგვიპყრო, თითქო ურთიერთთან დიდი ხნის მეგობრობა გვქონდეს.

და გვიყვარდა ჩვენ ჩვენი ნინო. გვიყვარდა ჩვენი გულითადი ამხანაგი.

გვიყვარდა და თითქო განგებას შეშურდა ჩვენი სიყვარული, მოგვტაცა ის. ძაძით შეიმოსა ჩვენი გული. აწ ის ჩვენ შორის არ იქნება. დაობლდა ის სკამი, რომელზედაც იჯდა ის. იქ აწ ნინოს ველარ დავინახავთ. დავობლდით უმისოდ ჩვენ.

და ჩვენ გლოვას საზლვარი არა აქვს. მწუხარების ცეცხლი უფრო ძლიერად ედება ჩვენს სულსა და გულს, როცა გავიგეთ, რომ მას თუმცა ყავდა დედა, მარა ეს დედა ყოველთვის მასთან ვერ იყო, რომ მხოლოდ მისი უკანასკნელი დღეების განმავლობაში ატკბობდა მას ცქერა მისი დედის ძუძუებისა.

ვინ იცის, იქნებ ეს იყო მიზეზი მისი უდროოთ დაკარგვისა.

მშვიდობით მეგობარო, ჩვენო გულითადო ამხანაგო ნინო. არ დაგივიწყებთ, არა, ვიდრე ცოცხალი ვართ, ყვავილებით მორთავენ შენს სამარეს და წმინდა ამხანაგურ ცრემლებს დააფრქვევენ მას.

შენი ამხანაგები.

---

ქალაქის საბჭოს დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის. არჩევნები მოხდება 29 თებერვალს. 18 ამ თვემდე ამრჩევლებს უფლება აქვთ, თუ სიაში გამოტოვებულნი არიან, ჩაეწერონ. არ დაივიწყოთ ეს. არ გამორჩეთ სიაში.

---

## წერილი ბარცხანიდან.

ბარცხანის სახელი ცნობილია და დაკავშირებულია 1900-05 წლების რევოლიუციონურ დუღილთან, მაგრამ ძლიერ შეცდებით თუ ეხლანდელ ხანას უწინდელ ბარცხანად დასახავთ. ახლანდელ ბარცხანას მხოლოდ სახელი შერჩენია ძველი ბარცხანის: „გაჰქრნენ, წავიდნენ ნეტარნი წუთნი". ბარცხანამაც მიილულა, მიიძინა და მიიძინა ისე მაგრად, რომ დღესაც ვერ დაუღწევია სალათას ძილისათვის თავი. ეხლანდელმა ბათუმის ბატონ-პატრონებმა ქალაქის ერთ მთლიან სხეულს ხელოვნურად, „სხვა და სხვა მოსაზრებით" ჩამოაგლიჯეს, განიმარტოვეს და როგორც ულირსი, უპატრონო ქუჩის ბავშვი, ქუჩაშივე გააგდეს, რითაც ძალათ წაართვეს კანონიერი ხმა მომავალ მნიშვნელოვან ქალაქის არჩევნებში.

ძველი საზოგადოებრივი ინტერესების პოლიტიკური აღმაფრენა და მტკიცე მუშური სული ვიწრო ეგოისტურ გრძნობებს სადღაც კუნჭულში მიუჩქმალავს და იქ, სადაც წინეთ გაისმოდა მუშათა მქუხარე ხმა სამართლიანობაზე და ჭეშმარიტებაზე — მოისმის მხოლოდ უსაქმურ მოქეიფეთა ჰარიალალეს ხმა.

მთელი ბარცხანა დაფარულია სამიკიტნოებით, რომელნიც სრულიად ბუნებრივად გახდნენ პრიტონებად სხვა და სხვა ჯურის ავაზაკთათვის.

ბარცხანის ამგვარ სურათში დისონანსი შეაქვს ერთი ჯგუფის მიერ გახსნილ უფასო სამკითხველოს, მაგრამ აქაც მკითხველს ძლიერ იშვიათად შეხ-

ვდებით, თუმცა იქვე ახლო მყოფ დუქნებში ბუზივით ირევა ბანქოს და ნარდის სათამაშოთ რიგში მდგომი ჩვენი დროის „ბოლშენიკები"... ამბობენ რომ ყოველივეს აქვს ბოლო ამ ქვეყანაზედ. კარგი კი იქნებოდა ბარცხანელთა ძილსაც მოელებოდეს ბოლო.

---

ვინც ქალაქის არჩევნებს უყურადღებოთ მოეპყრობა, ვისაც უფლება აქვს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და მაინც ამ თვემდე არ ჩაეწერება ამრჩევლათ, ის სიაში გამოტოვებულია, ასეთი მოქალაქე სამშობლოს მტერია.

---

## დ ა ი კ ა რ გ ა

მიხეილ დავითისძის კაკრიაშვილის საზღვარ გარეთ სავლელი პასპორტი მხცემული საქ. რესპუბ. კონსულის ქალ. ბათუმში 18 ნოემბერს 1919 წ. №882.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

191. (1—1).

## გ ა ნ ა ა ხ ლ დ ა

### რესტორანი „საქართველო".

მზადდება სასიამოვნო სადილი და ვახშამი ხელსაყრელ ფასებში, არის ყოველნაირი სასმელები. მასთან რესტორანში არის მოწყობილი ოთახები. სადილის და ვახშმის დროს უკრავს ვენის სიმებიანი ორკესტრი **კ. ი. გველესიანის** ხელმძღვანელობით. მიხაილოვის და სვიატოპოლკ-მირის კუთხე, სასტუმრო „ფრანციის" პირდაპირ. ჩასასვლელი სვიატოპოლკ-მირის ქუჩიდან.

პატივისცემით ამხანაგობა.

151. (15—1).

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

პარასკევი 20 თებერვალი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის ქუჩა 7 № ბაღის ქ. №10. ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ.“ რედაქციას.

ხელის მოწერა ფასი: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 300 მან. |
| 2 თვით | 200 მან. |
| 1 თვით | 100 მან. |

№297 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №297

სავაჭრო სამრეწველო ბანკის

„ცენტრობანკის“ აქციებზე ხელის მოწერა

დაიწყო და სწარმოებს

როგორც საქართველოს ყველა კუთხეებში,
ისე ბათუმშიაც

**17, 18, 19 და 20 თებერვალს.**

აქციებზე ხელის მოწერის მსურველთ ბათუმში შეუძლიათ მიმართონ საურთიერთო ბანკში დილის 9—2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.
ბანკის კასსა ღიაა დილის 9 1/2—1 საათამდე.

ბათუმის საორგანიზაციო კომიტეტი.

201 (0—1)

## სიფრთხილე, სიფრთხილე.

მეტად საბედისწერო ჟამი დაგვიდგა. ჩვენი ქვეყნის ორგულნი, ჩვენი განადგურების მომხრენი ჩვენს ოლქს უფსკრულისაკენ ეზიდებიან და ლამობენ უბედურების მორევში გადაგვჩეხონ.

შემოგვესიენ დენიკინელნი, ფაშების აგენტები და არავითარ საშვალებას არ ზოგავენ, რომ ხალხში არევ-დარევა შეიტანონ, ცხოვრება აგვიფორიაქონ, შავ-ბნელი დღეები გაგვიმეორონ. ბევრჯერ უცდია მათი წყალობით ჩვენ ხალხს აწიოკება-განადგურება, ბევრჯერ უცდია მწარე დღეები და აი ახლაც ამ შავ დღეების დაბრუნებას გვპირებენ.

ასე შემოგვესიენ 1914 წლის მიწურულშიაც. შემოგვესიენ და იწყეს დამღუპველი მაგალითი. იწყეს ხალხის დატყუილება, რომ ოსმალეთი თითქო ბათუმის ოლქში გზავნის მთელ კორპუსებს. ოღონდ თქვენ აიღეთ იარაღი, ოღონდ აყევით ჩვენ ხმას და მაშინვე ოსმალეთის კორპუსები აქ გაჩნდებიანო. ბევრი აიყოლიეს, ზოგი ძალდატანებით, ზოგი დატყუილებით. და თუ რა უბედურება მოგვაყენეს ამით, ეს ყოველმა ჩვენგანმა იცის. მოგვდგენ ლიახოვები და გუბსკები, აი ის გუბსკები, რომლებიც ახლა ვითომდა გვიმეგობრდებიან, და ცეცხლსა და მახვილს მისცეს ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ხალხი იძულებული გახდა აყრილიყო, მიეტოვებინა თავისი სახლ-კარი, წამოეკიდა ზურგზე თავისი ბარგი და საშინელ ზამთარში თავისი ცოლ-შვილით უცხოეთში გადახვეწილიყო. ბევრს გზაში ამოხდა სული, ბევრი გაწყდა სიცივისა და სიმშილისაგან, ბევრი ვერ დაუბრუნდა თავის სახლ-კარს. უცხო მხარეში გაიჭრა მათი სამარე, მშობლიურმა მიწა-წყალმა ვერ იხილა ისინი. ბევრია ასეთი საფლავები ჩვენი განამებულ მოძმეებისა ოსმალეთში.

და ახლა აღარ იკითხავთ, თუ როგორ გვეპყრობოდენ ოსმალეთში ის ვაჟბატონები, ვინც იყვნენ მიზეზი ესოდენ ჩვენი წამებისა? ეს კარგად იციან იმ ჩვენმა მოძმეებმა, ვისაც წილათ ხვდა თავის სამშობლო ქვეყნიდან გაქცევა და უცხოეთში წანწალი. არავითარი დახმარება, არავითარი ნუგეში. დახმარებას ვილან ჩიოდა, ხშირად სასაცილოთაც კი გვიგდებენ:

— ვერ დაეტიეთ თქვენ ალაგას, ვინ გთხოვდათ თოფი აიღეთ ხელშიო, — ასე გვეუბნებოდენ.

როგორც აქ, როცა რუსების ყაზახები გვაწიოკებდენ, ისე იქ, — ოსმალეთში, ისევ ჩვენი ძმები, ქართველი ქრისტიანები თუ გვეხმარებოდენ. სხვა დამხმარე ჩვენთვის არავინ იყო.

აი, ასე დაგვატყუილეს მაშინ. ჩაგვაგდეს ცეცხლში და მერე განზე გადგენ. ასე სურთ ფაშების აგენტებს ამჟამად ჩვენი დატყუილება, როგორც მაშინ გვეჩიჩინებოდენ იარაღი აიღეთ, ოსმალეთის კორპუსები საზღვარზე დგასო, ისე ახლაც გვეჩიჩინებიან: თოფებს სტაცეთ ხელი, ოსმალეთი დაგეხმარებათო. თუ მაშინ, როცა ოსმალეთი დიდ ძალას წარმოადგენდა, ვერაფრით ვერ დაგვეხმარა, განა ახლა შეძლებს ის ჩვენ დახმარებას?!. განა ახლა, როცა ის დაანაწილეს, როცა მას წაართვეს სირია, მესოპოტამია, პალესტინა, როცა მას სმირნა გამოართვეს ხელიდან, როცა დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს მოკავშირენი დაეპატრონენ, როცა ოსმალეთს თვით ვერ დაუტოვეს თავისი ტერიტორია, თავისი ქვეყნები, როცა მას მისი საკუთარი მხარეები გამოაცალეს, განა ის შეძლებს აქ ჯარების გამოგზავნას, განა მას ბათუმის ოლქს მისცემენ?!.. ბალღმაც კარგად უნდა იცოდეს, რომ ოსმალეთს ბათუმის ოლქს არავინ მისცემს. დიახ, ეს იმ-

დენათად ცხადია, რომ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი უნდა იყოს, მარა ფაშების აგენტები მაინც თავისას გაიძახიან, მაინც ატყუებენ ხალხს, მაინც უნდათ, რომ ჩვენი ქვეყანა განადგურდეს, ხალხი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდეს, ხალხი ანიოკდეს.

რათ სჭირიათ ჩვენ თავზე ასეთი უბედურების დატეხა ფაშების აგენტებს?

აი რათ:

ამ დღეებში ოსმალეთს მოკავშირეები წარუდგენენ საზავო პირობებს. სურთ მოაჩვენონ მოკავშირეებს, რომ ოსმალეთი ფეხზე დააყენებს არა მხოლოთ თავის ტერიტორიაზე მყოფ ხალხს, არამედ სხვებსაც. ე. ი. ჩვენი სისხლი სჭირიათ ფაშების აგენტებს თავის ავანტიურისათვის. აი, ამისათვის სურთ აგვანიოკონ, გაგვანადგურონ, გაგვიმეორონ 1914-15 წლების ტრაგედია. მათ ჩვენი ოლქი აინტერესებთ მხოლოთ იმისათვის, რომ გამოგვიყენონ თავის კერძო მიზნებისათვის. მათ კარგად იციან, რომ ბათუმს და მის ოლქს ოსმალეთს არ მისცემენ. იციან ეს, მარა გულში სხვა უდევთ. როცა შეისრულებენ მიზანს, როცა ჩვენი სისხლით თავის საქმეს გააკეთებენ, მერე მოჰკურცხლავენ აქედან და ჩვენ ამბავსაც კი არ იკითხავენ.

აი, ამისათვის დაძრწიან ჩვენში ფაშების აგენტები. ამისათვის სურთ მათ ჩვენი გაუბედურება. ამისათვის უნდათ ჩვენ უბედურებაზე თავისი საქმის გაჩარხვა.

დენიკინელებიც მოგვდგენ და ისინიც გვეჩიჩინებიან: საქართველოს შეეწინააღმდეგეთო.

ამათ რაღა უნდათ?

აი რა.

განა ჩვენთვის ცხადი არაა, რომ დენიკინელები ყოველ ღონის ძიებას ხმარობდენ და ხმარობენ, რომ ბათუმი და მისი ოლქი რუსებს დააპყრობიონ? დენიკინელთა მთელი ყურადღება იქეთკენაა მიპყრობილი, რომ ჩვენი ქვეყანა მათ დაიპყრონ, რომ ჩვენზე კვლავ იბატონონ, რომ ჩვენ კვლავ მათი მონები ვიყოთ.

მათი მთელი მოქმედება იმაში მდგომარეობდა და მდგომარეობს, რომ ჩვენ არ დავუკავშირდეთ ჩვენ დედა-სამშობლო საქართველოს, რომ ჩვენ მოწყვეტილი ვიყოთ ჩვენ მოძმეებისაგან. ეს მათ სჭირიათ მიტომ, რომ ჩვენ არ გავღონიერდეთ, არ გავძლიერდეთ. და მათ კარგად იციან, რომ თუ საქართველოსთან გავერთიანდებით ავტონომიურად, ეს დიდ ძალას შეგვმატებს და მაშინ რუსები ვერ დაგვიპყრობენ. მათ სურთ, რომ ჩვენ სუსტები ვიყოთ, რათა სუსტზე გაბატონება ადვილათ შესძლონ.

აი რატომ ჩაგვჩიჩინებენ რუსები, რომ ჩვენ საქართველოსთან არ ვიქონიოთ ერთობა. აი რისთვის არის, რომ ახლა ძმობა-მეგობრობას გვეფიცებიან ეს ჩვენი მოსისხლე მტრები. განა მაგინი ოდესმე ჩვენი მეგობრები იქნებიან?!.. არასოდეს.

განა ჩვენ არ ვიცით, რომ მაგათი ეროვნული საბჭო მემორანდუმს მემორანდუმზე გზავნიდა პარიჟში, რომ ბათუმი და მისი ოლქი რუსებს გადაეცესო. განა ჩვენ არ ვიცით, რომ ამ დღეებში მათ ასეთივე მემორანდუმი გაგზავნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ისიც ვიცით, რომ დენიკინის რწმუნებული პარიჟში საზონოვი სტამბულსაც მოითხოვდა რუსეთისათვის.

აი, ასეთი ხალხი თავს იკატუნებს და ლამობს მოგვატყუოს, რომ ისინი ვითომ ჩვენი მეგობრებია.

ასე სწადიათ ჩვენი დატყუილება ფაშების აგენტებს და დენიკინელებს. მარა ჩვენ ვერ უნდა მოგვატყუონ. დიდი დაკვირვება, დიდი წინდახედულობა გვართებს. არ ავყვეთ ფაშებისა და დენიკინის აგენტებს, თორემ დავიღუპებით, დავღუპავთ ჩვენ ხალხს და მით გავახარებთ ჩვენ მტერებს. არ ჩავიდინოთ ეს დამღუპველი საქმე. სიფრთხილე, სიფრთხილე და სიფრთხილე.

---

**ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო გუშინ ჩვენი გაზეთი არ გამოსულა.**

---

# ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი.

◆ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო დამფუძნებელმა კრებამ მილოცვის დეპეშა მიიღო ოსმალეთის პარლამენტისაგან.

◆ ქალაქის ხმოსანთა ამრჩევლების სიას ამ დღეებში კიდევ დაემატა 217 კაცი. მათ შორის ქართველი 166. სულ ამრჩეველთა სიაში ჩაწერილია სხვა და სხვა ეროვნების 13 717 კაცი.

◆ ამ დღეებში ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი გამოაცხადებს შემდეგ მის დადგენილებას:

1. ბათუმის ქალაქის საბჭოს რწმუნებულება განისაზღვრება ორი წლით 1 მარტიდან ამა 1920 წ. 1922 წლის 1 მარტამდე.

2. ქალაქის საბჭოს სხდომაზე ითავმჯდომარეებს ქალაქის თავი, თუ ის სხდომას ვერ დაესწრო, მაშინ — მისი მოადგილე. საბჭოს მდივანს აირჩევს საბჭო ორი წლით.

შენიშვნა. ქალაქის თავის მოადგილეთ საბჭო ირჩევს ერთ-ერთ წევრს გამგეობისას.

3. ბათუმის ქალაქის გამგეობა შესდგება ქალაქის თავის და ოთხი წევრისაგან, რომელნიც არჩეულ უნდა იქნან საბჭოს მიერ ორი წლის ვადით. გამგეობის სხდომებზე თავმჯდომარეობს ქალაქის თავი.

შენიშვნა. როცა ქალაქის თავი არ არის, მის მოვალეობებს ასრულებს მისი მოადგილე.

4. ქალაქის თვითმართველობაში არჩეულნი პირნი თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგებიან მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დამტკიცებულ იქნებიან თავის თანამდებობაზე ბათუმის სამხედრო გუბერნატორის მიერ.

5. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს ბათუმის საოლქო თვითმართველობაში ყავს თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენელი, რომელიც საჭირო დროს მონაწილეობას ილებს გამგეობისა და საბჭოს სხდომებზე.

6. ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი შეაჩერებს საბჭოს დადგენილებებს იმ შემთხვევაში, თუ დაინახავს, რომ: 1) თუ დადგენილება არ ეთანხმება კანონს, ან და არ შეუდგენდა ქალაქის საბჭოს კომპეტენციას, ან და არ იყო სასარგებლო საზოგადოებისათვის, ან და ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს არღვევდა.

✦ 18 თებერვალს, სალამოს ქალაქის თვითმართველობაში დანიშნული იყო შრომის კომიტეტის კრება.

✦ 19 თებერვალს დანიშნული იყო მომრიგებელი კამერის კრება, დღის წესრიგში სხვათა შორის გასარჩევი იყო საკითხი ზოგიერთ დაწესებულებათა მიერ სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ.

✦ 16 თებერვალს თბილისიდან ბათუმში ჩამოვიდა დრამატ. საზ. „ტარტოს" წრე.

✦ ნება დართულია ბათუმიდან საზღვარ გარეთ რუსული ფულის გატანა თითო კაცზე 100 ათას მანეთამდე.

✦ სამსახურიდან დაითხოვეს მეორე უბნის მილიციონერი ტკაშჩევი სიმთვრალისა და აყალ-მაყალისათვის.

✦ დატუსაღებულ იქნა ჩიზმაჩიანი, რომელსაც ბრალად ედება შარაშენიძის მაღაზიიდან სხვა და სხვა ნივთების მოპარვა.

✦ ამ დღეებში თბილისიდან ბათუმში მომავალ მატარებელმა სადგ. სუფსის ახლოს გაჭყლიტა კონდუქტორი პ. აბხაზავა.

✦ 16 თებერვალს თბილისში ჩამოვიდა იტალიის სამოქალაქო მისია სენატორ კონტის მეთაურობით.

✦ ხმები გავრცელდა, რომ რუს. საზ. გემი „მარია" ბათუმსა და ადესას შუა დაილუპაო.

✦ 18 თებერვალს შრომის ბირჟაში ჩაეწერა 18 უმუშევარი. მათ შორის 2 ქალი.

✦ ამავე დღეს ქალქის საავადმყოფოში იყო 85 ავადმყოფი კიდევ მოიყვანეს 7. მორჩა და გამოეწერა 12 კაცი.

---

## ქვლავ მდგომარეობის შესახებ.

ბათუმი და მისი ოლქი კვლავ ანარქიულ მდგომარეობაში იმყოფება. მისი ბედი ჯერ კიდევ არ გადაჭრილა საბოლოოთ. ცხოვრება კი თანდათან უარესდება. ჩვენი ქვეყნის მავნე ელემენტები თავისუფლად თარეშობენ და ხალხში სხვა და სხვა ყალბ ხმებსავცელებენ. არა ერთხელ თქმულა, რომ მთელი ბათუმის ოლქი გამოქცეულებით არის გაჭედილი. ბლომათ დაგროვდენ აქ როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის სხვა და სხვა ალაგებიდან. ისედაც უსურსათო ქალაქი ამის გამო კიდევ უარეს მდგომარეობამდე მივიდა. სიძვირე საზღაპრო შეიქნა. შემოხიზნულთა უმრავლესობა უკვე კარგა ხანია თფილ-თფილ ალაგებზე მოეწყვენ. თითქმის მთელი მართვა-გამგეობა მათ გემოზე აწყობდა ყოველივეს. ეს ასე არის დღესაც. მდგომარეობით მშვენივრად სარგებლობენ და თავიანთ კერძო ინტერესებისათვის გამალებით მუშაობენ. არევ-დარევისა და უკმაყოფილების გაძლიერებას თანდათან ხელს უწყობენ. დენიკინელი რუსები თურქ შავრაზმელებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული მიდიან. შეკავშირებული მოქმედებენ ჩვენი ხალხის გასაუბედურებლად. მათი თავგასულობა იქამდინაც მივიდა, რომ ხალხს იარაღისაკენ მოუწოდებენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მოქმედება ოლქის ზოგიერთ სოფლებში. თავისუფლად ავრცელებენ სხვა და სხვა ყალბ ცნობებს. ხალხი მოკლებულია საშვალებას ნამდვილი ცნობების მიღებისა. ამის გამო პროვოკატორების მოქმედებას მეტი გასავალი მიეცა. მშვიდობიანი მცხოვრებნი დიდ საგონებელში ჩააგდო ამ გარემოებამ. ისედაც აფორიაქებული ცხოვრება შემოჩენილ ვაჟბატონთა წყალობით მოსალოდნელია კიდევ უფრო აირიოს. სოფლებში თავი იჩინა სიმშილობამ და სხვა და სხვა სენით ავათმყოფობამ. წარმოუდგენელი სიძვირის გამო ხალხი აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. სიმშილ-სიცივე, გადამდები სენი მუსრს ავლებს მცხოვრებთ. ხალხის დახმარებისათვის თითქმის თავს არავინ იწუხებს. მისთვის ნაკლებათ ზრუნავენ. პირ-იქით სოფელი რუს შავრაზმელებისა და თურქების აგენტების სათარეშოთ გადაქცეულა. ეს ვაჟბატონები საქართველოს წინააღმდეგ მოუწოდებენ. ცდილობენ ხალხს გული აუცრუონ საქართველოზე და მისი სიყვარული გულიდან ამოსჭრან. ეუბნებიან საქართველოსთან შეერთება ვითომც დალუპავდეს ჩვენს ხალხს და სხვა.

ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ საქართველოში ბევრად უფრო სიიაფეა, ვიდრე ბათუმში. საქართველოში ხალხი უფრო უკეთეს პირობებში ცხოვრობს, ვიდრე აქ. საქართველოში წესრიგისა და სამართლიანობის ბატონობა არის გამტკიცებული და ხალხისათვის სურსათის მოწოდებისათვის და მყუდრო წესრიგოვან ცხოვრებისათვის ენერგიულად მუშაობენ. ჩვენში კი ყველაფერი შემოხიზნულთა სანაცვალოთ არის გადაქცეული. ხალხის ინტერესები აბუჩათ აგდებული და დამცირებულია. დასძრავენ თუ არა ხმას ადგილობრივნი მცხოვრებნი თავიანთ ჭირ-ვარამის შესახებ, ჩვენი მტრები მაშინვე დაფაცურდებიან, რომ ხალხის სამართლიან მოთხოვნილებებს წინ გადაუდგენ. მაშინვე მოხსნიან ინსინუაციებისა და ჭორების გუდას თავს. არა ერთხელ სცადეს ამ ვაჟბატონებმა, რომ ხალხს თავისი ნებასურვილი სამშობლო საქართველოსთან გაერთიანების შესახებ არ ალეარებინა. ამ მიზნით არა ერთი და ორი „პროტოკოლები" შეთხზეს დენიკინელ ადმინისტრატორებმა. მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიახწიეს. ჩვენი ქვეყნის საქართველოზე ჩამოცილებით ცდილობდენ და ცდილობენ ეს შავრაზმელები თავიანთი ბატონობის შენარჩუნებას. ცდილობენ ევრო-

პიელნი დაარწმუნონ, რომ სამუსლიმანო საქართველოს ცხოვრებნი არ მოითხოვენ სამშობლო საქართველოზე ავტონომიურად შეერთებას; არ მოითხოვენ თავისუფლებასა და მშვიდობიან ცხოვრებას. მარა ვინ არ იცის, რომ ბათუმის ბედი სავსებით გადახლართულია საქართველოს საარსებო ინტერესებთან; ვინ არ იცის, რომ ბათუმს უსაქართველოთ არ შეუძლია წესიერი არსებობა. განა ამის მაგალითი: სურსათ-სანოვაგის კრიზისი, წარმოუდგენელი სიძვირე, არეულ-დარეული ცხოვრება და სხ. თვალწინ არ გვაქვს? ეს კარგად იცის სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებლებმა. ეს იციან ჩვენმა მტრებმაც, მაგრამ ჩვეულებას მაინც არ ღალატობენ. ხალხის უბედურება და არევ-დარეული ცხოვრება მათთვის ხელსაყრელია. მხოლოდ ამგვარ პირობებში შეუძლიათ მათ წყალი ამღვრიონ და განამებულ ხალხის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესონ.

სამუსლიმანო საქართველოს მთები ჯერ კიდევ არ გამშრალა უდანაშაულო ხალხთა დაღვრილ სისხლისაგან, ჯერ კიდევ არ შეშრობია ჩვენს დედებსა და დებს თვალთაგან ცრემლი. და ჩვენში შემოხიზნული დენიკინელ-თურქოფილები კვლავ არევდარევას გვიწყობენ. კვლავ სისხლის ღვრა უნდათ გამოიწვიონ.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს. საჭიროა შემოხიზნულთა დამღუპველ მოქმედებებს ბოლო მოეღოს. დროა თავაშვებული ვაჟბატონები აილაგმონ. ამას მოითხოვს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები. ამას გვიკარნახებს მწარე გამოცდილება.

აჭარელი

---

# რა ხდება უცხოეთში.

## მთა

### თემირ-ხან-შურის ფრონტი.

კაზანიშჩაში, სადაც მეამბოხეთა შტაბი იმყოფება, თემირ-ხან-შურიდან დაღესტნის ოფიცერთა დელეგაცია გამოცხადდა. დელეგაციამ განაცხადა, რომ მოხალისეებმა თემირ-ხან-შურის ევაკუაცია მოახდინეს, ქალაქში მხოლოდ ჯარის ერთი ასეული იმყოფება და თუ ოფიცრების სიცოცხლის უზრუნველყოფის გარანტიას მოგვცემთ, მეამბოხეთ ქალაქში შემოგიშვებთ.

ასეთ წინადადებაზე მეამბოხეთ განაცხადეს, რომ ისინი არ შეეხებიან მათ ფიზიკურ არსებობას, თუ კი ხალილოვს, ტარკოვსკის და მაჰომედოვს გადასცემენ, აგრეთვე მეამბოხეთ გადასცემენ იმ იარაღს, რომელიც ოსმალებმა დაღესტანში დასტოვეს.

### უთანხმოება კავკასიის კომუნისტებს შორის.

ბაქოში იმართება კავკასიის კომუნისტების თათბირები, სადაც მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებაზე ბჭობენ.

ამ საკითხის შესახებ მთიელ კომუნისტებსა და კომუნისტების საოლქო კომიტეტის შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. საოლქო კომიტეტის თფილისის ბიურო წინაალმდეგია მთიელთა საბჭოთა რესპუბლიკის დაარსების, ბაქოს განყოფილების აზრი ამ საკითხზე თფილისის კომიტეტის აზრს ეწინაალმდეგება.

მთიელ კომუნისტებმა ინვნიეს რა დამარცხება თფილისში, ბაქოში გაემგზავრნენ, და იქიდან დაღესტანში წავლენ, თუ კი საკითხი მთიელთა რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ დადებითათ გადაწყდება.

ამავე დროს მთიელ კომუნისტებმა გადასწყვიტეს უფრო უშუალო კავშირი იქონიონ ცენტრთან და საოლქო კომიტეტის მზრუნველობიდან განთავისუფლდენ.

### მთიელთა ჯარები დარუბანდში.

თებერვლის 5 დარუბანდი მთიელთა ჯარებმა დაიჭირეს ქალაქის ქუჩებზე დიდი შეტაკებები იყო. მოხალისენი მეტად დაზარალდენ.

ისინი სადგურის მახლობლად გამაგრდენ, ჯავშნიან მატარებლების საშუალებით. გემები ქალაქს არ უახლოვდებიან შორს მსროლელ ზარბაზნის შიშით.

### დარუბანდის ბედი.

„ვოლნი გორეც“-ს სარწმუნო წყაროებიდან ატყობინებენ, რომ ზოგიერთი გაზეთებში მოთავსებული ცნობა მოხალისეთა მიერ დარუბანდის სრულ ევაკუაციის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება.

### კომუნისტებსა და ოსმალოთა აუცილებელი განხეთქილება დაღესტანში.

ასტრახანიდან დაღესტანში ჩამოვიდა შტაბით ტრუხაჩევსკის თანაშემწე, რომელიც ასტრახანის და ცარიცინის ფრონტზე საბჭოთა ჯარებს მთავარ-სარდლობდა.

მათ მოსთხოვეს ოსმალთ იარაღების ჩაბარება.

ამ ნიადაგზე კომუნისტებსა და ოსმალო ოფიცერთა შორის დიდ უკმაყოფილებამ იჩინა თავი, რომელიც შეიძლება სრულ განხეთქილებით დამთავრდეს.

### გიკალოს სიკვდილი.

გროზნიდან მოსული პირი იტყობინება, მთიან საჩეჩნოში შავი სახადით გარდაიცვალა გიკალო, რომელიც თერგის საბჭოთა ჯარების მთავარსარდალი იყო.

გიკალო პროფესიით ფერშალი იყო, რომელმაც თავის ძლიერი ნებისყოფისა და გაბედულობის წყალობით, კომუნისტებში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა.

ჩრდილო კავკასიის კომუნისტებისათვის გიკალოს დაკარგვა დიდი დანაკლისია.

### კომუნიზმი 3000 მანეთად.

კოხუმში და დაღესტნის სხვა ადგილებში კომუნისტებმა ჯარების შედგენა დაიწყეს. თითეულს, ვინც ამ ჯარში ჩაეწერება, 3000 მანეთი ეწიშნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ო ს მ ა ლ ე თ ი

**ოსმალეთის საკითხი კონფერენციაზე.**

სამშაბათს ლონდონის კონფერენცია ოსმალეთის საკითხის გარჩევას შეუდგა. როგორც მილიერანმა „პტი პარისიენის" რედაქტორს განუმარტა, კონფერენციაზე მიიღეს ის გადაწყვეტილება, რომელიც წინადახედული იყო და ამ გვარათ ლონდონმა და პარიზმა გაიმარჯვა. კონსტანტინოპოლში რჩება ოსმალეთის ბატონობა, მაგრამ სრუტეს თავისუფლება კი უზრუნველყოფილი იქნება, ე. ი. მას დაიცავს მოკავშირეთა ჯარების ნაწილები. საკითხი მცირე აზიის შესახებ აიძრა, მაგრამ არ გადაუწყვეტიათ. ვენეზილოსს აქ კვირას ელიან. უამისოთ ძნელია ამ საკითხის გადაწყვეტა.

## დ ა ი კ ა რ გ ა

მათე ალექსისძე ფაცურიას პირადობის სურათიანი მოწმობა, მოცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

202. (1—1).

## ანნა ტკაბლაძისა აცხადებს

რომ მას 2-ს ამა თებერვალს ქალ. ბათუმში, რესტორან „იმპერიალში", მოპარეს პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. კონსულიდან ქალ. ბათუმისა, ჯვრის წერის მეტრიკული ამოწერილობა ალ. შაფირის ნიკოლაევის ეკლესიიდან და უვადო პასპორტი მისი ქმრის პლატონ ტკაბლაძისა.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

202. (1—1).

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

სამშაბათი 24 თებერვალი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მეჰმედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის ქუჩა 7 № ბაღის ქ. №10. ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ფასი: ბათუმის ოლქში:
3 თვით ................ 300 მან.
2 თვით ................ 200 მან.
1 თვით ................ 100 მან.

№299 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №299

## ბათუმის ქალაქის ხმოსანთა არჩევნების შესახებ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა.

1919 წლის 20 დეკემბერს და ამა 1920 წლის 9 იანვარს ჩემს მიერ გამოცემულ დეკრეტების დასამატებლათ, აგრეთვე ქ. ბათუმის საქალაქო გამგეობის მიერ გამოქვეყნებულ დებულებისა საბჭოს ხმოსანთა საბჭოს არჩევნების შესახებ, რომელი არჩევნებიც ჩემ მიერ დანიშნულია ამა 1920 წლის 29 თებერვალს, ამით ვაცხადებ ქ. ბათუმის მცხოვრებთა საყურადღებოთ ამონაწერს ჩემ მიერ დამტკიცებულ საარჩევნო დებულებიდგან ბათუმის ქალაქის საბჭოს რწმუნების შესახებ, საბჭოს თავმჯდომარის შესახებ, ქალაქის გამგეობის შემადგენლობის შესახებ და ბათუმის ქალაქის თვითმართველობასთან ჩემს დამოკიდებულების შესახებ, სახელდობრ:

მუხ. 25. ბათუმის ქალაქის საბჭოს რწმუნების ვადათ ალიარებულია ორი წელი: 1920 წ. 1 მარტიდან 1922 წ. 1 მარტამდე.

მუხ. 26 ქალაქის საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარეობს ქალაქის თავი, როცა ის არ არის, ან ავად არის — მისი მოადგილე, მდივნობს საბჭოს მდივანი, რომელსაც საბჭო ირჩევს ორი წლით.

მუხ. 27. ბათუმის ქალაქის გამგეობა შესდგება ხუთი წევრისგან (თავმჯდომარეა ქალაქის თავი). გამგეობას ირჩევს საბჭო ორი წლით.

შენიშვნა: როცა ქალაქის თავი ვერ ესწრება სხდომებს მის მოვალეობას ასრულებს გამგეობის ერთი წევრთაგანი არჩეული საბჭოს მიერ.

მუხ. 28. ქალაქის სამმართველოს ყველა არჩეული პირები იწყებენ თავის მოვალეობის ასრულებას მხოლოდ მის შემდეგ, როცა ისინი დამტკიცებული იქნებიან ჩემ მიერ.

მუხ. 29. მე სამხედრო გუბერნატორი ბათუმის ოლქისა ვიტოვებ უფლებას შევაჩერო საბჭოს დადგენილება შემდეგ შემთხვევებში:

1) როცა ის არ ეთანხმება კანონს, ანდა დარღვეულია ქალაქის თვითმართველობაში მიღებული წესი, 2) როცა ის არ ეთანხმება ოლქის და ქალაქის საჭიროებას, ანდა არ ეთანხმება ინგლისის სარდლობის შეხედულებას ოლქის მართვა-გამგეობის შესახებ, ანდა დარღვეულ იქნება მცხოვრებთა არსებითი ინტერესები.

მუხ. 30. მე ვნიშნავ ჩემს წარმომადგენელს ბათუმის ქალაქის სამმართველოში, რომელიც საჭიროების დროს მონაწილეობას იღებს საბჭოს და გამგეობის სხდომებზე.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი
ბრიგადის გენერალი კუკ-კოლისი.

---

გაიხსნა პირველხარისხოვანი კარგად მოწყობილი რესტორანი

„მ ა რ ა ნ ი",

ყოფილი რესტორანი „კაზინო". რესტორანში მზადდება

სადილი და ვახშამი

ყოველდღე ახალ სანოვაგისაგან,
კეთდება მწვადები, მოიპოვება ნარ-ნაირი
სასმელები სხვა და სხვა ფირმებისა

ზომიერ ფასებში

უკრავს ორკესტრი „საზანდარი" სპეციალურად
თფილისიდან მოწვეული და სხ.
გთხოვთ შემოიაროთ რესტორანში, რათა
საბოლოოთ თვით დარწმუნდეთ.

პატივისცემით არტელის გამგეობა.

206 (12—1).

---

იყიდება მოწყობილი, სასმელების პოდვალი,

ხელსაყრელ ფასებში ორი ზალის და ორი კაბინეთის ოთახი ბუფეტით, ელექტრონით, ქუხნით და კალიდორით, ექვსი თვიანი პატენტით,

რომელიც გადაეცემა მყიდველს ყოველივე მისი უფლებით. შერემეტევის ქ. №35.

მელქისადექ სალუქვაძე.

205. (2—1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამრჩეველთა საყურადღებოთ.

ცოტა დრო დარჩა ქ. ბათუმის თვითმართველობის ხმოსნების არჩევამდე. არჩევნები 29 თებერვალს მოხდება. მანამდე ამრჩევლებმა აუცილებლად უნდა მიიღონ ქალაქის გამგეობისაგან პირადობის მოწმობა და საარჩევნო ბიულეტენი კონვერტითურთ. ვინც თავის დროზე არ მოიკითხავს და მოწმობა-ბიულეტენს არ მიიღებს, მას არჩევნებში არ დაუშვებენ, ის ხმას დაჰკარგავს.

ჩვენ მკითხველებს კარგად უნდა ქონდეთ გათვალისწინებული მეტად დიდი მნიშვნელობა 29 თებერვლის არჩევნებისა.

ბლომათ შემოგვესიენ სხვა და სხვა ჯურის მტრები. ბლომათ მოიყარეს თავი ჩვენში ავანტიურისტებმა, რომლებიც ბათუმის და მისი ოლქის დაპატრონებას ლამობენ. ეს პირები დაძრწიან როგორც ჩვენს ქალაქში, ისე ოლქში და დამღუპველი გზისაკენ მოუწოდებენ ხალხს. მათი მიზანია ხალხში არევ-დარევის შეტანა, არანორმალურ მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება, ცხოვრების კიდევ ზედმეტად გაძვირება, ხალხის შეცდენა და მით თავის ბნელ ზრახვების განხორციელება. ეს ბნელი განზრახვა კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა მტრებმა ხელთ იგდონ ბათუმისა და მისი ოლქის მართვა-გამგეობა.

მას შემდეგ, რაც ბათუმი დაეცა, აქ ქალაქის თვითმართველობა თითქმის არ არსებობდა, არჩევნები არ მომხდარა. მცხოვრებლებს არ მიეცათ საშვალება არჩევნების საშვალებით გამოეთქვათ თავისი სურვილი, ეთქვათ თავისი სიტყვა. მცხოვრებლებმა 29 თებერვალს უნდა თქვან, თუ ვის ანდობენ ისინი ქალაქის მოვლა-პატრონობის ბედს. მცხომრებლებმა ხმა უნდა აღიმაღლონ და არჩევნების შედეგებით უნდა დაუმტკიცონ ჩვენში ჩვენ სამტროთ შემოსულ ავანტიურისტებს, რომ ამ უკანასკნელებს მცოვრებლების ინტერესებთან არაფერი აქვთ საერთო.

ახალმა საბჭომ უნდა მოაწესრიგოს ბათუმის აფორიაქებული ცხოვრება. მან უნდა იზრუნოს ქალაქის სისუფთავეზე, მცხოვრებლების ჯანმრთელობაზე, სწავლა-აღზრდის საქმეზე, სურსათზე და სხ. ამასთან მას სხვა დიდი საკითხიც ექნება გადასაწყვეტი, მარა ამაზე შემდეგ.

აი რა დიდი მოვალეობა დააწვება ახალ საბჭოს. აი რა დიდი მნიშვნელობა ექნება მას. და ჩვენი ვალია ისეთი ხმოსნები ავირჩიოთ, რომელნიც პირნათლათ შეასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებათ. თუ ქალაქის საბჭოში გაბატონდენ ჩვენი მტრები, ამით ლახვარი ჩაეცევა ჩვენ საარსებო ინტერესებს, ამით დაიღუპება არა მხოლოდ ჩვენი ქალაქი, არამედ ოლქის ბედიც.

და ვისაც შეგნებული აქვთ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა, არ უნდა დაზოგონ შრომა და ენერგია, რათა ქალაქის საბჭო ღირსეულ ხმოსნებისაგან შესდგეს.

ამისათვის კი აუცილებლათ საჭიროა, რომ ამრჩევლებმა ხმა არ დაჰკარგონ. ამისათვის საჭიროა, რომ ყველამ, ვინც კი სიაში შეტანილია თავის დროზე მიიღონ ქალაქის გამგეობისაგან პირადობის მოწმობა და ბიულეტენი. 22 ამ თვიდან დაიწყეს პირადობის მოწმობა და ბიულეტენის მიცემა ამრჩევლებისათვის. დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე ქალაქის თვითმართველობა იძლევა ამ მოწმობებს და ბიულეტენებს კონვერტითურთ. რომ მიღების დროს დაბრკოლება არ აღმოგიჩნდეთ, თან უნდა იქონიოთ პასპორტი და ან სხვა რაიმე საბუთი თქვენი პირადობის დამამოწმებელი.

რადგან ზოგიერთებს, განსაკუთრებით კი ქალებს, საკუთარი პასპორტები არა აქვთ, ასეთებს შეუძლიათ პირადობის მოწმობისა და ბიულეტენის მიღება, თუ რომ მათ პირადობას დაამოწმებს საარჩევნო კომისიის რომელიმე წევრი, ან და ჩაწერილია ქმრის პასპორტში.

არც ერთი ხმა არ უნდა დაიკარგოს. ყველა ამრჩეველმა დღეიდანვე უნდა შეუდგეს პირადობის მოწმობის მიღებას. ვინც არჩევნებს გულგრილათ მოეპყრობა და ხმას დაჰკარგავს, ის ამით სამშობლოს წინაშე დიდ დანაშაულს ჩაიდენს.

მაშ ყველა ქალაქის გამგეობისაკენ პირადობის მოწმობისა და ბიულეტენის მისაღებათ.

---

## ქალაქის არჩევნებისადმი.

19 თებერვალს გათავდა ვადა ამრჩეველთა სიის შედგენისა. 19-21 წარდგენილ იქნას ხმოსანთა საკანდიდატო სია. ყველა ეროვნება არჩევნებში საკუთარი სიით გამოდის.

ქართველ ამრჩევლებში მოხდა შეთანხმება სხვა და სხვა ჯგუფებს შორის. შემუშავებული და წარდგენილია სია სახმოსნო კანდიდატებისა: **დემოკრატიული ბლოკი ქართველ ამრჩევლებისა.** ამ სახელით წარდგენილ სიაში მოთავსებულია ყველა ჯგუფების და ქართველ მაჰმადიანთა მიერ დასახელებული კანდიდატები.

ყველა ქართველი ამრჩევლის მოვალეობაა დროზე მიიღოს პირადობის ბარათი, არ დაჰკარგოს თავისი ხმა, გადასცეს ყველა თავის ნაცნობს და მეგობარს, რომ მხურვალე მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ჩვენ სიას არც ერთი ხმა არ უნდა დაეკარგოს. ადევნეთ თვალყური პირადობის ბარათების დარიგების დროს და თავის დროზე მიიღეთ. ვინც ხმას დაჰკარგავს ის უდიდეს დანაშაულს ჩაიდენს ქვეყნის და ერის წინაშე.

### საარჩევნო ბარათი.

ყველა ამრჩეველს უნდა ექნეს საარჩევნო ბარათი, რომელშიდაც ჩაწერილი იქნება ამრჩეველის სახელი, მამის სახელი და გვარი. ვისაც ასეთი ბარათი არ ექნება ის არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ასეთი ბარათი ამრჩეველმა თვითონ უნდა

მიიღოს ქალაქის თვიმართველობაში.

ყველა ამრჩეველი 21 ამ თვიდან უნდა გამოცხადდეს პირადათ ქალაქის თვითმართველობაში ასეთი ბარათის მისაღებათ.

მოქალაქენო! არ დაჰკარგოთ არც ერთი ხმა! ხმა კი გექნებათ მაშინ, როცა პირადობის ბარათს მიიღებთ. მაშ ყველა თვითმართველობაში, ყველას პირადობის ბარათი! არ დაიზაროთ და არ გაუშვათ დრო პირადობის მოწმობის მიღებისა.

---

# ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ **პირადობის ბარათების დარიგება.**

ქალაქისათვის მართველობის გამგეობა უკვე შეუდგა პირადობის მოწმობის, ბიულეტენების და კონვერტების დარიგებას. ბარათები კანვერტებით ყველამ უნდა მიიღოს პირადათ ქალაქის თვითმართველობაში 22 თებერვლიდან ყოველდღე დილის 10 საათიდან სალამოს 7 საათამდის. ბარათების მიღება იწარმოებს თვით არჩევნების დღესაც, 29 თებერვალს. ბარათების მიღების დროს ყველასათვის სავალდებულოა თან იქონიონ პასპორტები ან სხვა რაიმე პირადობის მოწმობა. საარჩევნო ბარათს წარმოადგენს პატარა ოთხკუთხი თეთრი ქაღალდი, რომელზედაც არის დასტამბული: „Избирательная карточка. Голосую за №...“ ბარათზე უნდა დაისვას მხოლოდ ნომერი იმ სახმოსნო სიისა, რომელსაც ამრჩეველი ხმას აძლევს; თუ ბარათზე დარჩა რაიმე წარწერა ან გვარი ამრჩევლისა, ბარათი ბათილდება. კანვერტში მხოლოთ საარჩევნო ბარათი უნდა იქნას ჩადებული. ამრჩეველის პირადობის დამადასტურებული საარჩევნო მოწმობა კი ამრჩეველს საარჩევნო დარბაზში შესვლისას ჩამოერთმევა.

არჩევნების შედეგი გამოცხადდება 2 მარტს.

◆ თფილისის გაზეთი „ერთობა“ შემდეგს სწერს: 20 თებერვალს ღამის 3 საათზე მცხოვრებლები შიშმა მოიცვა. პირველად ვერ გამოერკვენ, მაგრამ როცა მიწის ძვრამ იმატა, თავზარ დაცემულთ ვერ მოეფიქრათ როგორ დაეღწიათ თავი მოსალოდნელ უბედურებისაგან. ბევრ ალაგას სახლებში ჭერი ჩამოინგრა, მხოლოდ ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა... გამორკვეულია, რომ მიწის ძვრა დაიწყო ღამის 2 საათსა და 55 წუთზე... მიწის ძვრა ყოფილა დასავლეთიდან აღმოსავლეთით. რყევა ორჯერ მომხდარა. პირველად უფრო სუსტად და შემდეგ უფრო ძლიერათ.

ამავე გაზეთის ცნობით დიდი მიწის ძვრა მომხდარა აგრეთვე ქ. გორში: ქალაქი დიდათ დაზარალდა. თითქმის ყველა შენობები დაინგრა. ქალაქის გამგეობასა და სადგურის შენობები გადარჩა. ხალხი სულ მთლათ ქუჩაშია გამოფენილი. ზარალი მეტათ დიდია. არის მრავალი დაჭრილი და დახოცილი. ზარალისა და დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა ჯერ გამორკვეული არაა. თხოულობენ დახმარებას. დიდი მიწის ძვრის გამო დანგრეულია 70 სახლი; ქალაქის ხიდი და სადგური ძლიერ დაზიანებულია. დანგრეულია აგრეთვე უფლისციხის რკინის გზის სადგური. დიდი ზარალია ატენის ხეობაში და მეჯვრისხევში...

◆ 17 თებერვალს საქ. მთავრობის თავმჯდომარემ ქ. ბერნიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ბედნიერი ვარ, რომ შემიძლიან აღორძინების გზაზე დამდგარ და თავისუფალ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება მიულოცო. საუკეთესო სურვილები და კეთილდღეობა ჩემს მეორე სამშობლოს. შვეიცარიის წარმომადგენელი მეიერი“.

◆ საქ. რესპუბლიკის ბათუმის საკონსულო საქართველოში წასასვლელ და სხვა ნებართვებს იძლევა ახალ ბინაზე შეპელევის ქ. №23.

◆ როგორც განაცხადეს ინგლისის ჯარი ბათუმში რჩება კიდევ კარგა ხანს.

◆ ქალაქის მცხოვრებლებზე შაქრის დარიგება უკვე დაიწყეს. სულზე იძლევიან 4 გირვანქას. გირვანქა შაქარი 50 მანეთად ფასობს.

◆ ქალაქის ხმოსანთა არჩევნებში ხმის უფლება აქვს სულ 14,079 კაცს, მათ შორის ქართველი არის 5158 კაცი, ბერძენი — 2872, სომეხი — 2448, რუსი — 1931, თურქი — 383 და სხ.

◆ ამ დღეებში თფილისის ქალაქთა კავშირმა საზღვარ გარეთიდან მიიღო 15 მილიონი მანეთის მანუფაქტურა, მანუფაქტურა ამ დღეებში გაიყიდება საქართველოს სხვა და სხვა ქალაქების მაღაზიებში.

◆ ამ დღეებში თფილისში მუშაობას დაიწყებს ქალაქთა კავშირის ავეჯეულობის ახალი ქარხანა.

---

## შავი ზღვის გუბერნიაში.

### ტუაპსეს აღება.

სოხუმის „ნაშ. სლ.“ სწერს: შავი ზღვის პირას გუბერნიის გლეხებმა საოცარი გმირობა გამოიჩინეს ტუაპსეს რაიონში ბრძოლის დროს. დენიკინელი აფიცრების კონტრ-იერიშს გლეხები მამაცურად იგერიებდნენ. ამბობენ, დენიკინის ბრძანებით არას შემთხვევაში არ უნდა დაეტოვებიათ ტუაპსე. დენიკინი ჰპირდებოდა დამხმარე ძალის მიშველებას. ტუაპსეს ბედი მოხალისეთა ჯარისკაცებმა გადასწყვიტეს — მათ უარი სთქვეს გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ბრძოლის დაწყებისთანავე მახლობელ სოფლებიდან მოგროვდენ შეიარაღებული გლეხები, რომლებიც აუჯანყდნენ დენიკინს. დენიკინელებმა უწესრიგოთ დაიხიეს. მათ დაედევნენ აჯანყებულები.

---

## საქართველოს გარშემო.

თფილისი. 19 თებერვალი. საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა პარიზიდან დელეგაციის თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძისაგან შემდეგი დეპეშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღო: 7 თებერვალს მივიღეთ შემდეგი ბარათი: „საზავო კონფერენციის გენერალურ სეკრეტარს აქვს პატივი აცნობოს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარეს, რომ იაპონიის მთავრობამ ეხლა გვაუწყა: ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობას იგიც უერთდება საქართველოს მთავრობის „დე ფაქტოს“ აღიარებაში.

(ს. დ. ს.).

# რა ხდება უცხოეთში.

## რუსეთი.

### საბჭოთა რუსეთი და საგარეო ვაჭრობა.

გაზ. „პტი პარიზ“ იტყობინება: ვაშინგტონიდან მოსულ ცნობების თანახმად საბჭოთა მთავრობამ უარი განაცხადა, რათა რუსეთის საგარეო ვაჭრობას სათავეში რუსეთის კოოპერატივები ჩაუდგენ. მოკავშირეებმა რუსეთთან ვაჭრობის დროს საქმე უნდა დაიჭირონ ახალ ორგანიზაციებთან, რომლებიც საბჭოთა მთავრობის ახალი დეკრეტით არსდება. ასეთ პირობებში, გაზეთის აზრით ძნელია ვაჭრობის აღდგენა ლენინ-ტროცკის მთავრობასთან. მით უმეტეს, რომ უმაღლესმა საბჭომ ფორმალურათ უარი სთქვა რუსეთის მთავრობასთან კავშირის დაჭერაზე.

### სავაჭრო დამოკიდებულებათა აღდგენისათვის.

გაზ. „ტან“-ის 27 იანვრის ნომერში მოთავსებულია ნოტა, რომლითაც უმაღლეს საბჭომ მიმართა რუსეთის კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის წარმომადგენლებს პარიზში, ამ ნოტით მოკავშირეთა სახელმწიფოების მთავრობები აცნობებენ კავშირს სათავეში ჩაუდგენ ამ ვაჭრობას. მოკავშირეებს სურთ ვაჭრობის წარმოება მხოლოთ კოოპერატივების საშუალებით: კოოპერატივებმა უნდა მოაწყონ ზედმეტი პურისა და ნედლი მასალის გატანა რუსეთიდან საზღვარ გარეთ და რუსეთისათვის საჭირო საქონლების შემოტანა. მათვე უნდა იკისრონ აგრეთვე ყოველგვარი პასუხისმგებლობა სავაჭრო ოპერაციებისათვის.

### შავი ზღვის გლეხთა აჯანყება.

გაგრა. თებერვლის 15, შავი ზღვის პირის გლეხთა ლაშქრის მთავარი შტაბის ცნობა: თებერვლის 13, ტუაპსის ოლქის საზღვარზე ჩვენმა მოწინავე რაზმმა, შემოუარა რა მოხალისეთა ტუაპსის რაზმს მარცხენა ფრონტიდან, ერთდროული შეტევით მას უწესრიგოდ უკან დაახევინა. მოხალისეები დიდად დაზარალდნენ. ხელთ ვიგდეთ 3 ზარბაზანი ცხენებითურთ, 3 ყუთი ყუმბარებით, 8 ტყვიისმფრქვეველი, 300 ტყვე. მათ შორის 47 ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 90 ცხენი მტრის: ობოზი და ორი ვაგონი ფქვილი.

## გერმანია.

### საერთაშორისო შრომის ბიურო.

გაზ. „ფორვერსტი“ იტყობინება: საერთაშორისო შრომის ბიუროს სხდომაზე მონაწილეობას იღებდა 12 სახელმწიფო; თვითეულმა ორ-ორი წარმომადგენელი გამოგზავნეს: ერთი მთავრობისა და ერთიც მუშათა ორგანიზაციების. მონაწილეობას იღებდენ: გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, იაპონია, შვეიცარია, ისპანია, არგენტინა, კანადა, პოლონეთი და დანია. გერმანიის წარმომადგენლები იყვნენ: ლეიმანი და ლეგიენი.

## ადერბეიჯანი.

### გლეხთა ყრილობა.

ახლო მომავალში განზრახულია ბაქოში მოწვეულ იქნეს გლეხთა ყრილობა, რომელმაც გლეხთა კავშირი უნდა მოაწყოს. წარმომადგენლობითი ნორმა შემდეგი იქნება: 5 წარმომადგენელი თვითეულ სოფლიდან.

### სატრანზიტო გადასახადი.

ადერბეიჯანის მთავრობამ დაადგინა დააწესოს 5 პროცენტიანი გადასახადი იმ ნოხებზე, რომლებიც რანზიტით გააქვთ ადერბეიჯანის ტერიტორიაზე. ამ დადგენილებას დროებითი ხასიათი აქვთ და ძალაში რჩება მანამდე, სანამ ტრანზიტის საკითხი საბოლოოთ არ მოწესრიგდება.

### ცნობის უარყოფა.

ბაქოს გაზ. „ტელეგრაფში“ (№34, 14 თებ.) და აგრეთვე სხვა გაზეთებშიაც გადმობეჭდილი იყო ცნობა კონსტანტინოპოლის სომხურ გაზეთ „ჩაკატამარტიდან“ იმის შესახებ, თითქოს ადერბეიჯანსა და ოსმალეთს შორის მომხდარიყოს შეთანხმება. ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აცხადებს, რომ ოსმალეთ-ადერბეიჯანს შორის არავითარი, არც ფარული, არც აშკარა მოლაპარაკებას ალაგი არ ჰქონია და რომ აღნიშნული ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება.

### მუსულმან მუშების დადგენილება.

12 თებერვალს მოხდა კრება შავი ქალაქის მუსულმან მუშებისა, რომელსაც 800-მდე კაცი დაესწრო. განხილულ იქნა საკითხი ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირების გამოსვლის შესახებ. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „ჩვენ, შავი ქალაქის რაიონის მუსულმანი მუშები ვაცხადებთ ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა საყურადღებოთ, რომ ადერბეიჯანის მუშები მომხრენი არიან თავის საყვარელ სამშობლოს დამოუკიდებლობისა და მზათ არიან თავიანთ მკერდით დაიცვან იგი ყოველგვარ საფრთხისაგან, როგორც დღემდე იცავდა მას. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან, რათა მან დაიცვას ადერბეიჯანის დემოკრატია ყოველგვარ გამვლელთა პროვოკაციისაგან. („ად“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაიკარგა

პირადობის სურათიანი მოწმობა კირილე დიმიტრაძისა, მოცემული საქ. რესპ. ბათუმის საკონსულოდან.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

(1—1).

## დაიკარგა

ილარიონ ივანისძის მახარაძის პირადობის სურათიანი მოწმობა, მოცემული საქ. რესპ. ბათუმის, საკონსულოდან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

208. (1—1).

## დაიკარგა

ირადიონ მიხელისძე კიკვაძის ექვსი თვიანი პასპორტი, მიცემული ქუთაისის მაზრის სოფლ. ფარცხანაყანევის კომისარისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

207. (1—1).

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათა-
ვისუფლებელ კომიტეტის ორგანო

შაბათი 28 თებერვალი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის ქუჩა 7 № ბაღის ქ. №10. ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოგზავნება შეიძლება ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 300 მან.
2 თვით ........................ 200 მან.
1 თვით ........................ 100 მან.

№303 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №303

## მოქალაქენო! ვისაც ქალაქის ბედი და მისი კეთილდღეობა გაინტერესებთ ხ მ ა მ ი ე ც ი თ ხმოსანთა კანდიდატების სიას №1.

### ხმოსანთა კანდიდატების სია ბათუმის საქალაქო არჩევნებში.

(1 მარტ. 1920 წ. 1922 წ. 1 მარტ. ვადით).

1) აბაშიძე მემედ-ბეგ — რედაქტორი.
2) გოგოლაძე კაპიტონ ალექსანდრესძე — ჟურნალისტი.
3) აბაშიძე ზია-ბეგ — ჟურნალისტი.
4) ელიავა გრიგორი ლავრენტისძე — ექიმი.
5) ჯაყელი თეოფანე ვახტანგისძე — მასწავლებელი.
6) სოლოროვი გრიგორი სტანისლავისძე — სახლის პატრონი.
7) კადი ზადე ისმეთ ეფენდი — წვრ. საკრედ. ინსპექტ.
8) წულაძე აფთონ ონისიმესძე — ქართ. ეროვ. საბჭოს მდივანი.
9) ქიქავა ჯემალ ეფენდი — მოსამსახურე.
10) ჭედია ვიქტორ იაგორისძე — სახლის პატრონი.
11) ღლონტი ვას. ბარნაბისძე — ბანკის დირექტორი.
12) მიქელაძე ნიკო ლავრენტისძე — ნაფ. ვექ.
13) თევზაძე ისმაილ მოსესძე — საქვ. საზ. მდივანი.
14) რამიშვილი ონიფანტე იოსებისძე — მოსამსახურე.
15) საბაევი ნიკო ანტონისძე — კომერსანტი.
16) მუჯირი მიხეილ სილოვანისძე — ექიმი.
17) ქიქავა ფილიპე ანდრისძე — მუშა.
18) ბერძენიშვილი ექვთიმე სიმონისძე — კომერსანტი.
19) ყუფარაძე სერგო ანტონისძე — მოსამსახურე.
20) ღლონტი ირაკლი ნიკიფორესძე — მასწავლებელი.
21) გიგინეიშვილი პლატონ გიორგისძე — ექიმი.
22) ხალვაში იზეთ ეფენდი — სახლის პატრონი.
23) კუნჭულია დავით იაგორისძე — მოსამსახურე.
24) მგელაძე ალექსანდრე ბუჭუასძე — მასწავლებელი.
25) ჭელიძე ვარლამ სიმონისძე — ბანკ. რწმ.
26) ყლენტი ბესარიონი ალექსანდრესძე — სახლ. პატრონი.
27) რუხაძე ვლადიმერ დიმიტრისძე — კომერსანტი.
28) ჩიგოგიძე გიორგი ფარსადანისძე — მოსამსახურე.
29) მენაღარიშვილი გიორგი სილიბისტროსძე — მოსამსახურე.
30) ივანოვი ივანე პავლესძე — სახლ. პატრონი.
31) დუმბაძე ამვროსი ვარდენისძე — მოსამსახურე.
32) ფირცხალავა ლევანტი დარისმანისძე — კომერსანტი.
33) ჩხაიძე ტარასი ელიზბარისძე — სახლ. პატრ.
34) ურუშაძე კასიანე კიმოთესძე — კომერსანტი.
35) *) — — — — — — — — —
36) დეისაძე ალექსანდრე გიორგისძე — მოსამსახურე.

---

*) კანდიდატი ტროფიმე სიმონისძე მელქაძე ამორიცხულ იქნა, ვინაიდან ამრჩეველთა სიაში ჩაწერილი არ იყო.

1) ზასიადკო ევგენი სტეფანესძე — მოსამსახურე.
2) ბოზოვი პავლე ივანესძე — " "
3) იოზეფოვიჩი მოსე არონისძე — " "
4) კრისინი ივანე ემელიანისძე — " "
5) სკალევოი ალექსანდრე ანდრიასძე — " "
6) კოზლოვი მიხეილ ვლადიმერისძე — " "
7) კროპივიანსკი ივანე დიანოსისძე — " "

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ვოლფენზონი მენაშე შიმონისძე — სახლის პატრ.

2) კრუტიკი მოსე ვოლფოზოვისძე — ვაჭარი.

3) ლიხტერმანი ისაკ მენდელეევისძე — ფაბრიკის მართველი.

4) გორჟევსკი იოსებ ექვთიმესძე — რუს. საზ. მართველი.

## სია №4.

1) დიმიტრიადი ახილეს დიმიტრისძე — სახ. პატრონი.

2) *) — — — — — — — — —

3) კასტანაკი ლუკა ანტონისძე — მართველი არვ. ქარ.

4) *) — — — — — — — — —

5) ზაროკილი კონსტანტინე პანაიოთისძე — კომერსანტი.

6) კალფოღლი ივანე ილიასძე — სახლის პატრონი.

7) მავროპულო ალექსანდრე გიორგისძე — ნაფ. ვექ.

8) ხანტოლიდი თომა სტავრისძე — სახლის პატრონი.

9) სიტმალიდი ქრისტო კონსტანტინესძე — ექიმი.

10) ჩიროზიდი სტილიანე ივანესძე — სახლის პატრონი.

11) სიმულოვი კონსტანტინე პავლეს ძე — სახლის პატრონი.

12) *) — — — — — — — — —

13) ფელიაკოვი ივანე გრიგორისძე — სახლის პატრონი.

14) ტერზოპულო სტავრო ხალამპრესძე — კომერსანტი.

---

*) კანდიდატებმა: ელისე ივანესძე ლაზარევმა (№2), ანასტასი მაქსიმესძე ლაზარიდმა (№4) და კონსტანტინე ივანესძე ანდრონიკიდმა (№12) ვინაიდან უარი განაცხადეს ხმოსნობის სახელწოდებაზე სიიდან ამორიცხულ იქნენ.

## სია №5.

1) ტოროსიანი არშაკ ილიასძე — თვით. გამგ. წევრი.

2) მდოიანცი აშოთ ოსიპესძე — კომერსანტი.

3) პილოიანი იაკობ პეტრესძე — კომერსანტი.

4) ალიხანიანი დავითი გრიგორისძე — ბანკის რწმუნებული.

5) პეტროსიანი არტაშეს ბაგდანისძე — ექიმი.

6) სოგოიანი ივანე ნიკიტასძე — გიმნაზ. ინსპექტორი.

7) ედიგარიანი გიორგი ისაევისძე — ბანკის მართველი.

8) დანიელიანი ქრისტიფორე მარტინისძე — მოსამსახურე.

9) პეტროსიანი მანუელი პავლესძე — კომერსანტი.

10) მარუტიანი აგადჟანი ალახვერდისძე — კომერსანტი.

11) ნიკოგოსიანი არშაკ თადეოსისძე — ბუღალტერი.

12) სუკოიანი შაკარ-პეტროსი სტეფანესძე — კომერსანტი.

13) პეტროსიანი თადეოსი ბაგდანესძეს — მასწავლებელი.

14) სტეფანიანი ივანე აირაპეტისძე — კომერსანტი.

15) ისკანდერიანი რუბენი გრიგორისძე — მასწავლებელი.

16) კაიტმაზიანი დარია გრიგორის ასული — ბებია ქალი.

17) კირაკოსიანი არეშატი კირაკოსისძე — მუშა.

18) ალიხანიანი ანნა იაკობის ასული — მასწავლებელი.

19) კეკედჟიანი მისაკი ივანესძე — ტეხნიკი.

## სია №6.

1) ზაჩინიავი პეტრე ივანესძე — მოსამსახურე.

2) დიაკონოვი ნიკოლოზ ვასილისძე — " "

3) სუხოვი ალექსანდრე ივანესძე — " "

4) *) — — — — — — — — —

5) რიაზანოვი ალექსანდრე ალექსისძე — ადგ. მცხ.

6) ბოგდანოვი გაბრიელ ვასილისძე — მეურნე.

7) ლვოვი იური გიორგისძე — მოსამსახურე.

8) კირპიჩი ნიკანორი ონისიფორისძე — " "

9) ჩეხოვი გიორგი მიტროფანისძე — " "

10) *) — — — — — — — — —

---

*) კანდიდატი ტერმენი რიჩარდი იოსებისძე (№4) და უშაკოვი თედორე ანდრიასძე (№10) ამორიცხულ იქნა კანდიდატთა სიიდან თანახმად მათი წერილობითი თხოვნისა.

---

გაიხსნა პირველხარისხოვანი კარგად მოწყობილი რესტორანი

„მ ა რ ა ნ ი“,

ოგლობჟინის ქ. №24 ყოფილი რესტორანი „კაზინო“.
რესტორანში მზადდება

სადილი და ვახშამი

ყოველდღე ახალ სანოვაგისაგან,
კეთდება მწვადები, მოიპოვება ნარ-ნაირი
სასმელები სხვა და სხვა ფირმებისა

ზომიერ ფასებში

უკრავს ორკესტრი „საზანდარი“ სპეციალურად
თფილისიდან მოწვეული და სხ.
გთხოვთ შემოიაროთ რესტორანში, რათა
საბოლოოთ თვით დარწმუნდეთ.

პატივისცემით არტელის გამგეობა.

206. (12–5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოქალაქენო, დაეხმარეთ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

## დაეხმარეთ შეძლების დაგვარათ — ვისაც რამდენი შეგიძლიათ: ფულით, სურსათით, ტანისამოსით, გახსოვდეთ რომ ყოველი წვლილი დიდი დახმარება და იმედი იქნება დაზარალებულთათვის!

ხმა მიეცით 1 ნომერს    ხმა მიეცით 1 ნომერს

# ქართველ ამრჩევლებს

29 თებერვალს დასრულდება ქალაქის არჩევნები. უკვე იძლევიან ქალაქის გამგეობაში პირადობის ბარათებს, ბილიუტენს და კონვერტს. გამოიტანეთ ყველამ, დაავალეთ ყველა თქვენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ არ დარჩეს ვინმე უხმოთ. გამოტანილ ბილიუტენს უნდა დააწეროთ მელნით, ან ქიმიკური კარანდაშით **ნომერი პირველი ციფრით.** ასე დაწერილი ბილიუტენი ჩადეთ კონვერტში, დაბეჭდეთ და კვირას მიიტანეთ ქალაქის გამგეობაში, ყუთში ჩასადებათ. კონვერტი უნდა იყოს სუფთა, თუ გაისვარა, არ მიიღებენ. როცა ხმის მისაცემათ წახვალთ თან უნდა იქონიოთ ქალაქის გამგეობიდან მიღებული პირადობის ბარათი და პასპორტი.

მოქალაქენო! ვინც ხმას დაჰკარგავს, ის უდიდეს დანაშაულს ჩაიდენს ჩვენი საერთო საქმის წინაშე.

ნუ დაიზარებთ ამ მცირე შრომას საერთო საქმისთვის.

ყველას უნდა ექნას პირადობის ბარათი, ბილიუტენი, რომელზედაც უნდა დააწეროთ პირველი ნომერი, მიიტანთ კვირას ქალაქის გამგეობაში და ასე მოიხადეთ თქვენი მოქალაქეობრივი ვალი ქვეყნის და დემოკრატიის წინაშე.

**ეცადეთ არ დაიკარგოს არც ერთი ხმა!**

**ჩვენი ნომერი პირველია!**

ქართველ ამრჩეველთა ცენტრალური კომისია.

---

## კვლავ საქალაქო არჩევნებისათვის.

ხვალ ბათუმის მცხოვრებლებმა უნდა აირჩიონ ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნები. ხვალ ამრჩევლებმა უნდა თქვან თავისი სიტყვა, თუ ვის ანდობენ ისინი მეტად მნიშვნელოვან, მეტად საპასუხისმგებლო საქმეს: ქალაქ ბათუმის მოვლა-პატრონობას. ქალაქის საბჭოს ყველგან მეტის მეტად დიდი მოვალეობა აწევს და განსაკუთრებით დიდი საქმეები ექნება გასაკეთებელი ბათუმის ქალაქის საბჭოს. ჩვენი ქალაქი მეტის მეტ არანორმალურ მდგომარეობაშია. საზღაპრო სიძვირე სულს უხუთავს ქალაქის მცხოვრებლებს; ანტისანიტარული მდგომარეობა ქალაქისა უმაღლეს წერტილამდე ავიდა; ბინის საკითხი ერთ-ერთი მწვავე საკითხთაგანია, რომელიც დიდ დაკვირვებას და დიდ შრომას მოითხოვს. ვერც სწავლა-აღზრდის საქმეა შესაფერ მდგომარეობაში. ყოველივე ამას უნდა უჭირისუფლოს ქალაქის საბჭომ. გარდა ამ დიდ საკითხებისა, ქალაქის საბჭომ თავისი სიტყვა უნდა თქვას იმ არანორმალურ მდგომარეობაზე, რომელშიაც ჩვენი ქალაქი და ოლქი იმყოფება და რის გამო ავანტიურისტთა სათარეშო მოედნათ იქცა ის.

ხვალინდელი დღე ისტორიული დღე იქნება ბათუმისათვის. ეს კარგათ უნდა შეიგნონ ამრჩევლებმა. განსაკუთრებით პირობებში ვართ და ამრჩეველთა მოქალაქეობრივი მოვალეობაა განსაკუთრებითი შეგნებით და სიფრთხილით მოეპყრას ხმოსნების არჩევნებს. არც ერთი ხმა არ უნდა დაიკარგოს. ყველა ამრჩეველი უნდა წარდგეს საარჩევნო ყუთის წინაშე და მით უნდა მოიხადონ მათ თავისი ვალდებულება როგორც ქალაქის, ისე თავის სამშობლოს ინტერესების წინაშე. გულგრილობა, არჩევნებისადმი უყურადღებობით მოპყრობა ეს ნამდვილი ღალატი იქნება თავის ერისა და ქვეყნის წინაშე. ამრჩეველმა არა თუ თითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, მან უნდა ეცადოს, რომ მონაწილეობა მიაღებინოს ნაცნობებს, მეგობრებს, მეზობლებს. მან თავისი მოვალეობა მხოლოთ იმით კი არ უნდა განსაზღვროს, რომ მივიდეს ქალაქის თვითმართველობაში და ყუთში თავისი ბიულეტენი ჩააგდოს, არამედ მან სხვა ამრჩევლნიც უნდა მიიყვანოს ყუთთან. ამას მოითხოვს ქალაქის ინტერესი, ამას მოითხოვს ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობა და ეს შედარებით მცირე შრომა არ უნდა დაზოგონ ამრჩევლებმა.

ხვალინდელი დღე გვეტყვის, თუ რამდენათ ვყოფილვართ ჩვენ, ქართველები, განურჩევლათ სარწმუნოებისა, მოქალაქეობრივი მოვალეობის შემსრულებელნი. ხვალინდელი დღე გვეტყვის, თუ რამდენათ გვიყვარს ჩვენ ჩვენი სამშობლო.

ეცადეთ არ დაჰკარგოთ არც ერთი ხმა. ყველამ ხმა უნდა მივსცეთ ჩვენს სიას, **პირველ ნომერს.**

შეასრულეთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა. შეასრულეთ თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე.

**ხმა მიეცით პირველ ნომერს.**

მოქალაქენო! იჩქარეთ ქალაქის თვითმართველობისაკენ. მიიღეთ პირადობის ბარათი და ბიულეტენი. გახსოვდეთ, რომ ვინც პირადობის ბარათს არ მიიღებს, ის არჩევნებში ხმას დაჰკარგავს.

---

ბიულეტენს, რომელსაც ქალაქის თვითმართველობაში იძლევიან, ზედ ნომერი არ აწერია. თვით თქვენ უნდა დააწეროთ ზედ პირველი ნომერი. (№1).

---

## ყაჩაღების გადმოსვლა საზღვრებიდან მურღულში.

ჩვენ ნამდვილ წყაროებად მივიღეთ შემდეგი ცნობა:

ამ თვის 16 სოფელ ბაგეში (მურღულის რაიონია) საზღვარზე გადმოსულა ჭანეთიდან 25 შეიარაღებული ჩეტნიკი ქიბარ-ალა ფეიზოღლის მეთაურობით. ეს ჩეტნიკები თავს დასხმიან სოფელ ბაგეს მცხოვრებს მევლუდ-ალა ყადიზადეს. ბაგეს მცხოვრებლებს წინააღმდეგობა გაუწევიათ, შეიარაღებულან და გაუმართავთ ომი თავდამსხმელებთან. შეტაკების დროს მოკლულა ჩეთნიკების მეთაური ქიბარ-ალა ფეიზოღლი. ჩეთნიკებს მოუკლავთ ყადიზადეს ქალიშვილი.

მეორე დღეს მურღულის რაიონის მცხოვრებლებმა ამ შემთხვევის გამო ყრილობა გამართეს და ფიცით დაადგინეს, რომ ჭანებთან არ იქონიონ არავითარი კავშირი და ყველა ჩეთნიკი, რომელიც საზღვარზე გადმოვა, დაიჭირონ და მთავრობას გადასცენ. ამასთან ყრილობამ დაადგინა, რომ საზღვრების დასაცავად გაიჩინონ შეიარაღებული რაზმი. უკვე ას კაცამდე ჩაეწერა ამ რაზმში. ყრილობამ დაადგინა აგრეთვე, რომ ეცნობოს ზემოხსენებული გარემოება მთავრობას და ეთხოვოს ბათუმში მცხოვრებ ლაზებს, რათა იქონიონ მათ გავლენა ჭანებზე და ეცადონ ბოლო მოეღოს ჭანეთიდან ჩეთნიკების თავდასხმას მურღულელებზე.

---

მოქალაქენო! ვისაც ქალაქის ბედი და მისი კეთილდღეობა გაინტერესებთ, ხმა მიეცით ხმოსანთა კანდიდატების სიას ნომერ პირველს. ამ სიაში მოთავსებულია კანდიდატები როგორც ქართველ მუსლიმანებისა, ისე ქართველ ქრისტიანებისა.

---

## ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი.

◆ ქალაქის სასურსათო დუქნებიდან შაქრის და ბრინჯის დარიგება ისევ სწარმოებს. სულზე იძლევიან 4 გირ. შაქარს და ორ გირვანქა ბრინჯს. შაქარი ფასობს გირვანქა 50 მანეთად, ბრინჯი 15 მანეთად. მიღება გაგრძელდება 4 მარტამდე.

◆ ქალაქის სასურსათო განყოფილებამ შემდეგი განცხადება გამოსცა:

— იმ მიზნისათვის, რომ ნაკლებ ბოროტმოქმედებას ექნეს ადგილი, სამართლიანათ იქნეს განაწილებული პური მცხოვრებთა შორის და ნაკლები დრო იქნეს საჭირო ფურნეებთან გასაჩერებლათ პურის მიღებისათვის, ახლო მომავალში ყველა ქალაქის მცხოვრები მიწერილი იქნება ერთ-ერთ ფურნეზე, ე. ი. ყველა ის მოქალაქე, რომელთაც სასურსათო ბარათი აქვს, ირჩევს ერთ იმ ქალაქის ფურნეთაგანს, რომლიდანაც მის სურს მუდამ მიიღოს პური. მის სურვილისამებრ ამორჩეულ ფურნეზე ის იქნება მიწერილი და პურსაც მუდამ იქ მიიღებს.

ამ მიზნის განსახორციელებლათ სასურსათო განყოფილება სთხოვს ყველა მოქალაქეს პარასკევს ამა 27 თებერვალს გამოცხადდენ პურის მისაღებად იმ ფურნეში, რომელშიდაც მათ სურთ მიიღონ პური მუდამ.

◆ ასოთამწყობთა პროფ. კავშირის გამგეობამ 26 თებერვლის კრებაზე დაადგინა: დაევალოს კავშირის ყოველ წევრთ ნახევარი დღის ქირა გადასდონ გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

◆ რუსკო-აზიაცკი ბანკმა საქ. კონსულ ნიკო ალნიაშვილთან 10,000 მანეთი გადასცა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

◆ სამშაბათს 3 მარტს 1920 წ. სომეხთა საკრებულო დარბაზში (დონდ. კარსკაუვის ქ.) ჭაობის და ლიმანმელეს უბნის ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მიერ ზემოხსენებულ რაიონის სამკითხველოს სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება ვლ. სულაქველიძის პიესა „ვისი ბრალია." დრამა 3 მოქმედებათ და 1 სურათათ. ბილეთები გაიყიდება საკრებულოს კასაში წარმოდგენის დღეს 4—8 ს.

---

ამრჩევლებო! ქალაქის გამგეობისაგან მიიღეთ პირადობის ბარათი. მიღება შეიძლება დილის 10 საათ. საღამოს 7 საათამდის. ბარათებს იძლევიან მხოლოდ 29 თებერვალს საღამომდე.

---

## წერილი ქობულეთიდან.

23 თებერვალს კინტრიშის უბნის უფროსმა ვაჭრებს თავი მოუყარა დაბა ქობულეთში. სხვათა შორის ხალხისთვის უკითხავს: მემედ გოგიბერიძე თუ ამოირჩიეთ გუბერნატორთან გასაგზავნათო. ჩვენში ქართველი ჯარის შემოყვანა უთხოვია გუბერნატორისათვისო, რადგან გოგიბერიძესთან ვაჭრებს ასეთი მოლაპარაკება არ ჰქონიათ და ეს მათ არც დაუვალებიათ. მისთვის, ვაჭრებმა ასეც უპასუხეს უბნის უფროსს — არ დაგვივალებიაო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნი უბნის უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი მოქცევით ცდილობს გოგიბერიძეს ხალხში ნდობა დაუკარგოს. მან კარგად იცის, რომ გოგიბერიძე არის სამუსლიმ. საქ. განმათ. კომიტეტის ქობულეთის განყოფილების თავმჯდომარე და მას სრულიად არ ევალება ჩვენში ჯარის შემოყვანის შესახებ ვინმესთან მოლაპარაკება აწარმოოს. გოგიბერიძემ მშვენივრად იცის მისი მოვალეობა ხალხის წინაშე და რაც მისი საქმე არ არის, იმაში არც ჩაერევა. ყველა ჩვენგანმა ვიცით, რომ ჩვენ გვყავს მეჯლისი მთელი ხალხისაგან ერთხმად არჩეული. მეჯლისმა კარგად იცის თავისი საქმე და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ მუდამ თავდადებული იმუშავებს.

მეჯლისი მთელი ჩვენი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლია და ხალხის გულის წადილი გაგებული აქვს. ის ჩვენს ბედნიერობისათვის მუშაობს და ამ ბედნიერობისათვის მზათ არის ყოველგვარ საშვალებებს მიმართოს ჯარი იქნება ეს თუ სხვა რამ, რადგან ეს ასეა, ყველა ჩვენგანი მოვალეა მეჯლისის მუშაობას ხელიც შეუწყოს. შეიძლება მეჯლისს დაევალებიოს ასეთი რამ გოგიბერიძისათვის, მაგრამ ეს ხომ ვაჭრებს არ ეხება. ბ-ნი უბნის უფროსი ისეთ საქმეებში არ უნდა ერეოდეს, რაც მისი საქმე არ არის.

ხასან თხილაიშვილი.

---

გახსოვდეთ 29 თებერვალი. ამ დღეს მოხდება ხმოსანთა არჩევნები. ვინც საქალაქო არჩევნებში თავის საარჩევნო უფლებას დაჰკარგავს, ის ამით დიდათ ავნებს საერთო საქმეს. არ უნდა დაიკარგოს არც ერთი ხმა.

---

## დ ა ი კ ა რ გ ა

ბესარიონ ალექსანდრესძე ყლენტის პირადობის სურათიანი მოწმობა მიცემულ საქ. რესპუბ. კონსულისაგან, ქ. ბათუმისა.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

219. (1–1).

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

შაბათი 20 მარტი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეძლევის ქუჩა 7 № ბაღის ქ. №10. ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით .................... 300 მან.
2 თვით .................... 200 მან.
1 თვით .................... 100 მან.

№320 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №320

ამ დღეებში ვარლამ სიმონიშვილის გურულ მომღერალთა გუნდის მიერ საქველმოქმედო მიზნით გაიმართება

## დიდი სახალხო კონცერტი

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ბათომის კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ბათომში გარდაიცვალა ქართული გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე

**ალექსანდრე (საშა) მაჭუტაძე**

დაკრძალვა მოხდება კვირას 21 მარტს სოფ. შემოქმედში.

## თფილისის პრესა ბათუმის შესახებ.

„ე რ თ ო ბ ა".

დიდის უკმაყოფილებით და იმედ გაცრუებით შეხვდება საქართველოს დემოკრატია და მასთან ერთად ბათუმ-აჭარის მცხოვრებნი იმ ცნობებს, რომელიც ევროპიდან მოვიდა ბათუმის საკითხის გადაწყვეტის შესახებ. გაზეთში გამოქვეყნებულ დეპეშებიდან სჩანს, რომ სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს უკვე 24 თებერვალს გადაუწყვეტია „გამოაცხადოს ბათუმის პორტი თავისუფალ პორტად, ქალაქი და მის გარშემო პატარა ზონა შეადგენენ ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ მყოფ პატარა სახელმწიფოს. და მას დაიკავებენ საერთაშორისო რაზმი — ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის სამი ბატალიონისაგან შემდგარი."

საკითხის ასეთი გადაწყვეტა ჩვენ მიგვაჩნია ფეხქვეშ გათელად იმ პრინციპებისა, რომლებიც შეიმუშავა უმაღლესმა საბჭომ თავისი მუშაობის დასაწყისში და რომლითაც მას უნდა ეხელმძღვანელა ქვეყნის საქმეების მოგვარებაში.

რა მოსაზრებით შეიძლება გამართლდეს ბათუმის საკითხის ასე გადაწყვეტა? ვისი ინტერესების მიხედვით შეიძლებოდა ამ საკითხებისათვის ასეთ მიმართულების მიცემა? დედა აზრი პრინციპებისა, რომელიც საფუძვლად უნდა სდებოდა უმაღლეს საბჭოს მუშაობას, გულისხმობს, რომ იმნაირ საკითხებში, როგორიც ბათუმ-აჭარისაა, მთავარი ყურადღება თვით დაინტერესებულ მცხოვრებთა სურვილს უნდა მიექცეს. ბათუმ-აჭარის მცხოვრებლებმა უკვე არა ერთხელ გამოსთქვეს თავისი სურვილი, გამოსთქვეს მთელი ქვეყნის გასაგონათ. მათი ხმა ისე მკაფიო და მეტყველი იყო, რომ ვერავინ მის შესახებ დავას ვერ გაბედავდა. მიუხედავათ აუარებელ ფულისა, რომელიც ოსმალეთის აგენტებმა დააბნიეს ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა თავის მხარეზე გადასაბირებლათ, მიუხედავათ იმ შეშინებისა და სარწმუნოებრივ დემაგოგიისა, რომელსაც ისინი იქ აწარმოებდენ, მიუხედავათ იმ დაბრკოლებისა, რომელიც ხვდებოდა საქართველოს მომხრეთა პარტიის მოქმედებას ინგლისის მხედრობის წარმომადგენლობის მხრით, 7 თვის განმავლობაში ბათუმ-აჭარის მცხოვრებლებმა სამჯერ ამცნეს ქვეყანას, რომ ისინი ქართველ ერის ნაწილად სთვლიან თავის თავს და მათი სურვილია მშობელ ერის წიაღში დაბრუნება. უბრალო სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა ეს ხმა უმაღლეს საბჭოს შეესმინა და ამ ხალხის სურვილის წინააღმდეგ არ გადაეწყვიტათ მისი მიწა-წყლის და პოლიტიკურ არსებობის საკითხი. თვითგამორკვევა ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა უკვე მოხდა. მათ საქართველოსთან გაერთიანება ისურვეს, — მაგრამ უმაღლესმა საბჭომ არ სცნო მათი უფლება თვითგამორკვევისა და მათ თავს ახვევს იმას, რაც მათ არ უნდათ, რაც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ბათუმის საკითხის ამნაირი გადაჭრა წარმოადგენს ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა მიმართ აშკარა ძალადობას. ის გადაწყვეტილება, რომელიც უმაღლეს საბჭოს გამოუტანია, არ არის საბოლოო. საქართველოს წარმომადგენელი კონსტანტინოპოლიდან იტყობინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ება, რომ „საბოლოო დასკვნა ბათუმის საკითხის შესახებ მოხდება რუსეთის საკითხის გადაწყვეტასთან ერთადო“. ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ, რომ ეს „საბოლოო დასკვნა“ მოხდება იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც დავიწყებულია უმაღლეს საბჭოს დღევანდელ გადაწყვეტილებაში, რომ უმაღლესი საბჭო ბათუმის საკითხის საბოლოო გადაჭრის დროს დაადგება ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა თვითგამორკვევის უფლების გზას, რომელსაც ძირითადაც ეწინააღმდეგება მისი დღევანდელი გადაწყვეტილება.

## „სახალხო საქმე“

მაშინ, როდესაც ჩვენ გულდამშვიდებით ვიყავით და სიმართლეზე დანდობილნი მოთმინებით მოველოდით გაუმაძღარ იმპერიალისტების მართლმსაჯულებას, — ჩვენი მტრები და „მოკავშირენი“ თურმე ბათუმის ბედს უკვე სწყვეტდენ. დღეს ფაქტის წინაშე დაგვაყენეს — ბათომს თავისუფალ ქალაქად აცხადებენ, მის გარშემო ახალს ზონას გვიწესებენ და საქართველო ბათუმს მოწყვეტილი სრულიად გარიყული რჩება.

უკვე შეკავშირებულან ოსმალოს აგენტები, ადერბეიჯანის პარლამენტის წევრები, ინგლისის გუბერნატორი, რუსის მოხელეები და გამწარებულნი ურცხვად ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ მუშაობას. უნდათ ერთიან არიონ მდგომარეობა ბათუმის ოლქში, გაამეფონ იქ ანარქია, აანთონ ცეცხლი და სწადიათ, რომ მთლად დაილუპოს ბათუმის მხარე, ოღონდ საქართველოს ნუ შემოუერთდება.

ასეთს ძალადობას და უსამართლობას სჩადიან. დახრჩობას გვიპირებენ და აღდგენილ ცხოვრების დამხობას. ასეთს დროს შეუძლებელია არ გაისმას ერის მტკიცე ხმა. შეუძლებელია მთელმა ქართველმა ხალხმა, და არა მარტო დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ, არ განაცხადოს მთელი ქვეყნიერების წინაშე, რომ ბათუმს არ დასთმობს, უბათუმოთ არსებობა არ შეუძლია და ამჯობინებს მოკვდეს ბრძოლაში ბათუმისათვის, ვიდრე სული ამოხდეს უბათუმოთ განაწამებს.

თუ ჩვენს ხალხში ცოცხალი სულია — და იგი არის, ეს ბევრჯერაა დამტკიცებული — დღეს უნდა ამოძრავდეს, თავის გაანებოს ყველაფერს და განიმჭვალოს უდიდესი მოქალაქეობრივის შეგნებით, რომ მოძალადენი კვლავ მოგვდგომიან კარს და ჩვენს განადგურებას ლამობენ, — და სთქვას ხმა მაღლა, რომ ქართველი ერი არავის დააჩაგვრინებს თავს, ბათუმს არავის დაანებებს. საჭიროა ამოქმედება მთელი ეროვნული საზოგადოებრივი აზრისა, ფართო დემონსტრაცია შეურყეველი გადაწყვეტილებისა, რომ ბათუმი საქართველოსია, მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველები ერთნი არიან...

ჩვენს ქალაქს, ჩვენი ღვიძლი ძმებით დასახლებულს, სხვები ეპატრონებიან, მის ბედს ევროპის იმპერიალისტები სწყვეტენ და რასაკვირველია სწყვეტენ თავის სასარგებლოდ. აქ პორტო-ფრანკოდ გამოცხადება კი არაა ყურადსაღები, არამედ ის, რომ ბათუმი და მისი ოლქი გვშორდება პოლიტიკურად, ჩვენს ორგანიულ ნაწილს გვართმევენ. ჰხდება ისტორიული უსამართლობა, ბათუმის ტრაგედია რთულდება. ჩვენმა მტრებმა უკვე მიაღწიეს ერთ მიზანს: მოხდა ის, რასაც დაბეჯითებით მოითხოვდა ადერბეიჯანი, რაზედაც მორცხვად ლაპარაკობდა სომხეთი და რასაც ხელს უწყობდა ინგლისის გუბერნატორი კუკ-კოლისი. იმ დროს, როდესაც ადერბეიჯანი ერთგულებას გვეფიცება და პირფერობს, მისი აგენტები და ოფიციალური წარმომადგენელნი ბათუმში პროვოკაციას ეწევიან და ამ შავბნელ საქმისათვის ადერბეიჯანელებს შვიდი მილიონი გაუგზავნიათ ამ დღეებში. ცნობებია აგრეთვე რომ საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციისათვის დიდძალი ფული გადაუდვიათ სხვებსაც. კუკ-კოლისის წარმომადგენელ ოფიცრებს და ადერბეიჯანის აგენტებს ყოველ-დღე გაცხარებული თათბირი აქვთ იმის თაობაზე, თუ როგორ უფრო მოხერხებულად ჩასცენ მახვილი საქართველოს გავლენას ბათომის ოლქში.

არაფერი დასამალავი აქ აღარ არის. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ არის მისი მტერი და ვინ უთხრის ზურგს უკან სამარეს. მოსარიდებელიც არაფერია. საქართველო უბათუმოდ და უოლქოდ წარმოუდგენელია. იგი საკუთარ წვენში მოიხარშება, მოსწყდება აზიასაც, რადგან აქეთ წასვლა მას არ შეუძლიან, მოსწყდება ევროპასაც — რადგან იქით წასასვლელ კარს მასართმევენ.

სდგება გადამწყვეტი მომენტი. ბათომს ჰყიდიან, ან უკეთ რომ ვსთქვათ, უკვე გაჰყიდს მსოფლიოს ავაზაკებმა და „კეთილმა“ მეზობლებმა, მაგრამ შეიძლება ანგარიში შეეშალოთ. მთელი ქართველი ხალხი ფეხზე უნდა დადგეს, მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი უნდა ამოძრავდეს, რათა ამ მზაკვრობას ხელი შეუშალოს. ჩვენ ჯერ-ჯერობით სასტიკ პროტესტით უნდა მივმართოდ მოკავშირეებს, ყველა დანარჩენ სახელმწიფოს, ინტერნაციონალს, ევროპის დემოკრატიას და არავის მივცეთ ნება საქართველო დაბალ ღობედ მიიჩნიონ. და ამ ბრძოლაში, რომელსაც საქართველოს უცხადებენ გარეშე ძალები — ჩვენ მარტონი არ უნდა ვიყოთ. ჩვენ ხელი უნდა გაუწოდოთ ყველას, ვისი ინტერესებიც ეწინააღმდეგება იმათ, ვინც ჩვენს სახელმწიფოებრივ სხეულს ერთხელ კიდევ ამახინჯებს, ვინც ჩვენს ეკონომიურად ჩაყლაპვისათვის ემზადება. ბათომს იმპერიალისტები მეორედ ჰყიდიან. ქართველო ხალხო, ხმა ამოიღე!

---

## დენიკინელების სიხარული.

დენიკინელებს დღესასწაული დაუდგათ. მოკავშირეების განცხადებაა, რომ ბათუმი ჩამოსცილდა ბათუმის ოლქს, რომ ბათუმი დაკავებული იქნება საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის ჯარებით, სიხარულით აღივსო დენიკინელთა ბანაკი. სიხარულს ისე აუტანია დენიკინელნი, რომ ველარ მალავ-

ენ ბათუმის ბედის ამგვარად გადაწყვეტაში ინგლისის აქაურ სარდლობის როლს.

აი რას სწერს ამის შესახებ გუშინწინდელ ნომერში დენიკინელთა გაზეთი „ნაშ კრაი".

„ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მადლობა მოვახსენოთ ინგლისის სარდლობას, რომელმაც დაიცო რა საერთო ინტერესები და რომელიც ძლიერ კარგად არის გაცნობილი კავკასიის მდგომარეობასთან, დაჟინებით მოითხოვა ბათუმის ოლქის ოკუპაციის გაგრძელება".

შეიძლება ამ „დაჟინებით მოთხოვნას" ინგლისის სარდლობა ფარავდა კიდეც, მარა გადაჭარბებულმა სიხარულმა „ნაშ კრაის" გამოაბარდღალებია ეს.

დენიკინელები დიდი მადლობელი უნდა იყვნენ აგრეთვე „სედაი მილეთის" ჯგუფისა, რომელიც თავგამოდებით ასრულებდა დენიკინელების დავალებას და მით ჩვენ ქვეყანას უბედურებას უმზადებდა. და აღსრულდა ნატვრა დენიკინელებისა, ადერბეიჯანის და „სედაი მილეთლების" განძრახვები: ბათუმი ჩამოაცილეს ბათუმის ოლქს.

ამიტომაც ზეიმობენ ჩვენი მტრები. ამიტომ აქვთ მათ გამართული ფერხული. ამიტომ დღესასწაულობს „ნაშ კრაი".

აწ მაინც ვიცნოთ მტერ-მოყვარენი. აწ მაინც აგვეხილოს თვალები. აწ მაინც ნუ თუ ვეღარ უნდა მივხვდეთ, თუ ვინ არიან „სედაი მილეთლები", თუ რატომ იყო, რომ ადერბეიჯანი ჩაგვჩიჩინებდა: ერთმორწმუნე ვართ და ყველაფერი მე დამიჯერეთო.

---

## ახალი ამბები.

✦ ამ დღეებში სასურსათო თვითმართველობა მცხოვრებლებს დაურიგებს მარტის თვის კერძ შაქარს. შაქარი იქნება მოყვითლო ფერის.

✦ პრ. კავშირთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს რესპუბლიკის ბათუმის კონსულის წინაშე, რათა ოთხი ბილეთი დაუთმოს აღნიშნულ საბჭოს იმ პირთათვის, რომლებმაც უნდა წაიღონ ქალაქ გორში დაზარალებულთა სასარგებლოთ მუშა-მოსამსახურეებში შეგროვილი ფული და სხვა ნივთები ადგილობრივ თავის შეხედულებისამებრ გასანაწილებლათ.

✦ პურის მცხობელთა პროფესიონალურ კავშირმა თავის წევრთა შორის შეაგროვა და პროფ. კავშირთა საბჭოს გადასცა დაზარებულ გორელების სასარგებლოთ 20000 მანეთი.

✦ 18 მარტს „პაკე"-ს საწყობიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს დიდძალი სხვა და სხვა ნივთები. მოპარული ნივთების ღირებულება ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

✦ 28 მარტს დანიშნულია სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის წევრების საზოგადო კრება.

✦ თფილისის გაზეთების ცნობით ბათუმის გენერალ-გუბერნატორი გენერალი კუკ-კოლისი თფილისში ჩასულა და საგარეო საქმეთა მინისტრად გამოცხადებულა.

✦ კვირას, 21 მარტს დილის 9 1/2 ს. დანიშნულია „ბათუმის მომხმარებელი საზოგადოების" წევრთა საზოგადო კრება. გასარჩევია მეტად საყურადღებო საკითხები.

✦ აბრამ მარკაროვის მაღაზიიდან (ეკატ. ქ. №7) ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 70000 მანეთად. ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

✦ ერთმანეთში აყალ-მაყალისათვის დატუსაღებულ იქნენ ოსმალეთის ქვეშევრდომნი: სულეიმან ხადჟი-ოღლი, ალი იბრაგიმ-ოღლი და ხალილ დჟაბარ-ოღლი.

---

## მაჭახელის რაიონის მცხოვრებელთა შუამდგომლობა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო რწმუნებულის წინაშე მაჭახელის მცხოვრებლებმა შემდეგი შუამდგომლობა აღძრეს:

„ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი, მაჭახელის რაიონის მცხოვრებლები, მოგმართავთ თქვენ, ბნო საგანგებო რწმუნებულო, რათა გვიშუამდგომლოთ საქართველოს მთავრობასთან, რომ მან შემოიყვანოს ჩვენს ოლქში ჯარები და ჩვენთან ერთად დაიცოს ჩვენი სიცოცხლე და ქონება, რომელიც საფრთხეშია. გახშირდა ჩვენში უპასუხისმგებლო პირთა აგიტაცია, ბალშევიკები მოდიან ქ. ბათუმიდან და მცხოვრებლებში ეწევიან ჩვენ დამღუპველ აგიტაციას. ეპირებიან ჩვენზე თავდასხმას აგრეთვე ჩეთნიკები. ერთად ერთი იმედი გვაქვს საქართველოს მთავრობისა, რომ შემოიყვანს ჯარს და მით იხსნის ჩვენ მხარეს ანარქიისაგან."

ხელს აწერს 50-მდე მცხოვრებნი
მაჭახელის რაიონისა.

---

## პროფ.-კავშირთა საბჭოს მოწოდება.

თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ შემდეგი მოწოდება დაუგზავნა პროფ. კავშირებს:

ამხანაგებო! პარასკევს, 19 მარტს, დამფუძნებელი კრება ბათუმის საკითხს არჩევს.

საკითხი იმდენათ რთულია, მომენტი იმდენათ სერიოზულია, რომ თფილისის პროლეტარიატს არ შეუძლია სიჩუმით შეხვდეს ამ კითხვას. ჩვენ ქუჩიდან უნდა მივსცეთ შეკითხვა მთავრობას, რომ ვიცოდეთ, თუ რა ნაბიჯის გადადგმას აპირებს ის ბათუმის საკითხის სამართლიანად გადაჭრაში.

ამ მომენტში ჩვენ არ შეგვიძლია გავჩუმდეთ და ჩვენი აზრი ხმამაღლა და საჯაროთ უნდა გამოვთქვათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე, ჩვენ უნდა განვუცხადოთ თფილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა მისიებს, თუ რას ფიქრობს თფილისის პროლეტარიატი და რა უნდა მას.

ამისათვის საბჭოს სეკრეტარიატში წინადადებას გაძლევთ თქვენ პარასკევს, 19 მარტს, დღის 12 საათზე მიატოვოთ ჩვეულებრივი მუშაობა და დროშებით და მუსიკით თავი მოიყაროთ მუშათა სასახლესთან.

---

# პროფესიონალურ კავშირში.

### ბაგრატოვის ინსტრუქცია.

ასოთ-ამწყობთა პროფ. კავშირის ყოფილმა გამგეობამ ნ. ბაგრატოვის მეთაურობით შეადგინა და დანიშნულებისამებრ დაარიგა ამავე კავშირის წევრთა რწმუნებულთათვის სახელმძღვანელო ინსტრუქცია. ეს რწმუნებულები არ არიან კავშირის მთელი მუშებისაგან არჩეულნი, არამედ მათ ირჩევს მუშათა მცირე ჯგუფები. ხშირია შემთხვევა, რომ ერთ რომელიმე სტამბაში მომუშავენი ორ ამგვარ რწმუნებულს ირჩევენ, ერთს გაზეთზე მომუშავენი, მეორეს კი სხვა დანარჩენი მუშები ამავე სტამბისა. რწმუნებულთა მოვალეობა უმთავრესად შემდეგს შეადგენს: თვალ-ყური ადევნონ კოლექტიურ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილ მუხლების სისწორით ასრულებას, როგორც დამქირავებლის, ისე დაქირავებულთაგან და თავის დროზე მოახსენოს კავშირის გამგეობას. საწევრო თუ სხვა გადასახადების, რომელიც კავშირის შეეხება, თავის დროზე შეგროვება, კავშირში წარდგენა და სხ.

ზემოაღნიშნულ ინსტრუქციაში კი, სხვათა შორის, შემდეგს ვკითხულობთ: „რწმუნებული ვალდებულია დაესწროს გამგეობის სხდომას გადამწყვეტი ხმის უფლებით". ასე სწერია ბაგრატოვის ინსტრუქციაში. მცირე ჯგუფთა რწმუნებულს, რომელსაც უმთავრესად 3-10 კაცი ირჩევს, გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტის ხმის უფლება ეძლევა! ამ გვარ რწმუნებულთა რიცხვი ბათუმში ამჟამათ 8-9 კაცს უდრის. მოსალოდნელია სულ ადრე ხანში ეს რიცხვი კიდევ გაიზარდოს.

გამგეობის წევრებს კი, როგორც ვიცით, საზოგადო კრება ირჩევს ხმის უმრავლესობით და მთელი კავშირის ბატონ-პატრონობას და ხელმძღვანელობას მათ აკისრებს. ფაქტიურად კავშირის საქმეებში პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს საზოგადო კრებისაგან გამგეობას. ეს გამგეობა 5-7 კაცისაგან შესდგება და რწმუნებულთა რიცხვთან შედარებით, რასაკვირველია, მცირეა. ბაგრატოვის ინსტრუქციით კი ამგვარ რწმუნებულებს გადამჭრელი ხმის უფლება ეძლევათ გამგეობის სხდომებზე და გამგეობის წევრები რწმუნებულთა უმრავლესობას უნდა ემორჩილებოდენ.

ასეთი ინსტრუქციებით კავშირის წევრთა უმრავლესობას თავზე ახვევენ მუშათა უმნიშვნელო ჯგუფის ნება სურვილებს. ეს საზოგადო კრების სამასხროთ აგდებაა. ეს გამგეობის უფლებათა ფეხქვეშ გათელვაა. ვინ იქნება საზოგადო კრების წინაშე პასუხისმგებელი გამგეობის მოქმედებების შესახებ? აშკარაა გამგეობის წევრნი და არა ვიღაც რწმუნებულები.

ბაგრატოვის ყოფილმა გამგეობამ აღნიშნული ინსტრუქციის სახით აშკარა ბოროტმოქმედება ჩაიდინა. კავშირის ახალმა გამგეობამ ამას შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციოს და ბაგრატოვების მიერ შედგენილი ინსტრუქცია ხელ-ახლა განსახილველად დასვას თავის სხდომაზე.

**სტამბის მუშა.**

---

# დაღესტანში.

### თურქები და ბალშევიკები.

თანდათან ნათელი ეფინება ბალშევიკებისა და თურქებს შორის დამოკიდებულებას დაღესტანში, მათ შორის უკანასკნელ ხანებში რამდენიმე შეიარაღებულ შეტაკებას ქონდა ალაგი. თურქების მომხრეები თავს დაესხენ მაჯალისს, სადაც ბალშევიკები იყვენ დაბანაკებული. ბალშევიკები გაფანტეს. მთიელთა დამცველი კომიტეტი ამ ბრძოლაში შეურიგებელ პოზიციას იკავებს; კომიტეტის თავმჯდომარემ შესაფერი მოწოდება გამოსცა, სადაც იგი წინადადებას აძლევს მებრძოლ მხარეებს დასტოვონ დაღესტანის ტერიტორია, თუ ისინი თავს არ დაანებებენ ურთიერთ შორის ბრძოლას; დაღესტანში დარჩენის უფლება მხოლოდ იმათ აქვთ, ვინც ხელს შეუწყობს დაღესტანის დაცვას დენიკინის შავ რეაქციისაგან. მიღებულია ზომები დაღესტანის ყოველგვარ ავანტიურისაგან სათავისუფლებლოთ.

(„ვ. გ.").

### უთანხმოება კომუნისტებს შორის.

დაღესტანის კომუნისტებს შორის თავი იჩინა სერიოზულ უთანხმოებამ. იბრძვის ორი ფრთა — რუსეთისა და ადგილობრივი კომუნისტები. რუსეთის კომუნისტები მოითხოვენ, რათა მთიელთა რესპუბლიკა ფედერატიულათ შეუკავშირდეს რუსეთს; ადგილობრივი კომუნისტები მომხრენი არიან რესპუბლიკის დამოუკიდებლათ არსებობისა.

---

# ოსმალეთში.

### ისლამი და ბალშევიზმი.

ოსმალეთის გაზეთები სავსეა წერილებით ისლამის და ბალშევიზმის შესახებ. რასაკვირველია, ამ საკითხს თეორიული და რელიგიურ-დოგმატიური მნიშვნელობა არ აქვს. მას მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა. რადგანაც „ერთობისა და პროგრესის" მომხრეებმა ბალშევიკებთან მჭიდრო კავშირი გააბეს. გაზეთმა „ალემდარმა" მიმართა ყო-

ფილ შეიხულ-ისლამს, სენატორ საბრის, გამოეთქვა საწინააღმდეგო აზრი ანტი ბალშევიკურ მანიფესტ-ის შესახებ, რომელიც გამოსცა ისლამის აღორძინ-ების საზოგადოებამ. საბრიმ უპასუხა, რომ მანიფე-სტში აღნიშნული ყოველი დებულება სიმართლეს შეიცავს. ისლამს არ შეუძლიან შეურიგდეს ოჯახ-ის, ქორწინების, მემკვიდრეობის და სხვა წესების გაუქმებას. ისლამი არ უნდა გახდეს იარაღი ბალ-შევიკურ პროპაგანდის, პირიქით, იგი უნდა შეებრ-ძოლოს ბალშევიზმს. საბრი ეხება რა ბალშევიკებს და „ერთობისა და პროგრესის“ ნაციონალისტებს, აღნიშნავს, რომ უკანასკნელთ განზრახვა ჰქონდათ აბდულ ჰამიდის ტირანიის მოსპობა, სამაგიეროთ თავიანთი საკუთარი ტირანია გაამეფეს. ჩვენ ვტყო-ბილობთ, რომ „ერთობის და პროგრესის“ მომხრე-ები ეკუთვნიან მდიდარ კლასს, ბალშევიკებთან კი კავშირს იჭერენ, — ამ მდიდრების მტრებთან. ამ ხალხის პროპაგანდიდან სჩანს, რომ ისინი ბალშევ-იკებს ელოდებიან, როგორც თავიანთ მხსნელებს, ნამდვილათ კი, ეს ვაჟბატონები, რომელთა ხელში-აც არის ქვეყნის სიმდიდრე, ეტმასნებიან მდიდრე-ბის მტრებს — ბალშევიკებს და სურთ ამ გარემო-ებით ისარგებლონ და თავიანთი სიმდიდრე გააორ-კეცონ. „ერთობის და პროგრესის“ პარტიის ლიდე-რები თავიანთ ბატონობის დროს, ხალხს უხვევდენ თვალებს და მოაჩვენებდენ თავს კონსტიტუციის მე-გობრებათ და პატრიოტებათ და ქვეყანას კი ღუპ-ავდენ. ისინი ეხლაც შესძლებენ ასეთ წინააღმდეგ-ობას შეურიგდენ, მათ უნდა ბალშევიზმის მონოპო-ლია თავიანთ სასარგებლოთ გამოიყენონ. მათ სურთ ბალშევიკებთან შეთანხმებით აწარმოვონ ბრძოლა ანტანტის წინააღმდეგ. საბრალო ოსმალე-თის ხალხო, იმათ ვინც ახლახან ჩაგითრია მსოფლ-იო ომში და გერმანიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოდიოდი რუსეთის, შენი ტრადიციულ მტრის წინააღმდეგ, ახლა მას მოუწოდებენ შეუერთდეს რუსეთს და შეერთებულის ძალით თავისი სიცოცხ-ლე სასწორზე დასდოს.

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

სამშაბათი 23 მარტი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის ქუჩა 7 № ბალის ქ. №10. ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 300 მან. |
| 2 თვით | 200 მან. |
| 1 თვით | 100 მან. |

№321 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №321

ამ დღეებში ვარლამ სიმონიშვილის გურულ მომღერალთა გუნდის მიერ საქველმოქმედო მიზნით გაიმართება

## დიდი სახალხო კონცერტი

## ბათომის გარშემო.

### საქართ. დამფუძ. კრების 19 მარტის სხდომა.

### თავმჯდომარ. ალ. ლომთათიძე.

სხდომას აუარებელი გარეშე საზოგადოება ესწრება. მთელი დარბაზი ხალხით გაჭედილია. ყველას აინტერესებს თუ რას იტყვის საქართველოს ხალხის ნება-სურვილის უზენაესი გამომხატველი დამფ. კრება და მის მიერ არჩეული და ნდობით აღჭურვილი მთავრობა ბათუმის საკითხის შესახებ. ყველა მოუთმენლად მოელის სხდომის გახსნას. სასახლის წინ ზღვა ხალხს მოუყრია თავი და იქედან გუგუნი მოისმის. სხდომა იხსნება 12 ს. 15 წუთ.

### ბათუმის საკითხი.

სოც. ფედერ. შეკითხვას მთავრობისადმი ბათუმის საკითხის მდგომარეობის შესახებ ასაბუთებს ს. მდივანი, რომელიც აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ ხალხის სურვილისა, ისტორიისა, კულტურისა და ეთნოგრაფიისა ბათუმი ძალადობით ჩამოგლიჯეს დედა-საქართველოს. ერთი ნაწილი მოჰკვეთეს მის სხეულს. თუ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს არ დაუბრუნდა, მას (საქართველოს) გაუჭირდება ცხოვრება, გაუჭირდება სუვერენობის შერჩენა. ბათუმი უნდა დაუბრუნდეს თავის ნამდვილ პატრონს; ჩვენ გვაქვს ამის მორალური, ისტორიული და ბუნებრივი უფლება, ვინც ამაში შეგვედავება, ის ჩვენი მტერია. ბათუმი ჩვენი კულტურის აკვანია, ბათუმი აშენებულია ქართველი ხალხის მიერ, თვით ქართველმა რევოლუციონურმა დემოკრატიამ პირველად ბათუმში აიდგა ფეხი და იქ დაიღვარა პირველი სისხლი. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ ჩამოგვგლიჯა ბათუმი და ამ ხელშეკრულებით გათამამებულმა ოსმალეთმა ისტორიული ბოროტება ჩაიდინა, მოკავშირეებმა ბრესტის ხელშეკრულება გააუქმეს, ყარსი დაუბრუნეს პატრონს, ხოლო ბათუმის შესახებ ეს არ გამოიყენეს. დღეს ვინ გინდათ, რომ ბათუმზე პრეტენზიებს არ აცხადებდეს: თავის სამშობლოდან გაქცეული სერვერ ბეგი, მას დასდევენ დენიკინის აგენტები — რუსები და თავის სამშობლოდან გამოქცეული ოსმალები. შემდეგ ორატორი ეხება მეზობელ რესპუბლიკების დამოკიდებულებას ბათუმის საკითხთან და ამბობს, რომ ჩვენ არ მოგვისმენია ბათუმის შესახებ გადამჭრელი სიტყვა. მოკავშირეების პოლიტიკას ამიერკავკასიაში ასე ახასიათებს ორატორი: გათიშე და იმეფე, აი, მათი პოლიტიკის მთავარი აზრი. მათ ჩვენში შემოსვლისას განაცხადეს, რომ ისინი არ ჩაერევიან ჩვენ შინაურ საქმეებში. მაგრამ განა არ ერევიან? — დიახ, ერევიან, ამის დამადასტურებელი ფაქტები ჩვენ გვაქვს. შემდეგ ორატორი ახასიათებს ინგლისის გენერლების პოლიტიკას ამიერკავკასიაში და კერძოთ ბათუმში და ამბობს, რომ ამ გენერლების პოლიტიკა არ შეეხამება ინგლისის სწორად გაგებულ ინტერესებს, მაგ. გენერალი კუკ-კოლისი ბათუმში აწარმოებს ინტრიგებს და მის გუბერნატორობის დროს ბათუმი გადაქცეულია საერთაშორისო სპეკულიაციის ასპარეზად. ბათუმი გადააქციეს ერთნაირ საქანელად; მოიყვანებენ ჯარებს, შემდეგ წაიყვანებენ და ასე გრძელდება ქანაობა. ასეთი ქანაობა დაუშვებელია. ბათუმის საკითხი უნდა გადაწყდეს ერთხელ და სამუდამოთ და ის უნდა გადაწყდეს საქართველოს სასარგებლოდ. აი, ახლა არის სწორედ შესაფერი მომენტი დამდგარი და ეს მომენტი არ უნდა გაუშვას მთავრობამ ხელიდან. თუ ამ მომენტით მთავრობამ არ ისარგებლა და ბათუმი დაჰკარგა, ამას ხალხი მთავრობას ვერას გზით ვერ აპატიებს. საჭიროა ბათუმის შემოსაერთებლად დღესვე, დაუყონებლივ ზომების მიღება.

### თავმჯდომარის განცხადება

თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღეს ისტორიული დღეა. ისტორიული დღე არა მარტო დედა-ქა-

ლაქ თფილისში, არამედ შეიძლება ითქვას მთელს საქართველოში. თქვენ, ალბათ გესმით გუგუნი ხალხისა, რომელიც მოზღვავებულია სასახლის წინ და გამოუგზავნია დელეგაცია, რომელმაც მე გამიწვია და გადმომცა შემდეგი რეზოლიუცია: (კითხულობს)

### რ ე ზ ო ლ ი უ ც ი ა :

მუშათა და მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, თავმოყრილი ბათუმის ოლქში შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევათ ერთხმად აღიარებს, რომ 1918 წ. 1 აპრილს ოსმალეთის ჯარმა აიღო ქ.ბათუმი საქართველოს მხედრობასთან ბრძოლის შემდეგ და მით ხელთ იგდო ბათუმის ოლქი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ბრესტის ზავის თანახმად ოსმალეთის იმპერიას გადასცა.

საქართველოს ხალხი მას შემდეგ, რაც ოსმალეთი მსოფლიო ომში დამარცხდა, მუდამ დღე ელოდა ბათუმის ოლქის შემოერთებას, რომელიც ეტნოგრაფიულათ, კულტურულათ და ისტორიულად უხსოვარ დროიდან საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ბათუმის ოლქის მცხოვრებლებმა თავის არჩეულ წარმომადგენელთა პირით, რომელთაც შექმნენ მეჯლისი, საყოველთაოდ აღიარეს, რომ სამაჰმადიანო საქართველოს შეურყეველი სურვილია დედა-საქართველოსთან ავტონომიურ საფუძველზე გაერთიანება.

ქ.ბათუმის მცხოვრებლებმა საქალაქო არჩევნებში 29 თებერვალს 1920 წ. თუმცა ის სწარმოებდა ქართველთათვის მეტად არა ხელსაყრელ პირობებში, მკაფიოთ და გადაჭრით გამოსთქვეს თავისი აზრი, რომ ბათუმი საქართველოა, ის ისეთი იყო ძველი რეჟიმის დროსაც და მოითხოვეს ბათუმის საქართველოს რესპუბლიკისათვის გადაცემა.

მიუხედავათ ხალხის ნება-სურვილისა, რომელიც ეყრდნობა რევოლიუციისა და თავისუფლების დიდ პრინციპს — ერთა თვითგამორკვევის უფლებას — ბათუმის საოკუპაციო მთავრობა განაგრძობს ძველ გზას — ქართველთა დევნას და მათი ინტერესების უდიერათ ფეხქვეშ გათელვას, და ამ მიზნით ის წინეთ ეყრდნობოდა გენ. დენიკინის მომხრეებს, ამ ჟამათ კი პანთურქისტებისა და ანარქისტულ-ბოლშევიკური ელემენტების ბლოკს.

ქ.ბათუმისაგან კარიკატურული სახელმწიფოს შექმნა მოასწავებს საქართველოს დემოკრატიის ინტერესების ფეხქვეშ გათელვას და რესპუბლიკის ეკონომიურ-პოლიტიკური განვითარებისათვის კარების დახშობას. ეს ბათუმის ოლქის მცხოვრებთა სპეკულიანტთა ხელში გადაცემა იქნება, რომელნიც ახლა იქ დათარეშობენ და ამიერ-კავკასიის დემოკრატიას ყვლეფენ.

ბათუმი უსაქართველოთ მკვდარია, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა უბათუმოთ ყოვლად შეუძლებელია.

იღებს რა ყველა ამას მხედველობაში, მიტინგი კატეგორიულათ მოითხოვს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობისაგან გაბედულ ნაბიჯებს ბათუმისა და მისი ოლქის შემოსაერთებლათ, ხოლო დიდს სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან დაჩქარებით საქართველოს ინტერესების დაკმაყოფილებას.

მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია მეგობრული ურთიერობის დამყარება საქართველოსი დიდ მოკავშირე სახელმწიფოებთან. (მხურვალე ტაში).

აი, ეს რეზოლიუცია გადმომცა დელეგაციამ და თან დასძინა, რომ ისინი მოუთმენლად მოელიან იმას, თუ რას იტყვის ბათუმის შესახებ საქართველოს ხალხის უზენაესი ორგანო დამფუძნებელი კრება. მე მათ გადავეცი, რომ დამფუძნებელის კრების გადაწყვეტილება ამ ორ სამ დღეში ეცნობება მათ პრესის ან სხვა რაიმე საშუალებით.

თავმჯდომარემ კრებას გააცნო მიღებული დეპეშები.

----------------

## მემედ-ბეგ აბაშიძის დეპეშა.

### საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს.

გასული წლის 31 აგვისტოს მთელი ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობამ, რომელიც შეიკრიბა ქ. ბათუმში ინგლისის ადგილობრივ სარდლობის ნებართვით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე აღიარა, რომ ქ.ბათუმი და ბათუმის ოლქი განუყრელი და განუყოფელი ნაწილია საქართველოსი და მოითხოვა, რომ ხელოვნურათ საქართველოსაგან მოწყვეტილი ოლქი ავტონომიურათ გაერთიანებულ იქნას დედა-სამშობლო საქართველოსთან. ყრილობამ აირჩია მეჯლისის წევრნი, რომელთაც დაავალა ეზრუნათ ყრილობის ხსენებულ დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ. ეს გადაწყვეტილება ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველებისა, რომლებიც 95 პროც. შეადგენენ ოლქის მცხოვრებლებისას, მეჯლისმა სპეციალური დელეგაციის საშუალებით აცნობა, როგორც საქართველოს დემ. რესპუბლიკის მთავრობას და დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს კავკასიაში მისტერ უორდროპს, ისე სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენლებსაც. ამის შემდეგაც ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანებს არა ერთხელ და ორჯერ გამოუთქვამთ თავისი ნებისყოფა ოლქისა და ქ. ბათუმის საქართველოსთან ავტონომიურად გაერთიანების შესახებ.

მიუხედავათ ოლქის მცხოვრებთა ასეთი ნება-სურვილისა, მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს გადაუწყვეტია, რომ ქალაქ ბათუმისაგან მცირედი ზონითურთ გამოიჭრას „პატარა სახელმწიფო“, უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხის ნება-სურვილს, სასიკვდილო ლახვარს სცემს როგორც ჩვენს ოლქს, ისე დედა-სამშობლო საქართველოს, რომლის განუყოფელი და განუყრელი ნაწილია ქალაქი ბათუმი და მისი ოლქი.

ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისის და სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოქალაქენო, დაეხმარეთ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

## დაეხმარეთ შეძლების დაგვარათ — ვისაც რამდენი შეგიძლიათ: ფულით, სურსათით, ტანისამოსით, გახსოვდეთ რომ ყოველი წვლილი დიდი დახმარება და იმედი იქნება დაზარალებულთათვის!

ებელ კომიტეტის სახელით ვაცხადებ რა ულრმეს პროტესტს მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილების შესახებ, ვთხოვ ჩვენს ძმებს — ქართველ ქრისტიანებს, საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, არ დაგვტოვონ ასეთ უბედურ მდგომარეობაში, რაც თავს დაგვატეხა ქართველ მუსლიმანებს უმაღლეს საბჭოს დადგენილებამ; მოგვხედონ და დაგვეხმარონ ამ უბედურების თავიდან ასაცილებლათ, მიიღონ ყოველივე ღონისძიება, რათა ბათუმი და მისი ოლქი ავტონომიურათ გაერთიანდეს დედა-სამშობლო საქართველოსთან.

ჩვენ კი, ქართველი მუსლიმანები, მთელ ქართველ ერთან ერთად, თითო ოროლა ჩვენი მტრების მიერ მოსყიდულ პირთა გამოკლებით, ფიცსა ვდებთ ღვთისა და ქვეყნის წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ უმაღლეს საბჭოს დადგენილებით ფეხქვეშ გათელილ ჩვენ უფლებებს.

ბათუმი და ბათუმის ოლქი, რაც უნდა გახდეს, რა დიდი მსხვერპლის გაღებაც არ უნდა დაგვჭირდეს ამისათვის, ავტონომიურათ უნდა შეუერთდეს დედა-სამშობლო საქართველოს, უამისოთ წარმოუდგენელია საქართველოს დამოუკიდებლობა, უამისოთ შეუძლებელია ჩვენი ხალხის ნორმალური განვითარება.

ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა მეჯლისის და სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარე მემედ-ბეგ აბაშიძე.

(მხურვალე ტაში).

### ალი ეფენდი ჯაფარიძის დეპეშა.
#### საქართველოს დემოკრატ. რესპ. თავმჯდომარეს.

თფილისი, დიდ ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს მისტერ ოლივერ უორდროპს. ასლები საფრანგეთის და იტალიის მისიების თავმჯდომარეს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და დამფუძნებელ კრებას.

ბათუმის ოლქის შეერთებულ მუსულმანთა საბჭოს სახელით ვაცნობებთ თქვენს ალმატებულებას, რომ თუ დღემდის ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით დედა-საქართველოსთან შეერთების, ეს იყო შეუთანხმებლობა ზოგიერთი საკითხებში საქართველოს მთავრობასთან. ჩვენს შორის მოხდა სრული შეთანხმება და მოვითხოვთ, რომ დაუყონებლივ შეუერთდეს ჩვენი კუთხე დედა საქართველოს, როგორც ქალაქი ბათუმი, აგრეთვე მთელი ოლქი ავტონომიურად, როგორც განუყოფელი ნაწილი საქართველოსი. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება და მით აცდება სისხლის ღვრა, რომელსაც აწყობენ საქართველოს მტრები. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ აშკარათ ადერბეიჯანის აგენტები აძლევენ ყაჩაღებს ფულს, რათა თავდასხმა მოაწყონ ქართველ ჯარზე, საქართველოს ჯარს ელის აღფრთოვანებით და სიყვარულით ჩვენი ხალხი რათა დაიცვან ძველი საქართველო.

შეერთებულ მუსლიმანების საბჭოს თავმჯდომარე ალი ჯაფარიძე (ტაში).

### ჯემალ ფაშა ხიმშიევის დეპეშა.
#### დამფუძნებულ კრებას.

მიუხედავათ ინგლისელ აფიცრების ინტრიგებისა, რომ აეჯანყებიათ ზემო აჭარის მცხოვრებლები ჩვენ ჯარის წინააღმდეგ, მიუხედავათ სანგრების გაკეთებისა ხულოს გარშემო და სხვა დემონსტრაციებისა, საქართველოს ჯარის შესვლას ხულოში მცხოვრებლები პურ-მარილით შეეგება, რასაც ალტაცებით გილოცავთ;

ჩვენ დარწმუნებული ვართ არავითარი ინტრიგები არ შეარყევენ აჭარის ხალხის სიხარულს, მშობლიურ საქართველოსთან შეერთებით გამოწვევას;

ჯემალ ფაშა ხიმშიევი (ტაში).

დამფუძნებელი კრების რეზოლუციას, ევ.გეგეჭკორის სიტყვას და სხვებს შემდეგ დავბეჭდავთ.

## ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

✦ იტალიის მისიის მეთაურის პოლკოვნიკ გაბბასაგან საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ.გეგეჭკორმა შემდეგი წერილი მიიღო:

ეს არის ეხლა მივიღე თქვენი ნოტა №2222 მარტის 18-დან: მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ყველა მისი დებულებანი დღესვე გადაცემულ იქმნება რადიოთი იტალიის მთავრობისადმი.

სწორედ გუშინ, როდესაც მე უკან ვბრუნდებოდი, ბათომიდან რადიოთი შევატყობინე ჩემს მთავრობას და ვაცნობე ქართველი ერის სულიერი მდგომარეობა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიიღო უმაღლესმა საბჭომ ბათომის საკითხის შესახებ, მე ვსთხოვდი სასწრაფოდ ეცნობებინათ ჩემთვის, არა მარტო ქალაქის, არამედ მთელი ოლქის ბედის მომავალიც. მე ვსარგებლობ შემთხვევით ბატონო მინისტრო, რომ გაცნობოთ თქვენ ჩემი პირადი აზრი, რომელიც კარგად იცის იტალიის მეფის მთავრობამ, რომ ბათომის მთელი ოლქი ქალაქთან ერთად უნდა გადაეცეს საქართველოს მხოლოდ იმ გარანტიით, რომ განსაზღვრულ დროს განმავლობაში იქნება განსაკუთრებული მმართველობა და ნავთსადგურით ისარგებლებენ ყველა ის ერები,

რომლებიც ამით დაინტერესებულნი არიან, უპირველეს ყოვლისა ამიერკავკასიის სამი ერი; ვალდებულად ვრაცხ თავს დაუმატო, რომ ასეთი საკითხის გადაჭრა ფრიად ხელსაყრელი იქნება თვით საქართველოსათვის, თუ მივიღებთ მხედველობაში განსაკუთრებულ მდგომარეობას ფოთის და ბათომის ნავთსადგურებისა ბოლშევიკების ოკუპაციის გამო, შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირების მხრიდან, ოკუპაციისა, რომელიც მოკლე ხანში მიაღწევს ნოვოროსიისკს და ტუაპსეს, მე გადავიკითხე კომანდან დე-ნონკურის ცნობა და ვაცხადებ, რომ მე ვერ ვიპოვე იქ ვერავითარი წინააღმდეგობა იმ ცნობასთან შედარებით, რომელიც მე თვითონ პატივი მქონდა თქვენთვის გადმომეგზავნა. მარტის 9 ბატ.-უორდროპის ტექსტში მე აღვნიშნე: „ჯერჯერობით“, რომელიც გვითითებს ჩემის აზრით, მიღებულ გადაწყვეტილების დროებით ხასიათზე. ამის შესახებაც შევეკითხები იტალიის მეფის მთავრობას, რათა საჭირო ცნობები მომაწოდოს.

✦ ამ დღეებში თფილისიდან ბათუმში ჩამოვიდა ათა-ბეგი მომარაგების სამინისტროსათვის ფქვილის შესაძენათ.

✦ სასურსათო თვითმართველობამ შეადგინა ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ქალაქის ფურნეების პატრონებმა.

✦ მუშათა კოოპერატივის თხოვნა, რომ მათთვის მიეცათ ნისიათ 200 ათასი მანეთის შვეიცარიიდან მიღებული საქონელი, საქალაქო სამმართველომ არ დააკმაყოფილა.

✦ მინერალურ და ხელოვნურ წყლების პატრონებმა თხოვეს ბ-ნ გუბერნატორს არ გადაახდევინონ მათ აღნიშნულ წყლებზე სააქციზო გადასახადი.

# მ ო წ ო დ ე ბ ა.

ბათუმის ქართულ გიმნაზიის მშობელთა წრის საბიბლიოთეკო კომისია გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ მისი მოწოდება ქართველ საზოგადოებისადმი გიმნაზიის ბიბლიოთეკისათვის რაიმე დახმარების აღმოჩენის შესახებ — სრულიად უყურადღებოდ დარჩა.

რამოდენიმე თვეა, რაც ეს მოწოდება იყო ადგილობრივ გაზეთში მოთავსებული, მაგრამ ჯერ არავითარი შემოწირულება არც წიგნებით და არც ფულით კომისიას არ მიუღია. კომისია ფიქრობს, რომ ბათუმის ქართველი საზოგადოება არ დატოვებდა ამ მოწოდებას უყურადღებოდ, რომ რაიმე მაზე დამოუკიდებელი მიზეზი არ უშლიდეს ხელს. ასეთ მიზეზათ კომისიას მიაჩნია შემომწირველის მიერ შემოწირულობის დანიშნულ ადგილას მიტანის დაზარება. ამიტომ კომისია აცნობებს ქართველ საზოგადოებას, რომ ახლო მომავალში კომისიის წევრები ჩამოივლიან ოჯახებში ბიბლიოთეკისათვის წიგნებისა და სხვა შემოწირულობის შესაგროვებლათ.

**ბათუმის ქართულ გიმნაზიის მშობელთა წრის საბიბლიოთეკო კომისია.**

# რა ხდება უცხოეთში

## რ უ ს ე თ ი.

**ქაღალდის სამრეწველოების მილიტარიზაცია ბალშევიკების მიერ.**

სახალხო კომისართა საბჭომ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლის თანახმად ქაღალდის ყველა ქარხნის მილიტარიზაცია ხდება. ყველა წარმოება, როგორც პერიოდული, ისე არა პერიოდული ქაღალდის საბეჭდავი, კარდონის, შრიფტის, სტამბის, სალებავებისა და სხ. ცხადდება სამხედრო ოპერატიული მიზნისათვის და ყველა უწყებას ევალება ამ წარმოების ყოველგვარათ ხელის შეწყობა.

## ს ო მ ხ ე თ ი.

**სამინისტრო კანდიდატები.**

გაზ. „აცდოვურდ“-ს ატყობინებენ, რომ პარიზის ეროვნულმა დელეგაციამ თავის მხრით დაასახელა გაერთიანებული სომხეთის მინისტრთა კანდიდატებად გაბრიელი ნორატუნკიანი და ვოსკან მარტოკიანი. („იშხ“).

## ი ნ გ ლ ი ს ი.

**ინგლისი და აღმოსავლეთის საკითხი.**

ლონდონიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ლონდონის პრესის მიხედვით არ შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთის საქმეების გამოტანილ დადგენილებას გამოეწვიოს აღტაცება. პარლამენტის წრეებშიაც ემჩნევათ უკმაყოფილობა, ამბობენ, რომ ლოიდ ჯორჯმა უნდა გასცეს ამ უკმაყოფილებას პასუხი.

## საბერძნეთის მისიის ცნობები.

**მდგომარეობა მცირე აზიაში**

არა ოსმალთა მცხოვრებლების მდგომარეობა მცირე აზიაში მეტად საშიშ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მუსტაფა ქემალის ჯარები ახალ სისხლის ღვრას აწყობენ.

**წითელ ჯვრის რაზმი ბათუმში.**

ბათუმში ამ მოკლე ხანში მოელიან საბერძნეთის წითელ ჯვრის რაზმს. მათ შესახვედრად ადგილობრივი ბერძნების ახალშენი ემზადება.

**ფულის ნიშნების აღკრძალვა.**

საბერძნეთში მთავრობამ აღკრძალა ქაღალდის ფულის შეზიდვა შემდეგ სახელმწიფოებისა: რუსეთის, ავსტრიის, რუმინიის, ბოლგარიის, გერმანიისა და ოსმალეთის.

**დახმარება სომხეთს, პოლონეთს და ავსტრიას**

ამერიკის ფინანსთა მინისტრმა გლაზმა მოსთხოვა კონგრესს კრედიტი 150 მილიონი დოლლარი ავსტრიის, პოლონეთის და სომხეთის დახმარების აღმოსაჩენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გემების აგება.**

ინგლისსა და ამერიკაში საბერძნეთის ხარჯით შენდება ოცი ახალი გემი 110000 საერთო ტონისა.

**ბიულოვის განცხადება.**

ყოფილ კანცლერმა თავად ბიულოვმა განაცხადა, რომ იგი არავითარ გზით არ დაემორჩილება მოკავშირეთა სამართალს.

**სულთანის დატოვება.**

სტამბოლიდან მოსულ ცნობებით სულთანმა დაიყოლია დიდი ვეზირი ალი რეზი ფაშა დარჩეს თავის ალაგას.

**სტამბოლის ოსმალთა ხელში დატოვება.**

გაზეთ „მანჩესტერ გარდიენ" ილაშქრებს რა ოსმალთა სტამბოლში დარჩენის წინააღმდეგ სწერს: „სიგიჟე იქნებოდა ქრისტიან მცხოვრებთა დატოვება ოსმალთა ხელში".

## ოსმალეთი

**სტამბოლის საკითხი.**

ლონდონიდან 25 თებერვლის თარიღით იტყობინებიან, რომ სულთანის სტამბოლში დატოვების დადგენილების გამო რეიტერის სააგენტოს შეუტყვია, რომ ბერძენთა მთავრობა უფლებას იტოვებს პასუხი გასცეს იმ შემთხვევაში, თუ რომ ბერძენ მცხოვრებთა ერთი რომელიმე ნაწილი დარჩება ოსმალთა მფლობელობის ქვეშ. ის არ გასცემს პასუხს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ სტამბოლი გადაეცემა ეროვნებათა ლიგის მფარველობის ქვეშ. ყოველ შემთხვევაში ფიქრობენ, რომ ინგლისაც სურს განმარტებების შეტანა, პრინციპიულად უკვე მიღებული მთელ რიგი საკითხების შესახებ, როგორც მაგალითად სულთანის სტამბოლში დარჩენის შესახებ.

გაზ. „ივნინგ სტანდარტი" წინადადებას იძლევა სტამბოლის შესახებ მოხდენილ იქნას პლებისციტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა მცხოვრებნი.

**კონსტანტინეპოლის დაჭერა.**

კონსტანტინეპოლი უინციდენტოთ დაიჭირეს მოკავშირეთა ჯარებმა. ქალაქში მშვიდობიანობა და წესრიგი სუფევს.

---

## დაიკარგა

დიმიტრი გიორგისძე თოფურიას პირადობის სურათიანი მოწმობა მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

263. (1–1)

---

## დაიკარგა

გიორგი ეგნატესძე მსხილაძის პირადობის სურათიანი მოწმობა მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

265 (1–1)

---

## დაიკარგა

კონსტანტინე ლუკასძე ბარაბაძის სურათიანი პირადობის მოწმობა მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან 25 წიფობისთვეს 1919 წელი. №6622.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

264. (1-1)

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

სამშაბათი 30 მარტი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ფასი: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 300 მან.
2 თვით ........................ 200 მან.
1 თვით ........................ 100 მან.

№327 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №327

## განცხადება

ბათუმის ქალაქის თვითმართველობა ამით აცხადებს ქ. ბათუმის მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ შენობის დამქირავებლებზე დარიგებული (ბინის დამქირავებლებზე, მაღაზიების, დუქნების, კანტორების, სხვა და სხვა გვარ დაწესებულებების და სხ. შენობების) ბლანკები მის მიერ დაჭერილი შენობის შესახებ განცხადებისა, შიგ აღნიშვნით ბინის ქირისა, შევსებული ორ ცალათ უნდა იქნას 21-დან 31 მარტამდე ა/წ. წარდგენილი თავის საპოლიციო უბანში, აქ ქალაქის თვითმართველობაში განსაკუთრებულ აგენტების მიერ მათი ხელმოწერის ქვეშ.

წერა-კითხვის უცოდინართ ან იმ პირთ, რომელნიც საჭიროებენ ახსნას ზემოაღნიშნული განცხადების თითეული მუხლის შესახებ შეუძლიათ ამის შესახებ მიმართონ მოხსენებულ აგენტებს საპოლიციო უბანში ან ქალაქის თვითმართველობაში.

ყოველგვარ მიზეზების თავიდან ასაცილებლათ განცხადებები უნდა ჩაბარებულ იქნას თითონ დამქირავებელთა მიერ.

დამქირავებლებს, რომელთაც არ მიუღიათ რაიმე მიზეზის გამო ბლანკი განცხადებისა შეუძლიათ მიიღონ ასეთები თავის საპოლიციო უბანში ან ქალაქის თვითმართველობაში.

**შენიშვნები:** ქალაქის განაპირა ალაგების მცხოვრებთ, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქის ჩეთას გარეშე და დასახლებულნი არიან სოფლიურ წესზე არ ევალებათ წარმოადგინონ განცხადებები ბინის ქირის შესახებ.

ამ განცხადებაში აღნიშნულ ვადაში მოხსენიებული განცხადების წარმოუდგენლობისათვის ან საქირო გადასახადების არა სწორათ აღნიშვნისათვის დამნაშავენი დაჯარიმებულ იქნებიან ორი თვის დატუსაღებით. ან გადახდებათ ჯარიმა თანახმად სამხედრო გუბერნატორის მიერ დამტკიცებული ბინების დამქირავებლებზე დაწესებულ დადგენილებისა თვითმართველობის მიერ.

ქალაქის თვითმართველობა.

273. (3–3)

## განცხადება

16-დან 21 მარტამდე ხდებოდა ქ. ბათუმის მცხოვრებთა აღწერა ბინებზე ჩამოვლით. თუ ვინმე მოქალაქეთაგან იმყოფებოდა ბათუმში და 16 მარტს რაიმე მიზეზით გამოტოვებულ იქმნა, კეთილინებეთ განაცხადოთ ამის შესახებ ბათუმის ქალაქის თვითმართველობაში.

ბათუმის ქალაქის თვითმართველობა.

274. (3–3)

## ადერბეიჯანის ხალხის საყურადღებოთ.

ჩვენს ოლქს კვლავ შეესიენ ავანტიურისტები. როგორც ჩვენი კორესპოდენტები გვატყობინებენ, ხულოში და ქედაში ადმინისტრაციის დიდი მონაწილეობით და აქტიური ჩარევით, ათასგვარი ძალადობით, დამუქრებით, მუშტების ამუშავებით და სხვა ასეთი საშვალებით ადერბეიჯან-დენიკინელების აგენტებს კრებისათვის მიულებინებიათ იმ რეზოლიუციის პროექტი, რომელიც ჰემდი ეფენდებმა შეთხზეს.

ხულოში და ქედაში ქობულეთიდან მისულან ჰემდი ეფენდების მოსყიდული პირები; მოუწოდებიათ ხალხისათვის: არ შეუერთდეთ საქართველოს, ჩვენ მოვითხოვოთ ცალკე აჭარისტანის სახელმწიფოს დაარსებაო. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, აქაურმა დენიკინელებმა გენერალ ტერმენის და ზაჩინიაევის მეთაურობით უკვე გამოაცხადეს, რომ აჭარისტანი ცალკე სახელმწიფოთ უნდა გამოიჭრესო. ამასთან ამ ვაჟბატონებმა განაცხადეს, რომ ეხლანდელი ადმინისტრაციული წყობილება ჯერ-ჯერობით ხელუხლებელი უნდა დარჩესო. დენიკინელებს სწორედ ეს აინტერესებთ. მათ სურთ შეინარჩუნონ ჩვენ ქალაქ ბათუმში და ოლქში თავის ბატონობა. ამ ვაჟბატონებითაა გაჭედილი ყველა დაწესებულებანი, ისინი ისე გრძნობენ ამჟამად თავს, როგორც თვითმართველობის დროს გრძნობდენ. მათ კარგად იციან, რომ ამჟამად დენიკინის სამფლობელოზე ბათუმის ოლქის მიწებება შეუძლებელია, ვინაიდან დენიკინის სამეფო უკვე დაინგრა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა საუმჯობესოთ ცნობენ, რომ დარჩეს აქ ფაქტიურად ეხლანდელი მდგომარეობა, შემდეგ კი ისე მოიქცევიან, როგორც მომავალი უჩვენებთ.

ადერბეიჯანის აგენტებიც ამგვარად იქცევიან. მათ იციან, რომ ოსმალეთს უკვე ანაწილებენ; იციან, რომ სტამბული მოკავშირეთა ჯარებით არის დაკავებული; იციან, რომ ოსმალეთთან შეერთების ქადაგებას ნიადაგი არა აქვს ოლქში და სხვა ხერხს მიმართეს: გამოიგონეს სუვერენული აჭარისტანის დაარსება. ამით სურთ ხალხს უარი ათქმევინონ თავის საარსებო ინტერესებზე, საქართველოსთან შეერთებაზე. იციან, რომ ასეთ სახელმწიფოს არავინ დაარსებს, მარა მათი მიზანია წყალი აამღვრიონ და მით თავისი გაიტანონ.

ასეთ ავანტიურაში დიდ მონაწილეობას იღებს საქართველოს მოკავშირე ადერბეიჯანი. მისი აგენტები, მისი ეფენდიევები, ჰამდი-ეფენდი და სხვები დაუკავშირდენ ბნელ პიროვნებებს, დაურიგეს მათ ამ ბნელ პირებს ფულები და გაუშვეს ოლქში სუვერენულ აჭარისტანის საქადაგებლათ. ყველა ქობულეთელი, ყველა აჭარელი გეტყვით, რომ ის დამღუპველი ქადაგება, რომელიც გაისმის დღეს დამოუკიდებელ აჭარისტანის შესახებ ოლქში, ადერბეიჯანის ფულების საშვალებით წარმოებს.

დიახ, ეს იცის ყველამ. ეს იცის ქართველ მუსლიმან ბალღებმაც კი. და ამის შემდეგ გამომდგარან ადერბეიჯანის მესვეურები და გვარწმუნებენ, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერებაო. ნუ თუ მართლა სერიოზულათ ფიქრობენ, რომ მათ განცხადებას რაიმე ფასი აქვს. მათი სიტყვა სხვაა და საქმე სხვა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ადერბეიჯანი ყოველთვის სამუსლიმანო საქართველოში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა. ახლაც, როცა ჩრდილოეთიდან მტერი კარებზე მოადგა ადერბეიჯანს, როცა მას ესაჭიროება ერთგული მოკავშირე, ის ბათუმის ოლქში დანას ლესავს საქართველოს ზურგში ჩასაცემად. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, რომ ადერბეიჯანს არ ყავს სერიოზული პირები, ვიცოდით, რომ სულთანოვებს, სულთანოვებისათვის და ეფენდიევებისათვის ღმერთს არ მიუნიჭებია შორსმჭვრეტელობა. პანისლამიზმით გაჟღენთილი ეს ვაჟბატონები ვერ მოისვენებენ ისე, თუ საქართველოს წინააღმდეგ არ იმოქმედონ.

ასეთია ეს ხელმძღვანელები. მათი ბუნების შეცვლა ყოვლად შეუძლებელია. მარა ჩვენ გვაინტერესებს ადერბეიჯანის ხალხი. ნუ თუ ვერ ხედავს ეს ხალხი, რომ მისი ხელმძღვანელები მათი მოქმედებით ღუპავენ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ თვით ადერბეიჯანის ხალხს.

ჩვენ მოვუწოდებთ ადერბეიჯანელებს ხმა ამოიღონ მათი ეფენდიევების მოქმედების შესახებ. მოვუწოდებთ მათ წესიერებისაკენ მოუწოდონ ჰემდი ეფენდებს და ეფენდიევებს, საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება დაღუპავს თვით ადერბეიჯანსაც. საქართველოს სახალხო ინტერესების ფეხქვეშ გათელვა — ეს თვით ადერბეიჯანის საარსებო ინტერესების ფეხქვეშ გათელვაა.

ნუ თუ ეს არ ესმის ადერბეიჯანის ხალხს. და თუ ესმის, რათ არ იღებს ის ხმას ადერბეიჯანის აქაურ აგენტების მოქმედების შესახებ. დრო არის ადერბეიჯანის ხალხმა თვალი გაახილოს და მისი მთავრობის ავანტიურისტულ პოლიტიკას საზღვარი დაუდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ხალხს დაღუპავს ადერბეიჯანის მთავრობა.

საქართველოს არ დაეკარგება ბათუმის ოლქი. არ მოხდება, რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს ჩამოშორდეს. მარა ადერბეიჯანის მთავრობის პოლიტიკით მოხდება ის, რომ ადერბეიჯანს ჩამოშორდება საქართველო, როგორც მოკავშირე, ადერბეიჯანი დარჩება განმარტოვებული და ჰაერში გამოკიდული და მაშინ დადგება დამოუკიდებელ ადერბეიჯანის დასასრული.

შეიგნოს ეს ადერბეიჯანის ხალხმა და უბრძანოს მის მთავრობას, რომ მან თავი ანებოს ჩვენ ოლქში საქართველოს საწინააღმდეგო ინტრიგებს. სანამ გვიან არაა, ადერბეიჯანის ხალხმა ეს უნდა შეასრულოს.

---

# ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ ფოთიდან სამხედრო სამინისტროსატყობინებენ, რომ იქ რუსეთიდან მოსულა ორი გემი ლტოლვილებით. ლტოლვილთა უმრავლესობას შეადგენენ ბავშვები, ქალები, ინვალიდები და პოლონეთის, საბერძნეთის და სომხეთის საკონსულოების წარმომადგენელნი. ლტოლვილები დიდ გაჭირვებას განიცდიან სურსათის ნაკლებობის გამო.

◆ 28 მარტს გენ. ზაქ. მდივანმა ინახულა ინგლისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი და დაიწყო მასთან მოლაპარაკება საქართველოს ჯარების ბათუმის ოლქის საზღვრებში დარჩენის შესახებ.

◆ აპრილის თვის ბოლოში ო. გრუზენბერგი წაიკითხავს ლექციას სახალხო სახლის სასარგებლოთ.

◆ 28 მარტს ქალაქის საავადმყოფოში იყო 8 ყვავილით ავადმყოფი, 1 დივტერიტიანი და 1 პარტახტიანი ტიფით.

◆ 26 მარტს ღამის 10 საათ. უცნობმა ბოროტმომქმედებმა გაქურდეს გ. ტაიროვის ბინა. მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 53200 მან.

◆ ამავე დღეს ბოროტმომქმედებმა გაქურდეს სახლი „კავკაზი მერკური"-ს საწყობი, საიდანაც წაიღეს 300 ცალი შეკერილი ტანისამოსი, ღირებული 700 ათას მანეთად.

◆ სამშაბათს, 30 მარტს დანიშნულია საღამოს 6 საათზე საერთო კრება ბათუმის სტუდენტთა ორგანიზაციის წევრების. საკითხი: გამგეობის არჩევნები და მიმდინარე საქმეები.

◆ ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი ექ. ლოლუა გაემგზავრა თფილისში რენტგენოვსკის კაბინეტის მოწყობილების გასაცნობათ.

ბიბლიოთეკა

## წერილი ხულოდან.

ეფენდიევის აგენტები ჩვენშიაც შემოძვრენ. ეს ვაჟბატონები ხელიხელ ჩაკიდებული მოქმედებენ ბათუმში ბლომათ დაგროვილ დენიკინელების აგენტებთან ერთად. სჩანს, რომ ადერბეიჯანის პარლამენტის წევრს ხემდი ეფენდის კარგად დაუკმაყოფილებია ეფენდიევის ლოცვა კურთხევით და ხელმძღვანელობით ჯიბეები ადერბეიჯანის აგენტებისა. ბათუმში შედგენილი რეზოლიუციის პროექტი აჭარისტანის დამოუკიდებელ სახელმწიფოს შესაქმნელათ ხსენებულმა აგენტებმა ხულოშიაც ამოიტანეს.

19 ამ თვეს ამ ვაჟბატონებმა თავი მოუყარეს აქ მათ დამქაშებს. იყვნენ აგრეთვე ზოგიერთი გულუბრყვილონიც, რომელთაც ჩააგონეს, რომ ჩვენ მოგანიჭებთ ბედნიერებას, აჭარისტანის სახელმწიფოს დაგიარსებთო. ფართეთ იქნა აგრეთვე გამოყენებული ადგილობრივი ადმინისტრაციის დახმარება. კრებაზე დახშული იყო მოქალაქის უფლება. დამუქრება, მუშტების ალმართვა და სხვაგვარი ძალადობა მეფობდა მიტინგზე. შეკრებილი ხალხი პირდაპირ ტერორის ქვეშ გრძნობდა თავს. ბნელმა ძალებმა ისარგებლეს ამით და ხალხი ალაპარაკეს ისე, როგორც მოსყიდულ პირებს სურდათ. ერთ ქართველ მუსლიმანს, რომელიც კეთილგონიერებისკენ მოუწოდებდა ხალხს, სიტყვის დასრულების საშვალება მოუსპეს და დაჭერით დაემუქრენ. მიუხედავათ ძალადობისა, მიტინგმა ერთხმად მოითხოვა, რომ კრებას დასწრებოდა ქართველი ჯარის წარმომადგენელი. ყრილობას სურდა მოესმინა სიტყვა ამ წარმომადგენელისა, მარა ინგლისელმა აფიცერმა ამის ნება ხალხს არ მისცა. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროთ ინგლისელ აფიცერს ეტყობოდა აშკარა თანაგრძნობა ადერბეიჯან დენიკინელების აგენტებისადმი. ვინც საქართველოსთან ერთობის სასარგებლოთ ხმას ამოიღებდა, მას ეფენდიევის კაცები სიტყვას აწყვეტინებდენ და მოითხოვდენ ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან და ინგლისელ აფიცრისაგან ამ პირთა დატყვევებას.

ადერბეიჯან-დენიკინის აგენტებმა დაშინებულ ხალხს წაუკითხეს ქობულეთიდან მოტანილი რეზოლიუციის პროექტი. რეზოლიუციაში ნათქვამი იყო, რომ უნდა შესდგეს სუვერენული აჭარისტანიო, და აჭარიდან ქართველი ჯარი უნდა განიდევნოსო, ამაზე შეგნებულმა პირებმაც განაცხადეს, რომ დამოუკიდებელ აჭარისტანზე ლაპარაკი ჩვენი მტრებიდან არის გამოგონილი; დამოუკიდებლობას აჭარისტანს არავინ არ მისცემს. ეს კარგათ იციან ადერბეიჯანის და დენიკინის აგენტებმა, მარა მათ სურთ ჩვენი უბედურება, მათ ამოქმედებს კერძო ინტერესები და ასეთი ეშმაკური საკენკით სურთ ჩვენში წყალის ამღვრევა და მათთვის სასურველ პოლიტიკურ თევზების დაჭერა. ამ პირებმა უარი განაცხადეს რეზოლიუციაზე ხელის მოწერის შესახებ და მოითხოვეს, რომ მათი პროტესტი შეტანილიყო ოქმში, მარა ადერბეიჯან-დენიკინელების აგენტებმა ეს სამართლიანი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს. მაშინ ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა დემონსტრატიულათ დასტოვეს კრება.

ადერბეიჯან-დენიკინელების აგენტები არავითარ საშვალებას არ ზოგავენ, რომ თავისი გაიტანონ. ათასგვარ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ ხალხში, ამბობენ რომ თითქო ქართველი ჯარი ტყვეთ არის ხულოში, რომ ქართველთ ჯარს თითქო მალე ინგლისელები იარაღს აყრის. ამასთან ავრეცელებენ ხმებს რომ თითქო საქართველოს მომხრეებს ინგლისელები ატყვევებენ და სხვა. ამათ სურთ ხალხი დააშინონ და მას უარი ათქმევინონ საქართველოსთან ერთობაზე.

როგორც გავიგეთ, ადერბეიჯან-დენიკინის აგენტები ამგვარითვე მიტინგის მოწყობას აპირებენ ბორჩხა-ართვინ-სათლელში. ადმინისტრაციის საშვალებით მათ იმედი აქვთ, რომ თავის რეზოლიუციას გაიყვანენ ყველგან და შემდეგ ამით ყველას აჩვენონ რომ თითქო ხალხი წინააღმდეგია საქართველოსთან ერთობისა.

ამგვარი მოქმედებით სურთ ჩვენი დაღუპვა ჩვენ მტრებს. ჩვენ მოვითხოვთ ადერბეიჯანის მთავრობისაგან, რომ მან ხელი აიღოს ჩვენ დამღუპველ პოლიტიკაზე. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეფენდიევი გაიწვიოს მან ბაქოში და იქ არიგებინოს მას ფულები ადერბეიჯანელებისათვის, აქ კი ჩვენ თავი დაგვანებოს.

**ხულოელი.**

## წერილი ქედიდან.

ბნელმა პირებმა კვლავ აიშვეს თავი, გაუტენიათ ჯიბე ადერბეიჯანის ფულებით და მიტომ ლამობენ ჩვენ საარსებო ინტერესების ფეხქვეშ გათელვას. ეს ვაჟბატონები დაძრწიან სოფლიდან სოფლად და მოუწოდებენ ხალხს საქართველოსთან არ იქონიოთ ერთობაო. ყველა კარგათ ვიცნობთ, თუ ვინ ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები. მათ ფეხებზე ჰკიდიათ ხალხის ინტერესები, არასოდეს არ ყოფილან ისინი ჩვენი ხალხის ბედ-იღბლით დაინტერესებულნი; მათ ყოველთვის აინტერესებდათ მხოლოთ თავისი მუცელი, თავისი ჯიბე.

და აი, როცა ადერბეიჯანის აგენტებმა ბ-ნ ეფენდიევის მეთაურობით მათ გაუვსეს ჯიბე, ეს ვაჟბატონებიც ალაპარაკდენ. ადერბეიჯანის ფულებმა უცებ მოიყვანა ისინი „საზოგადო მოღვაწეობის“ გუნებაზე და იწყეს „მოღვაწეობა“. დარბიან მგლებივით და გზა-კვალს უბნევენ ხალხს. მათ დაარბენინებს ბაქოდან გამოგზავნილი ფულები.

წარსულ პარასკევს ამ ვაჟბატონებმა ქედის ადმინისტრაციის დახმარებით ქედაში თავი მოუყარეს ზოგიერთებს და დამუქრებით და სხვა ასეთი საშვალებით მიალებინეს იმ რეზოლიუციის პროექტი, რომელიც ბათუმში არის შედგენილი ადერბეიჯანის კონსულ ეფენდიების ლოცვა-კურთხევით. ჩვენ გვინდა დამოუკიდებელი აჭარისტანიო, — აყვირებს ამ ვაჟბატონებს ადერბეიჯანის ფულები. წინათ ეს მოსყიდული პირები ყვიროდენ, რომ გვინდა ოსმა-

ლეთიო. ახლა ფრონტი უცვლიათ და ამ ფრონტის შეცვლა არის შედეგი მათი ჯიბეების ადერბეიჯანის ფულებით გატენისა. ახლა დარწმუნდენ ეს ვაჟბატონები, რომ ოსმალეთის ორიენტაციით ხალხს ველარ მოატყუებენ და აჭარისტანის სახელმწიფოზე იწყეს ღაღადი. იციან მათ კარგად, რომ ასეთს სახელმწიფოს არავინ დაარსებს, მარა ასეთი ყვირილით იმედი აქვთ, რომ ხალხს აიყოლიებენ.

მარა ხალხის ფართო მასა მათ არ მიყვება. ხალხი მოითხოვს საქართველოსთან ავტონომიურათ გაერთიანებას და ამიტომაა, რომ ეს მოსყიდული პირები ადმინისტრაციას იხმარებენ და ძალადობით სურთ ფონს გავიდენ.

მარა იცოდენ, რომ მათი ფონი ერთ ალაგას ახრჩობს. არავის შერჩება ხალხის აბუჩათ აგდება, ხალხის ინტერესების თამაში. იცოდენ მათ, რომ ჩვენი ხალხი მოსთხოვს მათ პასუხს. იცოდენ ეს აგრეთვე იმ პირებმა, რომლებიც დღეს დენიკინელებს ჩვენ ადმინისტრატორებათ დაუყენებიათ. დენიკინელების დრო წავიდა. ჩვენი ეხლანდელი სამწუხარო მდგომარეობაც მალე წავა. ხალხი მიაღწევს მის სურვილს. მალე განხორციელდება ჩვენი მხარის საქართველოსთან გაერთიანება და მაშინ ვნახოთ, თუ რა ჰანგებზე იწყებენ გალობას ის ვაჟბატონები, რომლებიც დღეს ადერბეიჯანის ფულებით ჩვენი ხალხის დალუპვას ცდილობენ.

საქართველოს საგანგებო რწმუნებულს ბათუმში საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა განუცხადა, რომ ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე აუცილებლათ გამოცხადდება საქართველოს სუვერენიტეტი. ნუ დაივიწყებენ ამას ადერბეიჯანის ფულებით მოსყიდულები.

ქედელი

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲖᲔᲛᲝ ᲐᲭᲐᲠᲘᲓᲐᲜ.

აჭარის დღევანდელი ამბები საისტორიოთ უნდა ჩაითვალოს: აჭარამ იცნო მტერ-მოყვარე, მოკეთე თუ მოსისხლე მტერი, გაიგო, თუ ვის სურს სიკეთე ქართველ მუსლიმანებისათვის.

დღეს აჭარა დიდ სიხარულშია, რომ თვალით ხედავს თავის ძმებს ქართველ ჯარისკაცებს. ხალხი გამოუთქმელ სიხარულით, დროშებით და პურ-მარილით ხვდება მათ და ერთხმად მოითხოვს ბათუმი და მისი ოლქი დაუყოვნებლივ შეუერთდეს დედა სამშობლო საქართველოს. შეიარაღებული ავანტურისტები მართალია დღესაც დაძვრებიან ხალხში, მაგრამ სასიხარულოთ ხალხი მათ შესაფერად უმასპინძლდება და შერცხვენილი უკანვე ბრუნდებიან. ხალხმა გაიგო, რომ ეს ავანტიურისტები, რომლებიც ხალხს საქართველოსთან შეერთების წინააღმდეგ მოუწოდებენ, მოსისხლე მტრები არიან და ჩვენი განადგურება და დალუპვა სურთ. კმარა რაც გვატყუენ, კმარა რაც მტრობა გაგვიწიეს — ამბობს ხალხი.

აჭარის ასეთი გამოფხიზლება დიდ სასიხარულო ამბათ უნდა ჩაითვალოს. იჭვი არ არის, მათი მიზანი ჩვენი ქვეყნის სამშობლო საქართველოსთან გაერთიანება — ადრე ხანში განხორციელებული იქნება. ვისურვოთ, რომ აჭარის ასეთი მაგალითისათვის სხვებსაც მიებაძოთ. გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავდადებულ მუშაკებს.

რიზა ხოზრევანიძე.

---

# რა ხდება უცხოეთში.

### Ი Ნ Გ Ლ Ი Ს Ი.

#### რუსეთის საკითხი

გაზ. „დეილი ხრონიკლ“-ი რუსეთის შესახებ სწერს: დღეს საკითხი იმაში კი არ არის, გვიყვარს თუ არა ჩვენ საბჭოთა მთავრობა, გვაკვირვებენ თუ არა ლენინი და ტროცკი, — არამედ იმაში, ვაწარმოოთ ომი რუსეთთან თუ არა, ან კიდევ — არც ომი ვაწარმოვოთ და არც ზავი შევკრათ. არც ერთ მოკავშირე სახელმწიფოს არ სურს ომი რუსეთთან, მათ არ ჰსურთ გაგზავნონ ჯარი რუსეთში. საბოლოო ზავი რუსეთთან უფრო კარგი იქნებოდა, თუ ის შესაფერის პირობებში შეიკვრებოდა. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღიარებული იქნეს რუსეთის განაპირა ქვეყნების დამოუკიდებლობა და დაცული ევროპის ინტერესები მცირე აზიაში; აგრეთვე აღდგენილ უნდა იქნეს სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან. ამ პირობებზე რუსეთი თანახმაა. თუ ეს პირობები უკუგდებული იქნება, ამბობს გაზეთი, ევროპა ამით ვერაფერს მოიგებს.

#### 32 მილიარდი რუსეთის აღდგენისათვის.

ბერლინიდან მიღებული ცნობით, გასულ ზაფხულში საბჭოთა მთავრობას მოუწვევია სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ომითა და რევოლუციით გამოწვეული რუსეთის ზარალი და იმ თანხის რაოდენობა, რაც საჭირო იქნება რუსეთის მრეწველობის აღდგენისათვის. კომისიამ წარადგინა შესაფერი ანგარიში, საიდანაც ირკვევა, რომ აღნიშნულ მიზნისათვის რუსეთს დასჭირდება 32 მილიარდი მან. ოქროთი, ე. ი. 3 მილიარდი გირვ. სტერ. ომამდე არსებულ კურსის მიხედვით, გარდა ამისა, კომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მრეწველობის აღდგენამდე რუსეთს დასჭირდება 1,200,000,000 მან. სურსათ-სანოვაგე, რომელიც უცხოეთიდან უნდა იქნეს შეტანილი.

#### მახნო

ბალშევიკების ზურგში თანდათან იზრდება მახნოელების მოძრაობა, რომელიც ამჟამად თავრიდის, ეკატერინოსლავის და პოლტავის გუბერნიებში ვრცელდება. აჯანყებულნი შეკავშირებულნი არიან მძლავრ ლაშქრათ, რომელშიაც უმთავრეს ნაწილათ გლეხები შედიან. დაიკავებენ თუ არა რომელიმე მხარეს მახნოელები, გარეკილათ აცხადებენ კომუნისტებსა და მათ საბჭოებს. შემდეგ წინადადებას აძლევენ გლეხებს და მუშებს თვით აღადგინონ ნე-

სრიგი, ადგილობრივათ ადგენენ საგანგებო რაზმე-ბს, რომლებსაც ევალება ებრძოლონ ყოველგვარ ცდას საბჭოთა უფლების აღდგენის შესახებ. უკან-ასკნელ ცნობების თანახმად მახნოელები კიევისაკენ მიიწევენ.

## დ ა ი კ ა რ გ ა

სიმონ იაკობისძე ხარებავას უვადო პასპორტი მოცემული ბათუმის ქალაქის საპოლიციო სამართვ-ელოსაგან. 1913 წ.

№1435. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

380. (1—1).

## დ ა ვ კ ა რ გ ე

პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქ. საკონსულოდან ქ. ბათუმში და ხუთიათას რვაასი მანეთი (5800 მან.).

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

**დიმიტრი თ. ნადარეიშვილი.**

282. (1—1).

## დ ა ვ კ ა რ გ ე

პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქ. საკონსულოდან ქ. ბათუმში. №10117 მეტრიკა და სა-მხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების მოწმობა.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

**მირიან ჩხიკვაძე.**

381. (1—1).

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ოთხშაბათი 31 მარტი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, მეჯლისის ქუჩა 7 № ბინის ქ. №10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ“. რედაქციას.

ხელის მოწერა ფასი: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........ 300 მან.
2 თვით ........ 200 მან.
1 თვით ........ 100 მან.

№328 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №328

## პირველხარისხოვანი
რუსულ-აზიური საკანდიტერო
## ნ. ა. ცინცაბაძისა

თბილისის ქუჩა №19 „ეელეზნი“ თეატრის გვერდით.
მოიპოვება ყოველივე საკანდიტეროს საქონელი დამზადებული გამოცდილი ოსტატების და თვით ხაზეინის ხელმძღვანელობით.
ვღებულობთ ზაკაზებს მომავალ ბრწყინვალე აღდგომისათვის.
271. (10–2)

## ჩვენში შემოხიზნულ რუსების თავხედობა

გარდა იმ დიდ „სიკეთისა“, რომ ჩვენი დედა-ქალაქი ბათუმი უხვად არის დიჯილდოებული აურაცხელი დენიკინელებით, ჩვენ „ბედნიერი“ ვართ კიდევ მით, რომ ბალშევიკებიც ბლომად ბუდობენ აქ. ერთიცა და მეორეც, დენიკინელებიც და ბალშევიკებიც ლამობენ ჩვენი ქვეყნის ხელში ჩაგდებას. გადამთიელი რუსები, რომლებიც ჩვენ ქალაქს შემოხიზნნიან, ზოგი წითელ კომუნისტურ მანტიაში გამოხვეული და ზოგიც შავ ქურქში ჩამჯდარი, იმდენათ გათამამდენ, რომ აშკარაა, კრებაზე მოითხოვდნენ აქ რუსთა გაბატონებას. დენიკინელები ადერბეიჯანის აგენტებთან ერთად ცდილობენ ცხოვრებაში განახორციელონ დენიკინელ გენერალ ტერმენის პროექტი. ბალშევიკები კი ამაყათ გაიძახიან, რომ აქ ლენინის მთავრობა უნდა გავრცელდეს, ბათუმი ლენინის რუსეთს უნდა შეუერთდესო. როგორც დენიკინელების, ისე ბალშევიკების საბოლოო მიზანი ერთია: ჩვენი ქვეყნის რუსეთზე მიწებება.

ეს ვაჟბატონები ისე გრძნობენ აქ თავს, თითქო ქალაქი ბათუმი და მისი ოლქი მათი სათარეშო მოედანი იყოს; თითქო აქ სტუმრები ჩვენ ვიყოთ და ისინი კი მასპინძლები ბრძანდებოდენ. ჩვენ არც კი გვეკითხებიან — გვსურს ჩვენ თუ არა მათი ჩვენზე ბატონობა, გვსურს თუ არა მათი დენიკინი და ლენინი; გვსურს თუ არა, რომ ჩვენი ქვეყანა ისე ააოხრონ რუსეთის ამ „გმირებმა“, როგორც მათ ააოხრეს და გაანადგურეს რუსეთი.

გამობრძანებულან კრებებზე, თხზავენ რეზოლიუციებს და ტაშის გრიალით ღებულობენ უჩვენოთ, ჩვენ დაუკითხავათ შედგენილ დადგენილებებს: „ბათუმი და ბათუმის ოლქი ლენინის საბჭოებს უნდა გადაეცეს, აქ რუსული ბალშევიზმი უნდა გაბატონდესო“ — ადგენენ ბალშევიკები, ჩვენ კი სრულიად არ გვეკითხებიან: გვსურს თუ არა ადგილობრივ მცხოვრებლებს რუსების ჩვენზე კვლავ ბატონობა.

რას ნიშნავს ჩვენში ბალშევიკების გამეფება? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა სამოქალაქო ცეცხლის ალში გაეხვიოს; ეს ნიშნავს, იმას რომ ჩვენი ქვეყანა ისე დაინგრეს, როგორც დაანგრიეს და გაანიავეს ლენინ-დენიკინის ურდოებმა მთელი რუსეთი; ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქუჩები სახრჩობელებით მოიფინოს და ზედ ყოველდღე „ჩრეზვიჩაიკების“ გადაწყვეტილებით ჩვენი ქვეყნის შვილები ჩამოჰკიდონ; ეს ნიშნავს იმას, რომ შედარებით ჩვენი მყუდრო ცხოვრება ლენინის დელიყანდებმა ააფორიაქონ, გათხარონ თხრილები და გაამეფონ ხოცვა-ჟლეტა, მოშალონ რკინის გზა, მოიტანონ შიმშილი და სიცივე, ათასგვარი ავათმყოფობა და სხვა უბედურებანი.

რა მისცეს ამ ვაჟბატონებმა რუსეთს? თვით მათი ლიდერები გაჰყვირიან საქვეყნოთ მათი რადიოთი, რომ ჩვენში მოშლილია ტრანსპორტი, ჩვენში ხალხი სიმშილ სიცივით და გადამდები სენით იხოცებაო; ჩვენში სამეურნეო „რაზრუხაა“, ჩვენ არ გვაქვს საკმაო შეშა, ნახშირი, ორთგლმავალები და სხვა. თვით არ მალავენ ლენინტროცკები, რომ ის ქვეყანა, რომელიც თავის პურით მთელ ქვეყანას კვებავდა, მათი სამოქალაქო ომით ისე დაანგრიეს, რომ თვით რუსეთის ხალხი სიმშილით იხოცება.

აი, რას წარმოადგენს იმ ლენინის ბანობა, რომლის წესების შემოტანას ლამობენ ჩვენში, ჩვენ ქალაქში ბლომათ დაგროვილი ბალშევიკები. ღმერთმა მოახმაროს მათ ასეთი „წესრიგი“. თუ ასე მოსწონთ ამ ვაჟბატონებს ამგვარი „წესიერება“ და „სოციალიზმი“, წაბრძანდენ მათ ქვეყანაში, წაბრძანდენ მათ სათაყვანებელ რუსეთში და დასტკბენ ლენინტროცკის რეჟიმით. ჩვენ კი თავი გაგვანებონ, ჩვენ მათი არაფერი გვწამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გადაწყვეტილებაა თვით ჩვენ გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი, ჩვენ ვიყოთ ბატონ-პატრონი ჩვენი ქვეყნისა და არა გადამთიელი რუსები. ჩვენი ხალხის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს ავტონომიურათ დედა-სამშობლოს საქართველოს. ეს მოგვანიჭებს ჩვენ თავისუფლებას და ბედნიერებას და არა დენიკინ-ლენინის რუსეთი.

ბალშევიკებმა კარგად იციან ეს ჩვენი გადაწყვეტილება, იციან, რომ მალე აქ გამოცხადდება საქართველოს სუვერენიტეტი და მიტომაა, რომ აფხაკურდენ და მოუხშირეს რეზოლიუციების წერას: ლენინის საბჭოები უნდა იყოს აქო. ვერ ელირსებიან ამას.

საქართველო ის ერთად ერთი კუთხეა ყოფილ რუსეთის ტერიტორიისა, სადაც დიდი რევოლიუციის მონაპოვარნი ცხოვრებაში განხორციელებულია, სადაც საუცხოო წესრიგია, სადაც ხალხი ერთიმეორეს არ ჟლეტს, სადაც ტრანსპორტიც წესიერად მუშაობს და ცხოვრება წესიერ კალაპოტშია. ბევრჯერ სცადეს ბალშევიკებმა ამ წესიერ ცხოვრების აფორიაქება, საქართველოს ანარქიის ალში გახვევა, მარა საქართველოს შეგნებული ხალხი არ აჰყვა მათ ფეხის ხმას, არ შემოაჭაჭანა საქართველოს ფარგლებში რუსეთის ბალშევიზმი, არ გაუხსნა გზა ანარქიას.

ყველა; ვინც კი რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა, თვით საქართველოს მოსისხარი მტრებიც კი ერთხმათ აღიარებენ, რომ ისინი ჯოჯოხეთიდან (რუსეთიდან) სამოთხეში მოჰყვენ. ერთხმად აღიარებენ, რომ საქართველო ერთად ერთი კუთხეა ყოფილ რუსეთის ტერიტორიისა, სადაც საუცხოო წესრიგი და მყუდროებაა, სადაც რევოლიუციის მონაპოვარნი ცეცხლის ალისათვის არ მოუციათ, როგორც ეს რუსეთში ჩაიდინეს ბალშევიკებმა.

და აი, ასეთ ქვეყანას ლანძლავენ ბალშევიკები და ლანძლავენ მიტომ, რომ საქართველო ცოცხალი მაგალითია იმისი, თუ როგორ უნდა სახელმწიფოებრივი შენება, ცოცხალი მაგალითია რუსეთის საბჭოების უარსაყოფად.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენ ქვეყანაში უცხოელები, გადამთიელი რუსები, ნუ გვიბატონდებიან. ჩვენ არც მათი ლენინი გვსურს და არც დენიკინი. შეიგნონ ეს ჩვენში სტუმრათ მოსულმა რუსებმა და ჩვენს ქვეყანაში ჩვენზე გაბატონებას ნუ ლამობენ. ჩვენ სტუმართმოყვარე ხალხი ვართ, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტუმრები თავზე დავიჯინოთ. იცოდენ, რომ ჩვენ მოთმინებას საზღვარი აქვს.

გადამთიელ რუსებს წესიერებისაკენ მოვუწოდებთ.

## ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ დეპეშები გადმოგვცემს, რომ სომხეთის რესპუბლიკას მოკავშირეები შავ ზღვაზე გასავალს აძლევენ ტრაპიზონის ვილაეტში.

◆ საქართველოს სამხედრო მისია გენ. ოდიშელიძის მეთაურობით უკვე გაემგზავრა პარიჟში გუშინ 30 მარტს.

◆ მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორელების სასარგებლოთ ბათუმის მუშათა პროფესიონალურ კავშირებმა თავიანთ წევრებში შეაგროვეს რამოდენიმე ასი ათასი მანეთი. აღნიშნულ შემოწირულების დანიშნულებისამებრ გადასაცემათ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ არჩეულ იქმნენ ა. წულაძე, მარკმანი და ალიხანოვი, რომლებიც ამ დღეებში გაემგზავრებიან გორში.

◆ დატუსაღებულ იქნა ტერ-ავაკოვი, რომელმაც ჯიბიდან იუსუფ ღლონტს ამოაცალა საფულე ათი ათასი მანეთით. ფული პატრონს გადაეცა.

◆ 29 მარტს მუშათა არტელ „კავშირი"ს მუშა არშაკ სარკისოვი გემის გადმოტვირთვის დროს გადავარდა უცაბედად ზღვაში და დაირჩო.

◆ 28 მარტს დატუსაღებულ იქნა ა. პაპავლიდისი 14 წლისა, რომელმაც გასტეხა „ჩერნომორსკის" ბანკის კარები და მოინდომა გაქურდვა მისი.

◆ დონის ფულის კურსი დღითიდღე ეცემა. ამჟამად 1000 მანეთი ქართული ფული დონის ფულზე 6000 მანეთით ფასობს.

◆ სასურსათო თვითმართველობამ მცხოვრებლებზე დაიწყო 26 მარტიდან ბრინჯის და შაქრის დარიგება.

## ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ.

მარტის 28-ს ბათუმში ჩამოვიდა ბათუმის ოლქის საზღვრებში მყოფი საქართველოს ჯარების სარდალი გენ. ზაქარია მდივანი და შტაბის უფროსი გენ. გ. ერისთავი. სარდალს ახლავს აგრეთვე პოლკ. მელიქიშვილი და კაპ. ირ. დიდიძე. გენ. მდივანი ძველი ნაცნობია ბათუმისა, ის ჯერ კიდევ რუსულ ინტრიგანურ ბიუროკრატიის ჩვენში ბატონობის დროს მსახურებდა ბათუმში და მოჰყვა ბიუროკრატიისათვის არაკეთილთა მცირე რიცხვში. მის დროს (1905 წ.) ბათუმის რუსული ადმინისტრაცია 4.000 კაცს უპირებდა გადასახლებას, რომელთა რიცხვშიც იყვნენ ჩვენი თვალსაჩინო მოღვაწენიც, მაგრამ გენ. მდივანის და სხვათა ცდით ეს ბოროტი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. 1918 წლის საუბედურო დროსაც იყო გენ. მდივანი ბათუმის კომენდატად, ამავე წელს იგი იყო სამხედრო მინისტრის ამხანაგი. განათლებით გენ. მდივანი, გ. ენერალურ შტაბიდან არის და ითვლება ერთ გამჭრიახ, ქვეყნის ერთგულ სარდლად.

ვინატროთ, რომ მისი ჩამოსვლა კეთილი ყოფილიყოს ჩვენ განაწამებ მხარისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია.

29 მარტს ქალაქის თვითმართველობის შენობაში შესდგა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია. უმთავრესი საკითხი იყო მომენტის შესახებ რეზოლიუციის მიღება. თავმჯდომარემ ბ-ნმა მარკმანმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე კამათის ნება სამხედრო გუბერნატორმა არ მოგვცაო. კრებამ გადასწყვიტა, რომ უკამათოთ ეყარათ კენჭი რეზოლიუციისათვის.

კავშირთა საბჭოს უკვე მიელო რეზოლიუცია, რომლითაც საბჭო მოითხოვდა, რომ ბათუმში და ბათუმის ოლქში უნდა გავრცელდეს საბჭოთა რუსეთის უფლებაო.

ქართველ მუსლიმანებს გაეგოთ, რომ მათ დაუკითხავად არამკითხე გადამთიელი რუსები სამუსლიმანო საქართველოს უპირებენ ანარქიის მორევში გადასროლას და ბლომათ მოეყარათ თავი კრებაზე. მთელი ქანდარა მუსლიმან ქართველებით იყო გაჭედილი. დამსწრენი, მუსულმანი ქართველები, ძლიერ ღელავდენ. კენჭის ყრის წინ მუსლიმან ქართველთა სახელით სიტყვა მოითხოვა ბ-ნმა ჯემალ ქიქავამ. დიდი დავის შემდეგ, როგორც იქნა ბ-ნ ქიქავას მისცეს სიტყვის ნება. ორატორმა შემდეგი განაცხადა:

„უპირველეს ყოვლისა მე გამოვსთქვამ ღრმა ალშფოთებას ამ მაღალ კრებისადმი, რომელსაც ვითომდა ბევრი რამ კარგი სურს აჭარისათვის და ამავე დროს შეძლებას არ აძლევს აჭარის შვილს ორიოდე სიტყვა თქვას იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს აჭარა. (მქუხარე ტაში ქართველ მუსლიმანებში).

მე ძლიერ კარგად ვიცი პარლამენტური წესები და ჩემი სიტყვით არ შევაწუხებდი კრებას, მარა ის რეზოლიუცია, რომელიც აქ წარუდგინეს კრებას ბალშევიკებმა, ეხება ჩემი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს და მაიძულებს ორიოდე სიტყვა ვთქვა. (ტაში).

გასაოცარია, რომ ის ხალხი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ჩვენ მხარესთან, რომელიც არ არის მასთან შეკავშირებული არც ეტნოგრაფიულათ, არც ისტორიულათ და შეადგენს მხოლოდ სტუმრათ ჩვენში მობრძანებულ ელემენტებს, სხვა და სხვა ქვეყნიდან აქ ბედის საძებრათ მოსულებს, სწყვეტს აქ ბედიღბალს ჩვენი ქალაქის და ოლქისას, სწყვეტს ისე, რომ არც ეკითხება ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც 95 პროცენტს შეადგენენ მცხოვრებლებისას, სწყვეტს ისე, რომ ეს დიდი უმეტესობა მცხოვრებთა არავითარ მონაწილეობას არ იღებს საკითხის გადაჭრაში. აჭარის მშრომელთა მასამ უკვე გამოსთქვა თავის შეურყეველი ნებისყოფა გასული წლის 31 აგვისტოს, როცა მან თავის წარმომადგენელთა სახით ღვთისა და ქვეყნის წინაშე განაცხადა, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი, როგორც განუყრელი ნაწილი დედა-სამშობლო საქართველოსი, ავტონომიურათ უნდა შეუერთდეს საქართველოს. ეს არის კატეგორიული გადაწყვეტილება სამუსლიმანო საქართველოსი და ამ თავის გადაწყვეტეილებას აჭარის მშრომელი მასსა არასოდეს არ უარყოფს. აჭარის მშრომელთა მასსა თქვენ, ბ. ბ. ბალშევიკებო, არ გამოგყვებათ, ეს ცხადი და ნათელია და ამას ამტკიცებს სხვათა შორის ის, რომ თქვენთან არც ერთი აჭარელი არ არის (მქუხარე ტაში მუსლიმან და ქრისტიან ქართველთაგან. ხმა კრებიდან: არის). ეს არის მართალი. მე ვამტკიცებ, რომ თქვენ შორის არ არის არც ერთი ქართველი მუსლიმანი და თუ არის ვინმე მუსლიმანი, ის არის ოსმალეთიდან გამოქცეული ავანტიურისტი თურქი, პანისლამისტი, რომლებთანაც თქვენ, ბ. ბ. ბალშევიკებო, ბლოკი გაქვთ შეკრული. თქვენ ხომ ოსმალეთის პანისლამისტებთან ერთად ჩვენი ქვეყნის დაღუპვას ლამობთ (მქუხარე ტაში იმავე წრეში).

კვლავ ვიმეორებ, რომ მეტად დიდი უმეტესობა ჩვენი ოლქისა ქართველი მუსლიმანებია. ქართველმა მუსლიმანებმა ან როგორც თქვენ უწოდებთ, აჭარის მშრომელთა მასსამ, უკვე სთქვა თავისი კატეგორიული სიტყვა ბათუმისა და მისი ოლქის მომავლის შესახებ. ეს კატეგორიული სიტყვა ასეთია: ავტონომიურათ გაერთიანება დედა-სამშობლო საქართველოსთან. (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს ამ რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს.“ (მქუხ. ტაში).

ამის შემდეგ ქართველმა მუსლიმანებმა დემონსტრატიულათ მიატოვეს. გადამთიელმა ბალშევიკებმა კი მიიღეს ბალშევიკების რეზოლიუცია. მათმა რეზოლიუციამ მიიღო 99 ხმა წინააღმდეგ 49 ხმისა.

ასე სწყვეტენ ჩვენი ქვეყნის ბედიღბალს ჩვენში შემოსეული ბალშევიკები. მათ სურთ ჩვენი ქვეყანა ლენინის რუსეთს დააპყრობიონ. ჩვენ ვაფრთხილებთ მათ. ჩვენ ვურჩევთ თავის ავანტიურაზე ხელი აიღონ. აქ რუსეთი არ არის. თუ ლენინი ასე უყვართ, წაბრძანდენ იქ, თავის ქვეყანაში, და როგორც სურთ, ისე ანგრიონ რუსეთი. ჩვენ ქვეყანას კი სტუმრათ მოსულ პირებს ჩვენ ვერ დავანგრევიებთ.

ქართველი მუსლიმანი.

---

# რა ხდება უცხოეთში

### ბალშევიკური საფრთხე.

სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაზეთ „ტაიმს“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს ბალშევიკურ საფრთხის შესახებ შემდეგი განაცხადა: ერთადერთი საფრთხე, რომელიც ჩვენ გარედან მოგველის, ეს არის ბალშევიკური საფრთხე. დენიკინკოლჩაკის დამარცხება კიდევ უფრო აძლიერებს ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრთხეს. ჩვენს მწუხარებას ადიდებს აგრეთვე ბალშევიკების უკანასკნელი გამარჯვება თურქესტანში, საიდანაც მათ შეუძლიათ დაიკავონ სპარსეთის პროვინცია ხორასტანი. სპარსეთის მთავრობამ მიიღო შესაფერი ზომები ბალშევიზმის საფრთხის თავიდან ასაცილებლათ. დედა ქალაქში და პროვინციებში მან მოაწყო განსაკუთრებული რაზმები, რომლებიც დარაჯათ უდგანან საზოგადოებრივ მშვიდობიანობას.

### ოსმალეთის საკითხი და სომხეთი.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ელჩთა კონფერენციამ, რომელიც ხუთშაბათს ლორდ კერზონის თავმჯდომარეობით შეიკრიბა, განიხილა ოსმალეთის საზავო ხელშეკრულობის ის ნაწილი, რომელიც კერძოთ სომხეთს შეეხება.

## დ ა ღ ე ს ტ ა ნ ი.

### მოხალისეების მდგომარეობის გარშემო.

ადერბეიჯანში გაგზავნილ სამხრეთ რუსეთის დელეგაციის ერთ ერთ წევრმა პოლკ. დანილოვმა „მოხალისეთა“ მდგომარეობის შესახებ საერთოთ და კერძოთ დაღესტანში შემდეგი განაცხადა: დაღესტანი ყველაზე უფრო გამაგრებული და საიმედო რაიონია შეიარაღებულ ძალთა მთელ ტერიტორიაზე. დაღესტანში „მოხალისეთა“ განკარგულებაში არის აგრეთვე კასპიის ზღვის ფლოტი. ხმები იმის შესახებ, თითქოს ფლოტის მეზღვაურთა შორის მღელვარება იყოს, არ შეეფერება სიმართლეს: მეზღვაურები ასტრახანიდან გამოქცეულ მეთევზეებისაგან შესდგება, რომლებიც გამოექცენ ბალშევიკების ძალადობას და მაშასადამე, არას დროს არ შეურიგდებიან მათ. პოლკ. დანილევი იმედს გამოსთქვამს აგრეთვე, რომ ყიზლიარისა და დერბენტის რაიონები მალე იქნება განთავისუფლებული ბალშევიკებისაგან. დერბენტთან უნდა მოეწყოს — განაგრძობს დანილოვი, — თავდაცვის რაიონი ბალშევიკების წინააღმდეგ; ეს თავდაცვა ძირითადი იქნება და დაგვირგვინდება გამარჯვებით. ბალშევიკების წინააღმდეგ გამაგრებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ დაღესტანის მცხოვრებლები არასდროს არ გაყვებიან ბალშევიკებს; დაღესტანი გაწმენდილია ბალშევიკებისაგან; „მოხალისეები“ დიდი ხანია მოლაპარაკებას აწარმოებენ ეგ. წოდ. „თავდაცვის საბჭოსთან“ და უეჭველია ეს მოლაპარაკება შეთანხმებით დაგვირგვინდება. დასასრულ პოლ. დანილოვი ეხება ალექსანდრევსკის ფრონტს, სადაც ორენბურგელი ყაზახებია გამაგრებული, და ამბობს, რომ მდგომარეობა ამ რაიონში მტკიცეა.

## ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.

საფრანგეთის სოციალისტების ყრილობამ 2 დღის ცხარე კამათის შემდეგ უარყო წინადადება მე-3-მე ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

## გერმანია

### ნოსკე გერმანიის მდგომარეობის შესახებ.

გერმანიის მდგომარეობის შესახებ მინისტრმა ნოსკემ, სხვათა შორის შემდეგი განაცხადა: წესრიგი თითქმის ყველგან აღდგენილია, გარდა ვესტფალიისა და რურის რაიონისა. გაგზავნილ ჯარის ნაწილებმა პროვინციებში საჩქაროთ აღადგინეს მთავრობის ავტორიტეტი, მუშებმა ეხლა უკვე დაინახეს მთელი სიმწვავე შექმნილ უბედურებისა და გადასწყვიტეს მუშაობა დაიწყონ. ანარქისტები მოუწოდებენ მუშებს გაფიცვისაკენ, მაგრამ უშედეგოთ. გერმანიაში არ არის ნიადაგი კომუნიზმისათვის. რუსული ბალშევიზმი არ არის დაკავშირებული გერმანულ კომუნიზმთან. მართალია, ზოგიერთ პროვინციებში დაარსებულია საბჭოები, მაგრამ ისინი დიდხანს ვერ იარსებებენ. ჩვენი მთავრობა მოითხოვს მოკავშირეთაგან საზავო პირობების შემსუბუქებას, მაგრამ ამასთანავე განაცხადებს, რომ შეასრულებს მას, თუ გინდ ცვლილებებიც არ შეიტანონ საზავო ხელშეკრულებაში. ეს მაჩვენებელია იმის, რომ მთავრობა იარსებებს, კაპპისა და ლიუტვიცის შეთქმულების გამო უნდა დაისაჯონ მხოლოდ ლიდერები.


## დ ა ი კ ა რ გ ა

ბიქტორ ივანესძე კობახიძის პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქართ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

383. (1-1)

## დ ა ი კ ა რ გ ა

მიხეილ კონსტანტინესძე გუჯაბიძის პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

384. (1-1)

## დ ა ვ კ ა რ გ ე

პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქართ. საკონსულოდან ქ. ბათუმში. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ვარლამ ხარებავა.

385. (1–1)

## ჩამოვიდა ე. მ. აკოპოვი და გახსნა ბათომში განყოფილება

## სიკვდილი გველს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელობა ფულზე უძვირფასესია

ვისაც სჭირს სუსუნატი ახლად დამართებული ან „ხრონიჩესკი" (ძველი) არჩენს 3-15 დღეში, როგორც კაცებს აგრეთვე ქალებს. პირობით აძლევს კაპსულებს „ა". განყოფილება გახსნა ბათომში **„დვარცოვის"** სასტუმროში, სკობელევის ქუჩა №6 ბინ. 7. ავადმყოფებს ღებულობს დილის 8–11 საათამდე და საღამოს 4–7 საათამდე. ვისაც სურს საჭიროა **ჩაეწეროს დაჩქარებით** ვინაიდან წამალი უკვე თავდება.

მთავარი ლაბარატორია ამიერ კავკ. ქ. თბილისში, კრასნოჩარსკის ქუჩა №3.

379. (-3)

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ხუთშაბათი 1 აპრილი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 300 მან.
2 თვით ........................ 200 მან.
1 თვით ........................ 100 მან.

№329 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №329

## აქაურ ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს საყურადღებოთ.

ამას წინათ ქართულ გაზეთებში დაიბეჭდა აქაურ ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის წერილი, რომლითაც პატივცემული ავტორი არწმუნებდა ქართველ საზოგადოებას, რომ ბათუმში და ბათუმის ოლქში ადერბეიჯანის მთავრობა საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციას არ ეწევა და თუ ადერბეიჯანის მთავრობას საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას აბრალებს ვინმე, ის პროვოკატორია, რომელსაც ადერბეიჯანისა და საქართველოს ხალხთა წაკიდება სურსო.

ჩვენ იჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს კეთილშობილური გრძნობა ამოქმედებდა, როცა ის თავის წერილს სწერდა. თქმა არ უნდა, რომ მას ესმის მეტად დიდი მნიშვნელობა საქართველოსა და ადერბეიჯანის კეთილგანწყობილებისა. საქართველოსა და ადერბეიჯანის თავისუფლება დამოკიდებულია ამ კეთილგანწყობილებაზე. თუ ამ ორ მეზობელ ხალხთა შორის მეგობრობა დაირღვა, თუ მათ ერთიმეორის ნდობა აღარ ექნებათ, თუ რომ მათ განწყობილებაში ინტრიგის მატლი შეძვრა, — ეს იქნება სასიკვდილო ლახვარი ორივე რესპუბლიკისათვის.

ასე გვესმის ჩვენ და მიტომ იყო, რომ ხშირად გვიმტკიცებია საქართველო ადერბეიჯანს შორის მტკიცე მეგობრობის აუცილებლობა. ეს უნდა ესმოდეს ადერბეიჯანის ხალხსაც და იმასაც, რომ ეს ასე ესმის, ამას ამტკიცებს აქაურ ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის წერილი, რომლის შინაარსი ზემოთ აღვნიშნეთ.

მუდმივი კავშირი, მუდმივი მეგობრობა აუცილებელია ადერბეიჯანისა და საქართველოს შორის. და განსაკუთრებით აუცილებელია ეს მეგობრობა დღეს, როცა ორივე რესპუბლიკას გარეშე, დამყრობელი ძალა კარებზე უკაკუნებს და ლამობს ჩვენი რესპუბლიკების, ესოდენ მსხვერპლით, ესოდენ წვითა და დაგვით მოპოებულ თავისუფლების გაქრობას.

ასეთ განსჯა განკითხვის დროს, როცა ყოფნაარყოფნის საკითხი გვიდგას, უდიდეს დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს თავის ხალხის წინაშე ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართულია საქართველო ადერბეიჯანის მეგობრობის დასარღვევად. ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის წერილიც იქითკენაა მიმართული, რომ ეს მეგობრობა არ დაირღვეს.

სურვილი ფრიად კეთილშობილური და უაღრესად დროულია. მხოლოდ სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ პატივცემულ ავტორს სრულიად არ ცოდნია საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ის ირწმუნება, რომ ადერბეიჯანის მთავრობა ბათუმის ოლქში არ ეწევა საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციასო, რომ ადერბეიჯანის აგენტები საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციის გასაწევათ ფულებს არ არიგებენო.

სამწუხაროა, რომ ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც თავისი მდგომარეობით ვალდებულია თავისი ქვეყნის პოლიტიკის კურსში იდგეს, არ ცოდნია, ის, რაც ძლიერ კარგად იცის ყოველმა ქართველმა მუსლიმანმა, ყოველმა ქობულეთელმა, ყოველმა აჭარელმა.

დღეს არავისთვის არაა დაფარული, რომ ადერბეიჯანის პასუხისმგებელი პირები აქ ბლომათ ურიგებენ ფულებს თავის აგენტებს და ავალებენ მათ იქადაგონ: საქართველოს არ შეუერთდეთ, დამოუკიდებელი აჭარისტანი მოითხოვეთო, ჩვენ ვეკითხებით ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს: მიაჩნია თუ არა მას ადერბეიჯანის პასუხისმგებელ პირთა ასეთი მოქმედება საქართველოს საარსებო ინტერესების საწინააღმდეგო აქტათ?

ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. უბათუმოდ საქართველო ვერ ირესპუბლიკებს და ბათუმი უსაქართველოთ ვერ იარსებებს. ის, ვინც საქართველოს გზაზე ელობება ამ საარსებო საკითხში, ვინც პროპაგანდა-აგიტაციას ეწევა ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსაგან ჩამოსაშორებლად, ის საქართველოს მეგობარი კი არ არის, არამედ ის მოსისხარი მტერია საქართველოსი.

და საუბედუროთ სწორედ ასეთ პროპაგანდა აგ-

იტაციას ეწევიან ადერბეიჯანის აგენტები ქ.ბაუმში და ბათუმის ოლქში.

დაგისახელებთ ფაქტებს.

ჰემდი ეფენდი ადერბეიჯანის პარლამენტის წევრია. ის ეკუთვნის ადერბეიჯანის პარლამენტის უძლიერეს პარტიას. ის აჭარიდან არის გაწვეული ადერბეიჯანის პარლამენტის წევრათ. ის სამუსლიმანო საქართველოს მოქალაქეა, მარა ადერბეიჯანის მესვეურები მაინც ცნობენ საჭიროთ, რომ აჭარას თავის წარმომადგენელი ყავდეს ადერბეიჯანის პარლამენტში. ამით სურთ ალბათ მოაჩვენონ ქვეყანას, რომ აჭარა პროვინცია არის ადერბეიჯანის. მარა ეს თუ გნებავთ, იმდენათად არაა საყურადღებო, უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ადერბეიჯანის პარლამენტის წევრი, ეს ჰემდი-ეფენდი, ადერბეიჯანის მთავრობის მიერ აქ გამოგზავნილი, რეზოლუციების პროექტებს თხზავს, რომლითაც მოითხოვს აჭარისტანის სუვერენულ სახელმწიფოს შექმნას. თვით ჰემდი-ეფენდი არ უარყოფს ამას. მან ამას წინათ დენიკინელების გაზეთ „ნაშ კრაიში“ მოათავსა წერილი და კატეგორიულათ განაცხადა, რომ „მე ვმუშაობ აჭარისტანის სუვერენულ სახელმწიფოს შესაქმნელათო“.

მე არ ვიცი რა აზრისაა ამის შესახებ ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე, მარა ის კი ყველამ კარგად ვიცით, რომ ასეთ აგიტაცია-პროპაგანდას ეწევა ბ-ნი ჰემდი ეფენდი ადერბეიჯანის მთავრობის და ამ მთავრობის აქაურ წარმომადგენელ ბ-ნ ეფენდიევის ლოცვა-კურთხევით.

და ჩვენ ვკითხულობთ: არის თუ არა ეს ადერბეიჯანის მთავრობის მიერ საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება?

ეს ერთი ფაქტი. ახლა მეორე: იქნებ იცნობს ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ხუსეინ-ბეგ ბიბინზადეს. ვინ ბრძანდება ეს ვაჟბატონი? ის გახლავთ ადერბეიჯანის აგენტი. რას ქადაგებდა ის? იმას, რასაც ადერბეიჯანის პარლამენტის წევრი ბ-ნი ჰემდი ეფენდი.

და კვლავ ვკითხულობთ: არის თუ არა ეს ადერბეიჯანის მთავრობის მიერ მტრული მოქმედება საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ.

მესამე ფაქტი: სერვერ ბეგებმა აჯანყება მოაწყო ახალციხის მაზრაში საქართველოს წინააღმდეგ. ეს სერვერ-ბეგი სწერდა თემურ ბეგ ხიმშიაშვილს: აირჩიეთ წარმომადგენლები, მიდით ბათუმში მახმუდ ბეგთან (გეცოდინებათ — ვინაა მახმუდ ბეგი), იქედან წადით სტამბულში და თითო დელეგატს ადერბეიჯანის მთავრობა სამას ათას მანეთს მოგცემთო. ეს წერილი ჩვენ რედაქციას ჩაუვარდა ხელში და თავის დროზე ჩვენ გაზეთში იყო დაბეჭდილი.

ეს ფაქტები სრულიად საკმარისია იმის დასამტკიცებლათ, რომ ადერბეიჯანის მთავრობა მისი აგენტების საშვალებით საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ფაქტების შემდეგ, რომელნიც არ ცოდნია ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს, ის დარწმუნდება, რომ ადერბეიჯანი მართლა ეწევა საქართველოს წინააღმდეგ ეგ ყოვლად დაუშვებელ აგიტაციას.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ადერბეიჯანელთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ეცდება, რომ აწი მაინც ხელი აიღოს ადერბეიჯანის მთავრობამ საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებაზე, თვით ადერბეიჯანის ხალხმა უნდა მოუწოდოს მის მთავრობას წესიერებისაკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში „ძმობა, ერთობა“, „მეგობრობა“ და სხვა ასეთი ლამაზი სიტყვები ცარიელ სიტყვებათ დარჩებიან.

---

# ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი.

✦ სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა პირველი ყრილობა მოხდება ქ.ქუთაისში კვირას, ოთხ აპრილს ქუთაისის სააბრეშუმო სადგურის შენობაში დღის 12 ს. საორგანიზაციო კომიტეტი — თავმჯდომარე სთხოვს ერობებს, კოოპერატივებს, დაწესებულებებს, ქალაქებსა და მწარმოებლებს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი.

✦ განათლების კომისიაში დამფუძ. კრების განათლების კომისიაში სამხედრო მინისტრმა წარადგინა პროექტი სამხედრო სამინისტროსთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ სექციის შტატებისა და ხარჯი აღრიცხვისა. ამ პროექტის მიხედვით ხაზინიდან უნდა გადაიდოს 3,061,975 მანეთი.

✦ პოლკ. გარისთან კონფერენციის მიერ არჩეულ დელეგატებს ჰქონდათ საუბარი 30 მარტს სამ საათზე. გუბერნატორი დათანხმდა, რომ სასურსათო გამგეობის მოსამსახურეები დარჩნენ პროფესიონალურ კავშირში და შეინარჩუნონ ყველა ის უფლებები, რომელიც მათ ქონდათ სასურსათო განყოფილების სამოქალაქო მართველობის ხელში გადასვლამდის. მხოლოდ ბ.გარისმა მოითხოვა, რომ პროფესიონალური კავშირის წევრებმა არ მოახდინონ ძალდატანება იმ მოსამსახურეებზე, რომლებიც არ მოისურვებენ კავშირში შესვლას. დელეგატებმა განუმარტეს, რომ ძალდატანება ვინმეს პიროვნებაზე კავშირში ჩაწერის არ მომხდარა და არც მოხდებაო.

დაწვრილებით გუბერნატორის მიცემულ პასუხს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში. ამ რიგად კონფლიქტი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

✦ ბათუმის სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო დიდძალი ბოსტნეულ მცენარეთა თესლი და სამეურნეო იარაღები.

ამავე საზოგადოებამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მიღებულ იქნას ზომები სხვა და სხვა თესლეულობის საცდელ მინდორის გასაუმჯობესებლათ.

✦ ბათუმში დაარსდა განყოფილება რუსეთის მეზღვაურთა კავშირის.

---



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენიშვნები.

## ოცნება და სინამდვილე?

„კავკასიონის ქედი არც ისე მაღალია, რომ რუსმა ჯარისკაცებმა ის მეორეთ ვერ გადმოლახოსო“ — ასე ემუქრებოდა საქართველოს დემოკრატიას და მის მთავრობას აქაური დენიკინელების ორგანო „ნაშ კრაი“ ამ ორი თვის წინათ. ეს იმ დროს იყო, როდესაც თეთრ ცხენზე მჯდომი შავი გენერალი თავის ამალით მოსკოვში შესასვლელათ ამზადებდა შავ გენერლებს და მის პატარა გოშიებს (როგორიცაა „ნაშ კრაი“-ს თანამშრომლები). რუსეთის შინაური გაერთიანების საქმე, თუ მოსკოვში შევიდოდნენ, დამთავრებულად მიაჩნდათ და ოცნებობდნენ რუსეთის განაპირათ არსებულ დამოუკიდებელ რესპუბლიკების დამორჩილებაზე. მათ ვერ მოუნელებიათ „ინოროდცების“ „ღალატი“ და ამ „ღალატისათვის“ ცეცხლითა და მახვილით ემუქრებოდნენ. საზიზღარ, ზღაპრულ ჭორებს ავრცელებდნენ ჩვენს შესახებ და მოკავშირეთა წარმომადგენლებს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

ქართველი დემოკრატია, ქართველი ერი ყველა ამას ხედავდა და გასალკდევებული იდგა თავის სადარაჯოზე, დაუპატიჟებელ სტუმრების შესახვედრათ. ამავე დროს მას ღრმათ სწამდა, რომ შავი რეაქცია, რეაქცია დენიკინის, დამარცხდებოდა ისე, როგორც რეაქცია წითელი, რეაქცია ლენინის, ვინაიდან ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება შეუძლებელია. რუსეთის ხალხმა მოიშორა თვითმპყრობელობა და ის კვლავ მონობის უღელს აღარ დაიდგამს.

და ეს ჩვენი რწმენა გამართლდა. მოხალისეთა ჯარი გაიხრწნა. უმიზნოთ, მათრახებით შეკავშირებულმა ჯარმა ერთ მუჭა ძველი რეჟიმის მოტრფიალეთა ოფიცრების ხელმძღვანელობით, დაკარგა ბრძოლის უნარი და მტრის (ბოლშევიკების) მოახლოვებამდე გამორბის ბრძოლის ველიდან. ის ლაშქარი, რომელსაც „მოღალატე“ საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი კვლავ ორთავიან არწივისათვის უნდა დაემორჩილებია, ჩვენს საზღვარს მოაწყდა, რომ ბოლშევიკების რისხვას გადაურჩეს.

დაავიწყდათ, რომ ცეცხლით და მახვილით გვემუქრებოდნენ, დაავიწყდათ, რომ ჩვენ „კუკურუზნი“ რესპუბლიკას გვეძახდნენ, დაავიწყდათ ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებს რომ აწვდიდნენ ჭორებს: საქართველოს მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობსო და ამით მოკავშირეების თვალში ნდობას გვიკარგავდნენ.

ყველაფერი ეს დაავიწყდათ ცხვრებივით დამფრთხალ დენიკინელებს და ლამობენ საქართველოში შეაფარონ თავი.

„ნაშ კრაის“ წინასწარმეტყველება „გამართლდა“. რუსმა ჯარისკაცებმა გადმოლახა კავკასიონის ქედი (აბა ნუ გადმოლახავ, თუ უკან ტყვია გელის!), მაგრამ არა როგორც მრისხანე დამპყრობელმა. დარიალის ხეობაში მოხალისეთა ჯარი ხალის[illegible]ნდ კი სიკვდილს გადაურჩეს) გვიტოვებ[illegible]რალს და მოკავშირეების მიერ მოტანილ ტანკებს.

ასეთი იყო „ნაშ კრაი“-ს ოცნება და ასეთი დარჩა სინამდვილე.

-----------

მოხალისეები დამარცხდნენ და ამიერკავკასიაში არსებული მათი გაზეთები უკვე სცდილობენ ახლათ შექმნილ პირობებს შეეგუონ. ბაქოელ დენიკინელების ორგანო „გოლოს როსიი“ ბოლშევიკებს ეარშიყება. „ნაშ კრაი“ ჯერ, სანამ აქ ინგლისელები არიან, ვერ ბედავს აშკარათ ბოლშევიკების მხარეზე გადასვლას, თუმცა ფარულათ მისი სიმპატიები ეხლა ბოლშევიკებისკენაა: თუმცა მისთვის უკეთესი იყო თუ რუსეთს დენიკინი აღადგენდა, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში ლენინის მთლიან რუსეთსაც შეურიგდება.

„ნაშ კრაიმ“ ბოლშევიკებს თავი ანება და ჩვენ გვაგინებს (თუმცა არც უწინ გვაკლებდა ამ სიკეთეს).

როცა დენიკინმა კავკავი აილო, ჩვენ საზღვრებს ხუთი ათასი ბოლშევიკი მოადგა ჩვენში შემოსასვლელათ და თავის სიცოცხლის გადასარჩენათ. ჩვენ ისინი მივიღეთ და მით მათ სიცოცხლე შევუნარჩუნეთ. ამის სამაგიეროთ ბალშევიკების ჩიჩერინები ჩვენს რესპუბლიკას უტიფარი სიტყვებით იხსენიებს.

მდგომარეობა იცვალა. რუსეთის საქანელა ბალშევიკებისაკენ გადაიხარა. ახლა ბალშევიკებმა აიღეს კავკავი. მოხალისეთა ურდოები ჩვენკენ გამორბიან სიცოცხლის შესანარჩუნებლათ. ჩვენც, როგორც ნეიტრალური სახელმწიფო, მათ ვიღებთ, იარაღს ვხდით და მათ სიცოცხლეს საფრთხეს ვაშორებთ. სამაგიეროთ ფრანჩესკები ტალახს გვესვრიან, ყოველ ფეხის გადადგმაზე გვლანძღავენ.

ასეთია ეს ხალხი. მათ რა სიკეთეც უნდა უყოთ, სიცოცხლეც რომ შეანარჩუნოთ, უცილებელ საფრთხისაგანაც რომ გამოიხსნათ, თავის ბუნებას ვერ უღალატებენ: მაინც გლანძღავენ და მაინც უზრდელურ სიტყვებით გამკობენ.

ჩვენ ეს ვიცით, მარა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა თავის კეთილშობილურ ბუნებას ვერ უღალატებს. როცა ჩვენ მტრებს სიკვდილი მოელით და მათთვის სიცოცხლის შერჩენა ჩვენ ხელშია, ჩვენ ადამიანობას არ ვღალატობთ, და მათ სიკვდილს ვაშორებთ. ფრანჩესკები და ჩიჩერინები რა თქმა უნდა ამას ვერ მიხვდებიან. ამას მიხვდება მხოლოდ ადამიანი, ადამიანურ სულგრძელობის პატრონი.

ალი.

---

# ჩრდილო კავკასიაში.

## მთიელთა მთავრობა

კავკასიაში შესდგა მთიელთა მთავრობა ჰაიდარ ბამატის მეთაურობით.

### თავდაცვის საბჭოს მოწოდება.

ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ შემდეგი მოწოდებით მიმართა მცხოვრებლებს: თავდაცვის საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელიც არჩეულია მშრომელთა მასის მიერ, დღევანდელ საპასუხისმგებლო და გართულებულ მომენტში, საჭიროთ სცნობს განაცხადოს, რომ იგი დროებითი ორგანოა, სანამ საბოლოოთ მოეწყობოდეს რესპუბლიკის მუდმივი მთავრობა. თავდაცვის საბჭო მიზნათ ისახავს რესპუბლიკის გაწმენდას მტრებისაგან, მართვა-გამგეობაში იხელმძღვანელებს შარიატისა და რევოლუციის პრინციპებით და პასუხისმგებელია მთიელთა მშრომელ მასების წარმომადგენელთა ყრილობის წინაშე, რომელიც შეიკრიბება თუ არა იმ წამსვე გადასცემს საბჭო მთელ ძალაუფლებას.

### ბრძოლა კომუნისტებსა და მთიელებს შორის.

10 მარტს სოფ.ლევაშში (დაღესტანში) შეტაკება მოხდა მთიელთა დამოუკიდებლობის მომხრეთა და კომუნისტებს შორის; მოკლულ იქნენ დაღესტანში კარგათ ცნობილი კომუნისტები — კაზბეკოვი და აბას-ალა ეფენდიევი. დაიჭირეს დაღესტანის კომუნისტების ლიდერი კორკმასოვი. შეტაკებას საფუძვლათ დაედვა კომუნისტების მოთხოვნილება თავდაცვის საბჭოსაგან, რათა უკანასკნელს უარი ეთქვა დამოუკიდებლობაზე და შეერთებოდა რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას. ხალხი დამოუკიდებლობის მომხრეა, მდგომარეობა თანდათან მწვავდება, კომუნისტებიც თანდათან იძულებულნი ხდებიან მთიელთა დამოუკიდებლობას შეურიგდეს.

### ნური ფაშის შეპყრობა.

ბაქოდან ჩამოსულების სიტყვით მაჯალიშში (დაღესტანში) დაუპატიმრებიათ საბჭოთა რუსეთის მომხრე ჯარების უფროსი ნური-ფაშა.

### ბრძოლა ოსებსა და „მოხალისეებს“ შორის.

სად. ბესლანში მდგარ „მოხალისეთა“ ოფიცრების რაზმს თავს დაესხნენ ოსები. ოფიცერთა რაზმის დასახმარებლათ გაწვეულ იქნა კავკავიდან დამხმარე რაზმები.

### საწყობების გაძარცვა ნარზანში.

ნარზანში ინგუშები თავს დაესხნენ საინტენდანტოს და გაძარცვეს.

### ბალშევიკების მილიონები.

ასტრახანიდან გამოსული მოტორიანი ნავი, რომელსაც დაღესტანისათვის 10 მილიონი მანეთი მოქონდა, გამორიყულ იქნა ნაპირზე ბაქოს ახლოს. ნავი დაიმსხვრა და ჩაიძირა. მგზავრები გადარჩნენ, ფული დაიკარგა.

### გროზნოში.

მოხალისეები თანდათანობით სტოვებენ გროზნოს. მდგომარეობა გროზნოში მეტათ გამწვავებულია. რევოლუციური ელემენტები და მუშები არ იჩენენ აქტივობას, რადგანაც ეშინიათ, რომ საბჭოთა რეგულიარული ჯარების მოსვლამდე ჩეჩნების ბანდებმა არ დაარბიონ ქალაქიო. გროზნო მოწყვეტილია ჩრდილოეთს კავკავის მხრით; ნარზანის ახლოს ინგუშებმა ლიანდაგი აყარეს.

[„ვოლ. გორ.“].

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

# რა ხდება უცხოეთში

### ბათუმის საკითხი.

ლონდონის კონფერენცია შეუდგა ბათუმის საკითხის განხილვას, მაგრამ არც ამის შესახებ გამოუმუშავებია მას საბოლოო გეგმა. ჯერ-ჯერობით კონფერენცია შეთანხმდა ამ ნავთსადგურში საერთაშორისო საზღვაო ძალების გაგზავნაზე, რომელმაც უნდა დაიცვას ქალაქი, მისი მიდამოები და ბათუმ-ბაქოს რკინის გზა.

### სომხეთის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე.

ლონდონის კონფერენციაზე იხილავდნენ სომხეთის საკითხს. „პტი პარიზიენის“ ცნობით უკვე გამორკვეულია სომხეთის საზღვრები და პრეზიდენტ ვილსონის მიერ გამოთქმულ სურვილის თანახმად ახალ სახელმწიფოს გამოსავალი ექნება შავ ზღვაზე, მანდატის საკითხის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

### დეზერტირობა შრომის არმიებში.

ეკატერინბურგი 21 მარტი. რომ დამყარებულ იქნას მუშებში დისციპლინა შრომის არმიის საბჭომ დაადგინა დაარსდეს მშრომელთა საჯარიმო რაზმები, რომელთა დანიშნულებაც იქნება შეებრძოლოს მუშათა არმიებში დეზერტირობას.

### გ ე რ მ ა ნ ი ა.

ბერლინში პარასკევისათვის დანიშნული ეროვნული ყრილობის სხდომა გადასდვეს. მილერმა შეადგინა ახალი კაბინეთი. სჩანს, რომ დუსელდორფში წესრიგი აღდგენილია. მიუხედავათ კომუნისტების ცდისა, მდგომარეობის ბატონ პატრონი სოციალ-დემოკრატებია.

ბერლინიდან მოსული ცნობით მილერის სამინისტრო თითქმის უკვე შედგენილია. „ფოსიშე ცაიტუნგის“ ცნობით შიგ შესულან კანცლერთა და საგარეო საქმეთა მინისტრათ გერმან მილერი, შინაგან საქმეთა მინისტრათ და ვიცე კანცლერათ კოხი (დემოკრატი), სამხედრო მინისტრათ გასლერი (დემოკრატი), იუსტიციის მინისტრათ ბელიუნკი (დემოკრატი), ეკონომიის მინისტრათ რობერტ შმიდტი, სურსათ სანოვაგის—ხერმესი (ცენტრიდან), გზა და ტრანსპორტის — ბაუერი, ფოსტის — გისბერტსი (ცენტრიდან), შრომის — შლიკე, სახელმწიფო ხაზინის — დ-რ ვირტი (ცენტრი), ფინანსთა — კიუნო.

რურის ხეობაში კომუნისტებსა და მუშათა ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკებაა. მეორეს მხრივ

„პტი პარიზიენი“ შემდეგ ინფორმაციას იძლევა: მაშინ, როდესაც ბერლინი კრიზისის მსხვერპლი შეიქნა, პარიზში ცნობა მოვიდა, რომ მთავრობის ჯარები უნებართვოთ შედიოდნენ ნეიტრალურ ზონაში.

**ახალი კაბინეტი.**

ნაუენი 27 ახალ კაბინეტში შედის: 5 სოციალისტების უმრავლესობის, 4 დემოკრატი, 4 ცენტრის პარტიის წევრი. ყოფილი კანცლერი ბაუერი კაბინეტში შევიდა, მიიღო გზათა მინისტრის პორთფელი.

**საფრანგეთი და საბჭოთა რუსეთი.**

ლიონი. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის გამო მილიერანმა სთქვა, რომ საფრანგეთი საბჭოთა მთავრობასთან არ დაიწყებს დიპლომატიურ დამოკიდებულებას. სანამ რუსეთში სახელმწიფოებრივი უფლება დამფუძნებელ კრებას არ გადაეცემაო.

## ა დ ე რ ბ ე ი ჯ ა ნ ი.

**„ადერბეიჯანი“ ბალშევიკების საფრთხის შესახებ“.**

გაზ. „ადერბეიჯანი“ ეხება ბალშევიკურ საფრთხეს და სხვათა შორის სწერს: ამ საფრთხის წინააღმდეგ შეთანხმებულათ უნდა იმოქმედონ ამიერკავკასიის ყველა სახელმწიფოებმა, ჩვენ სრული იმედი გვაქვს გამარჯვებისა. ამის თავდებია ის, რომ ჩვენ გაერთიანებულის ნებით შეგვიძლია გამოვიდეთ მტრის წინააღმდეგ. კერძოთ ადერბეიჯანში დავიწყებული უნდა იქნეს ყოველგვარი ვიწრო კლასური და პარტიული ინტერესები. „არ არის პარტიები, კლასები, არ არის სხვა და სხვა მოწინააღმდეგე შეხედულებათა მატარებელი მიმდინარეობები და ჯგუფები, — მტრის წინაშე სდგას მთლიანი ხალხი, რომელიც თავის თავის თავისუფლებას იცავს და რომელსაც სურს გაიმარჯვოს“. შესაძლებელია საჭირო იქნეს ბევრი მსხვერპლი. ამ შემთხვევაში სინდისიერათ უნდა წამოვიდეთ მძიმე მდგომარეობიდან: „ან გამარჯვება, ან სიკვდილი, საშუალო გზა არ არის და არც შეიძლება იყოს!“, — ათავებს წერილს გაზეთი.

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

პარასკევი 2 აპრილი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი. შეპელევის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | | |
|---|---|---|
| 3 თვით | ........................... | 300 მან. |
| 2 თვით | ........................... | 200 მან. |
| 1 თვით | ........................... | 100 მან. |

№330 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №330

## ოსმალეთის დანაწილება და ჩვენი ხსნის გზა.

თუმცა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ჯერ კიდევ არ დაუსრულებია ოსმალეთთან საზავო პირობების პროექტის საბოლოოთ შემუშავება, მარა ოფიციალურმა დეპეშებმა უკვე გადმოგვცეს ამ პროექტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პუნქტები.

როგორც სჩანს, მოკავშირეებს საბოლოოდ გადაუწყვეტიათ ოსმალეთის დანაწილება. სირია, პალესტინა და მესოპოტამია საბოლოოთ შორდება ოსმალეთს. სომხეთს აძლევენ ვანის და ბითლისის ვილაიეტებს, აგრეთვე აზრუმის ვილაიეტის ნაწილს. სომხეთსვე აძლევენ გასავალს შავ ზღვაზე ბათუმსა და ტრაპიზონს შუა, ჯერ კიდევ არ არის სავსებით გამორკვეული სტამბოლის ბედი. როგორც გაზეთების ცნობებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტი ვილსონი მოითხოვს, რომ ოსმალეთი განიდევნოს კონსტანტინეპოლიდან. ამ გარემოებას, თქმა არ უნდა, დიდი გავლენა ექნება კონსტანტინეპოლის ბედზე. საბოლოოთ გადაწყვეტილია სრუტეების ბედი: ბოსფორი და დარდანელი ოსმალეთის ხელში ველარ დარჩება.

მოკავშირეებს წინდაწინვე გაუთვალისწინებიათ, რომ შესაძლებელია ასეთ ზავზე ოსმალეთმა ხელი არ მოაწეროს. ამისთვის წინდაწინვე მიუღიათ შესაფერი ზომები: დაუკავებიათ კონსტანტინეპოლი, გაუძლიერებიათ სამხედრო ძალები, კონსტანტინეპოლის ზონის მთავარსარდლათ დაუნიშნავთ ინგლისის გენერალი მილნი, ამასთან მოკავშირეებს ზომები მიუღიათ აგრეთვე მუსტაფა-ქემალ-ფაშის წინაალმდეგ უნდა იმოქმედოს, დაუნიშნავთ საფრანგეთის გენერალი დე-ესპერე.

ამრიგად მოკავშირეებს უკვე მიუღიათ სათანადო ზომები იმ შემთხვევისათვის, თუ ოსმალეთი წინაალმდეგობის გზას დაადგება.

უეჭველია, რომ ოსმალეთი შეეცდება წინაალმდეგობის გაწევას. მარა ეუჭველია ისიც, რომ იმ მძლე კოალიციას, რომელმაც დაამარცხა რკინის სახელმწიფო გერმანია, ოსმალეთი ვერ გაუმკლავდება. ცხადია, რომ დაბოლოს ოსმალეთი შეურიგდება თავის ბედს და საზავო პირობებს მიიღებს. ძალა ალმართს ხნავსო, — ნათქვამია და ისიც დამორჩილდება ძალას.

გერმანიის დამარცხების შემდეგ ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ოსმალეთის ბედი სწორეთ ასე გადაწყდებოდა. ცხადი უნდა ყოფილიყო ეს ყველა თვალხილულთათვის, ვინც კი ცოტათ თუ ბევრად გაცნობილია დღევანდელ ვითარებას. მარა ჩვენი დემაგოგები, რომელთაც ჩვენი ხალხის ინტერესები თავის კერძო ინტერესების საექსპლოატაციოთ დაუსახავთ, რომელთაც თავის ქვეყნის ბედ-იღბალი იმდენათ აინტერესებთ, რამდენათაც შარშანდელი თოვლი, ჩვენი ხალხის გზა-კვალის ასაბნევათ მაინც გაიძახოდნენ, რომ სამუსლიმანო საქართველო ოსმალეთს უნდა შეუერთდესო.

ჩვენ ვამბობდით, რომ ოსმალეთის უდიდესი გამარჯვება იქნება, თუ რომ ის მოახერხებს და შეინარჩუნებს იმ საზღვრებს, რომლებსაც ის ფლობდა ომის დაწყებამდე. ავანტიურისტები კი მაინც ჩაგვჩიჩინებდნენ: ბათუმი და ბათუმის ოლქი ოსმალეთს უნდა შეუერთდესო. ოსმალეთმა ომი წააგო და განა მომხდარა სადმე, რომ ომში დამარცხებულ სახელმწიფოსათვის ახალ-ახალი ტერიტორიები მიეციით! განა ახსოვს ისტორიას, რომ გამარჯვებულ სახელმწიფოს დამარცხებულის ტერიტორია გაეფართოებინოს!

ეს არასოდეს არ მომხდარა და, რა თქმა უნდა, არ მოხდება ეხლაც. ეს იცოდნენ და იციან ჩვენმა ავანტიურისტებმა, მარა მაინც თავისას გაიძახოდნენ, და ამას ჩადიოდნენ მიტომ, რომ სურდათ და სურთ ჩვენ ხალხში არევ-დარევის შეტანა, მით წყალის ამღვრევა და ამღვრეულ წყალიდან ხან ადერბეიჯანის ფულების ამოზიდვა და ხან დენიკინელებისა.

ახლაც კარგად იციან მათ, რომ მათი ახალი ფრონტი დამოუკიდებელ აჭარისტანის დაარსება - ეს ფუჭი სიტყვაა, განუხორციელებელი რამეა, მარა კვლავინდებურათ მაინც თავისას არ იშლიან. და არ იშლიან მიტომ, რომ ამისათვის მათ ხან იგივე ადერბეიჯანლები და ხან დენიკინელები ფულებით ჯიბეებს უტენიან. ამ ავანტიურისტების მამოძრავებელი ძალა სწორედ ეს ფულებია. ამისათვის

დარბიან ისინი მგლებივით ხან ქობულეთში, ხან ზემო აჭარაში, ხან ქვემო აჭარაში, ხან ადერბეიჯანში, ფულებისთვის რა თქმა უნდა, და ხან დენიკინელთა ნაციონალურ საბჭოში.

მათ იციან, თუ რა ხდება არდაგანის ოლქში. იციან, რომ მთელი სოფლები, ჩალდირი და სხვა, სომხებისაგან აწიოკებულია. იციან, რომ ამ სოფლების წარმომადგენლები დეპუტაციას დეპუტაციაზე აგზავნიან საქართველოს მთავრობასთან: გვიშველეთ, მოგვხედეთ, შეგვაერთეთ საქართველოს რესპუბლიკასთანო. მარა ახლა რა უნდა გააწყოს საქართველოს რესპუბლიკამ, როცა სერვერ ბეგების და სხვა ასეთ ავანტიურისტების წყალობით ეს მრავალტანჯული რაიონები მოკავშირეებმა სომხებს გადასცეს. თავის დროზე შესაძლებელი იყო, რომ ეს მხარე საქართველოს გადასცემოდა. მარა მაშინ გამოხტენ ავანტიურისტები, სერვერ ბეგები და მათი დამქაშნი, ასტეხეს განგაში, რომ ჩვენ საქართველოსთან არავითარი ერთობა არ გვსურს, ჩვენ გვსურს ცალკე სახელმწიფოს შექმნაო. ცალკე სახელმწიფოს აბა ვინ მიაშავებდა სერვერ ბეგებს. — რაკი საქართველო არ გსურთ, ინებეთ სომხეთის ქვეშევრდომობაო, — უთხრეს მათ მოკავშირეებმა და ეს რაიონები მიართვეს სომხეთს.

სწორედ ამგვარათვე სურთ ჩვენი დაღუპვა იმ ავანტიურისტებს, რომლებიც ადერბეიჯანის ფულებით ამჟამათ დაძრწიან ჩვენ ოლქში და ხალხს მოუწოდებენ: უარი თქვით საქართველოზე, მოითხოვეთ ცალკე აჭარისტანის სახელმწიფოს გამოცხადებაო. და მათ, ასეთ ჩვენ დამღუპველი აგიტაციის წარმოებაში ხელს უწყობენ ისინი, რომლებიც მოწადინებულნი არიან, რომ ბათუმი სომხეთის პორტათ იქცეს, აჭარისტანს ცალკე სახელმწიფოთ არავინ გამოჭრის და შემდეგ ეტყვიან: აკი თქვენ თითონ ყვიროდით, რომ საქართველოსთან ერთობა არ გვსურსო, — ინებეთ სომხეთის ბატონობა ბათუმზეო.

ყურადღება მისაქცევია შემდეგი ფაქტი: ამ რამდენიმე დღის წინათ ბათუმის საქალაქო თვითმართველობის შენობაში მოხდა კრება პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებისა. ამ კრების დიდი უმრავლესობა ბალშევიკებისაგან შესდგებოდა. ბალშევიკებმა წარმოადგინეს რეზოლუცია: ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს არ უნდა შეუერთდეს, ქალაქი ბათუმი და მისი ოლქი უნდა გადაეცეს მოსკოვის საბჭოთა მთავრობასო. და იცით მერე ვინ დაუჭირა ამ რეზოლუციას მხარი? დაშნაკცაკან სომხებმა. რათ დაუჭირეს სომხებმა ამ რეზოლუციას მხარი? მიტომ, რომ მათ კარგად იციან: ბათუმს და ბათუმის ოლქს ბალშევიკებს არ გადასცემენ და თუ საქართველოს არ გადასცეს, მაშინ ქ.ბათუმს სომხებს მიართმევენ.

აი, ვისთვის მუშაობენ ჩვენი ავანტიურისტები, რომლებიც იმისათვის, რომ დაბრმავებული ადერბეიჯანი მათ ჯიბეებს ფულებით უტენის, დამოუკიდებელ აჭარისტანის შექმნას ქადაგებენ.

ჩვენი ხსნა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსთან ერთობაშია. ავტონომიურათ გაერთიანება საქართველოსთან, აი ერთად ერთი სწორი გზა, რომელიც გვიხსნის ყოველგვარ უბედურებისაგან, ვინც ამის წინააღმდეგია, ის მოსისხარი მტერია ჩვენი ქვეყნისა.

---

# ა ხ ა ლ ი  ა მ ბ ე ბ ი.

◆ კვირას, 4 აპრილს დილით 10 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია მუშათა კოოპერატივის წლიური საზოგადო კრება, განსახილველია შემდეგი საკითხები:

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებები 1919 წლის მოქმედებათა შესახებ, 1919 წლის ანგარიშების განხილვა.

1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და მიმდინარე საკითხები.

◆ გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე ბათუმის კომიტეტმა შეაგროვა და დანიშნულებისამებრ გადასცა 1,400,000 მან.

◆ მუშათა არტელ „ზვეზდა“-ს მუშებმა თავიანთ შორის შეაგროვეს დაზარალებულ გორელების სასარგებლოთ და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გადასცეს 36,750 მან.

— ამავე მიზნით ხაჩატურიანცის ქარხნის მუშებმა შემოსწირეს 5,600 მან.

◆ 31 მარტს სინოპიდან ბათუმში მოიტანეს 1500 ფუთი სიმინდი აჭარლებისათვის.

◆ 18 აპრილს შესდგება დამზღვევ საზოგადოების წევრთა კრება.

◆ ქალაქის საქონლის სასაკლაოს შესაკეთებლათ ქალაქის თვითმართველობამ გადადვა 706,118 მ. და 27 კაპ.

◆ ქალაქის მცხოვრებთა აღწერისათვის ქალაქის თვითმართველობამ გადასდვა 100000 მან.

◆ 30 მარტს ქალაქის საავადმყოფოში იყო 79 ავადმყოფი.

◆ ჩვენი გაზეთი, ჩვენივე რედაქციის კანტორის გამგემ იასონ გ. დარსაველიძემ, გამოუწერა ორი თვით დიდი ჯიხაიშის პატარა ქაშვეთის ეკლესიის უფასო სამკითხველოს.

29 მარტს ღამით 11 საათზე ა.შიფრინის ბინიდან (ბაღის ქ. №16) ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 100 ათას მანეთად. იჭვით დაატუსაღეს მოსამსახურე გ.სიტნიკოვა, ნაწილი მოპარული ნივთებისა აღმოაჩინეს ქალაქის ბაღში.

◆ 30 მარტს ცეცხლი გაუჩნდა ჭაობში სიმაფორიდის პირუტყვთა თავშესაფარს, დაიწვა ერთი ძროხა.

◆ ამ დღეებში გამოქვეყნებული იქნება პირველ მოთხოვნილების საგნებზე ახალი ნიხრი.

◆ ამ დღეებში ბათუმში მივიდა გემი „სახარა“, რომელმაც დიდძალი საქონელი მოიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს თანდროული ვითარება.

საქართველოს ცას საფათერაკო ღრუბლები არ შორდება.

თითქოს ქართველი ერი იმისთვის გაუჩენია განგებას, რომ იგი განუწყვეტლივ ებრძოდეს მომხდომ გარეშე, თუ შინაურ მტრებს!... ბალშევიზმი მოგორავს რუსულ იმპერიალიზმის დევიზით.

ძველ ძეგამის — ახლანდელ კავკავის სანახებს შეეხო წითელი ხელი, სოჭის ოლქიც უახლოეს მომავალში ბალშევიკების ლუკმა გახდება. კავკავ-სოჭის შემდეგ მოსკოველი იმპერიალისტები შესძლებენ თუ არა დაადგან თავისი ქუსლი ჩვენს მიწა-წყალს? ჩვენ გვწამს, რომ მოსკოველი იმპერიალისტები ამას ვერ შესძლებენ.

ბალშევიზმის სამარე ეროვნული სახელმწიფოებია... საქართველო არ არის უსაზღვრო სივრცე რუსულ სამოქალაქო ომისათვის.

ლენინს აქ ეროვნული ომის წარმოება დასჭირდება, საქართველო რუსეთი არ არის და ასეთ ადგილებში უსათუოდ გადატყდება ტროცკის ძლევა მოსილი მახვილი.

მაგრამ ცნობილია ბალშევიკური ხრიკები, ისინი ანგარიშობენ ციხის შიგნიდან გატეხით.

ბალშევიკები მოედვენ ბათუმს, ისინი მუშაობენ საქართველოშიაც და ამ რიგად მოსკოველთა ბალშევიზმი კონტრაბანდათ შემოპარებულ არშიან ფულებით ნასულდგმულევი სწადიათ გაადგილობრივონ.

და უმთავრესი ყურადღებაც ახლა შინაურ სიმაგრეს უნდა მიექცეს. დღეს მთავრობა გაცილებით უკეთეს პირობებშია ვიდრე ოდესმე ყოფილა. ბალშევიზმის სამხედრო გამარჯვება ჩვენ გვაიძულებს დროებით ანგარიში გაუწიოთ მოვლენების სტიქიურ განვითარებას და მათგან წარმოშობილ ფაქტებს. საშიშროების წინაშე ჩვენ ყოველთვის მარტონი ვიყავით, გულწრფელი მოკავშირე ჩვენ არასოდეს გვყოლია; მაგრამ, მაინც უაღრესად საინტერესოა თუ რას იტყვის ბაქო და ერევანი.

საქართველო ხელახლად ივსება უცხო ხალხით, რაც მეტად საშიშია გარე შემომსევ ძალის მოდგომის დროს.

ამ გარემოებასაც სასწრაფოდ უნდა გაეწიოს ანგარიში, ჯერ არ გამოუგლოვია ჩვენს ერს გორის უბედურება, რომ ელვის სისწრაფით მოახლოვდა ბალშევიკური ზვირთი და ახალ-ახალ ფურცლებით გადიშალა ბათუმის ტრაღედია.

ქართველი ერი რაინდულ ბრძოლაში სწერს ყოველთვის თავის მყოფელობის ისტორიას, დღესაც თეთრი გიორგი გაარღვევს ბნელეთს, რაც ყველა ჩვენ სასიცოცხლო ძალთ უბრძანებს გაერთიანებას და ერთ მთლიან პოზიციის დაკავებას.

დღეს შინაური მდგომარეობა, საშინაო საკითხების მოხერხებულ-მოხდენილად გადაჭრა და შინაური სიმაგრე უფრო საინტერესოა, ვიდრე უმაღლეს საბჭოს ამა თუ იმ უსამართლო რეზოლუციებით გულის ხეთქა. ჩვენი ხელმწიფების მარადიულობა, სიცოცხლე უპირველეს ყოვლისა ჩვენზე ჰკიდია!... გავიყვანოთ სწორი ხაზები დღევანდელ მრისხანე სირთულეში, შევერთდეთ და დავდგეთ ყველა მოვალეობა — მოწოდების სიმაღლეზე.

ი. დიდიძე

---

# წერილი ქობულეთიდან.

ჩვენი, ქართველ მუსლიმანებთა, ხსნა მხოლოდ და მხოლოდ ერთობაშია. მრავალ ხნით ჩარგული მხარე, უკუღმართ პირობებისაგან ჩამოშორებული თავის დედა-სამშობლო საქართველოსაგან, მოწყვეტილი ღვიძლ ძმებისაგან, კვლავ უნდა გაერთიანდეს, კვლავ ერთი მშობლიურ ოჯახის წევრათ უნდა გახდეს.

მარა არ გვასვენებენ მტრები. კვლავ შემოესიენ ჩვენ სოფლებს მოსყიდული პირები და ლამობენ გზა-კვალი აგვიბნიონ, სინდისზე ხელი აგვაღებინონ, ძმა ძმის მტერი გახადონ. ადერბეიჯანის ფულებით ჯიბე-გაბერილები დაძრწიან სოფლიდან სოფლათ და მოუწოდებენ ჩვენ ხალხს ჩვენი ქვეყნის დამღუპველ გზისაკენ. ამ ჩვენთვის საბედისწერო ჟამს, როცა წყდება ჩვენი აწმყოს და მომავალის საქმე, როცა ყოფნა არყოფნის საკითხი გვიდგას წინ, როცა მრუდეთ გადადგმული ერთი ნაბიჯი დაღუპვას გვიქადის, ამ დროს ჩვენ გასაუბედურებლათ შემოჩენილი პირები უფსკრულისაკენ გვეწევიან, გვიქადაგებენ: საქართველოსთან ერთობა არ იქონიოთო.

კარგად უნდა ჩაუკვირდეთ, თუ რას ნიშნავს ეს. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ განმარტოებული დავრჩეთ; ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი დედა ქალაქი, ჩვენი კულტურისა და აღორძინების ცენტრი ბათუმი სხვებს გადაეცეს და მით ჩვენ სამუდამოთ ფეხქვეშ ნიადაგ გამოცლილი დავრჩეთ. ჩვენ მტრებს, რომლებიც წინეთ ზოგი დენიკინისაკენ გვეპოტინებოდა და ზოგიც ოსმალეთისაკენ, ახლა უცვლიათ საპროვოკაციო ხერხი და, რომ აგვიყოლიონ დაგვჩხავიან: საქართველოს არ შეუერთდეთ, მოითხოვეთ დამოუკიდებელი აჭარისტანიო.

განა ამ ჩვენ დამღუპველებს თითონ სწამთ აჭარის დამოუკიდებლობა? განა მათ არ იციან, რომ დამოუკიდებელ აჭარისტანს არავინ შექმნის? იციან, როგორ არ იციან, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს პაწაწინა აჭარიდან არავინ არ გამოჭრის.

მარა ამას მაინც გაიძახიან მიტომ, რომ ამით სურთ ჩვენი ხალხის უფსკრულში გადაჩეხვა, ამით სურთ ხალხის მოტყუილება და მით თავის ბნელ საქმეების გაჩარხვა. მათი ბნელი საქმე კი ისაა, რომ ამისათვის მათ უხვად აძლევენ ფულებს, ისინი ფულებს იჯიბავენ, თავის კერძო საქმეებს აწყობენ და ამისათვის ჩვენი დაღუპვა სურთ.

რა უნდა ადერბეიჯანს, რა უნდათ მათ აგენტებს, რომ შემოგვესიეს ფულით გაუმაძღარი მგლები? მათ უნდათ, რომ თავისი ნავთი უბაჟოთ გაიტანონ საზღვარ გარეთ და ამისათვის გვღუპავენ

ჩვენ, ამისათვის მოითხოვენ ისინი რომ ქალაქი ბათუმი ჩვენი ქალაქი კი არ იყოს, არამედ ყველა ქვეყნის გაუმაძღარ კაპიტალისტების ქალაქათ იქცეს. ამისათვის ქადაგებენ ისინი დამოუკიდებელ აჭარას. ბაქოს ნავთს სურთ ანაცვალონ ჩვენი საარსებო ინტერესები.

ძმებო, ქართველო მუსლიმანებო! ჩვენი ქვეყანა, დიდებული მესხეთი საუკეთესო ნაწილი იყო საქართველოსი. ჩვენ ვიყავით, რომ პირველი დავეტაკებოდით ჩვენ საყვარელ სამშობლო საქართველოს მტრებს. ჩვენ პირველი ჩვენი გვერდით ვიცავდით საქართველოს დამოუკიდებლობას მისი მტრებისაგან. მესხეთი იყო აკვანი საქართველოს კულტურისა. მესხეთმა, ე.ი. ჩვენმა მხარემ მისცა საქართველოს გამოჩენილი მხედრები, სწავლულები, მთარგმნელები, პოეტები. საქართველოს სახელოვანი ისტორია სავსეა ამ ჩვენი  მხარის შვილთა სახელებით. მსოფლიო გენიოსი, უკვდავი შოთა რუსთაველი მესხეთის შვილია. აქ, ჩვენ მესხეთში, ჩამოჰკრა შოთამ თავის უკვდავ სიმებს, აქ ააჟღერა მან თავისი უკვდავი ჩანგი.

დროთა ვითარებამ ჩვენ მოგვწყვიტა ჩვენ სამშობლოს, ჩვენ მივიღეთ მუსლიმანობა, რასაც მტკიცედ ვადგივართ და აწიც მტკიცედ უნდა დავადგეთ. მარა ეროვნება სხვაა და სარწმუნოება სხვა, ჩვენ ეროვნებით ისევ ქართველები ვართ. ჩვენ მხარეშია შენახული ძველი, შოთა რუსთაველის ენა. ჩვენს აკვანს ჩვენი დედები ქართულად უმღერდენ ნანას, ვინაიდან მათ სხვა ენა არ იცოდენ და არ იციან. დიახ, ჩვენ ქართველები ვართ.

და ვის უნდა დაუკავშირდეთ, თუ არა ჩვენ ძმებ ქართველებს. საქართველოა ჩვენი სამშობლო, ჩვენ საქართველოს შვილნი ვართ, და ის, ვინც ჩაგვჩიჩინებს, რომ უარყავით საქართველოო, ის ამით გვეუბნება, რომ უარვყოთ ჩვენი ძმა, ჩვენი მამა, ჩვენი მშობელი დედა.

და ასეთ პირებს განა უნდა დავუჯეროთ?! მიმოიხედეთ რა ხდება ირგვლივ. ბათუმში დენიკინელები, რომლებიც ჩვენ ქალაქს შემოხიზვნია, ცდილობენ, რომ ჩვენ კვლავ რუსეთის მონათ გავხდეთ. იმავე ბათუმში ბლომათ მოუკალათებიათ ბალშევიკებს და რეზოლუციები გამოაქვთ, რომ ბათუმი და მისი ოლქი რუსეთს უნდა შეუერთდესო. აქ რუს ბალშევიკების ბატონობა უნდა გამტკიცდეს, ლენინის საბჭოები უნდა გამეფდესო.

ასე ცდილობენ ჩვენი მტრები ჩვენ დაღუპვას და ამ დროს შემოგვიჩნდა ადერბეიჯანი მისი აგენტებით და ისიც ჩვენ დამღუპავ გზისკენ გვწინავს.

ვინც ამ ჩვენ მტრებს დაუჯერებს, ის ღუპავს ჩვენ მომავალს. არ დაუჯეროთ მათ.

ჩვენი ხსნა მხოლოდ საქართველოსთან ერთობაშია. ჩვენი ბედნიერება საქართველოსთან ავტონომიურათ გაერთიანებაშია. ვინც ამის წინააღმდეგია, ის ჩვენი  ხალხის მოსისხარი მტერია.

უსუფ ც-ძე.

# რა ხდება უცხოეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პ ო ლ ო ნ ე თ ი.

### პოლონელი სოციალისტები და საბჭოთა მთავრობა.

პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ოფიციალურ ორგანოში, — „რაბოტნიკ"-ში დაბეჭდილია პოლონეთის სოციალისტების პასუხი იმ მანიფესტზე, რომელითაც საბჭოთა მთავრობამ მიმართა მათ ზავის ჩამოგდების შესახებ. პოლონელი სოციალისტები ბრალს სდებენ საბჭოთა მთავრობას იმაში, რომ უკანასკნელი მიისწაფის ძალათ მოახვიოს თავისი ბატონობა წვრილ ერებს, რომელთაც თავი გაინთავისუფლეს ძველი რუსეთის ბატონობისაგან და დღეს არ სურთ იცხოვრონ დამონავებულად; ბრალს სდებენ აგრეთვე იმაში, რომ იგი მუდამ ემუქრებოდა და ემუქრება პოლონეთს. მაგრამ დღეს სულ სხვანაირი მდგომარეობაა, — განაგრძობენ პოლონეთის სოციალისტები; პატარა ერებმა მოიპოვეს და განამტკიცეს თავიანთი დამოუკიდებლობა; მიუხედავათ ჩიჩერინის აღფრთოვანებულ ფრაზეოლოგიისა, — ბალშევიზმი მაინც ვერ შესძლებს თავისი ბატონობა გაავრცელოს ამ ახლად დაარსებულ სახელმწიფოებში. „პოლონეთი ზავისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ საბჭოთა მთავრობა არ კმაყოფილდება ამით. რუსეთში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ კომისარების დიქტატურას, ნგრევასა და ტერორს, ხოლო ვერ ვხედავთ აღმშენებლობით მუშაობას. რუსეთის მუშები ვერ ეღირსენ იმ თავისუფლებას, რაც ბალშევიკებმა აღუთქვეს მათ".

## რ უ ს ე თ ი.

### „მოხალისეთა" უკანასკნელი ბრძოლა ნოვოროსიისკში.

ნოვოროსიისკის რაიონში ბრძოლას აწარმოებენ ზოგიერთი გენერლები, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენიათ ცოტათ თუ ბევრათ მოწყობილი ჯარის ნაწილები. ასეთი გენერლებია მაგ. პავლოვი, ულაგაი და სხვ. დონის ჯარის ნაწილები ყირიმისაკენ მიჰყავთ გენ. სლაშჩევის რაზმის გასაძლიერებლათ. ყუბანისა და თერგის ჯარები ატამან გენ. ბუკრეტოვის ხელმძღვანელობით შავი ზღვის ნაპირზე აწარმოებენ ბრძოლას.

### კ რ ა ს ნ ო ვ ო დ ს კ შ ი.

კრასნოვოდსკიდან ჩამოსულების გადმოცემით, იქ მდგომარეობა გამწვავებულია, არ არის პური და წყალი. ამ ნიადაგზე ფართე შეტაკებები მოხდა ბალშევიკების მთავრობასა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.

**ოსმალეთის საკითხის გარშემო.**

უმაღლეს საბჭოს პოლიტიკურ სექციამ 23 მარტს განაახლა მსჯელობა ოსმალეთის სახელმწიფოს უმცირესობათა უფლების დაცვის შესახებ, რომლებიც გამოყოფილი იქნებიან ოსმალეთის სახელმწიფოდან. ახლო მომავალში ვაშინგტონიდან მოელიან ვილსონის ახალ ნოტას, რომელშიაც იგი მოითხოვს, რათა თურქები საბოლოოთ იქნეს განდევნილი კონსტანტინეპოლიდან.

## დ ა ი კ ა რ გ ა

იოსებ მალაქისძე დოლიძის პირადობის სურათიანი მოწმობა. მოცემული საქარ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

386. (1—1)

## დ ა ი კ ა რ გ ა

ხასან მემედ-ოღლის წლიური პასპორტი მოცემული ქალ. ბათუმის მილიციის უფროსისაგან და პირადობის ქართველ ეროვნულ საბჭოსაგან.

287. (1—1)

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათა-
ვისუფლებელ კომიტეტის ორგანო

შაბათი 3 აპრილი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეშელევის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | | |
|---|---|---|
| 3 თვით | ................................ | 300 მან. |
| 2 თვით | ................................ | 200 მან. |
| 1 თვით | ................................ | 100 მან. |

№331 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №331

## რუსეთის იმპერიალისტები.

დენიკინი იბრძოდა „დიდი, მთლიანი, განუყოფელ რუსეთის" აღსადგენათ. ის ჯერ ლამობდა რუსეთის ხალხის დაპყრობას და შემდეგ თავის მათრახების მობრუნებას აპირებდა განთავისუფლებულ ერთა წინააღმდეგ. მთელი რუსეთი ძველ საზღვრებში, — აი მისი დევიზი. ის კბილთა ღრჭენით იხსენიებდა რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებულ ერებს და იმუქრებოდა, რომ მალე გაანიავებდა მათ თავისუფლებას. მარა მან ვერ შეასრულა მისი მტაცებლური მიზანი. ის უკვე თავის რეაქციონურ ლაშქარით ისტორიის არქივში გადაეშვა.

ლენინიც არსებითად ამავე მიზანს ემსახურება, ის, როგორც დანიკინი, არ ცნობს ერთა თვითგამორკვევის უფლებას. ისიც, როგორც მეფის გენერლები, კბილთა ღრჭენით იხსენიებს ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ რესპუბლიკებს და ცეცხლითა და მახვილით ემუქრება მათ რუსეთზე მიწებებას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დენიკინი „მატუშკა როსსიის" სახელით აერთიანებდა რუსეთს, ლენინი კი ამასვე ლამობს „სოციალიზმის" სახელით. მარა ვისთვის არაა გასაგები, რომ სოციალიზმი აქ მხოლოთ შირმაა, ნამდვილათ კი ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალიზმი, რომელიც არაფრით არ განსხვავდება კაპიტალისტურ იმპერიალისტების მტაცებლურ პოლიტიკისაგან.

მთელი საუკუნოების განმავლობაში გმინავდენ სხვა და სხვა ერები თვითმპყრობელობის კლანჭებში. მთელი საუკუნოების განმავლობაში ეს ერები ეწეოდენ უსწორო ბრძოლას რუსეთის ბატონობისაგან თავის დასახსნელათ. დიდმა რევოლუციამ ამ ერებს საშვალება მისცა აუტანელ მონობის უღლისაგან თავის დაღწევისა. მათ შექმნეს თავის რესპუბლიკები, მოაწყვეს თავის საქმეები ისე, როგორც ამას უკარნახებდათ თავის ქვეყნის საარსებო ინტერესები. ერთი ერი — ერთი სახელმწიფო, აღიარეს მათ და ეს არის სწორედ განხორციელება არა მხოლოდ სამართლიანობისა, არამედ ხალხთა შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისა. ეს არის გზა ხალხთა წინ მსვლელობის განმტკიცებისა.

და ყველა ის, ვინც ამ გზას წინ ეღობება, ვინც არ ცნობს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ის ამით ემსახურება არა მხოლოდ უსამართლობას, არამედ უაღრესათ რეაქციონურ საქმეს.

და ასეთ რეაქციონურ საქმეს ემსახურება რუსეთის ახალი თვითმპყრობელი ლენინი, რომელიც განთავისუფლებულ ერების დაპყრობას ლამობს.

და ამ უაღრესად რეაქციონურ საქმეში მის ყოველთვის ეყოლება დამხმარეთ ის რუსები, რომლებიც დენიკინის მეთაურობით მთლიან რუსეთის აღდგენას ლამობდენ. ლენინის დელიყანდებს და დენიკინელებს ხომ ერთი მიზანი აქვთ: ეს არის დიდი რუსეთის აღდგენა ძველი საზღვრებში. და რაკი ეს ვერ განახორციელეს შავებმა დენიკინის შავი დროშის ქვეშ, დიდი ხალისით შეუერთდებიან ლენინის წითელ დროშას, რომელიც განთავისულებულ ერთა მტერია.

ახლო მომავალი დაგვანახვებს, რომ დენიკინელები და ბალშევიკები ხელიხელ ჩაკიდებული აღმართავენ საერთო მახვილს „ინოროდცების" წინააღმდეგ. ბაგრატოვები წინეთაც ეარშიყებოდენ დენიკინს, ვინაიდან ეს დენიკინი მათ „ინოროდცებს" უპყრობდა. დენიკინის გაზეთში უკვე ეარშიყებიან ლენინს, ვინაიდან ეს ლენინიც მათ „ინოროდცებს" უპყრობს. აქაური ფრანჩესკები ჯერ ვერ ბედავენ აშკარათ ბალშევიკებისადმი მიმხრობას, რადგან ჯერ ვერ ბედავენ ეს ვაჟბატონები ინგლისელების განაწყენებას, მარა უკვე არის უტყუარი ნიშნები იმისა, რომ ფრანჩესკები მალე ჩადგებიან კომუნისტების წყებაში.

და ვინაიდან ჩვენი ქალაქი დენიკინელეთა ხელშია, ამ გარემოებას უნდა გაეწიოს სათანადო ანგარიში. მთელი მილიცია და სანაპირო რაზმები დენიკინელებისაგან შესდგება. ეს შეიარაღებული ხალხი ნურავის გაუკვირდება თუ ერთ მშვენიერ დღეს, მთლიან რუსეთის" აღმდგენელ ბალშევიკებს მიემხრობა.

ასეთია რუსების იმპერიალისტები, წითელია ის თუ შავი, ორივე ერთი მადითაა შეპყრობილი. ეს ძალაა — თავისუფალ ერთა დაპყრობა, რუსეთის გაერთიანება.

მარა სწორედ ამ მადას გადააკვდებიან რუსეთის იმპერიალისტები ამ დრომდი ისინი სამოქალაქო ომს აწარმოებდენ აწი კი მათ ექნათ საქმე განთავისუთლებულ ერთა ძალებთან. და ეს ერები მათ

ნათლათ დაუმტკიცებენ, თუ რა შეუძლიათ თავის საარსებო უფლებებისათვის მებრძოლ ხალხებს. ნაციონალური ომი სხვაა და სამოქალაქო ომი კი სხვა. ნაციონალურ თვითარსების შესანარჩუნებლათ ერი გამოიყენებს მაქსიმუმს თავის ენერგიისას და უცხო ძალებს თავს არ დააჩაგვრინებს.

ეს იცოდნენ რუსეთის იმპერიალისტებმა. იცოდნენ, რომ განთავისუფლებული ერები მათ ლუკმათ არ გადიქცევიან.

---

# ახალი ამბები.

◆ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ ჟორდანიამ საგარეო საქმეთა მინისტრის ბინაზე მოიწვია წარმომადგენელნი მისიებისა, მათ შორის უმაღლესი კომისარი ბრიტანეთისა მისტერ ოლივერ უორდროპი, გენ. კორბელი, გენ. დე ნონანკური და სხვა. თათბირს დაესწრო გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ. ქარცივაძე. მთავრობის თავმჯდომარემ გააცნო მისიათა წარმომადგენელთ სომეხ თათართა შეტაკების ისტორია ყარაბაღში და რაც ასუსტებს ძლიერებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და სთხოვა მათ ავტორიტეტული ჩარევით მშვიდობიანობა ჩამოაგდონ ამ მხარეში. მისიების წარმომადგენლებმა გულდასმით მოისმინეს მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა და აღუთქვეს ამ მხრივ ზომების მიღება.

◆ თფილისში ჩავიდა პოლონეთის საგანგებო პოლიტიკურ მისსია პოლონეთის მთავრობის რწმუნებულის მეთაურობით.. მისსიაში 7 კაცი შედის. გუშინწინ მისსიის წევრნი პოლონეთის მისსიის რწმუნებული ბ-ნ ოსტროვსკის თანხლებით წარუდგა საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ გეგეჭკორს.

◆ შავი ზღვის პირის რწმუნებულთა მიღებულ ცნობების თანახმად გაგრიდან, სამი უძლიერესი ყაზახთა დახეული ნაწილები სოჭისაკენ გაემართა. ქალაქის მიდამოებში ადგილობრივ მოხალისეთა ნაწილებთან სასტიკი შეტაკება მოუხდათ. შედეგად სოჭი ყუბანის ჯარებმა დაიჭირეს.

◆ ჩრდილო კავკასიის ლაშქრის ყოფილი მთავარსარდალი გენ. ერდელი იძულებული გახდა დაეტოვებინა თფილისი. 29 მარტს იგი გაემგზავრა ფოთს.

◆ პირველი აპრილიდან სასურსათო თვითმართველობის მაგივრად დაწესდა სასურსათო განყოფილება სამოქალაქო სამმართველოსი.

◆ 4 აპრილს სახალხო სახლის შესახებ დანიშნული კრება სხვა და სხვა მიზეზების გამო გადაიდო 18 აპრილისათვის.

◆ მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების კოოპერატივში მიიღეს დიდძალი ინგლისური მანუფაქტურა.

◆ თვითმართველობის მოსამსახურეთა კომიტეტი სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წარმომადგენლებთან ერთად იხილავს საკითხს სასურსათო თვითმართველობის ზოგიერთ მოსამსახურეთა სალიკვიდაციო ჯამაგირით დაკმაყოფილების შესახებ.

◆ ბათუმში ჩამოვიდა მოსკოვის სამხ. თეატრის მსახიობთა წარმომადგენელი ე.დ.ლეონიდოვი.

◆ ამჟამათ ბათუმში იმყოფება 2000 კაცამდე ლტოლვილი ბერძენი. პონტიის საკითხის განხილვისთანავე ისინი ბათუმიდან წავლიან.

# შენიშვნები.

### ნაადრევი ზეიმი

საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარის უკანასკნელმა გამარჯვებამ ფრთები შეასხა აქაურ ბალშევიკებს. თუმცა აქ ისინი არც დღემდე გრძნობდენ ცუდათ თავს, მაგრამ დღეს ისინი თავის სიხარულს ველარ მალავენ, თიკნებივით ატროკებულან, ფაციფუცობენ, ალბათ საბჭოთა რუსეთის ჯარების შესახვედრათ ემზადებიან. გუშინდელი ვიგინდარები თავს ისე გრძნობენ, თითქოს უკვე რეკომების და ჩრეზვიჩაიკის თავმჯდომარეები არიან. ალაპარაკდენ, გველივით ასისინდენ ისინი, რომელთაც გუშინ თავისი პოლიტიკური რწმენის გამჟღავნებაც ეშინოდათ.

ბათუმი დღეს ჩვენი მტრების სათარეშო ადგილად გადაიქცა. გამოქცეული დენიკინელები, აზერბეიჯანის ქონებით ჯიბეგატენილი ავანტიურისტები, თავის ქვეყნიდან გამოქცეული ოსმალოს აფიცრები და ბალშევიკები ყველა აქ იყრიან თავს და ჩვენი ქვეყნის დასანგრევად ემზადებიან.

თითქოს ერთის შეხედვით, ამ სხვა და სხვა ჯურის ხალხს, არხი-რევოლუციონერებს, თვითმპყრობელობის მსახურთ და ავანტიურისტებს არავითარი საერთო არა აქვთ, საქმით კი ურთიერთთან თანამშრომლობენ, ერთ საქმეს ემსახურებიან. ერთმანეთის მოსისხლე მტრებს ვერ მოუნელებიათ ქართველი დემოკრატიის თავისუფლება, ჩვენი დემოკრატიული წყობილება და სურთ დაანგრიონ ის, რაც ამ ორი წლის განმავლობაში ტანჯვითა და სიმწრით ააშენა და გააკეთა ჩვენმა დემოკრატიამ.

დღემდე ჩვენი მტრების „უსიტყვო" ბლოკის მეთაურათ დენიკინელები იყვენ — ფრონტზე გამარჯვებაც უწყობდა მათ ხელს, შავი გენერალის აქაური მომხრეები ხშირ-ხშირათ უგზავნიდენ პროტესტებს მოკავშირეთა საბჭოს საქართველოს „იმპერიალიზმის" წინააღმდეგ და მოკავშირეთა ადგილობრივ წარმომადგენლებთან გვაბეზღებდენ.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა. დენიკინის ლაშქარი თავპირ-დამტვრეული გამორბიან ბრძოლის ველიდან და ადგილობრივმა დენიკინელებმა ჩვენი მტრების მეთაურობა ბალშევიკებს დაულოცეს. აზერბეიჯანის აგენტები, დენიკინის აფიცერ-გენერლები და ბალშევიკები ცალ-ცალკე მუშაობენ, მაგრამ ერთ წერტილში სცემენ. ეს წერტილი საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის საქმეა. ლენინი, ტროცკი, ჩიჩერინი და სხვები თავისი წითელი არ-

მიით იმავე საქმეს აკეთებენ, რასაც თავისი „მოხალისეთა ჯარით“ ჯერ ალექსეევი, შემდეგ დენიკინი, ლიახოვი, რომანოვსკი და სხვა შავი გენერლები აკეთებდენ. ერთიც და მეორეც „დიდი, მთლიანი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენის საქმეს ემსახურება. ლენინის მთლიანი რუსეთი იმით განსხვავდება დენიკინის მთლიანი რუსეთიდან, რომ მას სახელმწიფო ღერბად ორთავიანი არწივის მაგივრათ ჩაქუჩი, ცული და ნამგალი აქვს. მარტო ეს ვერაფერი ბედნიერებაა. სხვა კი ბალშევიკებს არაფერი მიუციათ ხალხისათვის. აბა რითი სჯობია ლენინის „კატორღის სოციალიზმი“ დენიკინის მათრახებით ბატონობას?! ან ბალშევიკური „ჩრეზვიჩაიკები“ დენიკინის საველე სამხედრო სასამართლოებს?! — არაფრით.

ყოველგან, სადაც კი დენიკინი მივიდა, მათრახები და სახრჩობელებით მოინდომა ბატონობა.

სადაც ლენინი მივიდა გლეხობას წითელი არმიისათვის ხიშტებით ართმევდა პურს და სურსათ-სანოვაგეს. ამ ნიადაგზე ხდებოდა გლეხების აჯანყება. ახლაც, ბალშევიკებმა უკრაინა აიღეს, იქ ასეთი აჯანყება ხდება ცნობილ ანარქისტ-კაჩალის მახნოს მეთაურობით. ეს აჯანყება თანდათან ფართე ხასიათს იღებს და ბალშევიკებისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

ასე მოღვაწეობენ რუსეთში ლენინი თავისი „სახალხო კომისრებით“ და დენიკინი თავისი ამალით, აქ, ბათუმში, მათი პატარა გოშიები თავისი უფროსების დირექტივებს ასრულებენ. აქაური ბალშევიკებიც იმავე საქმეებს აკეთებენ, რასაც ფრანჩესკი, ტერმენი, ზაჩინიაევი და სხვა შავები აკეთებენ.

ამ ბოლო ხანში ბალშევიკებმა თავი წამოყვეს და მქუხარე რეზოლიუციებს თხზავენ, რომლებშიაც კონტრ რევოლუციონერად ნათლავენ ჩვენს სახელოვან დემოკრატიას.

ნაადრევია ბალშევიკების ზეიმი, წითელი ლაშქარი კავკასიის ქედს მოუახლოვდა, მაგრამ ჯერ არ გადმოულახავს და ვერც გადმოლახავს.

საქართველოს ჯარი და გვარდია დენიკინის მათრახებით შეკავშირებული ბანდა არ არის და მასთან ბრძოლა არც ისე ადვილია, როგორც აქაურ ბალშევიკებს ჰგონიათ.

ბათუმელი ბალშევიკები ჩვენი დემოკრატიის ისეთივე მტრებია, როგორც აქაური დენიკინელები.

-----------

აქაური დაშნაკცაკანებიც ხელი ხელჩაკიდებული მოქმედებენ ბალშევიკებთან.

ისინი ყოველგან და ყოველთვის საქართველოს საწინააღმდეგოთ მოქმედებენ და ბალშევიკების რეზოლუციას დიდი ალტაცებით აძლევენ ხმას, ასე მოიქცენ ისინი პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების კონფერენციაზე, სადაც ალიხანოვებმა ხმა მისცეს ბალშევიკების რეზოლიუციას.

ჩვენმა დემოკრატიამ არასოდეს არ უნდა დაივიწყოს დაშნაკელთა ასეთი ვერაგული საქციელი და არც არასოდეს დაივიწყებს.

ალი.

# რა ხდება უცხოეთში

## ა დ ე რ ბ ე ი ჯ ა ნ ი

### ბალშევიკური შეთქმულების აღმოჩენა.

გაჩხრეკის დროს გაბიზ ჯაბაევს აღმოაჩნდა მრავალი მიწერ-მოწერა, საიდანაც ნათლად სჩანდა, რომ ქ. ბაქოში და მთელ ადერბეიჯანის ტერიტორიაზე ბალშევიკები აწყობდენ ორგანიზაციებს და მიზნათ დაისახეს ადერბეიჯანის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა. მათ დაარსეს კავკასიის საოლქო კომიტეტი, გლეხებში და ჯარის კაცებში ეწეოდნენ აგიტაციას, ხარჯავდენ აუარებელ ფულებს, ბაქოს მუშათა რაიონებში აწყობდენ რაზმებს. სამხედრო ორგანიზაციები იყოფოდენ შემდეგ ნაწილებათ: კონტრმზვერავი, პოლიტიკური, მომარიგების და სხვა. აღმოჩენილ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ პირველ თებერვლიდან დაუარსებიათ სამხედრო სარევოლუციო შტაბი. ამ უკანასკნელს დაწვრილებით ცნობები მოეპოვებოდა ადერბეიჯანის ჯარების მდგომარეობის შესახებ და სხვა. შედგენილი ჰქონდათ სახელმძღვანელო ინსტრუქციები, სადაც დაწვრილებით და დეტალურად შემუშავებულია სამოქმედო გეგმები. მეთაურები შეიპყრეს, საქმე გადაეცა ბრალმდებელს. („ადერ“.73).

### ადერბეიჯანის დელეგაცია ლონდონში.

როგორც გაზ. „ტაიმსი“ იტყობინება, ლონდონში ჩასულა ადერბეიჯანის დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარე ალი მარდან ბეგ თოფჩიბაშევის მეთაურობით. დელეგაციის მიზანია იშუამდგომლოს ინგლისის მთავრობის წინაშე, რათა ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა de jure იქნას აღიარებული. დელეგაციის მიზანს შეადგენს აგრეთვე ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის საკითხის განხილვა.

### გაზეთების შეტანა სპარსეთში.

ინგლისური შტაბის კაპიტანი კრეჩლეი აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ თანახმად ბრიტანეთის ჯარების უფროსის განკარგულებისა სპარსეთში აღკრძალულია გაზეთების შეტანა ადერბეიჯანიდან გარდა გაზ. „გოლოს როსიის“ და „ადერბეიჯან“-სა. დანარჩენი გაზეთები ჩამორთმეული იქნება და ის პირები ვინც აღკრძალულ გაზეთებს ავრცელებენ, გადაეცემიან სამხედრო საველე სასამართლოს. („ადერ.“).

## ი ნ გ ლ ი ს ი

### ინგლისის მუშათა პარტია და სომხეთი.

ინგლისის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა ვრცელი პროტესტი იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მოკავშირეებმა გამოიჩინეს სომხეთის მიმართ. საზავო კონფერენციის მოქმედებას კიცხავენ, რადგანაც მან დროებით ზავის ჩამოგდების შემდეგაც სომხე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

თის ოლქები ოსმალეთის ხელში დასტოვა. მუშათა პარტიის ლიდერებს ასე ესმით სომხეთის საკითხის გადაწყვეტა: ოსმალეთის სომხეთი სრულიად უნდა განთავისუფლდეს ოსმალთა ბატონობისაგან. მთელი ეს მხარე რამოდენიმე წლის განმავლობაში და წინასწარ შემუშავებული პირობების თანახმად, ერთ ერთ დიდ სახელმწიფოს კანტროლ ქვეშ უნდა იმყოფებოდეს, რომელსაც ექნება მანდატი. მაგრამ რადგანაც შესაძლებელია ამერიკამ მონაწილეობა არ მიიღოს, მაშინ შეიძლება მანდატების გაყოფა. თუ სამხრეთ დასავლეთის ოლქის (კალიკიის, დიარკარის, ხარპუტის, მახდის) საფრანგეთს მისცემენ, საჭიროა წინასწარ შემუშავებულ იქნას პირობები და რამოდენიმე წლის შემდეგ ამ ოლქის მცხოვრებთ მიეცეთ უფლება პლებისციტის საშვალებით განაცხადონ, სურთ თუ რა საკუთარ სახელმწიფოს დაარსება, თუ სომხეთთან უნდათ შეერთება, დანარჩენი ოლქები ოსმალეთის სომხეთის დაუყოვნებლივ უნდა შეუერთონ ამიერკავკასიის რესპუბლიკას. სომ. რესპუბლიკამ დახმარება უნდა მიიღოს მოკავშირეებისაგან, ამასთანავე სომხეთი არ უნდა აიძულონ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მონაწილეობა მიიღოს. დახმარება უნდა აღმოუჩინოს სომხეთის მთავრობას იმ დრომდე, მანამ ის თავის რესპუბლიკის ფარგლებში დაიცავს რელიგიურ და ნაციონალურ თანასწორობას. ქრისტიანები, მუსლიმანები, სომხები, ბერძნები, ქურთები, თურქები ერთ და იგივე უფლებებით უნდა სარგებლობდენ. პარტია მოითხოვს, რომ სომხეთის საკითხის გადაწყვეტას არ დაუკავშიროს ინგლისმა ის მოსაზრებები, რომელსაც ინდოეთის პოლიტიკა მოითხოვს.

---

## საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის დადგენილება ბათუმის შესახებ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტმა 18 მარტს, 1920 წ. მოისმინა ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქი ბათუმი გამოცხადებულ იქმნა პორტო-ფრანკოდ, განიხილა რა ეს განცხადება ყოველმხრივ და მიიღო რა მხედველობაში, რომ:

1) ბათუმის გამოცხადება პორტო-ფრანკოდ დასცემს ალებ-მიცემობას საქართველოში, რომლის ეკონომიური ცენტრი გადავა ბათუმში, სადაც ბატონ-პატრონობა იქნება უცხოელთა ხელში;

2) ბათუმი იყო და არის ეკონომიური ცენტრი საქართველოს ერთი ნაწილის — აჭარისა, რომლის მოსახლეობას ეკარგება უფლება და საშვალება თავისუფალი სარგებლობისა საკუთარივე ქალაქით;

3) თანახმად მოკავშირეთა მიერ აღიარებულ კეთილშობილ პრინციპებისა შესახებ ერთა თვითგამორკვევის უფლებისა, აჭარამ უკვე გამოსთქვა თვისი სურვილი დედა-საქართველოსთან შეერთებისა, ამიტომ ბათომის ჩამოჭრა უდრის ანტანტას მიერ თავისივე პრინციპების გაბათილებას;

4) 1783 წლის ხელშეკრულობის ძალით საქართველოს უნდა დაბრუნებოდა ის ადგილები, რომელსაც რუსეთი დაიპყრობდა და რომელნიც ოდესმე საქართველოს ეკუთვნოდენ, ამიტომ ერთად ერთი და კანონიერი მემკვიდრე რუსეთისა ბათუმში მხოლოდ საქართველო უნდა ჩაითვალოს;

5) ყოვლად შეუძლებელია, რომ უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-პორტი ბათუმი გადავიდეს უცხოელთა ხელში, რადგან აქედან საქართველოში მომავალი კარები და ზღვები მუდმივ გახსნილი იქნება, — დაადგინა:

1) გამოცხადდეს პალატის მტკიცე პროტესტი ამ უაღრეს უსამართლობის გამო;

2) გაუგზავნოს ეს პროტესტი ევროპისა და ამერიკის სავაჭრო სამრეწველო პალატებს და

3) ეს დადგენილება გაეგზავნოს საქართველოს მთავრობას, რომელიც პალატის ღრმა რწმენით მოიხმარს და გამოიყენებს ყოველგვარ ზომა-საშვალებას ამ უსამართლო დადგენილების გასაუქმებლად და ბათუმის დასაბრუნებლად.

---

## შემოწირულება

ბათუმის ქართულ გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის საბჭო ულრმეს მადლობას უცხადებს ქვემოდ აღნიშნულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და საბჭოს მიერ გიმნაზიის სასარგებლოდ მშობელთა შორის გაწერილი ფული შემოიტანეს. საბჭო სთხოვს იმ პირთ, რომლებმაც მიიღეს მოწოდება და ჯერ არ შემოუტანიათ ფული, ნუ დაიშურებენ ამ კეთილი საქმისათვის თავის წვლილს და დააჩქარონ ფულის შემოტანა.

სია იმ პირთა, რომლებმაც უკვე შემოიტანეს ფული:

შემოსწირეს ათას-ათასი (1000) მანეთი:

ს.ყაზაიშვილმა, კ.აბრამიამ, ბ.კევხაძემ, ვ.ჭედიამ, ი.უგულავამ, პ.ჭეიშვილმა, გრ.ელიავამ, ი.კაზაროვმა.

შვიდასი (700) მანეთი: კალანდაროვმა,

შემოსწირეს ხუთას-ხუთასი (500) მანეთი:

ი.ღლონტმა, კ.ჭელიძემ, ნ.გოგუაძემ, ა.მაჭავარიანმა, კ.გოგოლაძემ, ი.მაჩაიძემ, ს.ბალახიშვილმა, ს.ყორნიკოვმა, ი.კინწურაშვილმა, ნ.აღნიაშვილმა, კ.ჯორბენაძემ, ნ.კიკაჩეიშვილმა, ნ.ელიავამ, ნ.ვასაძემ, ი.თავართქილაძემ, დ.ჩიჩუამ, დ.ლომთათიძემ, მ.შათირიშვილმა.

ოთხას-ოთხასი (400) მანეთი:

ბ.გეგეჭკორმა, კ.ბახტაძემ, ბ.მახარაძემ, გ.კვირკველიამ.

სამას-სამასი (300) მანეთი:

ა.წულაძემ, ა.მკერვალიშვილმა, კ.წულაძემ, მ.ფარეიშვილმა, ნ.ფალავამ, ს.სკანკოჩაიშვილმა.

ორას-ორასი (200) მანეთი::

მ.მახარაძემ, მ.ქოიავამ, თ.ფირცხალავამ, მ.ჩხარტიშვილმა, მ.ქილარჯიშვილმა, ყ.ხუხუნაიშვილმა, ს.ნასარიძემ, ე.გორგილაძემ, მ.ბაზმაძემ, ი. კოტრიკაძემ, თ.მიქატაძემ, თ.მახარაძემ, ა.დათუნაიშვილმა, ა.ბოლქვაძემ, ი.გორდელაძემ, გ.ქადაგიძემ, ზ.კაკაუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რიძემ, ი.გვეტაძემ, დ.ჟღენტმა, დ.კუჭაიძემ, ა.გამსახურდიამ, გ.ბარამიძემ, მ.დათუნაშვილმა, დ.ნადირაძემ, ლ.მჟავანაძემ, თ.ლომჯარიამ, ს.მილორავამ, ბ.ბუჩუიძემ, ი.სიხარულიძემ, პ.ვაჩეიშვილმა, ნ.პერტიამ, ნ.დვალმა, ფ.ჩხაიძემ, ე.გოგელიამ, ნ.გოგეშვილმა, სვანიძემ, გოგეშვილმა, ი.გვალიამ, მ.კორძაიამ, ა.ბერაიამ, კ.მენალარიშვილმა, ბ.ყრუაშვილმა, ბ.მგელაძემ, გ.ჯლარკავამ, ი.ბურჯანაძემ, გ.ბოქვაძემ, ი.მანჯგალაძემ, ი.მენაბდემ, ა.ცინცაძემ, ა.ქინქლაძემ, ი.მგელაძემ, ლ.მეტრეველმა, ფ.დუდუჩავამ, ი.ჩხობაძემ, ნ.ქინქლაძემ, ა.თოხაძემ, ი.შავიშვილმა, ვ.ქუთათელაძემ, მ.ებრალიძემ, ნ.ჩხატარაშვილმა, ი.ჭანიკაშვილმა და ს.სვანიძემ.

სულ 33950 მანეთი.

## ႣႠႨႩႠႰႢႠ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფიელ გლახუას ძე ანთიძე აცხადებს, რომ მას დაეკარგა საფულე რომელშიდაც ფულთან ერთად იყო შემდეგი საბუთები: მოწმობა 34 1/2 გირ.პარკის მიბარებისა ოზურგეთის საპარკეზედ, სოფ. ნაგომარის კოოპერატივის წევრობის მოწმობა და სანაპირო რკინის გზის უფროსისაგან მოცემული მოწმობა.

ზემოაღნიშნული საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად.

288. (1–1)

ႱႲႠႫႡႠ Ⴌ. Ⴈ. ႾႥႨႬႢႨႠႱႨ ႡႠႧႳႫႸႨ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

პარასკევი 16 აპრილი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 300 მან. |
| 2 თვით | 200 მან. |
| 1 თვით | 100 მან. |

№337 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №337

კონსტანტინოპოლის გაზეთი „ენი გიული" იტყობინება, რომ იტალიის გაზეთს „კურიერა დელასერას" ატყობინებენ დეპეშით 21 მარტის თარილით: საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო ბათუმის საკითხის გამწვავების გამო წინანდელ დადგენილებას აუქმებს და ადგენს:

## ბათუმი დარჩეს საქართველოს

### იმ პირობით, რომ აზერბაიჯანმა და სომხეთმა თავისუფლად ისარგებლონ პორტით.

**კვირას, 18 აპრილს დილის 9 1/2 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში**

**დანიშნულია**

ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოების წევრთა წლიური ხელმეორე საზოგადო
**კრების გაგრძელება.**

---

**პირველ ხარისხოვანი რუსულ-აზიური საკანდიტერო**

**ნ. ა. ცინცაბაძისა**

თბილისის ქუჩა №19 „ელეზნი" თეატრის გვერდით.
მოიპოვება ყოველივე საკანდიტეროს საქონელი დამზადებული გამოცდილი ოსტატების და თვით ხაზეინის ხელმძღვანელობით.
ვღებულობთ ზაკაზებს.

271 (10—7)

---

## განუყოფელი გურჯისტანი.

გურჯების ქვეყანას საუკუნოებით ებრძოდენ, იპყრობდენ, ატყვევებდენ. მაგრამ ვერ იმონებდენ, ძველთაგან ამაყ და რაინდ გურჯისტანს ოსმალეთმა ჩამოაშორა მისი საუკეთესო ნაწილი ბათუმი და მთელი მისი ოლქი. მაგრამ ამ კუთხეში მცხოვრებ გურჯებს გურჯის სახელი ვერ წაართვა.

რუსეთის გაბატონების შემდეგ ბათუმიდან და მთელი გურჯისტანიდან ჩვენი ზოგიერთი ძმები ოსმალეთში გადასახლდენ, დასტოვეს სახლ-კარი, ყველაფერი, მხოლოდ მარტო გურჯის სახელი წაიღეს. დღესაც ღირსეული გურჯისტანის შვილები ღირსეულად ატარებენ მამა-პაპეულ გურჯის სახელს. თვით ოსმალეთიც მათ ეძახის „მოჰაჯირ გურჯს" და არა თურქს. ძველმა რუსეთმა კი დატყვევებულ გურჯისტანს გურჯის სახელიც კი წაართვა და რუსებს ეძახდა, სდევნიდა და აქუცმაცებდა, ჰკლავდა ერთობას და თავისუფლებას, ასევე სჩადის ბალშევიკური რუსეთი დღეს. რა განსხვავება არის ძველსა და ახალ რუსეთს შორის?.. ძველი რუსეთიც იპყრობდა და ავიწროებდა პატარა ერებს, ანთხევდა შურს და მტრობას მოძმეთა შორის; იმერელს ანსხვავებდა გურულისაგან, გურულს აჭარელისაგან. ამასავე სჩადიან ბალშევიკ-დენიკინელები დღეს ჩვენში. როდესაც მათ სხვა გურჯისტანის კუთხეში ვერა გააწყვეს რა, გადმოსახლდენ ბათუმის ოლქში, სადაც დენიკინელთა ადმინისტრაცია კიდევ ბატონობს და ახალ ავანტიურის გზაზე მიჰყავთ ჩვენი ძმები, რომელთაც ეუბნებიან: „თქვენ გურჯები არ ხართ. თქვენ აჭარლები ხართ და დაარსეთ დამოუკიდებელი აჭარისტანიო". აქაც ზოგიერთი ჩვენი მოძმეები შეუგნებლად წამოეგო მათ პროვაკაციულ ანკესზე.

ნუ თუ მართლა ფიქრობს ანარქიული რუსეთი, რომ ჩვენი ხალხი ვერ მიხვდება მათ მორიგ პროვოკაციას? ჩვენ კარგად ვიცით მათი ზრახვანი. მათ უნდათ დაჰყონ გურჯისტანი ნაწილ-ნაწილად, რათა შემდეგ უფრო ადვილათ დაიპყრონ ცალ-ცალკე. გურჯისტანის ჯარი უკვე არის ოლქში. ვინ არის ამ ჯარის შემადგენლობა?.. ვინ არის და მესხეთელი, ხულოელი და სხვა კუთხის გურჯები.

ბალშევიკებმა ეს ადგილები უკვე დასტოვეს და თავს იყრიან ქობულეთში, რათა შეცდომაში შეიყვანონ ჩვენი ძმები. ეხლა ალბად დაიწყებენ ყვირილს ქობულეთლების სახელით „ჩვენ გვინდა დამო-

უკიდებელი ქობულეთისტანი"-ო. არა, ჩვენი ხალხი არც ისე ბეცია, როგორც წარმოუდგენია ბალშევიკებს. ურჩევთ მათ დროზე დასტოვონ ჩვენი ქვეყანა და თუ კარგი მასწავლებელები არიან მოუარონ თავის ქვეყანას, რომელიც სისხლის წვიმამ ლამის დაახრჩოს.

ჩვენ არ გვინდა სისხლი, ჩვენ ვართ შრომის და თავისუფლების ხალხი და ვინც მოინდომებს ჩვენი თავისუფალ სამშობლოს დამონებას, მაშინ ჩვენ სისხლს სიამოვნებით დავღვრით. სამშობლოსათვის სისხლის დაღვრა ჩვენ ვიცით. გურჯის ვაჟკაცობა და რაინდობა ძველთაგან ცნობილია.

იცოდეთ, ერთხელ და სამუდამოდ: აჭარისტანი გურჯისტანის ნაწილია.

---

## ა ხ ა ლ ი  ა მ ბ ე ბ ი.

◆ კვირას, 18 აპრილს დილის 9 1/2 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოების წევრთა წლიური ხელმეორე საზოგადო კრების გაგრძელება.

დღის წესრიგში განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) 1919 წლის მოგებათა განაწილება, 2) 1920 წლ. ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება, 3) გამგეობის ერთი წევრის, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატების არჩევნები.

◆ პროფ. კავშირთა საბჭომ აირჩია სპეციალური კომისია პირველი მაისი დღესასწაულის მოსაწყობათ.

◆ 18 აპრილს დანიშნულია „მუშათა კოოპერატივის-წევრთა კრება.

◆ ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოების კოოპერატივისათვის საკუთარ ბინის შესაძენ ფონდში ამჟამად არის 61057 მან.50 კაპ.

◆ 13 აპრილის 20 საათსა და 39 წუთსა და 44 წამზე ტფილისში მიწის ძვრა მოხდა, ძალა დაახლოვებით 3 ბალს უდრიდა. მიმართულება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იყო. მიწისძვრამ დაახლოებით წამი გასტანა.

◆ ბათუმის ოლქში კოოპერატივთა გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველ საჭიროებათ აღიარა მიიღოს საჭირო ზომები: მოწვეულ იქნას ინსტრუქტორი.

მეორეთ, აღიარა კოოპერატიულ საქმეთათვის უცილობელ საჭიროთ ბეჭდვითი საქმე. ამავე საზოგადოებამ ზემოაღნიშნულ მიზნისათვის დაადგინა კოოპერატიულ სამკითხველოსთან მოიწვიოს კოოპერატორები ფულის შესაგროვებლად.

◆ ქალაქის მცხოვრებთა აღწერა დასრულდება მომავალ კვირას. ამჟამად ნახევარზე მეტი საქმე აღწერისა უკვე დასრულებულია.

◆ ბათუმის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა შეიძინოს 3000 ფუთი სელიტრა. ფულს იხთის სამოქალაქო სამმართველო.

◆ რუსთა ეროვნული საბჭო აპირებს ახლო მომავალში გახსნას ბათუმში იაფფასიანი სასადილო. მიღებულია შენობის გამოსაძებნად საჭირო ზომები.

◆ ბათუმის სამეურნეო საზოგადოების ქონება ამჟამად შეფასებულია 1,200,000 მანეთად წლიური ხარჯები უდრის 250 ათას მანეთს. გამოირკვა, რომ აღნიშნულ საზოგადოებას ამ თანხით შეუძლია განაგრძოს თავისი მუშაობა.

◆ ორშაბათს ფოთიდან ბათუმში მოვიდა რუს. გემი „კიევი" და „დონეცია".

◆ ბათუმში შემოვიდა აგრეთვე იტალიის გემი „აბაზია".

◆ აპრილს, ორშაბათის 13, ოსმალეთის პორტებიდან ბათუმში მოვიდა მატორიანი ნავი: „გუვერდჟენი", „ალლა ემანეტი" და „ხევსი", რომლებმაც დიდძალი სხვა და სხვა საქონელი მოიტანეს.

◆ ამ დღეებში ნოვორროსიისკიდან ბათუმში მოვა მატორიანი ნავი „ლიუსია" და „ზოია".

◆ ოლგინის ქუჩაზე აღმოაჩინეს ნაპარავი ნივთები.

◆ უდროვო დროს ქუჩაში გამოსვლისათვის დატუსაღებულ იქნა ა.კალაშვილი, თ.კრიხნოვი, კუპრაშვილი, ი.დუმიტრენკო, ვ.სალიკოვი, კ.დომოდუიდი და ვ.დეკტიაროვი.

◆ აპრილის 13 საღამოს 8 საათსა და 25 წუთზე ტფილისში ძლიერი მიწის ძვრა მოხდა, მიწის ძვრამ 1 ნახევარი წუთი გასტანა და ხალხში პანიკა გამოიწვია. შენობის დანგრევის შემთხვევა არ ყოფილა. პროვინციებიდან ჯერ არ მოსულა დაწვრილებითი ცნობები.

---

## სახალხო განათლების საფრთხე ბათუმის ოლქში.

**(დამღუპველი პროპაგანდა).**

(დასასრული)

სირცხვილის ალმური აგდის კაცს, გული ბოღმით გევსება, როცა ამ საერთო გამოფხიზლების ჟამს მოქალაქეს იმდენათ დაბეჩავებულს ხედავ. რომ მას შვილის აღზრდას, მშობლიური ვალის მოხდას არ ანებებენ და ხმა ვერ ამოუღია, მტრის ხელი სტაცებს მას უძვირფასეს საუნჯეს და თავის დასაცველათ კრინტი ვერ დაუძრავს. აქ სკოლის ტიპზე ან მის უვარგისობაზე რომ იყოს ლაპარაკი, ეს ნაკლებათ დამაღონებელი იქნებოდა, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ სწორედ ის სკოლები ამოუღიათ ნიშანში, რომელთაც სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება ინახავს, რომლებსაც არა ერთი და ორი ასეული მაჰმადიან მუშისათვის უსწავლებია წერა-კითხვა ღვიძლ ენაზე, არა ერთი და ორი ცქრიალა აჭარელი გაუთბია მშობლიური კულტურის სიყვარულით, იმ შკოლების წინაალმდეგ ამხედრებულან, რომლებიც სალ პე-

დაგოგიურ პრინციპებზე ემყარებიან და როგორც თავისი ტიპით ისე პროგრამით სავსებით შეფარდებული არიან ქართველ მაჰმადიანების სარწმუნოებრივ გრძნობასთან, ზნე-ჩვეულებასთან, მოზარდი თაობის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებასთან. სწორედ ამისთანა შემთხვევისათვის უთქვამთ ჩვენს ძველებს: „ჰკარ შინაურს, თორემ გარეული სად წაგივაო“. მერე არ იკითხავთ რომელი ჯგუფი ეწევა ამ საარაკო პროპაგანდას სკოლების წინააღმდეგ? „სედაი მილეთის“ მიმდევრები. ბატონებო ეს ჯგუფი, რომელიც ამ ქვეყნიერ სამოთხეს უქადის მაჰმადიან ქართველებს, აჭარისტანის დამოუკიდებელ სახელმწიფოს სჭრის სიტყვით, საქმით კი საშინელი განსაცდელი მოუმზადა ჩვენს ქვეყანას, გარეშე მტაცებლების საძიძგნად გახადა იგი. მეტს არც ჩვენ მოველოდით ამ ჯგუფიდგან: სინათლეს მხოლოდ და მხოლოდ შავი ზრახვებით გამსჭვალული ერიდება იმ დროს, როცა ჩვენ სამშობლოზე მრავალი გარეშე მტაცებელი ილესავს კბილებს, იმ დროს, როცა შინ სახლში უთვალავი სხვა და სხვა ჯურის ავანტიურისტები წყალს გვიმღვრევენ და ანარქიის ცეცხლში ლამობენ ჩვენი ვინაობის, ჩვენი თავისუფლების დაბუგვას, იმ დროს, როცა ყოველი შეგნებული გონიერი მოქალაქე გზას უნდა ეძებდეს ჩვენი თავისუფლების ნავის სამშვიდობოზე გასაყვანათ, როცა ქვეყანას თავს უნდა ვაწონებდეთ მომზადებული ძალებით და ძლიერი კულტურით, როცა თითეული ფხიზელი მოქალაქე, ყოველი შეგნებული წევრი ასე დიდათ ულირს ქვეყანას, გვეუბნებიან: სკოლები დახურეთ, წერა-კითხვა არ ისწავლოთ, მასწავლებლები, ნასწავლი ხალხი თავიდგან მოიშორეთ, რომ უბრალო გაზეთის წამკითხველიც არ დარჩეს ჩვენ მეზობლათ, ერთად-ერთი ლამპარი სოფლის — სახალხო სკოლა ჩააქრეთ და ისე თვალახვეული გამოდით გზის საძებნელადო. ვინ იტყვის ამას, თუ არა რჯულზე ხელ აღებული? ვინ გვირჩევს ამას, თუ არა სამშობლოს გამყიდველი? ვინ მოვა ჩვენთან ამისთანა რჩევით, თუ არა ჩვენი მტრების ფულით მოსყიდული გამცემელი?

რაც გინდა იფიქრე, მკითხველო, და მე კი ერთობ გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ. არ მჯერა, რომ პოლიტიკური ჯგუფი ამ საშინელებამდის მივიდეს, ამისთანა განსაცდელის დროს ქვეყანას თვალების დათხრა ურჩიოს. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს თითო ოროლა უპასუხისმგებლო პირის საქმეა და არა პოლიტიკური ჯგუფის. ამას მალე დაგვანახებენ „სედაი მილეთის“ ჯგუფის მთავარი ხელმძღვანელები. ხოლო რა ამაგი მიუძღვის მათ მიერ ათვალწინებულ სკოლებს, ან თვით საქველმოქმედო საზოგადოებას და რა მიუტევებელი დანაშაულია ამ დაწესებულების ნიშანში ამოღება, ამაზე შემდეგ წერილში მოვილაპარაკოთ.

**შუბნელი.**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ხდება უცხოეთში

## დ ა ღ ე ს ტ ა ნ ი.

ჩრდ. კავკასიის თავდაცვის საბჭოს დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან ჰაიდარ ბამატი ოფიციალურად მიღებული ცნობების მიხედვით იუწყება:

„თემირ-ხან-შურა და პეტროვსკი აღებულია ჩვენი ნაწილების მიერ და მთიელთ ტერიტორიაზე მოხალისეთა ნაწილები აღარ არის. თავდაცვის საბჭო იმყოფება თემირ ხან-შურში. პეტროვსკსა და დარუბანდს შორის მიმოსვლა ეწყობა.

დარუბანდში რუსეთის წითელი არმიის დელეგატები მოვიდნენ. დარუბანდის აღების დროს ექსცესები არა ყოფილა. ვცდილობთ მოვაწყოთ მიმოსვლა იალამსა და დარუბანდს შორის.

თემირ-ხან-შურაში ყრილობა უნდა მოხდეს საჩეჩნეთისა და დაღესტანისა ჩრდ. კავკასიის თავდაცვის დროებითი საბჭოს სანაცვლოდ ახალი მთავრობის შესაქმნელად. ეს მთავრობა გამართავს მოლაპარაკებას საბჭოთა ცენტრ. მთავრობასთან.

## რ უ ს ე თ ი

**საიდუმლო ხელშეკრულობა ესტონეთთან.**

ფრანგული გაზეთების ცნობებით ესტონეთის და საბჭოთა მთავრობის შორის დადებულ ხელშეკრულობას დაემატა 7 საიდუმლო მუხლი. ამ მუხლების თანახმად ესტონეთმა ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას, თუ რომ რუსეთს თავს დაესხმის პოლონეთი ან და რომელიმე ბალტიის სახელმწიფო. სამაგიეროთ, თუ ესტონეთის მიმართ მიმართავენ ბლოკადას, საბჭოთა მთავრობა ვალად იდებს თავის თავზე სურსათი მიაწოდოს ესტონეთს. საბჭოთა მთავრობა ჰპირდება ესტონეთს, რომ არ გასწევს იქ ბალშევიკურ პროპაგანდას. ამასთანავე ბალშევიკებს უფლება ეძლევათ რეველში თავიანთი აგენტები იყოლიონ, რომლებიც კავშირს დაიჭერენ შეერთებულ შტატებში მომუშავე ბალშევიკ პროპაგანდისტებთან. ესტონეთის მთავრობამ უნდა ნება დართოს ამ აგენტებს რადიო-ტელიგრაფით ისარგებლონ, როდესაც უკანასკნელნი მოისურვებენ მოსკოვის მთავრობასთან კავშირის დაჭერას.

---

# ბ ა თ უ მ ი.

ზღვის ტალღებში რომ ეხვევა,
რომ დაჰყურებს ლურჯი ზეცა;
მზის სხივები რომ ეფრქვევა, –
და ამშვენებს მთა და კლდეცა;

ნელი სიო გულს აგრილებს,
მგალობელნი ატკბობს სმენას...

მინარეთი ღმერთს ადიდებს,
მართლ მორწმუნე შესცქერს ზენას...

სადაც მუშა ბედსა სჭედდა,
სადაც ბრძოლის აკვანია...
სადც მარხია ხალხის სევდა,
და მსოფლიოს ზრახვანია.

სადაც მოძმის კვნესის გული,
ელის მშობელს, ღვიძლსა დედის, –
საქართველოს მოქარგულის
კვლავ ხილვას და ჩაკონებას, –
ეს ხომ ჩვენი ბათომია,
მოწყვეტილი მშობელ კერას.

მამ სალამი ჩვენსა ბათომს,
მუშათ აკვანს, ბრძოლის ბუდეს.
დღეს თუ არა, ხვალ გაათბობს
გულს დაანგრევს ციხე, ზღუდეს...

არ დაღონდე შენ ჩვენი ხარ,
ჩვენ ვერ გაგვყრის ვერ რა ძალა...
დღეს ტყვეთ ქმნილი ციხეს ზიხარ,
თავისუფალს გნახავთ ხვალა.

და რომ აფრქვევს წვიმის ცრემლებს,
ტყე, მთა, ველი რომ დარაჯობს;
ხაწამებლათ რომ ჰყავს მცველებს,
ჩვენსკენ მვლად ხელს რომ აპყრობს, –
ამ ჩვენს ტურფას ჩვენ დავიხსნით...
ამ ჩვენს... ბათომს არა რა სჯობს?

დ. მეჩონგურე

---

# დ ე პ ე შ ე ბ ი

**(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).**

## ინგლისური ცნობები

### გერმანიის მთავრობის პროტესტი.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ მთავრობა საფრანგეთისადმი მიმართულ თავის ნოტაში სამართლიანობის უფლებისა და ადამიანობის სახელით პროტესტს აცხადებს საფრანგეთის ჯარის მოქმედების გამო.

### სამხედრო მოქმედება რუსებსა და იაპონელებს შორის

ტოკიო. 6 აპრ. იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ აღმოსავლეთ ციმბირში, – ნიკოლსკში და ხაბაროვსკში იაპონელებსა და რუსებს შორის სამხედრო მოქმედება დაიწყო.

### გერმანიის ქალაქების ოკუპაცია

ბერლინიდან მოსული ცნობები ამტკიცებს, რომ ფრანკპურტისა, დარმშტადტისა და განაუს გარდა დაჭერილია კიდევ ოვენბახი, გამბურგი და ვისბადენი.

### წითლებისთვის იარაღის აყრა

ბერლინიდან იუწყებიან, რომ გუშინ წითლებმა ელბერფელდში გაიარეს, სადაც დიდმა უმეტესობამ იარაღი აიყარაო. წითელი ჯარის სხვა ნაწილი დაჭერილ ტერიტორიებისაკენ გაემგზავრა, უმთავრესად ზოლინგენისაკენ, სადაც მათ ინგლისელებმა იარაღი აყარეს.

### საკუთარი პასუხისმგებლობით.

ლონდონიდან მოსული ცნობით ოფიციალურად ცნობილია, რომ საფრანგეთმა განსაკუთრებული ზომები მიიღო გერმანიის წინააღმდეგ თავის საკუთარი პასუხისმგებლობით. ინგლისი, ბელგია და ამერიკა ამ ზომების წინააღმდეგ წავიდნენ.

### მეზღვაურთა გაფიცვა.

მეზღვაურთა გაფიცვის გამო, მარსელიდან არც ერთი გემი არ გამოდის.

## ფრანგული პრესის ცნობები.

ვარშავიდან იუწყებიან: სახალხო კომისარ ჩიჩერინის მეორე პასუხის შემდეგ პოლონეთთან დროებითი ზავის გამო პოლონეთის მინისტრთა საბჭომ განიხილა პოლონეთის საგარეო მინისტრის პატვის მიერ ჩიჩერინის ნოტის შესახებ წარმოთქმული საწინააღმდეგო აზრი. მოიწონეს პოლონეთის მთავრობის ნოტა, რომელიც უმავთულო ტელეგრაფით მოსკოვში გადასცეს.

ამ ნოტაში პოლონეთის მთავრობა ჩიჩერინსატყობინებს: ჩვენ მზათ ვართ ბრძანება გავსცეთ, რომ მოლაპარაკების დროს შეწყვეტილი იქნეს ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება, მაგრამ იმავე დროს უარს ვაცხადებთ დროებით ზავის შეკვრაზეო. პოლონეთი დაჟინებით მოითხოვს მოლაპარაკება ბორისოვში მოხდეს, სადაც ბოლშევიკების რწმუნებულებს სრული გარანტია ექნებათ თავისუფლებისა, რომ თავის მთავრობასთან პირდაპირი დამოკიდებულება დაიჭირონ.

## ამერიკული ცნობა.

პიერ ლოტმა, სომეხთა ჟლეტის შესახებ განსაკუთრებით მარაშში დასტამბა წერილი სათაურით „ცინიკური მოტყუება". ეგრედ წოდებულ მარაშის ჟლეტას იგი ოსმალთა მტრების მიერ მეტად გადიდებულად სთვლის გადაჭრით ვაცხადებ, რომ ეს ამბები მარაშში სომხების ჟლეტის შესახებ ცინიკური ტყუილია და მიმართულია საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ. ის ფრანგები, რომელნიც ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდნენ ინგლისის ყუმბარებითა და ტყვიებით დაიხოცნენ, რაც ერთის მხრივ თითქოს იმას ამტკიცებს, რომ ოსმალო და ქურთი თავისუფალნი მსროლელნი ჩვენს წინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აალმდეგ ინგლისელების მიერ იყვნენ შეიარაღებულნიო — ასრულებს იგი თავის წერილს.

### მოსკოვის ცნობები

მოსკოვი, აპრ. 8 სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. პიტალოვის მიმართულებით ადგილობრივი ხასიათის ომებია. მოზირის რაიონში ჩვენი ნაწილები ტიპმოვსკაიას სამხრეთ დასავლეთით მარჯვედ იბრძვიან. ოვრუჩის რაიონში ჩვენი ნაწილები ოვრუჩის ჩრდილოეთით 25 ვერსზე იბრძვიან.

### სამხედრო ცნობები

მოსკოვი. დასავლეთის ფრონტი. მოზერის რაიონში მტრის შეტევა წითლებმა მოიგერიეს ლეტიჩევის რაიონში ბრძოლა წითლების სასარგებლოთ გრძელდება, კავკასიის ფრონტზე წითლებმა ტუაპსე აიღეს.

### ფრანგული ცნობები.

#### საფრანგეთის ჯარი ლამბურგში.

ოთხშაბათს ლამბურგი საფრანგეთის ჯარმა უინციდენტოთ დაიჭირა. ფრანგფურტში არეულობა მოხდა, მაგრამ საფრანგეთის ჯარმა წესრიგი აღადგინა, გერმანელების მხრივ 6 მკვდარია და 35 დაჭრილი.

#### ხელშეკრულების რატიფიკაცია.

რუმინეთის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ვერსალის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინოს.

#### ერთა ლიგა.

ერთა ლიგის საბჭო პარასკევს პარიზში შეიკრიბება.

#### ბელგია და საფრანგეთი.

საფრანგეთის გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ ბელგიის გადაწყვეტილებას, რადგანაც იგი შეურიგდა საფრანგეთის სამხედრო ზომებს და გამოსთქვამენ აზრს, რომ რურის ოლქში მომხდარი არეულობა მოითხოვს მოკავშირეთა თანხმობას და მჭიდრო შეკავშირებას.

#### სომხეთის მანდატი.

ერთა ლიგის საბჭო პარასკევს განიხილავს საკითხს სომხეთის მანდატის შესახებ. უმაღლესმა საბჭომ წინადადება მისცა ერთა ლიგას, რომ მან ამ საკითხის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანოს.

#### გერმანიის პროტესტი.

გერმანიის მთავრობამ საფრანგეთს სამჯერ მიმართა ნოტით რურში თავისი მოქმედების გასამართლებლათ და ფრანკფურტის ოკუპაციის საწინააღმდეგოთ; გერმანია მოითხოვს ამ პირობის აღსრულების 3 თვით გადადებას, რომლის ვადა 10 აპრილს თავდება და რომელიც გერმანიის ჯარის პირად შემადგენლობის რიცხვის შემცირებას შეეხება.

#### მილიერანის პასუხი.

გავისის სააგენტო იუწყება საერთო შინაარსის მილიერანის ნოტისას, რომელიც ინგლისის მთავრობას გაეგზავნა. საფრანგეთის მთავრობა პირველთ ყოვლისა ამტკიცებს, რომ მისი მოქმედების ლოიალობა არავითარ ეჭვს არ ბადებს. მოკავშირეებს ყოველთვის აფრთხილებდენ საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობა მტრულად უყურებდა რურში გერმანიის დამატებითი ჯარის შესვლას.

---

## დ ა ი კ ა რ გ ა

ტერენტი იესეს ძე კოპალეიშვილის პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქარ. რესპ. ბათუმის საკონსულოსაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

301. (1—1)

---

## დ ა ი კ ა რ გ ა

ფერათ ბაშაალას ძე ბერიძის პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

302. (1—1)

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათა-
ვისუფლებელ კომიტეტის ორგანო

შაბათი 17 აპრილი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ფასი: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 300 მან. |
| 2 თვით | 200 მან. |
| 1 თვით | 100 მან. |

№338 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №338

კვირას, 18 აპრილს დილის 9½ საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში

დანიშნულია

ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოების წევრთა წლიური ხელმეორე საზოგადო

კრების გაგრძელება. (3—2)

პირველხარისხოვანი რუსულ-აზიური საკანდიტერო

ნ. ა. ცინცაბაძისა

თბილისის ქუჩა №19 „ელეზნი" თეატრის გვერდით. მოიპოვება ყოველივე საკანდიტეროს საქონელი დამზადებული გამოცდილი ოსტატების და თვით ხაზეინის ხელმძღვანელობით.

ვღებულობთ ზაკაზებს.

271. (10—8)

## ბათუმი საქართველოს

ერთ ერთი იტალიური გაზეთი გადმოგვცემს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს გაუუქმებია ძველი დადგენილება ბათუმზე და დაუდგენია ბათუმი საქართველოს დარჩეს იმ პირობით, რომ ადერბეიჯანმა და სომხეთმა თავისუფლათ ისარგებლონ ბათუმის პორტი.

ეს მოულოდნელი არ იყო ჩვენთვის, ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. ეს იყო ჩვენი დემოკრატიის სურვილი და გადაწყვეტილება. სხვანაირად ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია.

რაც შეეხება, რომ ჩვენ უნდა მივცეთ ნება თავისუფლად ისარგებლონ სომხეთმა და ადერბეიჯანმა ჩვენი პორტით, ეს ბუნებრივია, ჩვენ მეტსაც ვიტყვით არამთუ სომხეთისა და ადერბეიჯანისათვის, არამედ ქ.ბათუმის პორტი იქნება თავისუფალი ყველა იმ ერისათვის, რომელთაც სურთ ეზიარონ ევროპის კულტურით და გამართონ ევროპასთან კულტურულ ეკონომიური ურთიერთობა.

ბათუმი არის კარი, საიდანაც შემოდის ევროპის კულტურა და სინათლე რომლითაც პირველად ეზიარა და განათლდა საქართველო. ჩვენ ეს კარი კი არ გვინდა დავკეტოთ, არამედ უფრო ფართედ გავაღოთ, რომ ჩვენმა მეზობლებმა მის შემწეობით წარმატება მოიპოვონ და ააყვავონ თავისი რესპუბლიკები. საქართველო არასოდეს არ ყოფილა შოვინისტური, ის ყოველთვის ილებდა და მიიღებს ყველა იმ უცხოელს ბათუმში ადერბეიჯანელი იქნება თუ სხვა, რომელიც მოვა ჩვენში ალებ-მიცემისათვის და კულტურისათვის.

საქართველო არის ქვეყანა კანონიერებისა და სიმართლისა და ყველა ისინი ვინც მოვა ჩვენს ბათუმში იქნება დაცული ჩვენი რესპუბლიკის კანონებით, აგრეთვე იქნება დაცული მათი ავლადიდება.

ჩვენი მმართველობა, ისე როგორც სხვა საქართველოს კუთხეში, იქნება მკაცრი და ულმობელი მათთვის ვინც მოვა ჩვენში საყაჩაღოთ და ანარქიის გასამეფებლად, ჩვენი ეროვნული სხეულის ჩვენი შინაური საქმეებში ჩასარევათ, და ერთი მთლიანი საქართველოს დასაშლელად.

ახსოვდეს ჩვენს მტრებს და მოყვარესაც, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ბათუმი და მისი ოლქი თავის ძველი ციხე-ნანგრევებით საქართველოს სიამაყეა და ამ ძველ ნანგრევებზე კვლავ უნდა აფრიალდეს საქართველოს დემოკრატიის შექმნილი: ახალი დემოკრატიული საქართველოს დროშა.

## ახალი ამბები.

ორშაბათს, 19 აპრილს რკინის თეატრში თფილისის ქართულ დრამატიულ დასის მიტერ ქ-ნ ნინო ჩხეიძის და შალვა დადიანის მეთაურობით წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა შალვა დადიანისა მისივე რეჟისორობით და ვ.გამყრელიძის მონაწილეობით „გეგეჭკორი" 3 მოქმედებათ, „ქალის 1001 ცბიერება" ვოდევილი 1 მოქმედებათ. მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე: დ.აბდუშელი, ელ. ანდრონიკაშვილი, პ.ფრანგიშვილი, ალ.ივერიელი, ვ.მატარაძე, ი.ჟივიძე, მ.გელოვანი და ვ.ჯიქია.

წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

◆ ქ.გორიდან თფილისში ატყობინებენ, რომ იქ ბოლონდელი მიწის ძვრა არ შეუმჩნევიათ. მიწის ძვრა არ ყოფილა აგრეთვე იმ რაიონებშიაც, რომლებიც წინათ დაზარალდენ.

◆ ოთხშაბათს, 21 აპრილს, საღამოს 6 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია შრომის კომიტეტის კრება. დღის წესრიგში განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) დამსახ. წლებისათვის გადასახ. შესახებ, 2) მუშების მიღება დათხოვის შესახებ. 3) კომიტეტის მდგომარეობა და 4) მიმდინარე კითხვები (მდივნის ამხ. არჩევნები და სხ).

◆ გზათა დეპარტამენტის განკარგულებით სახაზინო რკინის გზების სამმართველო ადგენს ახალ განრიგებას მატარებლებისას, რომელიც შევა ძალაში საზაფხულოდ. ამ განრიგებაში მიღებული იქნება მხედველობაში შეძლებისამებრ მიმოსვლის გაადვილება საქართველოს ყველა ცენტრებთან. გარდა ამისა იცვლება ხასიათი სწრაფ მატარებლების №№1 და 2 თფილისის და ბათუმს შორის. ახალი განრიგებით მისი გარბენის დრო მცირდება, რისთვისაც შემცირებული იქნება გაჩერებანი სადგურებზე ტეხნიკურად საჭირო მინიმუმამდე და შეჩერება მოხდება მხოლოდ მნიშვნელოვან სადგურებზედ და სადაც ტეხნიკურად არის საჭირო. სახელწოდება მატარებლებისა იქნება საქართველოს ექსპრესი და ნომრები მატარებლების №№ 1 და მე-2 მატარებლებზე, გარდა პლაცკარტებისა, შემოღებული იქნება დამატებითი გადასახადი სიჩქარისათვის.

◆ სამშაბათს, 20 აპრილს რკინის თეატრში სახელმწიფო თეატრის მსახიობთა მიერ ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით მისი 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა „მედეა“.

◆ აფხაზეთში დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები დამთავრდა. ამრჩეველთა რიცხვი მთელს ოლქში 63 ათასი იყო, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 20,080 №1 მიიღო — 8007, №2 —888, №3 — 7,929 №5 — 1,200 №8 — 200, №16 — 406. არჩევნების შედეგი ჯერ საბოლოოდ არ დაუმტკიცებია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

◆ 14 აპრილს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 69 უმუშევარი, მათ შორის 45 კაცი და 24 ქალი. კიდევ ჩაეწერა 19 უმუშევარი.

15 აპრილს შრომის ბირჟაში კიდევ ჩაეწერა 31 უმუშევარი.

◆ ბათუმიდან უნებართვოთ საქონლის გატანისათვის დაჯარიმებულ იქნენ: ლ.სულეიმანი 800 მანეთით, თავდიშვილი — 600 მან. და სხ.

◆ ამ დღეებში ბათუმიდან მარსელისაკენ წავა საფრანგეთის გემი „ფრიჟი“. გემი გაივლის კონსტანტინოპოლშიც.

◆ ფოთიდან ბათუმში მოვიდა რუსეთის გემი „ბაქო“.

◆ უდროვო დროს ქუჩაში გამოსვლისათვის დატუსაღებულ იქნენ: ი.სავენკო, ნ.გონზენკო და ს.ბეროვი.

◆ ოქტროს ბინიდან (პუშკინის ქ.) ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 100,000 მანეთად.

◆ პასპორტის უქონლობისათვის დატუსაღებულ იქნენ და პასუხისგებაში არიან მიცემულნი აბას ოღლი და დ.ჩიბურდანიძე.

---

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია.

## ოქმი №1

1920 წლ. 9 აპრილს, ადერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის კონფერენციაზე დაესწრნენ: ადერბეიჯანის წარმომადგენლები: კ.ბ.აგაევი, ო.ბ.კრიჩინსკი, ფ.ბ.ვექილოვი. სომხეთის წარმომადგენლები: ა.ი.ოგაჯანიანი, ტ.ა.ბეკზადიანი, ს.ა.ხაჩატურიანი. საქართველოს წარმომადგენლები: ე.პ.გეგეჭკორი, გ.ს.ლორთქიფანიძე, გ.თ.მახარაძე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე.პ. გეგეჭკორმა გახსნა რა სხდომა, საქართველოს დელეგაციის სახელით აღძრა საკითხი, რომ კონფერენციის სხდომები საჯარო ყოფილიყო. მან შემდეგ განაცხადა: „წინანდელმა კონფერენციებმა და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების შეხვედრამ აქამდე სასურველი შედეგი არ მოგვცეს. სამწუხაროთ, არა თუ ვერ შევთანხმდით, მთელ რიგ საცხოვრებელ საკითხებში, არამედ უნდა დავადასტუროთ, რომ ეროვნულ ტერიტორიალურ დავის ნიადაგზე სისხლის მღვრელ შეტაკებებს დღემდის ადგილი აქვს. ყველა ამას არ შეეძლო მცხოვრებთა ფართო მასსის თვალში ნდობა და ავტორიტეტი არ დაეკარგა. ამიერ კავკასიის ყველა ხალხთა აღელვებულ საზოგადოებრივ სინდისს სურს გაიგოს, სად არის წყარო, ყველა ამ საერთო უბედურებისა, ამიტომ საქართველოს დელეგაციის აზრით საჭიროა ამ კონფერენციის მუშაობა საჯაროთ ვაწარმოოთ. ჩვენ ხალხს საშვალება უნდა ქონდეს თვალყური ადევნოს ყოველ ჩვენს ნაბიჯს, ყოველ ჩვენს სიტყვას.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ შემდეგი დაადგინეს: კონფერენციის საჯარო სხდომები ყოველთვის გამართული იქნება კონფერენციის მიერ ამის შესახებ მიღებულ დადგენილების თანახმად. ჩვეულებრივი სხდომები მოხდება პრესის წარმომადგენელთა დაუსწრებლათ იმ პირობით, რომ კონფერენციის სხდომების ოქმები, განხილული პრეზიდიუმის მიერ, გადაეცემა პრესას დასაბეჭდათ სხდომების გათავების შემდეგ, ახლო ხანში.

შემდეგ ამოირჩიეს რა ამ სხდომის თავმჯდომარეთ ე.პ.გეგეჭკორი და გადავიდენ რა დღიურ წესრიგის დამტკიცებაზე, საქართველოს და სომხეთის დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ სანამ სხვა საკითხების განხილვას შეუდგებოდეთ, პირველათ ყოვლისა საჭიროა დავსვათ საკითხი სისხლის მღვრელ შეტაკებების შეწყვეტის შესახებ, რომელსაც

ეხლა ადგილი აქვს ყარაბაღში სომეხთა და მუსლიმანთა შორის და რომელიც ფაქტიურად სამხედრო მოქმედებას წარმოადგენს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამ სისხლის ღვრის შეუჩერებლათ კონფერენცია არ შეუძლია მშვიდობიან და ნაყოფიერ მუშაობას შეუდგეს, რადგან რაიმე საკითხის გარჩევა ზარბაზნების გრიალის დროს, როდესაც სისხლი იღვრება, ყოვლად შეუძლებელიაო.

ადერბეიჯანის რესპუბლიკის დელეგაციამ, პრინციპიალურათ არ გაილაშქრა რა სისხლის ღვრის შეწყვეტის აუცილებლობის წინააღმდეგ და სთვლის რა, რომ ეს საკითხი პირველ ყოვლისა უნდა იქნეს გარჩეული და გაფრთხილებული, მასში სხვა ადგილების შეტანის სახით, შეჯახებები ხვდება, როგორც მაგ ორ დუბათი, ნახიჩევანი, ცედი და ყაზახში, განაცხადა: „ამ გვარ საკითხის განხილვისა და დასმისათვის მას თავის მთავრობისაგან სათანადო რწმუნება არა აქვს".

სომხეთის დელეგატებმა ეს განცხადება ჩათვალეს ფორმალურად. ისინი ფიქრობენ, რომ დელეგაცია რომელსაც მინდობილი აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა, რომელიც დასმულია ამ კონფერენციის განსახილველათ, ამით უკვე არის უფლება მოსილი, რომ ეს საკითხი გადაწყვიტოს და ისინი მოითხოვენ ამ საკითხის ყველაზე უწინარეს დასმისა და გადაწყვეტას.

საქართველოს დელეგატებმა გამოსთქვეს რა მწუხარება იმის გამო, რომ ამგვარი მძიმე და ცხარე საკითხის შესახებ, რომელსაც ამიერკავკასიის მთელი საზოგადოებრივობის ყურადღება აქვს მიპყრობილი, ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარის ადერბეიჯანის დელეგატებს არა აქვთ რწმუნებულება, განაცხადეს, რომ კონფერენცია სდგას სამწუხარო აუცილებლობის წინაშე, რომ გადასდოს ამ საკითხის გადაწყვეტა ადერბეიჯანის დელეგატების მიერ სათანადო რწმუნების მიღებამდე. ადერბეიჯანის დელეგატებმა დაადასტურეს ყველამ, რომ ისინი პრინციპიალურად არ არიან წინააღმდეგი ამ საკითხის დასმისა და განაცხადეს, რომ ისინი პირდაპირი მავთულებით დაელაპარაკებიან თავის მთავრობას და ეცდებიან შემდეგი დღისათვის პასუხი მიიღონ.

სომხეთის დელეგატები სთვლიან რა ამ საკითხის დაგვიანებით გადაჭრას დამღუპველად ორივე ქვეყნის დემოკრატიისათვის, რომელიც ყოველ დღიურათ რამდენიმე ასეულს მსხვერპლს იძლევა, დაჟინებით მოითხოვენ ადერბეიჯანის მთავრობისაგან პასუხის მიღების დაჩქარებას.

კონფერენციამ სურვილი გამოსთქვა, რომ ადერბეიჯანის დელეგაციას ეცადა იმავ დღის საღამოსათვის მიეღო პასუხი და თუ ეს მოუხერხებელი შეიქნებოდა, მაშინ აუცილებლად შემდეგი სხდომისათვის მაინც. სხდომა დაინიშნა შაბათს 10 აპრილს დილის 11 საათზე.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოსმალეთში

— სტამბულის გაზ. „ჯიეინი გიუნი" გადმოგვცემს რომ მოხალისეთა ჯარების მთავარი შტაბის გენერალი რომანოვსკი სტამბულში რუსეთის საკონსულოში მოჰკლა ორმა უცნობმა პირმა. გენერალ რომანოვსკისთან ამ დროს იმყოფებოდა გენერალი დენიკინიც. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

— ამავე გაზეთის გადმოცემით გენერალი დენიკინი სტამბულიდან ინგლისელთა გემით ლონდონში წასულა.

— თურქული გაზეთი „ილერი" გადმოგვცემს, რომ მუსტაფა ქემალ ფაშამ, რომელიც ანატოლიაში კამანდრობს ეროვნულ ძალებს, შესწყვიტა ყოველგვარი კავშირი სტამბულის მთავრობასთან, ამის გამო სულთანმა და ახალმა კაბინეტმა მუსტაფა ქემალ ფაშა ჩასთვალა მთავრობის მოწინააღმდეგეთა ხელმძღვანელათ და სულთანმა გასცა საჭირო განკარგულება მის წინააღმდეგ.

— გაზეთი „იკდამის" გადმოცემით სტამბოლში მთავრობის კრიზისი უკვე დამთავრდა და დამათფერით ფაშის მეთაურობით შესდგა ახალი კაბინეთი.

— ამავე გაზეთის გადმოცემით ახალ კაბინეთს მოლაპარაკება ჰქონია პარლამენტთან, რომლის შინაარსი ჯერ ჯერობით დაწვრილებით გამორკვეული არ არის. გაზეთი იტყობინება, რომ მოსალოდნელია ახლო ხანში პარლამენტი დაიხუროსო.

— ოსმალეთის ტახტის მემკვიდრე აბდულ მეჯიდ ეფენდი ინგლისელებმა გამოაცხადეს თავიანთი ზედამხედველობის ქვეშ. აღნიშნულ აბდულ მეჯიდ ეფენდის ბრალდება მუსტაფა ქემალ ფაშასთან კავშირის დაჭერა.

— ოსმალეთის სტამბულის მთავრობა უკვე შეუდგა ენერგიული ზომების მიღებას მუსტაფა ქემალ ფაშის წინააღმდეგ.

— როგორც ტრაპეზუნდიდან გვატყობინებენ მთელს ანატოლიაში მუსტაფა ქემალ ფაშას გამოუცხადებია მობილიზაცია 18 — 45 წ. ყველა მამაკაცებისა.

— იქიდანვე იტყობინებიან, რომ მუსტაფა ქემალ ფაშამ მთელ ანატოლიაში დაარსა დროებითი მთავრობა, რომლის მეთაურათ თითონ ითვლება.

---

## რა ხდება უცხოეთში

### ადერბეიჯანი.

**მუსულმან მუშების კონფერენცია.**

7 აპრილს შესდგა კონფერენცია ბაქოს სამრეწველო რაიონის მუსულმან მუშებისა, კონფერენციაზე 700-მდე დელეგატი — რაიონულ პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელი გამოცხადდა. კონფერენციის მიზანია მოაწყოს დამოუკიდებელი ცენტრი მუსულმანი მუშებისა, რომელიც ადერბეიჯანის და-

მოუკიდებლობის ნიადაგზე დადგება და თავიდან აცილებს მუსულმან მუშებს იმ უპასუხისმგებლო პირების დამღუპველ პოლიტიკას, რომელნიც მიზნათ ისახავენ ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის ძირის გამოთხრას. კონფერენციაზე მოხსენებით მიმდინარე მომენტის შესახებ გამოვიდნენ რუსტამბეგოვი და რასულზადე, რომლებმაც გააცვნეს კონფერენციას მთავრობის მიერ მიღებული ზომები მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და აგრეთვე ადერბეიჯანის საერთაშორისო მდგომარეობა არჩეულ უნდა იქნეს საბჭო 15 კაცისაგან; თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დ.ბ.მელიქ ეგანოვი. („აზერბ“).

## ოსმალეთი

### კილიკიის ამბები.

ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა კილიკიაში მომხდარ ამბების შესახებ. მთავრობა თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც საზავო კონფერენციაზე სწყდება ოსმალეთის ბედი, ამ დროს ოსმალეთის შესახებ ავრცელებენ ყალბ ცნობებს, რათა ამით ზიანი მიაყენონ ოსმალეთს და გაართულონ მისი მდგომარეობაო. თუ გავრცელებულ ცნობებს დაუჯერებთ, ანატოლიაში 20 ათასი სომეხია მოკლული, ნამდვილათ კი, დროებით ზავის ჩამოგდებას შემდეგ მხოლოდ მარიშის ოლქში ჰქონდა ადგილი შეტაკებას ქრისტიან მცხოვრებლებთან. ბრიტანეთის ჯარების წასვლის შემდეგ, საფრანგეთის სამხედრო სარდლობამ ადგილობრივ ჟანდარმერიაში დიდ ძალ სომხობას მოუყარა თავი, რომლებიც ადგილობრივ მუსულმანობას დიდათ ავიწროებდენ. საფრანგეთის გუბერნატორთან მივიდენ მუსულმანების დელეგატები საჩივლელად, რომლებსაც სროლით შეეგებენ. მუსულმანებმა სროლაზე სროლით უპასუხეს და ამან გამოიწვია ის, რომ ფრანგებმა ზარბაზნებიდან და ტყვიამფრქვევლებიდან აუტეხეს სროლა მშვიდობიან მცხოვრებლებს. მეზობელ მცხოვრებმა არაბებმა, თურქებმა და ქურთებმა, შეიტყვეს რა მუსულმანების დარბევა, წავიდნენ მაზრაში ადგილობრივ მცხოვრებთა დასახმარებლათ. ფრანგებმა და სომხებმა დასტოვეს ქალაქი და დაუშინეს მას ყუმბარები, რამაც დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ადგილობრივი მცხოვრებლები. ფრანგები წასვლისთანავე ბევრი სომეხი გადასახლდა მარაბის რაიონიდან და ესაა მიზეზი, რომ მცხოვრებთა რიცხვი შემცირდა. ოტომანის მთავრობა მოითხოვს შერეულ კომისიის დაარსებას მდგომარეობის გამოსარკვევად („ად“).

## რუსეთი.

### დენიკინის ბედი.

ადერბეიჯანის რადიო სადგურს მიუცია ფრანგული პრესის შემდეგი ცნობა: „მოხალისეთა“ ჯარის გენერლებმა გან. ვრანგელი დანიშნეს „მოხალისეთა“ იმ ნაწილების მთავარ სარდლათ, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლას ბალშევიკების წინააღმდეგ. გენერალი დენიკინი ბრიტანეთის გამანადგურებელით კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. უკანასკნელ ცნობების თანახმად გენ. დენიკინი უკვე ჩასულა კონსტანტინოპოლში.

### ლენინის აზრი.

ინგლისური გაზეთ „დეილი ნევ“-ში მოთავსებულია ინტერვიუ ლენინთან, რომელშიაც უკანასკნელს შემდეგი განუცხადებია: მოკავშირეებმა წინადადება მოგვცეს, რომ ისინი დაიწყებენ ჩვენთან ვაჭრობას კოოპერატივების საშვალებით. მაგრამ ჩვენ კოოპერატივების ნაცვლათ სულ სხვა ორგანიზაციები გვაქვს. ამასთანავე ისინი განაგრძობენ სამხედრო მოქმედებას ჩვენს წინააღმდეგ; ეს მხოლოდ მათ ორპირობას ამტკიცებს. რასაკვირველია, კლემანსო და ფოში ჭკვიანი ადამიანებია; პირველი ადგენს პროექტებს, მეორეს ცხოვრებაში გაჰყავს ეს დადგენილებები. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ისინი ყოველთვის ისეთს რაიმეს მოიგონებენ, რის განხორციელებაც შეუძლებელია. ზავის შესახებ ლენინმა შემდეგი განაცხადა: მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ჩვენ თანახმანი ვართ, ზავი შევკრათ ისეთ პირობებში, რომ ყველაზე უფრო შეურიგებელნი კაპიტალისტებიც კი უნდა დათანხმდეს. ამაზე ჩვენ ვამბობდით და ვიმეორებთ: ჩვენ გვსურს ზავი, გვსურს იმიტომ, რომ თანახმანი ვართ მივსცეთ უცხოელებს ისეთი კონცესიები და გარანტიები, რაც ჩვენთვის მეტათ საზიანო იქნება. მაგრამ ჩვენ სრულებითაც არა გვაქვს სურვილი ზავის გულისთვის უცხოელებათ გადვიქცეთ ჩვენის აზრით, განაგრძობს ლენინი, მოკავშირენი უნდა მოვიდენ ჩვენთან და არ შეეხონ იმ საკითხს — ბალშევიკები ვართ ჩვენ თუ არა. ჩვენი შინაური მდგომარეობა კრიტიკულია, მაგრამ არა უიმედო. გაზაფხულზე ჩვენ მივიღებთ სურსათ-სანოვაგეს და ამით თავიდან ავიცილებთ შიმშილობის საფრთხეს. წარმოების ასაყვავებლათ მიღებულია ყოველგვარი ზომები.

---

### დროებით ქიმითის თემში მცხოვრებ ანტონ კალანდაძის ქვრივ ელიტი მიხეილის ასულს დახმარება აღმოუჩინეს შემდეგ პირებმა:

გიორგი კალანდაძემ 100 მ, გიორგი ქურიძემ 50 მ, ი.გიორგაძემ 50 მ, შ.კალანდაძემ 100 მ, აკაკი ჩიხვარიამ 50 მ, ილიკო ნაცვლიშვილმა 50 მ, ბიკ.ჯორბენაძემ 50 მ, კირ.ხოფერიამ 50 მ, დიომიდე სამსონიამ 50 მ, თეოფ. ჯორბენაძემ 100 მ., ნიტ.ჩხარტიშვილმა 50 მ., ხარ. სამსონიამ 50 მ., სამ.ქურიძემ 20 მ, კირ. დიმიტრაძემ 100 მ, თომა კობალავამ 50 მ, აკ.ჩხარტიშვილმა 50 მ, ივ.ხინთიბიძემ 50 მ, კ.კპილიანიშვილმა 50 მ, დ.მუხაშავრიამ 100 მ, ლ.მუხაშავრიამ 50 მ, ს.კეკელიამ 50 მ, სიო ქურიძემ 100 მ, მელ.ხინთიბიძემ 50 მ, კ.დოლიძემ 30 მ, იოს. ქუთათელაძემ 50 მ, ნ.ვასაძემ 50 მ, ის.ჯაშმა 30 მ, იაგ.მალაზონიამ 50 მ, მელ. გულუამ 50 მ, ანდ. სტეფანიამ 50 მ, ივ.მასხულიამ 50 მ, ნეს.ოდ-

ილავამ 20 მ, პოლ.ბუაძემ 50 მ, ილ.კვაჭანტირაძემ 50 მ, ბეს.კეკელიამ 50 მ, ლ.გეგენავამ 50 მ, თეოფ.სამსონიამ 100 მ, შალ.ურუშაძემ 50 მ, ბარ.ჭყონიამ 50 მ, კირ.ტკეშელავამ 50 მ, სან.ჯახუტაშვილმა 30 მ, ევტ.კალანდაძემ 50 მ, შაქრო მურადოლლიმ 50 მ, ვას.ბერძენიშვილმა 50 მ, მოსე სპირიდონიანცმა 50 მ, თედ.ჩიკაშუამ 50 მ, ის.მურვანიძემ 50 მ, კირ.ვადაჭკორიამ 50 მ, ალი მუსტაფამ 20 მ, ილ.ფაილოძემ 50 მ, პავლე ყაჭეიშვილმა 50 მ, ბონდო ვართანიანცმა 50 მ, ალ.კილასონიამ 50 მ, ნესტორ მუხაშავრიამ 50 მ, კირილე გალოგრემ 50 მ, მოსე სარიშვილმა 50 მ, ბათლ.ბელებაძემ 200 მ, ილიკო ბელებაძემ 200 მანეთი.

---

## დ ა ი კ ა რ გ ა

მიხეილ არჩილისძე ანდლულაძის პირადობის სურათიანი მოწმობა მიცემული საქ.რესპ. ბათუმის კონსულისაგან და სხვა და სხვა კავშირის საბუთები.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

303 (1–1)

---

## დ ა ი კ ა რ გ ა

ონისიმე ალექსისძე მელაძის სურათიანი პირადობის მოწმობა მიცემული საქ.რესპ. ბათუმის კონსულისაგან 17-ს ოქტომბერს 1919 წ. №5320.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

304 (1–1)

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

კვირა 18 აპრილი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ............................ 300 მან.
2 თვით ............................ 200 მან.
1 თვით ............................ 100 მან.

№339 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №339

## რ ქ ი ნ ი ს თ ე ა ტ რ ი.

### ქ-ნ. ნინო ჩხეიძის გასტროლი

შალვა დადიანის მეთაურობით
ორშაბათს, 19 აპრილს თბილისის ქართულ დრამატიულ დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა შალვა დადიანისა მისივე რეჟისორობით და ვ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ი ს მონაწილეობით

### გეგეჭკორი

3 მოქმედებათ.
II.

### ქალის 1001 ცბიერება

ვოდ. 1 მოქ.

მონაწილეობენ (გვარები ანბანზეა) აბდუშელი დ. ანდრონიკაშვილი ელ. გამყრელიძე ვიქტ., დადიანი შ., ფრანგიშვილი პ., ივერიელი ალ., მატარაძე ვ., ჟღენტი ი., გელოვანი მ. და ჯიქია ვ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

დასის რწმუნებული ი. ჟღენტი
(0–1)

---

### კვირას, 18 აპრილს დილის 9 1/2 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში

### დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოების წევრთა წლიური ხელმეორე საზოგადო კრების გაგრძელება.

(3–3)

---

### პირველ ხარისხოვანი რუსულ-აზიური საკანდიტერო

### ნ. ა. ც ი ნ ც ა ბ ა ძ ი ს ა

თბილისის ქუჩა №19 „ჟელეზნი" თეატრის გვერდით.
მოიპოვება ყოველივე საკანდიტეროს საქონელი დამზადებული გამოცდილი ოსტატების და თვით ხაზეინის ხელმძღვანელობით.
ვღებულობთ ზაკაზებს.

271 (10–9)

---

### ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

თანახმად §32 საზოგადოების წესდებისა იწვევს ბ. ბ. საზოგადოების წევრებს

### წლიურ საზოგადო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია კვირას, 2 მაისს ამა 1920 წელს დილის 11 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) მოხსენება საზოგადოების საბჭოსი და გამგეობისა.
2) განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ანგარიშებისა და მომავალი 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის.
3) მიმდინარე კითხვები.
და 5) თანამდებობის პირთა არჩევნები.

თუ დანიშნულ ვადაზედ, კანონიერ წევრთა რიცხვის დაუსწრებლობის გამო, საზოგადო კრება არ შესდგა, მეორე საზოგადო კრება ინიშნება 16 მაისს 1920 წ. დილის 11 საათზედ ამავე ბინაზე, რომელი კრებაც კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მას.

(3–1) გამგეობა.

# „სედაი მილეთლების“ მეგობრები.

ხალხის სიბრძნე ამბობს: მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი — თუ რა კაცი ხარ შენო.

ვინ ბრძანდებიან მეგობრები იმ ჯგუფისა, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ გამოდის ხალხს მოუწოდებს, რომ საქართველოსთან არავითარი საერთო რამ არ იქონიოთო? ვინ მფარველობს, ვინ უწყობს ხელს, ვინ შეჰხარის „სედაი მილეთის“ ჯგუფის მოქმედებას?

აი, როცა ამ საკითხზე ნათელ პასუხს მოვისმენთ, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, თუ რას წარმოადგენს „სედაი მილეთის“ ჯგუფი, თუ ვინ ბრძანდებიან ის ვაჟბატონები, რომლებიც აჭარისტანიას დამოუკიდებლობას ქადაგებენ.

არავისთვის არ არის დაფარული, რომ ჩვენში ბლომათ თავმოყრილი უცხოელები, დენიკინელები და ძმანი მათნი დიდი მეგობრები არიან „სედაი მილეთლებისა“. გენერალი ტერმენი, რომელიც აქაურ დენიკინელების ერთი მეთაურთაგანია, ყოველნაირათ ცდილობს, რომ ბათუმის ოლქის მცხოვრებლებმა უარი თქვან საქართველოზე და დამოუკიდებელ აჭარისტანის სახელმწიფოს დაარსება მოითხოვონ. ჩვენ მკითხველებს ძლიერ კარგად ახსოვთ გენერალ ტერმენის მიერ ხელმოწერილი პროკლამაცია, რომელშიაც ის აცხადებს აქაურ რუსთა ნაციონალურ საბჭოს სახელით, რომ აჭარისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა დაარსდეს და ჯერჯერობით სავსებით დაცულ უნდა იქნას ის ადმინისტრაციული შემადგენლობა, რომელიც ამჟამათ არსებობს ოლქში და ქ. ბათუმშიო. ეს პროკლამაცია გამოცხადდა აგრეთვე „სედაი მილეთის“ სახელითაც.

აქედან ცხადია, რომ დენიკინელებიც იმას მოითხოვენ, რასაც „სედაი მილეთი“ აშკარაა, რომ „სედაი მილეთლების“ დიდი მეგობარი არიან დენიკინელები.

რა სურთ ჩვენთვის დენიკინელებს და საზოგადოთ ჩვენში ბლომათ თავმოყრილ რუსებს?

მათი მიზანი არავისთვის არ უნდა იყოს უცნობი. რუსების მისწრაფებაა, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი, დღეს იქნება თუ ხვალ, რუსეთს შეუერთდეს. მათ კარგად იციან, რომ დღეს-დღეობით ეს შეუძლებელია, რადგან თვით რუსეთი ამჟამათ დანგრეულია. მათთვის დიდათ ხელსაყრელია, თუ რომ ცოტა ხნით ბათუმის ოლქი ცალქე გამოყოფილი იქნება, მათთვის სანატრელია, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს არ შეუერთდეს, რადგან შემდეგ რუსების მისწრაფების განხორციელება შეუძლებელი გახდება. მათ იმედი აქვთ, რომ შემდეგ, როცა შესაფერ დროს იხელთებენ, ცალკე გამოყოფილ ბათუმის ოლქს რუსეთს მიაწებებენ და ისე იბატონებენ აქ, როგორც თვითმმართველობის დროს ბატონობდნენ.

ამისათვის არის, რომ ისინი ყოველნაირად ხელს უწყობენ „სედაი მილეთლებს“. ამისათვისაა, რომ ისინი აჭარისტანის დამოუკიდებლობას მოითხოვენ. ამისათვის არიან ისინი „სედაი მილეთლების“ დიდი მეგობრები.

ამ ვაჟბატონების გარდა „სედაი მილეთლებს“ ასულდგმულებენ ადერბეიჯანის აგენტები. რა სწადიათ ამ აგენტებს?

მათი მიზანია, რათა ბაქოს ნავთი მათ თავისუფლათ გაიტანონ ბათუმიდან. მათ სურთ ბათუმის ხელში ჩაგდება სწორეთ ამ მიზნისათვის. მათ აინტერესებთ ნავთის გატანის მოწყობა და არა ჩვენი ქვეყნის სვე-ბედი.

და ამისათვის არის, რომ „სედაი მილეთლებს“ ადერბეიჯანის აგენტები ბლომათ ურიგებენ ფულებს და ამ ფულების საშვალებით აყვირებენ: ჩვენ საქართველო არ გვსურს, ჩვენ დამოუკიდებელი აჭარისტანი გვინდაო.

ამისათვის მეგობრობენ „სედაი მილეთლებს“ ადერბეიჯანის აგენტები.

„სედაი მილეთის“ მოღალატურ მოქმედებას ტაშს უკრავენ აგრეთვე ბალშევიკები. ბალშევიკების საბოლოო მიზანიც ისეთია, როგორიც დენიკინელებისა. მათაც დიდი რუსეთის აღდგენა სწადიათ, სწორედ ისე, როგორც ეს დენიკინელებს სწყურიათ. დიდი, განუყოფელი რუსეთი, — აი ბალშევიკების ნაციონალური მისწრაფება. ამისათვისაა, რომ ბალშევიკები არ სცნობენ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს; ამისათვისაა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ბრჭყალებიდან განთავისუფლებულ ერებს ისინი თავგამოდებით ებრძვიან.

და ამისათვისაა სწორედ, რომ ბალშევიკებსაც სურთ, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს არ შეუერთდეს, არამედ ჯერჯერობით ეს ოლქი ცალკე არსებობდეს, რომ შემდეგ ადვილათ ჩააყლაპვიონ რუსეთს განმარტოებული აჭარისტანი.

ამისათვისაა, რომ ბოლშევიკებიც „სედაი მილეთლების“ მეგობრებია.

ერთი სიტყვით „სედაი მილეთლების“ მეგობრები ბრძანდებიან ის ვაჟბატონები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის დაპყრობას ლამობენ, ჩვენი თავისუფლების გაქრობას ესწრაფვიან. აი, ასეთ ჯგუფებთან აქვთ მჭიდრო კავშირი „სედაი მილეთლებს“, ე. ი. ისინი მეგობრები არიან ჩვენი მტრებისა.

ცხადია, რომ ვინც ჩვენ მტრებთან ერთად მუშაობს, ის ჩვენი მტერია. ასეთია „სედაი მილეთის“ ჯგუფი. ჩვენმა ხალხმა ეს კარგად უნდა შეიგნოს და „სედაი მილეთლების“ მოქმედებას შესაფერი პასუხი უნდა გასცეს. თუ არ გვსურს ჩვენი ქვეყნის დაღუპვა, თუ არ გვსურს, რომ ჩვენი მხარე კვლავ რუსეთის ფარგლებში მოექცეს, თუ არ გვსურს კვლავ მონობის კლანჭებში ჩვენი არსებობის ჩახრჩობა, — „სედაი მილეთლებს“ არ უნდა ავყვეთ.

ერთად-ერთი ხსნა ჩვენი ქვეყნისა საქართველოსთან ერთობაშია. ავტონომიურათ გაერთიანება საქართველოსთან — აი რა მოგვანიჭებს ბედნიერებას. ვინც ამას ეწინააღმდეგება, ის ამით ღუპავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ საქმეს, ის ამით დანას ლესავს ჩვენი საარსებო ინტერესების წინაალმდეგ.

---

# ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

✦ 16 აპრილს ბათუმში დაბრუნდა გენერალი ზაქარია მდივანი, რომელიც სასწრაფო მოხსენებისათვის თბილისს იყო წასული.

✦ ორშაბათს, 19 აპრილს რკინის თეატრში თფილისის ქართულ დრამატიულ დასის მიერ ქ-ნ ნინო ჩხეიძის და შალვა დადიანის მეთაურობით წარმოდგენილ იქნება ახალი პიესა შალვა დადიანისა მისივე რეჟისორობით და ვ. გამყრელიძის მონაწილეობით „გეგეჭკორი“ 3 მოქმედებათ, „ქალის 1001 ცბიერება“ ვოდევილი 1 მოქმედებათ. მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე: დ. აბდუშელი, ელ. ანდრონიკაშვილი, პ. ფრანგიშვილი ალ. ივერიელი, ვ. მატარაძე, ი. ჟივაძე, მ. გელოვანი და ვ. ჯიქია.

წარმოდგენა დაიწყება სალამოს 8 საათზე

✦ დღეს 18 აპრილს დილის 9 1/2 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია ბათუმის მომხმარებელ საზოგადოების წევრთა წლიური ხელმეორე საზოგადო კრების გაგრძელება.

დღის წესრიგში განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) 1919 წლის მოგებათა განაწილება, 2) 1920 წლ. ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება, 3) გამგეობის ერთი წევრის, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატების არჩევნები.

✦ აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათა კონფერენციის დადგენილებით ყაზანის მაზრაში გაიგზავნა დელეგაცია კონფერენციის წევრების, გასან-ბეგ აგაევის, ს. გრ. მიკომიანისა და გ. თ. მხარაძისაგან შემდგარი, სომეხთა და თათართა შორის სისხლის ღვრის შესაწყვეტად (ს. დ. ს.)

✦ საქ. მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: არდაგანიდან დაბრუნებულნი შავშეთიდან და არდანუჭიდან ვისწრაფვით გადმოგცეთ წრფელი სალამი სამუსლიმანო საქართველოს უძველეს ნაწილისა, რომელიც აღფრთოვანებულია ქართველი ჯარის იქ ყოფნით ბედნიერია მით, გილოცავთ თქვენ და ქართველ ხალხს ბრწყინვალე დღესასწაულს. **ანჯაფარიძე, ამერიჯიბი.**

✦ ქუთაისიდან ყუბანიდან გამოქცეულები ულოცავენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს, უსურვებენ საუკეთესო სურვილების განხორციელებას და მადლობას უძღვნიან მას თფილათ მიღებისათვის.

✦ სამშაბათს, 20 აპრილს რკინის თეატრში სახელმწიფო თეატრის მსახიობთა მიერ ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით მისი 30 წლის სასცენო მოღვაწეობით აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა „მედეა“.

# შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი.

## ბალშევიკები და პატარა ერები
(დასასრული*).

არა უკეთესი ბედი ეწვია უკრაინას, მისი მიდამოები დღესაც სისხლით ირწყვება, თუ თურქესტანში ბალშევიკებმა შესძლეს უიარაღოთ, შეუკავშირებელი ყირგიზებისა და სართების დამორჩილება, უკრაინაში, სადაც გლეხება შეგნებული და შეკავშირებულია, ეს ასე ადვილი როდი დარჩა. უკრაინელ გლეხობას მუდამ სძაგდა „მოსვალი“ (ასე ეძახიან უკრაინელები რუსებს), რომელმაც მას აუკრძალა სამშობლო ენაზე სწავლა-განათლების მიღება და ათასგვარ შევიწროებას აყენებდა.

რევოლუციის შემდეგ უკრაინამ ავტონომია და საკუთარი ჯარის მოწყობა მოითხოვა, უკრაინის ასეთი სეპერატიული გამოსვლა მაშინ ყველა პარტიამ დაგმო, არა იმიტომ, რომ წინაალმდეგი ყოფილიყვნენ უკრაინის მოთხოვნილების და მის სამართლიანს, მეფის მთავრობის მიერ გათელილ უფლებებს არ სცნობდენ.

რუსეთის რევოლუცია, რუსეთის ყველა დამონავებულ ერისათვის ბედნიერება იყო. რევოლუციამ ამ ერებს აყარა ბორკილი, რომელიც მათ თვითმპყრობელობამ დაადვა. რევოლუციას საფრთხე ელოდა გერმანიის მხრივ. რუსეთის ყველა ერი მოვალე იყო დაეცვა რევოლუცია. ასეთ დროს ყოველგვარი სეპარატიული გამოსვლა, მთავრობისათვის ძნელ შესასრულებელ მოთხოვნილებათა წამოყენება, დანაშაული იყო, ვინაიდან ეს ასუსტებდა გერმანელებთან ბრძოლის ენერგიას. განსაკუთრებით განუხორციელებელი იყო უკრაინელების მოთხოვნა საკუთარი ჯარის შექმნის შესახებ. ნიკოლოზის მთავრობას ქართველი სადღაც კოსტრომის ან მოგილევის გუბერნიაში მიყავდა ჯარში და მის მაგივრად ჩვენში ვილაც ორენბურგელი ყაზახი მოყავდა. ასევე ექცეოდა ის უკრაინელს. სომეხი და სხვა ერის შვილებს. ამიტომ ძნელი იყო ბრძოლის დროს სხვა და სხვა ადგილას გაფანტულ უკრაინელი ჯარის კაცების თავის მოყრა და მათგან ჯარის შედგენა. ეს დიდ დროს და ენერგიას ითხოვდა, ფრონტი დასუსტდებოდა გერმანიის ჯარებს გზას გაუხსნიდა, ბალშევიკები მაშინ მხარს უჭერდენ უკრაინის მოთხოვნას და დროებითი მთავრობას ნიკოლოზის მთავრობას ადარებდენ. ამნაირათ იმიტომ იქცეოდენ, რომ სურდათ დროებითი მთავრობისათვის ნდობა დაეკარგათ ხალხის თვალში, თავისი გავლენა გაეძლიერებინათ ძალა უფლების ხელში ადვილათ ჩასაგდებათ.

ასე იქცეოდენ ბალშევიკები სანამ ძალა უფლება მათ ხელში არ იყო, შემდეგ კი, როცა მართვა-გამგეობის აპარატი ხელთ იგდეს, გადაივიწყეს ყველაფერი რასაც ამბობდენ. უკრაინელ გლეხობას ბა-

*) იხ „სამ. საქ“ №№ 334 და 335.

ლშევიკებმა ასე განუცხადეს: თქვენ მოგენიჭებათ ავტონომია, მხოლოდ ცხოვრებას მოაწყობთ ისე, როგორც რუსეთშია, ე. ი. საბჭოები შემოიღეთო, ბალშევიკებმა სიტყვით მიანიჭეს უკრაინას ავტონომია, ნამდვილათ უკრაინის საქმეებს მოსკოვის საბჭოთა მთავრობის მიერ გამოგზავნილი პირები განაგებდნენ. საბჭოების მართვა-გამგეობა უკრაინაში ფაქტიურად, ისევე როგორც თურქესტანში რუს მუშების და ჩინოვნიკების ბატონობა იყო. ეს ჩინოვნიკები და მუშები, ვერ შეურიგდნენ იმას, რომ უკრაინაში სახელმწიფო ენით უკრაინული ენა იქმნა გამოცხადებული. ეს ჩინოვნიკები და მუშები არიან ბალშევიკების უკრაინაში ბატონობის ქვაკუთხედი. უკარაინის ფართე მასა, — გლეხობა ბალშევიზმის წინაალმდეგია. ის ებრძვის ბალშევიზმს.

დღესაც, როდესაც უკრაინა ბოლშევიკურ წითელ ჯარს უჭირავს, ბრძოლა ბალშევიკების წინააღმდეგ არ შეწყვეტილა. უკრაინაში ხშირად ხდება გლეხების აჯანყება ბალშევიკური ბატონობის წინაალმდეგ, მაგრამ საუბედუროდ ამ ბრძოლამ შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო.

ამ ორი მაგალითიდან ნათლად სჩანს თუ როგორი „მეგობარი“ არიან ბალშევიკები პატარა ერების.

პატარა ერების მეგობარი ბალშევიკები სიტყვით არიან, საქმით კი პატარა ერებს ისე ეპყრობიან, როგორც ნიკოლოზის მთავრობა ეპყრობოდა.

სიტყვით ბალშევიკები პატარა ერებს უფლებას აძლევენ თავისი ცხოვრება როგორც სურთ ისე მოაწყონ, საქმით კი, ამ ერების ცხოვრებას თითონ განაგებენ, ხალხს არაფერს ეკითხებიან.

ამას ნათლად ამტკიცებს ბათუმელი ბალშევიკების მოქმედებაც.

განა ბათუმელი ბალშევიკები დაეკითხენ ოლქის მცხოვრებთ როგორ სურთ მოაწყონ მათ თავისი ცხოვრება? არა! არ დაეკითხებიან! მაგრამ მიუხედავად ამისა 90 კაცმა, ორი ათასი რუსი მუშის წარმომადგენლებმა გადასწყვიტა ასიათასი მცხოვრებთა ბედი: ბათუმი საბჭოთა რუსეთს გადაეცესო.

ბათომელ კომუნისტების მოქმედება, მათ მიერ გამოტანილი რეზოლუცია, თურქესტანის, მთიელთა რესპუბლიკის და უკრაინის მაგალითები კარგათ გვიჩვენებს თუ რა მოყვება რომ ბათომი და მისი ოლქი ბალშევიკების ბატონობას დაემორჩილოს. გამეორდება ის, რაც თურქესტანში და უკრაინაში მოხდა: ორი ათასი შეიარაღებული ბათომელი რუსი იბატონებს ოლქის ასი ათას მცხოვრებლებზე. სიტყვით აჭარა-ქობულეთს ავტონომიასაც და სხვა ათას ბედნიერებას მიანიჭებენ, საქმით კი არაფერს დაეკითხებიან. როგორც რეზოლუციის გამოტანის დროს არ დაეკითხენ და ოლქის წარმომადგენელს სიტყვის თქმის უფლებასაც არ აძლევდენ.

ყველა ეს ცოტაა. ბოლშევიკები აქ დაანთებენ სამოქალაქო ომის ცეცხლს. ძმას ძმას ნაჰკიდებენ, და ჩვენი მინდვრები, ჩვენი სოფლები და სახლ-კარი ისევე განადგურდება, როგორც რუსეთში განადგურდა და დღესაც ნადგურდება.

ამ რიგად ბოლშევიკური სამოთხე ჯოჯოხეთად გადაიქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ეს არ უნდა დაივიწყოს ოლქის მცხოვრებლებმა, არ უნდა დაუჯერონ ბოლშევიკურ ტკბილ დაპირებებს, ახსოვდენ, რომ ყველაფერს იმას, რასაც ეხლა თავის ფურცლებში სწერენ ბოლშევიკები, პირდებოდენ ისინი უკრაინელებს, თურქესტანელებს და სხვებს, მაგრამ ნაცვლად ყუმბარები და ტყვიები დაუშინეს:

და როცა ძალათ-მაცხონე „მეგობარი“ ბოლშევიკები ტკბილ მუსაიფს დაუწყებენ, უთხრან:

ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებს. ჯერ თურქესტანის და უკრაინის ხალხის სისხლში ამოსვრილი ხელები დაიბანეთ და მეგობრობაზე შემდეგ ვილაპარაკოთო.

ალი.

---

# ბათომის საკითხი.

იტალიურ გაზეთში „Corriere della Sera“ მარტის 27 ნომერში მოთავსებულია შემდეგი სატელეგრაფო ცნობა ლონდონიდან:

„**ბათომი საქართველოსთვის.** მინისტრთა საბჭომ შეიცვალა წინანდელი შეხედულება ბათომისა და მისი ოლქის თაობაზე, ომამდე ბათომი შეადგენდა რუსეთის იმპერიის ნაწილს. ბათომის ბედის გადაჭრა საჩოთირო საკითხად გადაიქცა, რადგან იგი ოსმალეთის ტერიტორიად შეიქმნა. ჯერ ჰფიქრობდნენ საქართველოსათვის დაეტოვებინათ, შემდეგ გაიმარჯვა იმ პროექტმა, რომლის მიხედვით ბათომი საერთაშორისო ქალაქად უნდა გადაქცეულიყო, მის გარშემო ნეიტრალი ზონით, რომ ნავთსადგურად გამოეყენებინათ საქართველოს, აზერბაიჯანს და სომხეთს; ნავთის თავისუფალი ვაჭრობის გარანტით, რომელსაც გაზიდავდნენ ბათომის საშუალებით აღმოსავლეთს ევროპაში.

მაგრამ ახლა საბჭო დაუბრუნდა იმ პროექტს, რომლითაც ბათომი საქართველოს უნდა დაუბრუნდეს, იმ პირობით, რომ სხვა ერებს, რომელთაც ზღვაზე გასავალი არა აქვთ, თავისუფალი ვაჭრობის გარანტია ჰქონდეთ.

ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა, აგრეთვე იმ საკითხებისა, რომელთა შესახებ გარეშე საქმეთა სამინისტროს საბოლოოდ არა აქვს აზრი გამორკვეული, მოხდება სან-რემოს კონფერენციაზე აპრილის 10 ან 12 მოკავშირეთა მთავრობანი მაშინ შეიკრიბებიან ოსმალეთთან ზავის ჩამოსაგდებად.

— აპრილის 14-ს თფილისში მიიღეს შემდეგი დეპეშა: „სტამბოლის გაზეთები იტყობინებიან: ანტანტის მარტის 21-ის დადგენილება გაუქმდა, ბათუმის ოლქი უერთდება საქართველოს, მაგრამ იმ პირობით, რომ სომხეთმა და აზერბეიჯანმა ისარგებლონ ბათუმის ნავსადგურით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაიკარგა

უშანგი ფსხრიკაძის პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქ. რესპ. ბათუმის საკონსულოსაგან, სამ. საქ. განმ. კომიტ. მოცემული მოწმობა და ისმაილ თევზაძის სავიზიტო ბარათი.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

(უ. 1—1).

## იყიდება

საჩქაროთ როიალი შრეიდერის ფაბრიკის. მისამართი — კუთხე სმეკალოვის და სობოროს ქუჩებისა. ზევითა სართული.

306 (1—1)

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ოთხშაბათი 21 აპრილი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, მელქისედის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ.“ რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 300 მან. |
| 2 თვით | 200 მან. |
| 1 თვით | 100 მან. |

№341 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №341

## განცხადება
### ბათუმის ქალაქის გამგეობისაგან

ბათუმის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომლებიც ქ. ბათუმში სხვა და სხვა ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობენ (მუშები, ბარგის გადამზიდავნი), რომ ამ პირთ აუცილებლათ უნდა ქონდეთ ქალაქის გამგეობისაგან შესაფერი ნებართვა და ნომრები (ბლიახები). ამისათვის ამ პირებმა არა უგვიანეს ამა 1920 წლის 25 აპრილისა უნდა მიიღონ ქალაქის გამგეობისაგან ხსენებული მოწმობები და ნომრები. იმ პირთ კი, ვინც დასახელებულ დრომდე არ აიღებენ ნებართვას, წაერთმევათ უფლება სხვა და სხვა ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობისა.

308. (3–1). ბათუმის ქალაქის გამგეობა.

---

## პირველ ხარისხოვანი რუსულ-აზიური საკანდიტერო
### ნ. ა. ცინცაბაძისა.

თბილისის ქუჩა №19 „ეულეზნი“ თეატრის გვერდით.
მოიპოვება ყოველივე საკანდიტეროს საქონელი
დამზადებული გამოცდილი ოსტატების და თვით
ხაზეინის ხელმძღვანელობით.
ვღებულობთ ზაკაზებს.

271. (10-10)

---

## რა საშვალებით გვებრძვიან ჩვენი მტრები.

ჩვენი მტრები არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ ჩვენი ქვეყანა დაღუპონ. ადერბეიჯანის, ოსმალეთის ავანტიურისტების, დენიკინელების და ბალშევიკების აგენტები შეერთდენ, რომ მათი ბნელი განძრახვები სისრულეში მოიყვანონ. მათი უმთავრესად სამოქმედო გეგმა კი ის გახლავთ, რომ ჩვენი ხალხი რამეფრათ ჩამოაშორონ საქართველოსთან ერთობას. ამ მიზანს ხელი-ხელ ჩაკიდებული ემსახურებიან ზემოთ ჩამოთვლილი ძალების აგენტები. ამ მიზნისათვის ხურჯინებით არიგებენ ფულებს როგორც ადერბეიჯან-ქემალ-ფაშას აგენტები, ისე „დიდი რუსეთის“ მოციქულები — ბალშევიკები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ყელზე დაადგათ ამ ვაჟბატონებს და თავისი ბნელი ფულებით აყვირებენ მოსყიდულ ნაძირალებს: არ გვინდა საქართველო. მათ კარგად იციან, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს განუყრელი ნაწილია; კარგათ იციან, რომ ერთად-ერთი დემოკრატიული ძალა, რომელიც გააქრობს ჩვენში ანარქიას, დაამკვიდრებს წესრიგს და მისცემს ხალხს თავისუფლათ განვითარების საშვალებას, — ეს საქართველოა. იციან ამ ვაჟბატონებმა, რომ როცა ჩვენი მხარე ავტონომიურათ გაერთიანდება, დედა-სამშობლო საქართველოსთან, მაშინ გაქრებიან ყოველ ჯურის ავანტიურისტები, გაქრებიან მოსყიდული აგენტები, ვინაიდან მაშინ ბნელ პიროვნებათ ფეხქვეშ გამოეცლებათ თავის ბნელ საქმეების საკეთებლად ნიადაგი. და აი, ეს აგენტები ყოველნაირათ ცდილობენ, რომ შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები, ამღვრიონ წყალი და მასში ადვილათ იჭირონ მსუქანი თევზები.

როგორც ვთქვით, ამ მიზნისათვის არავითარ საშვალებას არ ერიდებიან ეს ვაჟბატონები. ყველასთან კრავენ კავშირს, ვინც კი ამ მიზნისათვის გამოადგებათ. აშკარათ მეგობრობენ ავაზაკებსაც კი, რომელთაც პირდებიან: ნება გექნებათ რამდენიმე დღის განმავლობაში ძარცვოთ ბათუმიო.

ბათუმის ოლქის ყოველ კუთხეში შეხვდებით ჩვენი ქვეყნის ამ მოსისხარ მტერთ. ყველგან გადაგებორკებათ ადერბეიჯანის და მუსტაფა-ქემალ ფაშის აგენტები, იმ ქემალ-ფაშის, რომელსაც ოსმალეთის მთავრობა თავის ქვეყნის მოღალატეთ თვლის და შეიხულ-ისლამი წყევლა-კრულვით იხსენიებს, ფეტვას სცემს, რომ როგორც ქემალ-ფაშა, ისე მისი აგენტები და მისი კარისკაცები ოსმალეთის საშინელი მტრები არიან, რისთვისაც ყოველმა ჭეშმარიტმა მუსლიმანმა ისინი სიკვდილით უნდა დასაჯოსო. დიახ, ბათუმის ოლქის ყოველ კუთხეში გადაებორკებით ამ ვაჟბატონებს, მარა განსაკუთრებით

ბლომათ დაგროვდენ ისინი ქ. ბათუმში, ქობულეთის რაიონში და სოფელ ორთაბათუმში.

და შეუდგენ კიდეც თავისებურათ თავის ბნელი საქმეების კეთებას. თუ რაგვარი საქმეებია მათი ბნელი საქმე, ამას ნათლათ ამტკიცებს შემდეგი ფაქტები:

სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების უპირველესი დანიშნულებაა ჩვენ ხალხში მშობლიურ ენაზე სწავლა-ცოდნის შეტანა. ჩვენი მხარე უპირველესათ ყოვლისა საჭიროებს სწავლა-ცოდნას. და აი, სწორედ ამ მეტად დიდ საჭიროებას მიაქცია ყურადღება საქველმოქმედო საზოგადოებამ. მან გახსნა სკოლები ჩვენი მხარის სხვა და სხვა სოფლებში. მარა ბნელი პირები, ადერბეიჯანქემალის აგენტები ამ გარემოებამ დიდათ აღაშფოთა. მათ განიძრახეს ჩაქრობა იმ ლამპარისა, რომელიც გზას უნათებს ჩვენ ახალ თაობას. მათ განიძრახეს ამ სკოლების მოსპობა. ბევრ ალაგას ეს შესძლეს. მარა ვერ შესძლეს ეს სოფელ ხუცუბანში და ორთაბათუმში და მიმართეს შემდეგ საშვალებას:

ორთა-ბათუმის ბნელმა პირებმა დენიკინელების და ადერბეიჯანის აგენტების ჩაგონებით თხოვნები აფრინეს დენიკინელ ზაჩინიაევთან (ბათუმის ოლქის ყველა სკოლების ინსპექტორია), რომ ვითომ საქველმოქმედო საზოგადოების ორთა-ბათუმის სკოლის მასწავლებლები ძალათ მიათრევენ სკოლაში ბავშვებს, რომ თითქო ეს მასწავლებლები საქართველოს მთავრობის სასარგებლო აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან. დენიკინელ ზაჩინიაევმა, დიდათ აღტაცებულმა ასეთი თხოვნებით, თავისებური დასკვნით ეს თხოვნები ინგლისის აქაურ მთავრობას წარუდგინა. ამ უკანასკნელმაც მყის აფრინა კაცი გამოსაძიებლათ, რომელიც შემდეგ დასკვნას დასდგომია: ვითომ მცხოვრებლებს ქართული სკოლა არ სურდეთ და ამისათვის მათთვის ორთა-ბათუმში უნდა გაიხსნას რუსული სკოლა.

დენიკინელმა ზაჩინიაევმა ამით თავის მიზანს მიაღწია, მარა რა მოიგო ნეტავ ამით დაბრმავებულმა ადერბეიჯანმა.

ამ რამდენიმე დღის წინათ ხუცუბნის სკოლას თავს დასხმია შეიარაღებული ბრბო, რომელსაც უტიფრათ განუცხადებია, რომ ქართულ სკოლას ისინი ვერ მოითმენენ, რომ სკოლის შენობა და ყოველივე ქონება უნდა გადაეცეს მათ და ისინი მოიყვანენ სკოლაში ადერბეიჯანელ მასწავლებელს. თუ ეს არ შეგისრულებიათ ამ მცირე ხნის განმავლობაში (დაუდვიათ ვადა), მაშინ ყველას ამოგწყვეტთო.

ვისი საქმეა ეს? ვინ შეაიარაღა ეს ყაჩაღები? ვის სურს ადერბეიჯანელ მასწავლებლის მოყვანა?

ცხადია, თუ ვისი ხელი მოქმედებს აქ. ცხადია, თუ ვინ ამოქმედებს ამ ბრბოს.

სკოლის შენობა, მთელი ქონება ამ სკოლებისა სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების კუთვნილებაა.

ჩვენი მტრების მიერ მოსყიდული ბრბო კი აცხადებს, რომ ძალით უნდა მივისაკუთროთ ეს ქონება და თან იმუქრება: ამოგწყვეტავთო!

ეს ხდება მეოცე საუკუნეში. და ხდება ეს იქ, სადაც ინგლისის ოკუპაციაა გამოცხადებული. ჩვენ არ ვიცით, მიიღებს ამ ძალადობის შესახებ სათანადო ზომებს ინგლისის სარდლობა თუ არა. მხოლოდ ის კი დანამდვილებით ვიცით, თუ ვინ ბრძანდება ის, ვინც ამ ბრბოს აიარაღებს, ამოქმედებს და აავაზაკებს.

მან კარგად იცის, რომ ჰამშარეთის სკოლა ხუცუბანში ვერ გაიხსნება, კარგად იცის, რომ ამით ისარგებლებენ დენიკინელი ზაჩინიავები და მცხოვრებლებს რუსულ სკოლას გაუხსნიან, მარა ავაზაკების უკან მდგარი ვაჟბატონები ფიქრობენ, რომ ასეთი საშვალებით ხალხს საქართველოს აძულებენ და ჰგონიათ, რომ ამით ჰამშარეთის საქმეს აკეთებენ!...

აი რა საშვალებით გვებრძვიან ჩვენ ჩვენი მტრები. განა შეიძლება, რომ ეს ოდესმე დაგვავიწყდეს? არასოდეს.

---

# ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ პარასკევს, 23 აპრილს სამუს. საქარ. განმათავისუფლებელ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია სამ. საქართველოს მეჯლისის ყრილობა.

◆ სამშაბათს, 20 აპრილს რკინის თეატრში სახელმწიფო თეატრის მსახიობთა მიერ ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით მისი 25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა „მედეა“.

◆ მომხმარებელ საზოგადოების წევრთა კრებამ 1919 წლის მოგებიდან პროფ. კავშირთა საბჭოს შესწირა სამი ათასი მანეთი, ქალაქის წიგნთ-საცავ სამკითხველოს წიგნების სახით — 10,000 მანეთი, გარადოკის და ბარცხანის სამკითხველოს ორი-ორი ათასი მანეთი.

◆ 19 აპრილს დილით სისრულეში მოიყვანეს სამხედრო სასამართლოს განაჩენი. დახვრეტილ იქნენ: ს. ხუჩუა, ი. ბერიძე, პ. გვალია, კ. სანიკიძე და ფ. ცაგურია. ვ. გვალიას სასამართლომ 10 წლის ციხე მიუსაჯა. ვ. ჯალაღანია სრულიად უდანაშაულოთ იქნა ცნობილი და სასამართლომ გაანთავისუფლა.

◆ დატუსაღებულ იქნა ოგადჟიანი, რომელმაც სარქისიანს ჯიბიდან საფულე ამოაცალა.

◆ „ბორჟომის“ ნომრებში საბუნჯიანმა რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა კოსტიკოვი, რომელიც საავადმყოფოში წაყვანამდე გარდაიცვალა.

◆ პონტიის ბერძენთა ეროვნული საბჭო ენერგიულად მუშაობს ლტოლვილ ბერძნების სამშობლოში გაგზავნის შესახებ, ეროვნული საბჭო ამჟამათ იხილავს საკითხს კავკასიაში მცხოვრებ ბერძენთა საბერძნეთში გადასახლებისას.

◆ პროფ. კავშ. საბჭოსთან არსებული სცენის მოყვარეთა წრე მაისის პირველ რიცხვებში მართავს კონცერტ-კაბარეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ბათუმის შრომის ბირჟაში 19 აპრილს ჩაეწერა 26 უმუშევარი, მათ შორის ორი ქალი.

◆ 19 აპრილს დილის 4 საათზე ავანეს მაგეოზიანის ბინიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 110 ათას მანეთად.

◆ უდროვო დროს ქუჩაში გამოსვლისათვის დატუსაღებულ იქნა ალათი კრავჩენკო და ა. აჯუნუევი.

---

# ნერილი ქობულეთიდან.

ჩვენი ქვეყნის მტრები, რომლებიც უცხო სახელმწიფოების მიერ არიან მოსყიდულნი ჩვენი მხარის სამუდამოთ დასაღუპავათ, ბოროტათ სარგებლობენ ერთი შემთხვევით: ხალხში ავრცელებენ ცრუ ხმებს, რომ თითქო სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის ქობულეთის განყოფილების ზოგიერთ წევრებს ხელი აელოთ თავის პროგრამაზე და ეს თითქო ფიცითაც დაედასტურებინოთ.

რომ ამ სიცრუეს ძირშივე მოეჭრას ფესვები, ჩვენ საჭიროთ ვცნობთ გამოქვეყნებულ იქნას ჩვენ გაზეთში ანგარიში იმ კრებისა, სადაც მართლა ქონდა ადგილი ფიცს, მარა არა ისეთს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის გამყიდველები ავრცელებენ.

ეს კრება მოხდა დაბა ქობულეთში ამა წლის 9 მარტს. კრებაზე თავმჯდომარეობდა ხუსეინ-ალა დოხჭიროლი. ამ კრებაზე მიწვეულნი იყვნენ სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელ კომიტეტის ქობულეთის განყოფილების თავმჯდომარე მემედ გოგიბერიძე, წევრები ხოჯა ისკანდერ ეფენდი ცივაძე, მემედ-ალა ჭყონია და მურად კაიკაციშვილი. კრების თავმჯდომარე ხუსეინ-ალა დოხჩიროღლიმ და მისმა ამხანაგმა ხოჯა ხახუტოღლიმ წინადადებით მიმართეს ს. ს. გ. კომიტეტის თანამშრომლებს, რათა მათ ფიცი მიეღოთ, რომ ისინი არ ულალატებენ მუსლიმანობას, ხელს არ შეუშლიან მათ (სედაი მილეთლებს) მუშაობაში და არ გაიზიარებდნენ საქართველოს პოლიტიკას. ხოჯა ისკანდერ ეფენდი ცივაძემ ასეთ წინადადებაზედ უკმაყოფილება გამოსთქვა და მათ შემდეგი უპასუხა:

ზედმეტათ მიმაჩნია იმ ფაქტების აღნიშვნა, თუ რა ტრაგედია განიცადა ჩვენმა ხალხმა ისეთ პირებისაგან, რომლებმაც თავიანთი ბნელი ძრახვების განსახორციელებლათ და პირადი ბედნიერებისათვის ჩვენი ქვეყანა განადგურების კარამდე მიიყვანეს. ვეჭვობ დღესაც, რომ წარსულის მაგალითი კიდევ არ განმეორდეს ჩვენში ხუთჯერ უფრო მწვავეთ, ვინაიდან ჩვენს ხალხს კვლავ ევლინებიან ისეთი პირები, რომლებიც დახელოვნებულნი არიან მშრომელ ხალხის გაყვლეფაში, რომლებსაც არავითარი ინტერესები არ აკავშირებს ჩვენ ხალხთან და მისი ინტერესების დაცვა არ სჩვევიათ. ჩვენ გამოცდილებიდან ვიცით, რომ შექმნილ პირობებში ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის მისაღებია ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ. ჩვენ ვერ ვპოვეთ უკეთესი გზა, გარდა საქართველოსთან ფართე ავტონომიურათ შეერთებისა. თქვენ ამბობთ, რომ ჩვენი პროგრამა უკეთესიაო, და მით უპირებთ ჩვენს ხალხს ვითომდა გაბედნიერებას. თქვენ ეს საქმით უნდა დაამტკიცოთ.

თქვენი დღევანდელი მოქმედება კი წინააღმდეგს გვიმტკიცებს... მე ფიცსა ვდებ, რომ იმათ, რომლებიც ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის მუშაობენ, ხელი არ შეუშალო... რაც შეეხება სარწმუნოებას, ვფიცავ, რომ არც მიღალატია და არც ვულალატებ...

ხ. ისკანდერ ეფენდი ცივაძის ფიცის შემდეგ „ს. მილ". თავმჯდომარე ხუსეინ-ალა დოხჩიროღლი მიმართავს მემედ-ეფენდი გოგიბერიძეს ასეთივე წინადადებით. მ. გოგიბერიძე ამბობს: დეე განვიგმირო მტრის მახვილით, აწიოკდეს ჩემი ოჯახი თუ ოდნავათაც შევსცვალო ის იდეა, რომელსაც მე ვემსახურები. ფიცს ვსდებ არ ვუღალატო სარწმუნოებას, მაგრამ ამავე დროს კიდევ ვფიცავ, რომ არ ვუღალატებ ჩვენს ხალხს და სიკვდილამდი ვიბრძოლებ იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი ხალხის შეუგნებლობით სარგებლობენ, ვინც ცბიერებითა და მოქარგული სიტყვებით უმასპინძლდება ჩვენს ხალხს და ნამდვილათ კი სამარეს უთხრის და დაღუპვისაკენ ერეკება მათ.

ეს თქვენ ადრესზეა თქმული, ბ-ნო „სედაი მილეთის" ლიდეროო, — ამბობს ბ-ნი გოგიბერიძე. — მე არ ვუსაყვედურებ არც ერთ ჩემ ძმებს, რომლებიც შეუგნებლობით თქვენ კალთას შემოფარებია, მარა მე გამოვთქვამ ჩემ გულისწყრომას თქვენ შესახებ და უარვყოფ თქვენ ავანტიურისტულ გზას.

კრების თავმჯდომარე „სედაი მილეთელი" დოხჭიროღლი აცხადებს, რომ ჩვენ სულ მოკლე ხანში დავუმტკიცებთ ყველას, რომ ჩვენც შეგვწევს უნარი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისაო. გოგიბერიძე ამას ოცნებას უწოდებს და აძლევს გარანტიას, რომ ის ხელს არ შეუშლის „სედაი მილეთლების" მუშაობას თუ ისინი განახორციელებენ იმას, რასაც ამბობენ, ე. ი. ოცი დღის განმავლობაში თუ განახორციელებენ შემდეგ პუნქტებს: 1) თუ არა საქართველოსი არ მიიღებენ არც ერთ სახელმწიფოს პროტექტორატს. 2) მოახდენენ საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარული კენჭის ყრით არჩევნებს და შექმნიან ამ გზით არჩეულ მთავრობას. 3) დაუყონებლივ ჩაიბარებენ ადმინისტრატიულ და სხვაგვარ მართვა-გამგეობას. 4) გამოიყვანენ ყველა ქართველ მუსლიმანებს სამსახურიდან, რომლებიც ითვლებიან დენიკინელების და სხვა უცხოელების დამქაშებათ. 5) დენიკინელ სამხედრო პირებს, რომლებსაც უჭერიათ ჩვენში სხვა და სხვა პუნქტები, გამოუცხადებენ სასტიკ პროტესტს. 6) შესწყვეტენ ყოველივე კავშირს იმ აგენტებთან, რომლებიც გამოგზავნილი ყავთ ჩვენში ადერბეიჯანის მთავრობას, ოსმალეთის ავანტიურისტებს, დენიკინელებს და ბალშევიკებს.

მემედ გოგიბერიძე მიმართავს „სედაი მილეთლებს" და ეუბნება: თქვენ ამბობთ, რომ ყოველივე ამას შეასრულებთ ოცი დღის განმავლობაში. დაიმახსოვრეთ, რომ დღეს 9 მარტია. მაშასადამე 29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტს თქვენ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს აასრულებთ. და თუ მართლა ხსენებულ დროის განმავლობაში თქვენ თქვენს დაპირებას შეასრულებთ, მე სიტყვას გაძლევთ, რომ მე თქვენთვის არავითარი ხელის შემშლელი არ ვიქნები.

„სედაი მილეთლები" სიტყვას იძლევიან, რომ ოცი დღის განმავლობაში შეასრულებენ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს.

ამის შემდეგ კრება დაიშალა.

ქობულეთელი.

# მ ა ხ ნ ო.

უკრაინის ციხეს, ყოველთვის და ყველას ბატონობის დროს მახნო სტეხს შიგნიდან. საოცარი პიროვნებაა მახნო. მის უკრაინულ უსაზღვრო მინდორულ გონებაში ყველაფერი ეტევა!.. დღემდის უცნობია ყველასათვის თუ რა მრწამსის კაცია მახნო და რაა მისი უახლოესი კონკრეტული მიზანი. მახნო ეკატერინოსლავის გუბერნიიდან სოფ. გულაიპოლედან არის, განათლების სახალხო მასწავლებელი. 1918 წ. მახნო უკრაინულ სახალხო რესპუბლიკის გამპიროვნებელ პეტლიერასთან ერთად ეკვეთა გეტმან სკოროპადსკის და პეტლიურას დაამხობია იგი.

მაგრამ ორი თვის შემდგომ ამ ამბის მერე მახნო აუჯანყდა პეტლიურას, თავის ფრთებში გადააფარა ცნობილ გლეხურ რაიონს ეკატერინოსლავის გუბერნიას და იწყო ამბოხების გაფართოება. ამავე წელს დირექტორიის გაქცევის აქეთ მახნო ორი თვე მოსკოვის კომუნისტებთან იყო. უკრაინის საბჭოთა მთავრობისათვის 1919 წ. მარტში მახნო უნიჭიერეს სარდლად და უერთგულეს კაცად ითვლებოდა.

მაგრამ მახნომ არ დაივიწყა ორგანიული ჩვეულება, იგი ალუდგა საბჭოთა მთავრობას, გავიდა სოფლად და დაარღვია შარშანვე მოსკოვის განყოფილების კრაკოვსკის მთავრობის მაგარი ზურგი. ამ დროს მახნოში თითქოს ეროვნულ დამოუკიდებლობის შემეცნებამ გაიმარჯვა; იგი უცებ მიემხრო „სამოსტინიიკებს" და დაიწყო ომი დირექტორიის ალსადგენად...

დენიკინის უკრაინაში გამარჯვებამ მახნო კვლავ მოსკოვისკენ გადახარა. თავის პარტიზანულ რაზმებით იგი 1919 წ. დიბენკოს გვერდით იბრძოდა, მაშინ ყველამ დაიჯერა რომ მახნო ახლა საბოლოოდ გამოერკვაო, მაგრამ შეცდენ, ამ ჟამად მახნო ისევ განზე გამდგარა მან გამარჯვებულ ბოლშევიკებს ფრონტი გაუმართა ზურგში, იგი ახლა თავისთვის არის მარტო, ჰფლობს ქ. ეკატერინოსლავს. ბოლშევიკებისათვის უდიდესი უბედურებაა მახნოს ამბოხება, მახნო მოსწყვეტს მოსკოვიდან კავკასიისკენ წამოსულ წითელ ჯარს, მახნომ დააბანდა ცნობილ ბუდენის კავალერია. მახნო მეტად უბრალო კაცია, მოხერხებული მოლაპარაკე და ნიჭიერი ორგანიზატორი. მახნო გლეხებს ყველგან უყვართ, მისი ლოზუნგი იმ თავიდანვე იყო „მთელი ძალა უფლება და მიწა მშრომელ ხალხს". სოც. რ-ბი მახნოს ერთხანს თავის კაცად სთვლიდენ. მოქმედებაში მახნო საოცარ სისწრაფეს იჩენს, მას აგრეთვე ახასიათებს ხალხის სულიერი დატყვევება-გავლენის მოხდენა.

გლეხები თავს იყრიან, მახნო მიდის, სიტყვას ამბობს, გლეხები მახნოს ერთგულებას ეფიცებიან!.. მახნოს 1919 წ. აღმერთებდენ გლეხები, თუმცა ამ კაცს არავითარი სარგებლობა არ მოუტანია არც გლეხებისათვის და არც უკრაინისათვის, გარდა იმისა, რომ ერთ ბანკიდან მეორე ბანკში გადასვლა-გადმოსვლით ის იკლებდა და აწიოკებდა ამა თუ იმ კუთხეს: მახნო გვაგონებს ატამან გრიგორიევს, რომელიც დიდი მეომარი იყო, მაგრამ დღეში ოცდაათი პარასკევი ჰქონდა: ხან დირექტორიას ეხმარებოდა და ხან კიდევ მოსკოვს. გრიგორიევი უპრინციპობის მსხვერპლი შეიქმნა, როცა მუდმივ ღალატებით გავარჯიშებულმა თვით თავის ჯარში შეიყვანა მოღალატე გრიგორიევი: მოჰკლა თავისივე თანამეომარმა, რომელიც განრისხდა გრიგორიევის გაუთავებელ მოღალატეობით.

ჯერ-ჯერობით მახნოს ცხოვრების შინაარსიც ასეთ ბოლოს იმზადებს.

ი. დიდიძე.

# რა ხდება უცხოეთში.

## ა დ ე რ ბ ე ი ჯ ა ნ ი.

### კაბინეთის გარშემო.

როგორც ვიცით სოციალისტ მინისტრებმა საფიკურდსკიმ (ესერი) და პეპინოვმა (ს. დ.) განცხადება შეიტანეს ადერბეიჯანის მინისტრთა საბჭოში მთავრობიდან გასვლის შესახებ. ამით გამოწვეულ მდგომარეობის შესახებ გაზ. „ბაკინსკოე სლოვო"-ში შემდეგი ცნობებია მოთავსებული: „მუსავატი" გულდასმით იხილავს საკითხს კაბინეთის შესახებ. პარტიაში ალაგი აქვს ორ მიმდინარეობას: ერთი მოითხოვს დათმობას ოპოზიციისათვის; მეორე კი ჰკიცხავს ოპოზიციას, რომელიც მინისტრების პოსტს სტოვებს ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში და მოითხოვს, რათა შედგენილი იქნას კაბინეთი მხოლოდ „მუსავატის" პარტიის წევრებისაგან. („ბაკ. სლ".).

**ბაქოს ქალაქის ბიუჯეტი.** 1920 წლის ხარჯთ აღრიცხვაში შედის ქალაქის დეფიციტი გასულ წლიდან, რომელიც 43 და ერთ მეოთხედს მილიონ მანეთს უდრის. ქალაქის შემოსავალი მიმდინარე 1920 წელში ნაანგარიშებია 186 ნახ. მილ. მ.; გასავალი 320 ნახ. მილ. მან.; დეფიციტი იქნება 134 მილ. მ.; ეს დეფიციტი 879 ჯერ მეტია 1901 წლის დეფიციტზე, 135 ჯერ 1916 წლისაზე და 4,4 ჯერ 1919 წლის დეფიციტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოსმალეთი.

### მთავრობა და ქიმალფაშა.

ოსმალეთის მთავრობამ გაგზავნა ანატოლიაში განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მოლაპარაკება გამართოს მუსტაფა ქიმალ ფაშასთან და აიძულოს უკანასკნელი დაემორჩილოს ცენტრალურ მთავრობის დირექტივებს.

## ლიტვა.

### მიწის კანონი.

საადგილ-მამულო რეფორმათა კომისიამ გამოიმუშავა კანონპროექტი მიწის შესახებ, რომელიც მომავალმა დამფუძნებელმა სეიმმა უნდა დაამტკიცოს და რომლის ძალითაც მიწის დატოვების მაქსიმუმი ნორმა 50 დესეტინით განისაზღვრება.

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ხუთშაბათი 22 აპრილი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | | |
|---|---|---|
| 3 თვით | ............................ | 300 მან. |
| 2 თვით | ............................ | 200 მან. |
| 1 თვით | ............................ | 100 მან. |

№342 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №342

## განცხადება
### ბათუმის ქალაქის გამგეობისაგან

ბათუმის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომლებიც ქ. ბათუმში სხვა და სხვა ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობენ (მუშები, ბარგის გადამზიდავნი), რომ ამ პირთ აუცილებლათ უნდა ქონდეთ ქალაქის გამგეობისაგან შესაფერი ნებართვა და ნომრები (ბლიახები). ამისათვის ამ პირებმა არა უგვიანეს ამა 1920 წლის 25 აპრილისა უნდა მიიღონ ქალაქის გამგეობისაგან ხსენებული მოწმობები და ნომრები. იმ პირთ კი, ვინც დასახელებულ დრომდე არ აიღებენ ნებართვას, წაერთმევათ უფლება სხვა და სხვა ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობისა.

308. (3-2). **ბათუმის ქალაქის გამგეობა.**

## მოკავშირენი.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ბალშევიკების გაზეთი „გოლოს ტრუდა", რომელიც ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირთა იარლიკით გამოდის, სპეციალურათ იმ მიზნით არის დაარსებული, რომ ებრძოლოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. თითქმის ყველა წერილი ხსენებულ გაზეთისა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ლანძღვა-გინებით არის სავსე. აღსანიშნავია, რომ გაზეთი განგებ გვერდს უვლის ინგლისის პოლიტიკის დაფასებას და ამას ჩადის ის მიუხედავათ იმისა, რომ ლენინის მთავრობა მთელ თავის პოლიტიკას აშენებს ინგლისის მიმართ დამუქრებაზე უფრო მეტიც. გაზეთი ქათინაურებს უძღვნის ინგლისის ადგილობრივ სარდლობას.

ჩვენ ბრმა არა ვართ, რომ არ გვესმოდეს, თუ რა გვარი პოლიტიკური ატმოსფერა სურთ აქ შექმნან. ჩვენთვის ცხადია, რომ სურთ გამოიყენონ ყველა ძალები, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ეწინააღმდეგებიან. სურთ შექმნან ილუზია, რომ თითქო მთელი ოლქი, ყველა მცხოვრებლები საქართველოს წინააღმდეგია. ამ მიზნისათვის არ ერიდებიან კავშირი იქონიონ ბალშევიკებთან, სპეკულიანტებთან, ჯემალ ფაშის და ადერბეიჯანის აგენტებთან. ყველასთან კავშირი, ზოგთან ფარული, ზოგთანაც ცხადი, ვინც კი საქართველოს რესპუბლიკის მოსისხარი მტერია.

და ცხადია, რომ ამ მიზნისათვის ბალშევიკებსაც თავზე ხელს აფარებენ, ცხადია ერთს კი არა, მეორე გაზეთსაც გამოაცემინებენ ბალშევიკებს, თუ რომ ბალშევიკები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობას ტალახს ესვრიან. და „გოლოს ტრუდაც" ხომ მხოლოდ და მხოლოთ საქართველოს მთავრობის ლანძღვა-გინებით ერთობა.

ადგილობრივმა ბალშევიკებმა უკვე გამოაცხადა, რომ ბათუმი საბჭოთა მთავრობას, ე.ი. რუსეთს უნდა გადაეცესო. ბალშევიკები და დენიკინელები მხოლოთ და მხოლოთ ერთ მიზანს ემსახურებიან: ეს არის მთლიანი, განუყოფელი რუსეთის აღდგენა. ერთნაირი თავგამოდებით იცავენ იმ იმპერიალისტურ მიზანს როგორც ბალშევიკური „გოლოს ტრუდა", ისე დენიკინური „ნაშ კრაი". ბალშევიკების გაზეთ „გოლოს ტრუდას" რომ სათაური მოაშოროთ, მას „ნაშ კრაისაგან" ვერ გამოიცნობთ.

აქაური ორივე რუსული გაზეთი ერთგვარივე სიძულვილით არის გამსჭვალული საქართველოს მთავრობის მიმართ და მიტომაა, რომ ორივეს ასე ელოლიავებიან და ფართე ასპარეზს აძლევენ.

მარა იცოდენ, რომ ჩვენთვის ეს სრულიადაც არ არის დაფარული. იცოდენ, რომ ჩვენ ბალღები არა ვართ და ასე ადვილათ ვერ გაგვაცურებენ. იცოდენ, რომ რაც არ უნდა ეცადონ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შექმნიან ილუზიას თითქო მთელი ბათუმი და ბათუმის ოლქის მცხოვრებლები საქართველოს წინააღმდეგია. ბათუმმა საქალაქო არჩევნებზე უკვე თქვა თავისი სიტყვა და ეს სიტყვა იყო: ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსთან ავტონომიურათ გაერთიანება. მართალია არჩევნები ჯერ რაც დაუმტკიცებელია, მარა უკვე მომხდარი დიდმნიშვნელობის პოლიტიკური აქტი მისი დაუმტკიცებლობით ვერ წარიხოცება. ვერ გააბათილებს ამ აქტს აგრეთვე ვერც მცხოვრებთა აღწერის შედეგი, ვინაიდან ვინ არ იცის, რომ ჩვენ ქალაქში ბალშე-

ვიკებისაგან გამოქცეული რუსობა ქალაქის მცხოვრებლებათ ვერ ჩაითვლება, ისე როგორც ვერ ჩაითვლებიან ლონდონის მცხოვრებლებათ იქ სტუმრათ მიბრძანებული უცხოელები.

ოლქის მცხოვრებლებმა უკვე თქვეს თავისი სიტყვა და ეს სიტყვაა ის, რაც ქ.ბათუმის მცხოვრებთა დიდმა უმეტესობამ თქვა 20 თებერვალს საქალაქო არჩევნებზე: ე.ი. ბათუმისა და ბათუმის ოლქის საქართველოსთან ავტონომიურათ გაერთიანება.

ვერ გააბათილებენ ამ სიტყვას აგრეთვე ვერც ქემალ-ფაშისა და ადერბეიჯანის აგენტები, რომლებიც თავისუფლათ დათარეშობენ ოლქში.

ვერაფერს დააკლებენ აგრეთვე საქართველოს პოზიციას ვერც „გოლოს ტრუდას“ დელიყანდები, ვინაიდან ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს პროვინციაა და არა სოვდეპიისა. ერთი მუჭა რუსი იმპერიალისტ-ბალშევიკები, რომელთა ლაშქარი თითზე ჩამოითვლება, ვერავის ვერ განუხორციელებენ ფარულ ზრახვებს.

ბოლოს და ბოლოს, რაც არ უნდა ეცადონ საქართველოს მტრებმა, ბათუმს და ბათუმის ოლქს საქართველოს ვერ წაართმევენ. თავიანთი პოლიტიკით ისინი მხოლოდ ერთ რამეს აშკარავებენ, სახელდობრ იმას, რომ ისინი საქართველოსადმი მტრობაში მოკავშირენი არიან ქემალ ფაშის, ადერბეიჯანის და ბალშევიკების აგენტებისა.

ეს ჩვენ ძლიერ კარგად გვესმის და ამასთან გვესმის ისიც, რომ ასეთი პოლიტიკა მის მწარმოებლებს სახეიროს არაფერს უქადის.

---

# ა ხ ა ლ ი  ა მ ბ ე ბ ი.

◆ როგორც თფილისის გაზეთები იტყობინებიან, ინგლისის უმაღლესი კომისარი უორდროპი დროებით გაუწვევია ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ლორდ კერზონს და იგი ამ დღეებში მიდის.

◆ აპრილის 23 ბათუმის ნავთსადგურიდან ევროპას წავა მარსელის ამხანაგობის გემი „ფრიაჟი“, რომელიც საქართველოდან სხვა და სხვა ნედლ მასალას წაიღებს.

◆ 19 აპრილს, საღამოს 10 საათზე რესტორან „შიკი“-ის პატრონ (პეტროგ. ქ. №13) ბარბაკაძეს უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი, რომელითაც მოკლულ იქმნა ივ.ჩხენკელი და ა.აბრამოვი. მიცვალებულები საავადმყოფოში წაიღეს. ბარბაკაძე დატუსაღებულ იქნა.

◆ 20 აპრილს, ქალაქის საავადმყოფოში იყო 70 ავადმყოფი, გადამდებ სენიანთა განყოფილებაში ერთი.

◆ თებერვლის პირველი რიცხვებიდან დღემდე ქალაქის სანიტარულ განყოფილებაში ყვავილის წინაამდეგ აუცრიათ 3000 კაცისათვის.

◆ მაისის პირველ რიცხვებში ბულვარში და პუშკინის სასწავლებლის ეზოში აწყობენ ბავშვებისათვის ბალს. ჯერ ჯერობით ამ მიზნისათვის გადადებულია 200 ათასი მანეთი. ბალში მოეწყობა ლოტო და სხვა ვარჯიშობანი. ბავშვებმა უნდა გადაიხადონ ას-ასი მანეთი.

◆ 20 აპრილს შრომის ბირჟაში ჩაეწერა 22 უმუშევარი, მათ შორის ორი ქალი.

◆ მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორელების დამხმარე ბათუმის კომიტეტი ისევ განაგრძობს შემოწირულების შეგროვებას. კომიტეტი მოთავსებულია ქალაქის თვითმართველობის შენობაში.

◆ 20 აპრილს, ბათუმიდან კონსტანტინოპოლისაკენ წავიდა გემი „იტალია“.

---

# საუბარი იტალიის მისიის მეთაურ პოლკ. გაბბასთან.

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა იტალიის მისიის მეთაურ პოლკოვნიკ გაბბას. იტალიის და საქართველოს დამოკიდებულების შესახებ. პოლ. გაბბამ აღნიშნა, რომ იტალიელებმა თავიდანვე მიზნათ დაისახეს დაემყარებინათ პოლიტიკური და კომერციული ურთიერთობა საქართველოსთან. ამ მიზნისათვის საქართველოში ჩამოვიდა იტალიიდან ჯერ სამხედრო და შემდეგ ეკონომიური მისიები. იტალიის მისიის მუშაობამ საქართველოში, იტალიაში კი საქართველოს მისიის მუშაობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის დამყარდა ეკონომიური ურთიერთობა. იტალიის კომერსანტები გზავნიან საქართველოში თავიანთ საქონელს და სამაგიეროთ ნედლი მასალა გააქვთ საქართველოდან.

დღემდე იტალიის და საქართველოს შორის ვაჭრობას კერძო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, იტალიას მიზნათ აქვს დასახული საქართველოსთან და აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობას მუდმივი და ორგანიზაციული ხასიათი მისცეს. სენატორ კონტის მისიას დაკისრებული ჰქონდა ადგილობრივათ გამოერკვიათ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა და მოემზადებინა ნიადაგი ამ ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებისათვის. სენატორმა კონტიმ გააცნო იტალიის მთავრობის წრეებს საქმის ვითარება და იმედია მინისტრ კანდელაკის მისსია შესძლებს იტალიის მთავრობასთან ამ საკითხის მოგვარებას.

სენატორ კონტიმ შეისწავლა რა საქართველოს და ადერბეიჯანის სამეურნეო ცხოვრება, დარწმუნდა, რომ რკინის გზის ტრანსპორტის საქმე მეტად მძიმე მდგომარეობაში არის, სენატორმა მაშინვე წინადადება მისცა 30 მილიონ სესხის გაღების შესახებ. ამ ჟამად ამის შესახებ სწარმოებს მოლაპარაკება საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობასთან. რაც შეეხება ზღვის ტრანსპორტს, ის შედარებით კარგად სწარმოებს, მოწყობილია პირდაპირი რეისი ბათომიდან კონსტანტინოპოლით ევროპაში.

პოლკ. გაბბამ აღნიშნა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში იტალიის როგორც კომერციული, აგრეთვე პოლიტიკური მხარეები, გაეცნენ საქართველოს და დაინტერესდნენ მით. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა იტალიის მეცნიერმა იმოგზაურა საქართველოში და გაიცნეს იგი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საქართველოს ეკონომიურ მისიის მუშაობას, აგრეთვე ხელი შეუწყო საქართველოს გაცნობას იმ ბროშურამ, რომელიც გამოცემული იყო იტალიურ ენაზე საქართველოს შესახებ.

იტალიის საზოგადოება საქართველოს დიდი სიმპატიით უყურებს. საზავო კონფერენციაზე იტალიის წარმომადგენლები იცავდნენ საქართველოს ინტერესებს. ასევე მუშაობდა ადგილობრივი იტალიის მისია, რაც შეეხება ბათუმის საკითხს, პოლ.გაბბამ განაცხადა, რომ იტალიას ბათომის საკითხის გადაწყვეტა ასე ესმის: იგი საქართველოს უნდა გადაეცეს და ამავე დროს დაცულ უნდა იქნას სომხეთის და ადერბეიჯანის ინტერესებიც არავითარი ოფიციალური ცნობა ბათომის შესახებ არ მიუღია იტალიის მისიას. პოლკ. გაბბას აზრით სწორეა ის ცნობა, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „კორიერე დელა სელაში“ საბოლოვოთ ბათუმის საკითხი გადაწყდება სან რემოს კონფერენციაზე, რომელიც შესდგება ნიტტის თავმჯდომარეობით. კონფერენცია გაიხსნა 19 აპრილს. პოლ. გაბბას აზრით უმაღლეს საბჭოს მიერ აზრის შეცვლა ბათუმის შესხებ აიხსნება მით, რომ კონფერენცია დარწმუნდა ხალხთა ლიგა ვერ მოუვლიდა ბათუმს. ლიგას მოუხდებოდა ამა თუ იმ პატარა სახელმწიფოებთან შეტაკება. აგრეთვე ამ საკითხში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც გამოიხატა 19 მარტის დემონსტრაციებში.

(„ერ—ბა“.)

---

# მუშის წერილები.

## ასოთ-ამწყობთა პროფ. კავშირი და ბაგრატოვები.

ბათუმის ასოთ-ამწყობთა პროფ. კავშირში ამჟამათ 50-60 კაცი ითვლება წევრათ. უმრავლესობა ამათგან ქართველობაა, რომელთა შორის ათამდე ქალიშვილიც არის. კავშირის მუშები ორ ჯგუფათ არიან გაყოფილნი. პირველ ჯგუფს ნ.ბაგრატოვი მეთაურობს და კავშირის საქმეებიც მათ ნება სურვილზე კეთდება, კავშირის გამგეობას ბაგრატოვები განაგებენ. რას ემსახურება ეს ჯგუფი? რატომ არის რომ ისინი გამგეობაში არიან გაბატონებულნი? ბაგრატოვი ყოფილი სოც. რევოლიუციონერია. როცა დენიკინი მოსკოვის კარებთან იდგა და ყოველდღიური გამარჯვებით მადა გახსნილი მეფის გვირგვინს დღე დღეზე მოელოდა, ბაგრატოვი აქ ოფლის წურწურით დარბოდა სტამბიდან სტამბაში და ბათუმის დასაპყრობათ გამზადებულ დენიკინელებისათვის ახალი გაზეთის გამოცემის საქმეს ანწყობდა... მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა... და ბაგრატოვმა ფრონტი იცვალა. დენიკინს ვერ უშველა ბაგრატოვების „რეჩებმა“ და მირთმეულმა სადღეგრძელოებმა. ისინი დამარცხდენ და ბაგრატოვებმაც სულ სხვა ჰანგზე დაიწყეს მღერა. გუშინ დენიკინელთა ერთგული მეგობარი ბაგრატოვი დღეს ბალშევიკების ქურქ-წამოსხმული მოგვევლინა. გუშინ მეფის გენერალთა ჩექმების მკოცნელ ბაგრატოვს დღეს ბალშევიკთა წყებაში ვხედავთ და ამ ვაჟბატონს ზურგს უმაგრებს კავშირის წევრ რუსთა უმრავლესობა.

ბალშევიკთა ინტერესები მოითხოვს პრ. კავშირებში თავისი კაცები იყოლიონ და მით თავიანთი პარტიული საქმეები გამოაჭახრაკონ. იჭვი არ არის, ბალშევიკურ პროკლამაციებისა და გაზეთის ბეჭდვის საქმეში ასოთ-ამწყობი ბაგრატოვი დიდ ენერგიასაც გამოიჩენს. რომ მუშათა ნაოფლარი ფულებით ბალშევიკებმა ხელი მოითფონ და ზურგიც მოიმაგრონ მათი პროფ. კავშირებში გაბატონება უცილებელი საჭირო იყო. ასოთ-ამწყობთა პრ.კავშირში ბალშევიკებმა ეს შესძლეს, კავშირის გამგეობას ბალშევიკ-დენიკინელი ბაგრატოვები დაეპატრონენ... თუ ასოთ-ამწყობთა პროფ.კავშირში ბაგრატოვები უმრავლესობას არ შეადგენენ, როგორ აირჩია ისინი კავშირის წევრებმა გამგეობაში? აი, უმთავრესი კითხვა, რომლის გამორკვევა ძლიერ საჭირო და აუცილებელიცაა.

ბაგრატოვები საქმის ხალხია. პარტიული ინტერესები იმდენათ გამჯდარი აქვთ ძვალსა და რბილში, რომ მისი კეთილდღეობისათვის არავითარ საშვალებას არ დაერიდებიან. ას-ას პროცენტობით ჯამაგირების მომატება, აი რით იმხრობენ ბაგრატოვები მუშებს. ხდება საზოგადო კრება გამგეობის ასარჩევათ. ბაგრატოვები კრებას არ აკლდება. არჩევნებში ერთ ხმასაც არ კარგავენ, მეორე ჯგუფი კი ზოგი სულ არ მოდის კრებაზე და თუ მოდის უმთავრესად თავს იჭერენ, (ნეიტრალიტეტს იცავენ“) გამგეობაში ბაგრატოვები გადიან. კავშირის საქმეებს თავის გემოზე აწყობენ... ვრცელდება ხმები: ბაგრატოვებმა კავშირის ფულები გაფლანგეს, საქმეები არივ-დაირიესო. სარევიზიო კომისია ახდენს რევიზიას, იწყება გამოძიება... ირკვევა, რომ შემოსვალ გასავლის წიგნი და ფულის ანგარიშები „ვილაცას“ მოუპარავს... კასაში მხოლოდ 4 მან.50 კაპ. დარჩენილა. რამდენი მანეთი გაფლანგეს ბაგრატოვებმა? რამდენი ბოროტება ჩაიდინეს ამ ვაჟბატონებმა? დაწვრილებით საქმის გამორკვევა არ მოხერხდა... კავშირის წევრებში უკმაყოფილება მატულობს... ისმის მრავალი საყვედურები... ყველა დარწმუნებულია, რომ ფულების გაფლანგვის შემდეგ ბაგრატოვებმა წიგნები გადამალეს... რა განაჩენი გამოაქვს ამის შესახებ საზოგადო კრებას? კრებამ ხაზინადარი გადააყენა და ბაგრატოვები ისევ გამგეობაში დასტოვა...

კავშირის თითეული წევრი 160-180 მანეთს იხთის თვეში საწევრო გადასახადს. ლუკმას იკლებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი კავშირის კეთილდღეობისათვის საშვალებას არ ზოგავს. რას ხმარდება მერეთ ეს ფულები? ვინ განაგებს მას? — „ჭინჭიანი თაგვები“ აი, რა გამოირკვა საზოგადო კრებაზე.

ბაგრატოვები არც სხვა საშვალებებს ერიდებიან და თუ რამე გადაურჩათ პარტიული საქმეებისათვის იყენებენ ბალშევიკურ გაზეთ „გოლოს ტრუდას“ პროფ. კავშირის ორგანოთ ასაღებენ და ისედაც ღარიბ და გაძარცულ კავშირის კასიდან უკანასკნელ გროშებს ბალშევიკური გაზეთის გამოცემის საქმეში ხარჯავენ. იცის თუ არა ეს კავშირის წევრებმა? რათ არ ამოიღებენ ხმას ბაგრატოვების წინააღმდეგ? სანამ უნდა გაგრძელდეს ასე? არა ბაგრატოვებს პირში წყალი დაუგუბავთ და თითქო ზეციდან მოელიან ხსნასო, ბაგრატოვები კი, ყველა ამით გათამამებულნი, მეტის ენერგიით განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმეებს.

რა ეშველება ასეთ კავშირს?

(შემდეგი იქნება.)

კავშირის წევრი X.

---

## კოოპერატივ მომხმარებელი საზოგ. წევრთა წლიური საზოგადო კრების გაგრძელება.

კვირას, 18 აპრილს დილას 11 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში მოხდა მომხმარებელი საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრების გაგრძელება, კრებას დაესწრო 125 კაცამდე. თავმჯდომარეობდა ონ. რამიშვილი, მდივნობდა კულიშერი, დღის წესრიგში განსახილველი იყო შემდეგი საკითხები:

1) 1919 წლის მოგებათა განაწილება, 2) 1920 წლის ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცება, 3) გამგეობის ერთი წევრის, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატების არჩევნები.

უმთავრესად კამათი გამოიწვია 1919 წ. მოგების განაწილებამ, რომელიც უდრის 1,072,906 მანეთს. სარევიზიო კომისიამ კრებას წარმოუდგინა სია და გააცნო თავისი აზრი თუ როგორ უნდა განაწილებულიყო აღნიშნული მოგება, კრებამ მცირე შესწორებით სარევიზიო კომისიის აზრი მოიწონა და მოგება შემდეგნაირათ იქნა განაწილებული: 1) ქონებათა ამორტიზაციისათვის — 377 მან. 50 კაპ. 2) სათარიგო თანხას — 100 638 მან. 76 კაპ. 3) ძირითად თანხას — 1,681 მან. 45 კაპ. 4) კულტურულ-განმანათლებელ მიზნისათვის — 55,282 მან. 66 კაპ. 5) საკუთარ ბინის ასაგებათ — 500 000 მანეთი, 6) აღნიშნული კოოპერატივის მოსამსახურეებს ჯილდოთ — 100 000 მან., 7) ბათუმის სახალხო ბიბლიოთეკას წიგნების სახით — 10 000 მან., 8) ბარცხანის სამკითხველოს 2 000 მან., 9) დაზარალებულ გორელებისათვის — 50 000 მან., 10) გარადოკის სამკითხველოს — 2 000 მ., 11) პროფ. კავშირთა საბჭოს კულტურულ-განმ. მიზნისათვის — 3 000 მან. და 12) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებს ჯილდოთ 176 000 მანეთი.

გამოირკვა, რომ 1919 წ. მოგებიდან გადადებული 50 000 მანეთს გარდა მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორელების სასარგებლოთ გამგეობას კოოპერატივის თანხიდან კიდევ შეუწირავს 1919 წლის ანგარიშიდან 50 000 მანეთი. ამგვარად დაზარალებულ გორელებს აღნიშნულ კოოპერატივმა შესწირა სულ 100,000 მანეთი.

აღსანიშნავია, რომ გამგეობა მთელი 1919 წ. განმავლობაში სრულიად უსასყიდლოთ მუშაობდა, თუ არ მივიღებთ სახეში იმ უმნიშვნელო თანხას, რომელიც 18 ათას მანეთში გამოიხატება.

სარევიზიო კომისიამ კრებას გააცნო 1920 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 3 417 018 მან. კრებამ აღნიშნული ხარჯთ-აღრიცხა უკამათოთ მიიღო.

დასასრულ მოხდა გამგეობის ერთი წევრის, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატების არჩევნები ფარული კენჭის ყრით. გამგეობის წევრათ არჩეულ იქნა დ.რამიშვილი, გამგეობის წევრთა კანდიდატებათ: ვ.ჭედია, ონ.რამიშვილი და სერგეევა. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იყვნენ: ს.ყუფარაძე, ი.ღლონტი და ვ.ჭელიძე.

კრება დაიხურა დღის 3 საათზე.

X.

---

# რა ხდება უცხოეთში.

## რუსეთი.

### ფეოდოსიაში.

ნავთსადგურში ბევრ გემებმა მოიყარეს თავი. ნაპირზე გადმოსხეს 50 ათასი ჯარი. გავსებულია ყველა სახლები, მაღაზიები, ბეღლები. არ არის პური, არც ჩაი; თუ რამე საქონელი მოიპოვება, — საზღაპრო ფასებში იყიდება. მაგ. კარაქი 1500 მან. ღირს, ხორცი 600 მან, და სხ.

## სომხეთი

### საბერძნეთი და სომხეთი.

ბერძნული გაზეთების გადმოცემით სტამბულის სომხობას პეტიციით მიუმართავს პარიზში პოღოს ნუბარისათვის, რათა მან ითხოვოს საბერძნეთის მანდატი სომხეთზე, ვინაიდან, მათის აზრით, საბერძნეთი ერთად ერთი მეგობარი განწყობილი სახელმწიფოა, რომელსაც შეუძლია დაიცვას მასთან მტრულათ განწყობილ მეზობლებისაგან.

### მიწების დათესვისათვის.

პოლკ.პასკელმა განუცხადა სომხეთის მთავრობას, რომ ამერიკა 1-ლ აგვისტოდან შესწყვეტს სომხეთში ფქვილის შემოტანას. რადგანაც, ამასთანავე არ არის იმედი, რომ ფქვილის შემოტანა რუსეთიდან მო-

ეწყობა, — სომხეთის მიწათ-მოქმედების მინისტრმა, ვრაციანმა მოწოდებით მიმართა მცხოვრებთ, რათა პურის საკითხი სახალხო საქმეთ გახდეს და არც ერთი ნაჭერი მიწა დაუმუშავებელი არ დარჩეს.

**სომხეთის საკითხისათვის.**

გაზ. „სლოვოს“ საკუთარი კორესპონდენტი პარიზიდან სხვათა შორის, შემდეგს ატყობინებს: კერძო ცნობების თანახმად, რასაც ინგლისურ-ფრანგული პრესაც ამოწმებს, სომხეთს ეძლევა: თანის ვილაეთი ხაკიარის გამოკლებით, ბითლისის ვილაეთი სტარტის სანჯაყის გამოკლებით და არზრუმის ვილაეთი; ერზინჯანის საკითხი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული გარდა ამისა, რათა სომხეთისათვის უზრუნველყოფილი იქნეს ზღვაზე გასავალი, — სომხეთს ეძლევა ლაზისრანი ზღვის სანაპიროებით ყოფილ რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან ვიდრე სიურმინემდე.

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

კვირა 9 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ", რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 300 მან.
2 თვით ........................ 200 მან.
1 თვით ........................ 100 მან.

№355 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №355

## კვლავ მდგომარეობის შესახებ.

ბათუმში და ბათუმის ოლქში კვლავ მძვინვარეებს წარმოუდგენელი ანარქია. დღითი-დღე ეს ანარქია თანდათან ძლიერდება და თუ ასე გაგრძელდა მდგომარეობა, ვინ იცის რას გვიქადის მომავალი. გაზეთების ქრონიკიდან მართალია გაქრა ცნობები ძარცვა-გლეჯისა და კაცის კვლის შესახებ, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს სამწუხარო მოვლენები ქ. ბათუმის და ოლქის ცხოვრებიდან გამქრალიყოს. სხვა ქალაქების მკითხველებს მართალია ამით ბათუმის და მისი ოლქის შესახებ აკლდებათ ცნობები, მარა ადგილობრივ მცხოვრებლებს ფაქტები ვერ დაემალებათ. რაც არ უნდა ეცადონ მოაჩვენონ საზოგადოებას, რომ თითქო ქათუმის და ბათუმის ოლქის ცხოვრება წესიერათ მიმდინარეობდეს, ამას ვერავინ მოახერხებს, ვინაიდან ფაქტები წინააღმდეგს ღაღადებენ.

ქალაქიცა და ოლქიც ღვთის ანაბარათაა მიგდებული. ვისაც რა სურს და როგორც სურს, ისე იქცევა. ოლქში დაძრწიან შეიარაღებული ბანდები, მოსდით მათ იარაღები და სხვა და სხვა სამხედრო მოწყობილება, ოსმალეთის ფაშების ასკერები და აფიცრები თავისუფალთ დასეირნობენ ამ ბანდებთან ერთად, აწყობენ ფრონტებს, იძლევიან სამხედრო განკარგულებებს, აღელვებენ ხალხს, ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს და არავინაა პატრონი ამას ოდნავ მაინც ეწინააღმდეგოს და შეეცადოს წესიერების დამყარებას.

ჩვენ დანამდვილებითი ცნობები გვაქვს, რომ შეიარაღებულ ბანდებს ყოველნაირათ ხელს უწყობენ ყოფილი დენიკინელები და დღეს კომუნისტების წითელ მანტიაში გახვეულნი „მთლიან რუსეთის" აღმდგენელნი, რომლებითაც გატენილია ქალაქისა და ოლქის ადმინისტრაცია. ცნობილი კუციაძევი კვლავ მოვლინებია ქობულეთს და შესამჩნევ როლს თამაშობს იმ ანარქიის გაღვივებაში, რომელიც ამჟამად ქობულეთის რაიონში მძვინვარებს. ბანდებისათვის თავისუფლად იგზავნება დინამიტები, პატრონები, ყუმბარები... ბანდების წარმომადგენლებს ყოველდღე თათბირი აქვთ გამართული ბათუმის ერთ-ერთ დაწესებულებაში ყოფილ დენიკინელ და ამჟამად გაკომუნისტებულ ზოგიერთ რუს ადმინისტრატორებთან.

არავისთვის არ უნდა იყოს საეჭვო, რომ „მთლიან, განუყოფელ რუსეთის აღმდგენელთ", რომელნიც ბლომათ არიან დაგროვილნი ქალაქისა და ოლქის ადმინისტრაციაში, მჭიდრო კავშირი აქვთ იმ შეიარაღებულ ბანდებთან, რომელნიც ამჟამად ოლქში დაძრწიან. ეს რომ ასეა, ეს იცის ყოველმა მოქალაქემ, ეს ბაღლმაც კი იცის.

ადმინისტრაცია, სასამართლო, საბაჟო, აქციზის უწყება, საავათმყოფოთა პერსონალი, საგზაო უწყება და საზოგადოთ ყველა უწყება ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქისა გატენილია „მთლიან, განუყოფელ რუსეთის აღმდგენელებით." და ეს ლაშქარი არც მალავს, რომ მთელი მათი სიმპათია იმ ბანდებისკენაა, რომელნიც თავისუფლად აწყობენ ფრონტებს და წარმოუდგენელ ანარქიას ამკვიდრებენ.

და ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ განა არა გვაქვს უფლება ვიკითხოთ: რა არის ეს? არის თუ არა მთავრობა ბათუმში და ბათუმის ოლქში და თუ არის, სად არის ის? ვერც ერთი მთავრობა ვერ მოითმენს იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაც ამ ჟამად ჩვენში არსებობს.

მარა ბათუმი და ბათუმის ოლქი ხომ საკვირველების კუთხეთ გადაიქცა და აქ ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა.

ჩვენ ვიცით რას წარმოადგენდა თვითმპყრობელობა. ბევრი ტანჯვა გვინახავს ჩვენ მისგან. ბევრი იმ პირთაგანი, რომლებიც ამ ჟამად ბათუმში და ბათუმის ოლქში ადმინისტრატორობენ, თვითმპყრობელობის მოხელენი ბრძანდებოდნენ და სწორედ აქ, ჩვენში, ღირსეულათ ასრულებდნენ თვითმპყრობელობის დავალებას: ჩვენს დარბევა-აწიოკებას. გვტანჯავდა და გვაწამებდა რუსეთის თვითმპყრობელობა, მარა ამ თვითმპყრობელობის დროს გვყავდა ჩვენ მიერ არჩეული ქალაქის თვითმართველობა, სასამართლო და სხვა.

ამჟამად კი არც ქალაქში და არც ოლქში არ არსებობს არც მუნიციპალური თვითმართველობა, არც არჩეული სასამართლო და არც ერთი სხვა დაწესებულება, რომელიც ხალხისგან იყოს არჩეული და მით ხალხთან დაკავშირებული იყოს. გვქონდა სუროგატი ქალაქის თვითმართველობისა. გვი-

თხრეს: ეს არ ვარგა, ჩვენ მოგცემთ უკეთეს კანონს და იმ კანონის თანახმად აირჩიეთ ქალაქის თვითმართველობაო. დიდხანს ამზადეს საარჩევნო კანონი და ბოლოს არჩევნების დღეც გამოგვიცხადეს. 29 თებერვალს ავირჩიეთ ქალაქის თვითმართველობა. ძველი დაითხოვეს და არც ამ ახალს ამტკიცებენ. დავრჩით სრულიად უთვითმართველობოდ. აღარც ძველი, აღარც ახალი...

ქალაქის თვითმართველობა რომ გვყავდეს, მას არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება იმ საშინელ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფება ამჟამად ქალაქი და ოლქი. და თუ მისი სამართლიანი ხმა დარჩებოდა აქ, ადგილობრივად, ხმადმღაღადებლისა უდაბნოსა შინა, მას შეეძლო თავის ხმა მიეწვდინა ბათუმის ოლქის საზღვრებს იქითაც. მარა ასეთი თვითმართველობა არ გვყავს, არ დაგვიმტკიცეს ის.

ერთი სიტყვით, ბათუმისა და ბათუმის ოლქის დღევანდელი აუტანელი მდგომარეობა მოითხოვს რადიკალურ წამლობას. უამისოდ ქალაქი და ოლქი თანდათანობით ეუფლება ანარქიის მორევში და თუ დროზე ამას არ ეშველა, ჩვენი ქალაქი და ოლქი დაილუპება.

ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა, მოვალეობა ჟურნალისტისა გვავალებს ხმამაღლა, ყველას გასაგონათ ვაღიაროთ ეს.

ვისაც ყურნი აქვთ სმენათ, ისმინონ.

---

## ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ ქალაქ ბათუმის სამოქალაქო მართველობა აცხადებს, რომ 14 მაისიდან გირვანქა პური ეღირება 15 მანეთად ამიერ-კავკასიის ბონებით.

◆ ჩვენ გადმოგვცემენ, რომ ბათუმის პორტიდან 6 ამ თვეს გასული საფრანგეთის გემი „პაკე" გაუძარცვავთ ყაჩაღებს რიზესა და ბათუმს შუა, ყაჩაღთა რიცხვი 25 კაცს უდრიდა, გაუძარცვავთ ხოფას ახლოს. გემზე უმეტესად იმყოფებოდა ვაჭრები, ამათგან ბევრი სტამბულში მიემგზავრებოდა საცხოვრებლათ. ბოროტმოქმედებს წაუღიათ რამოდენიმე მილიარდი მანეთი.

◆ საქართველოს მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელმა ამ დღეებში შეიძინა 30 ვაგონი ქერი და 10 ვაგონი პურის ფქვილი.

◆ ამ დღეებში საქართველოს აეროპლანი ახალციხიდან ხულოში მოფრენილა. სამტრედიაში ამჟამად რამდენიმე აეროპლანია, რომლებიც ნატანებისაკენ გადმოფრენას აპირებენ.

◆ საქართველოში მობილიზაცია დამთავრდა. ჯარში გაწვეულნი თითქმის ყველა გამოცხადდა. დამოუკიდებლობის თავდაცვის საქმეში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ვინც ჯარში არ გაუწვევიათ, გვარდიაში ეწერებიან. მთელი საქართველო მზათაა შესაფერისი პასუხი გასცეს იმათ, ვინც მის დამოუკიდებლობის გაქრობას მოინდომებს. წარმოებს დაგროვილ ჯარების ფრონტებზე განაწილება.

◆ თფილისიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ იქ ნამდვილი დღესასწაულებრივი სულიერი განწყობილებაა. საბოლოოთ გამოირკვა, რომ შინაური მტერი დაძაბუნებული და დაკნინებულია. მან ვერ ჰპოვა საქართველოს კულტურულ ხალხში საქართველოს თავისუფლების მოსასპობათ ნიადაგი. თვით ხალხი დევნის მათ და ახლოს არ იკარებს. არც შინაური და არც გარეშე მტერი გათვითცნობიერებულ ქართველ ხალხისათვის საშიშო აღარ არის. ყველა მტკიცედ დარწმუნებულია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სრულიად უზრუნველყოფილია. მტერიც კარგად ხედავს ამას და შერიგების გუნებაზეა.

◆ ჩვენ გადმოგვცემენ, რომ საქართველოს მომარაგების სამინისტროს დიდძალი პურის ფქვილი შეუძენია. საქართველო პურით სრულიად უზრუნველყოფილია. მიუხედავათ ამისა სამინისტრო სათადარიგოთ საზღვარ გარეთიდან რამდენიმე გემ პურის ფქვილს მოელის კიდევ.

◆ ადერბეიჯანში მომხდარ ამბებმა ჩვენში გამოიწვია შიში; ვაი თუ ნავთისა და მაზუთის ნაკლებობა დაგვირჩესო. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ეს შიში სრულიად უსაფუძვლოა. საქართველოს რეზერვუარებში რამდენიმე წლის საყოფი ნავთი და მაზუთია.

◆ დღეს, ნაშვადღევის 4 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია საჯარო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

◆ საქართველოს ჯარების მთავარსარდალმა ნება დართო მიეცეს ერთი თვის ვადა ასოთაამწყობებს და მბეჭდავებს.

◆ 7 მაისს ინგლისელთა სამხედრო კრეისერით ბათუმში მოვიდა რამოდენიმე ეშელონი ინგლისელთა ჯარები. ჯარები უკვე დააბინავეს ქ. ბათუმში.

◆ ისევ ეწყობა ძველი ცეცხლისმქრობელი რაზმი, რომლის მეთაურიც წინათ იყო გ. სტივერსი.

◆ 7 მაისს შრომის ბირჟაში ჩაეწერა 38 უმუშევარი, მათ შორის, 6 ქალი.

◆ ამავე დღეს სიმთვრალისა და აყალ-მაყალისათვის დატუსაღებულ იქნა ა. წ.-ი, კალაჩაშვილი და გორელაშვილი.

◆ რკინის თეატრში წესრიგის დარღვევისათვის დატუსაღებულ იქნა საგოიან დაგოიანი.

◆ ბაზარზე ქართული ბონები დონის ფულზე ფასობს 400 პროცენტით მეტს, კერენსკის ფულზე 200%.

---

## დამფუძნებელი კრება.

### 30 აპრილის სხდომა.

### მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ნ. ჟორდანიას სიტყვა.

მოქალაქენო, მაქვს პატივი მთავრობის სახელით მოგახსენოთ შემდეგი:

პოლიტიკური ღრუბლები ჩვენ ირგვლივ კიდევ



ეროვნული ბიბლიოთეკა

აისვარა; საბჭოთა რუსეთის მოსაზღვრეობა ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის თანდათან მუქარათ ხდება. ის ჩვენ დაგვიახლოვდა ჯერ ჩრდილოეთით, გვიახლოვდება სოჭის მიმართულებით, ხოლო ახლა კარზე მოგვადგა აღმოსავლეთით, აზერბეიჯანის საშუალებით.

პირველი გარემოება ჩვენში არ იწვევს არავითარ შიშს. დარიალის და გაგრის გადმოლახვა შეუძლებელია. სულ სხვაა აზერბეიჯანის მიმართულება, საიდანაც საზღვრები გაშლილია და ამიტომ მეც დღეს ამ მხრით მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება.

27 ამ თვეს დილით, აზერბეიჯანის მთავრობამ გვამცნო ბალშევიკების ჯარი მოადგა ჩვენს საზღვრებსო, ჩვენი ჯარები მათ ებრძვიან და სამხედრო დახმარება აღმოგვიჩინეთო. მაშინვე შეიკრიბენ მინისტრები და ჩვენ დავუსვით ასეთი წინასწარი კითხვა: სურს ადერბეიჯანის ხალხს შეებრძოლოს ბალშევიკებს? მიიღებენ ამ ბრძოლაში ისინი მთავარ სიმძიმეს? ამ შემთხვევაში ჩვენ მოვალე ვიქნებით დავეხმაროთ, მოვალე ვიქნებით არა მარტო ხელშეკრულების ძალით, არამედ პოლიტიკურად და მორალურადაც. და მართლაც ერის თვითგამორკვევა, მისი ნება-სურვილები ჩვენ მიგვაჩნია ერთად ერთ გადამჭრელ ფაქტორად ერთა დამოკიდებულებისა და შეურყეველ საძირკვლად საგარეო პოლიტიკისა. ამიტომ ჩვენ ვთქვით, თუ გარეშე ძალა აზერბეიჯანის ერის თვითგამორკვევას ემუქრება, თუ ის მის საზღვრებში ძალით შემოდის, ეს არის აღმაშფოთებელი დარღვევა ერის უფლების და ჩვენც მასთან ვიქნებით. მაგრამ თუ ეს ასე არ არის, თუ თვით ერი, ხალხია მომხრე უცხო ძალის შემოყვანის, მაშინ ამ ძალის წინააღმდეგ გალაშქრება ერის უფლების შელახვა იქნებოდა ჩვენის მხრით და იმავე დროს გაგზავნილი ჯარის დაღუპვაც. აი ეს ჩვენი აზრი დაუყონებლივ ვაცნობეთ ბაქოში და შეუდექით გამორკვევას იქაური პოლიტიკური ატმოსფერისა. მაგრამ საათის პირველზე უკვე მივიღეთ ცნობა, რომ ბალშევიკები უკვე ხაჩმაზში მოვიდნენ, ხოლო საღამოს შვიდ საათზე სადგურ სანგაითში, ბალაჯარის ახლო, ე.ი. ექვსი საათის განმავლობაში განვლეს ასი ვერსი. მაშინ კი გავიგეთ, რაშიაც იყო საქმე და ვსთქვით: ბალშევიკები მოდიან სწრაფი მატარებლით, სრულიად უბრძოლველად და მაშასადამე ადერბეიჯანის თანხმობით მოვიდნენ სრულიად უმნიშვნელო ძალებით, ორი ჯავშნიანი მატარებლით, მათი უკან გარეკა და მატარებელთა დატყვევება მცირე ძალას შეეძლო, მარა ვინაიდან ამის სურვილი არ იყო, ბალშევიკების შემოსვლა უბრალო გასეირნებათ გადაიქცა.

ჩვენი ეჭვები, როგორც ხედავთ სავსებით გამართლდა.

რაზე იყო დაფუძნებული ჩვენი ეჭვები?

ეს იყო დაფუძნებული ორ გარემოებაზე ჩემის აზრით, ბალშევიკური მოძრაობა არის უკან ჩამორჩენილი პოლიტიკურად განუვითარებელი ხალხის მოძრაობა. იქ, სადაც არის დემოკრატიული ორგანოები, მაშასადამე ხალხი თავის თავს არ მართავს, არ არის ჩაბმული პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. აი, აქ ხალხი თავის მხსნელს და მართველს მოელის ზევიდან გარეშედან, აღჭურვილია მაგარი ხელით და მტკიცე ნებისყოფით. და თუ კიდევ ამას მიუმატებთ იმას, რომ ადერბეიჯანში რევოლუციის არც ერთი დიდი მონაპოვარი არ განხორციელებულა, იქ ჯერაც არ ჩამოურთმევიათ ხანებისათვის მიწები, და მთელი აგრარული ურთიერთობა სავსებით შენახულია, ადვილად წარმოიდგენთ ხალხის უკმაყოფილებას არსებული რეჟიმით და მის სურვილს ამ რეჟიმის გამოცვლისას, თუნდაც ავანტიურაში გადავარდნით. აი ამ გარემოებამ მოამზადა სოციალური ნიადაგი ადერბეიჯანში ბოლშევიკური გადატრიალებისა. მარა ამას ზედ დაერთო მეორე არა ნაკლებ საყურადღებო მომენტი. ეს არის მომენტი ნაციონალური და ამას აშკარად აღიარებს ბაქოს დღევანდელი მთავრობა თავის უკანასკნელ მოწოდებაში ისინი ადერბეიჯანის წინანდელ მთავრობას აცხადებენ ერის მოღალატეთ იმიტომ რომ მას კავშირი ჰქონდა ანტანტასთან, ხოლო ანტანტამ დაამარცხა ოსმალეთი, დაჰყო ის და მაშასადამე ბაქოს კომუნისტების თვალში ეს ანტანტა აზერბეიჯანის მტერიც არ არის. ხოლო ვინაიდან მოსკოვის ბალშევიკებიც ანტანტის წინააღმდეგია, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ იცნო ევროპამ, აქ შეერთდა ინტერესები მოსკოვ-აზერბეიჯანისა და გააბა ქსელი რუსის კომუნისტების და ანატოლიის ნაციონალისტების შორის.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ აზერბეიჯანის კომუნისტურ გადატრიალებაში ეს ნაციონალური მომენტი თამაშობდა უაღრეს როლს, როლს სოციალურ ხელქვეითისა. ეს სჩანს იქიდან, რომ მათ თავის მთავრობაში არ შეიყვანეს არც ერთი არა მუსლიმანი და რომ მათ ჩვენის ცნობით, განძრახული აქვს პირველ ყოვლისა გაილაშქრონ სომხეთზე, ანატოლიის ჯარებთან შესაერთებლად.

ამნაირად, ბაქოს ბოლშევიკური გადატრიალება მიმართულია პირველყოვლისა ევროპის სახელმწიფოთა ოსმალეთიდან გასაძევებლად. მეორდება ის, რაც მოხდა 1918 წ. მაშინ რუსის ბოლშევიკებმა (ბრესტ-ლიტოვსკში) და მუსავატმა შემოიყვანა ოსმალეთი ამიერ-კავკასიაში, ახლა კი მუსავატის როლს კისრულობს აზერბეიჯანის კომუნისტები. მაგრამ უკანასკნელთ დაავიწყდათ ერთი რამ — მუსავათმა შემოიყვანა გამარჯვებული ოსმალეთი, ხოლო კომუნისტებს კი შემოჰყავს დამარცხებული და დაშლილი ოსმალეთი და ისიც არა ოსმალეთის ნამდვილი მთავრობა, არამედ არზრუმის ნაციონალისტები. ასეთ პირობაში ბაქოს კომუნისტების თამაში წინდაწინ დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს და ვაი თუ ოსმალეთის აღდგენის მაგიერ თვით აზერბეიჯანიც სამუდამოდ დაღუპონ.

როგორც ხედავთ, აზერბეიჯანის ბედი დღეს შეერთებულია ბოლშევიკურ რუსეთთან და ქიამილფაშის ოსმალებთან. ეს კომუნისტურ-ფაშური ქურქი ახასიათებს ბაქოს დღევანდელ მესვეურთ და მით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის თან ატარებს თავის დამარცხებას. ვწუხვართ, რომ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკა ავანტიურაში ჩავარდა და უფსკრულისაკენ გაექანა. ამით ის ჩვენ დღეს გამოგვეთიშა, დავრჩით მარტო, მარა ბ–ბო მარტოობა ყოველთვის არ ნიშნავს დაუძლურებას. პირ-იქით მარტოთ დარჩენა ხანდახან ნიშნავს ძლიერებას. 1918 წ. ჩვენ გადავრჩით იმით, რომ აზერბეიჯანს დროზე გამოვეთიშეთ, ე.ი. მაშინ მარტოობამ გვიხსნა ოსმალეთის ულლისაგან და დღესაც იგივე აზერბეიჯანისაგან გამოთიშვა, მისი ავანტიურის უარის ყოფა, ჩვენი საკუთარი გზის, საკუთარი პოლიტიკის შენარჩუნება და წარმოება ერთად-ერთი გზაა ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი დემოკრატიის.

ბოლშევიზმის ჩვენში შემოშვება, აქ მისი გამეფება ნიშნავს ჩვენი აზერბეიჯანთ გახდომას, ბოლშევიკურ ოსმალურ იმპერიალიზმის საქართველოში გაბატონებას. აზერბეიჯანის გზაზე ჩვენი შედგომა, მისი პოლიტიკური მრწამსის მიღება — ეს თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს სამუდამოთ დასამარებაა, ეს ევროპისაგან სამუდამოდ მოწყვეტაა და აზიის ფანატიკების ბრჭყალებში ჩავარდნაა.

ბალშევიზმის ჩვენში შემოჭრა ნიშნავს უკან ჩამორჩენილი წყობილების მოწინავე ქვეყანაში შემოჭრას, დემოკრატიის, ხალხის ბატონობის ალაგას ტირანიის გამეფებას.

ბალშევიზმი აქ იზამს იმას, რასაც რუსეთში შვრება — გააუქმებს ერობებს, ქალაქთა თვითმართველობებს, თემებს, მოსპობს ყველა თვითმართველ ორგანოებს სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებას და მათ ალაგს განაწესებს ტერორისტების და წითელ არმიის ბატონობას. თავისუფალ შემოქმედების და მოძრაობის ადგილს დაიკავებს ხიშტი. ბალშევიზმი გააუქმებს აგრარულ რეფორმას, მოსპობს მიწაზე კერძო საკუთრებას, რაც გამოიწვევს გლეხთა შორის შეტაკებას, სისხლის ღვრას და მით გაჰხვევს მთელ ერს სამოქალაქო ომში. გარეკავს დამფუძნებელ კრებას და მის ალაგს დაასკუპებს ხუთიოდე კაცს, როგორც ეს დღეს ბაქოშია ერს მოევლინება ბატონებათ. ერთი სიტყვით, ბალშევიზმი ამოართმევს ქართველ ხალხს სულს, ამოჰგლეჯს ყოველივე იმას, რაც მან შექმნა, რაშიაც გამოიხატა მისი შემოქმედებითი პოლიტიკური ნიჭი, დაეპატრონება ის უსულო გვამს და ბოლოს გადაუგდებს საჯიჯგნად ან მოსკოვის რეაქციას ან ოსმალეთის ფაშას.

ბ-ბო, ჩვენ ამას არ ვიზამთ, ჩვენ ამას ვერ ვიზამთ, ჩვენ ვერ ვიქნებით ჩვენი ხალხის მოღალატე, ჩვენ ჩვენი სახელოვან პოსტზე მტკიცედ, შეურყევლად დავრჩებით. ჩვენ მარტო არ ვართ, ჩვენთან არის მთელი ევროპა, განურჩევლად პარტიისა და მიმართულებისა. ევროპა თუ აზია — დღეს ჩვენს წინაშე კონკრეტიულად ისმის და ვიმეორებ დღეს კიდევ უფრო მაღლა, კიდევ უფრო მედგრად იმას, რაც 14 იანვარს აქ ტრიბუნიდან ვთქვი — ჩვენ ვირჩევთ ევროპას, ევროპას, ევროპის დემოკრატიას.

ბ-ბო, მთავრობა უკვე შეუდგა თავდაცვის მოწყობას. მან დაარსა განსაკუთრებითი თავდაცვის საბჭო, გამოაცხადა მობილიზაცია, დანიშნა სარდალი, დააყენა აღმოსავლეთი საქართველო სამხედრო წესებზე, გამოითხოვა თავდაცვის ფონდი, მიიღო ყოველნაირი წინასწარი ზომები. ჩვენ მზად ვართ ბრძოლისათვის, ჩვენი დემოკრატია ჩვენთან არის. ჩვენ ვაჩვენებთ ქვეყანას თუ რას ნიშნავს თავის დაცვა, დაცვა თავის საზღვრების, თავის წყობილების, თავის თავისუფლების. ბალშევიკები ჩვეულია მსუბუქ გამარჯვებას; პირველად აქ, ჩვენს საზღვრებზე გაიგებენ თუ რას ნიშნავს მძიმე დამარცხება. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი მათთან მოლაპარაკების, კეთილმეზობლურ ურთიერთობის დამყარების, მაგრამ ეს თუ არ მოისურვეს, თუ ჩვენ წმიდათაწმიდას შეეხენ, თუ ჩვენ საზღვრებს დაემუქრნენ, მაშინ ქართული დემოკრატია დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ მან იცის სახელმწიფოს არა მარტო აშენება, არამედ მისი დაცვაც, აქვს ნიჭი არა მარტო პოლიტიკური შემოქმედების, არამედ უნარი ბრძოლისაც. მაშინ დადგება ის დრო, როცა გადაჭრით ვიტყვით ჩვენ, თქვენ, მთელი ერი და რასაც საუკუნოობით ამბობდა ჩვენი ხალხი: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ (ოვაციები და მხურვალე ტაში).

## აკ. ჩხენკელის სიტყვა.

მოქალაქენო, ჩვენი ფრაქცია სავსებით უერთდება მთავრობის თავმჯდომარეს. დამფუძნებელი კრება გვერდში ამოუდგება მთავრობას ასეთ მდგომარეობაში და გაუადვილებს მას იმ დიდ მოვალეობის ასრულებას, რომელსაც მოითხოვს დღევანდელი მომენტი. და არა მარტო დამფ. კრება, არამედ მთელი შემოქმედებითი აპარატი, რომელიც შექმნა სახელმწიფოებრივმა მუშაობამ, ამოუდგება მთავრობას გვერდში, რათა კარზე მომდგარი საშიშროება სძლიოს. მე გამოვსთქვამ სრულ რწმენას, რომ ქართველი ერი განურჩევლად რწმენისა და მიმართულებისა, ფეხზე დადგება როგორც ერთი კაცი და ბოლომდის შეასრულებს თვის მოვალეობას. მთელი ჩვენი ერის სულიერი, თუ ეკონომიური ძალა მოხმარდება ამ თავდაცვას. ჩვენი ჯარი და სახელოვანი გვარდია ღირსეულად შეასრულებს ნაკისრ საქმეს და დაიცავს უძვირფასეს განძს — დამოუკიდებლობას (ტაში). დღეს გამოიჭედება ერის ბუნებრივი საზღვრები. მე არას დროს არ მწამდა ქართველი ერის ცოცხალი მაჯისცემა ისე, როგორც დღეს, მე არას დროს არ მწამდა ერის ბრწყინვალე მომავალი, როგორც დღეს (ტაში).

შემდგომ ორატორი ადარებს 1918 და 1920 წლებს და აღნიშნავს მდგომარეობის იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა მაშინდელ საერთო პოლიტიკურ და ახლანდელ მდგომარეობის შორის. აღნიშნავს აგრეთვე ადერბეიჯანში მომხდარ ამბებს და ახასიათებს მას, როგორც ავანტიურას და ათავებს იმედის გამოთქმით, რომ თუ დადგა ისეთი მომენტი, როდესაც დაისმება სასწორზე საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, მთელი ერი დადგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ება ფეხზე და დაიცავს თავის უფლებებს და რევ-ოლიუციის მონაპოვარსო. (ტაში).

დაიკარგა დავით გიორგისძე გიგინეიშვილის პი-რადობის სურათიანი მოწმობა მიცემული საქართვ-ელოს რესპუბლიკის
ბათუმის კონსულისაგან.
ჩაითვალოს გაუქმებულათ.
340 (1–1)

დაიკარგა სიმონ გაბრიელისძე დიდიმამოვის პი-რადობის სურათიანი მოწმობა მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.
ჩაითვალოს გაუქმებულათ.
341 (1–1)

დავკარგე საფულე, რომელშიაც მქონდა პირად-ობის მოწმობა მოცემული საქართველოს რესპუბლ-იკის საკონსულოს მიერ ქალაქ ბათომში და სხვა საბუთები. ჩაითვალოს გაუქმებულად.
თენგიზ ფირცხალავა.
(უფ. 1–1)

**სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.**

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

სამშაბათი 11 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ.", რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 300 მან.
2 თვით ........................ 200 მან.
1 თვით ........................ 100 მან.

№356 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №356

## მუსტაფა ქემალ-ფაშა და სულთანის მთავრობა.

ოსმალეთი დღეს უდიდეს გაჭირვებას განიცდის. ბოლონდელ საშინელ ომში მონაწილეობის მიღებამ მას უდიდესი უბედურება დაატეხა თავს. ოსმალეთს პირდებოდენ მოკავშირენი, რომ თუ ის თავს დაიჭერდა და ომში არ ჩაერეოდა, მისი ტერიტორია ხელუხლებელი დარჩებოდა. მარა ენვერ-ფაშის პარტიამ, რომელიც ოსმალეთის ბატონ-პატრონი იყო, ოსმალეთი გახვია უდიდეს ავანტიურაში და მით ოსმალეთის ბედი ძაფზე დაჰკიდა. მან მოინდომა ისეთი რამეს განხორციელება, რაც არა თუ ოსმალეთს, გაერთიანებულ უდიდეს და უგანათლებულეს სახელმწიფოებსაც სიზმრათაც ვერ მოელანდებოდათ მისი შესრულება. მან მოინდომა მთელი ქვეყნის მუსლიმანებისაგან ერთ დიდ სახელმწიფოს შექმნა. ეს აზრი ამ პარტიას ადერბეიჯანის ავანტიურისტებმა ჩააგონეს, და ენვერ-ფაშამაც ხელი მიჰყო ყოვლად განუხორციელებელ საქმეს.

მან ადერბეიჯანის მოთხოვნილებით ბულგარეთის ფრონტიდან საუკეთესო ჯარები დასძრა კავკასიისაკენ ამიერკავკასიის დასაპყრობათ და სწორეთ აქ მოიტეხა მან ფეხი. ამიერკავკასია ვერ დაიპყრო და მოკავშირეთა ჯარებს კი ფრონტი გაუხსნა ბულგარეთში. ბულგარეთი დაეცა და ომიდან გამოვიდა. ამით მოკავშირეებს გზა გაეხსნათ სტამბულისაკენ და ოსმალეთმაც მოითხოვა სეპარატიული ზავის შეკვრა. ენვერ-ფაშას მთავრობა დაეცა და გაიქცა. ოსმალეთში შედგა სხვა პარტიის კაბინეთი.

ბულგარეთის და ოსმალეთის ცალ-ცალკე დამარცხებამ და ომიდან გამოსვლამ გასტეხა გერმანიაც და ისიც იძულებული გახდა მოკავშირეთათვის ზავი ეთხოვა.

დამარცხებულ გერმანიას მეტი გზა არ ჰქონდა. ის დაემორჩილა თავის ბედს და ვერსალის ზავს ხელი მოაწერა.

ოსმალეთის ნამდვილი მთავრობა, მთავრობა სტამბულისა, ამავე გზას ადგას. ის კარგად ხედავს, რომ ინგლის-საფრანგეთ-იტალიას ის ვერ გაუმკლავდება, კარგად ხედავს, რომ ამ დიდ სახელმწიფოებს ის ვერ ეომება, ამისათვის მას ძალა არ შესწევს და მზათ არის დაემორჩილოს გარდაუვალ ბედს, მზათ არის მოლაპარაკებით დაასრულოს საქმე მოკავშირეებთან.

თუ გერმანია დაემორჩილა ვერსალის ზავს, ოსმალეთი მით უმეტეს ვერ შესძლებს ძალით აიძულოს მოკავშირენი მისთვის სასურველი ზავის შეკვრაზე. ეს გარემოება კარგათ აქვს გათვალისწინებული სტამბულის მთავრობას, რომელმაც უკვე გაგზავნა საზავო დელეგაცია ვერსალში.

მარა „პროგრესისა და ერთობის" პარტია, პარტია ენვერ-ფაშისა კვლავ ავანტიურიზმით ცდილობს მოკავშირეების დაშინებას. ქემალ-ფაშის მომხრეები გადაუდგენ სულთანს და ანატოლიის მოძრაობით ფიქრობენ უდიდეს სახელმწიფოების დამარცხებას. რომ ამ მოძრაობას შეუძლია ოსმალეთის კიდევ უფრო საშინელ დამღუპველ გზისაკენ გადასროლა, ეს ყველასათვის ცხადია და უპირველეს ყოვლისა ეს ცხადი შეიქნა სულთანის მთავრობისათვისაც. ამიტომ არის, რომ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ სულთანს ირადე (ბრძანება) გამოუცია რათა შესდგეს მოხალისეთა ჯარი ქემალ-ფაშის ორგანიზაციებთან საბრძოლველათ. სულთანი და მისი მთავრობა კარგად ხედავს, რომ ქემალ-ფაშის მოქმედება დამღუპველია ოსმალეთისათვის. და ეს მთავრობა ოსმალეთის კეთილდღეობისათვის საჭიროთ ცნობს ქემალ-ფაშის რაზმებთან ბრძოლას.

ის იმედი ქემალ-ფაშისა, რომ მას ბალშევიკები დაეხმარებიან, ფუჭი იმედია. ქემალ-ფაშას სურს ბალშევიკების გამოყენება, მარა ბალშევიკებსაც სურთ ქემალ-ფაშა თავის იარაღათ გახადონ. ერთიც და მეორეც ცდილობენ, რომ ერთი-მეორეთი დააშინონ მოკავშირენი. მარა მოკავშირეებმა ძლიერ კარგათ იციან თუ რა ძალას წარმოადგენენ ბალშევიკები და ქემალ-ფაშა.

ყველასათვის აშკარაა, რომ ბალშევიკები ქემალ-ფაშას ვერაფერში ვერ დაეხმარებიან. ბალშევიკებს უდიდესი გაჭირვება აქვთ კარზე მომდგარი. ბალშევიკებს სული კბილით უჭირავთ. მათ აუჯანყდათ უკრაინა, მალე უკრაინას მიჰყვება დონი და ყუბანი. ამას გარდა ბალშევიკებს დიდი გასაჭირი დაატყდათ თავზე პოლონეთის ფრონტზე. პოლონეთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიევი აიღო და იქედან ემუქრება ბალშევიკების ციტადელას, ციხე-სიმაგრეს. ამასთან ბალშევიკებს სრულიად დანგრეული აქვთ თავისი საბრძანებელი: ტრანსპორტი არ მუშაობს, იქ გამეფებულია წარმოუდგენელი შიმშილობა, ავათმყოფობა, დაღლილობა და სხვა ასეთები. თვით ბალშევიკები არ მალავენ, რომ ისინი უბედურ მდგომარეობაში იმყოფებიან. და ერთად-ერთ საშვალებათ, ერთად-ერთ გამოსავალ გზათ მათ მიაჩნიათ მოკავშირეებთან ზავის შეკვრა. ახლა ისინი ძველებურათ აღარ ედავებიან და ლანძლავენ მოკავშირეებს. ახლა ევედრებიან კიდეც: დაგვეხმარეთ, ჩვენ ზავი გვწყურია, დავყრით იარაღს, უარს ვამბობთ თქვენ წინააღმდეგ მოქმედებაზე ოღონდ რამეფრად დაგვეთანხმეთ ზავზეო.

აი, რას სწერს ბალშევიკების მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ კერზონს:

„საბჭოთა მთავრობა ყოველმხრივ მზათ არის, რომ ინგლისის მთავრობის სურვილს შეეგებოს. იგი ეხლავე მზათ არის ყირიმის ფრონტზე სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება დაიწყოს ინგლისის მთავრობასთან, ან მასთან, ვისზედაც ის მიგვითითებს... რაც შეეხება კავკასიის ფრონტს, იქ სამხედრო მოქმედებანი შეჩერებულია და საბჭოთა მთავრობამ მეზობელ სახელმწიფოებს პირდაპირ მიმართა წინადადებით დაუყონებლივ საზავო მოლაპარაკებათა დაწყების შესახებ. საბჭოთა მთავრობა პირობას იძლევა, რომ იგი მხედველობაში მიიღებს ინგლისის მთავრობის ინტერესებს კავკასიაში. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი იმედს გამოსთქვამს, რომ თანხმობა მოლაპარაკების დაწყების შესახებ იქნება მოსამზადებელი ნაბიჯი, რასაც მოჰყვება რუსეთისა და ინგლისის საერთო შეთანხმება.“

ამას სწერს ჩიჩერინი ინგლისის მთავრობას. აქედან ცხადია, რომ ინგლისს ევედრება ჩიჩერინი: შევკრათ ზავი, გარწმუნებთ — ყველაფერში დაგეთანხმებითო.

აქედან ცხადზე უცხადესია, რომ ქემალ-ფაშას ბალშევიკები ვერაფრით ვერ დაეხმარებიან. ქემალ-ფაშა მხოლოდ იარაღი იყო ლენინის ხელში ინგლისზე გავლენის მოსახდენათ.

და რომ ეს ასე იქნებოდა, ეს ძლიერ კარგად იცოდა სტამბულის მთავრობამ. იცოდა მან, რომ ქემალ-ფაშას განდგომა და ანატოლიაში ფაფხური, ეს იყო ავანტიურა, რომელსაც, შეიძლება, სულ მთელად ზედ გადაჰყოლოდა ოსმალეთი.

და მიტომ დასწყევლეს ქემალ-ფაშა და მისი მომხრეები სულთანმა და შეიხულ-ისლამმა, მიტომ გამოსცა სულთანმა ბრძანება ჯარების შედგენისა ქემალ-ფაშასთან საბრძოლველათ.

„სედაი მილეთის“ ხალხი, რომელიც ქობულეთლებს ატყუებს, ირწმუნება, რომ ის სულთანის მომხრეა. სულთანი კი ოსმალეთის საშინელ მტერათ აცხადებს ქემალ-ფაშას და სწყევლის მას და მის დამქაშებს. ქობულეთის რაიონის ზოგიერთ ვაჟბატონებს კი ჰგონიათ, რომ სულთანის სასიამოვნო საქმეს აკეთებენ. და ჰგონიათ ეს მათ [illegible], რომ ასე დაატყუილეს ისინი „სედაი მილეთლებმა“, რომლებიც ადერბეიჯანის და ქემალ-ფაშის აგენტებია.

ამის შემდეგ მაინც უნდა მოვიდენ გონს ქობულეთის რაიონის ზოგიერთი გზადაბნეულები. ამის შემდეგ მაინც გაიგონ, რომ მათი მოქმედება დაწყევლილია სულთანისა და შეიხულ-ისლამის მიერ.

ძმებო ქობულეთლებო, გონს მოდით! რათ ირცხვენთ სამუდამოთ თავს! რათ აჰყოლიხართ ჩვენი ქვეყნის დამღუპველებს! რათ ხდებით მოღალატეებათ...

---

# ა ხ ა ლ ი  ა მ ბ ე ბ ი.

◆ ინგლისის ადგილობრივი სარდლობა დარწმუნებულია, რომ „სედაი მილეთის“ ორგანიზაცია არის უპირველეს ყოვლისა ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული. ეს ორგანიზაცია მუსტაფა ქემალ-ფაშის აგენტებისაგან შესდგება. ამიტომ გუშინ-წინ „სედაი მილეთის“ ქობულეთის ორგანიზაცია გაჩხრიკეს. წაიღეს სხვა და სხვა საბუთები.

◆ 8 ამ თვეს ინგლისის სარდლობის განკარგულებით დაატუსაღეს ზოგიერთი წევრები პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი. დატუსაღებულნი გაგზავნეს სამხედრო გემზე.

◆ თფილისის გაზეთი „სახალხო საქმე“ შემდეგ ცნობას გადმოგვცემს:

„თფილისში მიღებულ ცნობების თანახმად ინგლისის სარდლობას თანამდებობიდან გადაუყენებია ბათუმის სამოქალაქო გუბერნატორი გარრისი, ხოლო ბათუმის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი გენერალ კუკ-კოლლისს ლონდონს იწვევენ.“

◆ ქობულეთის რაიონში კვლავ დაძრწიან პროვოკატორები. მათ მიერ შეცდენილ ხალხს ისინი ეუბნებიან, რომ მუსტაფა-ქემალ-ფაშამ თქვენთვის უკვე გამოგზავნა ტანისამოსი და სამხედრო მასალებიო. ამრიგად უკვე ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ქობულეთში შექმნილი მდგომარეობა მუსტაფა-ქემალ-ფაშის აგენტების მოწყობილი საქმეა. ამ გარემოებას, როგორც ჩანს, ადგილობრივი მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს, გარდა იმისა, რომ ქობულეთში გაჩხრიკეს „სედაი მილეთის“ კომიტეტის ბინა.

◆ ქობულეთის რაიონს მომავალში ნამდვილი სიმშილობა მოელის, ხალხი ქემალ-ფაშის აგენტებმა აიყოლიეს და ყანები დაუთესავია. ნეტავ როდემდის უნდა ატყუონ ავანტიურისტებმა ჩვენი ხალხი.

◆ 7 მაისიდან ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფში შემოიღეს ცენზურა. განხილული იქნება განურჩევლათ ყველა კორესპოდენციები.

◆ 14 მაისს ბათუმის ქართული გიმნაზიის სასარგებლოთ გაიმართება მეორე ტრადიციული საღამო საკრებულო დარბაზში. ამ საღამოსთვის საგანგებოთ მოწვეულნი არიან თფილისიდან მწერლები და მომღერლები. საღამო ფრიად შინაარსიანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედია ბათუმის საზოგადოება, როგორც ყოველთვის, ეხლაც თანაგრძნობით შეხვდება ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს.

◆ სამშაბათს, 11 მაისს რკინის თეატრში თფილისის ქართულ ოპერის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცეკვით და სიმღერით ახალი პიესა ა. ცაგარელისა „თავადი რევაზი“, ანუ თფილისელი სასიძო ბათომში“ 3 მოქ. II. დიდი დივერტისმენტი „წითელი ვარდი“ ობოლი მუშისა. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.

◆ პრეს-ბიუროს ცნობით ხმები იმის შესახებ, თითქოს ინგლისის მისია სტოვებდეს ამიერ-კავკასიას, სინამდვილეს არ შეეფერება.

◆ გარეთ კახეთიდან თფილისში დაბრუნდა სამაზრო ერობის წევრი კანდელაკი, რომელიც გადმოგვცემს, რომ იქ არც ერთ მობილიზაციას არ ჩაუვლია ისეთის აღფრთოვანებითა და ნაყოფიერათ, როგორც ეხლანდელს.

◆ იუსტიციის მინისტრმა რ. მ. არსენიძემ ცირკულიარულად აცნობა სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებათ, რომ არავითარი შუამდგომლობა სამხედრო სამსახურში გაწვევის გადადებისა შეწყნარებული არ იქნება სამინისტროს მიერ. ყველა მოხელეები, ვინც ჯარში უნდა გაწვეულ იქმნას გამოცხადებულ მობილიზაციით, უკლებლივ და დაუყონებლივ უნდა გამოცხადდენ ბეგარის მოსახდელათ.

◆ სამხედრო სასწავლებელზე თავდასხმის დროს მოკლული მ. მაყაშვილის ცხედარი 7 მაისს წაასვენეს კახეთში. გასვენების წინ გადახდილ იქნა პანაშვიდი სამხედრო ტაძარში. პანაშვიდს დაესწრენ: დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმი, სამხედრო, შინაგან და საგარეო მინისტრები, მთავარ სარდალი გენ. კვინიტაძე და სხ. დღის პირველ საათზე ცხედარი წაასვენეს სადგურზე. სამხედრო პატივისცემის ნიშნად მიცვალებულისადმი გამოწვეული იყო თფილისის გარნიზონის სხვა და სხვა ნაწილები, სამხედრო სკოლის მოსწავლენი და სხ.

◆ ბათომიდან საქართველოს მთავრობას შემდეგი აცნობეს: ბათომის ქართველი ვაჭარ-მრეწველნი, ვითვალისწინებთ რა საქართველოს დღევანდელ მძიმე მდგომარეობას და მზათ ვართ რა ყოველივე ჩვენი ძალღონით შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა, გამოვსთქვამთ რწმენას, რომ ჩვენი მთავრობის შორს მჭვრეტელი პოლიტიკა კვლავ გამოიყვანს ჩვენს ქვეყანას განსაცდელიდან. ამასთანავე ვსდებთ თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლათ 10 მილიონამდე თანხას, შეგროვებას უკვე შევუდექით.

◆ დაიჭირეს და პასუხისგებაში არიან მიცემული მესამე უბნის უფროსის თანაშემწე ჟუკოვი და ჭელიძე სამსახურის დროს ცუდი საქციელისთვის.

◆ დატუსაღებულ იქნა მილანსკი, რომელმაც განიძრახა დონდუკოვ-კარსაკოვის ქუჩაზე ელექტრონის შუშის მოპარვა.

◆ 9 მაისს ქალაქის საავადმყოფოში იყო 78 ავადმყოფი, კიდევ მოიყვანეს 8, მორჩა და გამოეწერა 2, გარდაიცვალა ერთი, საავადმყოფოში თავისუფალი ადგილია ორი.

## ექ. ირაკლი სურგულაძე.

4 ამ თვეს აჭარის გზაზე ყაჩაღებმა სიცოცხლეს გამოასალმეს სამუსლიმანო საქართველოს დიდი მეგობარი და მოსიყვარულე ექიმი ირაკლი სურგულაძე. მოკლეს ის ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი არსებით უყვარდა ქართველი მუსლიმანები, მოკლეს სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე ახალგაზდა, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი კუთხისათვის.

და მერე ვინ მოკლა? როგორც სჩანს, ის მოუკლავთ აჭარლების წრიდან გამოსულებს. მოუკლავთ იმ ხალხის შვილებს, რომლის ინტერესებისათვის ირაკლი მზათ იყო თავი გაეწირა.

ირაკლი ერთად-ერთი ძმა იყო სამუსლიმანო საქართველოში კარგად ცნობილ საზოგადო მოღვაწის პეტრე სურგულაძისა. პეტრემ ქართველ მუსლიმანთა დახმარების საქმეში დიდი უბედურება გამოიარა. სამუსლიმანო საქართველოდან გადახვეწილ ძმებს პეტრე თავს ევლებოდა და უვლიდა მათ, როგორც ძმებს და მეგობრებს. პეტრეს მეოხებით ბევრი ქართველი მუსლიმანი გადაურჩა სიმშილით სიკვდილს.

და მას შემდეგ არ ყოფილა არც ერთი წუთი, როდესაც პეტრეს თავისი კერძო საქმეზე ეზრუნოს. ის ყოველთვის სამუსლიმანო საქართველოს სიკეთეზე ფიქრობს და ზრუნავს.

ასეთი იყო მისი ძმაც. და ასეთი ადამიანი მოაშორეს წუთის სოფელს. გამოგლიჯეს ის თავის სამშობლოს და თავის მოსიყვარულე ძმას.

რა საშინელი ირონიაა ბედისა. კაცი, რომელიც თავს ევლებოდა ქართველ მუსლიმანებს, ქართველი მუსლიმანის ხელით გამოესალმა სიცოცხლეს. ძმა, რომელიც თავს ევლება ქართველ მუსლიმანებს, რომელსაც თავის სიცოცხლის საგნათ ქართველ მუსლიმანებისადმი სამსახური დაუსახავს მიზნათ, რჩება კერძო ცხოვრებაში სრულიად ობლათ, ერთად-ერთ საყვარელ ძმისაგან გამოთიშულად.

და უბედურება ის არის, რომ პეტრეს ტანჯავს ორგვარი ნაღველი: ერთი ის, რომ მან დაკარგა საყვარელი ერთად-ერთი ძმა და მეორე ის, რომ დაკარგა ვისი ხელით? ხელით იმ ხალხის შვილისა, რომლის კეთილდღეობისათვის იღწვოდა და იღწვის ამ ჟამად ტანჯული პეტრე.

საუკუნოთ იქნება ხსენება სამუსლიმანო საქართველოს დიდი მეგობრის ირაკლი სურგულაძისა.

მის ძმას, ჩვენ დიდ მეგობარ პეტრეს არ ვიციით, თუ რა ნუგეში ვუთხრათ. ვსტირით ჩვენც მასთან ერთად დაუვიწყარ ირაკლის დაკარგვას.

ჩვენმა ცრემლებმა მისცეს მას მცირედათ მაინც მისი ტანჯვის შემსუბუქება. ვუსურვებთ მას, რომ ვაჟკაცურად გადაეტანოს ეს დიდი უბედურება და კვლავ მალე დაბრუნებოდეს თავის საყვარელ საქმეს: სამუსლიმანო საქართველოს თავდავიწყებით სამსახურს.

# ოსმალეთი.

სულთანმა გამოსცა ირადე (ბრძანება), რომლის ძალითაც უნდა შესდგეს მოხალისეთა ჯარი. ეს ჯარი გაგზავნილ იქნება მუსტაფა-ქემალ-ფაშის წინააღმდეგ. ამ ჯარის აფიცრებს ჯამაგირი მიეცემათ წინდაწინ. პოლკების უფროსებს თვიურათ 150 თათრული ლირა ექნებათ თვეში.

---

# დამფუძნებელი კრება.

## 30 აპრილის სხდომა.
## ვალ. ჯუღელის სიტყვა.

დღეს, როდესაც კვლავ მოადგა საფრთხე ჩვენს საზღვარს თურქო-ბოლშევიკურ ბრბოების მხრით, ჩვენთვის უკვე ნათელი და აშკარა ხდება ის მოვლენა, რომ ყოველთვის არსებობდა კავშირი ბალშევიკებს და ოსმალეთის ფაშებს შორის. ამას ამტკიცებს მთელი წარსული მოღვაწეობა ბალშევიკებისა, რომლებიც სწორედ მაშინ მოგვიწყობდნენ აჯანყებას ზურგში, როდესაც თავს გვესხმოდა ოსმალეთი. გაიხსენეთ თუ გინდათ ბათომის და სხვა ადგილების ტრაღედია და თქვენთვის უდავო გახდება მათ შორის არსებული კავშირი. მაშინაც კი როდესაც თავს გვესხმოდა შავი გენერალი დენიკინი, არ დაინდვეს საქართველოს მშრომელი ხალხი და აჯანყება მოგვიწყვეს შიგნით. მაგრამ მჭიდროთ დარაზმული დემოკრატია და თფილისის პროლეტარიატი ყოველთვის უკუაქცევდა მათ მუხანათურ თავდასხმას.

დღეს მდგომარეობა უკეთესია. თუ წინათ ყოველ ჩვენთაგანში იყო რყევა და ორჭოფობა, დღეს როდესაც დავინახეთ ნამდვილი სახე ბალშევიკებისა, ჩვენში აღარ ექნება ადგილი ამ ორჭოფობას (ტაში). შესაძლებელია ახლაც მოინდომონ შიგნით არევ-დარევის გამოწვევა, მაგრამ მით უფრო სასტიკათ ჩავაქრობთ მოღალატეების და ავაზაკების გამოსვლას (ტაში) ყველამ უნდა იცოდეთ რომ დღეს ყოფნა არ ყოფნის საკითხი დგას ჩვენ წინაშე, ყველანი დავიხოცებით და მტერს ერთ ნაბიჯს არ დაუთმობთ. (ტაში). მოქალაქენო! მე რა თქმა უნდა წინააღმდეგი არ ვარ კეთილმეზობლურ განწყობილების და მშვიდობიან მოლაპარაკების, მაგრამ ჩვენ ყოველ შემთხვევისთვის მზად უნდა ვიყვეთ, რომ წითელ იმპერიალიზმს სასიკვდილო ლახვარი ჩავცეთ თუ იგი გაბედავს და ჩვენი თავისუფლების მოსპობას შეეცდება. მე მწამს რომ აქ, საქართველოს საზღვრებთან გაითხრება ბალშევიკების სამარე. აქ მოხდება მისი დაშლა და დასამარება. თუ ბალშევიკებმა გაბედეს და გადმოლახეს ჩვენი საზღვრები, ჩვენს ჯარს და სახელოვან გვარდიას ამით მიეცემა საშვალება კიდევ უფრო მაღლა ააფრიალოს თავისი წითელი დროშა და გაანთავისუფლოს ყუბანის და ტერეკის დემოკრატია ბალშევიზმის ტირანიისაგან (მხურვალე ტაში).

როდესაც მარტოობაზე ლაპარაკობენ, [illegible] ეს არ არის მართალი. ჩვენ გვყავს მოკავშირე და ეს არის ევროპის დემოკრატია. როდესაც იგი შეხედავს, რომ საქართველოს პროლეტარიატი თავდადებით იცავს თავის თავისუფლებას და რევოლუციის მონაპოვარს, მთელი მისი სიმპატიები ჩვენ მხარეზე იქნება. მეორე მოკავშირე ეს ისევ რუსეთის დემოკრატია არის, დღეს იგი უფლება აყრილია, ბალშევიზმის ბორკილებით არი შებოჭილი, მაგრამ მე მწამს, იგი მალე შესძლებს ამ ტირანების უღელის მოხსნას; მე მწამს აგრედვე რომ სომხეთის მართველი პარტია დაშნაკციუთიუნი, რომელიც ყოველთვის მტერი იყო სომხეთის ხალხისა, დღეს მაინც შეიგნებს თავის ინტერესებს და გვერდში ამოგვიდგება ამ წმინდა ბრძოლაში. ჩვენ დღეს გვყავს გაწრთნობილი ჯარი და ომში გაკაჟებული გვარდია (ტაში). ორი ეს ძალა შეასრულებს თავის მოვალეობას და ქვეყანას ააცდენს ამ საფრთხეს (ტაში).

თუ ჩვენ სავსებით შევიგნებთ იმ სიტყვების აზრს და შინაარს, რომლითაც დაასრულა აქ თავისი განცხადება მთავრობის თავმჯდომარემ, მაშინ ვერავითარი საფრთხე ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს, მაშინ გამარჯვებაც უზრუნველყოფილია. (ტაში) მხოლოდ საჭიროა მთავრობამ ერთ გარემოებას მიაქციოს ყურადღება. ეს ის რომ, ჩვენმა ნორჩმა ბურჟუაზიამ გამოიღოს თავისი წვლილი. მთავრობამ ამ შემთხვევაში მეტი ენერგია უნდა გამოიჩინოს, რომ ეს კლასი, როგორც წინეთ, ეხლაც არ დარჩეს განზე. მან სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ამათ წინააღმდეგ. მაშინ მშრომელი ხალხი მეტი აღფრთოვანებით დაირაზმება და ის დროშა წითელი და სამფეროვანი, რომელიც მაღლა უჭირავს მას, არ დაეშვება, გამარჯვებული დაბრუნდება და აქ ამ დარბაზში მოულოცავს საქართველოს ბრწყინვალე გამარჯვებას (მხურვალე ტაში).

ამით დასრულდა კამათი. მიღებულ იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

დასასრულ ერთხმად მიღებულ იქნა დეკრეტი: „გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებისათვის 300 მილიონი მანეთი რესპუბლიკის დაცვის საჭიროებისათვის“.

---

დაიკარგა ილარიონ ნიკოს ძე ცირკარიძის პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქართ. რესპ. ბათუმის საკონსულოსაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

344. (1–1)

---

დაიკარგა ისიდორე ბიჭიას ძე მიქაძის პირადობის სურათიანი მოწმობა მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

342. (1–1)



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკარგა აკაკი სოფრომის ძე კიკვაძის უვადო ბილეთი მიცემული ფარცხანაყანევის საზოგადოების უბნის თავმჯდომარისაგან №1028, — 1919 წ.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

353. (1–1)

დაიკარგა კირილე იოსების ძე არველაძის სურათიანი პირადობის მოწმობა მიცემული საქართველოს რესპუბლიკის ბათომის კონსულისაგან №5614-1920 წ.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

345. (1–1)

დაიკარგა ნინა თეოფილე თარგამაძის ასუწლიური ბილეთი, მიცემული ქუთაისის მილიციის უფროსისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

346. (1–1)

დაიკარგა აბესალომ აგას ძე გასანოვის ექვსი თვიანი ბილეთი, მიცემული თბილისის მილიციის უფროსისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

347. (1–1)

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათა-
ვისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ხუთშაბათი 13 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 300 მან. |
| 2 თვით | 200 მან. |
| 1 თვით | 100 მან. |

№358 ყოველ დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №358

## ქობულეთის უფსკრული!

ქვეყნის მტრებმა ვნება აანთეს ქობულეთში, ქობულეთი იქცა საშინელების უფსკრულად... მაისის 11-ს ქობულეთი ხელთა ბრძოლას განიცდიდა!.. აქ მოჭრილიყო რუსის ოფიცერი, გარშემო შემოეკრიბა ყველა მაწანწალა და უპასუხისმგებლო წყებანი და აყვირებდა: „საქართველოს ჯარები არ გვინდაო"... რა მწარეა ეს სინამდვილე... არ სჩანდენ უცხო იუდასებური სახეები, რომლებიც ჰღაღადებდენ: საქართველოს ჯარი თუ შემოვიდა დავიღუპეთ, გემრიელი სახრავი ლუკმა წაგვერთმევა ამიტომ ავამხედროთ ხალხი მათ სამტროდო...

ამ შხამიანმა გველებმა რამოდენიმეთ მიზანს მიაღწიეს... ქობულეთის ზოგ მოსყიდულ პირს თოფი აალებიეს ხელში... თავბრუ დამსხმელია ეს ამბავი... ქობულეთი გადავარდა სასირცხვო უფსკრულში!.. გაბრიყვებულმა პირებმა საბედისწერო ნაბიჯი გადასდგეს!.. რისთვისაც შეგნებული ნაწილი კი შავი ცრემლით მოსთქვამს!..

ოსმალნი, რუსნი, სომეხნი და სხვა „მოსეირენი" საქართველოს ჯარს ბრძოლის ველს უმართავენ...

თორმეტი ყაჩაღი, მუდამ ხალხის მწიოკებელი მოსულა, მიუმხრია ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი მოღალატენი და მით მთელ ქობულეთს სამარადჟამოდ სინდისის მქეჯნი ლაქა წააცხო!

თორმეტი მძარცველი მთელ ხალხს უდიდეს უბედურების მონილადეთ ხდის!..

სისხლის სამართლის დამნაშავენი მუქთახორანი, მთელ ქობულეთისთვის შავ დღეებს ათენებენ, როცა მათი მოსწრაფებით შვილმა მამა უნდა მოჰკლას, ძმამ ძმა და ბატონად უცხო, ბედის მაძიებელნი წამოისკუპონ!..

მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ეს ვერაგი ზრახვა არ განხორციელდება. ქობულეთის ნამდვილი მშრომელი ხალხი გაიმიჯნება გამყიდველ მოღალატეებისაგან... ქობულეთის ხალხი დასწყევლის იმ ულირს შვილთ, რომლებმაც 11 მაისის ჯოჯოხეთი წარმოადგინეს... ჩვენც ვეძახით აქეთკენ მშრომელ ხალხს, გონს მოდით, თქვენ თავს ანგარიში მიეცით!.. მეტი ნურც გათენებულ იყვეს 11 მაისის მსგავსად!

დაე ჩქარა ამოივსოს ქობულეთის უფსკრული!.. დაე ქობულეთის ხალხმა მალე მოიშოროს სირცხვილის მანდილი და უსასტიკეს სამჯავროს მისცეს ხელში ქვეყნის მტრები — ბნელეთის მოციქულები, მშობლიურ კუთხის გამაუბედურებელნი.

საშიში ნიშნებია! ისმინეთ ქობულეთლებო!..

გამოფხიზლდით!..

## პ რ ე ს ა.

საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ გაზ. „სახალხო საქმე" შემდეგს სწერს:

ქართველმა ხალხმა ერთ დიდს გამარჯვებას კიდევ მიაღწია: ეს არის ზავი საბჭოთა რუსეთთან. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მრავალი ღირს შესანიშნავი ამბავი მოხდა ჩვენს ირგვლივ და ჩვენს საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ ცოტა იყო ისეთი, რომელსაც იმგვარი განუსაზღვრელი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორიც აქვს მაისის 7 ღამის 12 საათზე დადებულ ხელშეკრულებას.

საქართველო ისტორიულად და ეხლაც იმით იყო ხიფათში, რომ მას ყოველთვის გარს ეხვია ისეთი მეზობლები, რომელნიც მხოლოდ მის დაპყრობას, განადგურებას სცდილობდნენ. ორი ათასი წლის განმავლობაში ებრძოდა ქართველი ხალხი შემოსეულ თურქ მეზობელ ურდოებს და მან უვნებლად გამოიტანა თავისუფლების, მაღალი კულტურის დროშა ათასგვარ ქარ-ცეცხლში. დროებითმა ოკუპაციამ დიდი რუსეთის მიერ ვერ მოსდრიკა ქართველი დემოკრატია და როცა რევოლუციამ დაამსხვრია მძიმე ხუნდები მონობისა — ქართველი ხალხი ისევ გამოვიდა დამოკიდებული მსოფლიოს სცენაზე, კვლავ ჩაება თავისუფალ ერთა ფერხულში საქართველოს პრინციპი ყოველთვის იყო და არის: იცხოვრე და მაცხოვრე. ამიტომ იგი ყოველთვის სცდილობდა კეთილმეზობლური განწყობილება დაემყარებინა ყოველ ერთან. ამასავე სცდილობდა რუსეთის მიმართ. ყველამ იცის, თუ რაგვარი იყო აქამდე სოვდეპიის და ჩვენი ურთიერთობა, ამაგრამ ეხლა ამის ლაპარაკის დრო არ არის. დღეს მიღწეულია უსისხლოდ ის, რასაც მთელი ქართველი ერი ესწრაფვოდა. რუსეთთან ზავი და ალიარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ება საქართველოს დამოუკიდებლობისა თავის ბუნებრივ საზღვრებში — ეს არის მორიგი გამარჯვება, რასაც ჩვენ სიამოვნებით ვულოცავთ მთელ ქართველ ერს.

ჩვენი ინტერესი ყოველთვის ის იყო, ჩვენს ირგვლივ ყოფილიყო ისეთი უფლებრივი სახელმწიფონი, რომელნიც ანგარიშს გაგვიწევდნენ და შესაძლებელი იქნებოდა მათთან ეკონომიური ურთიერთობის გაჩაღება. მთელი მსოფლიო დღეს სხვა და სხვა ბანაკებად არის დაყოფილი, სავაჭრო ურთიერთობა ფაქტიურად მოსპობილია და რასაკვირველია ეს უფრო ამწვავებს იმ კრიზისს, რომლითაც თითქოს მთელი მსოფლიო იტანჯება. რუსეთთან ზავი, გარდა იმისა, რომ ერთნაირად გვანთავისუფლებს მილიტარიზმის უზომო ხარჯებისაგან — მნიშვნელოვანია ეკონომიურადაც. ეს ყოველთვის ცხადი იქნება თუმცა იმისაგან, რომ რუსეთი გვპირდება სატრანზიტო საქონლის განთავისუფლებას ყოველგვარ გადასახადისაგან.

ზავი, საპატიო ზავი რუსეთთან ფაქტია. მაგრამ ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. აზერბეიჯანმა ავნტიურა საბედისწერო დროს დაიწყო, მას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. იმ დროს შესწყვიტა კავშირი ჩვენსა და ანტანტასთან, როდესაც საბჭოთა რუსეთი მოგვირიგდა ჩვენ და ურიგდება მოკავშირეებსაც. ახლა აზერბეიჯანის ჯარი ჩვენს საზღვარზე დგას, ჩვენი გვებრძვის. მაგრამ ერთი გამარჯვებით წახალისებული ქართველი ხალხი შავ პანისლამისტების ბრბოებს ადვილად მოიგერიებს. ვაი აზერბეიჯანს, რომ მან საბოლოოდ დაჰკარგა თავისუფლება, თორემ მათი და ოსმალეთის ასკერები საქართველოს ვერასოდეს დაიმონებენ.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვულოცავთ ქართველ ხალხს მორიგ გამარჯვებასა და იმედი გვაქვს, რომ მომავალში იგი ისევე უვნებელი გამოვა ყოველგვარ განსაცდელისაგან, როგორც დღეს გამოდის იმ დიადი პრინციპით აღჭურვილი, რომელიც ჩვენს დროშაზე ეწერა: იცხოვრე და მაცხოვრე.

---

## ახალი ამბები.

◆ 10 მაისს საქართ. მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ მოსკოვში გრ. ურატაძეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „მოგილოცავთ საზავო ხელშეკრულების დადებას. გადაეცით „სოვნარკომ"-ს, რომ ზავის ამბავს ხალხი ღრმა კმაყოფილების და აღტაცების გრძნობით შეხვდა. იმედი მაქვს, რომ დღეიდან გაქრება ყოველივე გაუგებრობა რუსეთსა და საქართველოს შორის და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანათ და თანხმობით იმუშავებს ცხოვრების სოციალისტურ საფუძვლებზე გარდასაქმნელად. სალამი მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს".

◆ ჩვენ გადმოგვცემენ, რომ ქობულეთში თავმოყრილ ბალშევიკებსა და „სედაი მილეთლებს", რომლებიც შეიარაღებულნი არიან და ხალხს ომისაკენ მოუწოდებენ, მეთაურობს ცნობილი ყაჩაღი, ინგლისელი ექიმის მკვლელი პაიჭაძე. ამ გარემოებამ ერთხელ კიდევ ცხადყო ამ ავანტიურისტთა ბნელი განძრახვები. ხალხმა გაიგო, რომ ისინი ჩვენი ოჯახის და სახლ-კარის განადგურებას ცდილობენ, ჩვენი ქვეყნის აოხრებას ლამობენ. ხალხმა შეიგნო და ამ ვაჟბატონებს აშკარათ კიცხავენ, მათ ავანტიურულ მოქმედებაში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებს. უკანასკნელი ცნობებით ქობულეთში თავმოყრილი „სედაი მილეთლებისა" და ბალშევიკებისაგან შემდგარ ბრბოს უკვე დაშლა დაუწყია.

◆ 11 მაისს დღის 11 საათზე პარიზიდან გემ „ფრანც იოსებით" ბათუმში მობრძანდა საქართველოს დელეგაციის წევრი ბ.ბ. ირაკლი წერეთელი და კ. საბახტარაშვილი, რომლებიც ამავე დღესვე გაემგზავრენ თფილისში.

◆ ინგლისის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ომერ კონგენ ოღლის, რომელსაც სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ბრალდებოდა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 11 მაისს დილას 7 საათზე.

◆ 26 მაისის დღესასწაულისათვის მზადება. 9 მაისს საღამოს 6 ს. შესდგა პ. საყვარელიძის თავმჯდომარეობით დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის მრავალრიცხოვანი სხდომა, სხვა და სხვა ორგანიზაციათა, კავშირთა, დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენლების მონაწილეობით. არჩეულ იქნა დღესასწაულის მომწყობი კომისია, რომელშიაც შედიან ხელოვნების კომისიის წევრების გარდა სხვა დაწესებულებათა 8 წარმომადგენელიც.

◆ 11 მაისს შეპლევის ქუჩაზე მილიციონერთა მიერ დატუსაღებულ იქნა სულტან ახმედ ოღლი, რომელსაც ჯიბეში უპოვეს ვიწრო წვერიანი ჟესტის მილი, სხვა და სხვა ნივთების მოსაპარათ დამზადებული.

◆ 11 მაისს დღის 11 საათზე სიმონ გოლოვჩენკოს ბოროტმომქმედებმა მოპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 500,000 მანეთად.

◆ ამ დღეებში გაიმართა საღამო ცეცხლის მქრობელი რაზმის სასარგებლოთ. შემოვიდა 200,000 მანეთამდე.

◆ „სახალხო სახლის" გამგეობამ დაადგინა დაარსონ საორკესტრო წრე 10 კაცისგან ვეტიშნიკოვის ხელმძღვანელობით.

◆ მომრიგებელმა კამერამ გოფოძის მაღაზიაში მოსამსახურე მოლარე ქალს 55000 მანეთი მიუსაჯა ზედმეტი მუშაობის საფასურათ.

◆ 11 მაისს შრომის ბირჟაში ჩაეწერა 43 უმუშევარი, მათ შორის 7 ქალი.

◆ დაადგინეს მოიწვიონ კოოპერატივ „სახალხო სახლის" წევრთა კრება არა უგვიანეს 10 ივნისისა.

# ზავი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის.

(მთავარი ცნობა).
10 მაისი.

ღამით 7–8 მაისს 12 ს. 20 წ. საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძის მიერ ქალაქ მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ზავი რუსეთთან.

ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები შემდეგში მდგომარეობს:

1) რუსეთი ყოველ დავის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თვითარსებობას და თავის ნებით უარს ამბობს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომლებიც რუსეთს ეკუთვნოდა საქართველოს ხალხისა და მიწაწყლის მიმართ.

2) რუსეთი უარს აცხადებს საქართველოს შინაურ საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.

3) საკითხი საზღვრების შესახებ გადაწყვეტილია საქართველოსთვის ხელსაყრელ პირობებში.

სხვათა შორის, რუსეთის მთავრობა უდავოთ სცნობს მთელ ბათუმის ოლქს საქართველოს სახელმწიფოს განუყრელ ნაწილად.

რუსეთი და საქართველო იღებენ თავიანთ თავზე ვალდებულებას დაიცვან ერთი მეორის მიმართ მტკიცე ნეიტრალიტეტი და არ დაუშვან თავიანთ ტერიტორიებზე შეიარაღებულ ძალთა და ჯგუფთა მოწყობა, რომელთაც მიზნათ ექნებათ შეიარაღებული ბრძოლა და ამ სახელმწიფოებში არსებულ წესწყობილების დანგრევა; უკეთუ ასეთი ძალები შეიჭრენ ან შემდეგში შემოიჭრებიან ამ ორ სახელმწიფოთა საზღვრებში, მაშინ ასეთი ძალები დაუყონებლივ განიარაღებული და მოთავსებულ იქნან განსაკურებულ ბანაკებში.

ეკონომიური დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს შორის სანამ სავაჭრო ხელშეკრულება დაიდებოდეს, რომელიც უნდა მოხდეს რაც შეიძლება დაჩქარებით, განისაზღვრება შემდეგი მთავარი დებულებებით: ა) ერთი მეორესადმი უპირატესი კეთილ განწყობილებითი პრინციპით და ბ) სატრანზიტო საქონლის ბაჟისაგან და გადასახადებისაგან განთავისუფლებით.

გარდა ამისა, ხელშეკრულებაში არის კიდევ სხვა, მცირე მნიშვნელოვანი მუხლებიც.

სრული ტექსტი ხელშეკრულებისა დამატებით გამოცხადდება.

---

◆ ამ დღეებში ბათუმიდან საბერძნეთში გაიგზავნა 400 კაცამდე ლტოლვილი.

◆ 10 მაისს ბერძენთა სასწავლებლის ბინაზე გაიმართა დიდი საღამო, რომლის დროსაც წაიჩხუბა ანდრიიდიმ და ვასილიევმა. ანდრიიდიმ დასჭრა ვასილიევი დანით და მიიმალა. ვასილიევი ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანეს.

# დამღუპველი პოლიტიკა.

საბოლოოთ გამოირკვა, რომ ოსმალეთის სახელმწიფო დაღუპვის კარამდე მიიყვანა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის წევრთა პოლიტიკამ. მათმა მოქმედებამ ოსმალეთს უდიდესი დამარცხება არგუნა უკანასკნელ ომში. ნაცვლათ იმისა, რომ საკუთარი ტერიტორიით დაკმაყოფილებულიყო და მისთვის ეზრუნა, სხვისას წაეპოტინა და ახლის შეძენის მოლოდინში, ძველიც დაჰკარგა.

ამ პარტიამ თვისი თავი მუსლიმანობის უდიდეს დამცველათ გამოაცხადა და მთელი ქვეყნის მუსლიმანთაგან მოინდომა ერთი და მთლიანი სახელმწიფოს შექმნა. თუ როგორი დამცველები არიან მუსტაფა ქემალი და ენვერ ფაშები მაჰმადის სჯულისა. ეს საკმაოთ გამოირკვა, როცა მათმა ჯარებმა 1918 წელში ბათუმი დაიპყრეს და ჩვენი ჯამეები და სალოცაები ცხენების ბინებათაც კი გადააქციეს...

ეს იცის ყველა ქართველმა მუსლიმანმა. ვიცით, რომ ოსმალეთის ჯარების ჩვენში შემოჭრამ ააოხრა და გაანადგურა ჩვენი კარ-მიდამო. ვიცით ისიც, რომ მათი ჯარები, რომ ჩვენში არ შემოსულიყო დღეს ჩვენი ქვეყანა დედა-საქართველოსთან იქნებოდა გაერთიანებული და ადგილი არ ექნებოდა იმ აუტანელ პირობებს, რაც შექმნა ბათუმში და ოლქში ბედის საძიებლათ მოსულთა გაბატონებამ და წარმოუდგენელმა სიძვირემ.

ოსმალეთის ხალხმა უკვე შეიგნო, რომ მუსტაფა ქემალ ფაშები და ენვერები ნაცვლათ სიკეთისა, მტრობას უწევენ მათ სახელმწიფოს.

ენვერების მიზანი, მუსლიმანებით დასახლებულ ყველა ქვეყნებისაგან ერთი სახლმწიფოს შექმნის შესახებ, ფუჭი ოცნება გამოდგა. „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის ეს ლიდერები ამ უკანასკნელ ომში ოსმალეთს განაგებდენ და თანახმად დასახული მიზნისა დასძრეს ჯარები კავკასიისაკენ. ბათუმისა და ბაქოს ალებამ იმდენათ წაათამამა, რომ კიდევ სხვა ქალაქების დასაპყრობათ ბათუმი და ბაქო ჯარებით გაავსეს, ბულგარეთის ფრონტი თითქმის უყურადღებოთ მიატოვეს და მოკავშირეთა ჯარებმაც ადვილათ შესძლო სტამბულ- დარდანელის დაჭერა.

ამგვარათ, ენვერ ფაშებმა თბილისისა და ბათუმ-ბაქოს წაპოტინებით, სხვისი ტერიტორიის დაპყრობის მოლოდინში, საკუთარი სატახტო ქალაქიც უცხო სახელმწიფოებს ჩააბარეს.

ამ გვარ პოლიტიკას მუსტაფა ქემალ ფაშის და ენვერებისა არ შეიძლება ოსმალეთის ხალხში უკმაყოფილება არ გამოეწვია და ეს უკმაყოფილება იმდენათ ძლიერი გამოდგა, რომ მუსტაფა და ენვერები სამშობლოს მოღალატეებათ იქნა აღიარებული და სამშობლოდან გაძევებაც გადაუწყვიტეს.

განვლო დრომ და ადერბეიჯანში მოკალათებულ ენვერ ფაშის აგენტებმა ისევ წამოყვეს თავი. სამწუხაროთ, ამ აგენტებით გაჭედილი გამოდგა მათი პარლამენტი და მთავრობაც, და ადერბეიჯნელი ენვერები, მილიონობით დატვირთულნი, ახმედ ჰემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ეფენდების სახით, კვლავ მოევლინენ სამუსლიმანო საქართველოს. ჩამოზიდეს ტომრებით ფული და შეუდგენ ჩვენში ბათუმის დასაპყრობათ პროპაგანდა — აგიტაციას, დაიწყეს საქართველოს წინააღმდეგ მუშაობა; იმ საქართველოს, რომელთანაც მათ სამხედრო ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული, რომელსაც ძმობა-სიყვარულს ეფიცებოდნენ და რომლის განუყოფელ ნაწილსაც შეადგენს ბათუმი და მისი ოლქი. ადერბეიჯანის ფულებმა და მოწოდებებმა შესაფერი ნაყოფიც გამოიღო. ზოგიერთებს მართლაც აუცრუა გული საქართველოზე და იწყეს მტრების გასახარელი საქმის კეთება. ბათუმში ბლომათ შემოხიზნულ ბალშევიკ-დენიკინელებსაც ეს უნდოდათ. დენიკინელები მთელ ოლქში არიან გაბატონებულნი და რამდენათ ხელს შეუშლიდენ ადერბეიჯანელები ბათუმის ოლქის საქართველოსთან გაერთიანებას, იმდენათ დენიკინელთათვის ხელსაყრელი და მოსაწონი იყო, იმდენათ ხანგრძლივათ იბატონებდენ ჩვენზე... დენიკინელებმაც აუარებელი ფულები მოზიდეს აქ ამ მიზნისათვის, მოიყიდეს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი მახინჯი შვილები და შეუდგენ ბათუმის საქართველოზე ჩამოცილების საქმეს. ფულებით სცადეს ჩვენი ქვეყნის დაპყრობა, ჩვენზე გაბატონება.

ადერბეიჯანელებისა და დენიკინელთაგან მოყიდულებმა მორთეს ყვირილი: არ დაიღუპოთ თავი, საქართველოსთან შეერთება არ გაბედოთ; არ გადაირიოთ, ქართველი ჯარები არ შემოიყვანოთ ჩვენში, მოვითხოვოთ ბათუმის ოლქისაგან ცალკე სახელმწიფოს დაარსება, თუ გინდათ ბედნიერება მოგენიჭოთო...

ყველამ იცოდა, რომ „აჭარისტანის" სახელმწიფოს არავინ შექმნიდა. ყველამ იცოდა, რომ ვინც საქართველოსთან შეერთების წინააღმდეგ მოგვიწოდებდა, ის აშკარა მტერი იყო ჩვენი ხალხისა. ფულით მოყიდული აგენტი იყო ჩვენი მტრებისა. და ეს დამტკიცდა არა ერთხელ.

ვერ გასჭრა დენიკინელებისა და ადერბეიჯანელთა ოინებმა. ვერ გასჭრა ფულით მოყიდულ აგენტთა მოწოდებამ. და მთელი ოლქის მუსლიმანთა წარმომადგენლებმა „ღვთისა და ქვეყნის წინაშე" ერთხმად აღიარეს დედა-სამშობლო საქართველოსთან ავტონომიურათ გაერთიანება. ერთად-ერთ გამაბედნიერებლათ იცნეს საქართველოსთან ერთობა და სიყვარული...

ამგვარად დამარცხდა ადერბეიჯანელი ქემალი და ნური ფაშების განძრახვები სამუსლიმანო საქართველოში.

ადერბეიჯანის მთავრობამ ქემალ-ფაშების მიბაძვით ბევრი რამ დაჰკარგა. ნაცვლათ იმისა, რომ საკუთარი ტერიტორიისათვის მოევლო, ბათუმის ოლქში იწყო ხელების ფათური, აქ ჩამოზიდა მილიონები. თავისი ქვეყანა დედა-ქალაქ ბაქოთი კი რუსეთელ ბალშევიკებს მიუძღვნა ფეშქეშათ.

ამგვარათ, განმეორდა ოსმალეთის ისტორია ადერბეიჯანში. ადერბეიჯანელმა ნური და ქემალ ფაშებმა თვისი ქვეყანა უცხო ძალებს დააპყრობიეს... იჭვი არ არის, ადერბეიჯანის ხალხიც შეიგნებს ამას და მოღალატე ვაჟ-ბატონებს შესაფერ ადგილს მიუჩენს.

ოსმალეთის მოღალატე და სულთანისგან დევნილი ქემალ-ფაშა დღეს კიდევ არ იშლის თავისას. მას აუყოლიებია ზოგიერთი ოსმალეთის მტრათ მიჩნეული აფიცრობა და გზა დაბნეული პირებით ცდილობს დაკარგული ბატონობის აღდგენას. მათ ბათუმშიაც გაიჩინეს საკმაო აგენტები და კვლავაც ლამობენ განიმეორონ 1918 წლის ამბები. „სედაი მილეთელებს" უკვე მოუყრიათ თავი ქობულეთის უბანში და შეიარაღებულები ხალხს თავზე ახვევენ ისეთ რამეებს, რაც აშკარათ ეწინააღმდეგება კეთილდღეობის საქმეს და რაც სრულიად არ გამოხატავს ადგილობრივ მცხოვრებთა ნება-სურვილებს. მათთან თავი მოუყრია საქართველოსთან მტრულათ განწყობილ ბალშევიკებსაც. ეს ვაჟბატონები ხალხში გაცხარებით ეწევიან პროპაგარდა-აგიტაციას და მათ საომრათ მოუწოდებენ, სისხლის ღვრას ამზადებენ...

ჩვენი მტრების ასეთი თავაშვებულობა ძლიერ ამაღლებელია. ხალხს მოსძულდა მუდამ სისხლის ღვრა და არევ-დარევა, ხალხს მშვიდობიანობა სწყურია და ვინც ამას ეწინააღმდეგება, მათ წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღებაა საჭირო. დროა ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს. საჭიროა დროზე აილაგმონ ქემალ ფაშათა აგენტობა.

„სედაი მილეთელები" ბალშევიკებთან ერთად, ქემალ ფაშებს მეგობრობენ, — უბედურებას გვიმზადებენ. ეს ყველა ჩვენგანმა შეიგნოს.

**აჭარელი**

---

# მოლაპარაკება ჩიჩერინსა და ლორდ კერზონს შორის.

### (ბალშევიკების ცნობა)

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს გამოუგზავნა განცხადება, რომლითაც წინადადებას იძლევა, რომ პირდაპირ მოელაპარაკოს გენ. ვრანგელს იმ მიზნით, რომ საბოლოო მოლაპარაკებას შეუდგეს ყირიმზე შეტევის შესაწყვეტათ. ლორდი კერზონი წინადადებას იძლევა, რომ ამ მოლაპარაკებაში ინგლისის ოფიცრებმა მიიღონ მონაწილეობა. ზავის აღდგენის ერთათ-ერთი საშუალება, — ამბობს იგი, მომავალი თავდასხმისაგან გარანტიის მიცემა არისო. თუ ეს გარანტია მიცემული იქნება და მას მიიღებს ინგლისი, — მაშინ შესრულებული იქნება პირველი აუცილებელი პირობა და მოლაპარაკება მეგობრული ტონით გაგრძელდება. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ამ განცხადებაზე უპასუხა: საბჭოთა მთავრობა ყოველმხრივ მზათ არის, რომ ინგლისის მთავრობის სურვილს შეეგებოს. იგი ეხლავე მზათ არის ყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიმის ფრონტზე სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება დაიწყოს ინგლისის მთავრობასთან, ან მასთან, ვიზედაც იგი მიგვითითებს იმ მიზნით, რომ ყირიმის ფრონტის ლიკვიდაცია მოხდეს უსისხლოთ. საბჭოთა მთავრობა მზათ არის ამ მოლაპარაკებაში დაუშვას გენ. ვრანგელისა და ინგლისის ოფიცრების მონაწილეობა. რაც შეეხება კავკასიის ფრონტს, იქ სამხედრო მოქმედებანი შეჩერებულია და საბჭოთა მთავრობამ მეზობელ სახელმწიფოებს პირდაპირ მიმართა წინადადებით დაუყონებლივ საზავო მოლაპარაკებათა დაწყების შესახებ. საბჭოთა მთავრობა პირობას იძლევა, რომ იგი მხედველობაში მიიღებს ინგლისის მთავრობის ინტერესებს კავკასიაში. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი იმედს გამოსთქვამს, რომ თანხმობა მოლაპარაკების დაწყების შესახებ იქნება მოსამზადებელი ნაბიჯი, რასაც მოყვება რუსეთისა და ინგლისის საერთო შეთანხმება. კავკასიის ფრონტის სარდალი იტყობინება, რომ დენიკინის ჯარების დარჩენილი ნაწილებისა და სოჩაში მყოფ რადის ხელში ჩაგდების შემდეგ კავკასიის ფრონტზე იარაღით ბრძოლა მთავრდებაო.

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

პარასკევი 14 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შუქლევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 300 მან. |
| 2 თვით | 200 მან. |
| 1 თვით | 100 მან. |

№359 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №359

## ზავი რუსეთთან.

რუსული საფრთხე რუსეთთან ზავმა გააქრო. საქართველოს საგარეო პოლიტიკამ ბრწყინვალე გამარჯვება ირგუნა, ჩრდილოეთის საშიშროება საქართველოსთვის უდიდესი საჭირვარამო საკითხი იყო. იმ თავიდანვე და ამ უკანასკნელ დროს კი განსაკუთრებით... საქართველო რუსეთის ბალშევიკურ შემოსევას ელოდა, მაგრამ საქართველოს ტრადიციულ დისციპლინიანმა ხალხოსნურ ბრძოლაში გაფოლადებულმა დემოკრატიამ ისეთი ოდენობის და საღ-ღირსების ძალა წარმოადგინა, ისეთი რწმენით დადგა თავის საზღვართა ბჭეების დასაცავად, რომ ყველა მტერს თვალები გაუშავდა, ენა დაება!.. საქართველოს თავისუფლების საძირკველი ჯარი და გვარდია ისე მოხდენილად იდგა მოწოდების სიმაღლეზე, რომ ამ წმინდა ხალხურ ძალას ყველამ ანგარიში გაუწია, რაც შედეგია რეალურ ლოღიკურ შეფასებისა.

რუსეთმა აუცილებლად სცნო კეთილ მეზობლურ და სამშვიდობო მეგობრულ ხიდის გადება საქართველოს შორის...

საქართველოს მთავრობამ რუსული ხიფათი ისტორიულ არქივს ჩააბარა და მოსკოვში რესპუბლიკის წარმომადგენელმა საბჭოთა რუსეთთან ჩვენთვის ხელსაყრელ შეთანხმებას მიაღწია!.

რუსეთი აღიარებს საქართველოს დამოუკიდებელ არსებობას, ხელს იღებს ძველ უფლებებზე, რომელიც საუკუნეობრივ სიგრძეზე მას ეკუთვნოდა და რუსეთი სცნობს რესპუბლიკის ბუნებრივ საზღვრებს... ძვირფასი წარმატებაა ჩვენი ხალხისთვის ეს აქტი... რაც უნდა აგრესიული ყოფილიყო რუსეთის სულისკვეთება საქართველოს მიმართ, მას შემდგომ, რაც რუსეთი ასწონ-დასწონიდა საქართველოს ძალას, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა... რუსეთმა დასთმო ქართულ ძლიერ ეროვნულ ძალის წინაშე, რომლის კედლებთან უნაყოფოდ დაიმსხვრეოდა ყოველი მომხდური მტერი... რუსეთმა საქართველო შემთხვევით დაბადებულ აზერბეიჯანისაგან გაარჩია და თუ პირველი ყმათ გაიხადა, თავის ქეიფზე წითელ მაიმუნსავით ათამაშებს, სამაგიეროთ საქართველოს უფლების სფეროში დაუწყო ლაპარაკი და მის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივობას თავი დაუკრა...

ჩვენ გავიმარჯვეთ ჩვენი რეალური ძალის სიმძიმით, ეროვნულ ნებისყოფის სირკინით, შინაურ სალკლდეობით და კულტურით. დაე ასეთი პირობანი, ერის ურყევ საფუძველს რომ ჰქმნიან, ნუ მოაკლდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!..

რუსეთთან შეთანხმებაში სხვათა შორის ერთი მუხლია ღირს აღსანიშნავი. რუსეთი ბათუმსა და მის ოლქს საქართველოს უთმობს. ამ რიგად რუსეთმა, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ბატონობდა ბათუმში და მთელ საქართველოში კი 120 წელს, იმ „განათლებულ" ქვეყნებზე უფრო ადრე იცნო საქართველოს უფლებები ბათუმსა და მის ოლქზე, რომელიც საოკუპაციო-სასპეკულიაციო მიზნით გვესტუმრა, ხსენებული ოლქი ინტერნაციონალურ დამშეულ ავანტიურისტულ ხროვას აჩუქა და ახლაც ქობულეთის ამბებს გვიმართავს.

რუსეთმა ბათუმზე ხელი აიღო, ამან უნდა ჩააჩუმოს ბათუმელი ბოროტი სულები, რომლებიც ხშირად რუსეთის სახელით ლაპარაკობენ!..

სამუსლიმანო საქართველო სიხარულით ეგებება რუსეთთან ზავს, ამ მხარეს ამიერიდან აშორდება რუსული მეტოქე და მას მშობლიურ სახელმწიფოს უერთებს... ამ გარემოებამ უნდა გაჰფანტოს ის ავანტიურული ჯანყი, რომელიც უცხო მოაგარაკებისაგან და ადგილობრივ ყაჩაღების ხელის შეწყობით ბათუმის ოლქში იქმნება... საქართველოს მთავრობა, რომელიც ახერხებს ასეთ დიდ შეთანხმებათ, იმედია არ დააყოვნებს და მოუვლის უფსკრულის პირას მიყვანილ სამუსლიმანო საქართველოსაც.

ჩვენ ვთხოვთ მთავრობას გადასდგას გადამწყვეტი ნაბიჯები, ყველა გასტრალიორს კუთვნილი მიუგოს და იხსნას გაუთავებელ ტანჯვა-წამებისაგან მისი სისხლ-ხორცი სამუსლიმანო საქართველო.

---

## ახალი ამბები.

✦ ქართული საღამო, რომელიც უნდა გამართულიყო ქართული გიმნაზიის სასარგებლოთ 14 მა-

ისს, სხვა და სხვა მიზეზების გამო გადაიდო 26 მაისისათვის.

◆ ამ დღეებში ინგლისელთა მიერ დატუსალებული პროფ. კავშირთა საბჭოს ზოგიერთი ბალშევიკი წევრები, რომლებიც მოთავსებული იყვნენ ინგლისის სამხედრო კრეისერზე, 12 მაისს საღამოს 5 საათზე ამავე კრეისერით სადღაც წაიყვანეს. დაწვრილებით გაგება, თუ რამდენი კაცი არის დაჭერილი, ან საით წაიყვანეს ჯერ-ჯერობით არ მოხერხდა.

◆ ინგლისის მთავრობის განკარგულებით ქობულეთის უბანში მყოფი „პოგრანიჩნიკები“, რომელთა დიდი უმრავლესობა რუსობა და სომხობა იყო, 12 მაისს გამოცვალეს და მათ მაგიერ ინდოელი ჯარისკაცები დანიშნეს.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენება, ამ დღეებში რიზესა და ბათუმს შუა ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს ამხანაგობა „პაკე“-ს გემი. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ზოგიერთი მონაწილეთაგანი უკვე დაუტუსაღებიათ. გამოძიება სწარმოებს.

◆ 11 მაისს დაატუსაღეს და პასუხის გებაში იქნა მიცემული უნებართვოთ რევოლვერის ტარებისა და აყალმაყალისათვის პ. მუტა.

◆ ურთიერთ შორის წაჩხუბებისათვის დატუსაღებულ იქნა და სამართალში მისცეს დ. პარასკევოპულო და კ. პარასკევოპულო.

◆ თეატრ „აპოლოში“ ჩხუბისა და აყალმაყალისათვის დაატუსაღეს და სამხედრო გაუპტვახტში გაგზავნეს ინგლისელი ჯარისკაცი.

◆ 11 მაისს პეტროგრადის ქუჩაზე მყოფი სამი ინგლისელი პატრული ძალზე დათვრენ და დაუწყეს გამვლელთ ცემა. აღნიშნული ინგლისელნი დატუსაღებულ იქნა.

◆ 12 მაისს შრომის ბირჟაში ჩაეწერა 30 უმუშევარი, მათ შორის 4 ქალი.

◆ 12 მაისს ქალაქის საავადმყოფოში იყო 76 ავადმყოფი. კიდევ მოიყვანეს 6. მორჩა და გამოეწერა 7 კაცი.

◆ პარასკევს 14 მაისს ბათუმიდან სტამბულისაკენ გადის სამგზავრო გემი „მაკედონია.“ გემზე მიიღება მგზავრები და ტვირთიც.

◆ ჩვენი გაზეთის რედაქცია თხოვს თვიურ ხელის მომწერლებს, თუ გაზეთი თავის დროზე, ან სულ არ მოსდით, აცნობონ რედაქციაში დილის 9 — 2 საათამდე.

◆ ჩვენი გაზეთის ხუთშაბათის (№358) მოწინავეში შემდეგი კორექტორული შეცდომაა შეპარული: მეოთხე სტრიქონში დასტამბულია: ქობულეთი ხელთა ბრძოლას განიცდიდა. უნდა იყოს: სულთა ბრძოლას განიცდიდა. მეცხრე სტრიქონში სწერია: არ სჩანდენ უცხო იუდასებური სახეები. უნდა იყოს: აქ სჩანდენ უცხო იუდასებური სახეები და სხვა.

---

## „აჭარისტანი“.

გაკოტრებული დენიკინელები, აზერბაიჯანის „მუშაკნი“, სომხები და სამშობლოდან გამოპარული თურქის ოფიცრები უცხო ძალების ხელის შემწეობით „აჭარისტანის სახელმწიფოს აშენებენ!..

ამაზე შორს ვერ წავა უპასუხისმგებლო ხალხის უტიფრობა...

ცხოვრების ზედაპირზე დარჩენილ „უმუშევართა მუქთახორათა“ წყება მუდამ სხვისი შრომით რომ სცოცხლობდა, ახლა „აჭარისტანის“ დაარსებით აპირებს თავისთვის მყოფელობის პირობების მოწყობას.

აჭარისტანში უადგილოთ და უსამსახუროთ მავალი ძველი მოხელეობა ტკბილ სახრავს სჭვრეტს!.. ყოფილი ოფიცრები რუსის და ოსმალო ჯარისა დამოუკიდებელ „აჭარისტანში“ თბილ-თბილ თანამდებობებს ეძებენ!.. აჭარისტანი ჩვენ სამოთხისებურ მხარეში მოპარპაშე ცივ რუსეთის თუ დამშეულ ხრიოკ ოსმალეთის მხედრობის აჩრდილებისათვის სოციალური საკითხია!..

„აჭარისტანის“ სახელმწიფოში ბატონობას ჩვეული უცხოელები განაგრძობენ „ფაშურ სიტკბოებით ყოფნა“-ს... აჭარისტანის ავტორები და სულის ჩამდგმელები გენერალი ტერმენი და კომპანია ჩვენ ვიცით, რომ ფრიად ბევრს მოიგებს აჭარისტანის იდეის განაღდებით. აჭარისტანის ფარგლებში ისინი მოახერხებენ ჯიბეების გასქელებას, გულუბრყვილო ხალხის გაძარცვას და მერე გაიქცევიან... ამ ხალხმა უკეთესად უწყის, თუ რა უაზრობა და ბოროტებაა აჭარისტანის იდეის ქადაგი, მაგრამ ხალხი, რომელიც ჩვენს მხარეში სანადიროთ მოსულა, რათ არ ისარგებლებენ შემთხვევით?!.. გენერალი ტერმენი და მისი ინტერნაციონალურ შემადგენლობის კომპანია თავისი ვერაგი ზრახვებით უპირებს გაუბედურებას და დაღუპვას სამუსლიმანო საქართველოს...

ტერმენი რწმუნებულია იმ რუსების, რომლებიც ქობულეთის გარშემო მტაცებლობით მუსლიმან ძმების მიწა-წყალს დაპატრონებია... არც ერთ აქ გაბატონებულ რუსს, სომეხს, ოსმალს და ადერბეიჯანელს არ უნდა, რომ ბათუმის მხარე დედა საქართველოს შეუერთდეს... ეს ადვილი ასახსნელია.

საქართველოს შემოსვლა ბოლოს მოუღებდა ასეთ წყლის ბედის მაჩანჩალათა თავგასულობას. ამას გრძნობენ ისინი და არწმუნებენ ქობულეთის რაიონის მცხოვრებთ, რომ მოითხოვონ საკუთარი „აჭარისტანი.“ მოემზადონ საბრძოლად, არ შემოუშვან ქართველები, რისთვისაც ამთავიდანვე ფულს და იარაღს მიიღებენ!..

სამარცხვინოდ ჩვენდა ამ სისხ. სამ. დამნაშავე ავანტიურისტებს მომხრეებიც გამოუჩნდენ, რომლებიც მასთან ერთად ქობულეთის რაიონს უფსკრულისაკენ მიაქანებენ...

ჰგონიათ, რომ ეს ვაჟბატონები მართლა ააშენებენ აჭარისტანის სახელმწიფოს. იქ საპატიო ადგილს მისცემენ ყოველ მის მომხრეს და კონფერენციისაგანაც ცნობილნი იქმნებიან!..

რა მწარე სინამდვილეა!..

ქობულეთლები რატომ არ ეკითხებიან ამ მოსულ მონადირეებს, თუ რა გააკეთეს მათ თავის ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანაში, ან რათ გამოქცეულან... ქემალ-ფაშას მომხრე ოფიცრები დაწყევლილი, შერისხული სულთანისაგან და შეიხულ-ისლამისაგან. თავის ქვეყნის გამყიდველი აზერბეიჯანელები, ახლო წარსულში მუსლიმან ქართველების საღჩობელების მმართავი რუსობა და ბოლოს მუსლიმან ქართველების ცნობილი მტრები სომხობა, რომლებმაც 1915 წ. აჭარლებს რუსის მთავრობასთან „უდანოსეს" და რუსის მთავრობა მათ ას-ორასობით დაღჩობას უპირებდა, რომ ძმა ქართველებს ხელი არ გადაეფარებია, — აი ვინ აფუძნებს აჭარისტანის რესპუბლიკას!..

და გულმომკვლელი არ არის, რომ ამ ბოროტ ხალხს ქართველი მუსლიმანებიდან თუნდა ორი-სამი კაცი გაჰყვეს?!.. ეს დაუშვებელი და წარმოუდგენელია!.. დღეს ტერმენების მომხრეები ხვალ პასუხს აგებენ მომავალ თაობის წინაშე, რადგან მათი „მოღვაწეობა" სამუსლიმანო საქართველოს მიაყენებს უდიდეს განსაცდელს და სიმწარეს..

მომავალი თაობა ზიზღით და კრულვით მოიხსენიებს ამ დროის დათვურ „მომუშავეებს"...

გვინდა ვიწამოთ, რომ ასეთ წაურეცხელ ლაქას სინდისის ქეჯნის საგანს მუსლიმან ქართველთა შორის ადგილი არ ექმნება და ისინი თავის მხარეს არ გაჰყიდიან, საჯიჯგნად არ მიართმევენ ტერმენების სპეკულიანტ კომპანიას...

მუსლიმანო ქართველებო, არ შეცდეთ, თავი თქვენი არ დაიღუპოთ!..

ი. დიდიძე.

## გენერალურ შტაბის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

გუშინ, მაისის 10-ს, წითელ ხიდის რაიონში ჩვენ ბრძოლით მტერს 4–5 ვერსით უკან დავახევიეთ. ჯარების უფროსები ერთხმად ადასტურებენ ჩვენი ჯარისკაცების გმირობას. იმავე დღეს ჩვენი ჰაეროპლანები მტრის ზურგს ესროდა ყუმბარებს და ყრიდა პროკლამაციებს საქართველოს რესპუბლიკისა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავის შეკვრის შესახებ. მაისის 11 დილიდან წითელ ხიდის რაიონში ბრძოლა სწარმოებს. სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

## ადერბეიჯანში.

### მოკავშირენი და ადერბეიჯანი.

ბათუმიდან თფილისში შემდეგი ცნობა მიუღიათ:

მოკავშირეებს, განსაკუთრებით ინგლისს განზრახული აქვთ, სასტიკი პოზიცია დაიჭირონ ადერბეიჯანის მიმართ, თუ ის ეცდება გადაიქცეს თურქ-თათართა აგრესიულ პოლიტიკის ბაზად. ამ შემთხვევაში ანტანტა სამხედრო ზომებს მიიღებს როგორც ადერბეიჯანისა, ისე ოსმალეთის წინააღმდეგ. რაც შეეხება ბაქოს გადასვლას რუსეთის გავლენის ქვეშ, ამის შესახებ მოკავშირეთა წრეებში გარკვეული აზრი ტრიალებს — არ ეწინააღმდეგონ ამ მოვლენას.

### ბაქო.

ძველმა მუსავათურმა მთავრობამ და მასთან დაახლოვებულმა თვალსაჩინო მოღვაწეებმა ბაქოდან გაქცევა სცადეს, მაგრამ ისინი ვაგონში გაჩხრიკეს და შეიპყრეს. მთავრობის ყველა წევრი დაპატიმრებულია. შეიპყრეს აგრეთვე რკინის გზის უფროსი მელიქ ასლანოვი. ორი დღის შემდეგ დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეს. როგორც იუწყებიან, უსუბეკოვი არ ყოფილა დაპატიმრებული, რადგანაც რამდენიმე დღით ადრე მოუსწრია დამალვა.

### განხეთქილებანი ბაქოში.

ბაქოს კომუნისტურ მუსლიმანურ მთავრობასა და ჩრდილოეთიდან მოსულ საბჭოთა მთავრობის სრულ უფლებიან წარმომადგენელთა შორის უკვე განხეთქილებაა. როგორც ეტყობა, ჩქარა ყოველგვარი კავშირი იქნება შეწყვეტილი მუსლიმან და რუს კომუნისტებს შორის. ბაქოში ფაქტიურათ საქმეთა სრული ბატონ პატრონია ჩრდილო კავკასიის საგანგებო კომისარი ს. ორჯონიკიძე, რომელიც განსაკუთრებულის მატარებლით კავკავიდან მოვიდა.

### ადერბეიჯანის ჯარი.

ჩრდილოეთიდან მოსული საბჭოთა მოღვაწენი ადერბეიჯანის ჯარს ეჭვით უყურებენ და კონტ-რევოლიუციონურ ელემენტებისაგან ჯარის გაწმენდის საბაბით ისინი ფიქრობენ ამ ჯარის სრული განიარაღებას და ახლის შექმნას, ცალკე ადერბეიჯანული ნაწილები აღარ იქმნება. ასკერები საერთო წესით შევლენ საბჭოთა ჯარების ნაწილებში. ადერბეიჯანის ჯარის რეორგანიზაციის გეგმა დიდს წინააღმდეგობას იწვევს მუსლიმან კომუნისტთა მხრით.

ყარაბაღის ადერბეიჯანულმა ჯარმა გენ. სელიმოვის მეთაურობით მორჩილება განუცხადა ადერბეიჯანის საბჭოთა მთავრობას.

**„ჩრეზვიჩაიკა."** ბაქოში უკვე მოეწყო ჩრეზვიჩაიკა. ჩრეზვიჩაიკის მეთაური კრასნოვოდსკიდან მოსული მატროსია.

## სომხეთი.

### მთავრობის მოწოდება.

სომხეთის მთავრობამ მოწოდებით მიმართა მოქალაქეებს, რომელთაც მიუთითებს მომენტის სირთულესა და სერიოზულობაზე, აღნიშნავს ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირების ბნელ მოქმედებას მაშინ, როდესაც ოსმალო-ბალშევიკური კავშირი საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს და მოუწოდებს მოქალაქეებს დაიცვან წესრიგი. მოწოდება შემდეგი სიტყვე-

ბით თავდება: „თვითეული მოქალაქე და მოსამსახურე თავის ადგილზე უნდა იყოს... ყველა მოქალაქენი უნდა შემოკრბენ მთავრობის გარშემო, რომელიც იცავს სომხეთის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, ამტკიცებს სახელმწიფოს დემოკრატიულ საფუძვლებს. ამ მიზნის მისაღწევათ მთავრობა არ დაიხევს არავითარი დაბრკოლების წინაშე და გაიმარჯვებს თქვენთან ერთად და თქვენთვის".

### საგანგებო სასამართლოები.

სომხეთში ეწყობა საგანგებო სასამართლოები, რომლის მოვალეობაც იქნება სახელმწიფოს მოღალატეთა და ბოროტგამზრახველ სპეკულიანტთა გასამართლება და დასჯა.

### სომხეთის საკითხისათვის.

რომიდან იტყობინებიან, რომ საზავო კონფერენციის დადგენილების თანახმად სან-რემოში, ტრაპიზონი გადაეცემა ოსმალეთს. სომხეთს შავ ზღვაზე გასავალი ლაზისტანით ექნება. დიდ უთანხმოებას იწვევს საკითხი არზრუმის შესახებ; ეს საკითხი ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არ არის. კონფერენციამ დაადგინა გაიგოს ვილსონის აზრი ასეთ საკითხების შესახებ. უკანასკნელის შეხედულებას 10 მაისისთვის ელოდენ.

---

# რა ხდება უცხოეთში.

## რ უ ს ე თ ი.

### „კრების თავისუფლება" კავკავში.

საოლქო „ჩრეზვიჩაიკის" თავმჯდომარემ ბახშინოვმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ჩემამდე მოსულ ცნობის თანახმად კავკავის მოქალაქენი ხშირათ მართავენ კრებებს, სადაც ირჩევა პოლიტიკური საკითხები და რომლებითაც დენიკინის აგენტები სარგებლობენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლათ. ამით ვბრძანებ, რომ ასეთ კრებების გამართვის შესახებ უნდა შემატყობინონ 3 დღით ადრე კრების გამართვამდე და შემატყობინონ დღიური წესრიგიც. თუ ეს მოთხოვნილება არ იქნება შესრულებული, იმ შემთხვევაში დამნაშავენი გადაეცემიან სამხედრო სარევოლიუციო ტრიბუნალს, როგორც დენიკინის ჯაშუშები".

---

# თფ. რუსთა ეროვნული საბჭოს მილოცვა.

11 მაისს დილით ს.დ. ცენტრალურ კომიტეტს ეწვია რუსთა ეროვნულ საბჭოს ს.დ. ფრაქციის წევრი ვასილევი, რომელმაც მგრძნობიერი სიტყვით მოულოცა ცენტრ. კომიტეტს რუსეთთან ზავის ჩამოგდება და გადასცა ცენტრ. კომიტეტის პრეზიდიუმს, რომ რუსთა ნაციონალურ საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციამ ერთხმად დაადგინა მიულოცოს ცენტრ. კომიტ. რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის ცნობის და ზავის დამოუკიდებლობის გამო და იმედი გამოსთქვა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა თვით დიდ რუსეთის სახელმწიფოს სათავეში მალე ჩადგება მსგავსად საქართველოსა რუსეთის სოც. დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელიც უეჭველია, თანაუგრძნობს საქართველოს დამოუკიდებლობას.

ნოე რამიშვილმა ცენტრ. კომიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა ვასილევს მოლოცვისათვის და აღნიშნა, რომ ჩვენი რუსეთის ამხანაგები მოსკოვში ენერგიულ მონაწილეობას ღებულობენ ჩვენსა და რუსეთს შორის ზავის ჩამოგდების საქმეში და იმედია, რომ მათის მეოხებით რუსეთის და საქართველოს მუშათა კლასი ხელი-ხელ ჩაკიდებული ივლიან.

რუსთა ეროვნულ საბჭოს აგრეთვე ერთხმად დაუდგენია მიულოცოს საქართველოს მთავრობის რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის ცნობა და მასთან ზავის ჩამოგდება და იმედი გამოსთქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ყურადღებით მოეპყრობა ეროვნულ უმცირესობათა საკითხს საქართველოში.

---

# სხვა და სხვა ამბები.

### მოკავშირეთა ჯარების დესანტი.

როგორც სარწმუნო წყაროები გადმოგვცემენ, მოკავშირენი დიდს დესანტს ამზადებენ შავი ზღვის პირის სამხრეთ ნაწილის ერთ ერთს პორტში გადმოსასხმელად.

### სომეხ-თათართა შეტაკების გამო.

ინგლისური გაზეთი „დ. ტელეგრ". სხვათა შორის შემდეგს აწერს:

„მიუხედავად იმ შეთანხმებისა, რომელიც შარშან აგვისტოში აზერბეიჯანსა და სომხეთს შორის მოხდა, მათი ერთმანეთისადმი მტრული მოქმედებანი ისევ განახლდა. ორივე მხარე, რასაკვირველია, მტრულ მოქმედების დაწყებას ერთი მეორეს აბრალებს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ თათრები მოქმედებენ ენვერ ნური-ფაშას ძმის ხელმძღვანელობით. აქედან კი ცხადია ის, თუ ვის მხარესაც უნდა იყოს ევროპის სიმპატიები"

### სომხეთის მანდატის პირობები.

ამერიკულ ცნობით სომხეთზე მანდატის მიცემის საკითხი წამოაყენა ინგლისის სახალხო განათლების მინისტრმა ფიშერმა. წინადადება ასეთი იყო: ხალხთა ნაციის ყველა წევრმა იკისროს ვალდებულება, რომელიც უზრუნველჰყოფს საჭირო საფინანსო ფონდის შექმნას; ამის შემდეგ ადვილი იქნება მანდატორის პოვნა.

### ს ო მ ხ ე თ შ ი.

სომხეთის რკინის გზის მუშებსა და ხალხში უკმაყოფილებაა დაშნაკელთა მიმართ. ამ ნიადაგზე ხშირად სწარმოებს პროპაგანდა დაშნაკურ მთავრობის წინააღმდეგ, რასაც ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სომხეთში შიმშილობამ იჩინა თავი და ამერიკიდან ფქვილის მოტანას ვერ ახერხებდა ხატისოვის კაბინეთი. ამ მდგომარეობით სარგებლობენ ადგილობრივი ბალშევიკები და ხალხში ხმებსავრცელებენ, რომ სომხეთის მხსნელი მხოლოდ საბჭოთა რუსეთიაო. ხატისოვის გადადგომას და სომხეთის მთავრობის შეცვლას ამით ხსნიან. სომხეთის ახალი მთავრობა ბალშევიკურ აგიტაციის წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებსა ხმარობს.

---

დაიკარგა ივანე ილარიონისძე ჩხენკელის პირადობის სურათიანი მოწმობა მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

349 (1–1)

---

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სამტრედიის ქალაქის კომისრისაგან, ქუთაისის სამხედრო უფროსისაგან მოცემული სამხედ. სამსახ. თავისუფლების მოწმობა, ნებართვა საქართველოდან საზღვარ გარეთ ხილეულობის და ბაღეულობის გატანისა, აღებული ქუთაისის ხაზინიდან მაისის 11-ს და პარტიული მანდატი სამტრედიის რაიონისაგან. მნახველს ვთხოვ გადმომცეს საბუთები რედაქციის საშვალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად.

ესტატე ამბაკოსძე ახობაძე.

350 (1–1)

---

დაიკარგა მაგდანე ჩხაიძის ექვსი თვიანი ბილეთი, მიცემული ბათუმის მილიციის უფროსისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

351 (1–1)

---

დაიკარგა მართა ბედოშვილის პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან №4609 — 20 წ.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

352 (1–1)

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

შაბათი 15 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 5 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 300 მან.
2 თვით ........................ 200 მან.
1 თვით ........................ 100 მან.

№360 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №360

## ქობულეთის ამბების სალიკვიდაციოდ.

იმდენად მახინჯი და გულის მღირღნელია ქობულეთის ორომტრიალი, რომ მის შესახებ ლაპარაკიც კი გვეძნელება... ქობულეთში საჯარო ვაჭრობაა გამართული, სამშობლოდან დევნილი „სედაი მილეთლები" ბათუმის აგარაკებში განცხრომით მყოფნი მოთრეული შავი სახეები ტომრებით ატარებენ ამა თუ იმ ქვეყნის კურს დაკარგულ ფულებს და „ხალხის ხმებს ჰყიდულობენ საქართველოს წინააღმდეგ". რუსის ოფიცრები დენიკინის ლიკვიდაციით გულ მოკლულნი, „გარყვნილების" მოციქული ოკუპატორები ხელოვნურად ქმნიან, რაღაც უთანხმოებას, რათა ამით საქართველოს შემოსვლა შეაჩერონ და თვითონ ეს ზაფხული მაინც გაატარონ მახინჯაურის და ჩაქვის აგარაკებში. ყაჩაღ პაიჭაძეს და მის „შაიკას" ჯიბეებით უგზავნიან ტყვიას, რათა ეს უწმინდური პირი საქართველოს ჯარს წინ აღუდგეს... ქობულეთის რაიონისთვის უდიდესი ტრაღიკომედია მზადდება, ბატონი ოკუპატორები უგრძნობ ნერონსავით ხარხარებენ...

საქართველოს ყველა მტრები ბათუმში საფლავს გვითხრიან!.. ოსმალოს ქურდ-ბაცაცა აფიცრობა, გამოძევებული სამშობლოდან, ქობულეთის რაიონს შეებუდა და იქ საქართველოს ჯარს თოფს უმიზნებს. ამას ვერ მოითმენს სამუსლიმანო საქართველოს სწორ უფლებიანი წარმომადგენლობა მეჯლისი, ამას ვერ შეურიგდებიან აქაური მუსლიმანი მოღვაწენი, რომელთა ერთად ერთ ნატვრას დედა საქართველოსთან შეერთება შეადგენდა...

და მათ დაუყონებლივ უნდა მიმართონ გადამწყვეტ ზომებს. სულ ერთია ვისკენაც არ უნდა იყოს ეს მიმიზნებული... მხარე ილუპება, დაყოვნება ბოროტებაა, უნდა დაირაზმოს ყველა სასიცოცხლო ძალები და გადავარჩინოთ ხალხი იმ უბედურებას, რომელიც მას მოელის ინტერნაციონალურ მტაცებლებისაგან და მოხეტიალეთაგან.

დაუყონებლივ უნდა მოხდეს ლიკვიდაცია ქობულეთის ამბების. სასწრაფოდ უნდა გაიწმინდოს მხარე მონადირეთა და ყაჩალთაგან და იგი ავტონომიურ საფუძველზე საქართველოს შეუერთდეს... ეს არის ხმა ერისა და ხმა ღვთისა და ხსნაც ამაშია... ქობულეთის ამბები უცხოელებისაგან გავრცელებული სენია, რომელიც მთელ სამუსლიმანო საქართველოს შემუსვრას უპირებს...

ისმინეთ ყველამ და აშორეთ, ბედკრულ მხარეს ეს თავიდან...

---

## ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი.

◆ მაისის 11 თბილისში დიდის პატივით მიწას მიაბარეს ახალციხე-აჭარის გზაზე მუხანათურად მოკლული სამხედრო ექიმი და საზოგადო მოღვაწე ირაკლი სურგულაძე ერთად ერთი ძმა სამუსლიმანო საქართველოში კარგად ცნობილ მოღვაწის პეტრე სურგულაძისა. დასაფლავებას დაესწრენ მთავრობის წევრები, სამხედრო მინისტრი, დამფუძნებელი კრების წევრნი და დიდძალი ხალხი. ცხედარი წაასვენეს სამხედრო მუსიკით, კუბოსთან სიტყვები წარმოსთქვეს დამფუძნებელ კრების წევრმა ვლასა მგელაძემ და სხვებმა. დამსწრე საზოგადოებას დიდი გულის ტკენა ეტყობოდა თავდადებულ მუშაკის ასე ვერაგულად დაკარგვის გამო.

◆ 14 მაისს დილის 7 საათზე სისრულეში მოიყვანეს ინგლისის სამხედრო სასამართლოს განაჩენი. დახვრეტილ იქნა სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ყოფილი თანაშემწე დ. მამულაიშვილი და მილიციონერი სხილაძე.

◆ უმუშევართა ბიუროში (ლორის მელ. ქ. № 20) დღემდე ჩაეწერა 41 სტუდენტი. სამუშევარზე გაიგზავნა 4 კაცი.

◆ 31 მაისს ქალაქის საავადმყოფოში იყო 82 ავადმყოფი, კიდევ მოიყვანეს 6. მორჩა და გამოეწერა 7. ამავე დღეს საავადმყოფოში იყო 2 მუცლის ტიფით ავადმყოფი და 2 შებრუნებითი ტიფით.

◆ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა ფულის გადამხურდავებელი კანტორის პატრონი გოლდენბერგი 5000 მანეთით.

◆ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა აგრეთვე მ. ადჟილხანდარი 5000 მანეთით, მ. კურსან-ოღლი და მემედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალი ოლლი სამას-სამასი მანეთით, პარასკევოპულო 10000 მანეთით.

◆ 18 მაისს, საღამოს 5 საათზე ბათუმიდან სტამბულისაკენ გადის გემი „ალბერტ კაროლი", რომელიც გაივლის სტამბულამდე ყველა ნავთსადგურში.

◆ სააფთიაქო წამლებზე ნიხრის დარღვევის შესახებ საჩივრები მიიღება საოლქო აფთიაქის გამგესთან.

◆ მომრიგებელი კამერის სხდომები უკვე განახლდა. პროფ. კავშირთა საბჭოს ზოგიერთ წევრთა დატუსაღების გამო, შრომის კომიტეტის მოქმედება ჯერ-ჯერობით შეწყვეტილია.

◆ ამჟამათ ბათუმში დიდძალი შაბიამანი მოიპოვება. ვინაიდან ბაზარზე მისი მოთხოვნილება ცოტაა, აქაური ზოგიერთი ვაჭრები ფიქრობენ ისევ საზღვარ გარეთ წაიღონ.

◆ 12 მაისს ბოროტმომქმედებმა ქარხანა ნობელიდან მოიპარეს ათი წყვილი კასტიუმი ღირებული 45 000 მანეთად.

◆ სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენისათვის დატუსაღებულ იქნა ვ. აბდულია, რევიშვილი, ჩივაუბნია. დატუსაღებულები საოლქო სატუსაღოში მოათავსეს.

---

# სადღეისოდ.

შესაძლებელია დღევანდელი მომენტი გადამწყვეტი იყოს ბათუმის მხრისათვის. ის ახირებული მდგომარეობა და ადგილობრივ საოკუპაციო მთავრობის უცნაური პოლიტიკა იმდენად არანორმალური და შეუფერებელია, რომ იგი თანასწორად უმზადებს დიდ ხიფათს, როგორც საქართველოს ისე ინგლისს. „სედაი მილეთისტები" რუსები და სომხები ქობულეთის რაიონში ბრბოებს აიარაღებენ და საქართველოს წინააღმდეგ აყენებენ. ქობულეთის რაიონში ოსმალეთის აფიცრები ყაჩაღებს ავარჯიშებენ და საქართველოს მოსაზღვრე რაიონის გაძარცვას აპირებენ... ქობულეთის რაიონში დიდი ავანტიურა მზადდება, „აჭარისტანს" უყრიან საძირკველს. ინგლისის საოკუპაციო სარდლობის ოფიცრების თვალწინ ბრბოებს მოსდით იარაღი, ფული და ემატებიან ყაჩაღები... კაცის მკვლელები და კატორღელები აქ ქვეყნის ბედს სწყვეტენ. ამას ყველაფერს ჩვენზე უკეთ უნდა ხედავდეს ადგილობრივი მთავრობა და ლაგმავდეს ხალხის მტრებს, მღვრიე წყალში თევზის მჭერლებს.

ბრბოს მეთაურთა ვერაგი მიზანია ხალხის სახელით შეეტაკონ საქართველოს, არ შემოუშვან საქართველოს ჯარი და ამ რიგად გააგრძელონ ვადა ქობულეთის რაიონში ბატონობისა, ჩვენ მზიან მხარეში აშლილ ნერვების აგარაკებში დასაწყნარებლად. ისტორიისაგან, ცხოვრებისაგან განბილებულ-გარიყული ხალხი ისე იქცევა მაგრამ, რათ აძლევს მათ ასეთ ასპარეზს საოკუპაციო მთავრობა?

ნუ თუ „სედაი მილეთლები" ყოფილი დენიკინელები და სომხები ინგლისის სარდლობას სახეიროს რასმეს შემატებენ?... დღეს უკანასკნელი ვადაა გაფრთხილებისა და ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისა. საქართველო მოდის თავის მოსისხლხორც კუთხეში, რომლისთვისაც ეს კუთხე სასიცოცხლო საკითხია. ხოლო ყველა მოსულებისათვის ბათუმის მხარე — მიმზიდველი ნავთსადგური. და ამ დროს ამ საქართველოს წინ ეჩხება მოსყიდული ბრბოები!.. ლოღიკა მოითხოვს, რომ ასეთი ბრბოები აქაურ სარდლობას არ უნდა დაეშვა რაიონში.

საქართველოს უფლებები, ამ მოკლე ხანში, რომ იცნო რუსეთმა ბათუმსა და მის ოლქზე, სიხარულს იწვევს სამუსლიმანო საქართველოში, რომლის სწორ უფლებიანმა სახალხო წარმომადგენლობამ ეს მეორეთ დაავალა თავის ძმას თბილისის მთავრობას ამ მხარის ავტონომიურ საფუძველზე შეერთება. ამით ყველაფერი უნდა გათავებულიყო, ავანტიურისტები უნდა ჩაჩუმებულიყვენ, მაგრამ რიღასთვისაც ბედს სჭირია კიდევ დაცინვა და იგი განაგრძობს საეუსლიმანო მხარის წამებას.

მაგრამ საქართველოს დემოკრატია, მთავრობა მეტს ვერ მოითმენს და არც აქვს უფლება მეტი დაყოვნებისა. დღეს უნდა გადიდგას გადამწყვეტი ნაბიჯები, ვკითხოთ საოკუპაციო მთავრობას სცნობს იგი საქართველოს ურყევ უფლებებს ბათუმსა და მის ოლქზე, თუ არჩევს, რომ ეს მხარე ბრბოების ვნებათა ძიების საგნად იქცეს... ჩვენ ველით დადებით პასუხს. მომენტი სერიოზულია... საქართველოს მთავრობას ევალება ფართეთ ისარგებლოს ძმა სამუსლიმანო კუთხის ძახილით და დაადგეს გადამწყვეტ გზას.

სამუსლიმანო საქართველო დედა საქართველოს უნდა შეუერთდეს.

ი. დიდიძე.

---

# ზავი რუსეთთან.

საქართველოს დემოკრატიამ კვლავ ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ამ გამარჯვებაში უდიდესი როლი საქართველოს დემოკრატიის ერთსულოვნებამ, მტკიცე ნებისყოფამ და გამჭრიახობამ ითამაშა.

ყველა ეს პირობები ჩვენი ერის, ჩვენი დემოკრატიის სიძლიერის მაჩვენებელი იყო და არის, და ჩვენს ხანაში, როდესაც საკითხების ასე თუ ისე გადაწყვეტა მოპირდაპირეთა ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებული, საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო არ გაეწია ანგარიში იმ ერთსულოვნებისათვის, რომელიც ქართველმა ერმა გამოიჩინა დასამტკიცებლად იმისა, რომ 26 მაისის აქტი მისთვის ფარატინა ქაღალდი არ არის.

მეოცე საუკუნეს დასაწყისი უფლება აყრილ ერების გაღვიძებით აღინიშნა. განთავისუფლდა საუკუნოებრივ ეროვნულ ჩაგვრისაგან პოლონეთი, ესტ-

ონია, ლატვია, ფინლიანდია, ლიტვა, ჩეხია, სომხეთი, საქართველო და სხვა ქვეყნები, ახლო აღმოსავლეთსაც გაღვიძების სიმპტომები ემჩნევა, მხოლოდ იქ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ეროვნული გრძნობა რელიგიურში ითქვიფება. საქმე იმაშია, რამდენ ენერგიას და მტკიცე ნებისყოფას გამოიჩენს ესა თუ ის ერი დამოუკიდებელი, ნაციონალური არსებობისათვის ბრძოლაში. არ კმარა მარტო სურვილი დამოუკიდებელი არსებობისა. საჭიროა ბრძოლა დამოუკიდებელ არსებობისათვის. მაგ. აზერბეიჯანმა ვერ გამოიჩინა საკმაო ენერგია თავის სუვერენობისა და დამოუკიდებლობის დაცვაში. აზერბეიჯანის ინტელიგენცია დამოუკიდებლობის მომხრე იყო, „იმდენათ-რამდენათ“. საკმაო იყო მცირეოდენი უცხო ძალების მოახლოება და ბაქოს რუს მუშების მუქარა, რომ მუსავატს ძალაუფლება სხვისთვის გადაეცა.

ვერც უკრაინის ინტელიგენციამ გამოიჩინა საკმაო ენერგია და სიმტკიცე უკრაინის მასის შესაკავშირებლად და დამოუკიდებლობის დასაცავად. და თუ დღეს უკრაინა ანარქიის ზღვას წარმოადგენს, ეს იმდენათვე ბრალია უკრაინის ინტელიგენციის, რამდენათ საბჭოთა წითელი ჯარის ხიშტების.

სულ სხვა გზას დაადგა საქართველოს დემოკრატია. მან უწამლა, მოუარა იმ წყლულებს, რომლებიც მას ომმა მიაყენა. წესიერი სამოქალაქო ცხოვრების მოწყობა, მოშლილი ეკონომიური ცხოვრების და ტრანსპორტის მოწყობა, შინაურ ძალთა ორგანიზაცია — აი უმთავრესი საზრუნავი საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელებისა. ჩვენმა დემოკრატიამ თავის შინაური ორგანიზაციით შესძლო მრავალი გარეშე საფრთხის აშორება. საბჭოთა რუსეთს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ჩვენი ხალხის ნებისყოფისათვის და აკი ხელი მოაწერა ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის აქტს.

მაგრამ ამ აქტით ოდნავათაც არ შემცირებულა ბალშევიკური საფრთხე. რუსი წითელი ჯარი არ წამოვა ჩვენსკენ, მაგრამ აზიაში შეჭრილი ბალშევიზმი უფრო მეტი საფრთხეა, ვიდრე წითელი რუსეთი.

აღმოსავლეთის კომუნიზმი საფრთხეში აგდებს ამიერ-კავკასიაში არსებულ ორ დამოუკიდებელ რესპუბლიკას. „კომუნისტური“ აზერბეიჯანი ლამობს იმის გაკეთებას, რაზედაც ხელი აიღო კომუნისტურმა რუსეთმა.

ბალშევიზმი ერთგვარი ავადმყოფობაა, რომელიც მოედვა დასნეულებულ აღმოსავლეთის სხეულს. ის ჩვენშიც აპირებს შემოჭრას. ეს არ იქნება რუსი წითელი არმიელი, არამედ კომუნისტურ სამოსელში გამოწყობილი ადერბეიჯანის ან ქემალ ფაშას ასკერი.

საქართველოს დემოკრატია ნათლად გრძნობს ამ საფრთხეს და მიტომ არის, რომ რუსეთთან ზავის შემდეგაც განაგრძობს მზადებას მოსალოდნელი საფრთხის შესახვედრათ.

საქართველოს დემოკრატია კვლავ დაამტკიცებს თავის სიმტკიცეს და ძლიერებას.

მიტომ კი არ ვაშენებდით ორი წლის განმავლობაში შენობას, რომელსაც დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო ეწოდება, რომ ვინმეს მივსცეთ ნება მისი დანგრევის, რუსი წითელი არმიელი იქნება ის თუ „გაკომუნისტებული“ ასკერი.

საბჭოთა რუსეთმა სცნო ჩვენი დამოუკიდებლობა. საჭიროა, რომ საბჭოთა მთავრობამ ლაგამი ამოსდოს ბაქოს „წითელ“ მთავრობას და ხელი აალებინოს საქართველოს დაპყრობაზე და აქ ასკერულ სოციალიზმის დამყარებაზე ოცნებას. თუ ამას არ იზამს საბჭოთა რუსეთი და თავის პატარა გოშიას ჭკუას არ ასწავლის, ჩვენ ავასრულებთ იმ სიტყვებს, რომელიც ასპინძის ომის 150 წლის აღსანიშნავად გამართულ აღლუმზე სთქვა საქართველოს სამხედრო მინისტრმა:

„ჩვენ წავალთ და გავჩერდებით იქ, სადაც მურტალი, ლაჩარი მტერი დაიჩოქებს და პატიებას გვთხოვს.“

ე. წ.

---

## იძულებითი პასუხი „ნაშ კრაის“.

უკანასკნელ ხანებში „ნაშ კრაი“ თავის ფურცლებზე თავგამოდებით იბრძვის საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და სცდილობს ტლანქი ხელებით შეეხოს საპატიო პირებს. რასაკვირველია თავის პატივისმცემი ადამიანი არ გაუყადრიდა თავს „ნ. კ.“ სულის ჩამდგმელ ბ. ფრანჩესკის და მის დამქაშებს. და თუ კალამი ავიღე, მხოლოდ იმ მიზნით, რომ კიდევ ერთხელ მოვაგონო ქართველ მუსლიმანთ თუ ვინ არის მათი მტერი ან მოყვარე.

ვიღაც Nemo „ნ. კ.“ 12 მაისის ნომერში, „კმარა სიცრუე“-ს სათაურით გახელებული ჰკიცხავს „ქართულ სოციალ-შავრაზმულ პრესის“ კორესპონდენტებს, რადგანაც მათ ამცნეს საზოგადოებას, რომ „დამფუძნებელ კრების წევრმა ჩხენკელმა მოიარა ბათუმის ოლქი; აჭარაში დეპუტატი ხალხის მიერ დიდი აღფრთოვანებით იყო მიღებული“. ამაზე ბ. Nemo სწერს, რომ აჭარა იმდენათ წინააღმდეგია საქართველოსი, რომ როდესაც ეწვიათ მათ ჩხენკელი მას აღტაცებით კი არა „თბილი სიტყვებით“ შეხვდნენ და ეს „თბილი სიტყვები“ მომავალში ბ. ჩხენკელს არ დაავიწყდებაო.

ერთი რუსული ანდაზა უნდა მოგაგონოთ ბ. Nemo: იცრუე მხოლოდ ზომიერად. ასეთი შემთხვევა არც ყოფილა და თუ ვინმემ, გახრწნილმა მოსულმა სააგიტაციოთ, სთქვა რაიმ, იგი მყისვე ჩაჩუმებულ იქნა ხალხის მიერ, მთელს ბათუმის ოლქში ყველამ იცის რომ ჩხენკელი მათი ვექილი იყო სახელმწიფო სათათბიროში.

ხალხმა იცის, რომ ჩხენკელი მუდამ იბრძოდა და იცავდა ქართველ მუსლიმანთ, მეფის რუსეთის ყაზახების ხიშტების და მათრახებისაგან. იმ დროს, როდესაც ნიკოლოზ II-ს მოხელეები სისხლს სწოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ ბათუმის ოლქის მცხოვრებლებს, ჯარისკაცნი კი თავს ჰკვეთდნენ უდანაშაულო ხალხს, იმ დროს თქვენ ბ. ბ. ფრანჩესკი და Nemo, ჟურნალისტ ბარანცევიჩ, იასონსკი და სხვებთან ერთად სიხარულით სისინებდით, ჩხენკელი კი აღვიძებდა საზოგადოებრივ აზრს და მთელის ძალღონით სცდილობდა შეეჩერებინა ქართველ მუსლიმანთა სისხლით განბანილ ჯალათთა მოქმედებანი. ხალხმა ეს კარგათ იცის და მისთვის ტანჯულს ჩხენკელს ის ვერ ეტყვის „თბილ სიტყვებს“.

ბ. Nemo „ბათუმის მეჯლისსაც სწვდა, რომელსაც მოსყიდულ და „სამოზვანცებს“ უწოდებს. ასეთ სიყალბეს და სიცრუეს რაღა უწოდოთ?.. სასურველი კი იყო გაგვეგო სად ან ვის ჯიბეში გადვიდა ბონები ხან-ხოისკის და ბალშევიკ — თურქოფილების ავანტიურისტებისა? იქნება თქვენ ბ. Nemo არა იცით რა? თუმცა — ვეჭვობ, და თუ არ იცით შეეკითხეთ საქართველოს მოწინააღმდეგეთა მეთაურებს და იქმნება სიმართლე გაგიმჟღავნონ.

ქართველი ქრისტიანები და მათი თანამოაზრენი ქართველი მუსლიმანები არას გეტყვიან გამვლელ ავანტიურისტებს, მაგრამ გეშინოდეთ და უფრთხილდით იმ რამდენიმე ქართველ მუსლიმანს, რომელნიც თქვენის წყალობით ასცდნენ დღეს სამართლიან გზას. ისინი მოგთხოვენ პასუხს თქვენს ნამოქმედარზე.

„მეჯლისის“ ავად მოხსენებით არ კმაყოფილდება ბ. Nemo და სცდილობს შეურაცჰყოს საუკეთესო შვილი ქვეყნისა მემედ ბეგ აბაშიძეც, რომელსაც ცილს სწამებს ღალატში ყველა მთავრობის, რომელნიც ბატონობდენ ბათუმის ოლქში.

ბათუმის ოლქში იყო მხოლოდ ორი მთავრობა რუსისა ნიკოლოზ II-ს და ოსმალეთისა. მე მესმის Nemo-ს გულის წყრომა რუსეთის მთავრობის გამო, მაგრამ როდესაც იგი გამოდის დამცველად ოსმალეთის მართველობისა მაშინ კი ნათელია მისი „ნიღაბი“. მას ვერ გაურჩევია „ღალატი“ — ბრძოლისაგან.

მეჯლისის ეხლანდელმა მეთაურმა მთელი სიცოცხლე შესწირა ხალხის სამსახურს. იბრძოდა მის კეთილ დღეობისათვის და იტანდა ყოველივე ტანჯვადევნას. რუსეთის მთავრობასთან ბრძოლისათვის იგი ციხეში იყო, იმ დროს კი თქვენ მიერ ქებულნი საქართველოს მოწინააღმდეგენი სახლებში ფუფუნებდენ და ტკბილ ოჯახურ ცხოვრებას ეწეოდენ.

ებრძოდა იგი ოსმალეთის მთავრობასაც, რომლის უნტერ-აფიცრობა ამათრახებდა მისთვის საყვარელ ხალხს. ამისთვისაც იგი ციხეში იყო და მოწინააღმდეგენი კი, რომელნიც დღეს ქობულეთის ფრონტს ჰქმნიან ვითომდა ხალხის სახსნელად მიმალულნი იყვნენ. და ნუ თუ თქვენ გაქვთ უფლება შეეხოთ ამ კაცს, სჯობს ღმერთს შეევედროთ, რომ ყველა ერს მიეცეს ასეთი ქვეყნისათვის თავდადებული ხალხი, როგორც ჩხენკელი და მემედ აბაშიძე.

თქვენ ამტყუნებთ აბაშიძეს რომ იგი ებრძვის ყველას, ვინც შუღლს სთესავს, ქართველ ქრისტიანებისა და მუსულმანთა შორის. დიახ! მან კარგად იცის რომ ქართველებს მოაქვთ მის ქვეყნისათვის კულტურა, განათლება და მშვიდობიანი ცხოვრება, თქვენ კი — სიბნელე, შუღლი და სიძულვილი მეზობელთა შორის.

დეე, სამუსლიმანო საქართველოს ხალხმა გადასწყვიტოს თითონ, თუ ვინ არის მისი მტერი და მოყვარე. ვის უნდა მისი კეთილ გაზაზე დაყენება და მშვიდობიანი ცხოვრების მოპოვება და ვის მიჰყავს იგი მოწამლული გზით. ვინ ურჩევნია მას, გადმოხვეწილი ავანტიურისტები ფრანჩესკი და მისი ამხანაგობა, თუ მემედ-ბეგ აბაშიძე და ჩხენკელი.

დ—ი.

---

# რა ხდება უცხოეთში.

## ა მ ე რ ი კ ა.

### დახმარება გერმანიას.

ამერიკის პალატაში შეიტანეს კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც გერმანიას უნდა გაეხსნას კრედიტი, ურომლისოდაც უკანასკნელს არ შეეძლება ნედლი მასალის შეძენა, მრეწველობის აღორძინება და, მაშასადამე, ვერც შეასრულებს საზავო პირობების მოთხოვნილებებს. კრედიტის რაოდენობა 2 მილიარდ დოლარს უდრის. ეს განზრახვა სავსებით ეთანხმება მოკავშირეების განზრახვას; ლორდ ბირკენხედმა ლონდონის სავაჭრო ასოციაციის სხდომაზე, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა: არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მოკავშირეთა მოთხოვნას გერმანიისადმი მრავალ-მილიარდიან კონტრიბუციის გადახდის შესახებ მაშინ, როდესაც გერმანიას არ შეუძლია იგი გადაიხადოს. რომ გერმანიამ შეასრულოს მოთხოვნილებები, — საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ გერმანიამ გამოიყენოს თავისი ხალხის ყველა ძალები.

## ო ს მ ა ლ ე თ ი

### ანზავურ ფაშა და ქიამილ ფაშა.

კონსტანტინოპოლის გაზეთები იუწყებიან, რომ ანზავურ ფაშას რაზმებმა რამდენჯერ დაამარცხეს ქიამილ ფაშა და ახლო მომავალში ელიან, რომ ანზავური საბოლოოდ დაამარცხებს მუსტაფა ქიამილსო. ქიამილის მოწინააღმდეგე წრეებმა გადაწყვიტეს მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე მომავალში „იტტიხადის“ პარტიას არ ჩაუვარდეს ხელში.

---

# უკანასკნელი ცნობები.

სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ საქართველოს ჯარმა დაამარცხა ადერბეიჯანის „წითელი“ ჯარი და აიღო წითელი ხიდი. უკან დახეულ მტრის დევნა გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სია იმ პირთა, რომელთაც გაიღეს შემოწირულება 14/27 იანვარს ტრადიციული ქართული საღამოს სასარგებლოთ.

(სია ქ-ნ მარ. რატიანის და ბ-ნ ნიკ. საბაევის).

ამიერ-კავკასიის ბანკმა 15000 მ. დონ., რუსეთ-აზიის ბანკმა 15000 მ. დონ., ვალაციმ 12000 მ. დონ., ვიკტორ ეფენდი 10000 მ. დონ., ცხრა ათას — ცხრა ათასი მანათი კავკასიის ბანკმა, ბერტმან კარპოვსკიმ, რილსკის მემკვიდრეებმა, მ. პომერანცმა, ზ. პოზნიაკმა და ვ. კაპლანმა, ალი გასანოვმა 6000 მ. დონ., ხუთი ათას — ხუთი ათასი მ. დონ. ძმ. არვანტიდებმა, ამხ. „პემომ“, ა. და ტ. აფრიკიანებმა, პ. შპოლიანსკიმ 4000 მ. დ. სამი ათას-სამი ათასი მ. დონ. მ. მანუილიდიმ, ავგერინომ, ამხ. „თამარა“-მ, რამიზ ხ. ჭყონიამ, მუსლიმ. ამხ. „ბირლიკ“-მა, ამხ. „აზერბეიჯანმა“, მ. კონცელიძემ, კირზადე ილკი, ანტ. „ტიტან“ პეტროსიანმა („კავკაზ და მერკური“), ორი ათას-ორი ათასი ამხ. ლომ. კანტორა „მუშამ“, შევქეთ ეფენდიმ, ამხ. „კოლხიდამ“, პ. ი. კუცურმა, ა. ზავრონსკიმ, ბინიატ ოღლიმ, კასიმ ზადემ, ათას-ათასი მანათი დონ.: შაბანიანმა, მახმუდ ეფენდიმ, უსეინ ეფ. კარა ხასანმა, დიხამინჯიამ, სიმონოვსკიმ, ამხ. „ქობულეთმა“ 750 მან. დონ. მ. ა. დანიელოვმა 500 მ. დ. სულ 181.250 მან.

---

დაიკარგა თომა მიხეილისძე კოდიას პირადობის სურათიანი მოწმობა მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

353 (1–1).

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

სამშაბათი 18 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეჰელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 600 მან.
2 თვით ........................ 400 მან.
1 თვით ........................ 200 მან.

№362 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №362

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „სედაი მილეთის" საჩუქარი.

ჩვენ თავიდანვე ვაფრთხილებდით სამუსლიმანო საქართველოს შვილებს, რომ არ აჰყოლოდენ ავანტიურისტებს, არ აჰყოლოდენ უპასუხისმგებლო პირებს, რომლებთაც არაფრათ არ მიაჩნიათ თავისი ერი, თავისი სამშობლო, რომლებიც ყოველთვის მზათ არიან გაჰყიდონ ერი და სამშობლო, თუ რომ ჯიბეებს გაუტენენ ოქროებით. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ სამუსლიმანო საქართველოს ბევრი მტერი ჰყავს; ვიცოდით, რომ ეს მტრები არავითარ საშვალებას არ დაზოგავდენ ჩვენი ქვეყნის ხელში ჩასაგდებათ; ვიცოდით, რომ ჩვენ ნაკლებათ გვყავს მდგომარეობის კარგად ამწონელ-დამწონელი, რთულ ვითარების შემგნებელი პირები. ვიცოდით, რომ ბევრი გვყავს ისეთი ავანტიურისტები, რომლებმაც არც კი იციან კარგად რა არის ერი, რა არის სამშობლო, რომლებიც თავის ცხვირის და თავის ჯიბის იქეთ ვერც კი ხედავენ რა ხდება. ვიცოდით, რომ ამ ავანტიურისტებმა ბევრჯერ გაჰყიდეს ჩვენი ქვეყანა, ბევრჯერ დაარბიეს, ბევრჯერ გააუბედურეს ჩვენი კუთხე, ბევრი დედ-მამა აატირეს, აჰყარეს თავის მიწა-წყლიდან და უცხოეთში გაუთხარეს სამარე. ვიცოდით, რომ დღევანდელ ვითარებაში, როცა ბათუმი და ბათუმის ოლქი ხელოვნურათ მოსწყვიტეს დედა-სამშობლო საქართველოს, ეს ავანტიურისტები თავს წამოჰყოფდენ და ხელს მიჰყოფდენ თავის ბნელ საქმეს: ჩვენი ქვეყნით ვაჭრობას.

დიახ, ვიცოდით ყოველივე ეს და მიტომ იყო, რომ განუწყვეტლივ შევლალადებდით სამუსლიმანო საქართველოს შვილებს: ძმებო, არ შეცდეთ, კარგად ჩაუკვირდით მდგომარეობას, იცანით თქვენი მტერ-მოყვარე, გაახილეთ თვალები, არ შეგაცდინოთ ავანტიურისტებმა, მოითხოვეთ ჩვენი ოლქის გაერთიანება საქართველოსთან, სხვა გზა არაა, ეს არის ერთად-ერთი სწორი, ჩვენი ქვეყნის გამაბედნიერებელი გზა.

ყველგან სიტყვით, წერით ამას ვქადაგებდით, ამას ვიძახდით. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ჩვენი მტრები ჩვენ დაღუპვას ცდილობდენ. ვიცოდით, რომ ეს მტრები ხელში ჩაიგდებდენ ჩვენ ავანტიურისტებს, აამუშავებდენ მათ ჩვენი ქვეყნის დასაღუპავათ...

და ასეც მოხდა. ჩვენმა მოსისხარმა მტრებმა ხელათ გამონახეს ჩვენი ქვეყნის გამყიდველები, გაუტენეს მათ ჯიბეები და აალაპარაკეს ისინი ჩვენი ინტერესების, ჩვენი მიწა-წყალის, ჩვენი ერის, ჩვენი სამშობლოს დასაქცევად. გამონახეს ბნელი პირები, მისცეს ფულები მათ, გამოაცემინეს გაზეთი „სედაი მილეთი" და ააყვირეს ჩვენი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოთ. ჯერ აყვირეს ეს „სედაი მილეთი" — ოსმალეთი გვინდაო. აყვირეს ეს დენიკინელებმა. მერე, როცა დენიკინელების მზე ჩაესვენა, ააყვირეს: აჭარისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფო გვინდაო. კარგად იცოდენ ამყვირებლებმა და აყვირებულებმაც, რომ აქ ოსმალეთი ვერ მოვიდოდა, რომ „აჭარისტანის" სახელმწიფო ვერასოდეს ვერ დაარსდებოდა, მარა მაინც ყვიროდენ ამას, ვინაიდან ამით მომსყიდველებს და მოსყიდულებს სურდათ, რომ ჩვენ ხალხს უარი ეთქვა საქართველოზე. და თუ ჩვენ საქართველოზე უარს ვიტყოდით, მაშინ ხომ ან რუსეთის და ან სომხეთის ლუკმათ გადავიქცეოდით.

და აი „სედაი მილეთმა" და მისმა მომსყიდველებმა მიაღწიეს თავის „სასახელო" მიზანს. აყვირეს ზოგიერთი გზადაბნეულები: ჩვენ საქართველო არ გვინდაო; სწერეს მემორანდუმები და აძლიეს ინგლისის სარდლობას, რომელიც ამ მემორანდუმებს საზავო კონფერენციას უგზავნიდა.

და კონფერენციამაც თქვა: რაკი საქართველო არ გინდათ, ინებეთ სომხეთის თქვენზე გაბატონებაო.

რაკი საქართველოს ფრონტებს უკეთებთ, რაკი ქართველ ჯარებს თოფებით ხვდებით, რაკი საქართველოს წინააღმდეგ თხრილებში ჯდებით, ჩვენ მოგართმევთ თქვენ ყარსიდან ისეთ რამეს, რომლის თავიდან მოშორებას ვერასოდეს ვერ შესძლებთო.

და მოგვართვეს სომხეთის ჩვენზე გაბატონება.

ამისათვის დარბოდნენ ქესკინ-ზადეები, ხუსეინ ბიბინოღლები, ამისათვის აძლევდენ ამ ვაჟბატონებს ტყვია-წამალს, თოფებს და პურის ფქვილს, რომ გზა-დაბნეული ძმები, დაბრმავებული ზოგიერთი

ქობულეთლები ჩვენი ქვეყნის დამღუპველებათ გამოეყვანათ.

ამისათვის შეარცხვინეს მუდამ პატიოსანი, ნამუსიანი ქობულეთლები, ამისათვის მოსცხეს წარუხოცელი ლაქი ზოგიერთ ქობულეთლების შუბლს, დაღი მოღალატისა, ამისათვის ამოიყენეს გვერდში ვიღაც ფაშიანცები, ამისათვის უღალატეს სისხლით და ხორცით ძმებს...

როდის იყო, რომ ფაშიანცები, პუჩინიანცები და სხვა იანცები ჩვენთან იყო!.. როდის იყო, რომ ისინი ჩვენ ინტერესებს იცავდენ!.. მხოლოდ ამ ერთ რამეს განა არ უნდა აეხილა ჩვენთვის თვალი?!..

მარა ავანტიურისტებმა ზოგიერთ ქობულეთლებს აუბნიეს გზა და კვალი... ჩაადენინეს ისეთი სამარცხვინო საქმე, რაც შვილიდან შვილს გადაეცემა, რაც ისტორიაში მუდამ დარჩება ჩვენდა შესარცხვენად და რაც ჩვენ შვილებს, ჩვენ მომავალს მუდამ სირცხვილის ოფლს არ მოაშორებს.

აი რა გვიყვეს ჩვენი ქვეყნის გამყიდველებმა. მათ მიაღწიეს თავის მიზანს: გვაჭამეს სირცხვილი, დაღუპეს ჩვენი სამშობლო, სომხებს მიჰყიდეს ჩვენი ქვეყანა...

აი რა საჩუქარი გვიძღვნეს „სედაი მილეთლებმა"...

მარა ჯერ კიდევ შეიძლება საქმის გამოსწორება. ძნელია ახლა ეს, მარა კიდევ არის შესაძლებლობა, რომ სავსებით არ დავიღუპოთ.

ერთსულოვანი, ხმა-მაღალი და მტკიცე მოთხოვნილება საქართველოსთან ერთობისა კიდევ გვიხსნის.

ძმებო, ვიღუპებით! ძმებო, ჩვენ ქვეყანას სომხეთი ებატონება!.. შეიგნეთ ეს, გაიგონეთ ეს...

კითხვა ასე დგას: სომხეთი თუ საქართველო... რომელი გსურთ — ირჩიეთ. „სედაი მილეთმა" სომხეთის ბატონობა გვაჩუქა. გაახილეთ თვალები, გონს მოდით და დასძახეთ: ერთობა საქართველოსთან და არა სომხეთთან! და ვინც ამას არ დასძახებს, ის ჩვენი ქვეყნის მტერია, ის ჩვენი ქვეყნის გამყიდველია.

---

# ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი.

◆ ქაღალდისა და მუშა ხელის მეტის მეტად გაძვირების გამო დღეიდან ჩვენი გაზეთის თითო ნომერი ეღირება ათი მანეთი. ამისდაგვარად 15 ამ თვიდან თვიურ ხელის მომწერთათვისაც გაზეთის ფასი გადიდებულია.

◆ სამუსლიმანო საქართველოს მტრები და ამ მტრების მიერ მოსყიდული პირები ავრცელებენ ხმებს, რომ თითქო ქობულეთის უბნის იმ რაიონიდან, სადაც საქართველოს ჯარი იდგა, ჯარსა და ოზურგეთის მცხოვრებლებს ურმებით გაეზიდოთ ქართველ მუსლიმანების სახლ-კარიდან სხვა და სხვა ნივთები, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს საზიზღარი ჭორია. მცხოვრებლებს არ დაკლებიათ ერთი კვერცხიც კი. ყველა ადასტურებს ამას, გარდა პროვოკატორებისა. იმ შავბნელ პირებისა, რომლებიც ჩვენ სამშობლოს ღუპავენ და სომხეთის საქმეს აკეთებენ. მარა ასეთი საზიზღარი ჭორებით პროვოკატორები ფონს ვერ გავლენ.

ეროვნული

◆ იმის გამო, რომ საქართველოსთან მატარებლების მიმოსვლა შეწყდა, ბათუმის ბაზარზე თითქმის სავსებით გაქრა სურსათ-სანოვაგე. თითქმის არაფერი არ იშოვება. არ არის არც კვერცხი, არც ყველი, არც სიმინდის ფქვილი. ნურიაში მოვაჭრეები გულხელ დაკრეფილი სხედან. მწვანილიც კი ნაკლებათაა და რაც არის ძველი და გამოუსადეგარია. თუ მატარებლის მიმოსვლის შეწყვეტა კიდევ გაგრძელდება რამოდენიმე დღე, ბათუმს პირდაპირ დამშევა მოელის.

◆ სამოქალაქო გუბერნატორ გარისის მაგიერ დაინიშნა მაიორი შელპი, რომელმაც 15 მაისიდან უკვე შეუდგა აღნიშნული მოვალეობის შესრულებას.

◆ სამოქალაქო სამმართველოს მიერ ამ დღეებში გამოქვეყნდება პირველ მოთხოვნილების საგნებზე ახალი ნიხრი.

◆ ბათუმის სტუდენტთა ორგანიზაციამ მოაწყო ეკსკურსია „ზელიონი მისში" და ბატანიკურ ბაღში. მონაწილეობდა 50 კაცი.

◆ ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა აღმოუჩინოს საქველმოქმედო საზოგადოებას 25000 მანეთით დახმარება.

◆ ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა დანიშნოს შეჯიბრება ქალაქის სკოლის შენობის გეგმის შედგენისა. პირველ ხარისხოვან გეგმის შემდგენელს მიეცემა 30000 მანეთი, მეორეს — 20000 მანეთი.

◆ თვითმართველობამ დაადგინა თხოვოს ინგლისის პოლიცმეისტერს დაარსოს მუდმივი სადარაჯოები მილიციონერთა ქალაქის ბულვარში და ქალაქის ბაღში.

◆ ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა აღმოუჩინოს ქალაქის საავადმყოფოს მოსამსახურე პეტროვს 30,000 მანეთის დახმარება.

◆ 16 მაისს გემ „ტრუვორით" ბათუმში მოვიდა მოხალისეთა ჯარის გენერალი შკურო.

◆ ქალაქის სასურსათო თვითმართველობიდან სასურსათო ბარათების მცხოვრებლებზე დარიგება ისევ გრძელდება. ბარათებს იძლევიან მაისის და ივნისის თვისას.

◆ 15 მაისს დღის 3 საათზე რესტორან „ოქროს ძირში" შევიდა ორი ინგლისელი ჯარისკაცი და მოითხოვეს რამოდენიმე ბოთლი კონიაკი. დალიეს რა, დაიწყეს შუშეულობის მტვრევა. შეიჭრენ კერძო კაბინეთშიც, სადაც ისხდენ სტუმრები, ასტეხეს აყალმაყალი, სცემეს კიდეც ზოგიერთებს და დაამტვრიეს რაც კი შეხვდათ. რესტორანში მყოფი მოსადილენი ძალით გამორეკეს გარეთ, დამტვრეულია დიდძალი ნივთები, ზარალი 50,000 მანეთს უდრის.

◆ უდროვო დროს ქუჩაში გამოსვლისათვის დატუსაღებულ იქნა და გაუპტვახტში გაგზავნეს არ-

იუტიუნ მინოსიანი, პარასკოვია ტელიკოვისა და ეკ. დუდკოვისა.

◆ 15 მაისს შეზარხოშებულმა ფრანგ ორ მატროსმა პეტროგრადის ქუჩაზე ცემა დაუწყო მეორე უბნის სადარაჯოზე მყოფ მილიციონერს ბ. ფარმანიანცს, რომლის შემდეგ წავიდენ მიხაილოვის ქუჩისაკენ სადაც თავს დაესხენ მილიციონერ პ. ჟილიაევს, რომელიც სადარაჯოზე იდგა და დაუშინეს ქვები. საჩქაროთ მიღებული ზომებით აღნიშნული მატროსები დატუსაღებულ იქმნა.

◆ სამშაბათს 18 მაისს ბათუმიდან სტამბულისაკენ გადის ამხანაგობა „აჩეპო"-ს გემი „რუს. ალბერტი", რომელიც გაივლის ზუნგულდუკში.

◆ 17 მაისს ბათუმში მოელოდენ იტალიის გემ „ალბანიას"-ს, რომელიც 20 მაისს გაბრუნდება უკანვე, გაივლის კონსტანტინოპოლში პორტ ნეაპოლში და სხვაგან. გემი წაიყვანს მგზავრებს და წაიღებს სხვა და სხვა საქონელს.

◆ ამ დღეებში ბათუმიდან სტამბულისაკენ გადის გემი „ბერძ. პარფიიმი". გემზე მიიღება მგზავრები და წასაღები ნივთები.

---

# ვაი სირცხვილო...

რა დაგვტეხია თავს, რა უბედურ დღეში ჩავარდნილვართ!.. სირცხვილით ვიწვი, მზათ ვარ ჩემივე თავი ჩემივე კბილებით დავგლიჯო... შემოგვიჩნდა „სედაი მილეთის" ავანტიურისტები, ჩაგვძახოდენ, გვეჩიჩინებოდენ: არ დაიღუპოთ, ჩვენ აქ ოსმალეთი მოგვყავს, ამ ორ-სამ დღეში ქემალ-ფაშის დივიზიები მოვა, აჭარისტანის სახელმწიფოს დავიარსებთ, შენ კაიმაკამათ გაგხდითო... ოსმანას პოლკოვნიკობას მივცემთ, მემედას კაპიტნობას, ამას კიდევ გენერლობასო და სხვა. შეგვაცდინეს, აგვიყოლიეს ზოგიერთები. ქობულეთში თხრილებში ჩაგვაჯინეს, ძმების მტრებათ გაგვხადეს.

და ყოველივე ეს ჩაიდინეს მიტომ, რომ აქ სომხეთის ბატონობა დაემკვიდრებიათ. სომხები კი ჩუმათ იყვენ, განზე იდგენ ვითომ... და თურმე, როცა ჩვენ გვაყვირებდენ: ოსმალეთი გვინდა, ქემალ ფაშა გვინდა, აჭარისტანის სახელმწიფო გვინდაო. — სომხები ულვაშებში იცინოდენ, მათ იცოდენ რასაც მოგვცემდენ...

და მოგვცეს სომხეთის ჩვენზე ბატონობა...

როცა გვაძახეს: არ გვინდა საქართველო, არ გვინდა ძმებიო, მაშინ თურმე სომხეთის საქმეს ვაკეთებდით. რა ვქნათ... რა წყალში ჩავარდეთ... რანაირად მოვიძროთ ეს სირცხვილი... სირცხვილს ვინ ჩივა... დავღუპეთ ჩვენი საქმე, ჩვენი თავისუფლება, ჩვენი მომავალი... რას გვეტყვის ჩვენ ჩვენი შვილები...

აი, რა გვიყვეს „სედაი მილეთლებმა" მარა ისიც სათქმელია: რათ მოვატყუებიეთ თავი ვილაც ბნელ პირებს, რომლებმაც ან-ბანიც კი არ იციან კარგად!.. რათ დაუჯერეთ მათ!.. განა მათ გაეგებათ რამე საქვეყნო საქმის!.. განა ნაკაიძესათვის უნდა დაგვეჯერებია... განა ნაკაიძე, ბიბინ-ზადე და ქუ-კინ-ზადე აგვიშენებდა სახელმწიფოს!...

ვაი სირცხვილო... ვაი სირცხვილო...

ყოფილი „სედაი მილეთელი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

# გ ა გ ვ ყ ი დ ე ს.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ბ-ნო რედაქტორო! საშინელი ამბავი ამოვიკითხეთ თქვენ გაზეთში: საზავო კონფერენცია ჩვენ ქვეყანას თურმე ფეშქეშათ აძლევს სომხეთს... ახლა კარგათ მესმის თუ რატომ იყო, რომ ფაშიანცი გვაგულიანებდა: თქვენსკენაა ინგლისი, არ გაერთიანდეთ საქართველოსთან, ეომეთ საქართველოს, ინგლისს ეს უხარია, თეთრ ფქვილს მოგცემთო და სხვა... ახლა ყოველივე ეს კარგათ მესმის. აი თურმე სად მივყავდით „სედაი მილეთს". აი თურმე რისთვის შეგვარცხვინეს, რისთვის მოგვჭრეს თავი... ჩვენ თითონ გაგვილესავს ჩვენი დასაკლავი დანა. როცა ქობულეთის რაიონში თხრილებს ვაკეთებდით, ეს თურმე ჩვენი თავისუფლების სამარე იყო...

რა გვიშველის?... ვინაა კაცი, რომ ამ უბედურებიდან ამოგვიყვანსო... საქართველო გადავიმტერეთ, მოგვხედავს კი აწი ის ჩვენ...*) არ გვეტყვის განა, რომ რაკი არ გინდათ თავისუფლება, დაე დაიხრჩვით სომხეთის კლანჭებშიო? განა არა ვართ ამის ღირსი?.. დავიღუპეთ, დავიღუპეთ... გაგვყიდეს, დაგვღუპეს „სედაი მილეთის" ავანტიურისტებმა.

ქობულეთელი.

---

# სამუსლიმანო საქართველო სომხეთს!..

ანტანტის უხუცესი მსაჯულები განაგრძობენ დაცინვას!.. სან-რემომ ბათუმის საკითხში ახალი ელემენტი შეიტანა... ეს ახალი აღმოჩენა გულისხმობს, რომ სამუსლიმანო საქართველო სომხეთს ერგოს.

---

*) დედა-საქართველო არასოდეს არ მოისურვებს, რომ ჩვენ დავიღუპოთ, მიუხედავათ იმისა, რომ ქობულეთლებმა ფრონტი გაუკეთეს მას, ის გზა დაბნეულ თავის შვილებს გულზე ხელს არ ჰკრავს. მან კარგად იცის, რომ ზოგიერთი ქობულეთლები შეაცდინეს მოსყიდულმა პირებმა. საქართველოს დელეგაცია იცავდა და დაიცავს ჩვენს ინტერესებს. საქართველოს დელეგაცია რომ დათანხმებოდა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს, ე. ი. საქართველოს დელეგაციას რომ თანხმობა გამოეცხადებია იმაზე, რომ სომხეთს მისცემოდა უფლება ყარს-ბათუმის და ბათუმ-რიზეს რკინის გზის გაყვანისა, ეხლა ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს ხელში იქნებოდა. მარა სან-რემოში ჩხეიძემ და წერეთელმა განაცხადეს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ინტერესებს ისინი ვერ გაჰყიდიან. უარი უთხრეს სომხებს და მით დაიცვეს ჩვენი საარსებო ინტერესები. აწიც დაგვიცავს ისინი ჩვენ.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთს გაჰყავს ბათუმიდან რიზემდე რკინის გზა და სომხეთს რჩება ეს რკინის გზა მარადიულ ექსპლუატაციისათვის, საჭირო ტერიტორიულ შემოფარგვლით. თანდროოულ ცხოვრების პირობებით რკინის გზა პოლიტიკურ და ეკონომიურ ბატონობისთვის ყველაფერია. ბათუმელებს ახსოვთ ერთი ქრონიკა, ბათუმ-ყარსის რკინის გზას პოპულიარულს რომ ჰქმნიდა.

აი, ეს მეორე უებარი საშუალებაა სამუსლიმანო საქართველოს დასაპყრობად.

გამარჯვებული ანტანტი, ამჟამად მსოფლიოს ბედს რომ სწყვეტს, სომხეთის მიმართ მეტად გულუხვი და შემწყალე აღმოჩნდა... სომხებმა ევროპაში ჯერ-ჯერობით მაინც გაიმარჯვეს თავის ყალბი საბუთებით და ინსინუაციებით, გასაკვირი არაფერია; ხალხი, რომელიც თფილისს თხოულობდა, თქმა არ უნდა, ბათუმსა და მის მხარეს უფრო გაბედულად ჩასთვლიდა თავის კუთვნილად!.. სომხური დელეგაცია კათალიკოსებისა და ეპისკოპოსების ლოცვაკურთხევით არწმუნებდა ლონდონ-პარიზს, რომ ბათუმსა და მის ოლქში მკვიდრთა დიდ უმრავლესობას სომხები შეადგენენ, რის გამოც ეს მხარე სომხეთს უნდა გადაეცესო. ამის ფორმალურ დამტკიცებისთვის სომხებს ცალკე წიგნებიც კი ჰქონდათ გამოცემული, სომხის ბურჟუაზია თავის ოქროთი ყიდულობდა გავლენიან პირებს და ჰქმნიდა საზოგადოებრივ აზრს, რომ ბათუმი სომხების უნდა იყოსო.

მერე ვისთვის არის ეს ხელსაყრელი, ვის გაუხარდება ეს სამუსლიმანო საქართველოში? იმ უვიცებს, ავანტიურისტებს და მოღალატეთ, რომლებიც ამჟამად ქობულეთის ამბებს ანსახიერებენ.

ვის უნდა აქ სომხეთი?

ყველა იმას, ვინც შეგნებით თუ შეუგნებლად ჩვენ მუსლიმან ძმებს მოლიპულ გზაზე აყენებს და დედა-საქართველოსთან გაერთიანების საქმე ხელს უშლის, ვინ თავის ხალხის მტერია.

ისინი, ვინც მოხერხებულ შოვნისთვის არიან აღტყინებული, ამას ვერ ხედავენ, „აჭარისტანს“ ეპოტინებიან, რითაც ნამდვილად სომხურ საქმეს აკეთებენ...

ახლა მოვლენები იურიდიულად ირქმევენ სახელს, სან-რემოს — თუ სხვა ქალაქის კონფერენცია დასტურს დასცემს და ამრიგად სამუსლიმანო საქართველოს ბედიც კარგა ხნით დარჩება სომხეთის სასარგებლოდ გადაჭრილი. მაშინ ამ უბედურებას ვერ გააქრობენ ქობულეთის „სედაი მილეთლები“ ოსმალოს ოფიცრები და სხვა „შაიკები“. თავის დროზე ისტორია სასტიკად გაასამართლებს ჩვენებურ იუდებს, მაგრამ როგორც ცნობილია ისტორიულ მოსამართლის განაჩენი იმდენად მორალური და მეცნიერული შემეცნებაა, რომ იგი ჩვენებურ უპასუხისმგებლო მტაცებელ ბრბოებზე ვერ იმოქმედებს. აქამომდე დიდი დრო იყო სამუსლიმანო საქართველოს ბედ-იღბლის. მისდა სასურველთან შეერთება საუკეთესო დაზღვევა იქნებოდა ამ მხარის სომხურ ხელისაგან... მაგრამ ქობულეთის მოლაშქრეებმა, „აჭარისტანის“ „მინისტრებმა“ ხალხი მოატყუილეს, ბრბოები შეაგროვეს, სომხის ოფიცრები წინ გაიძღოლეს და საქართველოს წინ აღუდგენ... და ბოლოს ოკუპატორები ჩარიეს საქმეში... ქობულეთის ამბები სირცხვილის დაღათ უნდა დააჩნდეს ამ ბოროტ ხალხისთვის. მაგრამ მათ სად აქვთ სინდისი? ისინი სომხის აგენტები არიან, სომხების შემოყვანა სწადიათ, როდესაც მუქთა ხორობას ჩვეულნი ხალხის ზურგზე, „ისტრაჟნიკებენ“, რუსმა, სომეხმა და ოსმალომაც კარგად უწყის, რომ ბათუმსა და მის ოლქში ოსმალეთი ვერ შემოვა.

ჩვენზე კარგად იციან მათ, რომ ოსმალეთი რასაც ჰკარგავს, იმას თავის დღეში ვერ იბრუნებს; გარდა ამისა ხედვენ იმასაც, რომ არა თუ ოსმალეთი, არამედ ოსმალეთს დენიკინი, სულთანისგან დევნილი და შეიჰულ-ისლამისგან დაწყევლილი ქიამილ ფაშაც, რომელსაც სდევნის ოსმალოს მთავრობა და მისი ლიკვიდაცია სულ მოკლე ხანში მოხდება, ბათუმისაკენ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადმოადგამს. როგორც ვსთქვით, ყველაფერი ეს მათ მშვენივრად იციან!...

და თუ მაინც მიდიან მოლიპულ გზით, „სედაი მილეთის“ და „აჭარისტანის“ ლოზუნგებით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ისინი ფაქტიურად სომხებს ემსახურებიან, ვინაიდან აქ მდგომარეობის ასეთი თუ ისეთი გართულება, ქართველი ჯარები შემოსვლის დაგვიანება მხოლოდ სომხეთს სჭირია თავის საბატონო უფლებების შემოსატანად!..

სულ სხვაა, თუ როგორ მოიქცევა ამ დროს საქართველო!..

ვინც დღეს ჩვენთან არ არის, ის სომხეთთანაა. ვინც ქობულეთის ამბებს ან „აჭარისტანის“ უტოპიას ავტორობს, იმას სომხები უნდა. სომხეთი თუ საქართველო, ასე დადგა დღეს კითხვა და ვაი იმის, ვინც ავანტიურის უფსკრულში გადავარდება, სამუსლიმანო საქართველოს ფეშქაშად მიართმევს სომხის ბურჟუაზიას...

ი. დიდიძე.

---

# რა ხდება უცხოეთში.

## ს ო მ ხ ე თ ი.

### ადერბეიჯანი და სომხეთი.

სომხეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით საბჭოთა ადერბეიჯანის მთავრობამ წინადადება მისცა სომხეთის მთავრობას, რათა მშვიდობიანის გზით იქნეს გადაწყვეტილი საკითხი სადავო ტერიტორიების შესახებ; ამ მიზნით ადერბეიჯანის მთავრობა წინადადებას აძლევს სომხეთისას გაგზავნოს თავის წარმომადგენლები, ბაქოში 15 მაისისათვის. სომხეთის მთავრობა თანახმაა ამ წინადადებაზე, მაგრამ მოითხოვს მოლაპარაკების გამართვას არა ბაქოში, არამედ ქ. ყაზახში.

## პარლამენტი ადერბეიჯანის ულტიმატუმის შესახებ.

გაზ. „არაჩ“-ის ცნობით სომხეთის მთავრობის თავმჯდომარემ ა. ოგანჯანიანმა პარლამენტის 3 მაისის სხდომაზე მოხსენება გააკეთა სომხეთისადმი მიმართულ ადერბეიჯანის ულტიმატუმის შესახებ. ულტიმატუმის განხილვის დროს დიდი კამათი გაიმართა. ს. რევოლიუციონერები თუმანოვისა და ხონთქარიანის პირით სალამს უძლვნიდენ ადერბეიჯანის გადატრიალებას და მოითხოვდენ, რათა სომხეთშიაც საბჭოთა მთავრობა ყოფილიყო გამოცხადებული, დაშნაკელები ადერბეიჯანის გადატრიალებას ფიქციათ აღიარებდენ და მოითხოვდენ, რათა დაცული ყოფილიყო გაერთიანებულ სომხეთის დამოუკიდებლობა და თავისუფლება, რომელიც სომხეთის ხალხმა აუარებელ მსხვერპლის გაღებით მოიპოვა. კამათის შემდეგ მიღებულ იქნა დაშნაკელების მიერ წარდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება ადერბეიჯანის ნოტის შესახებ და მთავრობის პასუხი იმ ნოტაზე, — პარლამენტი იწონებს მთავრობის პოლიტიკას და ამავე დროს რწმუნებას აძლევს მას რათა მიიღოს ყოველგვარი ზომები სომეხ ხალხის არსებობისა და თავისუფლების დასაცავათ.“

---

დაიკარგა ესტატე ბიტუსძე ლოლუას პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან №3636-20 წ.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

358 (1–1).

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათა-
ვისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ოთხშაბათი 19 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

ეროვნული

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ", რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 600 მან. |
| 2 თვით | 400 მან. |
| 1 თვით | 200 მან. |

№363 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №363

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მინადორა ალექსის ასული და დედა ნინო ნიკოლოზის ასული ბახტაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს 20 მაისს (ახალი სტილით) გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ალექსი ანდრიასძე ბახტაძის

მოსახსენებლად ქალ. ხონის წმინდა გიორგის ეკლესიაში.
355. (2–2)

## უდიდესი საფრთხე.

სამუსლიმანო საქართველოს უდიდესი საფრთხე მოადგა კარს. მაშინ, როცა შავბნელი პირები, „სედაი მილეთის“ ვაჟბატონები ჩვენ ხალხს საქართველოს საწინაალმდეგოთ მოუწოდებენ, როცა ოსმალეთისაკენ გვეპატიჟებოდენ, თუმცა კარგათ იცოდენ ოსმალეთი ვერასოდეს ვერ მოვა აქ, როცა შემდეგ პირველი მათი ლოზუნგი გახუმდა და ყველასათვის ეს ცხადათ დასანახი შეიქმნა, როცა ამის გამო „აჭარისტანის სახელმწიფო“ გადმოისროლეს ხალხის მოსატყუებლათ, — ამ დროს მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციასთან ბათუმის და მისი ოლქის ბედზე ბჭობდა და ბათუმის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწილის პოლოს-ნუბარს პირდებოდა.

ჩვენამდე აღწევდა ხმები, რომ ბათუმზე და ბათუმის ოლქზე სომხეთის მთავრობა და მისი დელეგაცია პარიჟში დიდ პრეტენზიებს აცხადებსო. მარა ჩვენ დანამდვილებით არ ვიცოდით საქმის ნამდვილი მდგომარეობა. არ გვქონდა ხელთ ამისი უტყუარი საბუთები, ვგრძნობდით კი რომ რაღაც უბედურება მზადდება ჩვენი კუთხისათვის და მოუწოდებდით ჩვენ ხალხს არ აჰყოლოდა იმ ავანტიურისტებს, ვინც ჩვენ დედა-სამშობლო საქართველოს წინაალმდეგ მოქმედებდენ. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით და ვართ, რომ ჩვენი კუთხის საქართველოსაგან ჩამოცილება — ეს იქნებოდა ჩვენი დაღუპვა, ვილაც გადამთიელთა ბრჭყალებში ჩავარდნა, მუდამ მონობის უღელს ქვეშ გმინვა.

ვიცოდით და მიტომ იყო, რომ ჩვენ ხალხს ვურჩევდით სიფრთხილეს, ვურჩევდით ახლოს არ გაკარებოდა „სედაი მილეთელებს“, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თავის კერძო ინტერესებით, თავის ჯიბეებით არიან დაინტერესებულნი. ამ ვაჟბატონებისათვის სულ ერთია თუ რა მოუვა ჩვენ ხალხს. მათი მიზანია მხოლოდ მათ იცხოვრონ კარგად, ჯიბეები გაისქელონ, თფილ-თფილ ადგილებში ჩადგენ და ჩვენი ქვეყანა თუნდ უფსკრულში გადავარდნილა... ჩვენ ხომ ყველამ კარგად ვიცით, თუ ვინ ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები. განა მათ შეუძლიათ იგრძნონ რაიმე პასუხისმგებლობა ერის, სამშობლოს წინაშე?!.. განა მათ ესმით პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის მიმართ?!..

აი ასეთი ბნელი პირები გამოხტენ სარბიელზე. გამოახტუნეს ისინი ჩვენმა მტრებმა, ჩვენი ქვეყნის დამონავების მსურველებმა. მისცეს მათ დირექტივები და ხან ოსმალეთი აყვირეს და ხან „დამოუკიდებელი აჭარისტანი“... და რომ უფრო შეეგონებიათ, ზოგს ვითომდა „კომანდირობა“ და „სარდლობა“ ჩააბარეს, ზოგს ქობულეთის „ნაჩალნიკობა“, ზოგსაც „კომენდანტობა“ და სხვა.

და მათაც დაიჯერეს, რომ ვითომდა მართლაც „სარდლებია“, მართლაც „ნაჩალნიკებია“ და „კომენდანტები“! იმდენათ გათამამდენ, რომ ქობულეთის სადგურზე საქართველოდან მომავალი მატარებლის გაჩხრეკაც კი მოინდომეს, მარა მატარებლიდან კინწის კვრით გადმოყარეს „მეგობრებმა“. და ამით უთხრეს: შენ გაგაკეთებინეთ ჩვენი საქმე, აწ შეგიძლიათ მიბრძანდეო.

და მართლაც გააკეთეს ამ ვაჟბატონებმა ჩვენი დამღუპველი საქმე. აიყოლიეს ზოგიერთი ქობულეთლები, მისცეს ხელში თოფი და ჩასხეს თხრილებში — საქართველოს წინაალმდეგობა გაუწიეთო. და ეს უნდოდათ სწორედ იმათ, ვინც ხახა-დაღებულია ჩვენი ქვეყნის ჩასაყლაპავათ. ეს უნდოდათ სწორედ იმათ, ვინც სომხეთს ევაჭრება: ბათუმის ოლქის ნაწილს მოგართმევთ, ყარს-ბათუმის რკინის გზას გაჩუქებთ, ბათუმიდან რიზემდეც მოგართმევთ ტერი-

ტორიას რკინის გზისათვის, მარა ამ ტერიტორიებზე ჩემი გავლენა უნდა დარჩესო...

და რომ ყოველივე ეს შესრულებულიყო, ამისათვის საჭირო იყო კომედიის თამაში: ქესქინ-ზადეების „სარდლათ“ გამოყვანა, სტრაჟნიკ ბალაძეების „განაჩალნიკება“ და ქობულეთში საქართველოს წინაალმდეგ ფრონტის შექმნა. ეს კომედია საჭირო იყო იმისათვის, რომ საზავო კონფერენციაზე ეთქვათ: ხომ ხედავთ, სამუსლიმანო საქართველოს არ სურს საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთება, ამიტომ ის უნდა შევუერთოთ სომხეთსო.

ითამაშეს კომედია, მარა ეს კომედია ჩვენთვის ტრაგედიათ იქცა, ნათქვამია: რასაც ერთი სულელი გააფუჭებს, იმას ათასი ჭკვიანი ვერ გამოაკეთებსო. ჩვენ სულელებს, მარა ფულის დიდათ მოყვარულებს, ჯიბეები ფულებით გაუტენეს, ხელში ნავთით სავსე დიდი ჭურჭელი მისცეს და დაავალეს, რომ ნავთი გადაესხათ ჩვენი თავისუფლებისათვის და დაეწვათ ის. მათაც გადაასხეს ეს ნავთი ჩვენი თავისუფლების შენობის ერთ ნაწილს და დასწვეს ის.

აწ ამ „გმირებს“, რა თქმა უნდა, გააპანღურებენ, ვინაიდან მათ გააკეთებიეს, რაც სურდათ რომ გაეკეთებინათ.

და ჩვენი ქვეყანა ამ სასაცილო „კომანდირების“ მეოხებით უსაშინლეს საფრთხის წინაშე დააყენეს.

დიახ, უგუნურებმა თავს დაგვატეხეს უბედურება, ჩვენი ვალია, რომ ამ უბედურებისგან ვიხსნათ თავი. და შევძლებთ ამას მხოლოდ მაშინ, თუ ერთხმად დავადგებით ერთადერთ სწორ გზას: დედასამშობლოსთან ქ. ბათუმის და მისი ოლქის ავტონომიურათ გაერთიანებას.

წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგველის უცილობელი დაღუპვა, ჩვენი ქვეყნის უცხოს მიერ დაპატრონება.

## გენერალურ შტაბის ცნობა.

**თფილისი, მაისის 14.**

ყაზახის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა მტერი მდ. ირჯა-სუსკენ უკუაგდო. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**თფილისი, მაისის 15.**

ყაზახის მიმართულებით მტრის არტილერია და ცხენოსანი ჯარი 4 პოლკზე ნაკლები არ არის. მაისის 14 მტერი შემოტევაზე გადმოსვლას სცდილობდა, მაგრამ სახალხო გვარდიის მედგარი შეტევით ჩვენი პოზიციების იქით 8 ვერსზე გავრეკეთ. წითელ ხიდთან ბრძოლაში და მის შემდეგ მტრის დევნის დროს ხელთ ვიგდეთ 3 ტყვიის მფრქვეველი. ტყვეები, სამზარეულოები, არტილერიის საწყობი, სადაც, სხვათა შორის, 20,000 თოფის პატრონაზე მეტი აღმოჩნდა. მტერს წავართვით აგრეთვე ობოზი, სურსათ-სანოვაგე და შინაური საქონლის ჯოგები. ფოილოსთან, გუშინ, მაისის 14 მტერი არტილერიიდან ყუმბარებს ესროდა ჩვენს პოზიციებს. დანარჩენ სხვა ფრონტებზე სიწყნარეა. მიღებული ცნობების თანახმად ფოილოს ხიდთან ბრძოლაში ჩვენებს დაუზიანებიათ მტრის ორი ჯავშნიანი მატარებელი და მაზე მოსამსახურე რამდენიმე კაცი მოუკლავთ.

## ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ სამხედრო ატაშე საქართველოს რესპუბლიკისა ქ. ბათუმში ღენერალი ფურცელაძე აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, განურჩევლად ეროვნებისა, 19-დან 43 წლისა, სათადარიგო ოფიცრები, ექიმები და სამხედრო მოხელენი კი 55 წლამდე მოვალენი არიან გამოცხადდნენ საქართველოს საკონსულოში სამხედრო აღრიცხვის განყოფილებაში — 25 მაისამდე. რეგისტრაცია (ჩაწერა) ხდება 10 საათ. — 1 საათამდე ყოველ დღე, გარდა უქმე დღებისა. შეპელევის ქუჩა №23.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო უცხოეთიდან ფოთის ნავთსადგურიდან ჩამოსულ ყველა გერმანელებს თავისუფლად იცხოვრონ საქართველოს მიწაწყალზე.

◆ ადერბეიჯანის რკინის გზების და სხვა უწყებათა მოსამსახურეებს ნება მიეცათ საქართველოდან დაბრუნდნენ ადერბეიჯანში.

◆ საქართველოს მთავრობის სხდომაზე მაისის 8-ს დამტკიცებულ იქმნა თავდაცვის საბჭოს დადგენილება, რომ რესპუბლიკის ყველა რკინის გზებზე და ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიაზე გამოცხადდეს სამხედრო წესები მათი ქალ. თბილისის და აღმოსავლეთ საქართველოს ღენერალ-გუბერნატორისათვის დაქვემდებარებით.

◆ 17 მაისიდან განახლდა ბათუმ-თფილისის შუა მატარებელთა მიმოსვლა. მატარებლები ივლიან ძველ მიმოსვლათა აღწერილობის თანახმად.

◆ ბათუმის ინგლისელ სამხედრო პოლიცმეისტერმა კაპიტან კუმმინსმა თავი გაანება სამსახურს. მის მაგიერ დაინიშნა მე 7 დე ცხენოსანთა პოლკის კაპიტანი სანფორდი.

◆ სიმთვრალის დროს აყალმაყალისათვის დაპატიმრებულ იქმნა ბურლაევი.

◆ დონ-კარსაკოვის ქუჩაზე (№48) ფეხსაცმელების სახელოსნოდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 12000 მანეთად. იჭვი მიიტანეს კ. იბრაგიმ-ოღლზე.

◆ კაპიტან დიკსონის ნებადაურთველად „კარაბელნი კანტორიდან“ გემების წასვლა-მოსვლის შესახებ გაზეთის კორესპონდენტებს ცნობებს არ აძლევენ.

◆ 17 მაისს ხოლერიანთა ბარაკში იყო პარტახტიანი ტიფით 46 ავადმყოფი, „ყვავილით“ — 5.

◆ ქალაქის საავადმყოფოში 16 მაისს იყო 90 ავადმყოფი, მათ შორის 2 ქალი.

◆ ამ დღეებში ამერიკიდან ბათუმში მიიღეს სომხეთისათვის 6000 ტონი პურის ფქვილი.

◆ ბათუმის სტუდენტთა ორგანიზაციამ თავის წევრთა შორის შეაგროვა 35000 მანეთი, ამ ფულით დაეხმარებიან თავიანთ წევრთა ულარიბეს ნაწილს.

◆ სარწმუნოთ გადმოგვცემენ რომ სადგ. სანდარაში, აირში და სანაინში თავი მოიყარა 43 ვაგონ დატოლვილ ბერძნებმა.

◆ ბათუმ-ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შუა მატარებელთა მიმოსვლის საქმეთა დაბრკოლების გამო, ამიერკავკასიაში მყოფ ლტოლვილ ბერძენთა სამშობლოში გაგზავნის საქმე ძლიერ შეფერხდა.

◆ 20 მაისს დანიშნულია კოოპერატივ „ვზაიმოპომოშჩის" წევრთა საზოგადო კრება.

◆ 23 მაისს, დილის 10 საათზე „კინო პალასის" ბინაზე (მარინ, ქ. №31) დანიშნულია ბათუმის ინჟინერ-ტეხნიკთა წლიური საზოგადო კრება.

◆ 10 და 20 მაისს საკრებულო დარბაზში გაიმართება საღამო სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოთ.

---

## ბორჩალოს მუსულმანთა დეპეშა ნ. ჟორდანიას სახელზე.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: „ბორჩალოს მუსულმანთა ყრილობა მოგესალმებათ თქვენ დემოკრატიის ბელადო, რომელსაც მაღლა გიჭირავთ უფლება თანასწორობის დროშა; აღგითქვავთ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვას კარზე მომდგარ მტრის წინააღმდეგ. გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას. ყრილობის თავმჯდომარე **შერიფოვი**.

---

## იმპერიალიზმის მე-1001 გეგმა.

თავიდანვე, რაც კი ე. წ. პარიზის საზავო კონფერენციამ მოქმედება დაიწყო, ჩვენ ნათლათ გვქონდა წარმოდგენილი, თუ როგორი იქნებოდა ეს „მუშაობა".

ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის იმპერიალისტებმა დაამარცხეს თავისი კონკურენტი გერმანია და რასაკვირველია შეეცდებოდენ რაც შეიძლება უკეთესად ესარგებლათ ამ გამარჯვებით.

შორეულ ამერიკის მეოცნებე პრეზიდენტმა, ომში ჩარევის დროს, 14 ცნობილი მუხლი წამოაყენა, რომელსაც კაცთა შორის სიყვარული და სათნოება უნდა დაემყარებია. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები სარგებლობდენ ამერიკაში დამზადებული ყუმბარებით და ზარბაზნებით და თავის გულში დასცინოდენ მეოცნებე პრეზიდენტს.

გამარჯვების შემდეგ მათ მოიხადეს უმანკოების ნიღაბი და ნამდვილი სახე დაგვანახეს. ვილსონის პუნქტებიდან დარჩა მხოლოდ, რუსები რომ იტყვიან, рожки да ножки (რქები და ფეხები).

ვილსონმა პილატესავით ხელი დაიბანა და ვაშინგტონისაკენ გასწია; ინგლის-საფრანგეთმა დაიჭირა ბურთი და მოედანი.

მადა ჭამის დროს მოდისო — ნათქვამია, და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები ცდილობდენ, რასაკვირველია, საუკეთესო ნაჭრები გადაეყლაპათ.

მათი უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ ვერ შეთანხმდენ, თუ ვინ რა მიირთვას ან როგორ.

არსებობს საზავო კონფერენცია, რომელმაც უნდა გამოიმუშავოს საზავო პირობები, მაგრამ ინგლისმა, სანამ კონფერენცია რამეს გაკეთებას მოახერხებდა, ხელშეკრულება დასდო სპარსეთთან და ერთი გემრიელი ლუკმა უკვე გადაყლაპა. სან-რემოში ოსმალეთთან ზავის პირობები უნდა გამოემუშავებიათ. გამოირკვა, რომ აქაც ინგლისს მოუსწრია „მეგობარ" საფრანგეთისათვის და საიდუმლო ხელშეკრულება დაუდვია ოსმალეთთან. ფრანგებს კი მხოლოდ ის დარჩათ, რომ სირიაში აჯანყებულ არაბებს ებრძოლონ.

თანხმობაც და მეგობრობაც ასეთი უნდა! ჩვენ ვიცოდით, რომ ეს უსათუოდ ასე მოხდებოდა. ვიცოდით იმიტომ, რომ იმპერიალიზმი ყოველთვის თავის გაუმაძღარ მადას იკმაყოფილებს. მან (იმპერიალიზმმა) რომ კონტრიბუციებზე, ანექსიაზე, გემრიელი ლუკმის გადაყლაპვაზე უარი სთქვას, ის თავისთავს უარყოფდა.

მაგრამ ჩვენ უწევდით ანგარიშს იმ ძალას, რომელმაც თავისი თავის მსოფლიოს უმაღლეს სამსჯავროთ აღიარა, ვუწევდით ანგარიშს იმიტომ, რომ ევროპის ჰორიზონტზე სრულიად არ ჩანდა ძალა, რომელიც არამკითხე მაცხონეების ადგილს დაიჭერდა — არ სჩანდა მძლავრი დემოკრატია, რომლისთვის იმპერიალისტური ზრახვები უცხო არის.

ჩვენ გვაშფოთებს ყოველი უსამართლობა. გერმანიასთან მოკავშირეების მიერ დადებულმა საზავო პირობებმა ჩვენში გულწრფელი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია.

ეხლა კი ჯერი ჩვენზე მოდგა. ჩვენც გვიპირებენ მადაგახსნილ იმპერიალიზმის ლუკმათ გახდომას, აპირებენ ჩამოსჭრან საქართველოს მისი განუყოფელი ნაწილი ბათომი და მისი ოლქი, ურომლისოთაც საქართველო ვერ იცოცხლებს, დასნეულდება და სამუსლიმანო საქართველო კი სამუდამო მონობის უღელში ჩავარდება.

მსოფლიოს ბედის გამგეებმა ვერ მოახერხეს სომხეთის რესპუბლიკისათვის ტერიტორიის გამოჭრა ან ზღვისკენ გამოსავალის მიცემა, რომელიც უზრუნველყოფდა არარატის რესპუბლიკის არსებობას. ასეთ პირობებში ვერც ერთი სახელმწიფო ვერ კისრულობს სომხეთზე მანდატის აღებას, რაიც მრავალ ვალდებულებებთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ეხლა კი თითქოს გამოსავალი უპოვნიათ: სომხეთს აძლევენ გამოსავალს ზღვისაკენ. აძლევენ საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენ მიწაწყალის ბედიღბალი ჩვენი საქმეა. არავის არ აქვს უფლება ჩვენი ტერიტორიის არც გაჩუქების, არც სხვისთვის გადაცემის. ჩვენ ვიცით მეზობლური ცხოვრება. კე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

თილგანწყობილებისათვის ჩვენ ბევრს დავთმობთ, მაგრამ დათმობასაც აქვს საზღვარი.

საქართველო ვერავის დაუთმობს თავის ტერიტორიის ერთ ნაჭერს, მით უფრო ვერ მისცემს უფლებას სომხეთს ჩამოსჭრას ბათუმის ოლქს მისი საუკეთესო ნაწილი.

გასაოცარი ის არის, რომ სომხეთის დელეგაციის მეთაური პოგოს-ნუბარი კიდევაც გვემუქრება: ჩვენ ანი უფრო მეტს მოვითხოვთო.

ამ რამდენიმე თვის წინათ „ერთობაში" მოთავსებული იყო ამონაწერი ნუბარ-ფაშას განცხადებიდან, სადაც გაერთიანებულ — „მეწ-აიასტანის" საზღვრად ნაჩვენები იყო ბათომის ოლქი, რომელიც ნათქვამი იყო ამონაწერში, საქართველოს ეკუთვნისო.

როგორ მოხდა, რომ ტერიტორია, რომელიც უდავოთ ეკუთვნოდა საქართველოს, ეხლა სადავო გახდა?

ქართველმა ხალხმა იცის ყოველივე ეს, ის გრძნობს თუ როგორ მოხდა ასეთი ტრანსფორმაცია.

ჩვენ პოგოს-ნუბარისა და ბ-ნ აგარონიანის უკან ნათლად ვამჩნევთ „ვიღაცას", ფრენჩში გამოწყობილს.

ამ „ვიღაცას" სურს შეყლაპოს ბათომი და მისი ოლქი, და თავის ბნელ ზრახვებს „სამართლიანობის" სახელით უპირებს გასაღებას.

მაგრამ საქართველოს მოთავსება მადაგახსნილ იმპერიალისტების პროკრუსტისებურ სარეცელზე არც ისე ადვილია!

საქართველო ხომ კონგოს ან ზამბების მიდამოები არ არის, ან ქართველი ხალხი აფრიკის ველურები?

ის მეთოდები, რომელიც აფრიკაში ვარგა, საქართველოში არ გამოადგებათ.

ქართველი ხალხი ევროპაში გამოტანილ განაჩენზე ხელს არ მოაწერს, ის იბრძოლებს თავის უფლებებისთვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმპერიალისტების ეს მე-1001 პროექტი პროექტად დარჩება და ჩაილულის წყალს დალევს ისე, როგორც ბევრჯერ დაულევია.

ჯერი მხოლოდ სომხეთზეა: ჩვენ უსვამთ მას კითხვას: სურს თუ არა სომხეთს ჩვენთან კეთილგანწყობილება იქონიოს?

თუ სურს, მან ხელი უნდა აიღოს განუხორციელებელ ოცნებაზე — „მეწ-აიასტანის" ჩვენს ხარჯზე შექმნაზე.

ცხოვრებამ უნდა ასწავლოს ჭკუა სომხის ხალხს. მუდამ სხვისაკენ ცქერამ, სხვისი იმედით ცხოვრებამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა სომხის ხალხი. ის „ვიღაცა", რომელიც ვითომ სომხეთს მფარველობს, დიდხანს ვერ იბატონებს: დღეს იქნება თუ ხვალე ევროპის დემოკრატია მას მოშხამულ კბილებს ამოართმევს. ჩვენ კი მეზობლები ვართ და ჩვენ შორის გატეხილი ხიდი აღარ გამთელდება.

ესეც რომ არ იყოს, საქართველო ვერავის დაუთმობს ბათომს და მის ოლქს. ბათომი თავისი ოლქით საქართველოს უდავო ტერიტორიაა და ეს მას უნდა დაუბრუნდეს. საქართველო ვერასოდეს ვერ შეურიგდება სამულიმანო საქართველოს თუნდ ნაწილისაც სომხებზე გადაცემას.

ე. წ.

## საზავო ხელშეკრულების ჩაბარება ოსმალეთის დელეგაციისათვის.

(ფრანგული პრესის ცნობა).

როდესაც ოსმალეთის დელეგაციას საზავო ხელშეკრულება ჩააბარეს, თავმჯდომარეობდა მილიერანი. ირგვლივ ისხდნენ სხვა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. მათ შორის იყო სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარე პოღოს-ნუბარფაშა. ოსმალეთის დელეგაციას თავმჯდომარეობდა ტევფიკფაშა, რომელსაც პოლკოვნიკი ჰენრი ახლდა. მილიერანმა მათ შემდეგი სიტყვით მიმართა: ბატონო ოტომანიის იმპერიის რწმუნებულნო! ოსმალეთმა, რომელიც გარეშე გავლენას ემორჩილება, დაიწყო 1914 წელში მოკავშირეთა წინააღმდეგ მოქმედება. მისი მიზეზით მოკავშირეები იძულებული შეიქნენ, რომ მკაცრი ბრძოლა, შეიძლება ზედმეტ რამდენიმე წელს გაეგრძელებიათ. მოკავშირეთა სახელმწიფოებს მოვალეობად აწევთ მიიღონ სიფრთხილის ყველა ნამდვილი ზომა იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ საშინელი დროს კვლავ დაბრუნება. უზრუნველყოფილი გახადეს რა სრუტეების თავისუფლება მოკავშირეებმა, გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ სულთანის სუვერენულ უფლებას კონსტანტინოპოლზე. ამით მოკავშირენი აჩვენებენ, თავის სურვილს, რომ ოსმალეთისათვის უზრუნველჰყონ ზავი, რომელიც დაფუძნებულია უფლებათა, თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპზე, რომლის გასამარჯვებლადაც მოკავშირეები იბრძოდნენ. ტევტიკ-ფაშამ განაცხადა: დელეგაცია ფიქრობს დანიშნულ ვადაზე პასუხი შეგატყობინოთო.

## რა ხდება უცხოეთში

### ნიტტის კაბინეთის გადადგომა.

მაისი 12-ს ნიტტის კაბინეთმა მეფეს თავისი გადადგომა აცნობა. ამ კრიზისის გამორკვევამდე კამერა დათხოვნილია.

### ბალშევიკები და კიევი.

მაისის 12-ს თარიღით მოსულ ცნობით ბალშევიკებს იერიში მიუტანიათ კიევზე. პოლონეთის ჯარი ამ იერიშებს იგერიებს. ტყვედ ჩაუგდიათ ორი ბატალიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### აჯანყება გუმბრში.

გუმბრში მომხდარმა ბალშევიკურმა აჯანყებამ რამდენიმე დღე გასტანა. აჯანყებას მაისის 14-სთვის ბოლო მოუღო სომხეთის მთავრობამ ჯარების საშუალებით. დაპატიმრებულნი არიან აჯანყების მეთაურები. მაისის 17-ისთვის მატარებელთა პირდაპირი მიმოსვლაც აღდგენილ იქნება თფილის-ერევანს შუა.

### საბჭოთა რუსეთი და ევროპა.

საბჭოთა რუსეთთან საკომერციო დამოკიდებულებათა ალმადგენელ დანიის კომიტეტის თაოსნობით კოპენჰაგენში საერთაშორისო კონფერენციას იწვევენ. ამ კონფერენციამ ყველა ქვეყნისათვის ერთგვარი წესი უნდა შეიმუშავოს საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულებისა.

### დახმარება სომხეთს.

რომის გაზეთების ცნობით სომხეთის საკითხი მართალია განიხილა უმაღლესმა საბჭომ სან-რემოში, მაგრამ საბოლოოდ არ გადაუწყვეტია და იგი პარიზში კვლავ გახდება დიპლომატიურ მოლაპარაკებათა საგნად. უმთავრესი დაბრკოლება ამ საკითხში არის მანდატი, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს გარკვეული ადმინისტრაციული კონსტრუქცია, რომელიც უნდა იქმნეს შექმნილი. ამ საკითხის გამო პრინციპიალური შეთანხმება მაინც მოხდა და ალბად იმ სახელმწიფოს, რომელიც იკისრებს სომხეთის რესპუბლიკის ორგანიზაციას, დამხარებას გაუწევს ყველა ევროპიული სახელმწიფო, ზოგი მათგანი თანხას გაიღებს, ზოგი ტეხნიკოსებს, პროფესორებს, ექიმებს გაუგზავნის და სხვ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Ნ. Ი. ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ხუთშაბათი 20 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 600 მან. |
| 2 თვით | 400 მან. |
| 1 თვით | 200 მან. |

№364 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №364

## მაშინ დაჰკრავს აღსასრულის ჟამი.

ჩვენი დედა-სამშობლო საქართველო ყოველთვის განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა სამუსლიმანო საქართველოს. დედობრივი მზრუნველობით ის ყოველთვის სიყვარულის სხივებს გვაფრქვევდა, ნეტარებდა ჩვენი სიხარულით და უბედურათ თვლიდა თავის თავს ჩვენი უბედურებით. არ არის არც ერთი კუთხის შვილი საქართველოში, რომელსაც ჩვენ არ მივაჩნდეთ უძვირფასეს, უსაყვარლეს ძმებათ. ჩვენი ძველი მტერი — რუსეთის თვითმპყრობელობა — კარგად ხედავდა, რომ საქართველო ჩვენ გათვითცნობიერებას, ჩვენ ბედნიერებას ცდილობდა, და ამიტომ იყო, რომ საქართველოსთან ერთობას ის ყოველთვის გვიშლიდა; არ გვაკარებდა ახლოს ჩვენ ძმებს, გვიკრძალავდა მშობლიურ ენაზე ჩვენი შვილების აღზრდას. ამით სურდა ჩვენ მტერს ჩვენი ძმებისაგან გამოთიშვა, ჩვენი განცალკევება, ჩვენი დაუძლურება.

მარა საქართველო არ უფრთხოდა რუსეთის ძალმომრეობას, ის მაინც ზრუნავდა ჩვენთვის, მაინც ჩვენზე ფიქრობდა, ჩვენი ბედნიერებისათვის იღწვოდა, თუმცა მტერი ყოველნაირათ უშლიდა მას ხელს. ბევრჯერ დაუმტკიცებია ჩვენთვის ჩვენ დედა-სამშობლო საქართველოს ჩვენთვინ თავგანწირვა, როცა რუსეთმა თავის მხედრობა მოგვაყენა ჩვენ გასაჟლეტათ, როცა ბევრი ჩვენგანი აიყარა და უცხოეთში გადაიხვეწა, როცა მოღალატის სახელი გვიწოდეს და სახრჩობელაზე გვგზავნიდნენ, როცა ჩვენი სახლ-კარი ცეცხლს მისცეს და ბოლოს ჩვენი მიწა-წყლიდან ჩვენი აყრა და გადასახლება მოინდომეს, რათა ჩვენ სამოსახლოებზე უცხოელები დაესახლებინათ, — საქართველო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და გაბედულათ განაცხადა: თუ ეს გაგიბედნიათ, თუ ჩვენი ძმები — ქართველი მუსლიმანები — აგიყრიათ, თუ თქვენი ბოროტი განძრახვა სისრულეში მოგიყვანიათ, ჩვენ ავჯანყდებით და შესაფერ პასუხს გაგცემთო. ყველამ იცის, თუ როგორი მტარვალი იყო რუსეთის თვითმპყრობელობა. ყველამ იცის, თუ რა მოელოდა საქართველოს მაშინ აჯანყებისათვის, მარა საქართველო ამას არ შეუშინდა, რადგან ის მზათ იყო თავი გაეწირა ჩვენთვის. ნათქვამია: ძმა ძმისთვინა, შავი დღისთვინაო, — და საქართველომაც დაგვიმტკიცა ეს. შავი დღე მოგვადგა და საქართველომ გვიხსნა საშინელ უბედურებისაგან.

ვის არ ახსოვს, თუ როგორ გვევლებოდენ თავზე მაშინ ჩვენი ძმები — ქართველი ვექილები — ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით. გაბედულ სიტყვისათვის, სიმართლის თქმისათვის ჩვენი დამცველი ქართველი ვექილები მაშინ თვითმპყრობელობის უსამართლო სასამართლომ პასუხისგებაშიაც კი მისცა.

ვინ არ იცის, რომ ჩვენ, გაწამებულებს, სახლკარ აოხრებულებს, მაშინ სიმშილი კარზე მოგვადგა. საქართველოშიაც მოუსავლობის გამო მაშინ სიმშილობა იყო. მარა საქართველომ თვით მიიკლო ლუკმა და ჩვენ მოგვაწვდინა სურსათ-სანოვაგე, ფეხსაცმელ-ტანსაცმელები. ყოველი ქართველი დიდი ხალისით მზათ იყო დაგვხმარებოდა, რითაც კი შეეძლო. ყველა ამბობდა: ქართველ მუსლიმან ძმებს უჭირთ, არაფერი დავიშუროთ მათთვისო. და მართლაც რომ არაფერს იშურებდენ. დიდი, პატარა, ქალი, კაცი — ყველა მზათ იყო დახმარების ხელი გამოეწოდა ჩვენთვის. ქალიშვილები, სხვა რომ არა გააჩნდათ რა, ნაწნავ თმებს იკრეჭდენ და ყიდდენ ჩვენდა დასახმარებლათ, — მეტი არა გამაჩნია რა, თმა მაქვს გრძელი, გავყიდი ამას და ჩვენს ძმებს, ქართველ მუსლიმანებს დავეხმარებიო, — ამბობდენ ქალიშვილები.

ერთი სიტყვით — მთელი საქართველო ფეხზე იდგა და ჩვენ დასახმარებლათ, გაჭივრებისაგან ჩვენ ამოსაყვანათ. და ასე იყო განა მხოლოდ მაშინ? ყოველთვის საქართველო ყელამდე სავსე იყო ჩვენი სიყვარულით.

როცა ჩვენმა ავანტიურისტებმა, ჩვენმა გამყიდველებმა ჩვენ შეგვაცდინეს და 1918 წელში საქართველოს წინააღმდეგ თოფი აგვაღებინეს, საქართველოს მაშინაც არ გაცრუებია ჩვენზე გული. ამბობდენ: რა ვუყოთ, მაინც ჩვენი ძმებია, შეცდენ, მოატყუილეს ავანტიურისტებმა, გონს მოვლენ, თავის შეცდომას გამოასწორებენო.

ასე განუსაზღვრელი იყო საქართველოს სიყვარული ჩვენდამი. და ზოგიერთმა ჩვენგანმა ეს ვერ გაიგო. ვერ იცნა თავის ძმა. ზოგიერთმა ეს სიყვარული ისე ახსნა, თითქოს საქართველოს უჩვენოთ მზე არ ამოუვა, თითქო უჩვენოთ საქართველო აღიგვება დედა-მიწის პირისაგან. ზოგიერთმა ჩვენგანმა ვერ დააფასა ეს სიყვარული, აჰყვა ავანტიურისტებს, ჩვენი ქვეყნის გამყიდველებს, უვიც ბნელ პირებს, რომლებსაც თავის კერძო საქმე, თავის ჯიბე ვერ განურჩევია სამშობლოს ინტერესებისაგან. აჰყვა და ქობულეთის რაიონში ფრონტი მოუწყო საქართველოს: ხომ ხედავთ, რა ბიჭები ვართო... ვერ შეიგნეს ზოგიერთებმა, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის გამყიდველებმა გამოიყენეს თავის ბნელ მიზნებისათვის. ვერ შეიგნეს, რომ თავის დამღუპველ საქმეს აკეთებდენ, მოღალატეობის დაღს ასვამდენ თავის ოჯახს და თავის სინდისს.

ვერ შეიგნეს, რომ უჩვენოთ საქართველოს ცაზე მზეც ამოვა და მთვარეც. ვერ შეიგნეს, რომ უჩვენოთ საქართველოს შეუძლია სიცოცხლე.

და განა ვინმეს გაუკვირდება, რომ დღეს ჩვენზე საქართველოს გული აუცრუვდეს! განა გასაკვირი იქნება საქართველომ რომ გვითხრას: მუსლიმანო ძმებო! ყოველივე ღონე ვიღონე, რომ თქვენ ბედნიერება, თავისუფლება მიგნიჭებოდათ; ყოველნაირათ ვეცადე, რომ თქვენ უცხოელების მონობაში არ ჩავარდნილიყავით, მარა არ იქნა და არა, ვერ შეიგენით ეს. ეს სამწუხაროა, სატირალია ეს, მარა რა გაეწყობა... რაკი არ გსურთ ბედნიერება, რაკი არ გსურთ თავისუფლება, რაკი უცხოელების თქვენზე ბატონობა გწადიათ, რაკი თქვენ მტერს უჯერით და მოძმეს კი თოფებით ხვდებით, — მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ძალათ მაცხონეობა არ შეიძლება. რაკი გწადიათ უცხოთა უღელი, დაიდგით ეს უღელი... რაკი გწადიათ გადამთიელთა მონობა, იყავით მონებათ.

და განა ღირსი არა ვართ ეს რომ გვითხრას საქართველომ? განა ამის ნიადაგი არ შეამზადეს ქობულეთის ავანტიურისტებმა?

და როცა საქართველოში ასეთი ჩვენდამი დამოკიდებულობის პსიხოლოგია წამოჰყოფს თავს, როცა ჩვენზე გაგულისებული ჩვენი ძმები გვეტყვიან ამას, — მაშინ დაჰკრავს სამუსლიმანო საქართველოს აღსასრულის დღე. და აი, ამ დღეს ამზადებენ ჩვენი ქვეყნის გამყიდველები, ჩვენი ავანტიურისტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის დასაკლავათ ლესავენ დანას და მით უცხოელებს გზას უხსნიან ჩვენი ქვეყნის დასაპატრონებლათ.

---

# ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი.

◆ თანახმად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ამა წლის 12 მაისის დადგენილებისა, გამოცხადებულია საქართველოს ქვეშევრდომ ქვეითა ჯარის აფიცრების მობილიზაცია. მობილიზაციის პირველ დღეთ არის დანიშნული 17 მაისი, ხოლო გამოცხადების პირველ დღეთ — 18 მაისი.

ამიტომ გაწვეული აფიცრები უნდა გამოცხადდენ თბილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქ).

◆ მატარებლების პირდაპირი მიმოსვლა ტფილის-ერევანს შუა აღდგენილ იქმნა.

◆ შინ. საქმ. სამ. მინისტრის დირექტორმა ყველა სამაზრო ერობების გამგეობებს, მილიციის უფროსებს მაისის 16-ს თარიღით დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარი: „თანახმად მთავრობის დადგენილებისა 1888 და 1889 წლებში დაბადებულთა მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია მაისის 17-ი დილის 10 ს. გაცნობებთ რა ამას შინაგან საქმეთა მინისტრის მონდობილობით გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები, რათა ამ წლებში დაბადებულნი თავის დროზე გამოცხადნენ სამხედრო აღრიცხვის უფროსის წინაშე". ეს წლები აქამდე გაწვეული იყო მხოლოდ თფილისში, ეხლა პროვინციაშიც გაიწვევენ.

◆ ამ დღეებში ბათუმიდან ნიუ-იორკისაკენ გადის ამერიკის გემი „ხანდონი", რომელიც გაივლის კონსტანტინოპოლში.

◆ ამ დღეებში გადის აგრეთვე ბათუმიდან ლონდონისაკენ ამერიკის გემი „ბალროსი", გაივლის სტამბულშიაც.

◆ საზოგადო საკრებულოს დარბაზში მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი გრ. სპირ. პეტროვი ამ დღეებში წაიკითხავს ორ ლექციას შემდეგ თემაზე: „კაცის სილამაზე", და „ცხოვრების სიმშვენიერე".

◆ საქართველოს რესპ. ბათუმის საკონსულოში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორელების სასარგებლოთ მიიღეს შემდეგი შემოწირულება: პისალიდი და მაკატაროვისაგან 5000 მანეთი, გერიუსისაგან — 500 მან., ექიმ სიტმალიდისაგან — 2000 მან., და ქ-ნ ანტონოვასაგან — 500 მანეთი.

◆ ბათუმში ჩამოვიდა ცნობილი მგოსანი — აკადემიკოსი ნ. მუზურკევიჩი და მგოსანი გინტოვი („იგნატიკ"-ი), რომლებსაც განძრახული აქვთ გამოსცენ ბათუმში ჟურნალი სახელწოდებით „პრაბუჟდენიე კავკაზა".

◆ 20 მაისს, უქმე დღის გამო, საქართვ. რესპ. საკონსულო დაკეტილი იქნება.

◆ 17 მაისს ღამის 12 საათზე რულსკის კანტორიდან მოიპარეს დიდძალი სხვა და სხვა ნივთები, რომლის ღირებულება ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

◆ ერთმანეთში წაჩხუბებისათვის დატუსაღებულ იქნა დომნიკოვი, პავლენიჩენკო და ბობოხიძე.

◆ 18 მაისს, დილის 4 საათზე ომიაძის ბინიდან (სვიატ. პოლკ-მირ. ქ.) ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 50000 მანეთად.

◆ ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა თხოვოს საოლქო ინჟინერს დაათვალიეროს „რკინის თეატრის" შენობა და ამის შესახებ მოახსენოს თვი-

თმართველობას, ვინაიდან, აღნიშნული შენობის შეუკეთებლობის გამო, მოსალოდნელია კატასტროფა.

✦ დატუსაღებულ იქნა დომნიკოვი, რომელსაც სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ბრალდება.

✦ ქალაქის თვითმართველობამ დაამტკიცა 1920 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 123,365,173 მან.

✦ კოოპერატივ „მომხმარებელთა საზოგადოებამ“ 20,000 მანეთი შესწირა ბავშვთა მოედნის მოსაწყობათ.

✦ სკობელევის ქუჩაზე კომისიონერთა მაღაზიიდან 17 მაისს მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 50,000 მან.

---

## ორი მწარე აღსარება.

უვიცობით დამთვრალ გზა-კვალ დაბნეულთა ყველიერის კვირა გათავდა და გამოჩნდა სინანულის გზა. სინანულის სარბიელზე სდგებიან ისინი, რომელთაც სინდისის, თავის ცნობის და ეროვნული გრძნობის უნარი სამუდამოთ არ წართმევიათ.

სამუსლიმანო საქართველოს გამბედნიერებლებმა „დამოუკიდებლობის“ მჭედლებმა მიძარცვ-მოძარცვეს სოფლები, ხელში სახალისოდ იარალი დაიკავეს და სხვა და სხვა თანამდებობის კაცებად გამოაცხადეს თავის თავი. სამუსლიმანო საქართველოს რა შეემატა ამით?

ქვეყანაზე არაფერი.

სახელით ოსმალეთის სასარგებლოდ, ხოლო ფაქტიურად კი სომხურ მიზნებით მათ აამღვრიეს წყალი და გემრიელი თევზის ჭერა განიზრახეს... ახლა გაკოტრებულნი სხედან დამტვრეულ გობთან და ელიან ახალი მბრძანებელთა ჩამოსვლას. მოვლენ ეს ახალი ბატონები, ჭოროხის მარცხენა ნაპირის ხელში ჩამგდებლები და ნეტარებას მოიტანენ!... აი თურმე რა ყოფილა ქობულეთის არტისტების სწრაფვა!..

ყოჩაღ, ბიჭებო, მოხერხებულად გივაჭრიათ!.. თქვენ ახლა ჯიბეები სავსე გაქვთ და კმაყოფილი ზიხართ, მაგრამ მოუსმინეთ რას ამბობენ თქვენი ოჯახის შვილები: **„ვაი სირცხვილო“, „გაგვყიდეს“**, — ამბობენ გონს მოსული, ბოროტი სულებისაგან მოტყუებული სახეები; გვაძახებიეს არ გვინდა საქართველო, არ გვინდა ძმებიო, თურმე მაშინ სომხების საქმეს აკეთებდენო, — მოსთქვამს ყოფილი „სედაი მილეთელი“ გუშინდელ გაზეთში. — გაგვყიდეს, დაგვღუპეს „სედაი მილეთლებმა“, — ამბობს ამავე გაზეთში შეშფოთებული **ქობულეთელი.**

იქნებ ამ მწარე აღსარებებმა შეაჩვენოს და აატიროს მუხანათი გამცემლები.

ვნახოთ!

მაგრამ წამხდარსა საქმეს ვერას უშველის ცრემლის დენანი და თითზე კბენანი.

მტრები უკვე ზეიმობენ გამარჯვებას.

ქობულეთის რაიონში ქართველებს მტრულად შეხვდენ ჩვენი ქვეყნის გამყიდველები და მათი მყიდველები.

საერთო მტრები ამით ამტკიცებენ, რომ სამუსლიმანო საქართველოს საქართველოსთან კი არ სურს ერთობა, არამედ სომხეთთანო. უკვე იწერება ქაღალდები და იგზავნება იმის შესახებ...

ქობულეთის ნაძირალებს სომხეთის „ქვეშევრდომობა“ ურჩევნიათ ძმა საქართველოსთან ავტონომიურ საფუძვლებზე გაერთიანებას!... ეს არა თუ დაბრმავების შედეგია, ეს არის დეგენერატობის, გამოთაყვანების შედეგი. სრულიად სამუსლიმანო საქართველოს ხალხს არ შეუძლია ამ მოსყიდულების ალაგმვა?

ჩვენ გვწამს, რომ შეუძლია და თუ მას არ უნდა მიეცეს უსაშინელეს მონობას, ან არ სურს „უმუშევარ ხალხის ბატონობა“, ყოფილ დენიკინელების პარპაში, ჩამოიბერტყონ საჩქაროდ მტვერი და მოღალატეებს პასუხი მოსთხოვონ.

დაუფიქრდენ თავის მდგომარეობას ქობულეთის მიდამოებში, ნუ თუ რუსი და სომხის ოფიცრების პოლიტიკური ბატონობა ურჩევნიათ ქართველებთან თანასწორ ძმობით ყოფნას?..

არა და არა!.. ქობულეთელო ძმებო, გონს მოდით, ბურანს თავი დააღწიეთ!.. უფსკრულისაკენ დაქანებულ რუსთაველის დიდებულ მხარეს ნუ დაღუპავთ...

თქვენ ნუ შეუშვერთ ზურგს თქვენს მთლიან რკინეულ ნების ყოფას და ის მეხი რომელსაც გიმზადებენ, თქვენს გარეშე ააფეთქებინეთ!.. და ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა თქვენ სისხლხორცთ ქართველებთან ერთად ერთ ფერხულში იქნებით ჩაბმულნი, მაშინ მადა მოსული მტერი ვერას გაგიბედავთ!.. თუ არ გინდათ უცხოთა ძალმომრეობა, სომხის კათალიკოსების უშველეთ თავს და იბრუნეთ პირი იქეთკენ, საიდანაც სინათლე მოდის.

ეს მხარე თქვენი ძმა საქართველოა, რომლის დემოკრატიაც მძაფრ ბრძოლას აწარმოებს ერის თავისუფლების შესანარჩუნებლად... ბუნებრივი იქნებოდა, რომ თქვენ ამ დროს მათთან ყოფილიყავით, მაგრამ თქვენ გადაგიწყვეტიათ დაჰკარგოთ ძველი გზა და მეგობარი, ე. ი. ამიერიდან იაროთ თქვენ მტრებთან. თქვენ მოქმედებას სხვანაირი დასკვნა ვერ მიეცემა...

ი. დიდიძე

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

ამ რამდენიმე დღის წინათ „სამუსლიმანო საქართველოს“ მე-360 ნომერში მაისის 15-დან მოთავსებული იყო წერილი სათაურით „სადღეისოდ“. ამ წერილში ბ. დიდიძე იხილავს მიმდინარე მომენტს, ეხება იმ ინტრიგებს, რომელიც ამ პატარა ხანში გარშემოერტყა ქობულეთის მიდამოებს და იქ მაცხოვრებელთ, და რომელმაც გამოიწვია ძმათა შუღლი.

დიდიძემაც იცის და მეც ვიცი, თუ ვინ არის ამ უსიამოვნების თავდაპირველი ამშლელი, მაგრამ მე

ის მაკვირვებს, რომ ბ. დიდიძე ამ ინტრიგების ამშლელთ ახვევს უჩინარ ფარდაში, და რომ უფრო და უფრო ეზოპიურ ენის ბურუსში შეახვიოს მდგომარეობა, ამოაჩინა დაბალი ლობე, რომელზედაც უშიშრათ ვარჯიშობს სიტყვიერ ოთურმას.

ამ წერილით ბ. დიდიძეს წინადადებას ვაძლევ დაასახელოს ცხადათ და აშკარათ ან დასი, ან ის სომეხთა ჯგუფი, რომელიც თავიანთი სამშობლოს დიად ინტერესებს გადაუდგენ და ხელი-ხელ ჩაკიდებული ოსმალთა ოფიცრებთან გზას უკაფავენ უბედურებას საქართველოს გულ-ღვიძლში? სომხების ქობულეთის არევ-დარევაში მოქცევა, მე მწამს რომ ეს არის, მეტი რომ არა ვსთქვათ, პროვოკაცია. და ამნაირ პროვოკაციას უნდა ვერიდოთ და დავარიდოთ ჩვენი პატარა ერები, ვისაც კი სწამს სომეხ-ქართველთა კავშირი.

მიიღეთ ჩემი პატივის ცემა.

არტემ ტერ-არუთინიანცი.

16 მაისი, 1920 წ.

-------------

**რედაქციისაგან.** ვბეჭდავთ ამ წერილს ბ-ნ არტემ ტერ-არუთინიანცისას, რომელიც, როგორც სჩანს, გულწრფელი მომხრეა სომეხ-ქართველთა კეთილმეზობლურ განწყობილებისა. ჩვენ გვწამს, რომ საზოგადოთ ერთა შორის მეგობრობა უძვირფასესი განძია და განსაკუთრებით სომეხ-ქართველთა შორის, რომელთაც ისტორიამ არგუნა ურთიერთის გვერდით ცხოვრება.

მარა, სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი რიგი ფაქტებისა ღაღადებს იმას, რომ სომხეთში გაბატონებული პარტია, სომხეთის მთავრობა და სომხეთის დელეგაცია საზავო კონფერენციაზე ძალიან შორს არიან საქართველოსთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარებისგან. ნუ თუ არ მოეხსენება ბ-ნ ტერ არუთინიანცს ის საშინელი კომპანია, რომელსაც ეწეოდენ და ახლაც ეწევიან საზღვარ-გარეთის და ამიერ-კავკასიის პრესაშიაც სომხეთის მთავრობის აგენტები საქართველოს წინააღმდეგ?!. ნუ თუ არ მოეხსენება მას სომხეთის დელეგაციის და, მაშასადამე, სომხეთის მთავრობის მოთხოვნილება საზავო კონფერენციაზე ბათუმისა და ბათუმის ოლქის შესახებ? ნუ თუ არ იცის მან, რომ ბათუმის საკითხის გამწვავება — ეს ნაყოფია სომხეთის დელეგაციის ყოვლად დაუშვებელ მოთხოვნილებისა? ნუ თუ არ მოეხსენება მას, რომ სომხეთის მთავრობის დავალებით სომხეთის დელეგაციამ მოითხოვა სომხეთზე გადასაცემათ ჭოროხის მარცხენა ნაპირი 1914 წლის საზღვრამდე? ნუ თუ მან არ იცის, რომ სომხეთი მოითხოვს ბათუმის ოლქში, საქართველოს ტერიტორიაში, ყარსიდან ბათუმამდე და ბათუმიდან 1914 წლის საზღვრამდე რიზესაკენ რკინის გზის გაყვანას და მოითხოვს, რომ ეს რკინის გზები საჭირო ზონითურთ სამუდამოდ მის საკუთრებაში იყოს? არის თუ არა ასეთი მოთხოვნილება საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული? განა შეიძლება მეგობარი ეწოდოს ასეთ მოთხოვნილების წამომწყებელთ?!

მარა შეიძლება ბ-ნ ტერ-არუთინიანცმა გაიძახოს, რომ ყოველივე ამას ჩადის სომხეთის მთავრობა და მისი დელეგაცია და არა სომხის ხალხი... არსად სომხის ხალხს არ განუცხადებია პროტესტი სომხეთის მთავრობის და მისი დელეგაციის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ. არ განუცხადებია ასეთი პროტესტი სომხეთის ხალხის არც ერთ დასს, არც ერთ ჯგუფს და, რამდენადაც ვიცით, არც ერთ სომეხსაც-კი.

პირ-იქით, ჩვენ ვიცით, რომ ყოველგან და ყოველთვის სომხეთში გაბატონებული პარტია საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს. ასე მოქმედებს ის საზღვარ გარეთ და ამიერ-კავკასიაშიაც ბათუმში და ბათუმის ოლქშიაც. ბ-ნ არტემ ტერ-არუთინიანცს მოეხსენება ალბათ ის რეზოლიუციები, რომელიც გამოიტანეს აქ პროფესიონალურ კავშირთა წევრების კრებაზე ბალშევიკებმა. ამ რეზოლიუციებით გადამთიელი ბალშევიკები ტალახში სვრიდენ საქართველოს მთავრობას და მოითხოვდენ, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს არ გადასცემოდა, არამედ აქ დამკვიდრებულიყო საბჭოთა რუსეთის მთავრობა. ეს ხომ გალაშქრებაა საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ. და ნუ თუ არ იცის ბ-ნ ტერ-არუთინიანცმა, რომ ამ რეზოლიუციებს ტაშის გრიალით მხარს უჭერდენ აქაური დაშნაკცაკანების მსხვილი წევრები? განა ეს არის მეგობრული დამოკიდებულება?!..

რა საქმე აქვს სხვის ტერიტორიაზე სომხეთის მთავრობას!.. რათ ელობება ის წინ საქართველოს საარსებო ინტერესებს ბათუმის ოლქში?!..

რაც შეეხება ქობულეთის ამბებს, ჩვენ დიახაც რომ კარგათ ვიცით, თუ ვინ ბრძანდებიან ამ ამბების სულის ჩამდგმელები. და ამასთან ჩვენ ისიც ვიცით, რომ ფაშიანცები და ადმინისტრაციაში მოსამსახურე სომეხი აფიცრები ყოველნაირათ ხელს უწყობდენ ამ ამბებს. ეს იცის ყოველმა ქობულეთელმა და თუ ეს არ იცის ბ-ნ ტერ-არუთინიანცმა, ეს ჩვენი ბრალი არ არის.

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა. და ჩვენ მეტ ყურადღებას ფაქტებს, საქმეს ვაქცევთ. ფაქტები კი სულ სხვას ღაღადებს.

ჩვენი გულწრფელი სურვილია, რომ შეიგნოს სომხეთის მთავრობამ და მისმა დელეგაციამ, რომ საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება თვით სომხეთს სასიკეთოს არაფერს უქადის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სომხეთის ახალი მთავრობა უარყოფს ხატისოვის „უცხო ძალებისაკენ ცქერის“ პოლიტიკას და საქართველოს საარსებო ინტერესებს წინ არ გადაეღობება. უპირველეს ყოვლისა მან უნდა განაცხადოს, თუ მართლა მას სურს საქართველოსთან კეთილგანწყობილება, რომ ბათუმის და ბათუმის ოლქის საკითხი საქართველოს შინაური საკითხია და მან, სომხეთის მთავრობამ, ხელი უნდა აიღოს ბათუმსა და ბათუმის ოლქის შესახებ პრეტენზიებზე. რაც შეეხება სომხეთის საარსებო ინტერესებს, ტრანზიტის და სხვათა შე-

სახებ, საქართველო ყოველთვის მზათ იყო და არის ეს ინტერესები დააკმაყოფილოს.

წავიდა სიტყვის დრო, ახლა დროა საქმისა, ჯერ-ჯერობით კი საქმე სომხეთის მთავრობისა სულ სხვას გვეუბნება. ვისურვებთ, რომ ეს საქმე აწ აღარ იყოს მიმართული საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ. ამას მოითხოვს არა მხოლოდ საქართველოს ინტერესები, არამედ სომხეთისაც.

## სომხეთში.

### გუმბრის აჯანყების ჩაქრობა.

როგორც ვწერდით, მაისის 14-ს სომხეთის მთავრობამ საბოლოოდ ჩააქრო ბოლშევიკური მოძრაობა სომხეთში. აჯანყების ერთი მეთაურთაგანი გენერალი ხაჩატუროვი მოკლულ იქმნა, ხოლო კაპიტანი სუსაელიანცი, ავ. ნურიჯანიანი და ექიმი არტაშეს მელქონიანი გაიქცნენ.

### სომხეთის დელეგატები.

სომხეთის დელეგაციაში, რომელიც მოსკოვს გაემგზავრა სახალხო კომისრებთან მოსალაპარაკებლად, შედიან ლ. შანთი, გ. ტერტერიანი და ლ. ზარიფიანი.

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

შაბათი 22 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 600 მან. |
| 2 თვით | 400 მან. |
| 1 თვით | 200 მან. |

№365 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №365

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სომხეთის მოთხოვნილება.

სომხური გაზეთი „ნორ-აშხატავორი" (№35) სრულიად ბუნებრივათ თვლის იმ მოთხოვნილებას, რომლითაც სომხეთის დელეგაცია წამდგარა საზავო კონფერენციის წინაშე ქ. ბათუმსა და ბათუმის ოლქის შესახებ. სრულიად ბუნებრივათ მიაჩნია გაზეთს, თუ სომხეთს გადაეცემა ჭოროხის მარცხენა ნაპირი, ან და თუ სომხეთს მიეცემა უფლება გაიყვანოს რკინის გზა თავის სრულ საკუთრებათ ყარსიდან ბათუმამდე და ბათუმიდან 1914 წლის ოსმალეთის საზღვრამდე რიზესაკენ საჭირო ზონითურთ.

„ქართველ დემოკრატიას საფუძველი და უფლება არა აქვს არ მიესალმოს ამ სამართლიან მოთხოვნილებასო"— სწერს „ნორ-აშხატავორი".

რით ასაბუთებს გაზეთი სომხეთის ასეთ მოთხოვნილებას, რომელსაც ის სამართლიანს უწოდებს?

იმით, რომ სომხეთს ზღვისაკენ გასავალი ესაჭიროება, და რადგან ერევანი ვერ არის დაკავშირებული ბათუმთან საკუთარი რკინის გზით, ამიტომ მას სამართლიანად მიაჩნია საქართველოს ტერიტორია მოითხოვს თავის საკუთარ რკინის გზის გასაყვანათ.

ის არ კმაყოფილდება იმით, რომ საქართველო სრულ უფლებას მისცემს სომხეთს ისარგებლოს ამიერ-კავკასიის რკინის გზით, მას არ აკმაყოფილებს არც ის, რომ საქართველო თვით გაიყვანს ყარსისაკენ რკინის გზას და ამ რკინის გზით სარგებლობის უფლებასაც მისცემს სომხეთს. მას სურს საკუთარი რკინის გზა და ამისათვის სჭირია სხვისი ტერიტორია.

ასეთია „ნორ-აშხატავორის" „საბუთი".— მე მესაჭიროება, მე ასე მომიხდება, ჩემთვის ეს კარგია და ამიტომ შენი ჩემი უნდა იყოსო, — ასე მსჯელობს გაზეთი და ამის მეტი არგუმენტაცია ამ საკითხის შესახებ არც სომხეთის მთავრობას და არც მის დელეგაციას არც შეუძლიათ რომ წარმოადგინონ.

ამას ეწოდება სხვისი ტერიტორიის ექსპროპრიაცია, ეს იგივე ანექსიაა, დაპყრობაა, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ აქ დაპყრობა ხდება არა სომხეთის საკუთარი ძალებით, არამედ სხვისი ძალით, მოკავშირეთა ხიშტებზე დაყრდნობით.

ეს საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ „ნორ-აშხატავორის" სამართლიანობას დიდი უსამართლობა ეწოდოს. მარა ეს საკითხი მხოლოდ ამით, სამართლიანობა-უსამართლობით არ ამოიწურება. ამ საკითხთან მჭიდროთ არის შეკავშირებული მთელი მომავალი დამოკიდებულება სომხეთსა და საქართველოს შორის. საქართველოს არ შეუძლია მთელი სამუსლიმანო საქართველო საყვლეფად ჩაუგდოს ხელში სომხეთს. და ვისთვის არაა ცხადი, რომ თუ სომხეთის მოთხოვნილება განხორციელდა, თუ მართლა მას მიეცა უფლება სამუდამო საკუთრებათ გაიყვანოს რკინის გზები ყარსიდან ბათუმამდე და ბათუმიდან რიზესაკენ, ამით ის მთელ ბათუმის ოლქს თავის კოლონიად აქცევს. ეკონომიური ძარღვი ამ ოლქისა სომხეთის ხელში იქნება და ისიც ისე გამოიყენებს ეკონომიურ ურთიერთობის ამ უდიდეს ფაქტორს, როგორც მას მოესურვება.

ეს გარემოება კი აუტანელ მდგომარეობას შექმნის სამუსლიმანო საქართველოსათვის და მით მთელ საქართველოსათვის. ასეთ მდგომარეობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება როგორც სამუსლიმანო საქართველო, ისე მთელი საქართველოს რესპუბლიკა. ეს რკინის გზები გადაიქცევიან მუდმივ შუღლისა და მტრობის საგნად. საქართველოსა და სომხეთს შორის განუწყვეტელი შეხლა-შემოხლა იქნება ამ ნიადაგზე. გაქრება შესაძლებლობა სომხეთ-საქართველოს კეთილ-მეზობლურ განწყობილებისა და ორივე სახელმწიფო მუდამ აქოჩრილი იქნებიან ერთი-მეორის წინააღმდეგ. ასეთ მდგომარეობას აუცილებლად მოყვება ომები, სისხლის ღვრა, ერთი-მეორის დასუსტება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შეუძლიათ იარსებონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ურთიერთ შორის კეთილმეზობლური განწყობილება ექნებათ. ერთმანეთისადმი შუღლი და მტრობა, შეიარაღებული ნეიტრალიტეტი და მერე ომების გაჩაღება — მათ არაქათს ამოართმევს და მტრებს მიუგდებს საჯიჯგნათ.

აი, რას გვიქადის სომხეთის პრეტენზიები ქ. ბათუმსა და ბათუმის ოლქზე. გაითვალისწინეს კი ეს გარემოება სომხეთის დიპლომატებმა?

სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერების აგება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა იმისა, რომ ეს უდიდესი უსამართლობაა, ხშირად შეუსრულებელიც არის. საღი პოლიტიკა არ განისაზღვრება მხოლოდ დღევანდელი დღით. საღ პოლიტიკას ყოველთვის თან უნდა ახლდეს მომავლის პერსპექტივებიც. მომავალი კი კარგს არაფერს უქადის სომხეთის დელეგაციის მოთხოვნილებას.

თუ სომხეთს სწადია, რომ ის თავის მეზობლებთან კეთილ განწყობილებაში იყოს, თუ მას მეგობრობა სურს საქართველოსი და არა მტრობა, მან ხელი უნდა აიღოს იმ პრეტენზიებზე, რომლებსაც ის საზავო კონფერენციას უყენებს ქ. ბათუმისა და ბათუმის ოლქის შესახებ, საქართველოს დემოკრატია ყოველთვის მისცემს საშუალებას სომხეთს, რათა მან მისი ეკონომიური ინტერესები დაიკმაყოფილოს საქართველოში მდებარე რკინის გზებით. საქართველო სომხეთს კარს არ ჩაუკეტავს. ეს უნდა მიიღოს მხედველობაში მომავალი და თავის დაუშვებელ, საქართველოს საწინააღმდეგოთ მოთხოვნილებაზე ხელი უნდა აიღოს.

და მართლაც, სომხეთმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიგნოს, რომ მუდამ გარეშე ძალებზე დაყრდნობა, მუდამ იმედი ბატონისა ყოვლად შეუძლებელია. საკუთარ ძალებზე დაყრდნობა, მეზობლებთან კეთილგანწყობილება — აი საღი პოლიტიკა, რასაც უნდა დაადგეს სომხეთი.

მეზობელთა ინტერესების აბუჩად აგდება, გადამტერება მეზობლებისა და მით მუდამ თოფ-ქვეშ ყოფნა — დამღუპველი პოლიტიკაა. და რაც ადრე დაანებებენ თავს ამ პოლიტიკას სომხეთის მესვეურები, მით უკეთესი იქნება სომხეთისათვის.

---

# ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ საოკუპაციო ძალების გასაძლიერებლათ გუშინ-წინ მოვიდა აქ ფრანგების ჯარი, რომელიც ერთ ბათალიონზე ნაკლები არაა.

◆ კვირას 23 მაისს რკინის თეატრში ს. სარიშვილის საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება აზიური ოპერეტა „არშინმალ-ალან."

◆ ქალაქის მცხოვრებთა აღწერა უკვე დასრულდა, შედეგი ამგვარია: ქართველი, — 10,112 კაცი, რუსი (ლტოლვილებიანა) — 7302, სომეხი — 12836 კაცი. ამ რიცხვში შედის 5240 ლტოლვილი, ბერძენი — 8598 კაცი, მათ შორის 1545 ლტოლვილი, ებრაელი — (ლტოლვილებიანა) — 1705, ევროპის სხვა და სხვა ეროვნების —1182, თურქი (ლტოლვილებით) — 1834, აზიის სხვა და სხვა ეროვნების — 1789 კაცი. სულ ქალაქში, ამგვარათ, ითვლება 43348 კაცი მცხოვრები.

◆ კვირას 23 მაისს საზოგადო საკრებულოს დარბაზში დილის 11 საათზე დანიშნულია ქ. ბათუმში და ოლქში მცხოვრებ რუსთა საზოგადო კრება ეროვნულ საბჭოს არჩევნების შესახებ.

◆ 25 მაისს საღამოს 5 საათზე ბათუმიდან კერჩისაკენ გადის მატორიანი ნავი „ალექსანდრე." წაიყვანს მგზავრებსაც.

◆ 23 მაისს დღის 12 საათზე კერჩისაკენვე გადის მატორიანი ნავი „რუსეთის თავისუფლება".

◆ ამ დღეებში ფოთისაკენ წავა გემი „პრინციპი". გემზე მიიღება მგზავრები და წასაღები ნივთებიც.

◆ 20 მაისს ბათუმში მოვიდა გემი „რიონერო", რომელმაც ფრანგი ჯარისკაცები მოიყვანა.

◆ 19 მაისს 5 პირისაგან საქართველოს ფრონტის სასარგებლოთ საქ. რესპ. საკონსულოში მიიღეს 5,000 მანეთი ბონი.

◆ 18 მაისს ქალაქის სასურსათო თვითმართველობის შენობაში სულეიმან ხუსეინ-ოღლის ჯიბიდან ამოაცალეს 30,000 მანეთი ამიერ-კავკასიის ბონი.

◆ 18 მაისს მოსე ვასილისძე შალმანის ბინიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 50,000 მანეთად.

◆ 19 მაისს ნიკო ნიკოლოზ. აგრონსკის ბინიდან მოიპარეს 10,000 მანეთად ღირებული სხვა და სხვა ნივთები.

◆ 18 მაისს ბერტ-სვიატსკის კანტორიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები 112,000 მანეთად ღირებული.

---

# გენერალური შტაბის სამხედრო ცნობები.

**მაისის 17.**

ყაზახის მიმართულებით მტრის უძლიერეს ძალთა მოწოლის გამო ჩვენმა ნაწილებმა შიხილისაკენ დაიხიეს. მტრის სამი ესკადრონი და „ობოზი", რომელიც აქსტაფის შარა გზით შიხილზე მიდიოდა, ჩვენი არტილერიის ცეცხლით უკუ ვაგდეთ.

სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.

**მაისის 18.**

ყაზახის მიმართულებით მაისის 17-ს ჩვენი ნაწილები მთელ ფრონტზე წინ მიიწევდნენ. მათ არსად არ შეხვედრიათ მტრის ძლიერი წინააღმდეგობა, გარდა კეკლის მთისა, რომელიც ჩვენებმა ბრძოლით დაიკავეს. მტრის დიდი კოლონა, რომელიც ყაზახის მხრივ აქსტაფის შარა გზით ჩვენსკენ მოდიოდა, მტკვრის მარცხენა ნაპირიდან არტილერიის მიზანში ამოღებულ ცეცხლით გავფანტეთ და პანიკა მოცული უკუვაქციეთ. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა დაჭრილ-დახოცილნი და „პოვოზკები". რამდენიმე მიმართულებაზე გამოჩნდნენ მოწინააღმდეგის მხრიდან ჩვენს მხარეზე გადმოსული გამოქცეულნი, რომელნიც აცხადებენ, რომ მათ ქართველებთან ომი არა სურთ. სხვა ფრონტებზე სიწყნარეა.

**19 მაისი.**

ყველა ფრონტებზე სიწყნარეა.

---

# ბორჩხალოს მუსლიმანობა.

14 მაისს ბორჩალოს მუსლიმანთა ნაციონალურმა ყრილობამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: ბორჩალოს მუსლიმანთა ნაციონალურმა ყრილობამ განიხილა რა დღევანდელი მომენტი, დაადგინა: ადერბეიჯანის რეაქციონურმა მთავრობამ, რომელიც არ იყო პოპულიარული მასსაში, ვერ შესძლო შეკავება ჩრდილოეთიდან მომდგარ ანარქიისა, შემოუშვა თავის ტერიტორიაზე ბალშევიკური ჯარები და ამით დაღუპა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელიც დიდი მსხვერპლის გადებით მოიპოვა ხალხმა. ანარქია, რომელიც დაპარპაშობს, თავის მოლვაწეობას არ კმარობს ადერბეიჯანით და სურს თავის ტალღებით წალეკოს საქართველოს დამოუკიდებლობა, სურს აქაც დააყენოს სისხლის მორევი და დაანგრიოს ის მშვიდობიანი ცხოვრება, რომელიც სისხლით არის მოპოვებული. საჭიროა საქართველოში მცხოვრებმა მუსლიმანებმა მთავრობას დახმარება აღმოუჩინონ რესპუბლიკის დაცვის საქმეში. ამასთანავე ყრილობა უჭერს რა მხარს მთავრობას, გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ მომავალშიაც, როგორც საქართველოს ღვიძლ შვილებს, კარგად უყურონ მათ და გამონახულ იქნას ის საშვალებები, რომლითაც დაკმაყოფილებულ იქნება მუსლიმანთა საარსებო ინტერესები.

დაე, დარწმუნებული იყოს დამფუძნებელი კრება და მთავრობა, რომ ბორჩალოს დემოკრატია მთელი თავისი ძალ-ღონით გვერდში ამოუდგება საქართველოს დემოკრატიას, რათა დაიცვას თავისუფლება და დამოუკიდებლობა საერთო მტრებისაგან.

---

# „სედაი მილლეთის“ ქობულეთელ მეთაურების საყურადღებოთ.

ჩვენო ძმებო, ჩვენო მტრებო,
ჩვენზე ცილის მწამებელნო,
ოჯახში ცეცხლი ჩაგვიგდეთ,
როგორ უნდა მოგვინელოთ!

დიახ, ცეცხლი ჩაგვიგდეთ, ცეცხლი ისეთი, რომლის დანელებას თქვენ თითონაც ვერ შესძლებთ, და არც გინდათ სხვამ ჩააქროს. თუ კი სხვას მიუშობდეთ ჩასაქრობათ, იქნებ რაიმე გვეშველოს და ჩვენი მამულიდგან განასროლი ჟინჟლლი ჩვენ თანამორწმუნე ოსმალეთსაც არ ჩაუვარდეს ოჯახში, რომელსაც თვითონ სჭირია ცეცხლის დაქრობა და არა დანთება. ბატონებო, აკი ჩვენ გვწამებდით ცილს, თითქო ჩვენ ამ პოლიტიკას, რომელსაც ეხლა ვადგივართ, წინათ არ ვაღიარებდით და თავიდანვე არ გვეფიქროს ხალხის ბედნიერებაზე. როცა ოსმალეთი დამარცხდა და ინგლისელები სტამბულში შემოვიდნენ, იმ დროს, როცა ოსმალეთის ჯარი კავკასიაში იყო და კიდევ წინ მიილაშქრებდა, ჩვენი კომიტეტი უკვე შემდგარი იყო და ხალხის საკეთილდღეოთ მუშაობდა, ფურცლებსაც უშვებდა, პროკლამაციით აცნობდა მათთვის საჭირო საქმეს ხალხს, რადგან იმ დროს ოსმალეთის ჯარი კიდევ აქ იყო და ნება არ გვქონდა თავისუფლად ლაპარაკის. დიდი ბრიტანეთის ჯარების და მთავრობის აქ შემოსვლის შემდეგ წელიწად ნახევარია, ჩვენ მაშინაც ამას ვლაპარაკობდით, ეხლაც ვამბობთ და აწიც იმას ვიტყვით, რომ ჩვენი ერთათ ერთი გამოსავალი გზა, დიახ, გზა ისეთი, რომ აგვაშორებს ყოველგვარ უბედურებას, რომელიც ჩვენი დიინიისლამის რჯულის შეურყვნელათ შესანახი გზა გახლავთ, — დედა საქართველოსთან ფართო ავტონომიურათ შეერთებაა, თქვენ კი ამის საწინააღმდეგოთ ამ წელიწად ნახევარში რამოდენიმე გზა აირჩიეთ: ხან ყარს-არდაგანს უერთდებოდით, ხან ოსმალეთს, ადერბეიჯანს; ენვერ ფაშა, ნური ფაშა და მუსტაფა-ქემალ ფაშებთან გქონდათ კავშირი შეკრული, დენიკინელებსაც მეგობრობდით და ყოველნაირათ ხელს უწყობდით. „უმავთულო ტელეგრაფით“ ვითომც ამბავს გებულობდით ოსმალეთიდან, შეუგნებელ ხალხს ატყუილებდით, კიდევაც შესძელით მათი დატყუილება, ხალხი აიყოლიეთ, დააყენეთ ფეხზე და აპრილის ყოველ დღეებში ქობულეთის მიტინგზე გამოიტანეთ თქვენებური დადგენილება, რომლითაც გსურდათ „აჭარისტანის“ დაარსება, რომლისთვისაც მოითხოვდით ჩოლოქიდან ჭოროხამდე საზღვარს, თქვენ ამას ალბათ გარეშეები გიკარნახებდენ, უთუოთ თქვენი საბჭოს საიდუმლო მდივანი და კეთილის მსურველი სომეხი ფაშიანცი გასწავლიდათ, რადგანაც ჭოროხის ხეობა მას და მის ამქრებს ესაჭიროებათ. ამას გარდა ხუთი ვერსი მანძილი აქეთა მხარე კიდევ უფეშქაშეთ, რადგან სომხებს რკინის გზისათვის სჭირიათ. რადგანაც ისეთი გულ უხვი მოწყალე ბრძანდებით, რომ ცოტა სამსახურის გაწევისათვის უხვად აჯილდოებთ კაცს, ჯაგინიანცი დიდი მეგობარი არის თქვენი და კინტრიშზე მისვლამდეც მას დაუთმეთ. კინტრიშის მდინარის იქით ჩოლოქამდე დიდი ნაშრომი აქვთ სომეხ ქრიქორას და თოფალი აკოპას. (საუკეთესო სახლები მათი ნაღებავია, ფანჯრები მათი ჩადგმულია. ეს ყველაფერი ალბათ თქვენთვის მხედველობაში მისაღებია). ესეც არ იყოს, როგორც ბალშევიკების მომხრენი ხართ, იმედია, აღნიშნულ საზღვრებიდან ჩოლოქამდე სომხებს ჩააბარებთ მათ ნაკეთებ სახლებითურთ და დანარჩენი ხომ გეყოფათ! თავზე გადაგდივათ! დიახ, ამგვარათ იბრძოდით თურმე სომხებისათვის, ამიტომ იყო, რომ ჩვენი მოქმედება არ მოგწონდათ. ამიტომ მუშაობდით ჩვენს წინააღმდეგ!.. ეს ყოფილა თქვენი მუსლიმანობა! თქვენი ფიცის გატარება ძალა-უნებურათ ხალხში; თქვენ ვითომდა ქურდებსაც ებრძვით ხალხის შესახედათ. თუ დღეს ქურდობა-ყაჩაღობამ იკლო, ეს ყოველ შემთხვევაში ხალხის შრომით არის და არა თქვენი, „სედაი მილეთელთა“ ოთხი ხუთი მეთაურები რომ ბრძანდებოდით. თქვენ რომ ქურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების მართლა მტერი იყოთ ოცი კაცი გვარაზე სრულიად რომ გაძარცვა, ტიტველათ გაუშვა გადამთიელმა თურქმა, რომელიც ხალხმა დაიჭირა, ნაძარცვი ნივთებიც უნახეს და დღეს კი ის მოსული მცარცველი ქ. ბათუმში არხეინათ დასეირნობს, — ეს არ მოხდებოდა. მაგრამ თქვენ ხალხის მავნე პირებს არ დასჯით... ვისაც ხალხისათვის კარგი სურს, თქვენ მათი მოქმედება გაბრაზებთ. ამიტომაც გაგვხადეთ იძულებული მიგვეტოვებია წვრილი ცოლ-შვილი და სახლ-კარი.

მაგრამ არ გეგონოთ თითქო ჩვენ გული გაგვტეხოდეს და ბრძოლის უნარი დაგვკარგოდეს. ასე თუ ისე, მაინც ბედნიერი ვართ. ჩვენი სახლ-კარიც რომ გაანადგუროთ, მაინც არ ვინანებთ, რადგანაც ხალხი თანდათან იღვიძებს, დგება ფეხზე, და რამდენიც გზა არ უნდა აუბნიოთ, ისინი მაინც გაარჩევენ ავს კარგისაგან, მოკეთეს მტრებისაგან. და ჩვენი მიზანიც ეს იყო. სწორეთ ეს გვინდოდა ჩვენ, რომ ხალხს შეეგნო თავისი საკეთილდღეო საქმე, ხალხი არ დალუპულიყო...

არ გეგონოთ თითქო ანი თქვენ დაგრჩათ ბურთი და მოედანი, არ შეცდეთ კიდევ მეტათ. ქვეყანას თქვენ, ოთხ-ხუთ კაცს არ გაგათელვინებენ ფეხ ქვეშ, გეყოფათ რაც ჩაიდინეთ, ნუ ათამაშებთ საწყალ მუშა ხალხს, ნუ აალებიებთ ყანა-ბახჩაზე ხელს, ამ ყანის დათესვის დროს, თქვენ რომ ჯიბეები იტენოთ და სომხებს ან რუსებს თეთრი ფქვილი ართვათ, ხალხს ის არ ეყოფა წლიდან წლამდე. თავის დროზე განწვალებულ-გაბრაზებული ეს ხალხი პასუხს მოგთხოვთ, თქვენზე იძიებს შურს; გეყოფათ, დაეხსენით, ხალხის ცოდვაში ნუ დგებით. ამ რამაზანში ყანის დათესვა მაინც დაანებეთ. სომხები და რუსების აყოლა არ გვარგია. ხალხს რომ შიმშილი კარზე მოადგება, როცა მოთმინებიდან გამოვა, მაშინ თქვენ ველარ შესძლებთ პასუხის გაცემას. ველარ დაემალებით ამ ხალხს, თვარა ჩვენ არ გავერეოდით საქმეში. გონზე მოდით... ჩამოდექით... უარყავით დამღუპველი გზა... გოუშვით ხალხი ყანაში, და არა ჭვანაში ხალხის ასარევათ. გზას ნუ უბნევთ.

ისმაილ კაიკაციშვილი.

---

# რა ხდება უცხოეთში

### ოდესის აღება.

უკრაინულ წყაროებიდან ლონდონში მიღებულ ცნობით უკრაინელებს ოდესა აუღიათ.

### ბრიტანიის ფლოტი სტამბოლის პირდაპირ.

ბოსფოროში, პარლამენტის პირდაპირ ინგლისის ფლოტი სდგას, რომელიც შესდგება 5 დრედნოუტისა და 4 კრეისერისაგან. ამ გარემოებას სტამბოლში სხვა და სხვანაირად ჰხსნიან.

### ყაზახთა აჯანყება.

ყუბანის ოლქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ყაზახთა შორის აჯანყებამ იფეთქა.

## ა დ ე რ ბ ე ი ჯ ა ნ ი.

### საერთო მდგომარეობა.

ბაქოდან ჩამოსული თათარი ვაჭარი შემდეგ ცნობებს აწვდის გაზ. „სლოვოს": ძველი მთავრობის წევრები უსუბბეკოვი, ხან ხოელი და სხვა გაიქცენ და არავინ იცის სად არიან. მოქმედებს საბჭოთა მთავრობა. „ადერბეიჯანი უკვე არ არსებობს" — მწუხარებით შენიშნავს ბაქოელი ვაჭარი, ბაქოელი სომხები მოითხოვენ მთავრობისაგან, რათა მან მიიღოს ზომები თათრების დამრბევთა წინააღმდეგ; უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქში ხშირად აქვს ალაგი მუსულმან მცხოვრებთა დარბევას. გამოცხადებულია ყველა ბანკების, საზოგადოება „ელექტრონის ძალა"-სი და ტაგიევის სამანუფაქტურო ფაბრიკის ნაციონალიზაცია.

---

# ს ო მ ხ ე თ შ ი.

### დახმარება სომხეთის ჯარს.

ამერიკის სენატის კომისია შეერთებულ შტატების მთავრობას წინადადებას აძლევს, გაუგზავნოს სომხეთს სამხედრო იარაღი და სურსათი ძლიერის და მუდმივ ჯარის შესაქმნელად.

ამავე კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ ამერიკის ინტერესები ბათუმ-ბაქოს რკინის გზაზე დაიცვან ამერიკის ჯარის კაცებმა.

### ე რ ე ვ ა ნ ი.

ყარსის გუბერნატორი ყორდანიანი სომხეთის მთავრობას აცნობებს, რომ ხალხი ყველგან მას ნდობას უცხადებს. ყოფ. პრემიერი, დღეს სომხეთის პარლამენტის წევრი ა.ი. ხატისიანი ორის თვით დასასვენებლათ მიდის.

### ბალშევიკურ გამოსვლის გამო.

საქართველოში მყოფ სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: თანდათან ირკვევა, რომ ალექსანდროპოლში მომხდარ ბალშევიკურ აჯანყებას ხელს უწყობდნენ ოსმალეთის აგენტები, რომელთაც სპეციალური მიზნები ჰქონდათ დასახული. მაგრამ მათ იმედი არ გაუმართლდათ. მიუხედავად ამისა, თათრების მოძრაობა ჯერ კიდევ გრძელდება. მთავრობამ უკვე მიიღო ყოველგვარი ზომები თურქულ-თათრულ მოძრაობის აღმოსაფხვრელათ.

### აჯანყება ყარსში.

ყარსის ბოლშევიკური აჯანყება ხალხმა და ჯარმა საბოლოოდ ჩააქრო, აჯანყების მეთაურნი შე-

იპყრეს. შეპყრობილნი არიან აგრეთვე წევრნი ყარსის რუსულ ეროვნულ საბჭოსი, რომელიც ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდა.

---

# ოსმალეთში.

**ოსმალეთის ნაციონალისტების წინაალმდეგ.** კონსტანტინოპოლიდან „ტანის“ კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: მთავრობის ჯარმა ადაბაზარი აიღო და ამგვარათ თავისი მოქმედება გააფართოვა: ნაციონალისტებმა ბოლოს ევაკუაცია მოახდინეს. სამხედრო საბჭომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა მათს დაუსწრებლად: მუსტაფა-ქემალსა და მის თანაშემწეებს, რომელნიც ეროვნულ მოძრაობას ხელმძღვანელობენ. ჰავასის სააგენტო იუწყება კონსტანტინოპოლში ფარული საზოგადოების აღმოჩენის შესახებ. ამ საზოგადოებას მიზნათ ქონდა ნაციონალისტური პროპაგანდის გაწევა. დააპატიმრეს 40 კაცი.

ოსმალეთის შეიხ-ულ ისლამმა დიურზადე ესსაიდ აბდულ-ლახმა მოწოდებით მიმართა მთელ მუსლიმანობას, რომელშიაც აღნიშნავს ნაციონალისტების ზოგიერთ ცოდვებს — დანაშაულობას სახელმწიფოს წინაშე და მოუწოდებს ხალხს სამღრთო ომი გამოუცხადოს. მათ შეიხ-ულ ისლამი სწამს, რომ ბრძოლა ნაციონალისტების წინაალმდეგ არის სამღრთო ბრძოლა და ღვთის კურთხევით ამ ბრძოლაში ხალიფის მომხრენი გაიმარჯვებენო.

---

დაიკარგა ვასილ ლევანტისძე დოლიძის პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

(1—1)

---

დაიკარგა ხარიტონ ილაკრისძე მახარაძის პირადობის მოწმობა, მიცემული შორაპნის მაზრის, საჩხერის თემის გამგეობისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

უფ. (1—1)

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

სამშაბათი 25 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ.". რედაქციას.

ხელის მოწერა ფასი: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 600 მან. |
| 2 თვით | 400 მან. |
| 1 თვით | 200 მან. |

№367 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №367

## განცხადება.

ამით იკრძალება აწებება ყოველგვარი აფიშებისა, განცხადებებისა, მოწოდებისა და სხ. სახლის კედლებზედ და ღობეებზედ. ნება ეძლევათააწებონ განცხადებები მხოლოდ განსაკუთრებით ამისთვის დანიშნულ ტუმბებზედ. ყველა სახლის მეპატრონეებს ეძლევა წინადადება სამი დღის ვადაშიდ, დღეიდგან ამ განკარგულების გამოცხადებისა, ჩამოაძრონ ყველა მიწებებული განცხადებები და აფიშები უალაგო ადგილიდან. ამასთანავე გაცემულია განკარგულება მილიციის მოხელეებზედ დაატუსაღონ ის პირები, რომლებიც ამ ბრძანებას არ შეასრულებენ და მისცენ პასუხის გებაში ადმინისტრაციული წესით.

უფროსი ინგლისის სამხედრო პოლიციისა
კაპიტანი **ა. რ. მ. სანფორდი.**
ბათომის ქალაქის მილიციის
უფროსი **ს. კობიევი.**

---

## ᲒᲕᲔᲧᲝ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ...
## ᲒᲕᲔᲧᲝ ᲛᲝᲜᲝᲑᲐ...

ჩვენი ხალხის შეუგნებლობამ ჩვენი ქვეყანა უცხოელების სათარეშოთ გადააქცია. ბათუმის სიმშვენიერით მოხიბლული გადამთიელნი ბატონებათ გაგვიხდენ და, უკვე გათავხედებულები, ადგილობრივ მცხოვრებთა სასიცოცხლო ინტერესებს ფეხ ქვეშ სთელავენ. თითქო ჩვენ ქართველი მუსლიმანები არც კი ვარსებობდეთ ბათუმის ოლქში, თითქო ჩვენ სხვებისაგან სატანჯველათ და საბატონოთ ვიყოთ გაჩენილი. ჩამოსახლებულ რუსებითა და სომხებით ოჯახი აგვევსო. სიმშილისაგან ლამის არის დავიხოცოთ, რომ საქართველოდან არ შემოდიოდეს სურსათ-სანოვაგე. და კიდევ მეტი უბედურება ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის ეს მტრები, რომლებიც ჩვენ მიწა-წყალზე ესახლებიან, და ცდილობენ ჩვენს დაპყრობასაც, ჩვენივე ხალხში, ქართველ მუსლიმანებში პოულობენ მომხრეებს. რუსებმა და სომხებმა, ადერბეიჯანელმა ავანტიურისტებმა და ოსმალეთის ხალხისაგან დევნილ თურქ აფიცრებმა ბლოკი შეკრეს ბათუმის ოლქში და მილიონებით დატვირთულებმა მოიყიდეს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი გადაგვარებული, გზა დაბნეული პირები და, ამოუდგენ რა გვერდში ჩვენი ქვეყნის დაპყრობის მსურველებს, გაბოროტებულებმა იწყეს მტრების გასახარელი საქმის კეთება.

ყველას ახსოვს რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკა ამ უკანასკნელ ომის პირველ ხანებში, როცა ჩვენი, ქართველ მუსლიმანების აქედან გადასახლებით ცდილობდენ ჩვენში რუსობა ჩამოესახლებიათ, ჩვენში მიწა-წყალი რუსების საკუთრებათ გაეხადათ. რამოდენიმეთ ეს კიდევაც შესძლეს. ბათუმის ახლო-მახლო საუკეთესო სააგარაკო ადგილები მათ ხელშია. ამჟამადაც ბათუმში დიდძალი რუსობაა შემოხიზნული რუსეთის ხალხის ქონებით დატვირთულნი და იმავე მიზნით გამსჭვალულნი კვლავაც ლამობენ ჩვენს ქვეყანაში თავიანთ ბატონობის განმტკიცებას.

სომხების განძრახვებიც ხომ ყველასთვის აშკარაა. ისინიც ცდილობენ ჩვენი ქვეყნის დაპყრობას. მათი წარმომადგენლები საზავო კონფერენციაზე დაჟინებით მოითხოვენ, რომ ბათუმის ოლქის თითქმის ნახევარი ნაწილი სომხეთს გადაეცეს. ბათუმიდან რიზეში და ბათუმიდან ყარსამდე რკინის გზა გაიყვანონ და რკინის გზის გარეშე მიდამოები მცირე ზონით მათ გამგებლობაში იქნეს და სხ. ეს ყველასათვის აშკარაა დღეს. ყველამ იცის, რომ სომხები ცდილობენ ჩვენი ქვეყანა თავის პროვინციათ გაიხადონ. აგრეთვე არ არის დაფარული ის ფაქტი, რომ სულთანისაგან დევნილი და ოსმალეთის ხალხის მოღალატეთ აღიარებული გამოქცეული თურქები ჩვენს ქვეყანას სასიკეთოს არაფერს მოუტანენ. მათ თავის სამშობლოსათვის ვერ დაუყრიათ ხეირი და ცხადია თუ მავნე პირები არ იყონ, არც გამოაძევებდენ მათ თავის ქვეყნიდან.

ყველა ჩვენგანმა უნდა შეიგნოს, რომ ის პირნი, რომლებიც საქართველოსთან შეერთების წინაამდეგ მოგვიწოდებენ, რომლებიც ცდილობენ, რომ ბათუმი და მისი ოლქი სამშობლო საქართველოს არ გადაეცეს, — აშკარა მტერია ჩვენი ხალხისა, ფულით მოყიდული აგენტია ჩვენი მტრებისა.

ვინ არ იცის, რომ, დედა-საქართველოს რომ არ დავეფარეთ, ნიკოლოზის მთავრობისა და სხვათა ურდოებისაგან შეიძლება დღეს ბევრები არც კი ვყოფილიყავით ცოცხლები. ყველას გვახსოვს თუ როგორ გვიცავდენ ქართველი დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროში და სხ.

იქვი არ არის, არც მომავალში მოგვაკლებენ ამგვარ მზრუნველობას. ძმა ძმისთვის მუდამ ეცდება ბედნიერებას. საქართველო ჩვენ ყოველთვის დაგვიფარავს, თუ შევიგნებთ მგომარეობას, თუ ჩვენივე ხელით არ გავიჭრით სამარეს და არ გავლესავთ თავის დასაკლავ დანას.

ჩვენმა მტრებმა ვერ უნდა აგვიყოლიონ. ჩვენს ქვეყანაში უცხოელებს ნუ გავხდით ბატონებათ. შევიგნოთ, რომ მხოლოდ საქართველოსთან გაერთიანება მოგვანიჭებს ბედნიერებას. გარეშე ამისა ხსნა არ არის. თუ ამას არ ვიზამთ — მტრებს გავახარებთ. სამუდამოთ შერცხვენილი ვიქნებით, მონობის უღელს დავიდგამთ კისერზე და საშვილიშვილოთ თავი მოგვეჭრება.

გვეყო შეცდომები... გვეყო ტანჯვა და მწუხარება... გვეყო მონობებათ ყოფნა. თვალი გავახილოთ. ვიცნათ მტერ-მოყვარე.

---

## გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა.

### 21 მაისი.

საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობათა შეთანხმებით აღმოსავლეთ ფრონტზე სამხედრო მოქმედებანი შეწყვეტილია.

სხვა მიმართულებაზე სიწყნარეა.

### 22 მაისი.

მაისის 21 აქსტაფის შოსეზე ჩვენი პარლამენტიორები შეხვდნენ ადერბეიჯანის პარლამენტიორებს. ადერბეიჯანის პარლამენტიორებმა მოითხოვეს, რომ დროებით ზავის ჩამოგდებისათვის ჩვენს ჯარს წითელ ხიდამდე დაეხია. ამ მოთხოვნის ასრულება ნიშნავს ჩვენი ჯარის უკან დახევას და მოწინააღმდეგის ჯარს ხელში უგდებს მნიშვნელოვან ტაქტიკურ პოზიციებს. ამის გარდა ისტორიას არ ახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ დროებითი ზავის ჩამოსაგდებად რომელსამე მხარეს მეორის ჯარის უკან დახევა მოეთხოვნოს. ამიტომ ადერბეიჯანის მოთხოვნილება კატეგორიულად უარვყავით.

ზაქათლის მიმართულებით მაისის 19 მტრის პოსტი, რომელმაც აქტიობა გამოიჩინა, გავანადგურეთ, მოუკალით ოთხი, დაუჭერით რამოდენიმე კაცი, დანარჩენები გაიფანტნენ. ჩვენ ერთი მოხალისე დაგვიჭრეს.

გაგრის მიმართულებით მდინ. მეხადირი და პსოუ სადემარკაციო ხაზად გამოცხადდა. მოწინააღმდეგის ჯარი მდინ. პსოუს იქით გადადის.

დანარჩენ ფრონტებზე სიწყნარეა.

## ახალი ამბები.

✦ მაისის 21-ს ხულოში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც 70 სოფლის წარმომადგენელი დაესწრო. მიტინგზე ერთხმად დაადგინეს მიესალმონ საქართველოს ჯარის შესვლას აჭარაში და დელეგატები გაგზავნონ ჩვანის ხეობაში; დელეგატები წინადადებას მისცემენ ჩვანის ხეობელთ შესწყვიტონ საქართველოს წინააღმდეგ მტრული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი სოფელი, რომელიც მიტინგზე იყო წარდგენილი, იარაღით შეებრძოლება მათ.

✦ მომარაგების სამინისტრომ მიიღო ფოთში ორი გემი ხორბალი; ერთი ამერიკაში შეძენილი, მეორე იტალიაში. ორივე ერთად არის სამასი ათასი ფუთი. ხორბლის გადმოტვირთვას უკვე შეუდგნენ.

✦ სრულიად საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი აპირებს სასოფლო სამეურნეო ლიტერატურის გამოცემას. საჭირო საკითხების და ავტორების გამოსარკვევათ, 18 ამა მაისს შესდგა აგრონომების და სპეციალისტთა ჯგუფის კრება. კრებამ გადასწყვიტა საგანგებო სარედაქციო კომისიის დაარსება, რომელიც ამოირჩევს როგორც გადმოსათარგმნელათ საჭირო თხუზულებებს, ისე ორიგინალურ ნაწარმოების ავტორებს. კომისია დროებით ვიდრე განახლდებოდეს საქ. სას. სამ. საზოგადოების მოქმედება, იმუშავებს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირთან და შესდგება ახალგაზრდა აგრონომებსა და სპეციალისტებთაგან.

✦ 22 მაისს ბოლმან გოლკოვსკის ბინიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები და ფულათ 60,000 მანეთისა. აგრეთვე კონსტანტინე კირსნერის სახლიდან მოიპარეს ფულად და ნივთები — 74000 მანეთისა, ამათ შორის 10,000 მანეთი ნიკოლოზის ფული.

✦ 20 მაისს დილის 7 საათზე ივანე ნარსიას ბინიდან ბოროტმომქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები 15000 მანეთად ღირებული. წაიღეს აგრეთვე ვარლამ ჭელიძის ოთახიდან ერთი პალტო ღირებული 10,000 მანეთად.

✦ 20 მაისს თავდეოს აივაზიანის სამკერვალოდან მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები და შეკერილი ტანისამოსები 91250 მანეთისა.

✦ ამავე დღეს სასტუმრო „ვერსალში" ბოროტმომქმედებმა გაალეს კასა და წაიღეს ოქროს და ვერცხლის ნივთები 100,000 მანეთად ღირებული.

✦ 19 მისს ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა მეხორცეებმა კამეჩის ხორცი გაყიდონ ცალკე სხვა ხორცებისაგან. კამეჩის ხორცის გაყიდვა, იმ ალაგას სადაც სხვა ხორცი იყიდება, აკრძალულია.

✦ ამავე დღეს თვითმართველობამ დაადგინა პირველ ივნისიდან ქალაქის სავადმყოფოში ავადმყოფებს დღე და ღამეში გადაახთევინონ 100—150 მანეთი.

# გაზეთებიდან.

სტამბულის გაზეთი „ორანტ-ნიოზი“ სწერს: გაზეთ „დეილი-ტელეგრაფის“ საგანგებო კორესპოდენტმა კონსტანტინოპოლში მისტერ პერსივალ ლანდონმა ლონდონიდან კაბელით მიიღო ოსმალეთის საზავო პირობების ტექსტი, რომლის ძირითადი მუხლები შემდეგს შეიცავს:

გარდა ტერკოსისა, ჩათალჯედან დაწყებული ფრაკია გადაეცემა საბერძნეთს. სმირნის გარშემო მდებარე საუკეთესო რაიონების გამგებლობა იქნება საბერძნეთის ხელში. თვით ქალაქ სმირნაში სულთანს არ ექნება გადამწყვეტი ხმის უფლება და საბერძნეთი შეადგენს ადგილობრივ პარლამენტს, რომელსაც უფლება ექნება, თუ მოისურვებს ხუთი წლის შემდეგ ეს ადგილები შეუერთოს საბერძნეთს. ოსმალეთის სომხეთს ეძლევა დამოუკიდებლობა. სურიე და ირაკი აღიარებულია როგორც დროებითი დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ეყოლებათ მანდატორები. აგრეთვე პალესტინას მანდატიც მიეცემა ერთ-ერთ სახელმწიფოს.

ჰიჯაზი ცნობილ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ... კურდისტანს ენიჭება ავტონომია, და თუ შემდეგში მოისურვებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა აღიარებას, ეს განხილულ იქნება ხალხთა ლიგაში. დარდანელის სრუტეები აღიარებულია ნეიტრალურად... ომის თუ მშვიდობიანობის დროს მასში თავისუფლათ გაივლის როგორც სავაჭრო, ისთე სამხედრო გემები. ოსმალეთს ეკრძალება იყოლიოს საომარი ჯარები... შინაურ წესრიგის დასაცავათ შეუძლია იყოლიოს 30000 კაცისაგან შემდგარი ჟანდარმერია და საზღვრების დასაცავათ 15000 ჯარის კაცი...სულთანს სასახლეში მცველებათ შეუძლია იყოლიოს არა უმეტეს 700 კაცისა... ოსმალეთს ეკრძალება აგრეთვე სამხედრო გემების ყოლა, გარდა რამოდენიმე პატარა გემისა. ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია თვალყურს ადევნებს ოსმალეთის ფინანსიურ მდგომარეობას...

ბათუმი ცხადდება საქართველოს, ადერბეიჯანის, სომხეთის და სპარსეთისათვის ზღვაზე გასავალ გზათ. ერზერუმი და ტრაპეზუნდი ეძლევა სომხეთს. ოსმალეთს ნება ეძლევა საზავო პირობების ძალით მისგან ჩამორთმეულ ქვეყნებში ისარგებლოს თავისუფალი ტრანზიტით. ხალხთა ლიგის ყველა წევრებს უფლება ენიჭება, დაუბრკოლებლივ ისარგებლონ სტამბოლის, ჰაიდარ ფაშის, სმირნის, სკენდერონის, ჰაიფას, ბასრას, ტრაპეზუნდის და ბათუმის პორტებით. აღნიშნულ პორტებში დაარსებული იქნება საბაჟოები, სადაც შედარებით მცირე გადასახადს გადაიხთიან.

---

## ჩიჩერინის პასუხი სომხეთის ნოტაზე.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, სომხების საგარეო საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა მოსკოვის საბჭოთა მთავრობას მეგობრულ ურთიერთობის დასამყარებლად ხელშეკრულების დადებისა და საამისოდ წინასწარ მოლაპარაკებების გამართვისა. საპასუხოდ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოსკოვიდან ჩიჩერინისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„საბჭოთა მთავრობა გამოსთქვამს სურვილს სომხეთის მთავრობასთან ხელშეკრულების დადებისა მტკიცე და მეგობრულ ურთიერთობის დასამყარებლად. ორივე მხარეს შორის საბჭოთა მთავრობა ელის თქვენს დელეგატებს, რომელნიც უკვე გამგზავრებულან მოსკოვისკენ. ტეხნიკურ დაბრკოლებათა დასაძლევათ მოსკოვსა და ერევნის შორის ამ უკანასკნელისთვის გავანთავისუფლებთ დონის როსტოვის პირდაპირ მავთულს. გთხოვთ ამის თაობაზე წინ და წინ შეუთანხმდეთ საქართველოს მთავრობას.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი.

## ავგუსტ ფირალოვი.

ამ რამოდენიმე დღის წინათ სცოცხლობდა... ჩვენთან იყო. გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს თავის სამშობლოს კეთილდღეობისაკენ მსვლელობას. ახალგაზდური ენერგიით შესძახებდა ხოლმე თავის ამხანაგებს, რომ არავითარ შემთხვევის, არავითარ სტიქიის წინაშე არ შემდგარიყვნენ სამშობლოს და რევოლიუციის კეთილდღეობისათვის. დღეს ის უკვე აღარ არის.

ვერაგულმა, მურტალმა ხელმა გამოასალმა ის წუთისოფელს, სამუდამოდ დაგვშორდა, ვეღარ ვიხილავთ მის ცოცხალ და მშვიდ სახეს. ვეღარ ვისმენთ მისი გულის სიღრმიდან ამოჭრილ სხვა და სხვა კითხვებს სამშობლოს და თავისუფლების შესახებ. აღარ იცოცხლებს... ცივმა სამარემ უნდა ჩანთქას... ცივმა სამარემ უნდა გაუჩინოს მას სამუდამო ბინა...

რა სასტიკი და ულმობელია ადამიანის ხვედრი. დაიბადა, გაჩნდა — იმიტომ, რომ უნდა მოკვდეს...

ის სცოცხლობს... ხარობს — იმიტომ, რომ უნდა მოკვდეს... ადამიანი ფიქრობს, იბნევა სხვა და სხვა ცხოვრების გეგმებში, ილუზიებში, და უცაბედათ რაღაც შეუცნობელი ძალა ჩასჭიდებს ხელს და სწრაფი ნაბიჯით გააქანებს მისკენ. ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ბუნების სავსებით რაღაც შეუცნობელი ძალა აკანონებს ყველაფერს...

მაგრამ როდესაც ადამიანი იქცევა ამავ ბოროტად... ავ სულად... და იღებს მახვილს ხელში სხვისი ცხოვრების მოსასპობად?.. აი აქ არის ჩვენი წუთიერი ცხოვრების ყველაზედ უფრო მწვავე ტრაგედია. აი აქ არის თანამედროვე საზოგადოების დიდი უბედურება და აი ამ სულიერად დაავადმყოფებულმა ადამიანის ბოროტმა ხელმა მოგვტაცა ჩვენი ავგუსტი... ის უკვე აღარ გვყავს...

მშვიდობით დაუვიწყარო მეგობარო ავგუსტ...

აკ. ანდღულაძე.

# გენერალური შტაბისაგან.

1) თანახმად მთავრობის ამა წლის 27 აპრილის დადგენილებისა, მობილიზაციით გაწვეულ უნდა იქნან რესპუბლიკის ყველა 1888, 1889, 1894, და 1895 წლებში დაბადებულნი სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცნი.

2) ვინაიდან სათადარიგო აფიცერთა მობილიზაციის გაწვევის განცხადებაში სწორათ არ იყო აღნიშნული წლოვანება და მაზრები გასაწვევ აფიცერთა, ცხადდება სახელმძღვანელოთ შემდეგი:

1) გაწვევა ეხება მხოლოდ ქ. თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის მიერ აღრიცხვაზე მიღებულ რესპუბლიკის ქვეშევრდომ ყველა ქვეითა ჯარის სათადარიგო არა უხნეს 45 წლისა აფიცერთ, გარდა რუსის ეროვნებისა.

2) გაწვევა ეხება აგრეთვე ზემოაღნიშნულ კატეგორიის ქვეითა ჯარის იმ სათადარიგო აფიცერთ, რომლებიც სხვა და სხვა მიზეზების გამო თუმცა არ იყვნენ აღრიცხვაზე მიღებულნი, მაგრამ სცხოვრობენ ქ. თფილისში ამა წლის 17 თებერვლიდან.

შენიშვნა: ყველა ამ პუნქტში აღნიშნული ის ოფიცრები, რომლებიც მობილიზაციის დროზე არ გამოცხადდებიან, გაიწვევიან ჯარში, როგორც რიგის ჯარისკაცები, თანახმად სამხედრო და შინაგან საქმეთა უწყებათადმი 1919 წლის 28 ნოემბრის №215 მთავრობის ბრძანებისა, თუ გაწვევა მოუწევს მათი წლოვანების ჯარისკაცებს.

3) ქვეშევრდომობის საკითხის გარჩევის დროს ყველა სამხედრო აღრიცხვის ნაწილთა უფროსებს ევალებათ იხელმძღვანელონ მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეობის კანონით, რომელიც გამოცხადებულია მთავრობის მოამბე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1919 წლის 6 ივნისის 122 ნომერში და სათანადო საკონსულოების მიერ გაცემულ პასპორტებით. თუ ეს პასპორტები კანონიერ წესით გატარებულია შესაფერ კომისარიატების რეგისტრაციით, შეუძლებელია ხელმძღვანელობა სხვა და სხვა ნაციონალურ საბჭოთა მიერ გაცემულ მოწმობებით, ვინაიდან ამ საბჭოებს არა აქვთ ასეთი მოწმობების გაცემის უფლება.

# რა ხდება უცხოეთში.

### ყირიმის ფრონტის გარშემო.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან მიიღო დეპეშა ყირიმის ფრონტზე საყოველთაო ამნისტიის საფუძველზე საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე თანხმობის გამოცხადების შესახებ. ის სწერს: ინგლისის მთავრობას სურს რა რაც შეიძლება მალე შესწყდეს ბრძოლა წითელსა და თეთრს არმიას შორის, იგი პირობას იძლევა ხელი შეუწყოს სამხრეთ რუსეთში დაუყონებლივ მოლაპარაკების დაწყებას. მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ გენერალი ვრანგელი და ინგლისის სამხედრო და პოლიტიკური წარმომადგენლები.

### პოლონელების შიში.

როგორც იტყობინებიან ფრონტის ახლო მდებარე რაიონების მცხოვრებნი, რომელთაც პოლონელების შემოსევა მოელით, სტოვებენ თავის სახლკარს და პოლონეთის ბატონობისაგან თავის გადარჩენას ფიქრობენ.

### ოსმალეთში.

ლონდონიდან მოსული დეპეშა იტყობინება, რომ ყველა საოკუპაციო ჯარი ოსმალეთში იმყოფება და რომ ხელშეკრულება რათაც არ უნდა დაუჯდეს სისრულეში იქნება მოყვანილიო. კილიკიასა, მესოპოტამიასა და სირიაში განსაკუთრებულ სერიოზულ უწესოებებს არ მოელიან, პირიქით, საბერძნეთი დიდი გასაჭირის წინაშე სდგას და უმაღლესმა საბჭომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს, რომ საბერძნეთს საფრანგეთი და ინგლისი დაეხმაროს. „ტანი“ აქვეყნებს ცნობებს საგარეო საქმეთა კომისიისას, რომელმაც კამარის საინტერესო მოხსენება მოისმინა საბერძნეთის პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. კომისიის წევრებმა გამოსთქვეს ღრმა სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც საფრანგეთი მუდამ გრძნობდა და გრძნობს საბერძნეთის მიმართ.

### დახმარება სომხეთს.

„მატენს“ მოჰყავს კონსტანტინეპოლის ერთ-ერთ სომხურ გაზეთის ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც სომხეთის რესპუბლიკას მიუმართავს ანტანტისა და ამერიკისათვის, რომ დაეხმარონ მას სურსათ-სანოვაგითა და დაიცვან ოსმალეთის ნაციონალისტებისაგან, რომელნიც თავს იყრიან ოლთის ახლომახლო.

### მზადება ერევანში.

იმავე სომხურ გაზეთის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობის თანახმად საბჭოთა მთავრობა მოლაპარაკებას იწყებს სომხეთთან, სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საფუძველზე დიპლომატიური დამოკიდებულობის გასაახლებლად. ერევანში დიდი მზადებაა ოსმალეთის მოახლოებულ საშიშროების შესახვედრათ.

### კაბინეტის კრიზისი.

რომში კაბინეტის კრიზისი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

### გაფიცვის გარშემო.

იმ დროს, როდესაც შრომის გენერალური კონფედერაციის საბჭო პარიზში თავის მოქმედების ხაზს იხილავს, — ადგილობრივ გაფიცულთა მრავალ კორპორაციაში მუშაობის განახლება გრძელდება. გაზის მუშების მიერ მუშაობის დაწყების შემდეგ, ჩრდილოეთ და პადეკალეს მემაღაროებმა განკარგუ-

ლება მიიღეს, ხუთშაბათს გაფიცვები შესწყვიტონ.

პალატაში გაფიცვების შესახებ შეტანილ შეკითხვებზე თათბირის მეორე დღე, დიდის ინციდენტებით ჩატარდა, როდესაც ლეონ დოდე ტრიბუნაზე გამოჩნდა, სოციალისტებმა ყვირილი დაიწყეს: ძირს მეფე, გაუმარჯოს რესპუბლიკას. ხმაურობა გაგრძელდა 20 წუთზე მეტს; თავმჯდომარემ სხდომა შესწყვიტა. სხდომის განახლების შემდეგ სოციალისტები წყნარად იყვნენ.

---

სამსონ ლუკასძე რუხაძე აცხადებს, რომ მას ბინაზედ, სხვა ტანისამოსებთან ერთად მოპარეს პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან №9020–20 წ.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

361 (1–1)

ლევანტი კოსტასძე ბასილია, აცხადებს, რომ მას მოპარეს საფულე, რომელშიაც იყო ფული 1100 მან. პირადობის სურათიანი მოწმობა მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან. სასურსათო ბარათი ორი სულის, მიცემული ბათუმის სასურსათო თვითმართველობისაგან და ბათუმის პროფ. კავშ. მოწმობა. აღნიშნულ საბუთებს აცხადებს ჩაითვალოს გაუქმებულათ.

362 (1–1)

---

**სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ოთხშაბათი 26 მაისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მეჰმედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეჰლევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ", რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 600 მან.
2 თვით ........................ 400 მან.
1 თვით ........................ 200 მან.

№368 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №368

## 26 მაისი.

დღეს მეორე წელი შესრულდა... მეორე წელი თავისუფლებისა, ჩვენი დემოკრატიის გამარჯვებისა.

ორი წელია მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებლათ არსებობს. ორი წელია, რაც ჩვენი კეკლუცი სამშობლო თავის საკუთარ ფეხზე დადგა და თვით განაგებს თავის სვე-ბედს. მთელი საქართველოს ხალხის ნება-სურვილით 26 მაისს 1918 წელს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. დაიმსხვრა ბორკილები მონობისა, ამობრწყინდა საქართველოს ცაზე მზე თავისუფლებისა, რომელიც უხვათ გვფენს თავის მაცოცხლებელ სხივებს და რომელსაც თანდათანობით მივყევართ უკეთეს მომავლისაკენ, შრომის სუფევისაკენ.

მაშინ, ამ ორი წლის წინათ, ჩვენ უფსკრულის პირათ ვიდექით. გარეშე მტერი ხმალ-ამოწვდილი მოიწევდა ჩვენკენ, რუსეთის გამანადგურებელნი კბილთა-ღრჭენით ჩვენი ქვეყნის განადგურებასაც ლამობდენ. ადერბეიჯანი სიტყვით ძმობა-ერთობას გვეფიცებოდა, საქმით კი ტრაპიზონში და ბათუმში ჩვენ საწინააღმდეგოთ დანას ლესავდა და ოსმალეთს ეპატიჟებოდა ჩვენი ქვეყნის დასაპყრობათ. რუსეთის ბალშევიზმით მოწამლული „ფრონტოვიკები" საშინაო ფრონტებს გვიწყობდენ და მით მტერს კარს ულებდენ ჩვენ დასამონავებლათ.

საქართველოს დემოკრატია თვის ძალების ამარა დარჩა. ის განმარტოებული დარჩა ბრძოლის ველზე, მარა მან გააასკეცა ენერგია, მოიკრიფა მთელი თავისი ძალ-ღონე და გაშმაგებით ეკვეთა მტერს... ეკვეთა და გაიმარჯვა. იხსნა თავის აწმყო, თავის მომავალი... ზოგიერთ ისტორიულ ხანაში მარტოობა გამარჯვების მომასწავებელია. და ამ მარტოობამ მისცა საქართველოს დემოკრატიას ძალა თავის ბედნიერების გამოჭედვისა.

ორი წელი... დიდი დრო არ არის, ორი წელი წვეთია ჟამთა ბრუნვაში. მარა ამ ორი წლის განმავლობაში კულტურულათ მომზადებულმა ქართველმა ერმა შესძლო დაემტკიცებინა მთელი ქვეყნისათვის, თუ რას ნიშნავს ერთსულოვნება, თუ რა დიდი ძალის გამოჩენა შეუძლია პატარა ერს, თუ მას კარგად ესმის მოვალეობა, თუ მას გათვალისწინებული აქვს თავის სავლელი გზა, თუ მას სწორი გზა აქვს აღებული.

დღიდან დღეზე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, მედგრათ და შეუპოვრად საქართველო განაგრძობდა თავის სწორი გზით სვლას, მას ერთხელაც არ უღალატნია ამ გზისათვის და ამით მან ბევრ რამეს მიაღწია. მან განამტკიცა რუსეთის დიდი რევოლუციის მონაპოვარნი, დაამყარა საუცხოო წესრიგი, გაკაფა გზა უკეთეს მერმისისათვის, ალმართა დროშა ძმობისა ერთობის განმამტკიცებელი. და ეს მოიმოქმედა მან საერთო ნგრევისა და რღვევის ხანაში. ეს მოიმოქმედა მან მაშინ, როცა ყოველი მხრიდან მას აწვებოდა გარეშე მტერი და შიგნითაც მზათ იყვნენ ბალშევიზმის ბაცილით მოწამლულები საქართველოს თავისუფლებისათვის მახვილის ჩასაცემად. ამ ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი დღე, როცა საქართველოს თავის დამოუკიდებლობის დასაცველათ ხმალი არ ჭეროდა ხელში. მარა არ ყოფილა არც ერთი დღე ისეთი, რომ აღმშენებლობითი მუშაობისათვის მას თავი მიენებებინოს. ერთ ხელში ხმალი თავისუფლების დასაცავათ, მეორეში სწავლა განათლების ჩირაღდანი, გუთანი და სახნისი, წალდი და ბარი მეურნეობის ასაყვავებლათ, გულში უსაზღვრო სიყვარული თავისუფლებისადმი, მტკიცე ნებისყოფა არჩეულ უტყუარ გზაზე სვლისა..

და ააგო მან მშვენიერი შენობა თავისუფლებისა და ამ შენობას შენატრიან არა მხოლოდ ჩამორჩენილი ერები, არამედ ისეთი ერებიც, რომლებიც თავისი კულტურით სახელგანთქმული არიან მთელ ქვეყანაზედ. განათლებული გერმანია რუსეთის წამბაძავ თავის შვილებს ხმამაღლა ეძახის: თავი ანებეთ ჩვენი ქვეყნის ნგრევასა და მსხვრევას, მიბაძეთ პატარა საქართველოსო.

და საქართველოს გამარჯვება არის გამარჯვება იმ პრინციპისა, რომელსაც დემოკრატიზმის გზით შრომის სუფევისაკენ მივყავართ. ეს არის გამარჯვება არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელი დემოკრატიისა. პატარა საქართველო იქცა ევროპისათვის მაგალითის მაჩვენებელ ქვეყნათ. ამრიგათ საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ართველო აკეთებს არა მხოლოდ თავის საკუთარ საქმეს, არამედ მთელი ქვეყნის დემოკრატიის საქმეს.

ეს უდიდესი გამარჯვებაა. და ამ გამარჯვებას დღესასწაულობს დღეს ჩვენი ქვეყანა.

---

# ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულია. დღეს უდიდესი დღეა ყველა ქართველისათვის. დღეს საქართველოს დემოკრატიის გამარჯვების დღეა.

ბათუმის ქართველთა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა:

26 მაისს ქ. ბათუმში არსებული ყველა ქართული სავაჭრო-სამრეწველო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი უნდა დაიკეტოს დილიდან დღის 12 საათამდე. შეიძლება ამ დაწესებულებებმა მთელი დღე იუქმონ, თუ ამას მოისურვებენ.

ყველა ქართველი მუშა-მოსამსახურენი დილიდან თორმეტ საათამდე სამუშაოზე არ გადიან.

ყველა ქართული სავაჭრო-სამრეწველო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი, სახლის პატრონები, ოჯახები ვალდებულნი არიან დილიდანვე გამოჰკიდონ ეროვნული დროშები და შეძლებისდაგვარად თავიანთი ბინები და აივნები მორთონ ხალიჩებით და ყვავილებით.

მანიფესტაცია და მიტინგი არ მოხდება.

◆ საქართველოს რესპუბლიკის ბათუმის საკონსულოში ქართველ მოქალაქეთა რეგისტრაცია ისევ გრძელდება. ხალხი დიდი ხალისით თითქმის საათობით უცდიან რიგს ჩასაწერათ. ჩაწერა დილის 9—2 საათამდე ხდება.

◆ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოწინავე წერილის ბოლოზე შეცდომით სწერია: გვეყო მონობებათ ყოფნა, უნდა იყოს: გვეყო მონებათ ყოფნა.

◆ 23 მაისს უდროვო დროს ქუჩაში გამოსვლისათვის დატუსაღებულ იქნა კასიანე გუსააკი.

◆ 23 მაისს საღამოს 7 1/2 საათზე ოგლობჟინის ქუჩაზე დატუსაღებულ იქნა თავზე დაშავებული, მთვრალი ივ. დეცინიდედი. საექიმო დახმარების შემდეგ დატუსაღებული ინგლისის პოლიცმეისტერს წარუდგინეს.

◆ 23 მაისს ბოროტმომქმედებმა გასტეხეს სამოქალაქო სამმართველოს ნავთის სკლადი და წაიღეს უმნიშვნელო ნივთები.

◆ 24 მაისს უდროვო დროს ქუჩაში გამოსვლისათვის დატუსაღებულ იქნა: მიკირტ. აკოპიანი, ვას. ორლოვი, ტიგრან ავეტისიანი, ალ. სანაძე, მემედ ნაბი-ოღლი, ხრისტო პარასკევოპულო, რაზბაკინ-ოღლი, ნიკ. კაიდიდი, ა. კაკსუსიდი, ხ. ეფენასრი-ალი, ვ. იოანიდი, ა. სტავრიანიდი, მევლო სტავრიადი, დომნა სტავრიადი, და სხვა. ყველა დატუსაღებულები პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

## 1918 $\frac{26}{V}$ 1920.

დღეს ორი წელი შასრულდა მას შემდეგ, რაც საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ბევრი მწარე წუთები გამოსცადა მან ამ მოკლე ხნის განმავლობაში, ბევრჯერ მდგარა მისი თავისუფლება უფსკრულის პირად მარა ყოველთვის დაუძლევია მას კარზე მომდგარი გასაჭირი და განსაცდელისგან უფრო გამტკიცებული და გამარჯვებული გამოსულა. მან არა თუ შესძლო თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება, არამედ მისი სიმტკიცით და ურყევი ნებისყოფით შეძლება მისცა არსებობისა მეზობელ რესპუბლიკებს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა გაბალშევიკებული რუსის ჯარისკაცები ფრონტებიდან მოიხსნენ და ამიერკავკასიის განადგურებას უქადიდენ, საქართველო მფარველ ანგელოზათ მოევლინა ამ მხარეს და იხსნა ის საშინელ საფრთხისაგან. ვის არ ახსოვს ის შავბნელი დრო, როცა ტყვიისმფრქვეველებითა და ზარბაზნებით კალიასავით მოედო ამიერკავკასიას ფრონტიდან გამოქცეული ჯარი — იწამეთ ჩვენი ბატონობა, იწამეთ ბალშევიზმის მეფობა, თორემ გაგანადგურებთო, ქვას ქვაზე არ დავტოვებთო, — იმუქრებოდენ გაბალშევიკებული ჯარისკაცები. საქართველომ მოიკრიფა მთელი თავისი ძალ-ღონე და განადგურება — აწიოკებისაგან იხსნა მთელი ამიერკავკასია.

ცბიერმა მეზობელმა ადერბეიჯანმა ამის სამაგიეროთ საქართველოს განადგურება მოუნდომა. ამიერკავკასიის სეიმში ის ძმობა-ერთობაზე ეფიცებოდა საქართველოს. ეფიცებოდა, რომ ის მტკიცე დამცველია ამიერკავკასიის მთლიანობისა. ასეთი იყო სიტყვა ადერბეიჯანის ხანებისა, მარა სულ სხვა იყო მათი საქმე. საქმით კი ისინი საქართველოს დასაპყრობათ მოუწოდებდენ ოსმალეთს. მათი დაჟინებითი მოთხოვნით ოსმალეთმა თავისი საუკეთესო ჯარები ამიერ კავკასიისაკენ დასძრა, წუთიერი გამარჯვება იგემა მარა ამ თავის საქციელს ზედ გადაჰყვა. საქართველომ, დაინახა რა რომ მას ღალატობენ, დროზე ჩამოსცილდა მოღალატეს და თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ აქტით მან მოიშორა უდიდესი საფრთხე და თავისი ძალების დარაზმვას შეუდგა. მას შემდეგ ერთხელაც არ მოუსვენია მას გარეშე და შინაურ მტრებისაგან. ის გაუმკლავდა რუსეთის ბალშევიზმისაგან მოწამლულ და შეცდენილ შინაურ მტრებს, ის გაუმკლავდა დენიკინის ურდოებს, ბალშევიკების წითელ არმიელებს, სომხეთის თავდასხმას და ახლა უმკლავდება „განითლებულ" ხანების თავგასულობასაც.

ორი წლის განმავლობაში, ამ საერთო რღვევის დროს, მან შესძლო დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება. საქართველო ერთადერთი კუთხეა, სადაც საუცხოვო წესრიგი სუფევს, სადაც მართვა-გამგეობა თვით ხალხის ხელშია და სადაც ხალხის ნება-სურვილით თავისუფლების დიადი შენობა ურყევ საფუძველზე სდგას. ყველა ვინც კი ესტუმრა საქართველოს უცხოეთიდან, მტერია ის თუ მოყვარე, ერთხმათ აღიარებს, რომ საქართველო სამოთ-

ხისებური ქვეყანაა. ყველა თავის გაოცებას გამოსთქვამს, თუ როგორ შესძლო ამ პატარა ხალხმა ასეთი სწორი გზით სვლა თავისუფლებისაკენ. საქართველო მთელი ქვეყნისათვის სამაგალითო, წასაბაძავ ქვეყანათ იქცა. მთელი ქვეყნის დემოკრატია ალტაცებით შეჰყურებს მას და მოუწოდებს კაცობრიობას იმ გზით ბრძოლისაკენ, რომელ გზითაც მიემართება საქართველო შრომის სუფევისაკენ. ჩვენმა პატარა სამშობლომ დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, რომ ის ღირსია არა თუ თავისუფლებისა, არამედ პირველია თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

და დღეს, როცა საქართველო დღესასწაულობს თავისი დამოუკიდებლობის მეორე წლის თავს, როცა ის ათვალიერებს განვლილ ბრძოლათა საფეხურებს და ითვალისწინებს მომავალ ნაბიჯებს, მას თამამად შეუძლია თქვას, რომ ის იცოცხლებს, განვითარდება, კიდევ უფრო გაძლიერდება და მედგრად გასწევს წინ შრომის სუფევის დასამკვიდრებლად. ვერავითარი მტერი ვერ შესძლებს მის დანგრევას და ვინც აღილებს მასზე მურტალ მახვილს, ის მახვილითვე წარწყმდება. ასე იმედიანათ უცქერის ის მომავალს, ვინაიდან მან იცის, რომ მას ჰყავს ჯავშანივით გარშემორტყმული, ბრძოლაში გამობრძმედილი, თავისუფლებისათვის თავდადებული შეგნებული დემოკრატია.

## ნუ ვაყოვნებთ.

მთავარი უბედურება ჩვენი ხალხისა იმაშია, რომ ხშირათ გვიძნელდება მტრის მოყვარისაგან გარჩევა. არა ნაკლები უბედურებაა ის ფაქტიც, რომ შეუგნებლობით თუ სიბოროტით, გარეშე მტრებს ხშირათ ჩვენი ქვეყნის მკვიდრნიც ეკედლებიან და ფულებში ცვლიან ხალხის და სამშობლოს კეთილდღეობას. ეს მტრებისგან მოყიდულები დაძრწიან სოფლიდან სოფელში და ხალხს ბედნიერებისაკენ გზას უხშობენ. რასაკვირველია, მოღალატე და ხალხის გამყიდველი ყველა ქვეყნებში გამოერევა, მაგრამ ასეთი აშკარა და თავაშვებული თარეში მათი, როგორც ეს ჩვენშია სამწუხაროთ, ძნელათ თუ სადმე იქნება. მახინჯ შვილს თვით მშობლებმა უნდა ასწავლოს ჭკუა და ჩვენი ხალხიც, იჭვი არაა, გონს მოიყვანს მტრებისაგან გადამცდარ და აყოლიებულ პირთ. არ არის უარესი რამ იმაზე, როცა წარსულს ივიწყებ და მომავლის გათვალისწინება გეძნელება. ის პირები, რომლებიც დღეს საქართველოს ჯარების ჩვენში შემოსვლას ეწინააღმდეგებიან, რომლებიც იარაღით ხელში გამოდიან და საქართველოს ფრონტს უმართავენ, გუშინ დენიკინელებიდან და ადერბეიჯანელებიდან იღებდენ მილიონებს და ჩვენი ქვეყნის დასაპყრობათ იწვევდნენ მათ. აგივე ვაჟბატონები დღეს სომეხ ფაშიანებთან ბრძანდებიან და ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონობას მათ აბარებენ, მათთან ერთად ყვირიან: საქართველოს არ გვინდა, მათი ჯარები არ შემოუშვათო.

ყველამ იცის, რომ ქართველი ჯარების ჩვენში შემოსვლა ბოლოს მოუღებს ყაჩაღობას და სხვა ბოროტმოქმედებებს; ყველამ იცის, რომ ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთან გაერთიანება მოგვანიჭებს ბედნიერებას და აგვაშორებს ყოველგვარ განსაცდელს. მაშინ საზღვარი დაედება ჩვენი ქვეყნის მტერთა ბნელ განძრახვებს, მაშინ თვით ჩვენი ხალხი იქნება თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი და ისე მოაწყობს თავის ცხოვრებას, როგორც ეს მათ სურთ და არა გადამთიელ რუსებსა და სომხებს და მათ მიერ მოყიდულ ორიოდე ბობოლა აგენტებს.

სასიხარულოთ, ეს ანბანური ჭეშმარიტება თითქოს უკვე შეუგნია მტრებისგან გაბრიყვებულ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეებს. თითქოს უკვე მიმხვდარან, რომ ბათუმის ოლქისაგან ცალკე სახელმწიფოს შექმნა ფუჭი ოცნებაა; ოსმალეთსაც ჩვენს ქეყანას არავინ მისცემს, ვინაიდან მას იმ ტერიტორიის ნაწილსაცართმევენ, რაც 1914 წლამდე ჰქონდა, ანაწილებენ. სტამბულის გაზეთ „ორანტანიოზის“ ცნობით, სხვა საუკეთესო ნაწილებს გარდა, ოსმალეთს ერზერუმს და ტრაპენზუნდსაც კი ართმევენ... საზღვრების დასაცავათ მხოლოდ 15 ათასი ჯარის კაცი შეუძლია იყოლიოს. ეკრძალება აგრეთვე სამხედრო გემების ყოლა, გარდა რამოდენიმე პატარა გემისა...

ამგვარათ, ცხადია რომ მაშინ, როცა ერზერუმს ტრაპიზონით სომხებს სთავაზობენ და ფიქრობენ ბათუმიც კი გადააქციონ სომხეთის პროვინციათ, ჩვენი მტრების ყვირილი, რომ ბათუმის ოლქი არ გაერთიანდეს საქართველოსთან, ნუ დაგვიფარავს ის მონობისაგანო, მეტი რომ არა ვთქვათ, დიდ სიბოროტეთ უნდა ჩაითვალოს. მხოლოდ თავისი ქვეყნის მოსისხლე მტერი მოისურვებს უცხოელების მონობაში ყოფნას. მხოლოდ მტრებისაგან მოყიდული აგენტი იტყვის, რომ ბათუმი საქართველოს არ დაუბრუნდეს და აქ რუსებისა და სომხების ბატონობის ქვეშ ამოხდეს ადგილობრივ მცხოვრელების სულიო.

ყველამ უნდა შევიგნოთ მდგომარეობის სირთულე. ყველამ უნდა მივხვდეთ, თუ ვის უნდა ჩვენთვის სიკეთე და ვინ ცდილობს თავის მონობაში გვამყოფოს. ერთხელ და სამუდამოთ უნდა უარვყოთ ყოველი დამღუპველი ნაბიჯები და დავადგეთ იმ ჭეშმარიტ და საბედნიერო საქმეს, რასაც დედა-სამშობლო-საქართველოსთან გაერთიანება ეწოდება.

ნუ ვაყოვნებთ, თვარა უბედურება არ აგვშორდება.

აჭარელი.

## ს ო მ ხ ე თ შ ი.

### ყარსის ამბები.

1 მაისს ბალშევიკები შეეცადენ ყარსშიაც მოეხდინათ გადატრიალება, მაგრამ ცდა უნაყოფო გამოდგა. ყარსში აუარებელი აგიტატორები ჩამოვიდენ,

რომელთაც შეუერთდენ ადგილობრივი მალაკნები, თათრები, რუსთა ნაციონალური საბჭო. ყველა ესენი შეიარაღებულის ძალებით აგიტაციას ეწეოდენ ჯარში. 10 მაისს გამოირკვა, რომ ნაწილი ჯარისკაცებისა მეამბოხეებს მიემხრო. 11 მაისს „რევოლიუციონურმა კომიტეტმა" წარუდგინა მოთხოვნილება ადმინისტრაციას და მოითხოვდა დამორჩილებას. გარნიზონის უფროსმა და გუბერნატორმა მიიღეს ბრძანება საბჭოთა სომხეთის სამხედრო და საგარეო კომისრების მუსაელიანის და მელკონიანისაგან, უკანასკნელნი მოითხოვდენ საბჭოთა ძალაუფლების ცნობას. როგორც გარნიზონი, აგრეთვე ადმინისტრაცია არ დაემორჩილა ზემოხსენებულ კომისრებს. 12 მაისს მთავრობის მომხრე ჯარის ნაწილებთან ერთათ ყარსის მცხოვრებნი თავს დაესხნენ ბალშევიკებს და კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ განდევნეს კიდეც. ბალშევიკებს მოუკლეს 11, ტყვეთ წაიყვანეს 7 კაცი. დანარჩენი გაიქცენ. ქალაქში ბევრი დატუსაღებულია. მეამბოხენი გასამართლებულ იქნებიან „სამხედრო სახალხო ტრიბუნალის" მიერ, რომლის თავმჯდომარეთ არის პარლამენტის წევრი ვაგან-ხორენი. გამოირკვა, რომ აჯანყებულ ბალშევიკებს მიემხრენ მალაკნებიც. იმ დროს, როდესაც ქალაქში სროლა იყო, მალაკნები დადიოდენ დროშებით და გაიძახდენ „ძირს სომხეთი! გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა მთავრობასო". შეიპყრეს რუსთა ნაცინალური საბჭო, რომელიც ბალშევიკების ბუდეთ იყო გადაქცეული.

### სომხეთის მდგომარეობა.

სომხეთში არც ერთი კუთხე არ დაუტოვებიათ ბალშევიკებს, რომ თავიანთი აგიტაცია არ გაეჩაღებინათ, მაგრამ არსად მათმა მუშაობამ ნაყოფი არ გამოიღო. როდესაც ხატისოვი შეჰკითხებია ალექსანდროპოლის ჯარისკაცებს, თუ რა იყო მიზეზი, რომ მიემხრენ ბალშევიკებს, — გამოირკვა, რომ ბალშევიკები დაჰპირებიან მათ დღეში 4 გირ. პურს. უთქვამთ, 16 ათასი წითელი არმიელი სდგას ყაზახის მაზრაში და სხვა. საკმარისი იყო ამ ჯარისათვის ახსნა შექმნილი მდგომარეობის, რომ დაუყონებლივ გაემგზავრენ ფრონტზე. ალექსანდროპოლში, როგორც გამოირკვა, სამი ჯგუფი მოქმედებდა. 1) ბალშევიკები სამი — ოთხი კაცი, 2) ოსმალეთის და ადერბეიჯანის მოსყიდული აგენტები, 3) მცირე რიცხოვანი ახალგაზრდობა, რომლებიც ჯარს მოუწოდებდენ წასულიყვენ სახლებში. უდავოა, რომ ოსმალეთის აგენტები იღებდენ მონაწილეობას, მაგ. კარაუგანში გადმოსულან ოსმალეთის აფიცრები, მათ თან წამოუღიათ სამი ფურგონი თეთრი პური და აჯერებდენ გლეხებს თურმე, რომ ოსმალეთს თქვენთან კეთილ მეზობლური განწყობილების დამყარება სურს; ამავე დროს ჩეტნიკები გადმოდიან ბაიაზეთის, იგდირის, ზანგაბასარის მიმართულებით. ოსმალეთის ერებს სურდათ შინაური უთანხმოება სომხეთისა გამოეყენებინათ თავიანთი მიზნისათვის. მაგრამ მათი განზრახვები კარგათ შეიგნო სომხეთის ხალხმა და აგრე ადვილათ არავის დაუთმობს თავისუფლებას. ყარაბაღში ძალაუფლება სომხების ხელშია. ეხლა იწყება საზავო მოლაპარაკება ადერბეიჯანთან. ოლთისის, კარაურგანის და იგდირის მიმართულებით ოსმალეთის ჯარები სდგანან, რომელთაც იკავებენ სომხეთის ჯარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

# რა ხდება უცხოეთში

### საფრანგეთის ჯარის ევაკუაცია.

საფრანგეთის ჯარის მიერ მაინის ქალაქების ევაკუაციამ უინციდენტოთ ჩაიარა.

### სიძვირის გამო.

მადრიდში ქალებმა ცხოვრების სიძვირისა და პურის სიმცირის გამო დემონსტრაცია მოახდინეს. ჟანდარმერიამ მათ ესროლა, მრავალია დაჭრილი, საალყო წესები გამოაცხადეს.

## რ უ ს ე თ ი.

### რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენის შესახებ.

სან-რემოელი კორესპოდენტი გაზ. „ტრიბუნას" ატყობინებს: რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ საკითხის გარჩევას საფუძვლათ დაედო ლორდ კერზონის შემდეგი მოსაზრება: „თუმცა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია პირდაპირი დამოკიდებულების დაჭერა რუსეთთან, რომელიც ჯერ კიდევ „დე ფაკტოთაც" კი არ არის ცნობილი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, შესაძლებელია დაშვებულ იქნეს, რათა კერძო პირებმა — სერიოზულ და პატიოსან მოქალაქეებმა დაიკავონ კავშირი რუსეთთან". ამ წინადადებას თავგამოდებით იცავდა ნიტტი. მოწინააღმდეგენი შიშს გამოსთქვამდენ, რომ ამ გზით შესაძლებელია ევროპას ბალშევიკური პროპაგანდა მოედოსო. ნიტტი უპასუხებდა, რომ არ უნდა მიეცეს საბჭოთა რუსეთს „აღკრძალული ხილის" ხასიათი, თორემ ეს უფრო საშიში იქნება ევროპის მშვიდობიანობისათვისო. მისი აზრით, ევროპა უნდა გაეცნოს რუსეთის ნამდვილ მდგომარეობას, რომ შემდეგში არავითარ საშიშროებას რუსეთის მხრივ ალაგი არ ექნეს. დაბოლოს გამარჯვებული ისევ ნიტტი დარჩა და კონფერენციამაც თავის რეზოლიუციას საფუძვლათ ლორდ კერზონის წინადადება დაუდო.

---

# სხვა და სხვა ამბები.

### დენიკინი ლონდონში.

დენიკინი ლონდონში იმყოფება. იგი მიუღია კიდეც ინგლისის სამხედრო მინისტრს. ამ შეხვედრას პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონია.

### მუსტაფა ქემალი.

მუსტაფა-ქემალმა, როგორც ანგორის ყრილობაზე არჩეულმა ცენტრალურ აღმასრულებელ მთავრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის თავმჯდომარემ, ბრძანება გასცა, რომ ლოცვის დროს მეჩეთებში აღარ მოიხსენიონ სტამბოლის სულთანი. ქემალის საწინააღმდეგოდ გასალაშქრებლად ფერიდ-ფაშის მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო.

## ს ო მ ხ ე თ ი.

„ტაიმს“ სან-რემოდან ატყობინებენ:

სომხეთის საკითხი გადაწყვეტილია, მანდატი მიეცემა რომელიმე ნეიტრალურ პატარა სახელმწიფოს, მაგრამ ნივთიერად ამერიკა უნდა დაეხმაროს სომხეთს. ეს სახელმწიფო ვრცელი იქნება, იგი მიაღწევს ვანის ტბას. მასშივე შევა არზრუმი. ტრაპეზუნდი ამ სახელმწიფოს არ მიეცემა. ამიტომ სომხეთისათვის, როგორც აგრეთვე საქართველოსთვის, კომერციულ პორტად იქნება ბათომი.

ამავე გაზეთში აპრილის 24-ს თარიღით შემდეგია მოთავსებული:

სან-რემოში საბოლოოდ გამორკვეულ იქმნა სომხეთის საზღვრები. სომხეთისათვის ეს საზღვრები ხელსაყრელია, თუმცა ტრაპეზუნთი არ მიეცემათ. რაც შეეხება ბათომს, უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ იგი საქართველოს გადაეცეს იმ პირობით კი, რომ საგანგებო უპირატესობანი მიენიჭოს იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ზღვაში გასავალი ესაჭიროებათ.

დაიკარგა გიორგი პლატონისძე კაჭახიძის პირადობის სურათიანი მოწმობა მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

365 (1–1)

---

დავკარგე პირადობის სურათიანი მოწმობა, მოცემული საქართველოს საკონსულოდან ბათუმში.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

კვირიონ ბ. ხოშტარია.

363 (1–1)

---

დაიკარგა პირადობის მოწმობა თედორე გაბრიელის ძე მეტრაველისა მიცემული უწერის თემის გამგეობისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

364 (1–1)

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ოთხშაბათი 2 ივნისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 600 მან. |
| 2 თვით | 400 მან. |
| 1 თვით | 200 მან. |

№372 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №372

## ქობულეთი.

როგორც გურია არის საქრისტიანო საქართველოს თაიგული, ისე ქობულეთი იყო სამუსლიმანო საქართველოს ვარდი. შედარებით შეგნებული, მარდი და გამჭრიახი, ქობულეთი სამართლიანად პირველობდა ჩვენში. სამშობლოს მოყვარული, მტრისა და მოყვრის მცნობი, ძმასთან ძმა და მტერთან მტერი, ის მარგალიტივით ბრწყინავდა სამუსლიმანო საქართველოს განაპირას. ბევრჯერ უნახავს მას შავი დღე, მარა შავ დღეებს ის ყოველთვის გმირულათ შებრძოლებია და არასოდეს სირცხვილი არ უჭამია. ბევრჯერ შემოსევიან მას მტრები, მოუნდომებიათ მის მკერდიდან სამშობლოს სიყვარულის ამოჭრა, მარა სამშობლოსათვის მას არ ულალატნია. ბევრჯერ ცდილან დაევიწყებინათ მისთვის მშობლიური ენა, მარა მას არ დავიწყნია ის ტკბილი ქართული, რომლითაც მის აკვანს მშობელი ნანას დამღეროდა. ბევრჯერ ცდილან ის მოღალატეთ გაეხადათ, მარა ქობულეთელი უმალ დანას ჩაიკრავდა გულში, ვინემ მის სამშობლო საქართველოს, მის ძმებს ულალატებდა.

და ყოველი ქართველი, ვინც უნდა ყოფილიყო ის, ქრისტიანი თუ მუსლიმანი, სამართლიანათ ამაყობდა ქობულეთელით. ყოველ ქართველს გულს სიხარულით უვსებდა ქობულეთის სივაჟკაცე, პურადობა, სამშობლოს სიყვარული, მჭერმეტყველება, სიმარდე და სიმალხაზე...

განა იფიქრებდა, ვინმე რომ ოდესმე ქობულეთი მოღალატის სახელს მიიკრავდა შუბლზე? განა აზრში გაივლებდა ვინმე, რომ ოდესმე ქობულეთი თავის უმგვანო საქციელით წაშლიდა თავის სასახელო წარსულს, თავის გმირულ ისტორიას და შექმნიდა ახალ ფურცელს თავის ისტორიისას, შავს ფურცელს, ფურცელს სამარცხვინოს, რომელზედაც საშვილიშვილოთ სამუდამოთ იქნება აღბეჭდილი: ძმის მოღალატე.

დიახ, ამას ვერავინ ვერ იფიქრებდა და ნურც იფიქრებს ნურავინ, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთი ქობულეთლები შეცდენ, ამისათვის მთელ ქობულეთს მოღალატის სახელს ვერ დავუძახებთ. შეცდენ პიროვნებები, მარა ხალხი არ შემცდარა. ზოგიერთი შეუგნებელი პირები ვერ გამოერკვენ რთულ მდგომარეობიდან, ერთობ ბევრი ეშმაკი შემოესია მათ და ვერ გაუძლეს ესოდენ ეშმაკთა შემოსევას.

ტვინქონიანმა ადერბეიჯანის ხანებმა არ მოასვენეს ქობულეთი. მათი აგენტებით გასჭედეს ყოველი კუთხე ქობულეთისა, გაუტენეს ოქროებით ჯიბე მოსყიდულ პირებს და აყვირეს: არ იქონიოთ ერთობა საქართველოსთანო. ამ ხანების განძრახვა იყო მთელი საქართველოს დაღუპვა სამუსლიმანო საქართველოსთან ერთად. ამ ხანების შავს გულში მუდამ ღალატი ბუდობდა. მათ ბევრჯერ უღალატეს საქართველოს და ახლაც განიძრახეს მათ ღალატით საქართველოს განადგურება. მოსყიდული აგენტების საშვალებით აიყოლიეს ზოგიერთი ქობულეთლები... და ჩაადენინეს ღალატი. ამ ხანებმა თვით თავის ხალხსაც ულალატეს და ადერბეიჯანში რუსები შემოიყვანეს. ამით მათ დაღუპეს ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა. ამიერიდან ადერბეიჯანი ისევ რუსეთის პროვინციად იქცა, რა გარემოებაც დიდათ ახარებს ადერბეიჯანში მყოფ რუსებს და ბათუმშიაც ბლომათ მოკალათებულ შავ-წითელ რუსის შოვინისტებს.

ამას გარდა ქობულეთლებს შემოსიენ ეშმაკათ იგივე რუსები. ესენიც ჩასჩიჩინებდენ ზოგიერთ შეუგნებლებს: ეცადეთ ქართველები არ შემოვიდენო. ამ რუსებმა კავშირი შეკრენ მოსყიდულ აგენტებთან და შეაგულიანენ შეუგნებელნი: თქვენ აჭარისტანის სახელმწიფო დაგიარსდებათო. რა უნდოდათ ამით ამ ვაჟბატონებს? ის, რომ სამუსლიმანო საქართველო ადერბეიჯანსავით რუსეთის პროვინციად გადაქცეულიყო.

ამას ზედ დაემატა ის, რომ ძლიერი ხელი აქაურ დღევანდელ ბატონებისა დიდის სიხარულით შეხვდა საქართველოს მოწინააღმდეგე ძალების ქადაგებას. ამ ხელისათვის დიდათ საჭირო შეიქნა ქობულეთლების გამოყენება და გამოიყენა კიდეც, ქესკინ ზადეები მარჯვენა ხელათ მოევლინა ამ ბატონებს და გუწყო საქმე.

აი, ასეთ საშინელ ინტრიგის მძიმე უღელს ქვეშ მოექცა ქობულეთი. და მან ვერ გაუძლო ამ ული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის სიმძიმეს. ის შეაცდინეს, მოატყუეს და მით სამუდამოთ ჩირქი მოსცხეს მას. მარა არა მთელს ქობულეთს, არამედ ქობულეთის იმ ნაწილს, რომელმაც ინება პროვოკატორების ანკესზე წამოგება და მით საუკუნოთ თავისი თავის შერცხვენა.

რთულ ინტრიგებში გახლართულმა ვერ გაიგო ქობულეთის ამ ნაწილმა, რომ მოსყიდული უვიცი პირები სასიკეთო გზაზე ვერ გამოიყვანდა სამუსლიმანო საქართველოს. ვერ გაიგო, რომ ვიღაც ბნელი, ყველასათვის უცნობი, შეუმჩნეველი, პატარა კაცუნები — ბალაძეები და ქესქინ ზადეები სახელმწიფოს როდის იყო, რომ სათავეში ედგენ; ვის გაუგონია ბალაძე ქესქინ ზადეების „სარდლობა!" ვის გაუგონია ამათი სახელმწიფო მოღვაწეობა!.. ან განა ესმით კი ამ უვიც პირებს რაა სახელმწიფო, რაა სამშობლო, რაა მამულისადმი მოვალეობა!.. მათ შეუძლიათ მხოლოდ ყვირილი, ჩვენი ქვეყნის დამღუპველთა აგენტობა...

ახლა კი, გარდა ორიოდე მოსყიდულ პირებისა, არ არის არც ერთი ქობულეთელი, რომელსაც არ ესმოდეს, რომ ისინი შეაცდინეს.

და ქობულეთი შესძლებს გამოისყიდოს მისი შეცდომა. ქობულეთი შესძლებს დაანახოს ყველას, რომ ის შეცდა, მარა მის შეცდომას გამოასწორებს. ის დაუმტკიცებს თავის სამშობლო საქართველოს, რომ ქობულეთი არ შეიტანს თავის ისტორიაში სამარცხვინო ფურცელს. ის დაამტკიცებს, რომ ქობულეთი ისევ ქობულეთად „ისევ მხნე, ისევ გულადი, მოყვარე თავის ერისა"... დაამტკიცებს, რომ ქობულეთი კვლავ ვარდია სამუსლიმანო საქართველოსი და კვლავ ერთგული შვილია თავის დედა-სამშობლო საქართველოსი.

---

## ახალი ამბები.

◆ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ ამა წლის 24 მაისის სხდომაზე დაიდგინა:

„საქართველოს ყველა ქვეშევრდომნი, რომელნიც დღეს მსახურობენ საბჭოთა ადერბეიჯანის დაწესებულებებში და უწევენ მას ამა თუ იმ დახმარებას საქართველოს წინააღმდეგ ომის წარმოებაში, გარდა კანონის წინაშე პასუხისმგებლობისა, გაძევებული იქნებიან საქართველოდან, ხოლო მათ ქონებას გაუკეთდება კონფისკაცია".

◆ 29 მაისს საღამოს 5 საათზე თფილისიდან პირველათ გავიდა მატარებელი ბაქოსკენ.

◆ დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიასთან არსებულ 26 მაისის მომწყობ კომისიის ჯილდოს მიმსჯელმა ჟიურიმ საავიაციო გუნდს მიუსაჯა 26 მაისის მეექვსე ჯილდო წარწერით: „ქართველი ერის უდიდესი დღესასწაულის — 26 მაისის დამშვენებისათვის".

◆ ყველის და ერბოს ქარხნების მიმღებმა კომისიამ ბორჩალოს მაზრაში უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა. კომისია ყოველ ზომებს ღებულობს, ყველის და ერბო-კარაქის გამოხდის საქმის განსავითარებლათ. კომისიაში შედიან მიწ. მოქ. მინისტრის საბჭოს წევრი ალ. კორინთელი, ამავე სამინისტროს რწმუნებული რ. გ. რამიშვილი, მესაქონლეთა წარმომადგენელი შ. ჯავახიშვილი და ერობათა — ბარტყულაშვილი.

◆ საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროს ცნობით ამ დღეებში მოსკოვიდან საქართველოში მოელიან საქართველოს დელეგაციას და მის თავმჯდომარეს გრ. ურატაძეს.

◆ 25 და 26 მაისს კახეთში დიდი სეტყვა მოსულა. დაზარალებულია ვენახები და ყანები.

◆ 29 მაისს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 122 უმუშევარი, კიდევ ჩაეწერა 20 კაცი და 3 ქალი. სამუშევარზე გაიგზავნა 2, ამავე დღეს ბირჟაში საჭირო იყო 9 სხვა და სხვა თანამდებობის პირი.

◆ 30 მაისს ქალაქის საავადმყოფოში იყო 78 ავადმყოფი.

◆ 30 მაისს, დღის 2 საათზე სასტუმრო „დვორცოვში" სიგიზმუნდ გინტენბერგს ოთახიდან მოპარეს 28 ათასი მანეთის სხვა და სხვა ნივთები და ფული. იჭვი მიიტანეს და დატუსაღებულ იქნა ს. ცხადაია.

◆ 28 მაისს დღით კარაპეტ კანზაკიანცის დუქნიდან მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები და ფული 50000 მანეთისა.

◆ 30 მაისს ინგლისის სერჟანტმა დაატუსაღა კოზმა დაშანიძე და კ. კარტულიძე, რომელთაც ადგილობრივი მთავრობის მიერ შემოწმებული პასპორტები არ აღმოაჩნდათ.

◆ დღეს 2 ივნისს ბათუმიდან იალტისაკენ გადის მატორიანი ნავი „ევსტრატი", რომელიც გაივლის ფეოდოსიაშიც.

◆ 4 ივნისიდან ქალაქის ფურნეებში პური გაიყიდება გირვანქა 20 მან.

## ნოე ჩხიკვაძე.

ნეტავ იმ მგოსანს, რომელიც დაიწვა ცეცხლის ზვირთებში და ბრძოლის ლიანდაგზე ერს დაუტოვა ქანდაკება უკვდავებისა... ნოე ჩხიკვაძე ჩაგრულთა და მაშვრალთა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ტეხილი იყო!..

ის ყვიოდა ჩაგრულთა თავისუფლებას...

მონათა საკანში იდგა საყვირით და ეძახოდა ყველას ბრძოლისკენ...

ქართულ პოეზიაში ნოე ჩხიკვაძე ხალხურ ანალიზის რეალისტი ქანდაკოსი იყო!.. ნოე ჩხიკვაძე ამ ქვეყნიურ სიამეთ მოკლებული, ნოე ჩხიკვაძე მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი მონურ ხანაში მღეროდა ძლიერ მეამბოხის ჰანგზე...

მისი ოცნება, მისი ნატვრა იყო მონობისაგან დახსნა მშრომელ ხალხისა, თავისუფლება ტყვეთ მყოფ სამშობლოისა... ნოე ჩხიკვაძე ხალხის სიმღერა იყო!

კერძო ცხოვრება ნოემ გაატარა ტანჯვა-ვაებაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკიდურეს ხელმოკლეობაში!.. ნოეს ლექსში სტრიქონები ცეცხლის ენით ლაპარაკობენ... ის მოუხმობს ბრძოლებისაკენ ერს და ჰღაღადებს:

თავისუფლების არწივნო,
ლომ-გულნო მშობელ ერისა, –
აღსდექით, მტერზე მასმინეთ
ხმა თქვენი აბჯართ ჟღერისა!
ყიჟინი დავცეთ ბრძოლის ველს,
ბუღი ავარდეს მტვერისა,
დუშმანს ვანანოთ სიკვდილით
დარბევა ჩვენის კერისა!
ერთხელ ვიყავ მგოსანი, ბრძოლის ცეცხლად ქცეული,
რღვევის ჭექა-ქუხილით ვძრავდი არემარესა.
შეურყეველ იმედით ვსვამდი ნაღველს მწარესა.

ნოე ცეცხლის მგოსანი იყო. მუდამ მოუსვენარი ახალგაზდა, ქარიშხლიანი. და რა მწარეა ასეთი ჭაბუკის ასე უდროოდ წასვლა. ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, ენერგიით ძლიერი, სურვილებით მდიდარი!...

მაგრამ ცხოვრების შავმა პირობებმა იგი წაართვა მშრომელთა ოჯახს...

ნოეს სიკვდილით ეროვნულმა პოეზიამ დაჰკარგა საუკეთესო მშვენება — ცეცხლის გვირგვინი... ნოე მკვნესართა და ტანჯულთა მესაიდუმლე იყო იმ თავიდანვე და განთავისუფლებულ დემოკრატიულ საქართველოში ის იწყებდა ახალ სიმღერას, განახლებულ ჰანგებით...

მაგრამ... აქ მოვუსმინოთ თვითონ მგოსანს სარეცელზე ჩავრდომილად მყოფს.

ლოცვით ვერ დავძლევ მწუხარებით შავსა ზმანებას!
ცრემლთა ჩანჩქერით ჭმუნვა ჩემი არ განელდება.
მე სიკვდილს ველი... ჩემს გარშემო ჟამი ბნელდება...
საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი
ბრძანებას...

ეს ლექსი დაუმთავრებელია, მაგრამ შუაში გაწყვეტილი სიმი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ჰგრძნობდა ნიჭით ძლიერი მგოსანი სასიცოცხლო ძალთა წართმევას...

ნოეს ცეცხლიანი მოუსვენარი პროფილი ბევრ რამეს ჰპირდებოდა მშობლიურ პოეზიას...

ნოეს წამებული სახე გაუთავებელ ძიებისაკენ მიილტვოდა. დემოკრატიას, სამშობლოს მყოფელობის თავის მკერდით მცველთ დიდხანს უმღეროდა ცეცხლიან ხმაზე!..

მწარეა მისი დაკარგვა... იყო სიცოცხლე და აღარ არის...

ნოეს შეწუხებული სახე მარადიულ ცეცხლის ქანდაკებათ დარჩება და ყოველთვის საჭირო ჟამს ნაპერწკლებს გადაისვრის ბრძოლის დასაწყებად...

ირ—დი.

# ხმა ქობულეთიდან

დამერწმუნეთ, ბატონებო, დამახინჯდა საქმე ჩვენში,
ძმამა ძმაი გაიმეტა, თოფი მოუმიზნა ყელში;
ჭკვიანი თუ შერეული – ყველა მოხთა იმა წრეში,
მტრებმა ძლიერ გაიხარენ, თევზი ჰპოვეს მღვრიე
წყლებში...

რესპუბლიკა დავაარსეთ, რა თქმა უნდა,
– კვირიკეში,
„სარდლებს“ სწავლა მიუღიათ ადგილობრივ
ქობულეთში;
დიპლომატები გამოდის კეჭიეთის ფაკულტეტში,
მებრძანდით და იქეიფეთ მუდმივათ იმ სამოთხეში.

მეზობლებო, გაიღვიძეთ, აგი ყველას გვევალება,
ძმებთა შორის სირცხვილია გავაკეთოთ ღალატობა,
უპურმარილო ყოფილან, – აგი ნუ დაგვებრალება,
იმისთანებს ნუ იკადრებთ, რაც რომ კაცს არ
ეკადრება...

გაჭირვებულს მოგვეშველენ, მოვიგონოთ
ქართველობა,
აჭარა მათ გამოიხსნეს, ამის ვარი არ ითქმება,
მტრებს ძლიერ იამებათ ჩვენი ქვეყნის დამონება,
უფსკრულისკენ მიჰყავთ იმათ ჩვენი გზა და
ჩვენი ნება.

ლექსის წერას შევუდექი, არ დავწერო – არ იქნება,
სამშობლოს თუ დავივიწყებთ, იცოდეთ რომ არ
გვექნება,
სულ ერთბაშათ დავიღუპვით, კაცი ვერ მოგვეხმარება,
ისტორია შავათ დაგვწერს, აროდეს არ წაიშლება.

ეშმაკის გზაზე დავმდგარვართ, ეს არის
ჭეშმარიტება?
ფეხქვეშ გავსრისოთ ღალატი, ერთმანეთის
შური, მტრობა;
გამოვიდეთ ბრძოლის ველზე, დავამტკიცოთ
მკვიდრი ძმობა,
ჩვენი ქვეყნის ორგულები ადრე ხმალზე აეგება.

ადგილობრივი.

# პატარა ფელეტონი.

### დიდათ ნასწავლი, შეხვეული მკლავები და ტვინში სარ-ნა კრავენი.

მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ მკითხველი საზოგადოება დიდათ დამწუხრებული იყო ესოდენ ჩემი დუმილით. მე ულრმესად დარწმუნებული ვარ, რომ „სამუსლიმანო საქართველოს“ რედაქციის ურიცხვი მკითხველი საზოგადოება აწყდებოდა ყოველდღე და ეკითხებოდა: სად არის ბ-ნი ჩიბუხი, რად

სდუმს ის, რატომ მოგვაკლდა მისი მეცნიერული წერილები, იქნებ გონონარი ვერ მიეცით მისი დიდი ნიჭის შესაფერიო?*)

მე ბოდიშს ვიხდი რედაქციის წინაშე, რომ ჩემი დუმილის გამო მას შეკითხვებით მკითხველები მოსვენებას არ აძლევდენ. ბოდიშს ვიხდი აგრეთვე ურიცხვ მკითხველთა წინაშე, რომ ჩემმა დუმილმა ისინი იძულებულყო ჩემს შესახებ ყოველ დღე რედაქციას შეკითხოდენ. მე იმედი მაქვს მკითხველი საზოგადოება დაკმაყოფილდება, როცა ესოდენ ჩემი დუმილის მიზეზს გაიგებს.

მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: მოგეხსენებათ, რომ ბალშევიკებს დიდათ მოსწონთ საბჭოთა რუსეთის წესწყობილება. ყოველ ფეხის გადადგმაზე მესმოდა მე აქ პროფ. კავშირთა კრებებზე: გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, ბათუმის ოლქში უნდა დამკვიდრდეს საბჭოთა რუსეთიო, საბჭოთა რუსეთმა უნდა გაანთავისუფლოს მონობისაგან ყოველი სულიო და სხვა ასეთები. ბევრი ვემუდარე ამ მყვირალ ყმაწვილებს: კაცო, რაკი ასე მოგწონთ საბჭოთა რუსეთი, რაკი იქ სამოთხე ყოფილა და საქართველოში ჯოჯოხეთი, ძმავ, მიბრძანდით იმ სამოთხეში, — მეთქი, — მარა ფეხიც კი არ მოიცვალეს აქედან. მაშინ ავდექ მე თითონ და გიახელით საბალშევიკეთში. უნდა გამოვტყდე, ძლიერ წამძლია სამოთხეში თავის ამოყოფის სურვილმა. წაველ და რაც მე იქ გადამხდა, ამის შესახებ შემდეგში მოველაპარაკები მკითხველებს. მანამ კი მოვახსენებ იმას, თუ რა გადამხდა იქედან აქ მოსვლის შემდეგ.

როცა ჩოლოქს გამოვსცილდი, მეზობელმა ჩაილაპარაკა: დამოუკიდებელ აჭარისტანში შევედითო. მეორემ თითქო ამის პასუხათ თქვა: დალოცა ღმერთმა დიდი ნიჭი, დიდი სწავლა და უდიდესი შეგნება ყოვლად განათლებულ ადამიანის — ხუსეინ-ბეგ ბიბინ-ზადესი, რომელიც დამოუკიდებელ აჭარისტანის დაარსების საქმეს სათავეში ჩაუდგა და ყოვლად მოხერხებულათ, შეგნებულათ და ყოჩაღურათ დაარსა კიდეც დამოუკიდებელი აჭარისტანიო.

ფიქრებმა წამილეს. ჩავლუნე თავი და ვფიქრობდი: ვინაა ეს ხუსეინ-ბეგ ბიბინ-ზადე, რომელიც დიდათ ნიჭიერი, დიდათ ნასწავლი, დიდათ შეგნებული, დიდათ მოხერხებული და ყოჩაღი ყოფილა, რომელსაც დამოუკიდებელი აჭარისტანი არა თუ პროექტში ქონია, დაუარსებია კიდეც. მით უფრო ჩამაფიქრა ამ ამბავმა, რომ მე ვიცნობდი ერთ ხუსეინ-ბეგ ბიბინ-ზადეს, რომელსაც არავითარი დიდი ნიჭი არა აქვს, არც არავითარი სწავლა აქვს, არც არავითარი შეგნება და არც არავითარი სიყოჩაღე. ის ხუსეინი არა თუ დამოუკიდებელ აჭარისტანს, დამოუკიდებელ სოფელ ერგესაც კი ვერ დაარსებდა... მაშ რომელი ხუსეინია ეს დიდათ ნიჭიერი, დიდათ ნასწავლი და სხ. გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ ლაპარაკია სწორედ იმ ხუსეინზე, რომელსაც მე კარგად ვიცნობ და რომელმაც ხეირიანათ წერა-კითხვაც კი არ იცის. როცა ჩემ მეზობლებს მე ეს მოვახსენე, არც ერთმა არ დამიჯერა — შენ, როგორც ჩანს, რაღაც მტერობა გქონია მისიო, — მითხრეს; თორემ სხვას აბა ვის შეეძლო დამოუკიდებელი აჭარისტანის დაარსება, თუ არა ხუსეინ-ბეგს, რომელსაც წყალსავით ქონია გათავებული პარიჟის უნივერსიტეტი, ბერლინის უნივერსიტეტი, ინგლისის უნივერსიტეტი, ისპანიის უნივერსიტეტი, იტალიის კონსერვატორია და ამერიკის აკადემია... მოვისმინე რა ეს, საჭიროთ ვცანი დამემატებია: აგრეთვე აკადემია ერგე-ჯოჭოს მეთქი.

ლაპარაკში უკვე ქობულეთს მივადექით. მატარებელი გაჩერდა. ჩემი ყურადღება მიიქცია ოთხმა ქობულეთელმა, რომელთაც მკლავზე ნარმის ნაჭერი ქონდათ შემოხვეული და რომელნიც ამაყად მიდი-მოდიოდენ პლატფორმაზე.

ვიკითხე მიზეზი მკლავების შეხვევისა.

ერთმა ქობულეთელმა, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა, ჩაფიქრებული კილოთი მითხრა:

— ყანას თესავდენ, ხარები გაექცათ, გამოედევნენ და როცა ღობეზე უნდა გადამხდარიყვენ, ღობის სარი მოხვდათ მკლავში. აი ამიტომ აქვთ შეხვეული მკლავებიო.

— როგორ მოხდა, რომ ოთხივეს სარი ერთ და იმავე ალაგას მოხვდა? — შევეკითხე გაოცებულმა.

ჩემს მოსაუბრეს სიცილი წასკდა, ის წამოდგა, კარებისაკენ გაემართა და წაილაპარაკა:

— უკეთესი იყო სარი მკლავში მოხვედროდათ, უბედურება ისაა, რომ მაგათ სარი ტვინში მოხვდათ და მას მერე შერეული არიანო.

ვერაფერი გავიგე, მატარებლიდან გადმოვედი და ამბის გასაგებათ ქობულეთში დავრჩი.

რაც გავიგე, ისტორიას არ მოვაკლებ.

ჩიბუხი.

*) რედაქცია ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საქვეყნოთ აცხადებს, რომ ბ-ნი ჩიბუხის დუმილის შესახებ რედაქციას არც ერთი სულიერი არსება არ შეკითხებიან.

რედ.

---

## ტრედ-უნიონების წარმომადგენელნი საქართველოში.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ინგლისის ტრედ-უნიონების და მუშათა წარმამადგენლები, რომელნიც ბოლშევიკურ რუსეთის გასაცნობად არიან მოსკოვში ჩასულნი, აპირებენ საქართველოში ჩამოსვლას. სხვათა შორის მათი მიზანია გაცნობა აქაურ ინგლისელთა საოკუპაციო ჯარის და სარდლობის მოქმედებისა.

---

## ოსმალეთმა ზავზე ხელი მოაწერა.

როგორც დეპეშები იუწყება, ოსმალეთის დელეგაციას მოკავშირეების მიერ წარდგენილ საზავო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობებზე ხელი მოუწერია.

სომხეთის რესპუბლიკის შესახებ საზავო პირობები ასეთია:

ოსმალეთი სცნობს სომხეთს როგორც თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

სომხეთსა და ოსმალეთს შორის საზღვრები ტრაპიზონისა, ერზერუმისა, ბითლისისა და ვანის ვილაიეტებში გამორკვეულ იქნება ვილსონის მიერ.

სომხეთს უნდა მიეცეს ზღვაზე გასავალი ტრაპიზონის ვილაიეტში. განსაკუთრებითი პირობებით დაცულ უნდა იქნეს ნაციონალურ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები სომხეთის ახალ სახელმწიფოში.

---

დაეკარგა ხუსნი ბუიუკს პირადობის სურათიანი მოწმობა აღებული საქართველოს რესპუბ. ბათუმის საკონსულოდან. №2018–1920.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

371 (1–1).

---

დაიკარგა პეტრე ფილიპესძე დგვეფაძის პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან. №3369–1920 წ. და წევრობის მოწმობა ბათუმის ქართველთა ეროვნულ საბჭოში.

ჩაითვალოს გაუქმებულად.

375 (1–1).

---

დაიკარგა სიო ლევანისძე სიხარულიძის პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან და იმავესაგან მიცემული მოწმობა საკონს. სამხ. აღარიც. უფროს. გამოც. შესახებ.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

376 (1–1)

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

შაბათი 5 ივნისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქარი". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 600 მან. |
| 2 თვით | 400 მან. |
| 1 თვით | 200 მან. |

№375 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №375

## ფარსის გმირები.

მთელი ბათუმის ოლქი, რამოდენიმე პირთა გამოკლებით, მოუთმენლად მოელის თავის დედა-სამშობლო საქართველოსთან გაერთიანებას. ბათუმის ოლქის მცხოვრებთა მეტად დიდი უმეტესობა, არა ნაკლებ 95 პროცენტისა, ქართველ მუსლიმანებისაგან შესდგება, ბათუმის ოლქი საქართველოს განუყრელი და განუყოფელი ნაწილია. ეს იცის ყველამ, იცის მტერმა და მოყვარემაც. ამას ვერ უარყოფს ვერავინ. მარა მაინც ცდილობენ ჩვენი მტრები, ჩვენი ქვეყნის დამონავების მსურველები, რომ ბათუმის ოლქი მოსწყდეს დედა-სამშობლო საქართველოს და მით ის გადაიქცეს უცხოთა საჯიჯგნათ, უცხოთა კაპიტალის სათარეშო მოედნათ.

დღეს ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ ის ზოგიერთი პირები, რომლებიც საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგებიან, უცხოელების მიერ მოსყიდულნი არიან. მათ დავალებული აქვთ შექმნან ილლიუზია, მოჩვენება, რომ თითქო ბათუმის ოლქის მცხოვრებლები წინააღმდეგნი არიან საქართველოსთან ერთობისა. დღეს ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ეს პირები უცხოელების აგენტებია, ჩვენი ქვეყნის გამყიდველებია.

ქობულეთის და ჭვანის ისტორია ხელოვნურად შექმნილია. ამით იმედოვნებენ ჩვენი ქვეყნის დამონავების მსურველები, რომ მოკავშირეებს მოაჩვენებენ, თითქო ბათუმის ოლქის მცხოვრებთ არ სურთ საქართველო. მარა საქართველო ბუშმენების ქვეყანა არაა, რომ აქ შექმნილი მდგომარეობა სისწორით ვერ გააცნოს მოკავშირეებს და მთელი ქვეყნის დემოკრატიას.

ქობულეთის და ჭვანის ზოგიერთ მცხოვრებთა მოსყიდვა არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ბათუმის ოლქის მცხოვრებლები ასეთივე მოსყიდულები იყვენ. და რაგვარი ოსტატობითაც არ ცდილობდენ საქართველოს მტრები საქართველოს დაჩაგვრას, თავის მიზანს ისინი ვერ მიაღწევენ. ბათუმი და ბათუმის ოლქი, როგორც ნაწილი საქართველოსი, გადაეცემა საქართველოს. ქობულეთის და ჭვანის ისტორია ვერ შესძლებს საქართველოს სასიცოცხლო ინეტერესების ფეხქვეშ გათელვას. ყაჩაღ პაიჭაძისა და სხვა ყაჩაღების თარეში საქართველოს ვერაფერს დააკლებს. და თუ ვინმე ფიქრობს, რომ პაიჭაძეების მეოხებით, პაიჭაძეების დაქირავებით საქართველოს ბათუმის ოლქს და ქალაქ ბათუმს ჩამოაშორებს, ის ძლიერ ცდება.

საქართველოს ებრძოდა დენიკინი, ბალშევიკები, სომხები, მარა საქართველო გაუმკლავდა მათ და თავის ქვეყნის თავისუფლება გმირულათ დაიცო. საქართველოს უღალატა ადერბეიჯანმა, ის წითელი და შავი ბრბოებით თავს დაესხა საქართველოს საზღვრებს, მარა საქართველოს ჯარმა ეს ბრბოები გარეკა და თვით ადერბეიჯანის საზღვრებში შეიჭრა. საქართველოს ბევრი მტერი დაესია, მარა ამ მტრებმა ვერაფერი დააკლეს მას.

და თუ საქართველო გაუმკლავდა დენიკინს, ბალშევიკებს, სომხეთს, ადერბეიჯანს, ის ყაჩაღ პაიჭაძეებს ვერ გაუმკლავდება?!. ქესქინ ზადე-პაიჭაძეები შესძლებენ განა საქართველოს დაძლევას?!

ეს საქართველოს მტრებმაც კარგად იციან. იციან, რომ ყაჩაღი პაიჭაძეები საქართველოს ვერ დაძლევენ, მარა პაიჭაძეებს ისინი ამოქმედებენ შემდეგი მზაკვრული მიზნით: როგორც ვთქვით, ამ მტრებს სწადიათ მოაჩვენონ ევროპას, რომ თითქო ბათუმის ოლქის მცხოვრებლები საქართველოს თოფებით ხვდებიან.

მარა პაიჭაძე-ქესკინზადეები ბათუმის ოლქის მცხოვრებლებს არ შეადგენენ. ევროპა ამას გაიგებს და ის ფარსი, რომელსაც აქ თამაშობენ და რომლის უმთავრესი როლები ყაჩაღ პაიჭაძეებს და ქესკინ-ზადეებს ჩააბარეს, გაქრება როგორც საპნის ბუშტი.

ეს რომ ასე მოხდება, ამის იჭვი არავის არ უნდა ქონდეს. მარა ჩვენ მაინც გვაკვირვებს ერთი გარემოება: საქართველოს ის მტერი, რომელიც ყაჩაღ პაიჭაძეებს ათამაშებს, ნუ თუ მართლა სერიოზულათ ფიქრობს, რომ ამით ის საქართველოს რამეს დააკლებს?!.

საქართველო დაიცავს თავის საარსებო ინტერესებს და ფარსის დამწერი კი აქაც და სხვაგანაც მხოლოდ და მხოლოდ ფარსის უმთავრეს გმირად დარჩება. მას მის მოქმედებათა ისტორიაში გვერდს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმშვენებენ ყაჩალი პაიჭაძეები და „სარდლები“ ქესკინ-ზადეები. რაკი მას ასე სწადია, ღმერთმა ნუ მოაკლოს ასეთი მეგობრები.

## ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

სარწმუნოთ გადმოგვცემენ, რომ სოფ. ჭვანაში თავმოყრილი „სედაი მილეთელთა“ ბანდები ქართველ ჯართან შეტაკებაში საგრძნობლათ დამარცხებულა. მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ძალათ გაყავთ ქართველ ჯართან საბრძოლველათ, მათი რიცხვი ყოველდღე კლებულობს და დამარცხებებით თავდება. „სედაი მილეთელთა“ რაზმს უმთავრესად არა ადგილობრივნი შეადგენენ. არიან უმთავრესად თურქის აფიცრები, რუსები, სომხობა და საქართველოდან გამოქცეული ყაჩაღები. მათ გვერდში ამოუდგა ადგილობრივი ყაჩაღებიც ცნობილ ბაიკოზოღლის და სხვათა მეთაურობით. ამ გარემოებამ ერთხელ კიდევ ცხადყო მათი ბნელი განძრახვები, ხალხი დარწმუნდა, რომ ოსმალეთიდან დევნილი თურქი აფიცრობა, გადამთიელი სომხები და ყაჩალთა ბრბოები ჩვენს ხალხს ვერავითარ ბედნიერებას მოუტანებენ. მათ არც ყანა აწუხებთ, არც ბაღჩა, არც ჩვენი ხალხის რაიმე სიკეთე. მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იბრძვიან და ამ მიზნით სურთ აიყოლიონ მშვიდობიანი მცხოვრებლებიც. ამიტომაც ეწინააღმდეგებიან ბათუმის ოლქში ქართველი ჯარების შემოსვლას, რადგან მშვენივრათ იციან, რომ ქართველი ჯარების ჩვენში შემოსვლა ბოლოს მოუღებს ყაჩაღებისა და უცხოელთა თავგასულობას. ბოლოს მოუღებს ჩვენი ქვეყნის დაპყრობის მსურველთა ბნელ განძრახვებს. ეს უკვე შეიგნო ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, შეიგნო და „სედაი მილეთლებს“ ერთხმად კიცხავენ, მათთან მონაწილეობაზე უარს აცხადებენ.

4 ივნისიდან ქალაქის ფურნეებში გირვანქა პურს 20 მანეთად ყიდიან. პური თეთრია და ზოგიერთ ფურნეებში კარგათაც აცხობენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირველ ნომერ ფურნეში თითქმის ყოველთვის ნაკლები ხარისხის პური ცხვება, მიუხედავათ იმისა რომ ფქვილი ერთი და იგივეა. ეს გარემოება მცხოვრებლებში დიდ უკმაყოფილებას იწვევს, განსაკუთრებით იმათში, რომელთაც მხოლოდ ამ ფურნიდან უწევთ პურის მიღება და სხვა ფურნეებზე მიწერა ვერ მოუხერხებიათ. საჭიროა სასურსათო თვითმართველობამ დროზე მიიღოს ამის შესახებ საჭირო ზომები.

კვირას 6 ივნისს საკრებულო დარბაზში გაიმ. დიდი ქართული სამხიარულო საღამო შემდეგი პროგრ: „მონანნალეები“ ვოდევილი 1 მოქ. აწყურელისა. II. „უბედური დღე“ ვოდ. 1 მოქ. მ. ბალანჩივაძისა. III. დივერტისმენტი სცენები. ლექსები, კუპლეტ. და სხვა. IV. ცოცხალი სურათები 1. ამირანი. 2. განთავისუფლებულ საქართველოს გაუმარჯოს. 10% მთელ შემოსავლიდან გადადებულ იქნება ქართველ მეომართა სასარგებლოთ. ბილეთების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

სამშაბათს, პირველ ივნისს საღამოს 7 საათზე შესდგა პარიკმახერთა საზოგადო კრება. კრებამ აირჩია გამგეობა ხუთი კაცისაგან. არჩეულ იქნენ: ვ. ხანთაძე — (თავმჯდ). ვ. რუხაძე — (თავმჯ. ამხ.). რუგალენკო— (მდივ.) აროშიძე — (მოლარე) და აშკანიზი. პოფესიონალურ კავშირთა საბჭოში წარმომადგენლათ არჩეულ იქნენ ვასილ ხანთაძე და ა. ანდღულაძე.

3 ივნისს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 94 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 40 კაცი და 5 ქალი. სამუშევარზე გაიგზავნა 3 უმუშევარი. ამავე დღეს ბირჟაში საჭირო იყო 8 სხვა და სხვა თანამდებობის პირი.

კვირას, 6 ივნისს ბათუმიდან გადის გემი „დონეცი“, რომელიც გაივლის ფოთში, ოჩამჩირეში და სუხუმში. გემზე მიიღება მგზავრები და ტვირთიც.

## საბჭოთა რუსეთი და საქართველო.

### (საუბარი ამხ. გრ. ურატაძესთან).

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ამ დღეებში მოსკოვიდან დაბრუნებულ ამხ. გრ. ურატაძეს, რომელმაც 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას რუსეთთან.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე:

— როგორ შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელნი საქართველოს მხრით საზავო წინადადებას — ამხ. გრ. ურატაძემ უპასუხა:

— მე სწორედ მაშინ მივემგზავრებოდი მოსკოვისაკენ, როდესაც საბჭოთა ჯარები დენიკინის ლაშქარს ეკატერინოდარის და ნოვოროსიისკის რაიონებში ანადგურებდნენ. ამ ადგილებში გავლის დროს მე მოწმე გავხდი დენიკინის უკან დახეულ და შემდეგ საბჭოთა ჯარის დიდი ძალების განუწყვეტელი მოძრაობისა და ამიტომ, თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში ჩემი მგზავრობა, განსაკუთრებით როსტოვამდე, მეტათ გაძნელებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ მიუხედავათ ამისა, საბჭოთა ძალაუფლების ადგილობრივი წარმომადგენელნი, როგორც კი გაეცნობოდნენ ჩემი მოგზაურობის მიზანს, განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდნენ, რათა შეძლებისა დაგვარად გაეადვილებიათ და დაეჩქარებინათ ჩემი მგზავრობა მოსკოვისკენ. საბჭოთა ყველა პასუხისმგებელი მოღვაწე, რომლებთანაც გზაში მიხდებოდა შეხვედრა, ჩემს მისიას აშკარა თანაგრძნობით ეგებებოდნენ და ყოველგვარ დახმარებას მიწევდნენ. როსტოვში შემთხვევით შევხვდი დასავლეთ ფრონტის სარდალს საბ. რუსეთის ცენ. ალმ. კომიტეტის წევრს სოკოლნიკოვს, რომელიც სამარშრუტო მატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არებლით მიემგზავრებოდა მოსკოვში. გაიგო თუ არა როსტოვის რევკომის წარმომადგენლისაგან სოკოლნიკოვმა ჩემი მისია, მან განკარგულება გასცა, რომ ჩემთვის ცალკე ვაგონი მიებათ მისი მატარებლისათვის. ამან საშუალება მომცა მოსკოვამდე ამ დროისათვის სულ მოკლე ხანში ჩასვლისა.

მოსკოვში ჩამოსვლის მეორე დღესვე მე ვინახულე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი და მისი მოადგილე კარახანი, რომელთაც გავაცანი ჩემი მისია და რწმუნებანი. ჩემს წინადადებას ისეთის თანაგრძნობით შეხვდნენ, რომ მეორე დღესვე შესაძლებელი გახდა არსებითად მოლაპარაკების დაწყება.

პირველ სხდომაზედვე გამოირკვა, რომ ორივე მხარეს გულწრფელად სურს ზავის ჩამოგდება და არც ერთი მხარე არ აპირებს მეორე მხარის ინტერესების ან დემოკრატიულ ზავის ძირითად პრინციპების საწინააღმდეგო მოთხოვნილებათა წამოყენებას. ასეთი, ორივე მხრით საერთო შეხედულების გამორკვევის შემდეგ, სავსებით შესაძლებელი იყო რამდენიმე სხდომაზე მოლაპარაკების დამთავრება და საზავო ხელშეკრულების პირობათა შემუშავება.

ეს ხელშეკრულება, რომლის სრული ტექსტიც ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული თფილისში, სრულიად განსხვავდება ყველა სხვა ხელშეკრულებათაგან, სწორედ იმით, რომ იგი აშენებულია მტკიცე დემოკრატიულ პრინციპებზე.

ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავდნენ, როგორც საბჭოთა პრესა, ისე რუსეთის ყველა სხვა დემოკრატიული წრეები.

საქართველოსთან ზავის ჩამოგდების გამო „პრავდა“ სხვათა შორის სწერდა: „7 მაისს ხელი მოაწერეს ზავს, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ჩამოვიდა პატარა „ჩემოდანით“, ინახულა ამხ. ჩიჩერინი, მოილაპარაკეს და 2-3 სხდომის შემდეგ ზავი შეკრეს. საქართველოს წარმომადგენელმა მოაწერა ხელი საზავო ხელშეკრულებას და უკანვე გაემგზავრა, აი, რას ნიშნავს, როდესაც დემოკრატიებს გულწრფელად სურთ ზავი, რა ადვილად და ჩქარა გამოიძებნება საერთო ენა“.

საქართველოსთან ზავის დადებას თანაგრძნობის წერილი უძღვნა, „ბედნოტა“-მაც.

განსაკუთრებულ თანაგრძნობით შეხვდნენ ზავს მოსკოვის მუშათა წრეები.

მე ვიყავ რამდენიმე უბანში, სადაც მუშებმა ჩემდამი დიდი თანაგრძნობა გამოხატეს, წრფელი სიხარული გამოსთქვა ზავის ჩამოგდების გამო. მათ აგრეთვე დიდათ აინტერესებდათ ის, თუ რა ხდება ჩვენში და მარვალ კითხვებს მაძლევდენ საქართველოს მდგომარეობის, ჩვენი ცნობილი პარტიულ მოღვაწეთა, როგორც მაგ, ჟორდანიას, წერეთელის და ჩხეიძის და სხ. შესახებ.

მე რასაკვირველია, ვცდილობდი შეძლებისდაგვარად დაწვრილებით გამეცნო მოსკოვის წრეებისათვის ჩვენში საქმის გარემოება. სამწუხაროდ, რუსეთში ჩვენ შესახებ ან არაფერი იციან, ან კიდევ — თუ აქვთ რაიმე ცნობები, სრულიად დამახინჯებული და ყალბი. ჩემი დაწვრილებითი ცნობებისათვის ჩვენი მუშაობის, ჩვენი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის და ჩვენში გატარებულ რეფორმების შესახებ პირველათ არ სურდათ დაეჯერებინათ — იმდენათ მოწამლულია რუსეთის დემოკრატიულ წრეების საზოგადოებრივი აზრი ჩვენს შესახებ ყალბი ინფორმაციით. მათ იმის დაჯერებაც კი არ სურდათ, რომ ჩვენში მოხდენილია მემამულეთა მიწების კონფისკაცია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ზავის ჩამოგდების შემდეგ, როდესაც ჩვენსა და რუსეთს შორის ცოტად თუ ბევრად ნორმალური ურთიერთობა დამყარდება და რუსეთის პოლიტიკურ წრეებს შეძლება მიეცემათ მიიღონ სწორი ინფორმაცია ჩვენს შესახებ, მაშინ გაიფანტება იმ სიცრუისა და სიყალბის ატმოსფერა, რომელშიაც გახვეულია დემოკრატიული რუსეთის საზოგადოებრივი აზრი; ეს ყოველ ეჭვს გარეშე, გააძლიერებს ეხლანდელ რუსეთის ჩვენდამი სიმპატიებს და ხელს შეუწყობს მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებას ჩვენ ხალხთა შორის.

ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მოვათავსებთ ამხ. გრ. ურატაძის ნაამბობს საბჭოთა რუსეთის მდგომარეობის შესახებ.

(„ე–ა“)

## მესხეთს.

ისტორიულად ნაქებო,
მესხეთო, ტურფა მხარეო,
შოთა რუსთაველის მშობელო,
გამოიღვიძე მალეო.
შოთას სიტყვები ეხლაც ჰქუხს:
მესხეთო გაიხარეო...
სიმართლის მზემა ანათოს,
მოჰფინოს ჩვენი არეო.
თამარ მეფისა ნაშენი
ციხე აქ ბლომათ დგანაო,
ის მოწმობს ჩვენსა წარსულსა,
დედამ რომ გვითხრა ნანაო.
ხელს გვიწვდის დედა-სამშობლო:
– ჩემო სულიკო ნენაო,
მოდი და გულში ჩამეკარ,
არ მეგეყაროს სნებაო.
ყორნებს კი ლაზვრათ ესობად
დედის ეს ტკბილი სიტყვები
და ყოველ ღონეს ხმარობენ
შევიქნეთ კვალათ მონები.
დაძრწიან ყოველ სოფელში,
უვიცნი, მოქრთამულები,
მტრებს გვერდში ამოდგომიან,
ჩაუჯიბავენ ფულები.
ოჯახს გვინგრევენ, სამშობლოს
განადგურებას ლამობენ,

მტერები ფერხულს უვლიან,
ჩვენი წვალებით ხარობენ.
განა არ გვეყო ცრემლები,
განა არ კმარა გოდება?
რომ დღესაც არ გვასვენებენ,
ავსული აღარ გვშორდება...
ისტორიულათ ნაქებო,
მესხეთო, ტურფა მხარეო,
მოთა რუსთაველის მშობელო,
გამოიღვიძე მალეო.

ხასან თხილაიშვილი.

## „ტანი" საქართველოს შესახებ.

ფრანგული გაზ. „ტანი"-ს 9 მაისის ნომერში მოთავსებულია წერილი ერთ-ერთ რედაქტორის ბ-ნ პ. ჟანტიზონისა, რომელიც ამას წინად ჩვენს ქვეყანაში იყო: მოგვყავს ამ წერილიდან ზოგიერთი ალაგები.

„როდესაც რუსეთის იმპერია დაეცა, იწყებს ჟანტიზონი, და ლენინ-ტროცკის პოლიტიკამ შეარყია სახელმწიფოებრივი შენობა, ბევრი წვრილი ერები გამოეყვენ რუსეთს და დაიწყეს დამოუკიდებელი ცხოვრება. ზოგიერთები მაშინვე ცნობილ იქნენ და შევიდენ ხალხთა ოჯახში, ხოლო ზოგიერთის დამოუკიდებლობა ჯერ მხოლოდ „დე ფაკტოთ" არის ცნობილი. ამათ რიცხვს ეკუთვნის საქართველოც, შემდეგ ავტორი სწერს: საქართველო ის მხარეა, რომელსაც დასავლეთის დემოკრატიამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. გეოგრაფიულ ადგილ მდებარეობის თვალთახედვით საქართველოს დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო წონასწორობისათვის. საქართველო და ადერბეიჯანი წარმოადგენენ ერთ ყელს, რომელიც აზიასა და ევროპას აკავშირებს. სავაჭრო მიზნებისათვის ეს ყველაზე უფრო მოკლე გზაა ხმელთა შუა ზღვის რაიონისა და ცენტრალურ აზიას შორის.

პოლიტიკურის მოსაზრებით ეს არის ახალი სახელმწიფო ორ კონტინენტს შორის, რომელიც ხელს უშლის მოწინააღმდეგე იმპერიალისტურ ძალთა შეტაკებებს. საქართველო ეხლაც დიდ მისსიას ასრულებს, როდესაც ხელს უშლის ბალშევიკებს შეუერთდნენ ოსმალეთის ნაციონალისტებს და მით მინიმუმამდე დაიყვანონ მოკავშირე დემოკრატების გამარჯვება. როგორც არ უნდა იყოს, საქართველოს რესპუბლიკა მომავალში, მოწოდებულია შეასრულოს დიდი პოლიტიკური და ეკონომიური როლი.

შემდეგ ჟანტანზონი ეხება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანების საკითხს და ამბობს: ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ხშირად ადარებენ შვეიცარიას. ასეთ შედარებას არავითარი მოსაზრება არ ამართლებს. შვეიცარიაში თუ ფრანგული, იტალიური და გერმანული კულტურა დაახლოვებით განვითარების ერთ დონეზე სდგას, — კავკასიაში არაფერი ამის მსგავსი არ არის: აქ კულტურასთან, განვითარებულ ხალხების გვერდით თქვენ მოხვდებით ისეთ ხალხებს, რომლებიც მეტათ ჩამორჩენილნი არიან და ჯერ კიდევ აზიურ ფანატიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. რუსეთის დაშლას, რომელიც დესპოტიზმის ჯარებით აკავშირებდა ამ ხალხებს, — ბუნებრივათ ის მოყვა, რომ ეს ხალხები დასცილდენ ერთმანეთს, ამასთანავე, საქართველოს სახელმწიფო, დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ეწევა სახელმწიფოებრივ მუშაობას, იჩენს დიდ უნარს, აწარმოებს უანგარო და მშვიდობიან პოლიტიკას და იჩენს ისეთ სიმტკიცეს, რაც ხაზგასმით უნდა იქნეს აღნიშნული. შემდეგ ჟანტიზონი ეხება საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ დენიკინისა და ბალშევიკების საფრთხეს და განაგრძობს: ამ მხრივ რესპუბლიკის მდგომარეობა შესაძლებელია ტრაღიკული გახდეს. მაგრამ ის ნაციონალური აღტყინება, რასაც ქართველები იჩენენ სახელმწიფოებრივ მუშაობის დროს, იმედს იძლევა, რომ საქართველო უვნებლათ გამოვა ამ განსაცდელისაგანაც. ასევე სწამს ბ-ნ ნოე ჟორდანიასაც, — ათავებს ჟანტინოზი, რომელმაც ჩემთან საუბრის დროს განაცხადა: „თუ ჩვენ შევინარჩუნებთ ერთსულოვნებას და უზრუნველყოფილნი ვიქნებით სურსათ-სანოვაგითა და იარაღით, — ამ შემთხვევაში ჩვენ მტკიცეთ ვიდგებით ჩვენს ალაგზე".

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის 2 ივნისის ნომერში სწერია: „30 მაისს, დღის 2 საათზე სასტუმრო „დვორცოვში" სიგიზმუნდ გინტენბერს ოთახიდან მოპარეს 28 ათასი მანეთის სხვა და სხვა ნივთები და ფული. იქვე მიიტანეს და დატუსაღებულ იქნა ს. ცხადაია".

მართალია ამგვარ ბოროტმოქმედებას მართლა ჰქონდა ადგილი და მეც დამატუსაღეს, მაგრამ საქმის გამოძიების შემდეგ, როგორც უდუნაშაულო პირი, გამანთავისუფლეს. დატუსაღებული მხოლოდ ორ სამ საათს ვიყავი.

პატივისცემით **ს. ცხადაია.**


## კბილის ექიმები

### მიხეილ და მინა მენაღარიშვილები

ღებულობენ დილის 9—1 და საღამო 4—6 საათამდის გარდა კვირა-უქმედღეებისა. აკეთებენ პლომბებს და ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე, აგრეთვე არჩენენ ღრძილების ავათმყოფობას. ვლადიკავკავის ქ. №9

საკუთ. სახლი.

№386 (12—1)

დაიკარგა ერმილე ნესტორისძე შუბლაძის სურათიანი პირადობის მოწმობა მიცემული ღანირის თემის საზოგადოების კომისრისაგან, შემოწმებული საქ. რესპ. ბათუმის საკონსულოდან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№381. (1–1)

---

ლავრენტი გაბრიელისძე ლეჟავას დაეკარგა პირადობის სურათიანი მოწმობა აღებული საქ. რეს. ბათუმის საკონსულოდან 9 დეკემბერს 1919 წ. №9881 და მეტრიკული ამოწერილობა დაბადებისა 1902 წ. დეკემბერს 17.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№382. (1–1)

---

ილიკო გიორგისძე ბელეშაძე აცხადებს რომ მან იპოვნა ერთი კიპი გაზეთის ქაღალდი. პატრონს თხოვს გამოცხადდეს კანონიერი საბუთით ქაღალდის მისაღებათ. მისამართი: მეორე სანაპირო ქუჩა №68

383. (1–1)

---

ივაკიმე კალისტრატე უშვერიძეს დაეკრაგა სურათიანი პირადობის მოწმობა აღებული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

№384. (1–1)

---

დაიკარგა შალვა გრიგორისძე დვალიშვილის პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპუბლიკის ბათ. კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

385. 1–1

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ოთხშაბათი 9 ივნისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, მუხლევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოგზავნეთ შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ.", რედაქციას.

ხელის მოწერა ფასი: ბათუმის ოლქში:

3 თვით ........................ 600 მან.
2 თვით ........................ 400 მან.
1 თვით ........................ 200 მან.

№378 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №378

## რესტორან „რაზსვეტთან" გაიხსნა საზაფ. რესტორანი-ბაღი

## „ამქვეყნიური სამოთხე"

პეტროგრადის ქ. №99.

რესტორანში ყოველ დღე მოიპოვება ნაირ-ნაირი საჭმელები და სასმელები, როგორც ადგილობრივი ისე საზღვარგარეთელი ფირმებისა.

ყოველ დღე უკრავს სპეციალურათ თფილისიდან მოწვეული სტრუნის აზიური ორკესტრი ზაზანდარი ბ-ნ. **მურადოვის** ხელმძღვანელობით.

389 (7–3)

## ვის საქმეს უწყობენ ხელს ჩვენი ქვეყნის გამყიდველები.

ის, რაც ქობულეთში და ჭვანა-ხულოს რაიონში მოხდა, რაც უცხოელების მიერ დაწერილი კომედიაა და ჩვენთვის კი საშინელი ტრაგედია, არის თუ არა ჩვენი ხალხის ფართო მასის მიერ თანაგრძნობით შემოსილი? ფართო მასსა ბათუმის ოლქისა იზიარებს თუ არა ზოგიერთ მოსყიდულ პირთა საქციელს?..

ჩვენ ვიცით, რომ ძლიერ სურთ მოაჩვენონ ევროპას, რომ თითქო ბათუმის ოლქის მცხოვრებნი ახლოსაც არ იკარებენ საქართველოს, თითქო თვით ხალხი ბათუმის ოლქისა ამდგარიყოს საქართველოს წინააღმდეგ. მთელი მოქმედება მზაკვრული ხელისა სწორეთ აქეთკენ არის მომართული. მას სურს შექმნას ილიუზია, მოჩვენება, რომ თითქო ბათუმის ოლქი აჯანყდა საქართველოს წინააღმდეგ.

მართალია ეს?

მოსყიდულ პირებს სრული თავისუფლება მიანიჭეს აქ საქართველოს წინააღმდეგ პროპაგანდა-აგიტაციის გაწევისა, დიდი ხანია აამოქმედეს აქ საქართველოს წინააღმდეგ დენიკინელები, ოსმალეთის ფაშების ემისრები, ადერბეიჯანის აგენტები. ამ ვაჟბატონებს ზოგს მართვა-გამგეობის სადავე გადასცეს (დენიკინელებს), ზოგს სრული თავისუფლება მისცეს ექადაგათ ბათუმის ოლქის ოსმალეთზე გადაცემა (ფაშების და ადერბეიჯანის აგენტებს). საქართველოს მტრები კარგად ხედავდენ, რომ ოსმალეთს ბათუმის ოლქს არავინ მისცემდა. ხედავდენ, რომ ერთად-ერთი სერიოზული პრეტენდენტი ბათუმზე და ბათუმის ოლქზე — ეს ის ქვეყანაა, რომლის განუყრელ და განუყოფელ ნაწილს შეადგენს ბათუმის ოლქი. ეს ქვეყანა საქართველოა, რომელმაც გასაოცარი ენერგია და უნარი გამოიჩინა თავის არსებობის დაცვისა, რომელმაც არავის არ მისცა საშვალება მისი ინტერესების გაქელვისა. და შეეცადენ, ყოველი საშვალება იხმარეს, რომ ბათუმის ოლქის მცხოვრებთ უარი ეთქვათ საქართველოზე. ამისათვის გამოიყენეს დენიკინელები, ბალშევიკები, ადერბეიჯანის და ფაშების აგენტები. მარა სასურველ მიზანს ვერ მიაღწიეს. პროპაგანდა-აგიტაციის საშვალებით ვერას გახდენ: ხალხი ყოველგან მოითხოვდა საქართველოსთან ერთობას, ხალხის მიერ არჩეულმა მეჯლისმა ეს არა ერთხელ და ორხელ დაამტკიცა.

და მიმართეს სხვა საშვალებას. მიმართეს შეიარაღებულ ბანდებით თავის განძრახვის სისრულეში მოყვანას, აამოქმედეს თვითმპყრობელობის სამსახურში გამოჭახრაკებული რეაქციონერები, აამოქმედეს იონინები, რომელთაც გამოანახვინეს ავანტიურისტები, თავის ქვეყნის გამყიდველები... ეს გამყიდველები ფულებზე დიდი სიამოვნებით გაჰყიდიან არა თუ ბათუმის ოლქს, მთელ ქვეყანასაც კი, თუ ვინმე მყიდველი გამოჩნდა. მყიდველი მზათ იყო ეყიდა ამ პირთაგან ბათუმის ოლქი და აი ყიდულობენ კიდეც ჩვენ მშვენიერ მხარეს. სან-რემოში საქართველოს დელეგაციამ ზიზღით უარყო ბათუმის ოლქის სომხეთზე მიყიდვა, სამაგიეროთ თვით ბათუმის ოლქში გამოჩნდენ ავანტიურისტები, რომლებმაც ფულზე გაჰყიდეს ჩვენი ხალხის ინტერესები...

ამ ვაჟბატონებს ოქროებით გაუტენეს ჯიბე და დაავალეს ბანდების შედგენა საქართველოს რაზმების საწინააღმდეგოთ. მოსყიდულმა პირებმა მშვენივრად გამოიყენეს ერთი გარემოება:

1918 წელში, როცა ოსმალეთი თავის დასალუპავათ ადერბეიჯანელ ხანების რჩევით საქართველოსა-

კენ დაიძრა და ოზურგეთს შეესია, ზოგიერთი მცხოვრებნი ქობულეთის და ჭვანის რაიონებისა შეცდენ და ოზურგეთიდან ურმებით გამოზიდეს ყველაფერი, რის გამოზიდვაც შეიძლებოდა. აი, ამ რაიონის მცხოვრებთა შორის დატრიალდენ მოსყიდული პირები... მათ გასწიეს აგიტაცია, რომ „თუ საქართველოს შეუერთდა ბათუმის ოლქი, თუ ქართველი ჯარები შემოვიდენ აქ, იმ პირებს, რომლებმაც 1918 წელში ოზურგეთიდან სხვა და სხვა ნივთები მოიტაცეს, — აუცილებლათ ჩამოაღრჩობენო. და თუ ჩამოხრჩობა არ გინდათ, შევებრძოლოთ ქართველ ჯარებს, ჩავჯდეთ თხრილებში, ბრძოლაც არ მოგვიწევს, ამის შემდეგ თვით ინგლისელები მოითხოვენ საქართველოს ჯარის გაყვანასო“...

და აი, ქობულეთის და ჭვანის იმ მცხოვრებლებმა, რომლებმაც 1918 წელში მართლა გაძარცვეს ოზურგეთი, დაუჯერეს მოსყიდულ პირებს და არჩიეს იარაღის ხელში აღება, ვინაიდან უამისოთ მათ, მოსყიდული პირების სიტყვით, ჩამოხრჩობა მოელოდათ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველო შურს არ იძიებდა იმ პირებზე, რომლებიც შეცდენ. საქართველომ დავიწყებას მისცა 1918 წლის შავბნელი ამბები.

მარა მოსყიდულებმა მოატყუეს ზოგიერთები, რომ მათ ჩამოხრჩობა მოელოდათ.

სწორედ ამ რაიონებიდან იშოვეს მოსყიდულმა პირებმა ამყოლნი. დაუნიშნეს მათ ჯამაგირები, მიაზიდვინეს მათთვის ავტომობილებით ტყვია-წამალი, თეთრი პურის ფქვილი და ჩააჯინეს ისინი თხრილებში.

აი ვინ არიან საქართველოს წინააღმდეგნი. აი რომელი ნაწილია ბათუმის ოლქისა საქართველოსთან ერთობის მოწინააღმდეგე. ესენი არიან მოსყიდული პირები და 1918 წელს ოზურგეთის გამძარცველნი...

ამ პირთა საშვალებით სურთ მოაჩვენონ ევროპას, რომ თითქო ბათუმის ოლქის მცხოვრებნი საქართველოს წინააღმდეგნი არიან. ამ პირთა გარდა მთელი ბათუმის ოლქი საქართველოსთან ერთობის მსურველია. მარა ხალხი ხედავს, რომ ამ პირთ მხარს უჭერს ძლიერი ხელი და უმწეოდ მიგდებულ ხალხს არ ძალუძს მოღალატეებს თვით შეებრძოლოს, ვინაიდან მაშინ ძლიერი ხელის რისხვის ეშინიათ.

ასეთია ის კომედია, რომელსაც ათამაშებენ აქ მოსყიდულ პირებს. ასეთია ის „ბათუმის ოლქი“, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ აამხედრეს. თუ რა სურთ ამით, ეს ხომ ყველა ჩვენგანისათვის ცხადია: ამით სურთ საქართველოს მიაღებინოს ის პირობები, რომელიც სან-რემოში წარუდგინეს, ესე იგი მიაღებინონ ბათუმის ოლქში სომხეთის შემობრძანება. და აი ამას უწყობენ ხელს ჩვენი ქვეყნის გამყიდველები...

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები.

ამ დღეებში ყარსიდან ბათომში ჩამოვიდა 1600 ლტოლვილი ბერძენი. 7 ივნისს კიდევ ჩამოვიდა იმავე ოლქიდან 1500 კაცი. აღნიშნული ლტოლვილები გემ „ნავიხო“-თი სალონიკში წავლენ. სამშობლოში დაბრუნების ნება დაერთო მხოლოდ იმ ლტოლვილ ბერძნებს, რომლებიც სომხეთში იმყოფებოდენ. ლტოლვილ ბერძნების სამშობლოში გაგზავნის შესახებ მუშავობს სპეციალური კომისია, რომელიც უმთავრესად ბერძნებისაგან შესდგება.

ბათუმის ბერძენთა შკოლის პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა გამონახოს აღნიშნულ სკოლისათვის ახალი შენობა, რომელშიაც უფრო უკეთ მოხერხდება მეცადინობა, ვიდრე იმ შენობაში, რომელშიაც ამჟამად არის აღნიშნული სასწავლებელი მოთავსებული.

კერჩიდან მოსულ მეთევზეებმა ბათუმში შეიძინეს დიდძალი ბადე. მათი გადმოცემით კერჩში დიდი ნაკლებობა ყოფილა თევზების საჭერი ბადეების.

ბათუმის ბაზარზე დიდძალი შაბიამანი დაგროვდა. ფასები სხვებთან შედარებით ნაკლებია. ვაჭრების სიტყვით საზღვარ გარეთ ამჟამათ უფრო მეტ ფასში ყოფილა შაბიამანი ვიდრე ბათუმში.

საადრესო სტოლში პასპორტების შემოწმებაში იხთევინებიან ას მანეთს. ვისაც დასახელებულ ადგილზე შემოწმებული პასპორტი არ აქვს, ატუსაღებენ. ამიტომ ყოველდღე აუარებელი ხალხი არის იქ თავმოყრილი და უცდიან რიგს. ხშირათ 4-5 საათს უწევთ რიგში ყურყუტი.

თფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას აუწყებენ, რომ თფილისში ამ მოკლე ხანში მოელიან დიდძალ საქონელს, რომელიც სასურსათო განყოფილების აგენტებმა იყიდეს იტალიურ ფირმა „ვალაცი“-საგან. საქონელში იქნება უმეტესი ნაწილი ფეხსაცმელები და მანუფაქტურა, რომელიც შეფასების შემდეგ დაუყონებლივ დაურიგდება სასურსათო განყოფილების მაღაზიებს მცხოვრებლებზე იაფ ფასებში მისაწოდებლად.

მომარაგების სამინისტრო უცხადებს თავის ულრმეს მადლობას სადგურ-ბათუმის უფროსს, მოქალაქე ყაზახაშვილს იმ დაუღალავ შრომისთვის, რომელსაც ეწევა ის მომარაგების სამინისტროს საქმის გამო. შრომისა და მომარაგების მინისტრი ერაძე.

ქალაქის თვითმართველობის სანიტარულ განყოფილების გამოკვლევით მაისის თვის განმავლობაში ქალაქში პარტახტიანი ტიფით ავათ გამხდარა 49 კაცი. მათ შორის 23 ყოფილა ადგილობრივი მცხოვრები. ყვავილით ავათ გამხდარა 17 კაცი, ამათგან ადგილობრივი მცხოვრები ყოფილა 13. შებრუნებითი ტიფით მაისის თვის განმავლობაში ავათ გამხდარა 10. ამათ შორის ადგილობრივი მცხოვრები მხოლოდ ერთი კაცი ყოფილა. ეროვნების მიხედვით მაისის თვეში შებრუნებითი ტიფით ავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდა 9 რუსი და 1 თურქი. გარდა ამისა კიდევ ავად გამხდარა დივტერიტით — 1, სკარლატინით — 1, მუცლის ტიფით — 1, და სხ. მაისის თვის განმავლობაში დეზინფექცია 49 გაუკეთებიათ შენობისათვის.

სანიტარულ ზედამხედველს ბაზარზე ჩამოვლის დროს უვარგისათ უცვნია: 2 ფუთი და 20 გირ.ხორცი, 2 ფუთი და 25 გირ. თევზი, 15 გირ. ქართოფილი, 25 გირ. მარწყვი და სხ.

სადგ. ქობულეთში ღამით სამტრედიიდან მომავალ მატარებელში ყოველ დღე შემოდის ინგლისელი აფიცერი, რომელიც ყველა მგზავრებს თხოვს პირადობის მოწმობებს. მას უკან მოყვება სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა. ეს უკანასკნელნი მგზავრებს უშინჯავენ ჯიბეებს. ჩვენ გადმოგვცემენ, რომ ამის გამო მგზავრებში დიდი უკმაყოფილება სუფევს, ვინაიდან ხშირათ ეკარგებათ ფულებიც.

12 ივნისს ბათუმიდან კერჩისაკენ გადის გემი „წმ.ნიკოლოზი". გემზე მიიღება მგზავრები და ტვირთიც.

7 ივნისს დატუსაღებულ იქნა გლაზუნოვი, უდროო დროს ქუჩაში გამოსვლისათვის.

ამავე დღეს დაატუსაღეს მეეტლე ნიკ. გორდაძე და ვ. ლაითაძე, რომლებსაც ღამით ეტლზე სანთელი არ ჰქონდათ ანთებული.

---

## ქართული დრამატიული სტუდიის გასტროლები.

7 და 8 ივნისს რკინის თეატრში დანიშნულია თბილისის ქართული დრამატიული სტუდიის გასტროლები.

ყველა, ვინც კი ოდნავათ დაინტერესებულია ქართულ ხელოვნებით, კარგად ხედავს თუ რა უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი დრამატიული ხელოვნების საქმე.

ქართველ მსახიობს მუდამ მატერიალურად ხელმოკლეს, მუდამ შიმშილში და სილატაკეში მყოფს, არ შეეძლო მთელი თავისი ენერგია, მთელი თავისი ნიჭი და არსი მიეცა საყვარელ საქმისათვის. ის გაორმაგებული იყო. ის იძულებული იყო უწინარეს ყოვლისა ეფიქრა იმაზე, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. და თუ ის სასმელ-საჭმელის მხრივ არ იყო უზრუნველყოფილი, რა საკვირველია თუ ის არასოდეს არ ყოფილა კოხტად, ლამაზათ, კოპწიათ გამოწყობილი... ისე როგორც შეშვენის მსახიობს... ხელოვნების უმშვენიერესს დარგის მსახურს.

და რა თქმა უნდა, რომ ქართველ მსახიობს თავისუფალი დრო არ ქონია თავის ინტელექტუალურ განვითარებისათვის. ამას კიდევ ხელს უწყობდა ქართულ ორიგინალურ დრამატურგიის სილატაკე... ნათარგმნ პიესებზე განვითარებული, გაუმჯობესებული მსახიობი კი ძნელი წარმოსადგენია.

მიუხედავათ ზემოთ მოყვანილ და სხვა კიდევ მრავალ დამაბრკოლებელ მიზეზთა, რომელიც მუდამ თან დასდევდა ქართველ მსახიობს, მან მარად დიდი თუ დაუფასებელი ღვაწლი დასდო თავის სამშობლოს.

იმ ქარცეცხლში და ჯოჯოხეთურ ატმოსფერაში, რომელსაც წარმოადგენდა საქართველოს უკანასკნელ ასი წლის ისტორია, ქართველმა მსახიობმა, მუდამ დაუკმაყოფილებულმა თავის უწმინდესს უსაჭიროოეს სურვილებში, მაინც გაატარა და ჩვენ დრომდის მოატანა შეურცხვენლათ, შეუბღალავათ იდეა სცენიდან ხალხის სამსახურისა, ხალხის განვითარებისა.

და თუ საქართველოს უკანასკნელ წლების ტრაღიკულ ისტორიაში იყო სამწუხარო მაგალითები, როდესაც ესა თუ ის ქართული ნაციონალური დაწესებულება ან ორგანიზაცია რუსეთის ჟანდარმულ რეჟიმის წყალობით სწყვეტდა, დროებით მაინც, თავის მოქმედება-არსებობას — ქართული სცენა, როგორც მბჟუტავი ლამპარი, მუდამ ჩაუქრობელი იყო და თავის მადლიანი სხივებით ნათელს ჰფენდა ქართველის გულს, მწარე აწმყოთი დასევდიანებულ-დაკოდილს.

ქართველი მსახიობი კი ვითარცა მოციქული წინასწარმეტყველებდა მომავალ თავისუფლებას, მომავალ ბედნიერებას თავის ერისას.

იმის ხმა სუსტი შეიძლება ფიზიკურად, ძლიერი იყო იმედით, რომელსაც აძლევდა ის თავის საყვარელ, დაუძლურებულ ერს.

და დღეს, როდესაც ყოველი დარგი საქართველოს გაქართულებულ ცხოვრებისა, ეძლევა თავისუფალ განვითარება — წინ მსვლელობას და თუ დღეს არა, მომავლისათვის მაინც უჩანს კეთილი პირი — სცენა, ქართული სცენა უნუგეშო, უიმედო მდგომარეობაშია.

მან მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე, მან არ ჩაგვიქრო იმედი და სურვილი განთავისუფლებისა, ისტორიულ უფლებისა, ისტორიულ უფლებების აღდგენისა და დღეს, როდესაც ყველა ის რასაც სცენა და მსახიობი რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში ჩაგვჩიჩინებდა, ბრწყინვალედ აღსრულდა, ის როგორც ობოლი გადგა განზე და ჩვენ კი უდიდესი ბედნიერებით გატაცებულნი ვერ ვხედავთ იმათ, ვისაც ამ ბედნიერებაში, ამ ბედნიერების შეძენა-მოპოებაში დიდი და საპატიო მონაწილეობა მიუღია.

მოქალაქენო! უნდა აღსდგეს ქართული სცენა და ქართული მსახიობი. განთავისუბლებულ, მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს სხეულში, ყოველი ნაწილი, ყოველი ატომი უნდა მიეცეს თავისუფალ განვითარებას.

--------

7 და 8 ივნისს რკინის თეატრში დანიშნულია თბილისის ქართულ დრამატიულ სტუდიის გასტროლები.

გ.კ.

---

# „წითელ“ ადერბეიჯანში.

(გაზეთებიდან).

### განჯის ამბების გარშემო.

განჯაში ბალშევიკური მთავრობის გაბატონება შემდეგ პირობებში მოხდა: ქალაქის გამგეობის სამართველოსთან გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგში 200-მდე სული იღებდა მონაწილეობას — უსაქმური ხალხი და ქუჩის ბიჭ-ბუჭები, ახლად დანიშნული ქალაქის კომისარი ალიევი ორკესტრით გაემართა საპყრობილეებისაკენ და გაანთავისუფლა პოლიტიკური დამნაშავენი. 4 მაისიდან ქალაქში იწყო შემოსვლა საბჭოთა ჯარის მე-32 დივიზიის მე-11 არმიის ნაწილებმა, განსაკუთრებით ქვეითა ჯარმა (ცხენოსნები უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდენ). თვითეულ რაზმში 500-მდე ჯარის კაცია, — ჩამოხეული და ფეხშიშველი. ჯარის კაცები უმთავრესად 18-19 წლიანი არიან, შეხვდებით ბავშვებს 15-16 წლიანებს. ჯარის შეიარაღება ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა სდგას, თოფები დაჟანგულია, არა აქვს ხიშტები, ზუმპა და სხვ. ზოგიერთი თოფის ლულა გადაჭრილია, კონდახები ჩამოჭრილი უშნოთ, ეტყობა თვითონ ჯარისკაცის მიერ. განჯელები წინ შეეგებენ საბჭოთა ჯარებს: ყველას აინტერესებდათ ენახათ ეს გმირები, რომლებმაც დენიკინი და კოლჩაკი დაამარცხეს, მაგრამ საბჭოთა ჯარების, ღონემიხდილ ჩამოხეულ ჯარის კაცების ნახვამ იმედი გაუცრუვათ განჯელებს. შემოსვლისთანავე ბალშევიკებმა იწყეს ზრუნვა ჯარის დაბინავებაზე; მოახდინეს რეკვიზიცია სხვადასხვა დაწესებულების ჯარის შტაბებისთვის და „ჩრეზვიჩაიკისთვის“. რეკვიზიციამ ფართე ხასიათი მიიღო. იყო შემთხვევა, რომ მოქეიფე აფიცერთა ერთ-ერთ „კამპანიამ“ მოსთხოვა დიასახლისს მოეყვანა თავისი ქალები მათთან დროს გასატარებლათ. მოახთინეს ცხენების ეტლების, ზედმეტ საცვლებისა და ტანისამოსის რეკვიზიცია. ბალშევიკებმა დაიჭირეს ცეიხგაუზები, იარაღებისა და საარტილერიო საწყობები, დაიწყეს ჩხრეკა; ჩხრეკის დროს მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებოდათ — ბრინჯი, ქიშმიში, შაქარი, ასანთი და მანუფაქტურა. უცებ გირვანქა ფხვნილი შაქრის ფასი 500 მანეთამდე ავიდა, ხოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ ქალაქში არ იშოვებოდა არც შაქარი და არც ქიშმიში. ცხოვრება საათობით ძვირდებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით რუსი მუშები, რომლებიც სიხარულით მოელოდნენ ბალშევიკებს, იძულებული გახდენ ამ ნიადაგზე აჯანყებულიყვენ. ამავე დროს ბაქოში გირვანქა პური უკვე 100 მან. ღირდა. განჯაში ბალშევიკებმა დახურეს რესტორანები, სასტუმროები და სხვ., რის გამო ბევრი მუშა-მოსამსახურე უალაგოთ დარჩა. ხალხში უკმაყოფილება თანდათან იბადებოდა; ბალშევიკები შეურაცყოფას აყენებენ მეჩეთს, ყურანს, ალლახს — ყველაფერ იმას, რაც მუსულმანებისათვის წმინდათა წმიდას შეადგენს. ამიტომ აშკარა გამოსვლა ბალშევიკების წინააღმდეგ ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო, 20 და 22 მაისს ადერბეიჯანელ შიხინსკის რაზმის 4 ჯარისკაცი მიდიოდა თავიანთ ყაზარმებისაკენ. გზაზე მათ გაჩხრეკა მოუნდომეს რუსმა ჯარისკაცებმა. ისინი გაიქცნენ ყაზარმებში და შეატყობინეს ყველაფერი თავიანთ ამხანაგებს. რაზმი მაშინვე გამოვიდა, თავს დაესხა ბალშევიკების რაზმს, მოუკლა მას 90-მდე კაცი და წაართვა 4 ზარბაზანი. ამრიგათ უკმაყოფილება თანდათან პოპულიარული ხდებოდა. ბალშევიკებმა ვერ შეასრულეს თავიანთი დაპირება, რომ ისინი არ ჩაერეოდენ ადერბეიჯანის შინაურ საქმეებში. ბალშევიკების მიერ დაყენებული ადგილობრივი მთავრობა ყველაფერში ემორჩილება რუსეთის ბალშევიკებს. ხშირათ ადერბეიჯანის მთავრობის განკარგულებები უქმდება რუს ბალშევიკების განკარგულებით. მუსულმან მცხოვრებებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ქართ. აფიცრების დაპატიმრება განჯაში და ყაზახეთში. შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდებოდა იმით, რომ ქართველებს ატყვევებენ, როგორც მოღალატეებს და გამყიდველებს, რაც მუსულმანებს ვერ წარმოედგინათ. მთელი უკმაყოფილების დაგვირგვინებით შეიძლება ის აჯანყება ჩაითვალოს, რომელიც განჯაში 25 — 26 მაისს ღამით მოაწყვეს ადერბეიჯანელმა გლეხებმა და ასკერებმა. აჯანყებული იყო 5 ათასამდე შეიარაღებული მუსულმანები, რომელთაც შეუერთდა განჯის გარნიზონი. აჯანყებულებს მიზნათ ჰქონდათ დასახული ბალშევიკების განჯაში დამარცხება, შემდეგ ყაზახისაკენ გადასვლა და შეერთება ადერბეიჯანის ჯარებთან ყარაბახში.

მნახველთა შთაბეჭდილებები ასეთია: საბჭოთა ჯარები მივიდენ ადერბეიჯანში იმ მიზნით, რათა გაეტანათ რუსეთში ყველაფერი, რაც კი მოსახერხებელი იქნებოდა. საქართველოზე თავდასხმა ვერ მოახერხეს. ამ ფრონტებზე მათ ბევრი დანაკლისი იგემეს. ამას ბალშევიკები იმით ხსნიან, რომ ქართველები ჯერ არ არიან მომზადებული კომუნისტურ წესწყობილებისათვის. გარდა ამისა, ბალშევიკები შემდეგის ახსნით ინუგეშებენ თავს: ამბობენ, — არ უნდა ვიმოქმედოთ იარაღით გლეხებისა და მუშების წინააღმდეგო.

---

# მოლაპარაკება რუსეთთან და ნორვეგია.

გაზეთი „ნოვაია ციურიხ. გაზ.“ იტყობინება: ოფიციალურ ფინურ ცნობების თანახმად ფინლიანდიასა და საბჭოთა რუსეთს შორის მოლაპარაკება შეწყდა იმიტომ, რომ ორივე მხარე მტკიცედ სდგანან თავიანთ მოთხოვნილებებზე და სრულიადაც არა აქვთ სურვილი ერთი მეორეს რაიმე დაუთმონ. საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა, რათა მოხსნილი ყოფილიყო ფინეთის ყურეს ბლოკადა: ფინლიანდიამ შეასრულა ეს მოთხოვნილება, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მაგრამ მოსკოვის მთავრობა ამან არ დააკმაყოფილა. ფინლიანდიის პრესა დიდ მღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლვარებაშია იმის გამო, რომ ნორვეგიას სურვილი განუცხადებია ჩაერიოს რუსეთ-ფინლიანდიის მოლაპარაკებაში. ოფიციალურ ცნობების თანახმად ნორვეგიის მთავრობის თხოვნით მიუმართავს ჩიჩერინისათვის, რათა ნორვეგიის წარმომადგენელი დაშვებულ იქნეს რუსეთ-ფინლიანდიის საზავო მოლაპარაკების დროს, როგორც ერთ-ერთი მონაწილე.

---

ექვთიმე გიორგისძე ხაბურძანია აცხადებს, რომ მას 5 ივნისს დაეკარგა საფულე, რომელშიაც იყო სხვა საბუთებთან ერთად პირადობის სურათიანი მოწმობა, აღებული საქ. რესპ. ბათუმის საკონსულოდან, უვადო პასპორტი მიცემული ბათუმის პოლიცმეისტერისგან, 27,500 მან. დონის და 4,000 მან. ქართული ფული, მნახველს თხოვს ფული დაიტოვოს და საბუთები დაუბრუნოს ფოსტით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მოწმობები ჩაითვალოს გაუქმებულად. მისამართი: ღვინის სარდაფი „კავშირთა კავშირის“ განყოფილებისა, აჭარის ქუჩა №18.

394. (1–1)

# საექიმო ცნობები.

### მიხეილ და მინა მენაღარიშვილები

ღებულობენ დილის 9–1 და საღამო 4–6 საათამდის გარდა კვირა-უქმედღეებისა. აკეთებენ პლომბებს და ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე, აგრეთვე არჩენენ ღრძილების ავათმყოფობას. ვლადიკავკავის ქ. №9. საკუთ. სახლი.

386. (12–3)

---

## ექიმი მ.ს .მუჯირი.

იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილის 8 – 9 საათამდის და საღამოს 4 – 6 საათ. ბათუმის ვაგზალი, ბინა №3.

390 (24–2)

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

შაბათი 12 ივნისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 600 მან. |
| 2 თვით | 400 მან. |
| 1 თვით | 200 მან. |

№381 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №381

## განცხადება.

### სასტუმრო „რაზსვეტში" მოიპოვება ნაირ-ნაირი სასმელები

როგორც ადგილობრივი ისე საზღვარ გარეთელი ფირმებისა, არის სუფთათ მორთული ოთახები და კაბინეთები.

ახლად შეძენილ **რესტორან-ბალში,**

### „ამქვეყნიური სამოთხესთან"

მოეწყო მარანი, სადაც თიხის ქურებიდან პატ. საზოგადოებას შეუძლია მიიღოს ცივი, საუკეთესო ხარისხის ღვინოები. ყოველ დღე მზადდება აზიური საჭმელები.

უკრავს თფილისიდან მოწვეული აზიური ორკესტრი ზაზანდარი

389. (1–4)

## გასტრონომიული მაღაზია რ. ბ. გოფოძისა

ბათუმი, დონდუკოვო-კორსაკოვის ქ. და მარინეს პროსპექტის კუთხე.

### მიღებულია:

ახალი პარტია ორაგულის, ზურგიელი და დოში, ფასი გირვ. 150 მანეთიდან, საუკეთესო ხიზილალა და სხვა და სხვა თევზეულობა კაროპკებითაც, სარდინები და მწვანილეულის კონსერვები, ძეხვები კაპჩონი და ახალი, რძე კაროპკებში, კონსერვიული შოკოლადი და სხვა ტკბილეულობა. მიღებულია აგრეთვე დიდ-ძალი ღვინოების საუკეთესო ფირმებისა და საუფლისწულო მამულებიდან, აგრეთვე უცხოეთიდგან ლიქიორები, კონიაკები, შამპანიური. იყიდება წვრილათ და პარტიობითაც.

ფასები ყოველივეზე ხელმისაწვდომია.

405. (10–2)

## კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

### „კ ა ხ ე თ ი".

ბათუმის განყოფილება, ოგლობჟინის ქუჩა, №32, ტელ. 47.

იყიდება საუცხოვო ხარისხის კახური ღვინოები ხელმისაწვდომ ფასებ. უკონკურენციოთ.

კახელ მევენახეთა კოოპ. საზ. წარმომადგენელი.

პატივისცემით **ამბაკო კონსტანტინესძე ნადარეიშვილი.**

404. (24–2)

## იაფ-ფასიანი სასადილო „ე დ ე მ ი".

მზადდება ყოველგვარი ევროპიული და აზიური საჭმელები ახალი სანოვაგისაგან. სადილი პურით ღირს 100 მანეთი. მოიპოვება აგრეთვე სხვა და სხვა სასმელები, როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთელი ფირმებისა. უკრავს სიმებიანი ორკესტრი. არის სუფთა, სრული და მყუდრო კაბინეტები.

მისამართი შეპელევის ქუჩა №38.

პატივისცემით **ი. თადიობაძე და ბ-რია.**

402. (10–2)

## ბურუსი იფანტება.

ხმებია, რომ ამ დღეებში მოსალოდნელია ბათუმის ციდან იმ ბურუსის გაფანტვა, რომელიც კარგა ხანია რაც აუტანელ ატმოსფერას ქმნიდა აქ და ბათუმის ოლქს უფსკრულის პირად აყენებდა. ის ინტრიგა, რომელიც აქ გააჩაღეს და რითაც საქართველოს საარსებო ინტერესებისათვის ლახვარის ჩაცემას ლამობდენ, ისტორიის წიაღში ჩასვენებას აპირებს. მართალია ისტორიის ფურცლები ვერასოდეს ვერ დაავიწყებენ ოსტატურად მოწყობილ „აჯანყებებს", ვერ დაავიწყებენ აქ გაბმულ ქსელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიაც ჩვენი არსებობის, ჩვენი აწმყოს და მომავლის ბედს უპირებდენ ჩახრჩობას, მარა დღეს უკვე ცხადია, რომ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება ვერ შესძლეს, ბუნებრივობაზე არაბუნებრივობა ვერ გააბატონეს.

ბათუმი და ბათუმის ოლქი ისტორიულათ, პოლიტიკურათ და ეკონომიურად საქართველოსთან არის გადაჭაჭვული. ის საქართველოს ნაწილია და მისი ჩამოჭრა საქართველოსაგან გარდა იმისა, რომ ეს იქნებოდა უდიდესი უსამართლობა, მას გადააქცევდა უდაბნოთ, ჩასჭედდა ისეთ მუხრუჭებში, რომლისაგან თავის დახსნა მას მეტის მეტად გაუძნელდებოდა. ბათუმის საქართველოსაგან დაშორება ბათუმის ოლქს გადააქცევდა უცხოელების კოლონიად, ადგილობრივ მცხოვრებლებს ჩააყენებდა მეტად აუტანელ პირობებში, გზას დაუხშობდა მათ განვითარება-გამოფხიზლებისაკენ, რამდენიმე ხნობით მათ ცხოვრებას ერთ წერტილზე გაჰყინავდა და შემდეგ დააქანებდა მას გავერანება-განადგურებისაკენ.

ეს იმდენათ ცხადია, რომ ამაზე ლაპარაკის გაგრძელება ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ ჩვენ გაზეთს ხშირათ ჰქონია ლაპარაკი მკითხველთან. არა გვგონია ბათუმის ოლქში მოიპოვებოდეს ვინმე ისეთი, გარდა კერძო ინტერესებით გამსჭვალულ, მოსყიდულ პირთა, რომელთაც ეს უდავო ჭეშმარიტება არ ესმოდეთ.

ის ამბები, რაც ამ ბოლო დროს მოსყიდულებმა დაატრიალეს ქობულეთში და ჭვანაში, რა თქმა უნდა, არ იყო გამოწვეული ხალხის თანაგრძობით, ეს იყო ხელოვნურად შეთითხნილი სამარცხვინო საქციელი, ზოგიერთ პირებისაგან გამოწვეული. ეს იყო შედეგი იმ საშინელ ინტრიგისა, რომლისათვის დიდათ იშრომეს და რასაც დიდი ხელმძღვანელობა გაუწიეს. ამ ინტრიგის სულის ჩამდგმელებს დღეს უკვე ყველა კარგად იცნობს. რომ ძლიერ ხელს არ დაენთო ამ ინტრიგის ცეცხლი, ქობულეთის და ჭვანის ამბები არ მოხდებოდა.

დღეს, როგორც ხმებია, ამ ინტრიგას ბოლო მოეღება. ის ხელი, რომელსაც ეჭირა ამ ინტრიგის ძაფები, აწ ველარ იხელმწიფებს... ბურუსი იფანტება, ბათუმის ცა იწმინდება.

და ჩვენ გვსურს, რომ წარსული ისტორიას გადაეცეს, მის ქექვას ბოლო მოეღოს და ურთიერთის დახმარებით შევუდგეთ ჩვენი მხარის გამაბედნიერებელ გზას. ამ მეტად საპასუხისმგებლო დროს ყველამ ხელი უნდა აიღოს შენ-ჩემობაზე. პირველ რიგში წამოვაყენოთ ჩვენი ქვეყნის საარსებო ინტერესები და ყველამ შეძლების დაგვარად ამ ინტერესებს ვემსახუროთ.

ამას გვავალებს ჩვენი აწმყო და მომავალი. ამას ვგავალებს ჩვენი მრავალტანჯული მხარე. ვინც ამას ვერ შეიგნებს და კერძო ინტერესებით გატაცებული კვლავ ჩხირკედელაობას დაიწყებს, მას ვერ აპატიებს ასეთ მოღალატეობას არც აწმყო და არც მომავალი...

---

# ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ ბათუმის ქართულ გიმნაზიაში სწავლა შეწყდება 12 ივნისს. ამ რიცხვიდან 19 ივნისამდე იქნება გამოცდები მოწმობების მისაღებათ.

◆ დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისრის მოადგილე ბ.ლიუკმა ადერბეიჯანში მყოფ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელ ექ.ალშიბაიას მიანდო ადერბეიჯანში მყოფ ინგლისის ქვეშევრდომთა ინტერესების დაცვა.

◆ ფრონტის დამხმარე მთავარმა კომიტეტმა მიიღო ბათუმის ეროვნულ საბჭოს მიერ გამოგზავნილი ქ.ბათუმში შეგროვილი საჩუქრები.

◆ პარასკებს, 18 ივნისს ნაშუადღევის ოთხ საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია მაგარ სასმელებით წვრილ მოვაჭრეთა მეორე საზოგადო კრება.

◆ ყირიმიდან ამ დღეებში ჩამოსულის გადმოცემით იქ წარმოუდგენელი სიძვირე ყოფილა. მაგალითად ბოთლი ღვინო ფასობს — 8000 მან., 10 ცალი კვერცხი 2800 მან., თეთრი პური გირვანქა — 250 მან. და სხ.

ყირიმში დიდი მოთხოვნილება ყოფილა ქართული ბონების, ამჟამად იქაურ ფულთან შედარებით 1000 პროცენტით უძვირესათ ყოფილა.

◆ ქალაქის თვითმართველობამ ნება დართო ინჟინერ რიბადსკის-ბუდკოვიჩს იჯარით გასცეს ქალაქ ბათუმზე მოდებული ზღვის პირი საბანაო არა ნაკლებ 20000 მანეთისა. თითო ბანაობაში მსურველთ გადაახდევინებენ 10 — 25 მანეთამდე.

◆ ქალაქის თვითმართველობამ ნება დართო ზღვის პირზე სკამების დადგმისა მთელი წლის განმავლობაში 5000 მანეთად.

◆ თვითმართველობამ დაადგინა თფილისის ქუჩაზე რკინის გზასთან მოთავსებული ბაზარი გადატანილ იქნას შერემეტევის ქუჩაზე ყინულის სამზადებელ ქარხანასთან.

◆ ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა შეიძინოს ავტომობილი „ფერდილე“ 200,000 მანეთად.

◆ ქალაქის სასურსათო თვითმართველობამ დაადგინა 11 ივნისიდან ქალაქის ფურნეების საშუალებით მცხოვრებლებს დაურიგოს თითო ბანკა ინგლისური ტკბილი რძე. შეძენა შეიძლება სასურსათო ბარათებით სულზე თითო კარობკისა 75 მანეთად.

◆ 13 ივნისს დღის 4 საათზე ბათუმიდან ქერჩისაკენ წავა პირდაპირი, ჩქარი მატორიანი ნავი „ვენეცია“, წაიყვანს მგზავრებს და კისრულობს ნივთების წაღებასაც.

◆ სვანაძის ბინიდან (სმეკალოვის ქ.№35) ბოროტმომქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 22,000 მანეთად.

◆ ქალაქის საავადმყოფოს გადამდებ სენიანთ განყოფილებაში 10 ივნისს იყო ტიფით ავადმყოფი 18, ყვავილით ავადმყოფი 6.

◆ 10 ივნისს ბათუმის შრომის ბირჟაში გამოცხადდა 87 უმუშევარი, მათ შორის 60 კაცი და 27

ქალი. ახლად ჩაეწერა 19 კაცი, 13 კაცი და 6 ქალი.

ამავე დღეს სამუშევარზე გაიგზავნა 3 მოსამ. ქალი, ერთი მრეცხავი, ერთი ბაღის მუშა, ერთი მოსამ. ბიჭი და ერთი დურგალი.

10 ივნისს ბირჟაში საჭირო იყო მოსამსახურე ქალი ხუთი, ერთი მოსამსახ. ბიჭი და ერთი ძიძა.

---

# სისხლის აბანო.

ერთი თვე სრულდება, რაც ადერბეიჯანი კომუნისტურად „განითლდა". ჩვენ თავიდანვე აღვნიშნავდით, თუ რას მოუტანდა საბჭოთა მმართველობა ადერბეიჯანის მშრომელ მასას.

შეიარაღებული რუსის მუჟიკი იმისათვის კი არ მოსულა ბაქოში, რომ ადერბეიჯანის ხალხი ეცოდებოდა და მის ბედნიერებისათვის ზრუნავდა. ბოლშევიკებს ერი, პოლიტიკა, ერთა თვითგამორკვევის უფლება იმდენათ სწამთ და ანგარიშს უწევენ, რამდენათაც ეს გამოსადეგია მათთვის.

რუსეთის წარმოებას ბაქოს ნავთი და დონის ქვანახშირი ასაზრდოებდა.

პირველიცა და მეორეც ამ ბოლო დრომდე სხვის ხელში იყო. ბაქო ადერბეიჯანის მთავრობას, დონი კი დენიკინს ეჭირა.

ბოლშევიკებმა დაამარცხეს დენიკინი, მაგრამ დონის ოლქში წარმოება დანგრეული და გაპარტახებულია. აუარებელი ნახშირია მოგროვებული, მაგრამ გატანას კი ვერ ახერხებენ.

ბოლშევიკურმა რუსეთმა ნავთის სამეფოს დაპყრობა მოინდომა, მაგრამ ეს დაპყრობა „სოციალისტურად" მოაწყო: ვითომდა ადერბეიჯანის გლეხებისა და მუშების გასანთავისუფლებლად.

ადერბეიჯანის ხელმძღვანელი წრეები ავანტიურიზმში გადაიჭრნენ: ბოლშევიკებთან კავშირით მოინდომეს ავადმყოფ ოსმალეთის გადარჩენა, თავისი ხალხი შესწირეს მსხვერპლად განუხორციელებელ ოცნებას.

ბალშევიკებმა მოაკაკუნეს ადერბეიჯანის კარებზე და შემოვიდენ, არავის მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ჩვენ ბევრჯერ ვსწერდით, რომ ბალშევიკები ერთა თვითგამორკვევის უფლებას მხოლოდ სიტყვით ცნობენ, საქმით კი ნიკოლოზ მეორეზე უარესათ იქცევიან.

სანამ ბაქოში მოვიდოდენ, ბალშევიკები გაიძახოდენ: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საბჭოთა ადერბეიჯანსო.

დღეს ადერბეიჯანში საბჭოთა მართველობაა, მაგრამ ადერბეიჯანი დამოუკიდებელი არ არის. მის შინაურ საქმეებს მოსკოვში აწესრიგებენ, აქ კი სათავეში თუმცა ზოგიერთები მუსლიმანები არიან, მაგრამ თუ მათი განკარგულება რუს კომუნისტებს არ მოეწონათ, ცხოვრებაში არ ტარდება.

ადერბეიჯანის ხალხს ბალშევიკები ამ ქვეყნათ სამოთხეს პირდებოდენ, სამოთხის მაგიერად ბოლშევიკებმა ყველაფერი გაზიდეს ადერბეიჯანიდან. მათი მოსვლის შემდეგ სურსათ-სანოვაგის ფასები 4 — 5 გაიზარდა.

ადგილობრივ ხალხს ისე ეპყრობიან, როგორც ველურებს: ზევიდან ამაყათ, უნდობლობით.

აჯანყება განჯაში ნათლათ გვიჩვენებს თუ როგორი მდგომარეობაა შექმნილი ადერბეიჯანში.

ერთი თვე არ არის ჯერ რაც ადერბეიჯანი „კომუნისტურ რესპუბლიკად" გადაიქცა და ხალხმა მწვავედ იგრძნო ბალშევიკების ბატონობის შედეგი.

რუსეთიდან ჩამოსულ „წითელ" ჯარებს დასვენება არ მოუსწრიათ. და მათ ამბოხების ჩაქრობა უხდებათ.

ამბოხების ჩაქრობის დროს გამოჩენილი სისასტიკე პირდაპირ აუწერელია. ნიკოლოზის დროსაც კი არ ახსოვთ ასეთი რამ, რაც განჯაში მოხდა; მთელი განჯა განადგურებულია ყუმბარებით, აუარებელი ხალხი დაიხოცა და დაიჭრა, რვა ათასი გვამი დაუსაფლავებელი გდია ქუჩებში.

რუსეთის სოციალისტურმა ჯარმა სისხლის აბანო გაუმართა ადერბეიჯანის გლეხებს.

ეს დასაწყისია მოძრაობის ბოლშევიკების წინააღმდეგ ადერბეიჯანში.

არავითარი ნიადაგი კომუნისტური ექსპერიმენტებისათვის ადერბეიჯანში არ არის. ბოლშევიკური „სოციალისტური" საქმიანობა უკმაყოფილების გარდა არაფერს გამოიწვევს ადერბეიჯანის მასაში.

განჯის მაგალითები კიდევ გამეორდება და ბოლშევიკები იძულებული იქნებიან მიმართონ ძალაუფლების შესანარჩუნებლად ნაცად ხერხს: სომეხ თათართა შორის ეროვნულ შუღლს.

განჯის ამბოხების ჩაქრობის დროს რუს ჯარისკაცებს სომხები ეხმარებოდენ, ადერბეიჯანელები ალბათ ელიან დროს, რომ სომხებს სამაგიერო გადაუხადონ.

ბაქოს მთავრობა სომხებს ყარაბაღსა და ზანგეზურს ედავება, სომხეთი კი ამ ადგილებს უდავოდ თავისად სთვლის და არ აპირებს არავისთვის დათმობას.

ეროვნებათა შორის ომისათვის ნიადაგი მზადდება.

ცნობილი „შაითანი" სამოქმედოდ ემზადება, მაგრამ ის ახლა ბოლშევიკების სალამურზე იცეკვებს.

ე.წ.

---

# წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „სამ. საქართველოში" დაგვიბეჭდოთ შემდეგი.

სახლის მეპატრონე ბ.სარიშვილის მოქმედებით თითქმის ერთ წელზე მეტია მდგურები აუტანელ პირობებში არიან ჩაყენებულნი. არა ერთხელ სცადა მან ძალათ დაეცლევინებია მდგურებისათვის შენობა. ამ მიზნით ექვსი თვის წინათ დაანგრია ოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახები ვითომც „რემონტის" გასაკეთებლათ, დააყრუა კალიდორი, ქუხნა, საპირფარეშო და ვანა. დაკეტა აგრეთვე წყალიც, რაც უკვე აღნიშნულია მილიციის ოქმში. თითონ ბ.სარიშვილი სხვა ბინაზე ცხოვრობს — საკრებულო დარბაზში, სადაც რესტორანი აქვს გახსნილი. „რემონტი" ჯერაც არ დაუწყია. მდგურები კი კიდევ მეტათ წვალდებიან. ალბათ ამ საშვალებით ცდილობს ისინი თავიდან მოიშოროს. ზემო სართულში მცხოვრებ მდგურებს არა ერთხელ განუცხადა ოთახები დასცალეთო. ოთხჯერ სასამართლოსაც მიმართა. საოლქო სასამართლოში ორხელ გაირჩა ეს საქმე და ორივე ჯერ მდგურების სასარგებლო განაჩენი იქნა გამოტანილი. შემდეგ საქმე მომრიგებელ კამერამდე მივიდა.

დანიშნეს კომისია, რომელმაც, გაეცნო რა დაწვრილებით საქმის შინაარსს, არა თუ დააცლევია მდგურებს შენობა, პირ იქით სარიშვილს წინადადება მისცა აენაზღაურებია მდგურებისთვის მიყენებული ზარალი და მომავალში არ ჩაედინა ისეთი რამ, რაც დღემდე ჩაუდენია. კომისიამ დაადგინა აგრეთვე, რომ თუ ბ.სარიშვილი თითონ არ გაუკეთებდა „რემონტს" ოთახებს, მდგურებს შეეკეთებიათ და რაც დაუჯდებოდა გამოექვითათ სარიშვილისათვის. ეს საქმე ხუთხელ იქნა სულ მოსამართლეთა მიერ გარჩეული; ხუთივე-ჯერ მდგურები უდანაშაულოთ იქნა ცნობილი და აღნიშნულ ბინაზე ცხოვრების ნება დართეს. ამგვარათ, ვერ განხორციელდა ბ.სარიშვილის განძრახვები: ძველი მდგურები ოთახებიდან გამოეყარა და შემდეგ უძვირეს ფასში მიექირავებია სხვისთვის. მაგრამ ამ დღეებში კიდევ მიიღეს მდგურებმა უწყებები, რომლითაც იბარებენ სასამართლოში ისევ ოთახების შესახებ. მოსამართლეს კიდევ დაუნიშნავს კომისია (ეს მეოთხე კომისია ამის შესახებ დანიშნული ამ რვა თვის განმავლობაში), რომლისთვისაც მიუნდვია გამოიკვლიოს საჭიროებს თუ არა აღნიშნული შენობა „რემონტს"...

როდის უნდა მოასვენონ მდგურები? განა შეიძლება ასეთი გაწვალება? ნუ თუ მუდამ შიშში უნდა იყონ მდგურები თუ როდის დააცლევიებენ ოთახს.

ექიმი გეგელაშვილი.

# რა ხდება უცხოეთში.

## ა მ ე რ ი კ ა.

### მოსალოდნელი კრიზისი.

ყოფილ სენატორმა ბერიჯმა განაცხადა, რომ საგარეო ვაჭრობის შემცირების გამო ორი წლის შემდეგ უმუშევართა რიცხვი 15 მილიონამდე გაიზრდებაო. უმუშავრობას რამოდენიმედ ხელს უწყობს ხშირი საზოგადოებრივი მოძრაობა. ამ მხრივ დიდი გავლენა იქონია რკინის გზელთა გაფიცვამ. ეს გაფიცვა 3 კვირის განმავლობაში ჯდებოდა დღიურათ 1.200.000 გირვანქა სტერლინგი. ამაში არ შედის მთავრობის მიერ გადახდილი 2.500.000 გირ.სტ. და სხვა საერთო ხასიათის დანაკლისი წარმოებისა. გამოცდილი პირების აზრით ახლო მომავალში მოსალოდნელია დიდი ფინანსიური კრიზისი. ერთერთ ბანკირმა განუცხადა „ტაიმსის" თანამშრომელს, რომ ომის შედეგები ამერიკაშიაც იჩენს თავს. ბანკებში ბევრი სესხის ბილეთებია, რაც ჯერ სახელმწიფოს არ გაუნაღდებია. მათი ღირებულება მილიარდ გირვანქას აღემატება. უკანასკნელად გამოიცა 600.000000 გირ.სტ. ვალდებულება. მიმდინარე წელშიაც ამდენია მოსალოდნელი.

## გ ე რ მ ა ნ ი ა.

### პირველ მაისის ლეგალიზაცია ბადენში.

ბადენის მთავრობის განკარგულებით პირველ მაისის დღესასწაული ჩარიცხულ იქნა სავალდებულო დღესასწაულთა რიცხვში. ამის გამო პირველ მაისს დახურული იქნა ყველა სავაჭროები, სასწავლებლები და სახელმწიფო, თუ საზოგადო დაწესებულებები.

## ი ნ გ ლ ი ს ი.

### მუშათა დელეგაციის შემადგენლობა.

ჰოლანდიის პრესა იტყობინება იმ დელეგაციის შემადგენლობას, რომელიც ამ ჟამათ რუსეთში არის, დელეგაციის უმრავლესობას მუშათა პარტიის ზომიერ მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები შეადგენენ; ორი წარმომადგენელი უკიდურეს მემარცხენე ფრთიდან. მუშათა პარტიიდან დელეგაციაში შედიან: ფილიპე ნორდენი, რობერტ ვილიამსი, ბენ ტურნერი და ტომ შოუ და სამი წარმომადგენელი ინგლისელ ტრედუნიონებისა.

### საფრანგეთი და პოლონეთი.

ფიქრობენ, რომ საფრანგეთი თავის ჯარებს გაგზავნის პოლონეთის დასახმარებლათ.

## ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.

### ანტანტა და საბჭოთა რუსეთი.

ფრანგული გაზეთების გადმოცემით კრასინმა ლოიდ ჯორჯთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა მზათ არის გაანთავისუფლოს ინგლისელი ტყვეები და მომავალშიაც შეეცდება არ მოუმზადოს საფრთხე ინგლისის ინტერესებს აღმოსავლეთში. ამავე გაზეთის გადმოცემით მილერანმა გადასცა კონფერენციაზე დამსწრე საფრანგეთის დელეგატს, რომ არ შეუერთდეს არას გზით ისეთ დადგენილებას, რომელიც იგულისხმებს თუნდაც არა პირდაპირ აღიარებას საბჭოთა რუსეთისას.

## ს ო მ ხ ე თ ი.

### ა რ ზ რ უ მ შ ი.

„არაჩის" გადმოცემით არზრუმში მდგომარეობა მეტად გამწვავებული და არეულია. ადგილობრივ

ოსმალოებში, რასაც დღეში ათობით მოსდევს მსხვერპლი, ბევრი თურქი ანებებს თავს არზრუმს და სახლდება სტამბულში, სამსუნში, და სხვაგან. ინგლისელები ცოტანი იყვნენ არზრუმში, ახლა კი, მათი რიცხვი გაიზარდა. არზრუმში 900 ტყვე სომეხი არის ალექსანდროპოლის მაზრიდან. სხვა მაზრებიდან დატყვევებულთა რიცხვი არ არის გამოკვლეული. სომეხ ტყვეებს მძიმე სამუშაოს ასრულება უხდებათ. მათ ეძლევათ მხოლოთ ნახევარი გირ.პური. ტყვეებათ არიან სომეხი ქალები.

### ყულფის რაიონში.

ერევანში მიღებულ ცნობების თანახმად ყულფის რაიონს სცლიან ოსმალნი, რომლებიც გროვდებიან მაკინის რაიონში.

---

დაიკარგა ნიკო ექვთიმესძე ძაგანიას პასპორტი მიცემული სენაკის მაზრის სოფ. გულეკაროს კომისარისაგან №63.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

410. (1—1)

---

დაიკარგა ონისიმე კირტავას პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

408. (1—1)

---

დაიკარგა ალფესი ალმასხანისძე ორაგველიძის პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

(უფ. 1—1)

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

სამშაბათი 15 ივნისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ“. რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:

| | |
|---|---|
| 3 თვით | 600 მან. |
| 2 თვით | 400 მან. |
| 1 თვით | 200 მან. |

№383 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №383


## განცხადება.

ვთხოვთ ყიფიანის ღვინის პატივცემულ მყიდველთ მიაქციონ მკაცრი ყურადღება ღვინის ყიდვის დროს ღვინის ნამდვილ ბუნებრივ ღირსებას და აქვე ნაჩვენებ ფირმის „იარლიკს“.



Натуральное Рачинское

**Кипiановское Вино**

из виннаго склада

**Л. Л. и Д. А. Кипiани**

въ Батумѣ.

ყიფიანის ღვინის ფირმა ერთად ერთია საქართველოში, რომელიც დაჯილდოებულია საზღვარ გარეთ ოქროსა და ვერცხლის მედლითა და ჯვარით. სათანადო საბუთები გვაქვს. ამასთანვე ვაცნობებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თუ ჩვენი ფირმის ღვინის საწყობიდან გატანილ ღვინოში აღმოაჩენს ვინმე რაიმე სიყალბეს, ან არა ბუნებრივ ღირსებას, ასეთი პირის სასარგებლოთ საჯაროთ გადვიხდით ჯარიმას 25000 მანეთს. კერძოდ გაყიდულ არა ჩვენი ფირმის ღვინის ღირსებაში კი პასუხს არ ვაგებთ, ასეთი კი მრავალ ალაგას იყიდება ქ.ბათუმში. ღვინის მთავარი საწყობი მოთავსებულია ქალაქ ქუთაისში, განყოფილება კი ქალ.ბათომში, ასათიანის ქუჩაზე, №14. საწყობი ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

პატ. ამხანაგობა ახვლედიანი და წერეთელი.

411. (12–2)

---

## გასტრონომიული მაღაზია რ. ბ. გოფოძისა.

ბათუმი, დონდუკოვო-კორსაკოვის ქ. და მარინეს პროსპექტის კუთხე.

### მიღებულია:

ახალი პარტია ორაგულის, ზურგიელი და დოში, ფასი გირვ. 150 მანეთიდან, საუკეთესო ხიზილალა და სხვა და სხვა თევზეულობა კაროპკებითაც, სარდინები და მწვანილეულის კონსერვები, ძეხვები კაპჩონი და ახალი, რძე კაროპკებში, კონსერვიული შოკოლადი და სხვა ტკბილეულობა. მიღებულია აგრეთვე დიდ-ძალი ღვინოების საუკეთესო ფირმებისა და საუფლისწულო მამულებიდან, აგრეთვე უცხოეთიდგან ლიქიორები, კონიაკები, შამპანიური. იყიდება წვრილათ და პარტიობითაც.

ფასები ყოველივეზე ხელმისაწვდომია.

405. (10–4)

---

## კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

## „კახეთი“.

ბათუმის განყოფილება, ოგლობჟინის ქუჩა, №32, ტელ. 47.

იყიდება საუცხოვო ხარისხის კახური ღვინოები ხელმისაწვდომ ფასებ. უკონკურენციოთ.

კახელ მევენახეთა კოოპ. საზ. წარმომადგენელი.

პატივისცემით ამბაკო კონსტანტინეს ძე ნადარეიშვილი.

404. (24–3)

---

## განცხადება.

### სასტუმრო „რაზსვეტში“ მოიპოვება ნაირ-ნაირი სასმელები

როგორც ადგილობრივი ისე საზღვარ გარეთელი ფირმებისა, არის სუფთათ მორთული ოთახები და კაბინეთები.

ახლად შეძენილ რესტორან–ბაღში,

## „ამქვეყნიური სამოთხესთან“

მოეწყო მარანი, სადაც თიხის ჭურებიდან პატ. საზოგადოებას შეუძლია მიიღოს ცივი, საუკეთესო

ხარისხის ღვინოები. ყოველ დღე მზადდება აზიური საჭმელები.

უკრავს თფილისიდან მოწვეული აზიური ორკესტრი ზაზანდარი.

389. (1–6)

---

# ზაქათალის ოლქი და ჩვენ.

ზაქათალის ოლქი (საინგილო) უმეტესათ ქართველ მაჰმადიანებით არის დასახლებული. ამ ქართველ მაჰმადიანთა წინაპარნი ქრისტიანები იყვენ. მარა შემდეგ, როცა სპარსელები შემოესიენ საქართველოს, საინგილოს მცხოვრებთა უმეტესობამ მაჰმადიანობა მიიღო.

საინგილო, ისე როგორც ბათუმის ოლქი, საქართველოს ნაწილია. როცა ამიერკავკასიის მთლიანობა შეუძლებელი შეიქმნა, როცა ამიერკავკასიაში სამი რესპუბლიკა (საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის) გამოცხადდა, ადერბეიჯანმა ისარგებლა მით, რომ საქართველო მაშინ უდიდეს გაჭირვებას განიცდიდა უცხო ძალის შემოსევის გამო, და ზაქათალის ოლქი თავის ჯარებით დაიკავა.

საქართველო, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა, ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ მეზობლებთან მას კეთილგანწყობილება ქონებოდა. სადავო საკითხების გადაჭრას ის ხმლით კი არ ცდილობდა, არამედ მშვიდობიანის გზით, შეთანხმებით, მოლაპარაკებით. თუ მოლაპარაკების საშვალებით შეთანხმება შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ სადავო საკითხის გადაწყვეტა დაინტერესებულ მხარეთა შეთანხმებით უნდა გადასცემოდა სამედიატორო სასამართლოს, არბიტრაჟს. რასაც მედიატორე დაადგენდა, ის ორივე მხარესათვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო.

ასეთს გზას ადგა და დღესაც ადგია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს გზა ნამდვილი დემოკრატიული გზაა. ის უარყოფს იარაღით საკითხის გადაჭრას და ირჩევს მშვიდობიანათ, უსისხლოთ საქმის მოგვარებას. საქართველოს ყოველთვის შეეძლო ზაქათალის ოლქი იარაღით დაებრუნებინა საქართველოსათვის, მარა ეს მან არ ისურვა, რადგან ორ მეზობელ ხალხთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდება მას არ უნდოდა. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კავშირი შეჰკრა ადერბეიჯანთან და ერთ-ერთ უმთავრეს მუხლათ ამ კავშირის პირობებში იყო. ის, რომ ყოველი სადავო საკითხი საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის უნდა გადაწყვეტილიყო შეთანხმებით, თუ ეს შეთანხმება ვერ მოხდებოდა, მაშინ ორივე მხარეს არბიტრაჟისათვის უნდა მიემართათ.

საქართველოს მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ ზაქათალის შესახებ საკითხი ამ გზით გადაწყდებოდა. მარა ადერბეიჯანმა ვერაგულათ დაარღვია საქართველოსთან დადებული პირობა. მან საქართველოს საარსებო ინტერესების ფეხქვეშ გასათელათ კარი გაუღო ბალშევიკებს და ამ უკანასკნელთა ხიშტების დახმარებით საქართველოს საზღვრებს [illegible] ადგა და თვით საქართველოს ტერიტორიაში შემოიჭრა. საქართველო იძულებული გახდა მომხდურს შესაფერისათ დახვედროდა. ჩვენ საზღვრებში შემოსული მტერი საქართველოს მხედრობამ უკან გარეკა და თვით კაი დიდ მანძილზე ადერბეიჯანის ტერიტორია დაიკავა. ვერაგი მტერი დარწმუნდა რა, რომ საქართველოს ჯარებთან შებმა მას ხეირს ვერ დააყრიდა, დარწმუნდა რა, რომ არა თუ ის თფილისს აიღებდა, არამედ განჯასაც დაკარგავდა და შერიგება ითხოვა, საქართველოს თუმცა შეეძლო მტრის საბოლოოთ შემუსვრა, მარა მან ეს არ ქნა; რაკი თვით მტერმა მოითხოვა ზავი, მას ამაზე უარი არ უთხრა.

როგორც გენერალურ შტაბის ცნობამ გვაუწყა, ზავზე უკვე მოუწერიათ ხელი ადერბეიჯანის და საქართველოს საზავო დელეგაციებს. ჯერ-ჯერობით ჩვენ არ ვიცით ზავის პირობები, მარა ერთი უკვე ცხადია: საქართველოს დელეგაცია არავითარ შემთხვევაში არ მოაწერდა ზავის პირობებზე ხელს, თუ რომ ადერბეიჯანის დელეგაცია არ დაეთანხმებოდა მას შემდეგ ორ პირობაზე: ზაქათალის ოლქის ახლავე დაბრუნება საქართველოსათვის, ან და ზაქათალის საკითხის შესახებ არბიტრაჟი.

აღსანიშნავია აქ ის გარემოება, რომ ზაქათალის ოლქში მომხდარა გადატრიალება. თვით ზაქათალის ოლქის მცხოვრებთ აუღიათ ხელში იარაღი, კომუნისტური მთავრობა ძირს ჩამოუგდიათ და საქართველოს მთავრობისათვის შემოუთვლიათ, რომ საქართველომ შეიერთოს ზაქათალის ოლქი.

ზაქათალის მცხოვრებლები დარწმუნდენ, რომ მათ ხეირს ვერ დააყრის ვერც მუსავატისტების მთავრობა და ვერც კომუნისტების. იქაური ქართველი მაჰმადიანობა დარწმუნდა, რომ მისი მშვიდობიანი განვითარება, კულტურულ ცხოვრების შემოღება შესაძლებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ საინგილო დაუბრუნდება თავის დედა-სამშობლოს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

აქ უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ისიც, რომ ყარსის ოლქის მაჰმადიანებმაც ბევრჯერ მიმართეს საქართველოს, რათა ეს ოლქი საქართველოს შეერთებინა მისთვის და მით ეხსნათ ყარსის რაიონის მაჰმადიანობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობისაგან.

ბორჩალოს მაჰმადიანობამ ხომ რამდენჯერმე გამოიტანა დადგენილება, რომ ის დიდათ მადლიერი არის საქართველოს მთავრობისა და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს საერთო სამშობლო საქართველოს კეთილდღეობისათვის.

ზაქათალის, ბორჩალოს და ყარსის მაჰმადიანობა საქართველოს წესწყობილებას შენატრის, მასთან სურს ერთობა, მასთან სურს გაიყოს ჭირი და ლხინიც.

ბათუმის ოლქის ქართველი მაჰმადიანობაც ხომ საქართველოსაკენ ისწრაფვის, მარა ზოგიერთმა მოსყიდულმა პირებმა ქობულეთის და ჭვანის ამბებით დიდი სირცხვილი გვაჭამეს ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანებს. მართალია ბათუმის ოლქის მცხოვრებნი აქ არაფერ შუაშია, ბათუმის

ოლქის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა საქართველოს ჯარების შემოსვლას მოუთმენლათ მოელის, მარა ისიც სათქმელია, რომ ჩვენ ვერ შევძელით მოღალატეების ალაგმვა, ვერ შევძელით ქობულეთის და ჭვანის ამბების ძირშივე მოსპობა თუმცა ამას ქონდა ერთი ისეთი დიდი მიზეზი, ძლიერი ხელის ქომაგობა ავანტიურისტებისადმი, რის გამო მეტად ძნელი შეიქნა მოსყიდულების ალაგმვა, მარა ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ამით თავი ვიმართლოთ.

აწ მაინც შევძლოთ ეს. აწ მაინც აღვიმაღლოთ ხმა და ავანტიურისტებს ნუ დავანებებთ ჩვენ ქვეყანას დასაქცევათ.

---

## გენერალურ შტაბის ცნობა.

**13 ივნისი.**

12 ივნისს 22 საათზე ჩვენმა და ადერბეიჯანის დელეგაციებმა საზავო პირობებს ხელი მოაწერეს.

ცხინვალის მიმართულებით 12 ივნისს გათენებისას ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდენ. მოწინააღმდეგემ ყველა ფრონტებიდან უკან დაიხია. შეღამებამდე ჩვენ წავართვით მტერს ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობები და ავიღეთ სოფელი ვანათი. წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველები. შეტევა გრძელდება.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

---

## ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ კვირას, 20 ივნისს საკრებულო დარბაზში ბათუმის ქართულ გიმნაზიის სასარგებლოთ გაიმართება დიდი ქართული საღამო.

◆ დღეს სამშაბათს, 15 ივნისს ქართულ დრამატიული სტუდიის მსახიობთა მიერ რკინის თეატრში წარმოდგენილი იქნება ნ.შიუკაშვილის „ციცინათელა“ დრ. 4 მოქ. და ოთხშაბათს, 16 ივნისს „ივერიძის ოჯახი“ ვ.გუნიასი დრ. 3 მოქმედებათ.

◆ ქალაქის თვითმართველობის ფურნეებიდან უკვე დაიწყეს მცხოვრებლებზე ინგლისური რძის დარიგება. მიღება შეიძლება სასურსათო ბარათებით სულზე თითო ბანკისა, ღირს 75 მანეთი.

◆ უდროვო დროს ქუჩაში გამოსვლისათვის დაიჭირეს და საპყრობილეში გაგზავნეს ალექსანდრე დანილოვი.

◆ 11 ივნისს ღამის 11 საათზე ცირკში რევოლვერი გაუვარდა მილიციონერ ახმედ მუსტაფა-ოღლის, მსხვერპლი არ მოყოლია.

◆ ამას წინათ დატუსაღებული ივ.ნუცუბიძე და ვ.ჭაჭიანიძე გაძევებული იქნენ ქ.ბათუმიდან სისტემატიურათ ქურდობისათვის.

◆ 13 ივნისს დილის 6 საათზე ბოროტმოქმედებმა კაფაინიდის მაღაზიიდან მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 30 ათას მანეთად. ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

◆ ამავე დღეს ღამის 12 საათზე მთვრალი ქუჩაში გამოსვლისათვის დატუსაღებული იქნა ქსენია მოროზოვისა.

◆ 12 ივნისს ბულვარის ქუჩაზე მცხოვრებ ოლღა ევრენოვას ბინიდან მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები 25 ათას მანეთად ღირებული.

◆ 12 ივნისს ზღვის პირათ იპოვეს უცნობი პირის გვამი, რომელიც გარეგნული შეხედულებით თურქი უნდა იყოს. მიცვალებულის გვამი ქალაქის საავადმყოფოში წაიღეს.

◆ ივნისს 12 ღამის 11 1/2 საათზე აირაპეტ ვართანიანცმა რევოლვერის სამი ტყვიით მოჰკლა თავის სავაჭრო დუქნის მოზიარე ლეო გალუსტიანი. ბოროტმომქმედი ვართანიანცი მიიმალა.

◆ 15 ივნისს ბათუმიდან ქერჩისაკენ გადის მოტორიანი პატარა გემი „პაშა“. გემი წაიყვანს მგზავრებს და კისრულობს ნივთების წაღებასაც.

◆ 16 ივნისს ბათუმიდან ტრაპეზუნდისაკენ გადის გემი „სპირიდონი“.

◆ 12 ივნისს ქალაქის საავადმყოფოში იყო 84 ავადმყოფი, კიდევ მოიყვანეს 6, მორჩა და გამოეწერა 3, სხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს ერთი, დარჩა 86 ავადმყოფი.

◆ 12 ივნისს ქალაქის საავადმყოფოს გადამდებ სენიანთა განყოფილებაში იყო ტიფით ავადმყოფი 19, ყვავილით ავადმყოფი 6.

◆ 12 ივნისს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 103 უმუშევარი, მათ შორის 76 კაცი და 27 ქალი. ახლად ჩაეწერა 21 უმუშევარი 11 კაცი და 10 ქალი, მათ შორის: 2 მეფურნე, ერთი უბრალო მუშა, 3 მოსამსახურე ქალი, ერთი ძიძა, 2 მრეცხავი ქალი, ერთი დიასახლისი, ერთი ინჟინერი, 3 კანტორის გამგე, 2 მოანგარიშე, ერთი სტატისტიკოსი, ერთი რეგისტრაციის მოხელე და ერთი მოსამ. ბიჭი.

სამუშევარზე გაიგზავნა: ერთი დურგალი, ერთი მოსამ. ქალი, ერთი სტატისტიკოსი და ერთი რეგისტრაციის მოხელე.

◆ 14 ივნისს შრომის ბირჟაში საჭირო იყო: 2 მოსამ. ქალი, ერთი ძიძა და ერთი მოსამ. ბიჭი.

---

## ზაქათალის გადატრიალება.

გაზ. „სამუსლიმანო საქართველოში“ ამას წინად მოთავსებული იყო ადერბეიჯანიდან ჩამოსული პირის ნაამბობი ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა ტფილისის გუბერნიასთან გაერთიანებისათვის ლტოლვის შესახებ.

ზაქათალი — ეს ძველი ჰერეთია, სპარსეთის შაჰაბაზისგან გამაჰმადიანებული ტფილისის მიდამო. ამჟამად მცხოვრებთა განაწილებაში ინგილო ქართველების მერე თვალსაჩინო ადგილს იკავებენ ლეკები და სხვა მაჰმადიანები. აღსანიშნავი და საყურადღებოა, რომ ტფილისის გუბერნიის მოსაზღვრეთ მობინადრე ყველა მაჰმადიანობა დიდის პატივით და ნდობით ეპყრობა საქართველოს მთავრობას. ჩამოსულ პირთა გადმოცემით ყაზახის მაზრის მაჰმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადიანობასაც გადაწყვეტილი ქონია შეუერთდეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ზაქათალი და ყაზახი მუდმივ განუყოფელი ნაწილები იყო საქართველოს, ეს ორი მაზრა ბამბაკ — ლორის გაგრძელებით წარმოადგენდა უერთგულეს საზღვართა ბჭეს საქართველოს დეცვისათვის მე-15 საუკუნიდან. რაც შეეხება წინა საუკუნეებს, როცა საქართველოს საზღვარს დარუბანდში ქონდა დასობილი ისარი, მაშინ, რა თქმა უნდა ზაქათალი და ყაზახიც ჩვენს საზღვრებში იყო მოქცეული. დღეს ზაქათალის ხალხის ნება-სურვილით ზაქათალის თფილისსთან შეერთება დადათ სასიხარულო ამბავია, ზაქათალის ხალხი ყოველგვარად დაინტერესებულია თფილისით და მასთან მუდმივ ურთიერთობით.

ზაქათალის სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა ბაზარი ყოველთვის თფილისის იყო და არის. გარდა ამისა ისტორიული ხსოვნა საქართველოსთან ერთობისა და ზაქათალის ინტელიგენციის ორიენტაცია თფილისზე აღვივებდა ხალხის სურვილს საქართველოსთან დაბრუნებისას. ზაქათალის მაჰმადიანობამ და სხვა მცხოვრებლებმა საკუთარ მწარე განცდით დააფასეს, როგოც ადერბეიჯანის გუბერნატორის რეჟიმი, ისე უკიდურეს სოციალისტების კომუნისტური მპყრობელობა. კომუნისტი ბატონები გადააგდო ხალხმა, გადატრიალება მოახდინა და ახლა საქართველოს მთავრობას სთხოვს მფარველობას. საქართველოს აღდგენის დღიდან ზაქათალი გაუგებრობით მოექცა ადერბეიჯანის ფარგლებში, რის გამოც ხალხი მეტად შეწუხებული იყო და თითქმის ყოველ თვეში სთხოვდა ჩვენს მთავრობას შეგვიერთეო, მაგრამ, როგორც ცნობილია მაშინ საქართველოს მთავრობა მეზობელ ადერბეიჯანთან კონფლიქტს ერიდებოდა და ამ რიგად ხალხს სურვილს ვერ უნაღდებდა. დღეს, როცა გაგვყიდა ჩვენ ადერბეიჯანის ხანებმა, მას აღარ დავემორჩილებით და ზაქათალის ხალხის ხმას დემოკრატიული მთავრობა შეიწყნარებს.

ზაქათალის გადატრიალება მორიგი დამარცხებაა კომუნისტურ მპყრობელებისა ამიერკავკასიის იმ ნაწილში, სადაც მოღალატე მთავრობამ მოსკოვის ბატონები მოიწვია და იგი თვალსაჩინო გამარჯვებაა ჩვენი მთავრობის და მისი სახელოვან დემოკრატიის, რომლისკენაც აგრე რიგად ისწრაფიან მოსაზღვრე სხვა და სხვა ერონვების მცხოვრებნი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სამოთხისებურ წეს-წყობილებას აფასებენ და ჩვენი სიკეთით სარგებლობა ჰსურთ.

გაუმარჯოს ჯერ ადერბეიჯანის და მერე საბჭოთა კომუნისტების მონობისაგან განთავისუფლებულ ზაქათალის ხალხს.

---

## „ფორვერტსი“ საქართველოს შესახებ.

გერმანულ გაზეთ „ფორვერტსის“ 15 მაისის ნომერში შემდეგი შენიშვნაა მოთავსებული:

„საბჭოთა მთავრობამ საქართველოსთან ზავი შეჰკრა. ამ ზავით საქართველოს დემოკრატიულ სოციალისტურ სახელმწიფოს დამოუკიდებლობას სრული გარანტია ეძლევა. იმ გაჭირვებამ, რაც საბჭოთა რუსეთისათვის პოლონელთა შეტევამ შექმნა, დაახლოვა ეს ზავი, რასაც განსაკუთრებით ვულოცავთ ჩვენთვის სიმპატიურ საქართველოს ხალხს“.

---

## „წითელ“ ადერბეიჯანში.

### განჯის ამბების გარშემო.

დამატებითი ცნობებიდან შემდეგი ირკვევა: აჯანყებას რამოდენიმეთ მაინც ჰქონდა ორგანიზებული ხასიათი. აჯანყებულთა პირველ გამარჯვებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მათ მხარეზე ბევრი ასკერი გადავიდა. ასკერთა რიცხვი განჯაში უფრო მეტი იყო, ვიდრე ბაქოში; ამასთანავე მათ მიემატათ ყარაბაღიდან მოსული ასკერები. გამარჯვებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ასკერებმა ხელთ იგდეს საბჭოთა ჯარების ტყვიისმფრქვეველები და არტილერია. აჯანყებულებს ოსმალეთის აფიცრები ხელმძღვანელობდენ. როგორც ირკვევა, აჯანყებულებს ერთ დღესაც კი არ ჰქონებიათ ძალა-უფლება განჯაში, ხოლო სადგური მათ დაკავებული ჰქონდათ მხოლოდ ერთი საათით. აჯანყების ჩაქრობა დაევალა მე-20 დივიზიის პოლიტკომს კურბატოვს, რომელმაც განაცხადა, რომ „ქვას ქვაზე არ დასტოვებს“, და დაანახვებს ყველას, „თუ როგორ იციან საბჭოთა ჯარებმა სამაგიეროს გადახდა“. საბჭოთა ჯარები სამი დღის განმავლობაში ესროდა ქალაქის მუსულმანურ ნაწილს. წითელ არმიელების სიტყვით მათ გაისროლეს 12 ათასი ყუმბარა. აჯანყება ჩაქრობილ იქნა 30 მაისს. საღამოს 5–6 საათ. მოხდა უკანასკნელი გასროლა. მეორე დღეს საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ დანიშნავს საქმის ოფიციალურ გამოძიებას. („სლ“.).

### ნავთის წარმოების ნაციონალიზაცია

ბაქოს „კომუნისტ“-ის №20 ცნობით ბაქოში უკვე მომხდარა ნავთის წარმოების ნაციონალიზაცია. ყველა კანტორები, ქონება და სხვა გადადის სახალხო მეურნეობის საბჭოს სანავთო განყოფილების გამგებლობაში.

---

დაიკარგა იესე მაქსიმესძე ურუშაძის პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

412 (1–1)

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საექიმო ცნობები.

## კბილის ექიმები

### მიხეილ და მინა მენაღარიშვილები

ღებულობენ დილის 9–1 და საღამო 4–6 საათამდის გარდა კვირა-უქმედღეებისა. აკეთებენ პლომბებს და ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე, აგრეთვე არჩენენ ღრძილების ავათმყოფობას. ვლადიკავკავის ქ. №9. საკუთ. სახლი.
386. (12–6)

## ექიმი მ. ს. მუჯირი.

იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილის 8–9 საათამდის და საღამოს 4–6 საათ. ბათუმის ვაგზალი, ბინა №3.
390. (24–6)

## სამკურნალო პირუტყვებისა.

ასათიანის ქუჩა, №38.

ავათმყოფ პირუტყვის მიღება დილით 9 საათიდან 12-მდე ნაშუადღევს 3–5. სამკურნალოსთან მოწყობილია ცხენების დასაჭედათ საუკეთესო სამჭედური ვეტერინარულ ექიმის ზედამხედველობის ქვეშ.
403. (24–3)

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

ოთხშაბათი 16 ივნისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შერემეტევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დაბეჭდილი წერილები გამოუქვეყნებლად შეიძლება ადრესით: „სამუსლიმანო საქართ“. რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........ 600 მან.
2 თვით ........ 400 მან.
1 თვით ........ 200 მან.

№384 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №384


## განცხადება

ვთხოვთ ყიფიანის ღვინის პატივცემულ მყიდველთ მიაქციონ მკაცრი ყურადღება ღვინის ყიდვის დროს ღვინის ნამდვილ ბუნებრივ ღირსებას და აქვე ნაჩვენებ ფირმის „იარლიკს“.

ყიფიანის ღვინის ფირმა ერთად ერთია საქართველოში, რომელიც დაჯილდოებულია საზღვარ გარეთ ოქროსა და ვერცხლის მედლითა და ჯვარით. სათანადო საბუთები გვაქვს.



Натуральное Рачинское
Кипiановское Вино
изъ виннаго склада
Л. Л. и Д. А. Кипiани
въ Батумѣ.

ამასთანვე ვაცნობებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თუ ჩვენი ფირმის ღვინის საწყობიდან გატანილ ღვინოში აღმოაჩენს ვინმე რაიმე სიყალბეს, ან არა ბუნებრივ ღირსებას, ასეთი პირის სასარგებლოთ საჯაროთ გადვიხდით ჯარიმას 25000 მანეთს. კერძოდ გაყიდულ არა ჩვენი ფირმის ღვინის ღირსებაში კი პასუხს არ ვაგებთ, ასეთი კი მრავალ ალაგას იყიდება ქ.ბათუმში. ღვინის მთავარი საწყობი მოთავსებულია ქალაქ ქუთაისში, განყოფილება კი ქალ.ბათომში, ასათიანის ქუჩაზე, №14. საწყობი ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

პატ. ამხანაგობა ახვლედიანი და წერეთელი.

411. (12—3)

---

## პურის და ყურძნის არაყი

კავკასიური ნატურალური კონიაკი

## და სპირტი ბოჭკებში

იყიდება ნაწილ-ნაწილათ და პარტიობითაც ბათუმიდან გატანის ნებართვით. **ძმ. სესიევები და ამხანაგობა.** ბათუმი, შერემეტევის ქ. № 74

413. (5—1)

---

## გასტრონომიული მაღაზია რ. ბ. გოფოძისა

ბათუმი, დონდუკოვ-კორსაკოვის ქ. და მარინეს პროსპექტის კუთხე.

**მიღებულია:**

ახალი პარტია ორაგულის, ზურგიელი და დოში, ფასი გირვ. 150 მანეთიდან, საუკეთესო ხიზილალა და სხვა და სხვა თევზეულობა კაროპკებითაც, სარდინები და მწვანილეულის კონსერვები, ძეხვები კაპჩონი და ახალი, რძე კაროპკებში, კონსერვიული შოკოლადი და სხვა ტკბილეულობა. მიღებულია აგრეთვე დიდ-ძალი ღვინოების საუკეთესო ფირმებისა და საუფლისწულო მამულებიდან, აგრეთვე უცხოეთიდგან ლიქიორები, კონიაკები, შამპანიური. იყიდება წვრილათ და პარტიობითაც.

ფასები ყოველივეზე ხელმისაწვდომია.

405. (10—5)

---

## კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

## „კ ა ხ ე თ ი“

ბათუმის განყოფილება, ოგლობჟინის ქუჩა, №32, ტელ. 47.

იყიდება საუცხოვო ხარისხის კახური ღვინოები ხელმისაწვდომ ფასებ. უკონკურენციოთ.

კახელ მევენახეთა კოოპ. საზ. წარმომადგენელი.

პატივისცემით ამბაკო კონსტანტინეს ძე ნადარეიშვილი.

404. (24—4)

---

## იაფ-ფასიანი სასადილო „ე დ ე მ ი“

მზადდება ყოველგვარი ევროპიული და აზიური საჭმელები ახალი სანოვაგისაგან. სადილი პურით ღირს 100 მანეთი. მოიპოვება აგრეთვე სხვა და სხვა

სასმელები, როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთელი ფირმებისა. უკრავს სიმებიანი ორკესტრი. არის სუფთა, სრული და მყუდრო კაბინეტები.

მისამართი: შეპელევის ქუჩა №38.

პატივისცემით ი. თალიბაძე და ბ-რიაა.

402. (10–4)

## ბათუმი 16 ივნისი.

საკვირველების მხარეში უცნაურ და ახირებულ ალსარებას ამჟღავნებს მურღულელი მეტელეფონე ქესკინ-ზადე.

დეზერტირ რუსების „ნაშ კრაი“-ს ივნისის 15-ს ფურცლებზე, რომელსაც აზროვნების და წერის სპეკულიანტი შანტაჟისტი კაცი რედაქტორობს, დასტამბულია ქესკინ-ზადეს „სენსაციური წერილი“.

უვიც ადამიანის ბიჭ-ბუჭის კილოთი, მაგრამ, მაინც სხვა დაქირავებულ კაცის მიერ დაწერილ წერილში ეს თავხედი კაცი, აცხადებს რა თავის თავს „დამოუკიდებელ აჭარისტანის“ პირველ კაცად, კატეგორიულად ამბობს, რომ ის „აჭარისტანის“ მთავარ სარდლათ დანიშნა გენ. კუკ-კოლისმა, რაც სრულებით არ უნდა უკვირდეს ვისმესო!

საგნები სახელებს ირქმევენ, მაგრამ ნუ თუ ყველაფერი ეს ასეა?..

ოლქში ანარქიის ცეცხლის დამანთებელი, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტზე გაბუტული იმიტომ, რომ მას ოფიცრობა არ მისცეს, ქესკინ-ზადე, რომელიც თავისი შავი ხელებით კოშმარს ამეფებს ბედკრულ მხარეში, ძმა ძმას გადაჰკიდა და თვით საოკუპაციო მთავრობისთვისაც სახიფათო, საფათერაკო მდგომარეობას ჰქმნის, ტერორის ქვეშ ჰყავს მშვიდობიანი მშრომელი ხალხი და ავარჯიშებს ძარცვა-გლეჯას, ასეთი არამზადა, სისხლის სამართლის დამნაშავე პიროვნება თურმე გენ. კუკ-კოლისს აჭარისტანის მთავარ სარდლად დაუმტკიცებია...

ჩვენ ვცურავთ ყოველგვარ უცნაურობათა უძიროებაში, მაგრამ ანტანტის პოლიტიკა ამ უძიროების უცნაურობის მიმართაც ვერ უნდა იდგეს პასუხის გების გარეშე.

ის კაცი, რომელიც ბალშევიკების ფულებით, თურქების ხელმძღვანელობით და სხვა ავანტიურისტების დახმარებით ბათუმის ოლქს იარაღში სხამს, ის კაცი, რომელიც ნახევრად ოფიციალურ პირთან ლაპარაკში ამაყად ამბობს, რომ როდესაც ხულოში ქართველ ჯარზე „გავიმარჯვე“, გენ. კუკ-კოლისმა მომილოცა და მირჩია ქართველები დამეტყვევებიაო, განა ინგლისის მეგობარია? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მურღულელი მეტელეფონე და ბაქოელი მეხილე ამას ყველაფერს თავხედურად ამბობს, რომელშიაც არაფერ შუაშია ინგლისის სარდლობა, მაგრამ ამავე დროს დიდი ბრიტანეთის სარდლობა ვალდებულია თავის პრესტიჟის დასაცვად უზრდელ ბიჭ-ბუჭებს სულელურ კადნიერებისათვის პასუხი მოსთხოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ძალა უნებურად იძულებული იქნება იფიქროს, რომ უვიცი ქესკინ-ზადე მართლა ინგლისელებისაგან არის დანიშნული, საზოგადოთ ფიზიკურ კანონით დაუშვებელია, რომ იმ მხარეში, სადაც ერთი საოკუპაციო მთავრობა არსებობს მის გვერდით მეორე თუ ამჟამად არა პრინციპში მაინც საოკუპაციო მთავრობის მოწინააღმდეგე ძალა შეიკრიბოს, განვითარდეს და ასეთ ძალის მთავარ სარდალიც საოკუპაციო მთავრობამ დანიშნოს.

უსაზღვროდ გვაკვირვებს „ნაშ კრაიში“ მოთავსებული წერილი. ვერ წარმოგვიდგენია რა ხდება, ეს შეშლილის ბოდვაა, ფრანჩესკის უკანასკნელი ყორნული სიმღერა, თუ სინამდვილე ვინატროთ, რომ ეს უცნაურობა მწარე სინამდვილეთ არ ქცეულიყოს და თავის მკვეთრი სიტყვით დიდ ბრიტანეთის ჯარების წარმომადგენელს შეშფოთებულ საზოგადოებისთვის დაენახვებიოს ჭეშმარიტება.

გვინდა ვირწმუნოთ, რომ ის ხალხი, რომელიც ბათუმის ოლქს ანარქიის ცეცხლში სწვავს, საოკუპაციო მთავრობისგან სასტიკ დასჯის მაგივრად უდიდეს დაჯილდოვებას „მთავარ სარდლის თანამდებობას ვერ უნდა ღებულობდეს“. ველით ამ შეშლილი კაცის მსგავსის უცნაურ წერილისთვის შესაფერ განმარტებას, ვისგანაც ეს სავალდებულო და აუცილებელია.

სხვა ფრივ ჩვენ თავს არ დავიმცირებთ და ქესკინ-ზადეებისგან ათასიანებით ნაყიდ „ნაშ კრაის“ თანამშრომლის მიერ უპასუხისმგებელო — უაზროდ დაწერილ წერილის შესახებ არაფერს ვიტყვით.

## ა ხ ა ლ ი   ა მ ბ ე ბ ი.

◆ გუშინ, 15 ივნისს დილის 9 საათზე დაბეჭდეს ბ. შმაევსკის სტამბა, სადაც რუს შავრაზმელების გაზეთი „ნაშ კრაი“ და „სედაი მილეთელთა“ ჯგუფის თურქული გაზეთი იბეჭდებოდა. ამბობენ, რომ ეს გამოიწვია ბათუმის ოლქში მომქმედ ყაჩაღთა ბრბოების მეთაურის „სედ. მილეთელ“ ქესკინ-ზადეს წერილმა, რომელიც მისი ხელმოწერით 15 ივნისის „ნაშ კრაიში“ დაიბეჭდა და სადაც აშკარათ ამბობს, რომ ის „ინგლისის სარდლობამ დანიშნა აჭარისტანის რესპუბლიკის ჯარების მთავარ სარდლათ, რაც სრულიათ ბუნებრივიაო“.

ამავე დღის 11 საათზე სტამბა ისევ გახსნეს და სტამბაში მომუშავეებმა მუშაობა განაგრძეს.

◆ ოთხშაბათს 16 ივნისს რკინის თეატრში ქართულ დრამატიული სტუდიის მიერ წარმოდგენილი იქნება „ივერიძის ოჯახი,“ დრ. 3 მოქმედებათ ვ. გუნიასი. მონაწილეობას მიიღებენ თეატრის საუკეთესო ძალები...*

* **შენიშვნა:** წინამდებარე ნომრის მეორე გვერდი დაზიანებულია (არ იკითხება), რის გამოც იბეჭდება გაზეთის მხოლოდ პირველი გვერდი *(რედ.)*.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

პარასკევი 25 ივნისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბალის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ." რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 600 მან.
2 თვით ........................ 400 მან.
1 თვით ........................ 200 მან.

№390 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №390

## ჯერ კიდევ დროა.

უკვე ირკვევა, რომ იმ ინტრიგამ, რომელსაც აქ ჩვენი სამშობლო საქართველოს წინააღმდეგ დიდი გულმოდგინებით აწარმოებდენ, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. მის ავტორებს ამ ინტრიგის მეოხებით სურდათ საქართველოს მოდრეკა, მისი დათანხმება იმაზე, რომ ჭოროხის მარცხენა ნაპირი სომხეთს გადასცემოდა. ცდილობდენ საქართველო სიდინჯის ხაზიდან გადაეგდოთ, მასში ნერვიულობა გამოეწვიათ და დათმობის გზაზე დაეყენებინათ.

სწორედ ამ მიზნით აამუშავეს ქესკინ-ოღლები, ამ მიზნით მფარველობდენ და ყოველნაირათ ხელს უწყობდენ „სედაი მილეთის" ორგანიზაციას. ამ მიზნით დარიგდა პატრონები და თოფები, ამ მიზნით მიჰქრი-მოჰქროდენ ავტომობილები და იმართებოდა თათბირი.

მარა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გამოცდილი მთავრობა ვერ ააჩქარეს, სიდინჯე და შორს მჭვრეტელობა ვერ ჩამოაცილეს მას. საქართველოს მთავრობას ძლიერ კარგად ესმოდა თავის მტერთა განძრახვანი და ის ღირსეულათ, როგორც შეფერის ღირსეულ ბელადებს, აუჩქარებლათ, დინჯათ, და თანხმობით იკაფავდა გზას ბათუმის საკითხის სასურველათ გადაწყვეტისაკენ.

ის ვერ დააშინა ვერავითარმა მუქარამ: ვერც სან-რემოს კონფერენციაზე, სადაც მის წარმომადგენლებს მოსთხოვეს თანხმობა ჭოროხის მარცხენა ნაპირის სომხეზზე გადაცემის შესახებ, ვერც აქ დანთებულმა ინტრიგამ და ვერც უორდროპის უეცრათ თფილისიდან წასვლამ. მან უარი განუცხადა ინგლისის წარმომადგენელს სან-რემოში ხელი მოეწერა ისეთ პირობაზე, რომლითაც სომხეთს უნდა გადაცემოდა ჭოროხის მარცხენა ნაპირი და აგრეთვე უფლება უნდა მისცემოდა იმავე სომხეთს ყარსიდან ბათუმამდე და ბათუმიდან რიზემდე რკინის გზების გაყვანისა. საქართველოს დელეგაციამ არ მიიღო ასეთი პირობა, მან არ გაჰყიდა სამუსლიმანო საქართველოს და მით მთელი საქართველოს ინტერესები.

ზოგიერთები ამბობდენ, რომ საქართველო უნდა დათანხმებოდა ამ პირობას, რადგან ამით ავათ თუ კარგად საბოლოოთ გადაწყდებოდა ბათუმის საკითხიო: ამით ბოლო მოეღებოდა ბათუმის ოლქში გაჩაღებულ ინტრიგებს და საქართველო თავისუფლათ ამოისუნთქავდა, თან ინგლისსაც მოიმადლიერებდაო. მარა ვინც ამას ამბობდა, ის არ უწევდა ანგარიშს იმ უბედურებას, რაც ზემოხსენებულ პირობის მიღებით სამუსლიმანო საქართველოს თავს დაატყდებოდა. საქართველოს არასოდეს არ ჩაუდენია ღალატი და მით უმეტეს ის ვერ უღალატებდა თავის ძმებს — მუსლიმან ქართველებს.

და ისიც ასე მოიქცა. მან იცოდა, რომ ბევრი უსიამოვნება შეხვდებოდა მით, რომ ჭოროხის მარცხენა ნაპირი სომხეთს არ ჩაუგდო ხელში; იცოდა, რომ ბათუმის ოლქში ინტრიგას გააძლიერებდენ და შეუგნებელ პირთა შორის ზოგს მოისყიდდენ, ზოგსაც სხვა გზით აიყოლიებდენ, თავის ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ წაიყვანდენ, მარა სწორ, სამართლიან გზას მან მაინც არ უღალატა. მან მედგრათ, უშიშრად, ღირსეულათ დაიცო თავის უფლებები და მით, რა თქმა უნდა, სამუსლიმანო საქართველოს უფლებებიც.

და როგორც ჩანს, მიაღწია კიდეც სასურველ შედეგს. ბათუმის და ბათუმის ოლქის საკითხი ამ დღეებში უნდა გადაწყდეს და არის იმის ნიშნები, რომ ეს საკითხი გადაწყდება ისე, როგორც მის გადაწყვეტას მოითხოვდა საქართველო.

მარა უგუნურები მაინც თავისას არ იშლიან. ინტრიგის მიერ შობილნი ქესკინ-ოღლები და ძმანი მათნი კვლავ თავს არ ანებებენ ჩვენი ქვეყნის დალუპვის საქმეს. მათ მიერ მოტყუებული ზოგიერთი პირები კვლავ თხრილებში არიან ჩამჯდარი. მათ ჰგონიათ, რომ საქართველო, რაკი მათ ამ მდგომარეობაში დაინახავს, მაშინვე უკან გაბრუნდება და ჩვენს ქვეყანას ჩვენი მტრების მიერ დაქირავებულ პირთ ჩაუგდებს ხელში. ჰგონიათ, რომ საქართველო, რომელმაც ინგლისის მოთხოვნის წინაშე არ დაიხია უკან, ქესკინ-ოღლის მოთხოვნით უკან დაიხევს.

საქართველო არ არის სისხლის ღვრის მოყვარული. მით უმეტეს მას არ სურს სისხლის ღვრა მოხდეს ძმებთა შორის. მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან ქესკინ-ოღლებს ჩვენი ქვეყანა გააყიდვინოს, მისცეს საშუალება მოსყიდულ პირებს ჩვენზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელების გაბატონებისა. საქართველოს მთავრობას ძლიერ კარგად ესმის, რომ თუ საქართველოს ფარგლებში არ იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი — ბათუმის ოლქი, ამ ოლქს დაეპატრონებიან უცხოელები, რომლებიც სისხლს ამოსწოვენ ჩვენ ხალხს და მით მთელ საქართველოს. ამას კი თავის დღეში არ დაუშვებს საქართველო, როგორც არ დაუშვა მან ეს სან-რემოს კონფერენციაზე.

ჯერ კიდევ არის დრო გონს მოვიდენ ის პირები, რომელთა მოქმედება ინტრიგამ წარმოშვა. ჯერ კიდევ არის დრო თავი ანებონ ჩვენი ხალხის დამღუპველ საქციელს და თუ ისინი მაინც თავისას განაგრძობენ, თუ მათი მოქმედებით სისხლის ღვრა მოხდა, ამის პასუხისმგებელნი იქნებიან ისინი. ხალხი არ აპატიებს მათ ასეთ საშინელებას. სადაც არ უნდა გაიქცენ ისინი, სადაც არ უნდა დაიმალონ, ხალხი მათ მაინც მიაგნებს და პასუხს აგებინებს. და ხელი აიღონ ხალხის დამღუპავ საქმეზე. ხალხის სისხლით ვაჭრობა არავის შერჩენია და არც მათ შერჩებათ.

ძმობა არ უნდა დაირღვეს. არც ერთი წვეთი სისხლი არ უნდა დაიღვაროს. და თუ მოხდა ეს უბედურება, ამის პასუხისმგებელნი იქნებიან ჩვენი მტრების მიერ მოსყიდული პირები...

მაშ ჩაუფიქრდენ თავიანთ მოქმედებას. ჯერ კიდევ დროა...

---

# ახალი ამბები.

◆ კვირას, 27 ივნისს რკინის თეატრში თბილისის ქართულ დრამატიული დასის ქ-ნ ტასო აბაშიძის, მ. მდივანის და ბ-ნ ა. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრაგედია „ოტელო“ 5 მოქ. და 7 სურათად, თარგმ. მაჩაბელისა. ოტელოს როლს შეასრულებს ა. იმედაშვილი, დეზდემონას — მ. მდივანი, იაგოს — ა. ყალაბეგიშვილი. დასის შემადგენლობა: აბაშიძე ტ., აბდუშელი დ., ანკარა ს., იმედაშვილი ა., მდივანი მ., მურუსიძე ა., ურუშაძე ზ., ფრონისპირელი გ., ყალაბეგიშვილი ა. და ჩაგუნავა. ბილეთების შეძენა შეიძლება შაბათს 11-დან 1 საათამდე და 5-8 ს. რკინის თეატრში. კვირას კი მთელი დღე.

ორშაბათს აგივე დასი წარმოადგენს ისტორიულ პიესას ნაპოლეონს.

◆ გენერალური შტაბის ცნობით როყის მიმართულებით 21 ივნისს საქართველოს ჯარებმა დაიკავეს როყის უღელ-ტეხილი, ხელთ უგდიათ ერთი ტყვიის მფრქვეველი. ქედის უღელტეხილის მიმართულებით ქართველ ჯარებს ბანდებისაგან გაუწმენდიათ ყველა სოფელი, რომელიც უღელტეხილამდის მდებარეობს. ჩვენი ჯარები უღელტეხილს იკავებენ. ამგვარად, რესპუბლიკის მთელი ტერიტორია ბანდებისაგან გაიწმინდა.

◆ კვირას, 27 ივნისს დილის 10 საათზე დანიშნულია „მუშათა კოოპერატივის“ წევრთა საზოგადო კრება. კრების ბინა ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის სახელზე ახალციხიდან შემდეგი დეპეშა არის მიღებული. „მუსულმანების დიდ დღესასწაულზე, რამაზან-ბაირამზე მე მინარეთში ვიყავი და აგრეთვე დავიარე ახლო მდებარე სოფლები, რომ მივსალმებოდი მათ მთავრობის სახელით. ადგილობრივი მუსლიმანობა აღფრთოვანებით ესალმება დამფუძნებელ კრების და დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას, უსურვებს მას გამარჯვებას. მცხოვრებლები მოუთმენლათ ელიან ბათომის დაბრუნებას და მუსულმანურ და ქრისტიანულ საქართველოს გაერთიანებას. ასეთია სურვილი მთელი ადგილობრივი მუსულმანობის და მათი ხელმძღვანელების იმამშენიმბადურისა და დამფუძნებელ კრების წევრის ოსმან მიქელაძის. აწერს პლატონ მიქელაძე“. მეორე დეპეშა, ოსმალ მიქელაძის ხელის მოწერით: „დღეს დიდ დღესასწაულის რამაზან-ბაირამის დროს მინარეთში შეიკრიბა დიდ-ძალი მუსულმანობა, სამაზრო კომისარი, ერობათა, ქალაქთა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. ლოცვის დროს მოხსენებულ იქნა საქართველოს მთავრობა, რომელსაც ადგილობრივი მუსულმანობა, სრულ ნდობას უცხადებს და უსურვებს საბოლოთ გამარჯავებას სამშობლოს საკეთილდღეოთ წარმოებულ მუშაობაში“.

◆ 23 ივნისს ბათუმის შრომის ბირჟაში გამოცხადდა ძველი ჩაწერილი 121 უმუშევარი — (92 კაცი და 29 ქალი). ახლად ჩაეწერა 26 უმუშევარი — (15 კაცი და 11 ქალი). ამავე დღეს ბირჟიდან მოითხოვეს 2 მოსამსახურე ქალი და 2 გაზეთის გამყიდველი. გაიგზავნა სამუშევარზე ერთი ფეჩის მოხელე და ერთი მოსამ. ქალი.

◆ 24 ივნისს შრომის ბირჟაზე საჭირო იყო ერთი მოსამსახურე ქალი და 2 გაზეთის გამყიდველი.

◆ 19 ივნისს ღამით ბოროტმომქმედებმა გასტეხეს საბაკალეინო დუქანი ემდი ხაშიმ-ოღლის და არიფ ჩალაძეს, საიდანაც წაიღეს 20 გირ. შაქარი, 2 ფუთი ლობიო, 2200 მანეთად ღირებული საპონი და ფულათ 800 მანეთი. ბოროტმომქმედნი მიიმალენ.

◆ 21–22 ივნისს უდროო დროს ქუჩაში გამოსვლისა და სიმთვრალისათვის დატუსაღებულ იქნა ივანე ხვოიკო.

◆ 21 ივნისს მეორე უბნის მილიციონერმა დაატუსაღა და პასუხისგებაში იქნა მიცემული ხანანაშვილი, რომელსაც საადრესო სტოლში შემოწმებული პასპორტი არ ჰქონდა.

დაატუსაღეს აგრეთვე გიგო ტუნიევი სიმთვრალისათვის.

◆ 21 ივნისს პირველი უბნის უფროსთან გამოცხადდა მარია აფონკინა და პელ. ფედოტოვისა, რომელმაც განაცხადა, რომ პელ. ფედოტოვას დაუნახა მან თავის ტანთსაცმელი, რომელიც მ. აფონკინასათვის ამას წინათ მოუპარავთ სხვა ნივთებთა შორის. მილიციის უფროსმა გაჩხრიკა პ. ფედოტო-

ვას ბინა, სადაც კიდევ აღმოაჩინეს დაკარგული ნივთები. პ. ფედოტოვა დანაშაულში გამოტყდა. გამოძიება სწარმოებს.

✦ პირველ უბნის მილიციონერს 23 ივნისს ღამის 12 საათზე განუცხადეს, რომ რესტორან „პალე-კრისტალში" წაიჩხუბენ მსახიობი ვერა ალმაზოვა და ფრიდა დაგანსკისა. ვერა ალმაზოვამ აფიციანტის დახმარებით სცემა ფ. დაგანსკის. გამოძიება გრძელდება.

✦ 23 ივნისს დღის 2—3 საათზე აირაპეტ პეტროსიანცის მაღაზიიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 500000 მანეთად. ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

✦ საადრესო სტოლში პასპორტის შეუმოწმებლობისათვის დაატუსაღეს დეტეშვილი, პ. ბეჟანოვი და იოსებ ბერაზოშვილი.

✦ ქალაქის მილიციის უფროსს 23 ივნისს მესამე უბნის უფროსმა უცნობა, რომ 12 და 16 ივნისს კონსტანტინე დუალაგანიას მაღაზიიდან თეოფანე ფაჩულიამ მოიპარა ფულით 44500 მანეთი და გაიპარა ქ. ფოთში. მიღებული ზომებით ფაჩულია დაატუსაღეს ფოთში და 22 ივნისს უკვე ჩამოიყვანეს ბათუმში. საქმე გადაეცა საოლქო სასამართლოს.

✦ 23 ივნისს დაატუსაღეს ივ. აგაიანცი, რომელმაც ოლღა ინასარიძეს შინელი მოჰპარა.

---

## მოსკოვის ელჩი თფილისში.

კომუნისტურმა რუსეთმა თავის ელჩი წარმოგზავნა საქართველოში... ბ-ნ კიროვი თფილისს მოვიდა... რესპუბლიკის მთავრობა ოფიციალურად შეხვდა მოსკოვის ოფიციალ დესპანს!.. საქართველოს იმდენათ უხარის მოსკოვის მოციქულის ჩამოსვლა, რამდენადაც ეს უკანასკნელი ქართველ დემოკრატიის სუვერენულ მყოფელობას პატივს სცემს, ელჩის საპატიო პოსტს არ გასცილდება და ხელს შეუწყობს მოსკოვ-თფილისის შორის ნორმალურ ურთიერთობის მოწყობას.

თავისი მრავალრიცხოვანი მხლებელებით, რომელსაც სამხედრო კაცი უთუოდ სახელად კომუნსტთა საექსპედიციო ბათალიონს დაარქმევდა, იგი (ბნი კიროვი) თუ ჩაეფლო პარტიულ კომუნისტურ ვაკხანალიაში, რომელიც მიუხედავათ იმისა, რომ ახლა ქართულ ფირმის ქვეშ მოექცა, მაინც ძველებურადვე აშკარად საქართველოს თვით ხელმწიფების წინააღმდეგაა მიმართული, თავის იდეოლოგობას უწევს და რესპუბლიკაზე თავდამსხმელობა არშინიან ფულებით ჰკვებავს ნასტრაუნიკალ უსაქმურ ოსებს, ტაშს უკრავს ქობულეთ-ხულოს ხულიგნებს. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი მოსაქმეთა მოზიარე ვითომდა წარმომადგენლობას საქართველო ვერ მოითმენს.

კომუნისტები ორიგინალური ხალხია და ისინი ყველაფერს თავისებურად აკეთებენ, თორემ ვინ გაიგონა, რომ ოფიციალური დესპანი მივიდეს რომელიმე სახელმწიფოში და მისვლის საათშ[illegible]-ული მიტინგი მოაწყოს.

კიროვს აღფრთოვანებით ტაშის ხმა ასმინეს რუსმა უმუშევრებმა და იმ სომხებმა, რომლებისთვისაც ღმერთს ჯერ არავითარი გონება არ მიუცია. განჯის ტრაღედიის მომწყობთა მონათესავენი ხვდებიან „თფილი გულით" საქართველოს დედა ქალაქში ბ-ნ კიროვის ჩამოსვლას.

ქართველი განდეგილები და გარეწარნი დამშეულ მოსკოვიდან მოსულ კომუნისტ კიროვს შესჩივიან საქართველოს მშრომელთა ტანჯვას და ნატრობენ რუსეთთან გაერთიანებას...

ამ ხალხს გაგიჟებით უყვარს ის წითელი არმიელები, რომლებმაც ქ. განჯაში მუსულმანთა სისხლით ტბები დააყენა... ეს ხალხი რომანტიულად უყურებს იმ კომუნისტ მებრძოლებს, რომლებმაც მოსპეს ადერბეიჯანის და ჩრდილო კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობა და ებრძვიან უკრაინას...

ქართველი კომუნისტები შეხარიან იმ ბალშევიკებს, რომლებმაც რუსეთში სიკვდილი და სიმშილი გაამეფეს, ქვეყანა სამოქალაქო ომის ალმურში ჩასწვეს და დღემდის ხალხისთვის არც ერთი სოციალური რეფორმის მადლი არ უღირსებიათ...

ვისაც რა უნდა, ის მოსწონდეს, თუ ასე მოსწონთ დანგრეული და დამშეული რუსეთი, აიკრან ბარგი და გაუდგენ შორეულ გზას, რუსეთის უსაზღვრო სივრცეში ისინი სამოღვაწეო ასპარეზს მიიღებენ და აქ კი რა უნდათ... მათ ხომ საქართველოს დემოკრატიული ცხოვრება სძულთ...

ყველა გულწრფელი იდეური კაცი ისე იზამდა...

როგორც დედა-ქალაქის პრესამ უკვე გარკვეულად აღნიშნა, ბ-ნ კიროვის ჩამოსვლა და მისი აქ მოღვაწეობა არ უნდა გასცილდეს ელჩის ჩვეულებრივ ფარგლებს. ამ შემთხვევაში არანორმალურია კომუნისტურ პარტიასთან ამ თავიდანვე მისი ისეთი ინტენსიური კავშირის გაბმა...

უბრალო მოქალაქე იკითხავს, ბ-ნ კიროვი, ელჩის პასპორტით მოვლინებული, ბალშევიკების მოხერხებული პროპაგანდისტია აქაურ კომუნისტების სახელმძღვანელოდ წარმოგზავნილი, თუ ოფიციალური პარტიულ დუღილის გარეშე მდგომი დესპანი!..

კიროვი მხოლოდ დესპანი უნდა იყოს, მის აქეთ მას საქმე არ აქვს...

საქართველო საარაკო ქვეყანაა თანადროულ პირობებში და დღეს ვინც მას ემუქრება, ის ჯერ ერთი, რომ ბოროტების უფსკრულს წარმოადგენს თავის გულში და მეორე კიდევ, ბრაზმორეული შურს ამჟღავნებს ქართული სამოთხისადმი იმ ქალის მსგავსად, რომელიც თავის ბებერ ქმარს ვეზირს ეუბნებოდა: „რა ლამაზი ვაჟია, მაგრამ ჩემი არ არის და რადგან შენი მტერია, მოჰკალიო"...

მაგრამ უკვე ყველამ იცის, რომ თეთრი გიორგის ქვეყნის სიკვდილი არავის ძალუძს...

საქართველო გამიჯნულია ყველასაგან, მტრობით არავის უცქერის, მაგრამ ვაი იმას, ვინც თავის სიბეცით საქართველოს საზღვართა ბჭეს ხელს შეახებს....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ხალხის ცეცხლიანი ნების ყოფა ნაირ-ნაირ საარაკო მოქმედებებით შემუსრავს თავდამსხმელ მტერს...

ახლა იცის ყველამ, რომ საქართველო არც სომხეთია და არც აზერბაიჯანი (აზერბაიჯანი 1918 წ. საქართველომ დაარსა), რომ ის სახელმწიფოა, რომლის მაგალითებსაც ბევრი კულტურული ერი უნდა ჰბაძავდეს და ის სავსებით ანგარიშგასაწევი ქვეყანაა... საქართველომ უარჰყო რუსული ბარბაროსული ბოლშევიზმი. შორს დადგა არარატულ ორჭოფობისგან, უკუ აგდო ბაქოელ დიპლომატიის თვითმკვლელობა და მიდის საკუთარ ეროვნულ განვითარების გზით ევროპისაკენ...

ევროპა საქართველოს თან და თან ეცნობა, საქართველო თავის „მე“-ს იცავს და იგი არც გაუთხოვარ სომხეთსავით ემუდარება ვისმეს: გინდა თუ არა ჩემზე მანდატი მიიღეო... და არც აზერბაიჯანელებსავით თამაშობს საბედისწერო „მოსკოვურ კამათლებით“... საქართველო ევროპის კულტურის ჩირაღდანია აზიის კარებში... საქართველო ევროპისთვის უსაზღვროდ საჭირო ქვეყანაა, როგორც ცივილიზაციის ლამპარი ევროპა-აზიის ხიდზე... ასეთმა ქვეყანამ უნდა იცოცხლოს... თეთრი გიორგის ქვეყანას უნდა განშორდენ ის ეშმაკური და თვალთმაქცი ხალხი, რომლებიც მას ბოროტ აბესალომის მსგავსად ქალი ეთერის ბედის წევას უპირებენ... შორს უწმინდურთა შხამიანთა ხელი... თეთრი გიორგის ისარი გულს გაუპობს მათ...

ბ-ნმა კიროვმა უნდა იცოდეს, თუ სად მოვიდა ის..

ი. დიდიძე

---

## „სედაი მილეთლები“ და თათრული ლირები.

სოფელ ჭვანიდან ჩვენ გვაუწყებენ, რომ ამ დღეებში იქ მისულან „სედაი მილეთის“ ვაჟბატონები. დაუბარებიათ მოხუცებულები და გაუწევიათ მათთვის აგიტაცია საქართველოს წინააღმდეგ — თქვენ მოხუცებულები ხართ, დიდათ ჭკვიანი ხართ და რასაც ჩვენ გეტყვით, უნდა დაგვიჯეროთო, — უთქვამთ მათთვის „სედაი მილეთლებს“, — თქვენ ახალგაზრდებს უნდა ჩააგონოთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდენო.

რომ უფრო დაეჯერებინათ მოხუცები, თითო მოხუცისათვის „სედაი მილეთლებს“ მოუციათ ზოგისათვის თითო და ზოგისთვისაც ორ ორი ქაღალდის ლირა.

— ეს ქემალ-ფაშამ გამოგიგზავნა თქვენო, — განუცხადებიათ მოსყიდულებს.

ასე ატყუილებენ ხალხს. მარა მალე მოელება მათ ტყუილებს ბოლო.

---

## „საგმირო“ მოქმედებანი „სედაი მილეთლებისა“.

ამა წლის 13 ივნისს სოფელ ბოძგირეთში (შავშეთი) შეიჭრენ „სედაი მილეთის“ ბანდების მეთაურნი ხიძით ბეგი ფაყვაძე (ფაღავა) ფეხებამდე შეიარაღებულ 15 კაცის თანხლებით. გაიგეს რა იმათ ადგილობრივი გლეხი ყედემ-აღა საიდ ალისშვილი ალანიძე მათი მომხრე არ არის, რომელიც სხვათა შორის სოფელში შეძლებულ გლეხათ ითვლებოდა, შევიდენ მის სახლში, დაუპატიმრეს ორივე ვაჟი, რადგან ამ უკანასკნელებმა „სედაი მილეთის“ ფრონტზე წასვლაზე ვარი განაცხადეს, დაჭერილები შეკრეს თოკით და წაიყვანეს მთაში მძევლებათ; შემდეგ მათ გასანთავისუფლებლათ დატუსაღებულების მამას მოსთხოვეს 500 ცალი ბანკნოტი, რაზედაც უარი მიიღეს, რის გამოც მათ ენერგიულათ გაჩხრიკეს ალანიძის ბინა. წაიღეს ვერცხლი, ოქრო და ფული. შეიტყო თუ არა სოფელმა ალანიძის ვაჟების დაპატიმრება, თავი გამოიღო და გაანთავისუფლა 30 ოქროთი დაჭერილები, რომელნიც ახლაც იმალვიან ტყეში შეშინებულნი ბრბოების მეთაურებისაგან. თვითონ გაძარცული ალანიძე ართვინიდან ბათუმს გამოიქცა, რადგან ტყვედ წაყვანას უპირებდენ. მისი ზარალი უდრის ნახევარ მილიონ მანეთს. გლეხმა ალანიძემ წარმოადგინა სოფლის საზოგადოების დასტური, რომ მართლა იგი ასე რიგად დააზარალეს და ითხოვს, ეს მოთარეშე ყაჩაღ მძარცველთა ბრბო დასჯილ იქნეს. თავის მხრით თავგასულნი მეთაურნი ამ ბრბოისა კვლავ ემუქრებიან საწყალ გლეხ ალანიძეს...

აი „სედაი მილეთლების“ მოღვაწეობის ერთი ნიმუშთაგანი.

---

დაიკარგა ლაფუ ასლან ოღლის წლიური ბილეთი, მიცემული ახალციხის მაზრის ადიგენის საზ. კომისარისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

428. 1—1

---

დაიკარგა მაქსიმე ქვაჩაკიძის პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

429. 1—1

---

## საექიმო ცნობები.

### კბილის ექიმები

### მიხეილ და მინა მენაღარიშვილები

ღებულობენ დილის 9—1 და საღამო 4—6 საათამდის გარდა კვირა-უქმედღეებისა. აკეთებენ პლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ხალხის ცეცხლიანი ნების ყოფა ნაირ-ნაირ საარაკო მოქმედებებით შემუსრავს თავდამსხმელ მტერს...

ახლა იცის ყველამ, რომ საქართველო არც სომხეთია და არც აზერბაიჯანი (აზერბაიჯანი 1918 წ. საქართველომ დაარსა), რომ ის სახელმწიფოა, რომლის მაგალითებსაც ბევრი კულტურული ერი უნდა ჰბაძავდეს და ის სავსებით ანგარიშგასაწევი ქვეყანაა... საქართველომ უარჰყო რუსული ბარბაროსული ბოლშევიზმი. შორს დადგა არარატულ ორჭოფობისგან, უკუ აგდო ბაქოელ დიპლომატიის თვითმკვლელობა და მიდის საკუთარ ეროვნულ განვითარების გზით ევროპისაკენ...

ევროპა საქართველოს თან და თან ეცნობა, საქართველო თავის „მე“-ს იცავს და იგი არც გაუთხოვარ სომხეთსავით ემუდარება ვისმეს: გინდა თუ არა ჩემზე მანდატი მიიღეო... და არც აზერბაიჯანელებსავით თამაშობს საბედისწერო „მოსკოვურ კამათლებით“... საქართველო ევროპის კულტურის ჩირაღდანია აზიის კარებში... საქართველო ევროპისთვის უსაზღვროდ საჭირო ქვეყანაა, როგორც ცივილიზაციის ლამპარი ევროპა-აზიის ხიდზე... ასეთმა ქვეყანამ უნდა იცოცხლოს... თეთრი გიორგის ქვეყანას უნდა განშორდენ ის ეშმაკური და თვალთმაქცი ხალხი, რომლებიც მას ბოროტ აბესალომის მსგავსად ქალი ეთერის ბედის წევას უპირებენ... შორს უწმინდურთა შხამიანთა ხელი... თეთრი გიორგის ისარი გულს გაუპობს მათ...

ბ-ნმა კიროვმა უნდა იცოდეს, თუ სად მოვიდა ის..

ი. დიდიძე

---

## „სედაი მილეთლები“ და თათრული ლირები.

სოფელ ჭვანიდან ჩვენ გვაუწყებენ, რომ ამ დღეებში იქ მისულან „სედაი მილეთის“ ვაჟბატონები. დაუბარებიათ მოხუცებულები და გაუწევიათ მათთვის აგიტაცია საქართველოს წინააღმდეგ — თქვენ მოხუცებულები ხართ, დიდათ ჭკვიანი ხართ და რასაც ჩვენ გეტყვით, უნდა დაგვიჯეროთო, — უთქვამთ მათთვის „სედაი მილეთლებს“, — თქვენ ახალგაზრდებს უნდა ჩააგონოთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდენო.

რომ უფრო დაეჯერებინათ მოხუცები, თითო მოხუცისათვის „სედაი მილეთლებს“ მოუციათ ზოგისათვის თითო და ზოგისთვისაც ორ ორი ქაღალდის ლირა.

— ეს ქემალ-ფაშამ გამოგიგზავნა თქვენო, — განუცხადებიათ მოსყიდულებს.

ასე ატყუილებენ ხალხს. მარა მალე მოელება მათ ტყუილებს ბოლო.

---

## „საგმირო“ მოქმედებანი „სედაი მილეთლებისა“.

ამა წლის 13 ივნისს სოფელ ბოძგირეთში (შავშეთი) შეიჭრენ „სედაი მილეთის“ ბანდების მეთაურნი ხიძით ბეგი ფაყვაძე (ფაღავა) ფეხებამდე შეიარაღებულ 15 კაცის თანხლებით. გაიგეს რა იმათ ადგილობრივი გლეხი ყედემ-აღა საიდ ალისშვილი ალანიძე მათი მომხრე არ არის, რომელიც სხვათა შორის სოფელში შეძლებულ გლეხათ ითვლებოდა, შევიდენ მის სახლში, დაუპატიმრეს ორივე ვაჟი, რადგან ამ უკანასკნელებმა „სედაი მილეთის“ ფრონტზე წასვლაზე ვარი განაცხადეს, დაჭერილები შეკრეს თოკით და წაიყვანეს მთაში მძევლებათ; შემდეგ მათ გასანთავისუფლებლათ დატუსაღებულების მამას მოსთხოვეს 500 ცალი ბანკნოტი, რაზედაც უარი მიიღეს, რის გამოც მათ ენერგიულათ გაჩხრიკეს ალანიძის ბინა. წაიღეს ვერცხლი, ოქრო და ფული. შეიტყო თუ არა სოფელმა ალანიძის ვაჟების დაპატიმრება, თავი გამოილო და გაანთავისუფლა 30 ოქროთი დაჭერილები, რომელნიც ახლაც იმალვიან ტყეში შეშინებულნი ბრბოების მეთაურებისაგან. თვითონ გაძარცული ალანიძე ართვინიდან ბათუმს გამოიქცა, რადგან ტყვედ წაყვანას უპირებდენ. მისი ზარალი უდრის ნახევარ მილიონ მანეთს. გლეხმა ალანიძემ წარმოადგინა სოფლის საზოგადოების დასტური, რომ მართლა იგი ასე რიგად დააზარალეს და ითხოვს, ეს მოთარეშე ყაჩაღ მძარცველთა ბრბო დასჯილ იქნეს. თავის მხრით თავგასულნი მეთაურნი ამ ბრბოისა კვლავ ემუქრებიან საწყალ გლეხ ალანიძეს...

აი „სედაი მილეთლების“ მოღვაწეობის ერთი ნიმუშთაგანი.

---

დაიკარგა ლაფუ ასლან ოღლის წლიური ბილეთი, მიცემული ახალციხის მაზრის ადიგენის საზ. კომისარისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

428. 1—1

---

დაიკარგა მაქსიმე ქვაჩაკიძის პირადობის სურათიანი მოწმობა მოცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

429. 1—1

---

## საექიმო ცნობები.

### კბილის ექიმები

#### მიხეილ და მინა მენაღარიშვილები

ღებულობენ დილის 9—1 და საღამო 4—6 საათამდის გარდა კვირა-უქმედღეებისა. აკეთებენ პლ-

ომბებს და ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქრო-
ზე და ალუმინზე, აგრეთვე არჩენენ ღრძილების
ავათმყოფობას. ვლადიკავკავის ქ. №9. საკუთ. სა-
ხლი.
386. (12–10)

**ექიმი მ. ს. მუჯირი.**

ილებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყო-
ფებს დილის 8 — 9 საათამდის და საღამოს 4 — 6
საათ. ბათუმის ვაგზალი, ბინა №3.
390. (24–10)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის ორგანო

შაბათი 26 ივნისი 1336-1920 წელი. ფასი 10 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუსლიმანო საქართველო

მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით.
მისამართი: ბათუმი, შეპელევის და ბაღის ქუჩის კუთხე №7/10 ტელეფონი №14.
დასაბეჭდი წერილები გამოიგზავნება შემდეგი ადრესით: „სამუსლიმანო საქართ". რედაქციას.

ხელის მოწერა ღირს: ბათუმის ოლქში:
3 თვით ........................ 600 მან.
2 თვით ........................ 400 მან.
1 თვით ........................ 200 მან.

№391 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი №391

## რკინის თეატრი

### 1920 წელს კვირას 27 ივნისს

**გასტროლი** თფილისის დრამატიულ დასისა ქ-ნნი ტ. აბაშიძის, მ. მდივანის და ბ-ნ მ. იმედაშვილის მონაწილეობით შექსპირის ტრაგედია

## ოტელო

5 მოქ. და 7 სურათად თარგმ. მაჩაბელის. ოტელო — იმედაშვილი, დეზდემონა — მ. მდივანი, იაგო — ა. ყალაბეგაშვილი, დასის შემადგენლობა: აბაშიძე ტ., აბდუშელი დ., ანკარა ს., იმედაშვილი ა., მდივანი მ., მურუსიძე ა., ურუშაძე ზ., ფრონისპირელი გ., ყალაბეგიშვილი ა. და ჩაგუნავა.

დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე.

დასის რწმუნებული **ი. ევიძე**

ბილეთების შეძენა შეიძლება შაბათს 11-დან—1 საათამდე და 5—8 ს.

რკინის თეატრში კვირას კი მთელი დღე.

(2—1)

## სადღეისო.

ამას წინათ ჩვენ აღვნიშნეთ უმთავრესი მიზეზი იმ სამწუხარო ამბებისა, რასაც ადგილი ჰქონდა და ჯერ კიდევ აქვს ქობულეთის და ჭვანის რაიონებში. ამ ამბების მთავარ მიზეზათ ჩვენ მიგვაჩნია შეუგნებლობა. იქ, სადაც ხალხი შეგნებულია, სადაც მას კარგად ესმის თავის საარსებო ინტერესები, ვერავითარი ავანტიურისტები, ვერავითარი მოსყიდულები ხალხს ვერ აიყოლიებენ. სადაც შეგნებული ხალხია, იქ ავანტიურისტებს გასავალი არა აქვს, იქ მოსყიდულებს თვით ხალხი გაუსწორდება და თავის წრეში მათ ალაგს არ მისცემს, ჩვენში კი სამწუხაროთ, ბნელ, მოსყიდულ პიროვნებებს დიდი ასპარეზი გადაეშალათ სამოქმედოთ. ჩვენში ვილაც ქესკინ-ოღლებს ხელზე ჰკოცნიან, უჯერიან, ემორჩილებიან. მართალია, მთელ ხალხს აქ არავითარი წილი არ უძევს, მარა სადაც ასობით ყავს მომხმარეები მოსყიდულებს, სჩანს, რომ იქ ხალხი ვერ ამაღლებულა თავის ხალხურ ინტერესების შეგნებამდე.

დიახ, ქობულეთის და ჭვანის სამწუხარო ამბების უმთავრესი მიზეზი შეუგნებლობაა. და სწორედ ამ შეუგნებლობაზე ითამაშეს აქ საშინელი ინტრიგა ჩვენი ხალხის დამონავების მსურველებმა. შეუგნებლებმა დაიჯერეს, რომ ვითომ მათ ძლიერი ხელი, რომელმაც ინტრიგის ცეცხლი დაანთო, გულწრფელათ ეხმარება და ვითომ ავტორი ინტრიგისა მართლაც ჩვენი ხალხის ინტერესებს ემსახურება და არა ჩვენი მტრებისას, დაიჯერეს, რომ იონინები, ანისიმოვები და სხვა ასეთი ვაჟბატონები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის რუსეთზე მიწებებას ლამობენ, ვითომ მართლაც, რომ ჩვენი მეგობრებია. რაკი ტყვია-წამალს გვაწვდიან, თოფებს გვიგზავნიან, მაშასადამე ჩვენი მომხრეები არიანო, — ასე გასაჯეს მტრების საქციელი. შეუგნებლებმა ვერ გაიგეს, რომ იონინები თავის მიზნებისათვის აყენებდენ ქობულეთის თხრილებში მოტყუებით ჩამჯდარ უგუნურებს; ვერ გაიგეს, რომ მათ თავისივე ხელით თავის დასაკლავ დანას ალესვინებენ; ვერ შეიგნეს, რომ ის ტყვია-წამალი და თოფები, რომლებიც ავტომობილებით მათ ეგზავნებოდათ, თვით ჩვენი საარსებო ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

აი, ასეთ შეუგნებლობაზე აღმოცენდა ის დანაშაული, რასაც ადგილი ქონდა ქობულეთის და ჭვანის რაიონებში.

დანამდვილებითი ცნობებია, რომ ამ მოკლე ხანში ქ. ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცემა. მაშასადამე ამ მოკლე ხნის განმავლობაში საქართველოს მხედრობა ქალაქსა და ოლქს დაიკავებს.

საქართველოს მთავრობა დემოკრატიული მთავრობაა. ის არა თუ მომხრეა, სასტიკი მოწინააღმდეგია სისხლის ღვრისა. ჩვენ ძმებს ქართველ ქრისტიანებს, ბევრჯერ დაუმტკიცებია ჩვენთვის მათი ჩვენდამი ძმური განწყობილება, ძმური სიყვარული. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველო ახ-

ლა ასეთივე განწყობილებით მოვა აქ. მართალია ჩვენ მას ბევრი უსიამოვნება, ბევრი ტანჯვა მივაყენეთ, შეუგნებლებმა მას აქ ფრონტები მოუწყვეს და მით ჩვენი მტერის გული გაახარეს, მარა როგორც ვთქვით, ეს იყო შეუგნებლობის შედეგი.

საქართველოს მთავრობა არ უნდა გამოუდგეს იმას, რაც მოხდა. შურისძიება არ შეფერის დემოკრატიულ მთავრობას და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველო შურს არ იძიებს. რაც მოხდა ის დავიწყებული უნდა იქნეს. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეუგნებლობით გამოწვეული დანაშაული უნდა ეპატიოს შეუგნებლებს. საქართველოს მთავრობამ თავის ჯარების შემოსვლის წინ უნდა გამოაცხადოს ამნისტია იმ პირებისათვის, ვინც თავის შეუგნებლობით ჩვენ მტრებს აყვენ. დაე მივიწყებულ იქნას ქობულეთის და ჭვანის სამწუხარო ამბები. საქართველოს მხედრობა უნდა მოვიდეს აქ არა შურისძიებით გაჟღენთილი, არამედ სიყვარულის გრძნობით.

ძმამ ძმური ხელი უნდა გაუწოდოს თავის შემცდარ ძმას. ამნისტია შეცდომით და შეუგნებლობით გამოწვეულ დანაშაულობის ჩამდენთა — აი რა უნდა იყოს აქ პირველი სიტყვა საქართველოს მთავრობისა. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ასე იქნება.

მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამნისტიის შემდეგაც გაგრძელდეს ქობულეთის და ჭვანის ამბები. ვინც ამის შემდეგაც განაგრძობს ჩვენი ქვეყნის დაღუპვის საქმეს, ვინც ძმურათ გამოწვდილ ხელს მტრულად შეხვდება და ჩვენი ქვეყნის მტრებთან ერთად კვლავ მოინდომებს ბნელი საქმეების კეთებას, მას შესაფერი პასუხი უნდა გაეცეს, ასეთ პირთამდი ლმობიერება დანაშაული იქნება ჩვენი ქვეყნის წინაშე.

---

# ა ხ ა ლ ი ა მ ბ ე ბ ი.

✦ 24 ივნისს ბათუმში დაარსდა ქართულ ტან-ვარჯიშობის „შევარდენი"-ს საზოგადოება. გადაწყდა: საზოგადოების თითოეულ წევრმა გადაიხადოს წლიურათ 250 მანეთი. საზოგადოების მიზნია: აღზრდა სამშობლოსათვის ღირსეული შვილებისა, განვითარება თავის წევრებში ტანის სისხარტისა, სიმარდისა, ვაჟ-კაცობისა და გამბედაობისა, აგრეთვე შეგნება წესრიგიანობისა (დისციპლინისა), მოვალეობისა. ძმობა-ერთობა თავისუფლებისა, სიმშვენიერის გრძნობის განვითარება და ამ რიგად ხელის შეწყობა ქართულ შევარდნობის აზრის განხორციელებისათვის, რომელიც მიისწრაფვის საზოგადოებრივ ტან-ვარჯიშობის ფართო გავრცელებით გააძლიეროს ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე.

აღნიშნული მიზნის მისახწევად საზოგადოება: აწყობს ქალთა, ვაჟთა, მოზარდთა და ბავშვთა ყოველ გვარ ტან-ვარჯიშობას, როგორც სავარჯიშოებში, ისე გარეთ-თავისუფალ ჰაერზედ.

მფარველობს ფარიკაობას, დავლურს, ჩოგბურთობას, კრივს, ბურთაობას, საგლინავებით და თხილამურებით სრიალს, მიზანში სროლას, ცხენოსნობას, ცურვას, ნავოსნობას, მარულას, ჯირითობას, ციკლიზმს, ფრენას და სხვა, რისთვისაც ხსნის შესაფერ განყოფილებებს.

აწყობს საჯარო ვარჯიშობას, შეჯიბრებებს, სეირნობებს, საღამოებს, წარმოდგენებს და სხვა.

აარსებს სხეულის აღზრდის თეორიულსა და პრაქტიკულს სასწავლებლებს, გამოსცემს და ავრცელებს განსაკუთრებულ ფურცლებს და თხზულებებს საზოგადოების მიზნისა და საერთოდ ტანის აღზრდის შესახებ.

შედის შევარდენისა და სხვა ტან-ვარჯიშობის საზოგადოებათა კავშირში.

აწყობს წიგნთ-საცავებს, სამკითხველოებს, ნაშთსაცავებს და გამოფენებს.

იძიებს მეცნიერულ გამოკვლევის საშუალებით, თუ რა გავლენას ახდენს ტანის ვარჯიშობა ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სფეროზე.

საზოგადოება შესდგება ჩვეულებრივ და საპატიო წევრთაგან, რომელთაც თანასწორი უფლება აქვთ. საპატიო წევრი ვალდებული არ არის საწევრო გადასახადი უთუოდ შეიტანოს.

საზოგადოების წევრებათ შეუძლიათ იყვნენ ორთავე სქესის, 18 წლის არაკის პირნი.

ვრცელი წესდება აღნიშნული საზოგადოებისა ცალკე გამოქვეყნდება. საზოგადოების წევრობის მსურველთ შეუძლიათ მიმართონ საზოგადოების დროებით გამგეობას, რომელშიაც შედიან: ჯ. ქიქავა, ხ. ლორთქიფანიძე, ვ. ჭედია, შ. ჭყონია და შ. ცინცაძე. კანდიდატებათ: კ. ჯინჭარაძე და ო. რამიშვილი.

✦ ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა თხოვოს ინგლისის მთავრობას მისცეს ქალაქს საჭირო ავტომობილები, როგორც საბარგო ისე სამგზავრო.

✦ გენერალური შტაბის ცნობით 22 ივნისის საქართველოს ჯარებმა, გადავიდენ რა როყის უღელტეხილის მეზობლად მყოფ უღელტეხილებზე, დაიკავეს კუთხისა და სხვა უღელტეხილები, რომლებზედაც მაგრდებიან. სხვა მიმართულებებზე სიწყნარე იყო.

✦ ლტოლვილთა საოლქო თავშესაფარში ამ ჟამად იმყოფება: 300 კაცი: 100 სომეხი და 200 რუსი. ნაწილი სომხებისა გაიგზავნება სომხეთში, მეორე ნაწილი კი, რომელიც უმთავრესად ართვინლებისაგან შედგება, დროებით რჩება ბათუმში. რუსები კი ყირიმში წავლენ.

✦ ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა თფილისის ქართულ დრამატიული დასის მიერ ბათუმში გამართულ წარმოდგენებზე საქალაქო გადასახადი სანახევროთ შეამციროს.

✦ ქალაქის საავადმყოფოში გარდაცვლილთა დასაფლავებაში დაადგინეს გადაახთევინონ 2200 მანეთი.

✦ 25 ივნისს ბათუმის შრომის ბირჟაში გამოცხადდა 109 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 11 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშევარზე გაიგზავნა ერთი მოსამსახურე ქალი და 2 გაზეთის გამყიდველი.

◆ ჩვენი გაზეთის გუშინდელ მოწინავეში კორექტურული შეცდომით ერთ ალაგას აზრი დამახინჯებულია. დაბეჭდილია: აუჩქარებლათ, დინჯათ და თანხმობით იკაფავდა გზას... უნდა იყოს თანდათანობით იკაფავდა.

◆ ქალაქის საავადმყოფოს ხოლერიანთა განყოფილებაში 25 ივნისს იყო ტიფით ავადმყოფი 14. ყვავილით 4.

◆ მესამე უბანში 24 ივნისს დაატუსაღეს დახელოვნებული ქურდები: კოს. ტერ-აბრამოვი, ვლ. სხირტლაძე და გურგენ ხაჩატუროვი.

◆ დატუსაღებულ იქნა აგრეთვე 24 ივნისს ვაჭარი თადეოს ჩუგუნავა, რომელსაც დუქანში ხილეულობა დოლბანდით გადაფარებული არ ჰქონდა.

◆ 24 ივნისს დაატუსაღეს სტეფანე მინოსიანცი და ვანო მიკირტუმოვი.

◆ 23 ივნისს მეხუთე უბანში დატუსაღებულ იქნა: დეამოიანცი, მალხაზოვი, ბახტაძე, სილაჩევი და დარგაძე.

◆ 25 ივნისს პირველ უბნის უფროსთან გამოცხადდა სასტუმრო „ფრანციაში" მცხოვრები ქალი ზივი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ქმრის იქ არ ყოფნის დროს მისთვის ბოროტმოქმედებს წაურთმევიათ ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი №142582 და ფული, რომლის რაოდენობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. გამოძიება სწარმოებს.

◆ პირველ უბნის უფროსს 25 ივნისს განუცხადა აგრეთვე ერისთავის ქუჩაზე მცხოვრებ სერ. უსანინმა, რომ მისთვის მოუპარავთ კაცის ერთი კასტიუმი, ქუდი, კაცის შავი ფეხსაცმელები, კაცის ოქროს საათი ძეწკვით და სხვა და სხვა მოწმობები. სულ 50000 მანეთისა.

## ოსების აჯანყების ჩაცხრობა.

როგორც საქართველოს გენერალური შტაბი იუწყება, საქართველოს ჯარებმა უკვე მოათავეს მოღალატე აჯანყებულ ოსებისაგან სამხრეთ ოსეთის გაწმენდა.

ეს მეოთხეჯერაა, რაც ოსებმა მოღალატურათ აუჯანყდენ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას. მათი აჯანყება ყოველთვის მაშინ ხდებოდა, როცა საქართველოს უდიდესი გასაჭირი მიადგებოდა კარზე. აი, ასეთ გასაჭირის დროს ოსები საქართველოს დემოკრატიას ყოველთვის ზურგში დანის ჩაცემას დაუპირებდენ.

როცა დენიკინი ფლობდა ჩრდილოეთ კავკასიას, ისინი დენიკინის ურდოებისაგან ლოცვა-კურთხევით შემოესეოდენ ცხინვალს, როცა ბალშევიკები ცვლიდენ დენიკინს, მაშინ ბალშევიკებთან ერთად მიჰყოფდენ ხელს ძარცვა-გლეჯას. ნასტრაჟნიკალ და ნაპრისტავალი ოსები ყოველნაირათ ცდილობენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დანგრევას. მარა საქართველოს არა თუ ოსებმა, უფრო ძლიერმა მტრებმა ვერაფერი დააკლეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ მათ მათი მუხანათური ღალატი სამხელ აპატივა. როცა ძალას დაინახავდენ, მოიკატუნებდენ თავს: შევცდით, გვაპატიეთო, და საქართველოს დემოკრატიული მთავრობაც სულგრძელურათ აპატიებდა მათ.

მარა ბოლო არ მოეღო ოსების მუხანათობას. როცა საქართველოს ჯარები ადერბეიჯანიდან მოზღვავებულ ბალშევიკების დივიზიებს ებრძოდენ, ოსებმა კვლავინდებურათ ზურგში დანა ჩასცეს საქართველოს დემოკრატიას. საქართველოს ჯარებიც მობრუნდენ ოსეთისაკენ და ისეთი დღე დააყენეს ნასტრაჟნიკალ და ნაპრისტავალ ოსებს მათი მუხანათობისათვის, რომ არასოდეს დაავიწყდებათ შედეგი მათი ვერაგობისა.

საქართველოს ჯარებმა გასწმინდეს მოღალატეობისაგან ოსეთი და დაიკავეს უღელტეხილები. ამრიგად საქართველოს ჯარები დღეს სრულიად თავისუფალია. და საქართველოს შეუძლია ეს თავისუფალი ჯარები იქ გადაიყვანოს, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს.

## ბალშევიკების სამოთხე.

ბალშევიკებს ძლიერ მოსწონთ რუსეთის სოვდეპია. ისინი ყოველგან ცდილობენ ისეთი „წესრიგი" დამყარდეს, როგორიც ბალშევიკურ რუსეთშია. ფ. მახარაძე თფილისში ჩამოსულ რუსეთის ბალშევიკების ელჩს შესჩივის, რომ საქართველოს მთავრობამ არ მოგვცა საშვალება, რათა საქართველოში რუსეთის „სამოთხე" დაგვეარსებიაო.

რუსეთში კი ისეთი სამოთხეა, რომელიც ჯოჯოხეთზე უარესია. იქ არის გამეფებული აუტანელი ნგრევა და სილატაკე. ხალხი სიმშილით იხოცება. სიბინძურისა და სიმშილისაგან ყოველდღე ასობით და ათასობით იხოცებიან.

აი რას სწერს თვით ბალშევიკების გაზეთი „იზვესტია", რომელიც ლენინის სატახტო ქალაქ მოსკოვში გამოდის:

„იუნკრების მთელი შემადგენლობა მონაწილეობას იღებს კვირაობით მუშაობაში. ერთ დროს ქალაქის სასაფლაოზე დიდძალი გვამი (გარდაცვალებულები) მოგროვდა, რადგან დასაფლავების ბიურო მკვდრების დამარხვას ვერ ასწრებდა, ვინაიდან ეპიდემიის გამო ბევრი იხოცებოდენ. მეცადინეობის შემდეგ იუნკრებმა გათხარეს სიგრძით 50 ფეხის ნაბიჯზე ვეებერთელა სასაფლაო, რაშიაც შესაძლებელი შეიქნა მრავალი მკვდარის დამარხვა". („იზვესტია", 24 აპრილი).

აი ის სამოთხე, რასაც ჩვენი ბალშევიკები ნატრობენ. აუცილებლათ საჭიროა ამ ხალხს მიეცეს საშვალება ამ სამოთხეში ცხოვრებისა.

მოგვყავს კერძო წერილიდან ბალშევიკების სამოთხეში არსებული „სიიაფე":

„მწერ, ძალიანი სიძვირე არის აქაო (ე. ი. თფილისში), აგაშენა ღმერთმა ძმაო, თუ მაგას სიძვირე ჰქვიოდეს. სიძვირე აქ არის თუ არის! პური გირ-

ვანქა 240 მანეთი, ხორცი გირვანქა 450 მან., მარილი 300 მანეთი, ნავთი გირვანქა 370 მან., კარაქი გირ. 1000 მ., ნემსი ერთი ცალი 40 მან., ვაშლი (დაძმარული) 200 მ., ღმერთმანი ეტლით ერთი „კანეცი“ 500—700 მ. საათში 1500 მან., ფეხსაცმელი ქალის (ტილოსი) 12,000—15 ათას მან., ტყავის უბრალო 15—25 ათასამდე, ბოლოკი კონა 150 მან., კვერცხი ათი ცალი 400 მან., კოჭის ძაფი 800 მან“.

აი, ნამდვილი „სამოთხე“.

## თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები.

**კონსტანტინოპოლი.** უკანასკნელ დღეებში ცხოვრება ძლიერ გაძვირდა. ბირჟაზე ოქროს ლირა გაქრა. განწყობილება გამოურკვეველია. დიდი კაპიტალისტები კონსტანტინოპოლიდან იტალიაში და საფრანგეთში მიდიან. ნავთსადგურში აუარებელი გემი მანუფაქტურა, მისი ბაზარზე სიმრავლის გამო, გაიაფდა.

**ბერლინი.** „რუსეთის ხმას“ მოჰყავს სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენ პროცენტს შეადგენს სიკვდილი საბჭოთა რუსეთში მაშინ, როდესაც 1917 წელში ყოველ 1,000 კაცზე კვდებოდა 21,5 კაცი. იბადებოდა 29,5. 1918 წელში კვდებოდა 43,5 და იბადებოდა 15, 1919 წელს კი 65 კვდებოდა და 13 იბადებოდა. ამ რიგად ყოველ 1000 კაცზე 1919 წელში 62 კაცი კვდებოდა.

**მილანი.** იტალიის რკინის გზელთა კავშირის ინიციატივით მილანში მოწვეულ იქნა ყველა მემარცხენე სოციალისტურ ორგანიზაციების წარმომადგენლების თათბირი. თათბირზე წარმოდგენილი იყო შრომის კონფერენცია; სოციალისტურ პარტიის კომიტეტი, რკინის გზელთა კავშირი, მეზღვაურთა ფედერაცია და სხ. ხუთი საათის ბჭობის შემდეგ თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. ამავე დროს მიღებულ იქნა დადგენილება საომარ მასალების დასამზადებელ ფაბრიკებზე კონტროლის დაწესების შესახებ.

**ბერლინში.** ამერიკის წითელი ჯვრის წარმომადგენელი კაპიტანი როსი, რომელმაც ინახულა რუსეთი ჰიგიენურ-სანიტარული მდგომარეობის ასაცნობად, ესაუბრა მაქსიმ გორკის, რომელმაც შემდეგი განაცხადა. ჩემი თმები ყალყზე დგება, როდესაც წარმოვიდგენ იმ საშინელებას, რომელსაც მომავალი გვიმზადებს. მოსკოვი ტალახის ზღვაში არის ჩამრჩვალი, ხალხი მოწამლულია გაფანტულ გაზებით, გაზაფხულზე თოვლის დადნობამ რუსეთის ბევრი ქალაქი რამდენიმე კვირის განმავლობაში სიკვდილის ჭაობებად გადააქცია და ამის წინააღმდეგ ჩვენ უძლურნი ვართ. ჩვენ არა გვაქვს წამლები, მედიკამენტები, თითქმის არ გვაქვს საპონიც.

**პარიზი.** პარიზში გენერალ ვრანგელის დელეგაცია ჩავიდა. დელეგაცია მილიერანმა მიიღო.

**ლონდონი.** სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, რომელიც ამჟამად ლონდონში იმყოფება, მიმართა ხალხთა ლიგას სპარსეთის მთავრობის სახელით თხოვნით, მიიღოს ზომები და დაიცვას სპარსეთი ბალშევიკების დაპყრობისაგან.

**ციურიხი.** მალე შვეიცარიაში რეფერენდუმი მოხდება ხალხთა ლიგასთან დამოკიდებულების საკითხის შესახებ. შვეიცარია 413000 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 321,000 ხმისა ხალხთა ლიგას შეუერთდა. ხალხთა ლიგასთან შეერთების კანონპროექტს დიდი ოპოზიციით შეხვდნენ სამხედრო სოციალისტური და კანტონები ციურიხი, ბაზელი და სხ. ხალხთა ლიგის წინააღმდეგ წავიდნენ, ლათინური კანტონები კი დიდი უმრავლესობით ხალხთა ლიგასთან შეერთებას მიემხრნენ.

**ქაირო.** პოლიტიკური მდგომარეობა გაურკვეველია. ინგლისმა ახლახან დაბადებული სულთანის შვილი ტახტის მემკვიდრედ იცნო. ეგვიპტის დელეგაციამ ინგლისის წინააღმდეგ კატეგორიული პროტესტი განაცხადა ეგვიპტის კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევის გამო. გახშირდა ინგლისელებზე თავდასხმა. უკანასკნელ კვირის განმავლობაში რამდენიმე ინგლისის ოფიცერი ქაიროს ქუჩებზე მკვდარი იპოვეს.

**ბათუმი.** ივნისის 12, ტაგანროგი მახნოს ჯარებმა აიღეს.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

### ფრანგული პრესის ცნობები:

**გერმანიის განიარაღებისა და ჯარის საკითხი.**

„პტი ჟურნალი“ სწერს, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს გერმანიის განიარაღების საკითხს ბოლო მოუღონ. მარშალ ფოშის და ვილსონის შეხედულებები სავსებით მოწონებულ იქნა. გერმანიის თხოვნა მუდმივი ჯარის 200,000 კაცამდე გადიდების შესახებ, უარყვეს. სამხედრო მასალა განადგურებული იქნება, პირველ ყოვლისა გერმანიის ზარბაზნები.

**ტორფის რაოდენობა.**

საზოგადოებრივ მუშაობის მინისტრმა გუშინ მრავალი ტორფიანი ადგილები ინახულა. საფრანგეთში არსებულ ტორფის რაოდენობის ეკვივალენტი 200 მილ. ტონ ქვა ნახშირს უდრის.

**ვენიზელოსის განცხადება.**

თანახმად პრესის ცნობისა, მიღებულია ვენიზელოსის წინადადება საბერძნეთის ჯარის თანამშრომლობის შესახებ ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების დროს. „პტი პარიზიენი“ ამის გამო შემდეგ განმარტებას იძლევა: ვენიზოლოსი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ საბერძნეთის ჯარს შეუძლია ოსმალეთის წინააღმდეგობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასტეხოს. ლოიდ ჯორჯი მოითხოვდა ამ საკითხის სასწრაფო მოწესრიგებას, რომელსაც წმინდა სამხედრო ხასიათი აქვს. საბოლოოდ საკითხი ბულონში გადასწყდება. „მატენი“ უარყოფს თითქოს საბერძნეთის მთავრობა სამხედრო თანამშრომლობისათვის ტერიტორიულ და ფინანსიურ კომპესენციას თხოულობდეს. „პტი პარიზიენის“ ცნობით იმ არგუმენტებს, რომლებიც ვენეზილოსმა წამოაყენა, კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

## ლ ი ტ ვ ა.

### საპარლამენტო არჩევნები.

არჩევნები ლიტვის დამფუძნებელ კრებაში დამთავრდა. მათში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 90%-მა. გაიმარჯვეს სახალხო დემოკრატებმა. კომუნისტების აგიტაციას ხალხში გასავალი არა ჰქონია. ლიტვის დიპლომატიური წარმომადგენელი ვაშინგტონიდან ატყობინებს მთავრობას, რომ შეერთებული შტატები უახლოეს დროში იცნობენ ლიტვის დამოუკიდებლობას.

---

დაიკარგა კონდრატი დავითისძე ძიძიგურის პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რეს. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

429. 1—1

---

დაიკარგა ევტიხი გიორგისძე ქანთარიას პირადობის სურათიანი მოწმობა, მიცემული საქ. რესპ. ბათუმის კონსულისაგან.

ჩაითვალოს გაუქმებულათ.

431. 1—1

---

სტამბა ნ. ი. ხვინგიასი ბათუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის გაზეთი და მისი როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ..... 5
ავტობიოგრაფია (მემედ აბაშიძე, 1931 წელი) ..... 25
„სამუსლიმანო საქართველო" №293 ..... 41
„სამუსლიმანო საქართველო" №295 ..... 46
„სამუსლიმანო საქართველო" №297 ..... 51
„სამუსლიმანო საქართველო" №299 ..... 56
„სამუსლიმანო საქართველო" №303 ..... 61
„სამუსლიმანო საქართველო" №320 ..... 66
„სამუსლიმანო საქართველო" №321 ..... 71
„სამუსლიმანო საქართველო" №327 ..... 76
„სამუსლიმანო საქართველო" №328 ..... 81
„სამუსლიმანო საქართველო" №329 ..... 86
„სამუსლიმანო საქართველო" №330 ..... 91
„სამუსლიმანო საქართველო" №331 ..... 96
„სამუსლიმანო საქართველო" №337 ..... 101
„სამუსლიმანო საქართველო" №338 ..... 106
„სამუსლიმანო საქართველო" №339 ..... 111
„სამუსლიმანო საქართველო" №341 ..... 116
„სამუსლიმანო საქართველო" №342 ..... 121
„სამუსლიმანო საქართველო" №355 ..... 126
„სამუსლიმანო საქართველო" №356 ..... 131
„სამუსლიმანო საქართველო" №358 ..... 136
„სამუსლიმანო საქართველო" №359 ..... 141
„სამუსლიმანო საქართველო" №360 ..... 146
„სამუსლიმანო საქართველო" №362 ..... 151
„სამუსლიმანო საქართველო" №363 ..... 156
„სამუსლიმანო საქართველო" №364 ..... 161
„სამუსლიმანო საქართველო" №365 ..... 166
„სამუსლიმანო საქართველო" №367 ..... 171
„სამუსლიმანო საქართველო" №368 ..... 176
„სამუსლიმანო საქართველო" №372 ..... 181
„სამუსლიმანო საქართველო" №375 ..... 186
„სამუსლიმანო საქართველო" №378 ..... 191
„სამუსლიმანო საქართველო" №381 ..... 196
„სამუსლიმანო საქართველო" №383 ..... 201
„სამუსლიმანო საქართველო" №384 ..... 206
„სამუსლიმანო საქართველო" №390 ..... 208
„სამუსლიმანო საქართველო" №391 ..... 213

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი ლალი კონცელიძე

პოლიგრაფიული ცენტრის პასუხისმგებელი

რედაქტორი გულნაზ სამნიძე

მხატვრული რედაქტორი გურამ გუჯაბიძე

ტექნიკური რედაქტორი რობერტ ლომაძე

უფროსი კორექტორი ნანული წილოსანი

დამკაბადონებელი რუსუდან მეგრელიშვილი

პროგრამისტი მალხაზ ფაღავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.02.2008
ქაღალდის ზომა 60X84 1/8
ფიზიკური თაბახი 13,75
შეკვ. №1
ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, კოსტავას, 5

ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“ პოლიგრაფიული ცენტრი, კოსტავას, 5



ISBN 978-99940-21-02-4